

XIX-XX საუკუნეების ქართულ მწერალთა
ეპისტოლური მემკვიდრეობა

ტომი VI

გრიგოლ ორბელიანი (ნაწილი V)

უაკ (UDC) 821.353.1-155+821.353.1-6
ე-726

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი
Shota Rustaveli National Science Foundation

იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Iakob Gogebashvili Telavi State University

სამეცნიერო პროექტი „XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობის აკადემიური გამოცემა“ (გრანტი FR/288/1-20/13) ხორციელდება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. წინამდებარე კრებულში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორთა კოლექტივს და, შესაძლოა, არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს.

The project 'Academic Edition of XIX-XX cc. Georgian Writers' Epistolary Legacy'~ (Grant FR/288/1-20/13) is being made possible by financial support from Shota Rustaveli National Science Foundation. All ideas expressed herewith are those of the authors and may not represent the opinions of the Foundation itself.

www.rustaveli.org.ge

უფასო გამოცემა

ტომის რედაქტორები:

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი **ქეთევან გიგაშვილი**

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი **მარიამ ნინიძე**

© იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ყველა უფლება დაცულია.

გამომცემლობა „საარი“, 2015

ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57, ტელ.: 2 35 12 23

ელ-ფოსტა: saari.ltd@gmail.com

ISBN 978-9941-461-16-3

შესავალი

XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობის მრავალტომეულის VI ტომით გრძელდება გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლური მემკვიდრეობის აკადემიური გამოცემა, რომელიც მოიცავს 1856-1858 წლების წერილებს. მკითხველს შეეახსენებთ, რომ ეპისტოლური მემკვიდრეობის I ტომში შევიდა ალექსანდრე ჭავჭავაძის 4, სოლომონ დოდაშვილის 62 და ნიკოლოზ ბარათაშვილის 18 წერილი. გამოცემაში დათარიღდა სოლომონ დოდაშვილის 9 დაუთარიღებელი წერილი და დაზუსტდა ნიკოლოზ ბარათაშვილის 2 წერილის თარიღი.

მრავალტომეულის მომდევნო II-V ტომები დაეთმო გრიგოლ ორბელიანის ბარათებს.

II და III ტომებში¹ დაიბეჭდა პოეტის წერილების I და II ნაწილი, რომელმაც მოიცვა 1832-1850 წლებში დაწერილი 191 წერილი. II ტომში გამოქვეყნდა 1832-1844 წლების წერილები. მათმა რაოდენობამ 82 შეადგინა. აქ შევიდა აკაკი განწერელიას გრიგოლ ორბელიანის წერილების I ტომში² დაბეჭდილი 63 წერილი, რომელსაც დაემატა ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა 1922 წლის გამოცემაში³ პირველი პუბლიკაციის სახით გამოქვეყნებული 1 წერილი, ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომების I ტომში⁴ (რომელიც სოლომონ ცაიშვილმა გამოსცა) ასევე პირველი პუბლიკაციის სახით გამოქვეყნებული 1 წერილი, გამოუქვეყნებელი 12 რუსული და 5 ქართული წერილი. ასე რომ, II ტომში პირველად გამოქვეყნდა 17 წერილი. გამოცემაში დათარიღდა 74 ეპისტოლე.

III ტომში დაიბეჭდა გრიგოლ ორბელიანის 1845-1850 წლებში

1. XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, ტომი II, გრიგოლ ორბელიანი (ნაწილი I), ტომის რედაქტორები: ქეთევან გიგაშვილი, მარიამ ნინიძე, გამომცემლობა „საარი“, თბ., 2012.

XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, ტომი III, გრიგოლ ორბელიანი (ნაწილი II), ტომის რედაქტორები: ქეთევან გიგაშვილი, მარიამ ნინიძე, გამომცემლობა „საარი“, თბ., 2012.

2. გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი პირველი, 1832-1850, აკაკი განწერელიას რედაქციით და შენიშვნებით, კოტე გორდეღაძის წინასიტყვაობით, სახელმწიფო გამომცემლობა, ტფილისი, 1936.

3. ნ. ბარათაშვილი, ლექსები, ბედი ქართლისა, წერილები, ს. ფირცხალავას გამოც., ტფ., 1922.

4. ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, ტომი I, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტი, ზუგდიდის მუზეუმის გამოცემა, თბ., 1947.

დანერილი 109 წერილი. მათგან 4 რუსულია, ხოლო დანარჩენი – ქართული. ოთხივე რუსული წერილისთვის ჩვენი გამოცემა პირველი პუბლიკაცია იყო. აქვე პირველად გამოქვეყნდა ილია ორბელიანისადმი გაგზავნილი 5 წერილი. ასე რომ, III ტომში პირველად დაიბეჭდა 9 წერილი. გამოცემაში დათარიღდა 20 ეპისტოლე.

III ტომში წარმოდგენილი წერილების უმრავლესობა შესულია აკაკი განწერელის გრიგოლ ორბელიანის წერილების I ტომში, სამი გამოქვეყნებულია ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომების I ტომში, ხოლო 1 – ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა 1922 წლის გამოცემაში.

IV ტომმა⁵ მოიცვა 1851-1852 წლების წერილები, რომელთა რაოდენობამ 77 შეადგინა. მათგან 34 ბარათი რუსულია. ისინი ჩვენს გამოცემაში პირველად გამოქვეყნდა. აქვე პირველად დაიბეჭდა 3 ქართული წერილი, რომლებიც დაუთარილებელი იყო და დათარიღების შემდეგ 1851-1852 წლების წერილების ქრონოლოგიურ რიგში მოთავსდა. ასე რომ, ჩვენი გამოცემა 37 წერილისთვის პირველი პუბლიკაცია იყო. IV ტომში დათარიღდა 6 ბარათი. წერილების უმრავლესობა გამოაქვეყნა აკაკი განწერელამ 1937 წელს გრიგოლ ორბელიანის წერილების II ტომში,⁶ ხოლო 4 წერილი შესულია ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომების I ტომში.

V ტომი დაეთმო გრიგოლ ორბელიანის 1853-1855 წლების წერილებს, რომელთა რაოდენობამ 133 შეადგინა. ამათგან 38 წერილი რუსული იყო, რომლებიც ჩვენს გამოცემაში პირველად გამოქვეყნდა. ასევე პირველად დაიბეჭდა 7 ქართული წერილი. ამდენად, V ტომში პირველად გამოქვეყნდა 45 ეპისტოლე. დათარიღდა 8 წერილი.

წინამდებარე VI ტომი ეთმობა 1856-1858 წლების წერილებს, რომელთა რაოდენობა 134-ს შეადგენს. ამათგან 31 ბარათი რუსულია, რომლებიც ჩვენს გამოცემაში პირველად ქვეყნდება. ასევე პირველად იბეჭდება 15 ქართული წერილი. ესენია: დიმიტრი ჯორჯაძისადმი №33, №34, №35, №36, №40, №44, №45, №48, №59, №75, №80, ანასტასია ორბელიანი-გაგარინისადმი №1, ბაბაღე ორბელიანი-საგინაშვილისადმი №11, ელიზბარ ერისთავისადმი №1, ივანე ჯამბაკურ-ორბელიანისადმი №1.

ამდენად, წინამდებარე ტომში პირველად ქვეყნდება 46 წერილი.

რუსული წერილები გამოცემაში დაბეჭდილია ძირითად ტექსტად, ხოლო ქართული თარგმანები მათ შემდეგაა წარმოდგენილი. ტექსტში

5. XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, ტომი IV, გრიგოლ ორბელიანი (ნაწილი III), ტომის რედაქტორები: ქეთევან გიგაშვილი, მარიამ ნინიძე, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2013.

6. გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განწერელის რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, თბილისი, 1937.

ვარსკვლავებით აღნიშნულია ქართულ წერილებში ჩართული რუსული სიტყვები თუ ფრაზები და მათი თარგმანები მოცემულია წერილის ბოლოს. თარგმანებში მაქსიმალურად შენარჩუნდა ავტორის სტილი, მისი ქართული წერილებისათვის დამახასიათებელი ლექსიკა, მათ შორის, ცხადია, რუსიციზმებიც და პირთა და გეოგრაფიულ სახელთა დაწერილობებიც, მაგ., „კამანდირი“, „ნაჩალნიკი“, „აფიცარი“, „შტაბაფიცარი“, „შტაბკვარტირა“, „ოტრიადი“, „ოკრული“, „კნიაზი“, „კნიაგინია“, „დალისტანი“ და სხვა მრავალი.

წინამდებარე ტომში წარმოდგენილი ტექსტების აბსოლუტური უმრავლესობა ავტოგრაფის სახითაა ჩვენამდე მოღწეული. 1 წერილი ავტორიზებულია.

ტომი მომზადდა იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის კათედრაზე. უნივერსიტეტის თანამშრომელთა გარდა, მის მომზადებაში ჩართულნი იყვნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ტექსტოლოგიის სექციის ხელმძღვანელი, პროექტის მეცნიერ-კონსულტანტი და ტომის ერთ-ერთი რედაქტორი მარიამ ნინიძე, ასევე საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერ-თანამშრომლები: ქეთევან ხითარიშვილი, ციალა გრიგოლია, ლია კიკნაძე, ეთერ ბერუაშვილი.

VI ტომში წარმოდგენილი ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, პასპორტები, შენიშვნები, შესავალი წერილი, „ტექსტისათვის“ და რუბრიკა „ადრესატის მისამართი“ დაურთო **ქეთევან გიგაშვილმა**; კომენტარები და დათარიღება ეკუთვნის **მარიამ ნინიძეს**, ლექსიკონი – **ქეთევან გიგაშვილსა** და **მზია გიგაშვილს**, პირთა და გეოგრაფიულ სახელთა ანოტირებული საძიებლები – **ავთანდილ უჯმაჯურიძესა** და **გიორგი გოცირიძეს**.

წინა ტომების ანოტირებული საძიებლები, რომელთა მომზადებაში წვლილი აქვთ შეტანილი აგრეთვე მარიამ ნინიძესა და ქეთევან გიგაშვილს, ავტომატურად გადმოვიდა წინამდებარე ტომში.

წერილთა შედარებებსა და ხელნაწერთა აღწერილობებზე იმუშავეს **ქეთევან გიგაშვილმა**, **მზია გიგაშვილმა** და **ქეთევან ხითარიშვილმა**; რუსული წერილები ავტოგრაფებიდან გადმოწერეს **ციალა გრიგოლიამ**, **ლია კიკნაძემ** და **ეთერ ბერუაშვილმა**, ქართულად თარგმნა **არსენ ბერთლანმა**, ხოლო კორექტურაზე იმუშავა **ნათელა ლუღუშაურმა**; ოპერატორის საქმიანობა შეასრულა **ვახტანგ ზურაშვილმა**.

ვრცელი შესავალი წერილი იხ. ჩვენი გამოცემის II ტომში: „XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, ტომი II, გრიგოლ ორბელიანი (ნაწილი I), თბ., 2012, გვ. 3-12.



ქეთევან ორბელიანისადმი №81 (402)

ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან! ნულარ მტანჯავ ესოდენს ხანსა მოუწერლობითა, და ნუცა შენს თავსა მიჰსცემ სასონარკვეთილებასა. – ლ[თ]~ის¹ ნებასა უნდა დავემორჩილნეთ გულ-შემუსვრილნი და მასვე² მივანდოთ გაუბედურებულნი თავნი ჩვენნი. ამა დაუდგრომელს სოფელში ჩვენ აღარა დაგუშთარა სიცოცხლისათჳს; რა გაეწყობა ლთ~ის³ ბრძანებასა! და იქნება არცა ჩვენ ვიყავით ღირსნი მის⁴ წყალობისა. – ვიყუნეთ ჩვენცა ასე გულს-ხელ-დაკრეფილნი და ველოდეთ უკანასკნელსა ჟამსა, აუცილებელსა, მოთმინებითა და სასოებითა.

ეს ათი თუმანი უბოძეთ ჩემს დისწულს ბაბაღესა. თქუჴნი ძმები სიყუარულით მომიკითხეთ; დეკანოზსა მარჯვენეს ვეამბორები და მიუტირებ სანდროს დამინებასა. ლთ~ის⁵ იყოს შენი ნუგეშისმცემელი.

შენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი

5^ა იანვ: 1856 წელს.
თემირხანშურით.⁶

ქეთევან ორბელიანისადმი №82 (403)

ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან! შენი წერილი, შენი ამბავი, სრულებით არ მომდის არც შენგან, და არცა სხუათაგან ვისმე. – ეს არ ვიცი, რა არის ასე ჩემი დავინყება, რომ ერთს ჩემს ნათესავსა აღარ ვახსოვარ? – ვიშ, ვიშ! ნეტავი მე, რომ მაგათთანა ბიძაშვილები და ნათესავები მყუანან! ჭემმარიტად, დიდად ბედნიერი ვარ. – მართალია, ჩემგან არა მათგონდებათრა სიკეთე, მაგრამ მაინც არა მქონდა იმედი, რომ ასრე დამივიწყებდენ. – ოლონდ შენის მშვიდობის წერილი მომივიდეს და მაგათ ლთ~მა¹ მშვიდობა მიჰსცესთ. – იაკინთე და სარდიონ სიყუარულით მომიკითხეთ.

შენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი

20 იანვარს 1856.

თემირხანშურს.²

[პირველი გვერდის თავში ავტორის მინაწერია უკულმა:]

ჩემს ბაბალეს სიყუარულით ვაკოცებ.

მიხეილ ვორონცოვისადმი №46 (404)

К: Воронцову. 24 Генв: 1856.¹ т: х: шура

Письмо Вашей Свет² от 27 Нояб: доставило мне невыразимое счастье известием о вожделенном здравии Вашей Светлости и всего семейства Вашего, так глубоко обожаемого нами. Драгоценные строки, прописанные в том письме рукою Княгини Елисаветы Ксавериевны, с восторгом расцеловал я и, по обычаю Востока, приложил к глазам моим, да просветятся они радостью.

Ваша Светлость изъявили желание принять участие в украшении строящейся в Шуре Церкви; поэтому я представляю полный чертеж Иконостасу с подробным объяснением меры каждому из образов; и как притом благоугодно было Вам, кроме образов Спасителя и Богородицы, заказать еще два образа по моему выбору, то пользуясь столь милостивым предложением Вашим, я прошу Вас украсить церковь Запрестольным образом – молющийся Иисус – и еще одним, Александра Невского. Остальные же образа ещё не заказаны, кроме Св:³ Марии-Магдалины, образ, которой вышлёт из Рима молодой наш художник Лагорио, брат котораго служит при мне.

Полный чертеж Иконостасу, я прислал с тою целью, что быть может, ктонибудь из благочестивых Кавказцев, проживающих в Петербурге, и даже не из Кавказцев, пожелает принять участие в этом прекрасном деле, и закажет по своему выбору один из означенных в чертеже образов. Вообще все образа для Иконостаса выбраны мною; но не знаю

только, изящен ли выбор? и так Шуринский Собор пока имеет пять прекрасных образов. Графине же Шуазель просим о Катапетазме или занавесе к Царским вратам и три воздуха для покровов к Св:⁴ Дарам.

В прошлом ноябре я вошел с отрядом в вольную Табасарань, которая в последние годы сделалась убежищем беглецов, разбойников и проповедников Шаріата, которые и явно, и тайно, распространяли и утверждали там власть Шамиля. С божьею помощью, эта экспедиция окончилась очень благополучно: неприятель был разбит на голову; две главныя деревни, Ханаг и Лучек – местопребывание возмутителя Ших Мамеда – разорены до последнего камня; прорублены дороги в 200 саженой ширины от с:⁵ Хошни по речке Пелекчай чрез Ханагскую Гору до селения Гужника, мимо котораго прошёл К:⁶ Аргутинский в 1851; Другая, по хребту, соединяющемуся с Ашти Кукумскими Горами, по которому возвращался Ажимурад; третья, по хребту Камухдага к с:⁷ Хошни и отсюда одна по р:⁸ Рубис к с:⁹ Мараги, и другая тудаже по узкому ущелью у подножия Камухдага. Таким образом, теперь пять широких дорог ведут в Вольную Табасарань со стороны Дербенда и Казыкумыкского Ханства. И все это стоило нам ранеными 3^и Милиціонера. Результатом этой экспедиции: покорность Вольной Табасарани, Волнаго Кайтага и даже самой деревни Шиляги, так дорого стоившей нам прежде и остававшейся до сих пор в враждебном к нам отношении. Вторжение нашего отряда в Вольную Табасарань было так неожиданно для Шамиля, что он совершенно растерялся и не мог подать помощи, которую он так щедро предлагает всем, принимающим учение Шаріата.

Но в то время, когда громады адской артиллерии разражались над Свеаборгом и Севастополем; когда Карс падал под ударами ничем непоколебимаго Кавказскаго Корпуса, кому были слышны выстрелы, раздавшіеся где-нибудь в глуши Табасарани? А в иное время эта экспедиция имела бы свой эффект; Как бы то ни было, но я счастлив сам собою мыслію, что мне удалось выполнить этот давнейший план Вашей Светлости.

Варинка и семейство К:¹⁰ Чавчавадзе, по моему расчету, только недавно должны были прибыть из Москвы в Тифлис. В горах оне

встретили большія затрудненія во время переезда; побросали все экипажи и кое как дотащились до Ананур, где у Бабале Сагиновой отдыхали двенадцать дней, ожидая прибытія Экипажей. Впрочем благодареніе Богу! Все они были здоровы.

მიხეილ ჰორონცოვისადმი №46 (404)

კნ[იაზ] ვორონცოვსა. 24 იანვ: 1856
თემირხანშურით

აღუწერელი ბედნიერება მომგუარა თქუენის ბრწყინ[ვალეების] 27 ნოემბ[რის] წერილმან თქუენის ბრწყინვალეებისა და ჩუენს მიერ ესოდენ გაღმერთებული მთელი თქუენი ოჯახობის სასურველი ჯანმრთელობის შესახებ. აღტაცებით დავკოცნე იმ წერილში კნიაგინია ელიზავეტა ქსავ-ერიევნას ხელით დაწერილი სანუკვარი სტრიქონები და, აღმოსავლურის ჩვეულებისამებრ, თვალთა ჩემთა დავიდე, დაე, სიხარულად აღმინათ-დებოდნენ ისინი.

თქუენმა ბრწყინვალეებამ გამოსთქუა სურვილი, მონანილეობა მი-ილოს შურის მშენებარე ეკლესიის შემკობაში; ამიტომ სრული განმარტე-ბით წარმოვადგენ კანკელის სრულ ნახაზს ყოველი ხატის ზომაზედ; და როგორც ამასთანავე გენებათ, მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ხატების გარდა, კიდევ შეუკვეთოთ ორი ხატი ჩემის არჩევანითა, ვსარგებლობ თქუენის აგრერიგად მონყალე შემოთავაზებითა და გთხოვთ, ეკლესია შეამკოთ საკურთხეველის ხატით – იესო ლოცვისას – და კიდევ ერთით, ალექსანდრე ნეველის ხატითა. ხოლო დანარჩენი ხატები ჯერ არ არის შეკვეთილი, გარდა ნმ[იდა] მარიამ-მაგდალინელისა, რომელსაც რომი-დამ გამოჰგზავნის ჩუენი ახალგაზრდა მხატვარი ლაგორიო, ვისი ძმაც ჩემთან მსახურობს.

კანკელის სრული ნახაზი გამოგზავნე იმ მიზნით, რომ, შესაძლოა, პეტერბურლში მაცხოვრებელ ღვთისმოსავ კავკასიელთაგან, და არაკავ-კასიელთაგანაც კი, ვინმემ ინებოს, მონანილეობა მიიღოს ამ მშვენიერს საქმეში, და თავისი არჩევანით შეუკვეთოს რომელიმე ნახაზში მონიშ-ნულ ხატთაგან. საერთოდ, კანკელისთვის ყველა ხატი ჩემი შერჩეულია; მაგრამ აღარ ვიცი, მოხდენილად თუა შერჩეული? ამგვარად, შურის ტაძარს ჯერჯერობით გააჩნია ხუთი მშვენიერი ხატი. ხოლო ღრაჭინია შუაზელს ვთხოვთ კატაპეტაზმას, ან კრეტსაბმელს აღსავლის კარისთ-

ვისა და სამს დაფარნას წმი[და] შემონირულობათა საბურველთათვის.

გასულ ნოემბერს რაზმით შეველ თავისუფალ ტაბასარანში, რომელიც ბოლო წლებში თავშესაფრად იქცა გაქცეულთა, ყაჩაღთა და შარიათის მქადაგებელთათვის, რომელნიც ღიადაც და ფარულადაც ავრცელებდნენ და ამკვიდრებდნენ იქ შამილის ძალაუფლებასა. ღვთის შეწევნით, ეს ეკსპედიცია ძალზედ რიგიანად დასრულდა: მტერი ბოლომდე გავსრისეთ; ქვა ქვაზედ აღარ დარჩა ორ მთავარ სოფელში, ხანაგსა და ლუჩქეში – შფოთისთავ შიხმაჰმადის ადგილსამყოფელში; ს[ოფელ] ხოშნიდამ მდინარე პელექჩაის გაყოლებით, ხანაგის მთის გავლით, ს[ოფელ] ლუჟნიკამდინ, რომელსაც 1851-ში ჩაუარა კ[ინიაზმან] არლუთინსკიმ, გაკაფულია 200 საჟენის სიგანე გზა; მეორე – იმ ქედის გაყოლებით, აშტიყუყუმის მთებს რომ უერთდება, რომლითაც ბრუნდებოდა ჰაჯიმურადი; მესამე – ყამულდალის ქედის გაყოლებით ს[ოფელ] ხოშნი-სკენ, და აქედამ ერთი მ[დინარე] რუბისის გაყოლებით ს[ოფელ] მარა-ლისკენა, და მეორე იქითკენვე იწრო ხეობით ყამულდალის მთისძირთანა. ამგუარად, აწ ხუთს განიერს გზას მივყავართ თავისუფალ ტაბასარანში დერბენდისა და ყაზიყუმუხის სახანოს მხრიდამ. და ეს ყოველი დაგვიჯდა 3 დაჭრილ მილიციონერად. ამ ეკსპედიციის შედეგი: მორჩილება თავისუფალი ტაბასარანისა, თავისუფალი ყაითალისა და თვით სოფელ შილაღისაც კი, რომელიც აგრე ძვირად დაგვიჯდა, და კვლავაც რჩება ჩუენდამი მტრულს დამოკიდებულებაში. ჩუენის რაზმის თავისუფალ ტაბასარანში შეჭრა ეგრეთ მოულოდნელი იყო შამილისთვის, რომ ისე დაიბნა, არ ძალედვა დახმარების განევა, რასაც ის ესრე უხვად სთავაზობს ყველას, ვინც იღებს შარიათის სწავლებასა.

მაგრამ იმ დროს, ოდეს ჯოჯოხეთური არტილერიის გრუხუნნი იდგა სევაბორგისა და სევასტოპოლის თავზედ, ოდეს ყარსი ეცემოდა შეუდრეკელი კავკასიური კორპუსის დარტყმების ქუემ, ვის ეყურებოდა სროლები, სადღაც ტაბასარანის მიყრუებულს მიდამოებში რომ გაისმოდა? სხუა დროს კი ექნებოდა ამ ეკსპედიციას თავისი ეფექტი; მაგრამ, როგორც არ უნდა იყოს, ბედნიერი ვარ ჩემი თავით და ვფიქრობ, რომ შევძელ, შემესრულებინა ეს დიდი ხნის გეგმა თქუენის ბრწყინვალეებისა.

ვარინკა და კ[ინიაზ] ჭავჭავაძის ოჯახობა, ჩემის ანგარიშით, ახლახანს უნდა ჩასულიყვნენ მოსკოვიდამ თბილისში. მთებზე გადასვლისას ისინი დიდს სიძნელეებს გადაეყარნენ; მიატოვეს ყველა ეკიპაჟი და რის ვაი-ვაგლახით მიაღწიეს ანანურსა, სადაც ბაბაღე საგინოვთან თორმეტს დღეს ისვენებდნენ ეკიპაჟების მოლოდინში. ისე კი, მაღლი უფალსა! ყველანი ჯანმრთელად იყვნენ.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №29 (405)

ჩემო ბურიენო, ბატონო დიმიტრი!

მერე: შენვენითა ღთისათა¹ მოველ მშვიდობიანად იშკარტას,² სადაცა ყოველივე, რაჲცა ვიხილე, იყო კეთილ: ლაზარეთი, კაზარმები და სხუა შენობაები. – ეს არაფერი. ამასა ვჰსწუხვარ, რომ შენ არ გამომყევ, რომ ჩუმჩუმად, თვალ-გადაკვრით, თვალ-გადავლით, გვენახა ზოგიერთების გუგუნ-გვრიტობა, შეფრფინ-შეხარება, უხმო-უსიტყვოდ, სულ-განაბებით! – სწორე მოგახსენო ხან მეცინება, ხან მეზიზღება; რაუყო? ვარ მარტო და ამასთანა ნაჩაღნიკიცა; მაშასადამე უნდა ვიყო შუბლ-შეკრული და მძიმედ-მოუბარი. – მეტი ველარ გავძელ და ამანერილს მივჰყავ ხელი.

ხვალ, თუ ღთ³ შეგვენევა, გადავალ ჩირიურთსა და თუ მოვახელე, იქილამაც მოგართმევ ამისთანა ერთს ეპისტოლესა.

შენი ბედნიერების მოსურნე
გრიგოლ ორბელიანი

25 იანვ: 1856
იშკარტი.⁴

[43v გვერდზე მისამართია:]

Его Сіятельству,
Князю Дмитрію Давидовичу,
Джорджадзе.
В Шуру.^{5*}

*მის ბრწყინვალეობას,
თავად დიმიტრი დავილოვიჩს,
ჯორჯაძეს.
შურას

ლიმიტრი ჯორჯაქისაღმი №30 (406)

ჩემო ბურიენო, ბატონო ლიმიტრი!

მერე: ღთწით¹ და თქვენის წყალობით დღეს გაიხელით იმ-
კარტით ჩირიურთსა, სადაცა კარგად და კარგად ცივა, მეტადრე
ამ ოთახში, რომელშიაც ამ მინუტში ვარ და გწერ ამასა.

გზაზედ გავიგონე ეს ლაპარაკი:

შტო, ხოროშოლი თებე სიდეთ?

– ნიჩევო, ხოროშო!

ნეხოჩეშლი სიდეთ ნა მოემ მესტე?

– ზაჩემ?

სოლნცე პრიამო უდარიაეთ თებე ვგლაზა!

– ეტო ნიჩევო!

კაკ ნიჩევო, ია ვიჟუ უთებია პოკრასნელ ადინ გლაზ? –
ჩტო, ოჩენ ბოლიტ? –

– ეტო ნიჩევო!

კაკოი უტებია სევოდნია სტრანნი ოტვეტ, ნიჩევო ი ნიჩევო!*
ესა ჰსთქვა და გაიბუტა, და დიდი ხანი აღარა იყორა მათ-
შორის ლაპარაკი. მე ამ დროს სულ მთვლემდა: –

პაკატილოვმა დაჰპატიჟა ამალამ ლევინი, რადეცკი, ლაგო-
რიო და რა საკურველია სხუანიც იქნებიან და შეექცევიან.

ხვალ გავმინჯავ დრაგუნ-ყაზახებსა, ციხე-ხიდსა და პაჩოტნის
ყარაულსა, და ამასთანა სტანიცის ადგილსაცა, და შემდეგ, თუ მოვახ-
ერხე და არ დამიგვიანდა, ხვალვე გავემგზავრები ყიზიურთისკენ.

სხუა არა მაქუსრა ამხელად მოსახსენებელი.

შენი ბედნიერების მოსურნე
გრიგოლ ორბელიანი

26 Генв. 1856.

Чириюрт.²

იქვე ჩირიურთის სოფელთან ჰსდგას როტა ლინეინისა;
როტნის კამანდერსა ვჰკითხე:

Где вы были, когда неприятель отбил скотину?

Здесь!

Чтож вы в это время сделали, непомагли деревне?

Нет, потому что приказанія неполучал!** _

მოდის და ცხვირ-პირს ნუ დაუნაყავ ამისთანა აფიცარსა, სუ-
ლითა და ხორციტ მყრალსა. –

*რაო, კარგად ზიხარ?

არა უშავს, კარგად.

არ გინდა ჩემ ადგილზე დაჯდომა?

რატომ?

მზე პირდაპირ თვალებში გაჭყეტავს.

არა უშავს.

როგორ არა უშავს, ვხედავ, ცალი თვალი გაგწითლებია. – რა, ძალიან
გტკივა?

ეს არაფერია.

როგორი უცნაური პასუხები გაქვს დღეს, არა უშავს და არა უშავს.

**სად იყავით, როდესაც მტერმა ნახირი წაასხა?

აქ!

და რას აკეთებდით ამ დროს, სოფელს არ დაეხმარეთ?

არა, იმიტომ, რომ ბრძანება არ მიმიღია.

ქეთევან ორბელიანისადმი №83 (407)

ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან! თქვენი ორი წერილი მომივიდა ზედი-ზედ. – მადლობა შევჭსწირე ღთ^{სა},¹ ყოველთა უბედურთა მანუგემებელსა, თქვენის მშვიდობით ყოფნისათვის. – რა ვჰქნათ ძალუავჯან? რაოდენიცა ვიცეთ თავსა-პირში, არა გვეშველებარა; ისევ ლოცუა, ისევ ლოცუა და სასოება ღთ^{სა}სადმი,² რომელმანცა მოავლინა ჩვენს თავზედ ესრეთი უბედურება? იყავნება მისი.³ მაგრამ ჩვენკი ამ სოფელში აღარა ვართრა. –

ჩემის სასურველის სანდროს გვამის გადმოტანა მოგწენრა. – აბა რა გითხრა ძალუავ? ამდენის თვის დამარხული როგორ უნდა ახლად შეირყეს და გაიქექოს; მაგრამ თუკი მმართველობი-დამ არ იქნება დაბრკოლება, როგორც ბუტკოვს⁴ უთქვამს ძა-
14

ლუა ვარინკასათვს, აბა როგორ დაგიშალო, როგორ მოგაკლო ეგ უკანასკნელი ნუგეშის-ცემა უარისთქმითა?⁵ – მაგრამ ამ საქმეში უმჯობესია მამათქვენსა ჰკითხოთ რჩევა. მერე ეს უნდა დააწყოთ, რომ ვინ წავა წამოსასვენებლად გვამისა? და როგორც გადაჰსწყვეტო, მე ადრევე თანახმავარ თქვენი. – ახ და ახ, ძალუაჯან, რა დღეებს მოვესწარიოთ მე და შენ! –

დეკანოზსა მარჯვენეს ვეამბორები; შენი ძმები იაკინთე და სარდიონ სიყუარულით მომიკითხე. – იაკინთეს ან სარდიონს მოაწერიწე ჩემთან; რაც უნდა მომწერონ ოლონდკი მომწერონ. მეტად მიაძება მათი წერილი; ნეტავი იცოდე რა გულ-დაჩაგრული ვარ, ძალუაჯ. –

შენი მარადის ერთგული გრიგოლ ორბელიანი

3^ა თებერვალს 1856.

თემირხანშურით.⁶

ჩემს საყუარელს დისწულს ბაბაღეს სიყუარულით ვაკოცებ.

ყაფლან ორბელიანისადმი №8 (408)

ჩემო საყუარელო ძმაო ყაფლან!

რად დამივიწყე ასე უწყალოდ, რომ ერთხელ არასა მწერ? შენც რომ დამივიწყო, ვილას უნდა მოვაგონდე, და ანუ ვინლა მყავს შენსმეტი? – ვინძლო, ჩემო ყაფლან, ხშირად მიჰხედავდე ჩვენს უბედურს ძალუა ქეთევანს, რაც შეგეძლოს ნუგეშსჰსცემდე და შეეწეოდე! – უბედურება და ვაება ზედი-ზედ მოგვდის და მოგვდის! რა გაეწყობა ღთის¹ ნებასა? –

მე კარგათა ვარ, მაგრამ ვაი ამგვარ ყოფნასა: ყოველივე ფერი მომწყინდა; მეტადრე აქ სამსახური და ცხოვრება; გული და ხალისი აღარაფრისა მაქუს; მამისშენის² მზემ,³ დღესვე რომ ვჰკუდებოდე, არა შემნანდებარა! – აი ასეთია ახლა ჩემი სიცოცხლე.

შენი ცოლი და შვილები ჩამიკოცნე; მომწერე, როგორა ხარ და

ანუ როგორ ჰსცხოვრებ და უფრო ვისთან? – შევიტყე, სახლი მოგიმართავს და კარგად მოგიერთავს; ძმაო, რად გინდა ქალაქში პალატები? სოფელი, დამიჯერე სოფელი აღმოიჩინე საბოლოოდ დასადგომად შენის შვილებისათვის, თორემ ჩვენ ქალაქში ცხოვრება აღარ შეგვიძლიან. – სოფელში დღე დღე, წლით-წლად იქნები შემატებაში, და მანდა წყეულს ქალაქშიკი ხარჯისა და ვალის მეტი, დამიჯერე, არა იქნებარა. – რაცა მამაჩვენებმა იპოვნეს თბილისში, იმას ჩვენ ვიპოვნით. – ⁴
ლთ⁵ იყოს შენი მფარველი.

შენი ძმა გრიგოლ ორბელიანი

10 თებერ: 1856.

თემირხანშურით.⁶

ქეთევან ორბელიანისადმი №84 (409)

ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან! წასულის ფოშტით ვერ მოგწერე, რადგანაც ვიყავ ძალიან გართული ბაიყუშის შამხლის გამო, რომელსაცა აუბუნტდა ხალხი, და მათ დასამშვიდებლად დავდიოდი სოფლებში, და ვჰსჯიდი ხალხის ამშლელთა.

ახლა ჩემო ძალუავ გთხოვ დიდად და დიდად, რომ მიუტეოთ დანაშაულობა ჯოხაძესა, რომელსაცა თურმე ლუკმა პური ენატრება. – ვიცი, კარგად ვიცი, რომ მეტად ბევრი ცუდი ხასიათები აქუს, მაგრამ რა უყოთ? ეგეც მოხუცდა! – ბიძია ალექსანდრე მწერს იმის საწყლობასა, და მეცა მეტად შემებრალდა, და ამისგამო გთხოვ, რომ აპატიოთ და იმსახუროთ ისე, როგორც აქამდის გემსახურებოდათ; იმედი მაქუს, რომ დღეის იქით სიცრუეზედ და მოტყუებაზედ ხელს აიღებს.

ამასთანავე გიგზავნით ჩემის პენსიის პოვერნობასა.

დიდის სიყუარულით მომიკითხეთ იაკინთე და მადლობა გულისთადი უთხარით წერილისათვის, რომელიცა მივიღე სწორედ ამ მინუტში; მამათქვენს მარჯვენეს ვეამბორები; სარდიონ სიყუარულით მომიკითხეთ.

ბაბაღე ჩამიკოცნეთ.

ყაფლან დაბრუნდა რევაზის ქორწილიდამ, თუ ისევ იქ არის?
ლთმან¹ მოგცესთ ნუგეში და სიმრთელე. –
ნუ დამივიწყებთ თქუნს მარადის პატივის-მცემელს.

გრიგოლ ორბელიანი

1^ა მარტს 1856
თემირხანშურიით.²

დიმიტრის ჯორჯაძეს წყალობითა პოვერნობის წერილი
დღეის ფოშტას ველარ მოესწრო.

ქეთევან ორბელიანისადმი №85 (410)

ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან!

ამასთანავე გამომიგზავნია ჩემის პენსიის დოვერენოსტი,
რომლისა ძალით გთხოვთ მიიღებდეთ ხაზინიდამ ფულსა ამნლი-
სას. – ამ წყეულმა შურამ ეს დიმიტრიც სრულებით გამოაყრუვა;
ეს ორი კვირა არის სულ ავიწყდებოდა. – ფუ, ეს რა დამემართა?
სულ ამას იძახდა. –

აქ მოგვივიდა ამბავი, რომ მითომ მთავარმართებელი ნაბძანებუ-
ლიყოს სტავროპოლს, და იქიდამ მგონია აქეთ გამოგვიაროს. – თუ ასე
მოხდა, მაშინ აქ რომ შევჭხუდები, კიდევ ვჰსთხოვ აქედამ დათხოვნასა:
სწორედ მოგახსენოთ, აღარ შემიძლიან მეტი აქ სამსახური. არღარა
მინდარა და არცა რასმეს მოველი არცა სამსახურისაგან და არცა სი-
ცოცხლისაგან; ტყუილი თრევა არის ჩემი აქაცა და სხუაგანაც.

ბაბალე ჩამიკოცნეთ; ყაფლან, ჩემი საყუარელი ძმა მისის
ქულქათით მომიკითხეთ.

თქუენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი

16^ბ მარტსა 1856.
თემირხანშურიით.¹

ქეთევან ორბელიანისადმი №86 (411)

ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან!

შენი წერილი და ყაფლანისა გუშინ ერთად მომივიდა; ვკმადლობ ღმერთსა¹ რომ უვნებელადა ხართ, მაგრამ მიკვირს ჩემი წიგნები, რატომ არ უნდა მოგდიოდესთ: მე დიახ ხშირადა გწერთ.

წასულის ფოშტით მოგწერეთ, რომ პენსიის დოვერენოსტობა გამოგიგზავნე, მაგრამ კნიაზს დიმიტრის კიდევ ერთი, დამავინყდა,² მოუვიდა; და ახლაკი ამ ფოშტით უთოოდ მოგივათ.

ეს ორი თვე არის მოუწყვეტლივ მოდის და მოდის თოვლი, და აქამომდის არის დიდი ყინვები; აქაური საქონელი და მეტადრე ცხვრები საშინლად იყლიტება – ბიძია ალექსანდრეს ძალიან ეწყინება ეს ამბავი.

შევიტყე, ჩვენი კიკო ჰსწავლობს თურმე ქორტოპიანსა, რომელიცა უყიდნია თვრამეტუმნად. – მიკვირს მაგისი ასეთი უანგარიშობა! ჯერ ეს ერთი, რომ თვრამეტუმნიანი ქორტოპიანო გროშად არელირება; მეორე ესე, რომ უბრალოდ ააშენა მაგან ქალაქში სახლები და იმდონი ფულები უბრალოდ ჩაყარა მანდა, – აბა ან მე და ან მაგას რათ გვინდა ქალაქში სახლები, სადაცა არ შეგვიძლიან ცხოვრება? სიღარიბე და გლახაკობა არ გვეყო აქამდისინ, რომ მომავალშიაცა იმასვე ვეძებთ? – მაგრამ ვინ გაიგონებს? –

შენის ძმის პლატონის დაქორწინება შევიტყე; ვისი ქალი შეურთავს? –

იაკინთე და სარდიონ სიყუარულით მომიკითხე. –

თქუენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი

23^ა მარტს 1856.

თემირხანშურით.³

ყაფლან ორბელიანისადმი №9 (412)

ისე ღმერთმა შენ გასიამოვნოს შენის ცოლშვილით, როგორც მე დღეს გავიხარე შენის წერილით, ჩემო საყუარელო ძმაო ყაფლან! – ჰოო, აგრე უნდა! არ უნდა დამივიწყო; ფოშტას უნდა სშირად მოჰქონდეს ჩემდა შენი წერილი, რომელშიაც თუგინდა სულ ნურას დაჰსწერ, ოლონდკი შენი სახელი ეწეროს, მარტო შენი სახელი; კმარა ჩემთვის! –

კიკოს ქორტოპიანზედ დაკვრის ჰსწავლასა მწერ; კარგია, ეგეც ერთი ჰსწავლა არის, მაგრამ ესკი ვიცი, რომ შვიდთუმნიანს კარეტასა და თვრამეტთუმნიანს ქორტოპიანსა ერთი და იგივე აქუსთ ღირსება, ესე იგი, დამტვრეულ-დამსხვრეულ-დაპრანჭვა; და რათა ჰფანტვენ უბრალოდ ფულებსა, ეს ვერ გამიგია? – განა აგრე გამდიდრდა ქვეყანა, რომ თვრამეტი თუმანი აღარ მიაჩნიათ ფულადა? – ან უთოოდ მე აღარა მესმისრა ამ სოფლისა! –

ძალიან მიამა, რომ შენი შვილი ჰსწავლობს სპარსულსა; ნეტავი შარშან ეგე წამომეყუანა აქა; ყარაბაღელი მირზა ჰუსუფი ჩემთანა არის; ვანერინებ სპარსეთის ისტორიასა, მეტადრე განვრცელებით ნადირშაჰიდამ აქამომდის. – ამასთან შენი შვილი ძალიან კარგად ისწავლიდა, და რუსულიცა უფრო გაუადვილდებოდა. – მალე მოგართმევ ფეშქაშად მთლად ვალუფის¹ ლექსებსა, აქ დაბეჭდილსა ამ მირზაჰუსუფასაგან. –

ძალუა და შენი შვილები ჩამიკოცნე; სოფიოს გულითადს პატივისცემას მოვახსენებ.

ღო² იყოს შენი მფარველი და მან გვადირსოს ურთიერთის ხილვა.

შენი ძმა გრიგოლ ორბელიანი

23^b მარტს 1856

შურით.³

საშინელი თოვლი მოდის ეს ორი თვეა და არის მოუწყვეტილვ სიცივე და ყინვა; აქაური საქონელი და ცხვარი განყდა ურიცხვი. – ეს ამბავი შეატყობინე ბიძია ალექსანდრეს, ძალიან შენუხდება. –

ქეთევან ორბელიანისადმი №87 (413)

ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან!

აქაურმა თოვლმა და წვიმებმა უკანასკნელი მოთმინება წამართვეს; დღეს ძლივს დავინახეთ მზე, მაგრამ ასეთი ტალახია, რომ ვერა რალონისძიებით კაცი ვერ გაივლის გარეთ. ვჰყრივართ ეს თითქმის სამი თვეა სახლებში მოწყენილნი, გაბრაზებულნი, სევდიან-გასიებულნი; და ვართ ასე. –

შერიგების ამბავი მოგვივიდა, და ახლა მგონია მთავარმართებელმა აქეთ გამომიაროს, რადგანაც დალისტანი ჯერ არ უხილავს. – მეცა მოველი, თუმცაკი ჯერ არავინ მატყობინებს იმის აქეთ წამოსვლისათვის.

ჩემი საყუარელი ყაფლან მისის ქულქათით მომიკითხეთ სიყუარულით. – ბაბალეს ჩავკოცნი. –

სად არიან ძალუა ნინო, თამარ, ბაბალე, კატო; რატომ მაგათი ამბავი არა ისმისრა? –

იაკინთე და სარდიონ სიყუარულით მომიკითხე.

თქუენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი

20 აპრილს 1856.

თემირხანშურით.¹

ქეთევან ორბელიანისადმი №88 (414)

ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან!

წასულს ფოშტაში ვერ მოვასწარ მოწერა თქუენდა, რადგანაც მოხდა ერთბაშად შურის სიახლოეს ჰაი ჰარაი, მდევარი! – ერთს აფიცარს, რომელსაცა გაეშვა ჯარი და წამოსულიყო მარტოდ, გამოსდგომოდნენ ლეკები; თუმცა აფიცარი გადურჩა განსაცდელსა, მაგრამ ამდენი არბეინეს, რომ მგონია კულავ აღარ გაბედოს ამ გვარი სიგიჟე. – ამ ლეკებსა გამოუყენე კნიაზი

ბაგრატიონი თავის ავარიის პოლკითა; ამან ჰსდია გიმრამდის, და იქიღამ მორეკა ასამდის ძროხა, ვირები, ხუთი დედაკაცი და ერთიც კაცი. – ამით დაბოლოვდა ეს მდევარი.

საკურველი გაზაფხულია; დადგა მაისიცა მაგრამ სითბოკი არსადა ჰსჩანს აქამდის. –

მე ლთ^{ის}1 მონყალებით მშვიდობითა ვარ, მაგრამ გულის ფრიალი დამჩემდა, მეტადრე როდესაც მენყინება რამე, ძნელადღა ვისვენებ. –

მთავარმართებელსა მოველით, მაგრამ ჯერკი არ ვიცით როდის მობძანდება ამ მხარესა.

ბაბაღე ჩამიკოცნეთ; ჩემი საყუარელი ყაფღან მისის ქულქათით სიყუარულით მომიკითხეთ. –

თქუენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი

8^ა მაისს 1856.

შურიტ.²

უბედურნი ჩუენნი გლახები როგორ ჰსცხოვრებენ ამ საშინელს სიმშლში, და ან რა ღონისძიება უპოვნეს მისთა ბატონებმა? –

ქეთევან ორბელიანისადმი №89 (415)

როგორა ხარ, ჩემო უსაყუარლესო ძალუავ ქეთევან? – როდის მეღირსება ხილვა თქუენი? ეს ზაფხულიც მოახლოვდა და მასთან ჯარიანობაცა; ბატალიონები ნელნელა მიდიან მთებისაკენ და მეც მალე გავალ შურიღამ ქუთიშის მთაზედ; ვნახოთ ლთ^ი1 რას ინებებს წლეულსა! – მაგრამ თუკი როგორმე მტერმა მომასვენა, მინდა ერთი ორი კვირა ზღვის პირს ვიცხოვრო და ვიბანო. – ამბობენ, ზღუა აყმანვილებსო – ვნახოთ!

მთავარმართებლისა აქ მოსვლისათჳს სწორედ ვერა შევიტყერა; ზოგნი ამბობენ, პირდაპირ ქალაქს მიბძანდებაო. – სწორედ მოგახსენო, ძალიან მენყინება, თუ აქეთ არ გამოივლის, რომ თა-

ვის თვალთ ენახა აქაური ცხოვრებაცა, და დაუცხრომელი ჯარის სამსახურიცა, და ამასთანა ეგრეთუე ესოდენი ხალხი სხუა და სხუა ენისა, სხუა და სხუა თემისა!

ჩემი დისწული ბაბაღე სიყუარულით ჩამიკოცნე. ყაფლან როგორ არის თავის ცოლშვილით და ანუ სად იმყოფება, სოფელში ხომ არ ასულა? –

ძალუა ნინოს სიყუარულით მოვიკითხავ; ბაბაღე ანანურიდამ ხომ არ ჩამოსულა, მგონია მემდურის, დიდხანია აღარ მიმინერია. –

სარდიონ და იაკინთე სიყუარულით მომიკითხე.

თქუენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი

18^ა მაისს 1856.

თემირხანშურით.²

ალექსანდრე საბინაშვილისადმი №2 (416)

1^ა ივნისის 1856¹ თემირხანშურით

ჩემო საყუარელო ძმაო ალექსანდრე! გუშინ წინ მომივიდა ძალუა ქეთევანის წერილი, რომლითაც მაცნობებს, რომ ზემღემერები ჰზომენ ჩვენს მამულებსა ალექსანდრეს ვალისათუს, და ყოველს სოფელში ჰზომენ და ჰსჭრიან საწელმნიფოდ ერთს სოფლის კუთხიდამ, ასე რომ ჩემიცა და თქვენიცა მამული თან მიაქუსთ, და ჩვენ თურმე გვეუბნებიან, ხელმეორედ ძმებმა გაიყავითო. – ეს თუ მართლად ასეა, შენ იფიქრე ახლა რა დავიდარაბაში გავებმით ჩვენ საუკუნოდ, რადგანაც ჩვენ ვეღარ მოვესწრობით მეორედ² გაყოფასა, რომელიცა ერთხელაც ძლივს რისყოფით, რის ტანჯვით, და შრომით გავიყავით მამულები! – ალექსანდრეს ვალისათუს პასუხის გამცემნი არიან სხუანი და არა ჩვენა, და იმათი მამულებიც ყოველს სოფელში დიახ საემო არის, რომ ჩვენი საკუთრება არ ჩაიტანონ ზემღემერებმა. – ამ უსამართლოებით მხოლოდ ზემღემერები განგებ იმსუბუქებენ თავის საქმესა, და ჩვენკი უნდა დაუს-

რულებელს დავიდარაბაში გავებათ. – ამას ეხლავე ვჰსწერ კნიაზს ვასილი ოსებიჩსა და ვჰსთხოვ ამ საქმეში სამართლიანს მფარველობასა, რომ ზემლემერების შემსუბუქებისათვის ჩვენ არ წაგვეერთოს საკუთრება. – ახლა შენც, ჩემო ალექსანდრე, უნდა ჩაირბინო თბილისში და მიართო არზა კნ: ბებუთოვსა, და მიართმევინო ძალუა ვარინკასაცა, თორემ ძალიან ცუდად მოვა ჩვენი საქმე, და მერე თუ წახვედი კიდეცა სოფლებში და დაესწრობი при отмежевании земель,* ხომ რალა თქმა უნდა რომ ყოველივე კეთილად დაბოლოვდება. – ამის პასუხი მომწერე ჩემო ალექსანდრე, როგორ არის და ან როგორ დაბოლოვდება ეს საქმე.

ჩემს საყუარელს დას და დედას – ბაბალეს სიყუარულით ჩავკოცნი; ეგრეთვე ძალუას, ჩემს საკუთარს ძალუას ელისაბედს. – ბაბალეს წერილი მომივიდა გუშინ წინ და ეხლა ველარ მოვასწარ პასუხის მოწერა.

შენი ბედნიერების მოსურნე
გრიგოლ ორბელიანი

*მინების გაყოფას

ქეთევან ორბელიანისადმი №90 (417)

ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან!

ამ წერილს მოგართმევს სოლომონ ყორღანოვი, რომელიცა იყო აქა, და ესევე მოგახსენებს ჩემს ამბავსა. – მე ლთ^{ით}1 მშვიდობითა ვარ; ჯარებიც გამისტუმრებია მთისაკენ და მეცა ბარგი-ბარხანა შეკრული მაქუს, რომ ავდგე და საჩქაროდ გავემგზავრო იქით, საითაც გამოჩნდება შამილა.

ბაბალე ჩამიკოცნეთ; ყაფლანის ქულქათი მომიკითხეთ და ძალუა ნინა სიყუარულითა.

თქუენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი

12^ა ივნისს 1856.

შურით.²

ქეთევან ორბელიანისაღმი №91 (418)

ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან!

ჩვენის მამულების გაზომის საქმეზედ ალექსანდრეს ვალებისათვის დიდიხანია რა მოვჰსწერე კნიაზს ბებუთოვსა, და მისგან ჯერ არ მომსვლია პასუხი. –

ერისთვიანთ მამულებისათვის ჩვენ უნდა ვიყუნეთ მადრიელნი და დავალებულნი ჩვენის ბიძაშვილისგან ალექსანდრე მარშლისა, რომელსაცა სამი წელიწადი ჰქონდა დოვერენოსტი კუპჩის გამოტანისათვის და ის ვერ შემისრულა. – და თუ არ შეეძლო ჩემის გულისათვის, ნათესაობისაგამო, ხუთის ნაბიჯის გადადგმა, რათ იკისრა და ესოდენს დროს რად მატყუებდა? – ახლა საფრანგეთშიაც ნაბძანებულა; მაგრამ ეჰ და ეჰ, ასე ყოფილან ყოველთვის ჩვენნი ბიძაშვილები, ვერასფერში ვერ გამოიყენებ. –

დამიჯერეთ ძალუავ, ამ გვარ საქმეებში ისევ ჩვენს ბიძაშვილს ალექსანდრეს მიჰმართეთ, იმას უფრო თავიცა აქუს და გულიც შეჰსტკივა ჩვენთვის, და საქმის აღსრულებაც იცის. –

დავით აბაში ჯერ არ მინახავს; აქედამ შორსა ჰსდგას, და როცა ვაკანცია აღმოჩნდება მისს პოლკში უეჭველად მიჰსცემენ ბატალიონ[ნ]სა. მაგრამ ეგ ოხრები, რად ირთვენ ცოლსა, როდესაც მისი შენახვა არ შეუძლიან? და ანუ, თუ გინდ ბატალიონიც ჩააბარონ, მაინც რა გამოვა და ან რა გახდება? –

ძლივს მოვრჩი და მოვისვენე დეპუტატების გაგზავნისაგან მოსკოვში; ორი კვირა მტანჯეს მოუწყვეტლის ლაპარაკითა დილით საღამომდის!

იაკინთე და სარდიონ სიყუარულით მომიკითხეთ.

თქუენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი

6^ს ივლისს 1856.

თემირხანშურ[ით].¹

შემატყობინეთ, ალექსანდრე საგინოვმა რა ჰქნა მამულების

გაზომისაგამო? მე მოვსწერე, რომ კნიაზს ბებუთოვსა ჰსთხოვოს არზითა, და პასუხი ჯერ არ მომსვლია მისგან.

ჩემს საყუარელს ბაბაღეს ჩავკოცნი.

ძალუას ნინას სიყუარულით მოკითხვას მოვასხენებ; სად არიან მაგის ქალები წელნაზი თამარ კრასავიცა ბაბაღე და კატო მარტომყოფი?

ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №12 (419)

Темир хан шура. 12 Июля 1856.

К:¹ Александру Ивановичу Барятинскому.²

Позволяю себе представить вашему С^{vy}³ с письмом этим командира Дагестанскаго Конно-Иррегулярнаго Полка Маіора К:⁴ Багратіона, который по вашему же ходатайству у Князя Воронцова, получил это назначеніе.

Вашему С^{vy}⁵ полагаю, будет приятно слышать, что К:⁶ Багратіон своею прекрасною службою оправдал самым блистательным образом Ваше милостівое к нему вниманіе. Строгій порядок, дисциплина и фронтное образованіе, введенныя им в веренный ему полк, составленный из Дикарей-Горцев по истине достойны похвалы; частыя же и весьма удачныя набеги, произведённые им в Койсубу и Салатавію, раскрыли в нем замечательныя военныя способности и приобрели ему хорошее имя в горах Дагестана. Теперь он может предстать пред Вами светлым лицом: грехи юности выкуплены им новою лучшею жизнью.

Пріймите же, Доблестный Князь, этого молодого человека под тенью правой руки Вашей; а он положит голову свою для Царской службы.

Если дела Дагестана интересуют В:⁷ С^{тб}⁸, К:⁹ Багратіон доложит Вам обо всём подробно.

О лицах же отправленных из Прикаспійскаго Края на священную коронацію Государя Императора я имел честь писать Вам и просить о принятіи под Ваше покровительство двух молодых людей: Ибраїм Хана Мехтулинскаго и Гассан хан бека.

К этой просьбе я решаюсь прибавить теперь новую: о старике Шамхале Тарковском. Если б ему посчастливилось удостоиться Монаршаго благоволенія и на старости лет он был назначен Генерал Адъютантом, это было бы справедливым всемилостивейшим воздаяніем от Монарших щедрот, если не за замечательныя личныя заслуги Шамхала, то за слишком вековую преданность дома его нашему Правительству, за многія услуги, оказанныя отцом его Мехти Шамхалом и за чистосердечно благоговейныя верно-подданическія чувства Князя Абумуселим Хана к Государю Императору.

С Чувством глубокаго уваженія и совершенною преданностью имею честь быть.

ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №12 (419)

თემირხანშურით. 12 ივლისი 1856.

კ[ნიაზს] ალექსანდრ ივანოვიჩ ბარიატინსკის

თავს უფლებას ვაძლევ, ამ წერილით თქვენს ბ[რწყინვალ]ებას წარუვუდგინო დალესტინის ცხენოსანთა ირეგულარული პოლკის კამანდირი, მაიორი, კ[ნიაზი] ბაგრატიონი, რომელმაც თქუენივე შუამდგომლობით კნიაზ ვორონცოვისგან მიიღო ეს თანამდებობა.

თქვენს ბ[რწყინვალ]ებას, ვჰგონებ, ეამება გაგება იმისა, რომ კ[ნიაზმან] ბაგრატიონმან თავისი შესანიშნავის მსახურებით უბრწყინვალესად გაამართლა თქუენი მისდამი მონყალე ყურადღება. მკაცრი წესრიგი, დისციპლინა და საფრონტო განათლება, მან რომ შემოიღო მისთვის მიბარებულს პოლკში, რომელიც შესდგება ველურ მთიელთაგან, ჭეშმარიტად იმსახურებენ ქებასა; ხოლო ყოისუბუსა და სალათავიაში მის მიერ მონყობილმა ხშირმა და სრულიად წარმატებულმა თავდასხმებმა მასში გამოავლინეს შესანიშნავი სამხედრო უნარები და კარგი

სახელი შესძინეს დალესტინის მთებში. ან მას ძალუძს, ნათელი სახით წარსდგეს თქუენს წინაშე: მან ჭაბუკობის ცოდვანი გამოისყიდა ახალი უკეთესი ცხოვრებითა.

მაშ შეიფარეთ, ქუელო თავადო, ეს ჭაბუკი თქუენის მარჯვენის ჩრდილქუემ; ის კი თავს დასდებს მეფის სამსახურისათვს.

თუკი თ[ქუენს] ბ[რწყინვალ]ებას აინტერესებს დალისტინის ამბები, კ[ნიაზი] ბაგრატიონი დანვრილებით მოგახსენებთ ყოველივესა.

ხოლო კასპიისპირა მხარიდამ ხელმწიფე იმპერატორის წმიდა კორონაციანზედ გაგზავნილ პირთა შესახებ, პატივი მქონდა, მომენერა თქუენთვის და მეთხოვა, თქუენს მფარველობაში მიგელოთ ორი ჭაბუკი: მეხთუელელი იბრაჰიმ ხანი და ჰასან ხან ბეგი.

ვბედავ, ამ თხოვნას ახლა სხუაც დავურთო თარკოს მოხუც შამხალზე. თუკი მას ექნებოდა ბედნიერება, ჰლირსებოდა მონარქის კეთილგანწყობა და სიბერის წლებში დაინიშნებოდა ლენერალ ადიუტანტად, ეს იქნებოდა ყოვლადმონყალე სამართლიანი დაფასება მონარქის მადლითა, თუ თვალსაჩინო პირადი დამსახურებისათვის არა, მისი ოჯახის საუკუნო ერთგულებისათვის მაინც ჩუენის ხელისუფლების მიმართ, მისი მამის მეხთი შამხლის მიერ განეული მრავალი სამსახურისათვის და კნიაზ აბუ-მუსლიმ ხანის გულწრფელის მოკრძალებულის, ერთგული ქვეშევრდომულის გრძნობებისათვის ხელმწიფე იმპერატორისადმი.

პატივი მაქუს, ვიყო ღრმა პატივისცემითა და სრულის ერთგულებით.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №31 (420)

ჩემო საყუარელო დიმიტრი! ზღუა დიდსა საქმეს ჰშვრება: გვაყმანვილ-გვაჭაბუკებს. – ჩვენკი ისე გვგონია და იქნება შემცდარნიც ვიყუნეთ.

დიდი დიდი¹ საიდუმლო: ფოლკენლაღენის ქორწილი იქნება რამდენისამე დღის შემდეგ, მე ვარ მამა მექორწინეთა; მაშასადამე საჭიროა კარგი ხატი მაცხოვრისა. – გთხოვ, ჩუმად, საიდუმლოდ, იყიდო ეს ხატი და უკრავ-უგინებლად გამომიგზავნო.

პეტრე აპოლონონიჩი და მშვენიერი ლიდია ალექსანდროვნა დიდად მომიკითხე. – სწორედ მოგახსენო ორს დღესაც ვერ გავძლებდი აქა და აქამდისაც წამოვიდოდი, თუ [...]² მოულოდნელად

არ მომხდარიყო ქორწილი, რომლისაგამო უნდა კიდევ დავჰყო რაოდენიმე დღე, თუ შამილის ნებაც იქნება.

დიდის მოუთმენელობით მოველი ამბავსა ყაზიყუმუხიდამ ლეკის ჯარის წასვლისათვის ჭარ-კახეთისაკენ; რა ჰქნეს და ანუ როგორ დაბრუნდნენ, და ანუ მანუკინი როგორ მოიქცევა ამ შემთხვევაში? –

ჩემი ბიძია ბატონი ალექსანდრე მწერს, რომ მურავიევი დაუნიშნავთ ქრეიტალის მოადგილეთაო! – ქრეიტალი ვინ არის, და ანუ მისი ადგილი რა არის? – კნიაზ ბებუთოვი დარჩებაო დროებით მთავარმართებლათაო, მაგრამ კორონაციაში წავაო. – ეს რა ამბავია? შენ ხომ არა მოგსვლიარა ახალი რაამე ქალაქი-დამ? –

თუ მოდიხარ, მოდი მალე, და თუ არა, მომწერე ამბები მთისა, ბარისა, პოლიტიკისა, კარისა, სასახლისა და სხუანი. –

საბრალო პეტრე როგორ არის და ანუ კარგად უყურებენა მას?

შენი ბედნიერების მოსურნე
გრიგოლ ორბელიანი

1856.

ივლისის... არ მახსოვს; ვიციკი რომ ხუთშაბათია, ამ ნიშნით რომ წვერიცა მოვიპარსე და სადილათ დალინისასა ვართ.

პეტროვსკით.³

აქაურობა აიკლეს რადეცკიმ თავის პოლკითა და ღოპპემ მაზურკითა; აბა იფიქრე, ზღუა რა სასწაულსა ჰშვრება!

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №32 (421)

ჩემო ბურიენო დიმიტრი! მომირთმევია ხელმოწერილი ჩემგან ქალაღდი დაბრუნებისათვის ცხრის ყუბელისა, რომელნიცა გაგზავნილ არიან რუსეთში მურუდობისათვის. –

დღეს, რადგანაც არის კვირა, ამისგამო ველარ მოასწრობ ლეტურით გაგზავნასა ამა ქალღმერთისა, და დანაშაული შენა გაქუს; გუშინ საღამოზე მომიტანეს აქა. –

ბრუსილოვის წერილს გიგზავნი, რომლიდამაც ნახავ, რომ, ზოგჯერ ჭკვიანნი კაცნი როგორ ბრწყინებდნენ. – მთხოვს, რომ აბდულხალილს მოუჭერ სოდერჟანიეო, რადგანაც მე შეცთომით მომივიდა ერთი სიტყუაო. – აბდულხალ[ილა]! ორი წელიწადია დანიშნულია состоять при мне для особых поручений в числе 4-х других татарь.* ეხლა რად უნდა მოუჭრა იმ კაცს ლუკმა პური, რომელიცა თავდადებით იმსახურება, და თუ უნინ არუყვარდა კლუგინს, მე რა მენაღვლება, ან რას დავჰსდევ? –

ერთი მითხარ, რად გაბრიყვდებიან ზოგიერთნი, და რად ატანენ თავის ჭკუას დიდს ძალასა, რომლისა ქვეშე ეფანტებათ ნაპერწკალი გონებისა? რა ენაღვლებათ იყუნენ ისე, როგორც ლთ^ს უბრძანებია და მიუცია ნიჭი? – აბა წაიკითხე ბრუსილოვის თხოვნა. –

მე ყოველდღე ვჰბან[ა]ობ ზღუაში, და ვატყობ რო[მ] ცოტალა მიკლია სრულიად გაყმანვილებასა. –

შენა მწერ, რომ შამილა წასულაო კახეთისაკენ; მაგ[რამ] რაც ამბები მე მომდის, არა ჰსჩანს იმის წასვლა ჯარებითა. – ირიბში ჯარების ყრილობაც გაცრუვდა, და ვნახოთ, რა გამოვა.

პეტრე აპოლონოვიჩი და მშვენიერი ლიდია მომიკითხე.

მე აქ დავჰყოფ ქორწილამდის ქოლკენლაღენისა, და გუშინ წერილითაც გთხოვე, რომ მალე გამომიგზავნო ხატი მაცხოვრისა, რომლითაც უნდა ვაკურთხო და დავლოცო მექორწინენი. –

შენი ბედნიერების მოსურნე
გრიგოლ ორბელიანი

22 ივლისს 1856.

პეტროვსკით.³

* ჩემთან განსაკუთრებული დავალებებისთვის სხვა თათართან ერთად.

ქეთევან ორბელიანისადმი №92 (422)

ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან!

გუშინ მოველ პეტროვსკიდამ, სადაცა ორი კვირა ვბან[აობდი ზღუაში. – მეტად სასიამო – სასარგებლო ყოფილა ზღუაში ბანება; ჩემი ნინიკა ბიჭი ისევ იქ გაუშვი და მეკი წამოველ დიდის შენანებით, რომ მეტი იქ დგომა და ბანება აღარ შემეძლო. –

ალექსანდრე საგინოვის წერილი მომივიდა, რომლითაცა მატყობინებს, რომ ჩვენის მამულებისა ხაზინაში გაზომით შეტანა აღარ მოხდებო, რადგანაც სამთავ მივართვით არზაო. მე, მანანამ და ვარინკამაო. – ღმერთმან ინებოს, რომ ასე მოხდეს. –

მე ამ დღეებში მომიხდება მთებში ასვლა ჯარებისა და ხალხის გასაშინჯავად; სწორედ მოგახსენოთ, მეტად და მეტად შემეძაგდა აქ სამსახური და ცხოვრება; მთავარმართებელიც არ მობძანდა, რომ ჩემი დარღები მომეხსენებინა. –

ივანე აბაშიძის კაცისათჳს მწერთ, რომ მანდ არისო და გამოგზავნეთო, და თვით ივანე აბაშიძე იწერება, რომ კნიაზს ორბელიანს ემსახურებო. – მე რათ მინდა ამის სამსახური, ორჯელაც არ მინახავს თქვენმა მზემ; ლეკის პოლკში არის და ჰმსახურებს ტყვეობიდამ გამოსული. – მე აქედამ როგორ გამოგზავნო და ანვის გამოვატანო, და თავის თავათ, თუ არ უნდა მანდ მოსვლა, ხომ არ მოვა, და დარჩება სადმე შამახას ანუ სხუაგან. – აბაშიძეს თუ უნდა, მანდ არზა მიართოს, მანდაურმა მმართველობამ მომწეროს, რომ მაშინ ყარაულებით გამოგზავნო ეტაპითა.

ბაბალე ჩამიკოცნეთ.

ძალუა ნინო სიყუარულით მომიკითხეთ წელ-ნაზის თამარიითა; ეგრეთუე ჩემის ყაფლანის ქულჭათი. –

თქუენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი

2^ა აგვისტოს 1856.

შურით.¹

ბაბალესათჳს მომირთმევია ათი თუმანი.

ალექსანდრე საბინაშვილისადმი №3 (423)

ჩემო საყუარელო ძმაო ალექსანდრე! შენმა წერილმა, რომელიცა ამისწინად მივიღე, გული დამიმშვიდა და იმედეულად-მყო, რომ ჩვენის მამულების საქმე კეთილად დაბოლოვდება. სწორედ გითხრა, შენი, მხოლოდ შენი იმედი მაქუს, თორემ ვის რა უთხრა, ან ვის რა შევაგონო, და ანუ ვინ აიტკივებს თავსა ჩვენის გულისათჳს? – შენ უნდა დაგვეხმარო ამ საქმეში. –

ორი კვირა ვიყავ პეტროვსკში, სადაცა ყოველდღე ვბან[ა]ობდი ზღუაში. – დიდი ლაზათი ყოფილა, დიდად მარგებელია და სასიამოვნო, ბანება ზღუაში! – ახ, რამდენჯერ გინატრეთ, რომ შენ შენის ბაბალეთი¹ და ელისაბედით აქ ყოფილიყავით. – მართლად, ბაბალესათჳს [ძა]ლიან² მარგებელი იქნებოდა ზღუაში ბანება;

დედაკაცებისა სხუა და სხუა სწეულებისათჳს მეტად კარგი რამ ყოფილა: მე თვთ მიხილავს აქა თითქმის სასწაულები. – წყეულმა ოსმალოს³ ომიანობამ დამიშალა, თორემ ბაბალეს უთოოდ წამოვიყვანდი აქა ერთს ზაფხულს; და ახლა რადგანაც ზაფხული გავიდა აღარა ეშველებარა წლეულობით; და მერმეკი სადაც უნდა ვიყუნეთ, ერთხელ უნდაკი უთოოდ მოვიდეთ აქ ზღუაში საბანებლად. – კარგი ჰაქიმები, კარგი შტაბი, და ამასთანა დიახ კარგი საზოგადოობაცა; გზები კარგი და მშვიდობიანი. – სხუა რალა? –

ამ ორს სამს დღეში მომიხდება წასვლა მთებისაკენ გასაშინჯავად ჯარებისა და ციხე[ებისა].⁴ მგონია ერთთვემდის მომიგვიანდეს; მაგრამ შენ მაინცკი უნდა მომწერო თემირხანშურაში.

ჩემს საყუარელს დას ბაბალ-ბაბლუც-ბაბულინკას ჩავკოცნი სიყუარულით; ეგრეთუე ჩემს საკუთარს ძალუას ელისაბედს. –

შენი ბედნიერების მოსურნე
გრიგოლ ორბელიანი

10^h აგვისტოს 1856.
თემირხანშურით.⁵

ამ ჩვენს მხარეს ისმის მითომ მთავარმართველი აღარა დგება აქა, და მის მაგიერ დაუნიშნავთ კნ: ბარიატინსკი; მართალია?⁶

ქეთევან ორბელიანისადმი №93 (424)

ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან!

გუშინ მო[ვ]ელ¹ დაღალულ-დაქანცული ახტა[ს]² და აქვე მომიტანეს თქვენი წერილი.

ბაბაღეს გათხოებისათვის ითხოვთ ჩემს თანხმობას. – ვეზიროვს ცოტად მეც ვიცნობ და როგორც მახსოვს კარგი ყმანვილი კაცია და ჭკვიანიცა. – მე, ჩემის მხრით, მიკურთხებია მაგისი გვირგვინი, და საქორწილოდ შემომიწვევია ასი თუმანი, და შემდეგ რასაც ღ³ შემადღებინებს ჩემს ბაბაღეს არმოვაკლებე შემწეობასა. – ეს ასი თუმანი, ჩემო ძალუავ, როგორც იყოს მანდ მოახერხეთ, და როგორც თქვენი ნება იყოს ისე მოახმარეთ ბაბაღესა, ესე იგი ან ფულადვე გაატანეთ, და ანუ შეუკერეთ ტანისამოსი; და როცა შეასრულოთ შემატყობინეთ, რომ მიწოვევს მოვსწერო, რომ მოგართოს ასი თუმანი. – აი ასე ჩემო ქეთევან! – ღ⁴ მონამე, რომ ამ ხელად მეტი არ შემიძლიან, თორემ მეტს მივსცემდი, და შემდეგკი რაც შემიძლიან ჩემს ბაბაღეს არას დავაკლებ ყოველს წელიწადს, ვიდრე ვარ ცოცხალი, და მასუკან თვითონ იცის! –

ეს არის ჩემი პასუხი და თხოვნაცა.

თქუენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი

27^h აგვისტოს 1856.

ახტით.⁵

ეს ორი კვირა არის ვზივარ ცხენზედ და მოვჩანჩალებ ამ საზარელს მთებზედ; წელი აღარ მომდევს, ღონე აღარ არის! მახლავ, რა გაეწყობა; ჩემი სიცოცხლე ამ ვაივავალახში განვიდა!

ივანე შალიკოვს გაუგზავნეთ ეს წერილი, რომლითაცა ვჰსთხოვ, რომ მოვიდეს თქუენთან შესასრულებლად ბაბაღეს საქმისა.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №33 (425)

ჩემო დიმიტრი! ბარონ ნიკოლაის სიტყვით ახალი მთავარმართებელი მოვა ხასავიურთსა ამთვის გასულს; მაშა აქაც უნდა მოველოდეთ. – აბა, ვინძლო ხვალ დილითვე გამომიგზავნო პროღრამმა¹ იმ პროექტებისა, რომელნიცა უნდა წარგვედგინა მურავიევისათჳს ამა მხარისა სხუადასხუათა საგანთაგამო. – მაინც ხომ შეეკეტილ შებეჭდილი ხარ და ამ გვარის დასაქმებისათჳს უნდა კიდევ მმადლობდე.

შენი გრიგოლ ორბელიანი

7^ა სექდემ:²

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №34 (426)

ჩემო ავათმყოფო ბურიენო!

ბაგრატიონის წერილი მომირთმევეია; წაიკითხე და ისევ გამოიგზავნე.

მიყუარს შენგან გამოგზავნილნი ფეშქაშები: ან კალმები უნდა იყოს, და ანუ ქალაღდები! – ვაჟო, მთელი ამ ქვეყნის საქმე და დოვლათი შენს ხელში ტრიაღებს; როგორ დავიჯერო რომ ან მარგალიტის კრიანოსაღი, ან დარიანურის ბეჭედი, არსად გეგდოს მანდ სადმე კუთხეში დავინყებუღი სხუათა უძვირფასესთა საუნჯეთაშორის! –

შენი გრიგოლ ორბელიანი

9^ა სექდემ.:¹

დიმიტრი ჯორჯაძისაღმი №35 (427)

ჩემო დიმიტრი! კაცსა რაკი ჩამოუარდება, ესე იგი, კისერი; მაშინ გინდა ვლადიმირიც მოუვიდეს, მისს გულსა აღარა გაუხარდება. – კისერსა და გულსა დიდი დაკავშირება ჰქონიათ; – ხვალე ამას უთოოდ ვჰკითხავ პლაშჩევსკისა, ვნახოთ როგორ ამიხსნის. – იმისი არ იყოს:

აბა ერთი შემატყობინე, რამდენი შეგვიძლიან რომ დავხარჯოთ ჩირაღდნისათვის გოროდოვის სუმმიდამ? –

შენი გრიგოლი

11^h სექდ:¹

დიმიტრი ჯორჯაძისაღმი №36 (428)

ჩემო დიმიტრი! მხოლოდ დღეს, ისიც რისყოფით რის ამბით, მიაშობო შენი ავათმყოფობა სრულებით ზედმინევ-დანვრილებით¹ აკოლნიჩიმა. – მე აქამდის მეგონა ციება და ძალიან ვჰსწუხდი ასე უდროოდ შენის ავათმყოფობისათვის. – ახლაკი სრულებით გული დამიმშვიდდა; მაგრამ ეს მიკვირს, რომ აგრე შეშინებულხარ: ეგ რა ავათმყოფობაა? რამდენჯერ მე თვთ ვჰყოფილვარ ხან თავმოხვეული მოლლასავით, ხან სურდო-ცინგლიანობით?² – ეგ შიში და კანკალი არა მქონია; არც შენ უნდა გქონდეს, სირცხვილია! –

მთავარმართებელი კარზე მოგვადგა; აბა სად არის ზამეტ-კები პროექტებისა, ანუ თვთ დამზადებულნი პროექტნი?

შენი გრიგოლი

13 სექდ:³

ქეთევან ორბელიანისადმი №94 (429)

ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან!

ვეშურები მოწერასა მრავალთა საქმეთაგამო: ახალი მთავარმართებელი მოდის ასტარხანზედ პირდაპირ შურას 25^ა ამ თვისას, და აქედამ შემახაზედ, ნუხზედ და თელავზედ მოვა თბილისს 15^ა ოკდომ: – მე ღთ^{ით}1 მშვიდობით ვიმყოფები; და მივიღე წმიდა ვლადიმირისა მეორე ხარისხი. – ბაბაღე ჩამიკოცნე.

შენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი

15^ა სექტემ: 1856.
შურით.²

ქეთევან ორბელიანისადმი №95 (430)

ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან!

ამა წერილსა მოგართმევს თქვენი ძველის-ძველად მეგობარი არაბოლლი¹, რომელიცა მოეშურება თბილისს თავის დედ-მამის სანახავად. –

ჩემს ამბავს ეს პირადად მოგახსენებს; მეკი ამას გეტყვით რომ მრავალნი საქმეები მახვევია თავსა მთავარმართებლის მოსვლისაგამო, რომლისა მისაგებებლად მივდივარ ორს დღეს უკან. –

ძალუა ბარბარე სიყუარულით მომიკითხეთ, ეხლა ვერ მოვასწარ მოწერა; ლეკი გიორგი ჩამიკოცნეთ; ეგრეთუე ბაბაღე და ნინუცი.

შენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი

18^ა სექტემ 1856².
შურით.

ჩემი საყუარელი ძმა ყაფლან მისის ქულქათით ჩავკოცნი; ძალუა ნინას მიულოცავ ალექსეი პეტროვიჩის ღენარლობასა.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №37 (431)

ჩემო ბატონო
კნიაზო დიმიტრი!

დღეს, ამ ნიშნით რომ ოთხშაბათია, კიდეც არ მოჰსჩანს პარახოდი მთავარმართებლისა. ვჰზი ზღვის ნაპირსა და ხან ვჰბანაობ, და ხან ვუმზერ ასტარხნისაკენ. – პეტროვსკი ძალიან ემზადება ჩირაღდნითა, ვენზილებითა, ტრიუმფალნის კარებითა; მაგრამ ძალიან მეშინის, ვაითუ ე[ს]¹ ნისლი, რომელიცა გუშინ და დღეს დაეცა ზღუასა, არ შეიცვალ[ოს] ავდრად. ზოგი ერთი ნაწილი ამა ნისლისა მოდის თქვენკენ[.]

თევზებს სრულებით ვერსად ვჰშოვობთ; მაშასადამე ნინიკა[ს] უბძანეთ, რომ თევზის მაგიერ – ვინიცობაა ვერ ვიშოვნოთ – სხუა კარგი გემოვან-სუნნელ-ამბრიანი ბლუდი იყოს, როგორც ვოლკოვ[მა] უთხრას. –

შემატყობინე, როგორ დაასრულეს სახლი და ანუ როგორ მოირთ-[მოიკ]მაზა? – ძალიან კარგი იქნებოდა, თუ სპალნა ერთიანად [ქე]ჩებით მოერთოთ! – ყოველდამე უნდა დააკმიონ ოდიკოლონი, [ან] ამბრე, რომ სუნი არა იდგესრა უსიამოვნო-საყნოსელი.

სადილისათჳს ჩემი სახლიც უნდა მოიკმაზ-მოირთოს, ვითარცა [ჰატა]რძალი საქორწინოდ!

ახლა მოვიდეთ შენთან! აბა რასა იქმ და ანუ როგორა ხარ? რა გაათავე, და ანუ ახალი რა დაიწყე? – რა ისმის მთისა ანუ ბარისა?

ახვერდოვი მწერს დიდს ყვედრებას, რომ დამივინყეთო! ამისთანა უგუნური და უმადლო ხალხი იქნება? – ვაჟო, მთავარმართებელი მაგის სიძე-ბიძია იყო და სრულებით არაფერში შეენია; მე რა უნდა მექმნა? – სხუა არა ვჰსთქუათრა, მაიორობა მაინც მოუტანინე! მაგრამ ვის ეტყვი, და ან დანახვა ვისა აქუს? –

შენი გრიგოლ ორბელიანი

26^h სექტემ: 1856
პეტროვსკით.

მეცხრე საათი დილისა.²

ლიმიტრი ჯორჯაძისადმი №38 (432)

ჩემო ბატონო, კნიაზო დიმიტრი!

დღესაც არ მოჰსჩანს მთავარმართებლის პაროხოდი, და არ ვიცი რას ჰნიშნავს ესრეთი დაგვიანება მისი; მეტადრე მაკვირვებს ინდრენიუსის მოუსვლელიობა აქამდის შურაში. ვაი თუ მთავარ-მართებელმა შეჰსცვალა ჰაზრი თუკი აქეთ მხარეზედ ნამოსვლისათვის? – სწორედ მოგახსენო, დიდი სანყენი იქნებოდა!

კონსტან: თარხნისშვილის წერილი მომივიდა; სხუათამორის ამას ინერება „ოოჰ გრიგოლ, სწორედ ღმერთმან დაიფარა ქვეყანა საშინელის განსაცდელისაგან; თვალეზედ ხელს დაიფარებ და ყურებშიდ ბამბას ჩაიდებ რომ არ გაიგონო რა, ბოროტ-მოჰაზრე ყოფილა ყოველს საქმეზედ და რა ზარალი ექნებოდა სახელმწიფოს, თუ ღმერთს ასრე მალე ხელმწიფისათვის ეს ჰაზრი არ მიეცა და ცვლილება არ მომხდარიყო. – სამნი ძლიერ განათლებულნი კაცნი და საქმის მცოდნენი, მათშორის ერთი ქართველი – აპირებენ ზაპისკის შედგენას და ხელმწიფესთან წარდგენას, დაინახოს რას მოქმედებდა და სად მიიყუანდა მისი მოქმედება საქმეს. – თუ შეასრულეს ეს სასარგებლო ჰაზრი, მაშინ დაინახავთ რისგან დაგვიფარა ღმერთმან“¹ –

აი, ჩემო დიმიტრი, რასა მწერენ. – გახსოვს, ჩემი სიტყვები? წინასწარმეტყველი ვყოფილვარ თუ არა? –

გუშინ და დღეს საშინელი ღელვა არის ზღვისა და ქარიშხალი, – მომზადებულნი ვენზილები, ტრიუმფალნის ვარატები, შჩიტები, ქლაგები, სულ მიჰგლიჯ-მოჰგლიჯა, და ახლა საქმე გაგვიხდა ხელ-მეორედ გასაკეთებელი.

ჩემის ძმისწულის ოპეკუნობისათვის, მოვილაპარაკოთ მაშინ როცა მოვალ ღთ²ით. მე შინ სახლი მექცევა, აქკი ტრიუმფალნის ვარატებს ვაკეთებინებ! – ჩემი საქმე სულ ასე მოდის!

ძალუა ნინო მწერს შენზედ დიდს დიდს საყვედურსა, რომ აღარასა მწერსო; რა დაგემართა? აღარც ნათესავები გახსოვს და აღარცა შენნი ტოლნი, ნაცნობნი.

ვოლკოვი მომიკითხე; რას ჰშვრებიან ევდაკიმოვი და ბარონ

ნიკოლაი? – როგორ ატარებს დროსა ალასლარბეგი? – მაგრამ რა ლთ^{ის}³ რისხუა ასის ცხენოსნის კაცისა მანდ შენახვა!

შენი გრიგოლ ორბელიანი

28^ა სექტემ: 1856.
პეტროვსკით.⁴

[51v გვერდის მარცხენა არშიაზე მინანურია:]

ეს საიდუმლოდ დარჩეს!⁵

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №39 (433)

30^ა სექტ: 1856. – 9^თ часов утра.¹

ჩემო ბატონო
კნიაზო დიმიტრი!

წუხელის მოულოდნელად მოიჭრა აქა ჩვენი ბაგრატიონი მოსკოვიდამ; ამბებს ლაპარაკობს ბევრსა, მაგრამ ჯერ ისე დანვრილებით, თავიდამ, არ დაუნყვია; ეხლაც ველი, მაგრამ ჯერ ისე განსვენებულს ძილში ბძანდება.

კნიაზ ბარიატინსკი, როგორც ეს ამბობს, მოსკოვიდამ გამოვა ამ თვის 20^ა; მაშასადამე, აქ მობძანდება 2^ა 3^ა ანუ 4^ა ოკლომბერსა. –

როგორ მოახნია გუშინდელმა თევზმა? – თუ ვერ გასძლებს, დაკლან და მიირთონ ვოლკოვმა თავის სტუმრებით.

შენი გრიგოლი

არა, მაგ გიჟმა სერგეიმ, ეს როგორ ვერ მოახერხა, რომ პირველს მოსვლაზევე მოეხსენებინა ალალარისათვის, რომ ამდენის ცხენოსნისათვის ადგილი არ იშოება შურაში და ამისგამო ჰსჯობს სოფლებში დავარიგოთ. – აბა, ახლა რაღას უშველით? უნდა დარჩნენ და შეგვეჭამონ! –

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №40 (434)

ჩემო დიმიტრი! მაგ მხეცსა, მაგ უგუნურს მთიულსა, როგორ ვერ ურჩიე, რომ რიგი, წესი, ზდილობა და თვთ სამსახურისაგამო მოვალეობაცა, მოითხოვენ, რომ მისულიყო და ენახა, ანუ გაეცნა ვოლკოვიცა, ევდაკიმოვიცა და ბარონ ნიკოლაიცა? – არა, რომ მოსულა მანდა და ოთხს კედელსშუა ჩამჯდარა თავის აყროლებულის ნოქრებითა, მითომ რა ლაზათი ჰგონია? – ჰააა? –

გთხოვ დაიბარო სერგეია, და გამოიანგარიშოთ ამ მირზა ვექილოვთან, რა მოუნდებათ დღეში¹ და ანუ რით ნავლენ იოლათა ალაღარის ნოქრები და თვთ ალაღარიც. – თორემ ეგ მამაძალღები ვალითა და ვახჩით ამამსებენ. –

შენი გრიგოლი

¹ ოკდომბერს. – გწყალობდეს მცხეთა. პეტროვსკით.²

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №41 (435)

ჩემო დემეტრე! მერე:

მთავარმართებელი არცა გუშინ მობძანდა, და არცა დღეს მოჩანს ზღუაში პარახოდი მისი, და ვართ ასე ცოლ-შვილისაგან და სახლ-კარისაგან დაშორებულნი. – სწორე მოგახსენო ძალიან შემანუხა ესოდენმა მოლოდინებამ; ჩრდილო-აღმოსავლეთიდანაც შემოჰბერა, შემოჰქროლ-შემოჰკივლა ქარმან, და მოერეკება დიდროანსა შავ-შავს ღრუბლებსა, რომელნიცა ნელნელა ეფარებიან მზესა, და მგონია შუადღემდის კიდეც მოიწვიმოს. – ეს უფრო მაჯავრებს, რომ ესოდენი, მართლად კარგად მომზადებული ჩირაღდანი, და სხუა და სხუა რაღაებიცა ნავა, ჩაივლის უმადლოდ. – მაგრამ რა გაენყობა: რაც მოსასვლელია უნდა მოვიდეს; [„]რაც გასატეხია უნდა გატყდეს,“ სიტყვისაებრ ცხონებულისა აბრამასი.

თუ იპოვნო ვინმე აქეთ წამომსვლელი, გთხოვ გამომიგზა-

ვნო ჩემი თბილი შინელი ბაბროვანი. –

ახლა მოვიდეთ შენთან: როგორა ხარ და ანუ რასა ჰშვრები?
– გაისეირ-ქალწულ-ჰაეროვნობ თუ ჯერ ისევ შეკეტილ-შებეჭდი-
ლი ხარ? –

ნინიკას უბძანე, რომ ღენერალს ევდაკიმოვს არა დააკლდესრა;
სადილი, ვახშამი, სტუმრობა, ცხენები, ეკიპაჟები, ყოველივე ფერი
მიართოს. – თვთონ ნინიკა მივიდოდეს და ჰსთხოვდეს ევდაკიმოვს,
что прикажете сегодня?* – ასე და ამგვარად მოიქცევოდეს. –

სხუა რალა: შენი ჭირი შენს მტერსა! –

შენი გრიგოლი

ნ^ა ოკდომ: 1856. პეტროვსკით
ათი საათი. დილისა.¹

* რას მიბრძანებთ დღეს?

ლიმიტრი ჯორჯაძისადმი №42 (436)

ჩემო დემეტრე! აბა ნახე ეს რეჩი,¹ რომელიც მოვახსენე მთა-
ვარმართებელსა პეტროვსკში პირველს მის სადღეგრძელოს ჟამსა:

ვაშე სიატელსტვო! ვი ვსტუპილი უყუე ვ გრანიც ტოლო
ობშირნალო კრაია, კოტორიი ვისოჩაიშე ვვერენ პროსვეშჩენო-
პოპეჩიტელნომუ უპრავლენიუ ვაშემეუ. – და ბლალოსლოვიტყუე
ბოლ, ი ნაჩალო ვაშელო ვსტუპლენია ვეტოტ კრაი, ი დალნეიშე
სლუჟენიე ვაშე ველიკომუ პრესტოლუ დლია ბლალოდენსტვია
სტოლკიხ ტისიაჩი ნაროდოვ ი ვოისკ სვოსტორჟენნოსტიუ ვას
ოჟიდაიუშიხ. – ი ვსელდა სლავნიმი, ვსელდა დობლესტნიმი პოდ-
ვილამი² და რადუეტე სერდცე ცარია!^{3*}

ეს ერთბაშად მომაგონდა სადილზედ, თორემ ჭკუას ძალას
დავატანდი! – და როცა მოველ შინა, მაშინ დავსწერე შენთვის,
რომ არ დამვიწყებოდა. –

[მარცხენა არშიაზე, შედარებით წვრილი ასოებით, მინაწერია:]

როდის გნახო, არ მეტყვი? –

[1856 წლის 6-დან 22 ოქტომბრამდე]

*თქვენო ბრწყინვალეზავ! თქვენ უკვე მიაღწიეთ იმ ვრცელი მხარის საზღვარს, რომელიც ემორჩილება თქვენდამი რწმუნებულ განმანათლებლურ მმართველობას. – უფალმა დალოცოს ამ მხარეში თქვენი შემობიჯება და შემდგომი მსახურება თქვენი დიადი ტახტისადმი, ათასობით აღფრთოვანებით მომლოდინე ხალხისა და მეომართა საკეთილდღეოდ. – დაე, მუდამ გმოსავდეთ დიდება და ბრწყინვალე სიქველე, დაე, გაიხაროს გულმან მეფისამ!

ყაფლან ორბელიანისადმი №10 (437)

22^ს ოკდომ: 1856¹

ჩემო საყუარელო ძმაო ყაფლან!

მოდის თქვენკენ მთავარმართველი კნიაზი ბარიატინსკი, კაცი ღთისაგან² დალოცვილი, სრული ყოვლის ფრით: გულით, გონებით, კეთილგანზრახველობით. – მოდის დიდის სიყუარულით, დიდის სურვილით, საქართველოს გაბედნიერებისათვის. – ღთმან³ მისცეს შემწეობა თვისი და სიცოცხლე აღსრულებისათვის ყოვლისა მის, რაჟცა მიაშობო თავის პლანებიდამ. – ჴელმწიფესა და თვთ ღმერთსა ჰყუარებია საქართველო, რომ ეს კაცი გამოგზავნეს აქა მთავარმართველად.

აბა რაც შეგეძლოსთ, მხიარულებით მოეგებენით: ზურნით, ნაღარით, ცხენის ჭენებით, ყიჟინით, ყვირილით, ვინც როგორც იცოდეთ, ისე მოეგებენით, სულ ბაირალებით. –

ჩემო ყაფლან, შენც კარგად ახსოვხარ, და ჩვენი ბიძია ალექსანდრეცა! – გეთაყვანე, ჩემო ყაფლან, შენებურად წინ მიეგებე ცხენით ბარამჯიბილსავით. –

ბიძია ალექსანდრეს შეეხვეწე ჩემმაგიერ რომ წამოვიდეს მოსაგებებლად ლაზათიანის დასტითა. – აბა ძმებო, ვინძლო გამახაროთ თქვენის კარგად გამოჩენითა. – მე იმიტომ გწერთ, რომ ვიცი რაც აშბავია. – გიჟი ნიკო თუ მანდ იყოს, მაშინვე გააგდე

კახეთში, რომ მთლად ყმანვილკაცობა მოჰგლიჯოს კახეთისა და⁴ მიეგებოს მთავარმართებელსა ყანნებით, ქვევრების ახდითა, მარნებითა. – თუ ასე არ გიქმნიათ, იცოდეთ ჩემი მტერი იქნებით და თქვენის თავისაცა.

შუალამე გადვიდა; ეხლა დავბრუნდით ბაქოს ცეცხლებიდან. –

შენი ძმა გრიგოლ ორბელიანი

ძალეები მომიკითხე; მაგათოვს არა მცალიან.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №43 (438)

ჩემო დიმიტრი! ერთი შემატყობინე რა დაგემართა აქამდის, რომ ვერ განთავისუფლდი მაგ ციებ-ცხელებისაგან? ვინ არ ყოფილა ავადა? რა არის აგრე გამძლავრება? – როგორ ჰხედავ შენ თვთონ და ანუ ექიმი რას ამბობს? –

მთავარმართებელი გავაცილე ბაქომდის სალსალამათად, მხიარულად და ყველაფერი რიგიან-ნესით, ზურნა-ნალარით, ჩირაღდნებით, ფალავნებით და სხუანი; ერთის სიტყვით დიდკაცურად, როგორც შეეფერებოდა იმპერატორის ნამესტნიკსა, ისე დახვდა ხალხიცა და ჯარიცა. – მისაყვედურა რატომ დიმიტრი ჯორჯაძე არ გამაცანო! მოდი და უთხარ სწორე მიზეზი! მეც, რა საკურველია, ბოდიში მოვითხოვე და დავაბრალე შენს ავათმყოფობასა. –

ეს არის ჩვენთვის საზოგადოდ სასიხარულო, რომ დიდის სიყუარულით, დიდის სურვილით, მოდის ეს ჯელმნიფე-კაცი საქართველოს გასაბედნიერებლად. – ღთმან! აღუსრულოს ყოველივე განზრახვა მისი!

შენი ზაპისკა დერბენდის ლუბერნიისათვის ნაუკითხე – ჯავაირსავით – და ძალიან, დიახ ძალიან, მოიწონა. – შემდეგ ინდრენიუსმაცა მითხრა დიდი ქება შენის ზაპისკისა. –

შენს მწერალსაც – მგონია ბეგანოვს – მედალი გამოუვიდა.

ეგრეთვე ჩვენს მირზას უსუფას ოქროს პატარა მედალი ვლადიმირის ლენტაზედ. –

ეჰ, როგორც იყო და არ იყო, წავიდაკი ჩვენგან მადრიელი და ამას იქით ღთმან² უწყის. –

შენი გრიგოლ ორბელიანი

28^ა ოკდომ: 1856.
შურიტ.³

[56v გვერდზე ადრესატისადმი მიძღვნაა:]

მისს ბრწყინვალეობას,
კნიაზს დიმიტრის ჯორჯაძეს
მიერთოს სიმდაბლით.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №44 (439)

ჩემო დიმიტრი! მთავარმართველმა მიბრძანა, რომ, ვინიცობა – დერბენდის ლუბერნია დაიშალოს, упразднить,* რა გვარი მმართველობა უნდა იყოსო? – მომეცი ამ საგანზედ ზაპისკაო! –

ჩემი ჰაზრი ეს არის: ლუბერნიის სახელს ნუ შეჰსცვლიან; მხოლოდ ზოგიერთის ხალხის მოვლისათვის ისა ჰქმნან, რაცა ვჰსთხოვე დოკლადნის ზაპისკით. – თუ გინდ ლუბერნატორობა აღიხოცოს, მაინც¹ ხომ უნდა იყოს ერთი ვინმე, ჩემი თანაშემწე, რომელიცა უვლიდეს ხალხსა, რადგანაც მე მარტო არ მექმნება დრო, რომ ზედმიწევნით ვდევნიდე სამოქალაქოს საქმეთა. მაინც, აბა ერთი მოიფიქრე, და შეადგინე ახალი პროექტი ესოდენის სხუდასხუა ხალხის მოვლისათვის. –

2) კრუზენშტერნს ეხლავ მისწერე ჩემმაგიერ წერილად და ჰსთხოვე, რომ უთოოდ მოახსენოს მთავარმართველსა со необходимостью наградить землями Ага мирзу, Абдуллу и еще кого-то, по нашей докладной записке.** – თან წაიღო თბილისში ის ზაპისკეპი, რომლისა პასუხს იქიდამ გაცნობებო.

3) ყუბაში მოვიდნენ ჩემთან მოიჯარადენნი,² რომელთაცა აუღიათ³ იჯარად სულეიმანყოთანი⁴ და კიდევ სხვა⁵ – რომ ენდროს დათესვის დრო ეხლა არისო; თუ დათესვა ეხლა ვერ მო-

ვასწარითო, ერთი წელიწადი კიდევ უნდა მოვიცადოთო; ნება მოგვეცა, დავეთხოვოთ! რადგანაც სოვეტიდამ ჯერ არ მოგვსვლია რაზრეშენიე, ამისგამო ვერ მივეც ნება. – ეხლა შემატყობინე, შეიძლებაა, რომ მივსცეთ ნება ენდროს დათესვისათვის, თუ უნდა მოვიცადოდ^დ სოვეტიდამ პასუხის მოსვლამდის?

4) ჩვენის ღამაზოვის დედას, ანუ მამას მისწერე ჩემმაგიერ წერილი და ახარე, რომ მთავარმართებელმა, ჩემის თხოვნით, უბრძანა ენდრენიუსს ჯელმნიფესთან წარდგენა ღამაზოვის ჩინის წყალობისათვის.

და ბოლოს გთხოვ. მომწერო როგორა ხარ და როგორ ჰხედავ შენს ამბავსა, მოდიხარ ღონეზედ, თუ ჯერ ვერა? –

შენი გრიგოლი

29^ა ოკდომ.⁷

*გაუქმდეს.

**უსათუოდ დაჯილდოვდნენ მინებით ალა მირზა, აბდულა და კიდევ ვილაც ჩვენი მოხსენებითი ბარათის შესაბამისად.

ქეთევან ორბელიანისადმი №96 (440)

ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან!

ბაბაღეს დაქორწინება მიამა ძალიან; ღთწმან¹ მისცეს მას მშვიდობიანობითი ცხოვრება! მგონია, ბაბაღე თავის კეთილის ქცევით და გონებით შეაყვარებს თავისთავსა თავის ქმარსა. – ეს კეთილი საქმე შენა ჰქმენ, ჩემო საყუარელო ძალუავ, და თუ ბაბაღე კარგი დედაკაცია, არ დაივიწყებს შენს დედობრივს სიყუარულსა და მზრუნველობასა. –

მირზოვეს, ჩვენის ხელის გამმართავს, დიდის მადლობით მივართმევ ფულსა; მაგრამ რომ იცოდეთ, ბევრს იცინებთ, თუ რარეიგად დაიგრიხა პრიკაზში ჩემის ფულის საქმე, რომლისაგამო აღარ მაძლევენ. – ასეა ჩვენი საქმე საზოგადოდ ყოველს ფერში.

ეს წიგნი გაუგზავნეთ ბაბალესა.

ძალუა ნინო მომიკითხეთ დიდის სიყუარულით; ეგრეთვე ჩემი საყუარელი ძმა ყაფლან მისის ქულქათით. –

თქუენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი

9^ა ნომბ: 1856.

შურით.²

ალექსანდრე საბინაშვილისადმი №4 (441)

ჩემო საყუარელო ძმაო ალექსანდრე!

ოპეკიდამ მომივიდა მონერილობა, რომლითაცა მთხოვს, რათა მივილო ოპეკუნობა ჩემს ძმისწულზედა. – რა საკურველია, რომ ეს ჩემი მოვალეობაც არის, მაგრამ რადგანაც ასე დაშორებულებივარ ჩემის სახლ-კარისაგან, რომლისა მოვლა ამ სიშორიდან ზედმინევნით ვერ შემიძლიან, ამისგამო მე თუმცა მივიღე ოპეკუნობა, მაგრამ ამასთანავე ვჰსთხოვ ოპეკასა, რომ შენც დაგნიშნონ მეორედ ოპეკუნად, რომელსაცა შეგიძლიან, ახლოსყოფნით და კეთილმყოფობის გრძნობითა, ყოველივე საქმე სახლისა ანუ მამულისაგამო განაგო და კეთილად შეასრულო სასარგებლოდ ჩემის ძმისწულისა და ჩემის ოჯახისა. –

შენ გენაცვალოს, ჩემო ძმაო, ჩემი თავი, ამაზედ უარს ნუ მეტყვი და მიიღე ეს საღმრთო მოვალეობა და იყავ მეორედ მამად ილიას შვილისა და შემწედ ჩემის ოჯახისა. –

ეს ასე:

ახლა მოვიდეთ ჩვენს მთავარმართებელთან, ჩვენს ჯელმნიფე-კაცთან, რომელიცა ახლა უნდა იყოს მაგ მხარესა. – ნეტავი იცოდე, რა სიყუარულით, რა სურვილით, მოდიოდა საქართველოს გასაბედნიერებლად; რა დიდროანნი, რა მაღალნი პლანები აქუს განმზადებულნი ამა მხარისათვის საკეთილოდ. – ღთმან¹ აკურთხოს ჯელმნიფე ამის აქ დანიშნვისათვის! – გზაზედ, სხუათაშორის, შენზედაც დაველაპარაკე, და მაშინვე თუ-

თვე მოიგონა ის თანამდებობა, რომლისათვისაც, თუ გახსოვს, შარშანწინ ვლაპარაკობდით და ვსთხოვე კიდეცა. – ვინძლო, ჩემო ალექსანდრე, ეს სიტყუა საიდუმლოდ შეინახო და არავის, არავის უთხრა, რომ მაგ კაცთან არ გამოვჩნდე საიდუმლოს გამცემელად! –

აბა, ახლა მომწერე დანვრილებით, როგორ მიიღო თბილის-მა, და ან რა ცერემონიით შემოვიდა ქალაქში; ანუ როგორ დახვდნენ თავადისშვილები კახეთს? – ვინძლო მომწერო დანვრილებით; ძალიან მინდა ვიცოდე ყოველივე ზედმიწევნით; და ბოლოს ესეცა, რომ რას ლაპარაკობენ, ანუ толки и разсуждения вообще.*

ჩემს საყუარელს თვალის ჩინს ბაბაღეს შუბლზედ ჩავკოცნი; ჩემი საკუთარი, ჩემი ძალუა, და არავისსხვისა, ელისაბედ სიყუარულით მომიკითხე.

შენი ძმა გრიგოლ ორბელიანი

9^ა ნოემბერს 1856.

შურით.²

*მითქმა-მოთქმა და ლაპარაკი საერთოდ.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №45 (442)

მერწმუნე დიმიტრი ეს წერილი არ წამიკითხავს, თუმცა ძალიანაც მინდოდა; მაგრამ ვის შეუძლიან ამ ხელის წაკითხვა თუ არ შენვე? – ჩემი დისწული ბაბაღე დაუქორწილებიათ ვეზიროვზედ. – ლთჴმან¹ დააბედნიეროს იგინი.

შენი გრიგოლი

შენი ამბავი მომწერე.² –

[1856 წლის ნოემბრის პირველი ნახევარი]

ყაფლან ორბელიანისადმი №6 (443)

ჩემო თვალის ჩინო, ძმაო ყაფლან! შენ გენაცვალოს ჩემი ბებერი თავი, რომ აგრე დიდკაცურად, დარბაისულად, ბარამჯიბილ-მშვენიერ-ჩინებულად, გასულხარ მთავარმართველის მისაგებებლად ისე, როგორც შეეფერება შენს ოჯახსა და მამის შენის შვილსა! მეტად გამახარე, მეტად დამატკბე ესრეთის შენის კეთილის ქცევითა. – ნუ გგონია, რომ მე შორსა ვარ და არასა ვჰხედავ, არარაჲ მესმის! – ათასი თვალი, ათასი ყური მაქუს მე მანდა თქვენშორის თბილისში! შენა და ალექსანდრე თარხნისშვილი ყოფილხართ დიდკაცურად ჩაცმულ-გამოჩენილნი! – გეთაყვანე, ჩემო ყაფლან, ყოველთჳს აგრე იყავ ჩემ სასიხარულოდ! –

ამასა გთხოვ, რომ დაწვრილებით მომწერო როგორ მოემზადენით,¹ გახვედით, როგორ მიეგებენით; ანუ თვთ მთავარმართველმან როგორ მიგიღოთ; იმის სვიტებთაგანი ვინ გაიცანით? – მეტად კარგნი ყმანვილ-კაცები არიან, სულ კარგის ოჯახის შვილები. – ჩვენი გიჟი ნიკო სად იყო? – ანუ ხალხი რას ამბობს მთავარმართველზედ, როგორ მოჰსწონთ ეგ ჳელმწიფე-კაცი, ეგ თავით ფეხამდის ჯავარი? – ყაფლანჯან! იცოდე ზედმინევნით, რომ ეგე მეტად და მეტად კარგი რამ არის ჰაააა! და ამისგამო მინდა დიდად, რომ ვიცოდე დაწვრილებით ყოველივე რაც მოხდა მაგის შემოსვლის დროსა! –

შენი ცოლშვილი სიყუარულით მომიკითხე ეგრეთვე ძალები ქეთევან, ბარბარე, ნინო. – ჩემი გიორგი ჩამიკოცნე.

შენი ბედნიერების მოსურნე
გრიგოლ ორბელიანი

16 ნოემბერს 1856.
შურით.²

ქეთევან ორბელიანისადმი №97 (444)

ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან!

ამ წერილს მოგართმევს ჩვენი პეტრე აფიცარი,¹ რომელიც გამომიგზავნია კურიერად სხუა და სხუა ქალაღდებითა მთავარმართებელთან. – ესევე პეტრე წვერიანი მოგახსენებს ჩემს ამბავს.

ძალუავ, რატომ არა მწერთ, რა ამბავია თქვენს ქალაქში? რას ამბობენ ახლის მმართველობისათვის, და ანუ რა ცვლილება არის მანდა? – ვინ არის მოხარული, ვინ არის წუნუნში და სხუანი ამ გვარნი, როგორც მოგეხსენებათ გულ-ტრედის ქეთევანისებურად. – მე ღთ^{ით} მშვიდობიანად გახლავარ; და ვარ ასე.

ძალუა ნინა და თამარ წყნარი სიყუარულით მომიკითხე; გვრეთუე ყაფლან მისის ქულქათით.

თქუენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი

27 ნოემბ: 1856.

თემირხანშურით.³

ეკატერინე ჭავჭავაძე-ღაღინისადმი №3 (445)

უმონყალესო დაო ჩემო ეკატერინავ!

ღთისაგან¹ მაქუს იმედი, რომ აქამომდის მოიქცეოდით მენგრელიასა ღთისა² კურთხევით, დიდის იმპერატორისა³ წყალობითა და თქვენის შვილების სიცოცხლითა; მოიქცეოდით გულმხიარულ, გასახარებლად ერთგულისა ერისა თქვენისა, გასახარებლად თქვენთა ნათესავთა, რომელთაგან პირველი ვარი მე ერთგულებისა და სიყუარულისა მიხედვით. – უნდა იცოდეთ, ვისაც ჩემზე მეტად უყუარხართ, დაუძინებელი მოსისხლე მტერი ვიქმნები მისი. –

მოსკოვიდამ მივიღე თქვენგან ერთი, მხოლოდ ერთი, ისიც მეტად პანანა ბარათი, რომელიცა ვერ ეკმარა ჩემს გამგელებულს სურვილსა: მე მინდა ვიცოდე სრულის დაწვრილებით, როგორ გა-

ბრძანდით მენგრელით; ზღუაზედ როგორ ვჰლეთ; მოსკოვში როგორ მიბრძანდით; ვინ გაიცანით; როგორ მიგიღესთ სასახლეში; მერე სხუათა და სხუათა, ვისთან, სად, როგორ? – ესე იგი უნდა მიბრძანოთ, უნდა აღმინეროთ თქვენის მოსკოვში ცხოვრებისა თვთოეული⁴ დღე, თვთოეული ჟამი. – მეც, თუმცა ვიცი ზოგიერთი რეებიცა – და ნუცა გგონივარ აგრე დაკარგულ: მოსკოვშიაცა მქონდა თვალი და ყური – მაგრამ დიდად გამახარებთ, დიდად გამაბედნიერებთ, თუ თვთ⁵ თქვენვე მიბრძანებთ თქვენსავე მოგზაურობასა! – კარგი დიდი თაბახი ქალაღლი მოგინდებათ, მაგრამ ნუ გაიძნელებთ: ერთხელ მაინც უნდა მსხვერპლის შეწირვა! –

თუმცა თქვენ არ გინებებიათ, და იქნება არცა გჰსურდესთ, მაგრამ მაინცკი გავბრიყუდები და მოგართმევთ ჩემს ცხვირ-პირსა. – სწორედ მოგახსენო, თქვენმა თავდადებით ერთგულმა პეტრე კოპიაშვილმა გამაბედვინა ესე, თორემ მე სრულებით ვერ მოვიფიქრებდი. –

ეს საწყალი პეტრე კინალამ არ მომიკუდა საზარელის [ა]ნთეზითა;⁶ მას აქეთ ორი თვე მეტი ველარ გამოდგა. – გევედრებით, არ მოაკლოთ თქვენი მონყალეზა ამას თქუენის შვილების სადღეგრძელოდ და დაუმტკიცოთ აზნაურობა, რომლისა ქალაღლები აქ შტაბში დაჰკარგვია. –

შამილა ძალიან მიჩუმებულია; ველარა გაურიგებიარა; ამ მომავალს დეკემბერში შეიკრიბება ჩვენი დიდი ჯარი ჩაჩანში, სადაცა სოფელს ავთურის სიახლოეს ააშენებენ ციხესა და იმით მოაშორებენ მთლად დიდს ჩაჩანს მთებიდამ. –

მე ლ⁷ თის⁷ შეწევნით გახლავარ მშვიდობიანად; ვაპირებ საახალწლოდ თბილისში ჩასვლასა, თუ მთავარმართებელმა ინება. –

კნიაზს ბარიატინსკის დავჰხვდი დიდის ყოფით: ჩირაღდნები, შუშხუნები, ბალები, რეჩები, ისე როგორც შეეფერებოდა იმპერატორის⁸ ნამესტნიკსა. – ხალხმაცა და ჯარმაცა მიიღეს მართლად დიდის აღტაცებითა. –

იქნება თქვენ ვერცკი მიხუდეთ, და ჩემი სურათის გამოგზავნა ამას ჰნიშნავს, რომ თქვენი პორტრეტი მიბოძოთ; თორემ ჩემის ცხვირ-პირის ხილვა, მგონია არავისთვის იყოს სასიამო! –

28^ა ნოემბ: 1856 წელს –
თემირხანშურით.⁹

აღიქსანდრა ბარიატინსკისადმი №13 (446)

28 ноябр: 1856 Темир хан шура.

К:¹ Александру Ивановичу Барятинскому.²

Начальник Штаба Генерал Маіор Индреніус уведомил меня, что Ваше С^{во},³ ходатайствуя о возвращеніи на Кавказ Полков:⁴ Мамуки Орбеліани, вместе с тем, приказали запросить меня: пожелаю ли я иметь его в своём распоряженіи в качестве Начальника Иррегулярной Кавалеріи Прикаспійскаго Края.

Поставляя за особенную честь исполнить желаніе Вашего С^{ва},⁵ я с полною готовностью спешу изъявить согласіе моё на назначеніе Пол: К: Мамуки Орбел: во вверенный мне край для командованія Иррегулярною Кавалерією, которая ежегодно собирается при действующих отрядах. Испытанная храбрость и военныя дарованія этого Штаб-офицера ручаются за несомненную пользу, которую он может принести, занимая этот пост.

В содержаніи же собственно ему, кроме жалованья по чину, он может получать раціоны согласно обще-существующему положенію во время сборов метных отрядов.

Глубокая тишина водворилась в нашей части Дагестана; но в горах начинаются приготовления на помощь Чечне, куда уже очень неохотно потянулись некоторыя партіи из Аваріи и других обществ безовсякой надежды на успех, в чём они сами признаются.

Вашему С^{ву} при этом имею честь представить мненіе моё о защите Кахетіи, о котором угодно было Вам приказать мне во время проезда чрез Прикаспійскіи Край.

С чувством глубокаго уваженія и совершенной преданности имею честь быть.

ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №13 (446)

28 ნომბ: 1856. თემირხანშურით

კ[ნიაზს] ალექსანდრ ივანოვიჩ ბარიატინსკის

შტაბის ნაჩალნიკმა, ლენერალ-მაიორმა ინდრენიუსმა მაუნყა, რომ თქვენმა ბრწყინვალეობამ, შუამდგომლობდა რა პოლკოვ[ნიკ] მამუკა ორბელიანის კავკასიაში დაბრუნებაზედ, ბრძანა აგრეთვე მიეღო პასუხი: ვისურვებდი თუ არა, ჩემს განკარგულებაში დამეტოვებინა იგი კასპისპირა მხარის ირეგულარული კავალერიის ნაჩალნიკად.

განსაკუთრებულ პატივად ვრაცხ თქვენის ბ[რწყინვალეობის] სურვილის აღსრულებასა და სრულის მზადყოფნით ვჩქარობ ჩემი თანხმობის მოხსენებას ჩემთვის მობარებულს მხარეში პოლ[კოვნიკ] კ[ნიაზ] მამუკა ორბელიანის ირეგულარული კავალერიის უფროსად დანიშვნის თაობაზე, რომელიც მუდამ წელს იკრიბება მოქმედ ოტრიადებთანა. ამ შტაბაფიცრის გამოცდილი სიმამაცე და სამხედრო ნიჭი თავდება იმ უეჭველის სარგებელისა, რომლის მოტანაც მას ძალუძს ამ პოსტის დაკავებითა.

ხოლო ანაზღაურებად, გარდა ჩინის გასამრჯელოსი, მას შეუძლია მიიღოს რაციონი ადგილობრივ რაზმთა შეკრების დროს არსებული წესის მიხედვით.

ღრმა სიმშვიდემ დაისადგურა დალისტნის ამ მხარესა; მაგრამ მთებში იწყება მზადება ჩეჩნეთის დასახმარებლად, საითაც ავარიიდან და სხუა საზოგადოებებიდან ზოგი პარტია უკვე დაიძრა ძალზედ უხალისოდ წარმატების თუნდაც მცირედი იმედის გარეშე, რასაც თავადვე ადასტურებენ.

ამასთან ერთად, პატივი მაქუს, თქვენს ბ[რწყინვალეობას] წარუდგინო ჩემი მოსაზრება კახეთის დაცვასთან დაკავშირებით, რის შესახებაც ჩემთვის გენებათ გებრძანებინათ კასპისპირა მხარეში გავლისას.

პატივი მაქუს, ვიყო ღრმა პატივისცემისა და სრულის ერთგულების გრძნობით.

1857

ანასტასია ორბელიანი-გაგარინისადმი №1 (447)

ჩემო მამიდავ ტასო! შენი საქმე, ესე იგი შენის ქმრისა დაბოლოვდა. – ეს ჯერ საიდუმლოა, რომ კნიაზმა თვთონ უნდა გახაროს. – აბა ჩქარა გამოდი.

შენი გრიგოლი

[IV გვერდის ბოლოს მისამართი წერია:]

ავლაბარში რომ ჰსდგას ტასოს¹ მიერთოს

[1857 წლის თებერვლამდე]

ბაბაღე ორბელიანი-საბინაშვილისადმი №11 (448)

ჩემო თვალის ჩინო ბაბაღე!

თქუჭნი დედოფალი მობძანდა გასუქებული, გასპეტაკებული, გაბრწყინებული. რა საკურველია დიდის სურვილით გიკითხეს, და მეცა კრძალვით მოვახსენე შენი კოდაზე ყოფნა და დაბინაება. – დედოფალმა დიდად განიკვირვა და მოისურვა შენი ხილვა და ასეცა ჰსთქუა „იმედი მაქუს რომ ჩვენი¹ ბაბაღე არ მიხედავს სიშორესა და ავდარსა, და მოვა ჩვენ სანახავად. – მეც რა საკვირველია მოვახსენე, რომ უთოოდ მოვა რას წამს შეიტყობს თქუენს მობრძანებას. – ახლა შენ იცი; აბა თუ ქალი ხარ და არ მოხვალ? –

საკურველი საქმე მოხდა დღეს დილით: ქეთევანსა, თუ ნინუცასა, მოსვლიათ წიგნი ძალუა ელისაბედისაგან, რომელიცა ჰსწერს ასე: „ნინუცი, შენს გაზდას ჩემმაგიერ მიდი „სოფიო ნიკოლაის ცოლთან, და ჰსთხოვე „სოკოლოვის ცოლისათჳს ფულები.“ ამაზედ ძალიან განყრა ძალუა ქეთევან, ჯერ ელისაბედზე, რომ რა

იმის საქმეა ვილაც სოკოლოებზე აგრე თავის გამოდება, და კარის კარს თხოვნა, და მერმე ან ნინუცასი რა ვალია, რომ ამ ტალახებში ირბინოს ქალმა ვილაცა უნამუსო სოკოლოვის ცოლისათვის? – და ამით დასრულდა, რომ ნინუცა აღარ წავიდა, თუმცა ძალიანკი უნდოდა ძალუა ელისაბედის სურვილის აღსრულება. – ამოვიდა ამობაში ყაფლანცა; ახლა ქეთევანსა და ყაფლანსაცა მოუვიდათ ცოტაოდენი კინკლაობა, და ამა დილამ ამით დაინყო, და ვნახოთ როგორ განვლის დღე ესე საღამომდის. –

დავით და ანნეტაცა დღეს მიდიან წინანდალსა.

შენი ძმა გრიგოლ ორბელიანი

ისაკ დიდის ქებით მიაბობდა თქუენის სახლების ამბავსა. – ძალუა ელისაბედ მომიკითხეთ სიყუარულით. –

ლოლოვანში ჭალის მეტი არა არისრა; ძეძვი თუ გინდა, უბდანეთ ჩემს მამულში ლოუბანში მოჰსჭრან; – ახლაც არის და დიდი მადრიელიც ვიქნები. – ლოლოვანშიკი არის ჭალა და არა ძეძვი. –

[1857 წლის თებერვალი]

ქეთევან ორბელიანისადმი №98 (449)

ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან! – ღთწის¹ მონყალებით მოველ შურას, მაგრამ მეტადკი დამჟეჟა და დამამსხვრია ამ წყეულმა გორახიანმა გზამ. – აქაც ჯერ ისევ დიდი ზამთარია და კიდევ ახალ-ახალი თოვლი მოდის დღედაღამ. –

დიმიტრი ჯორჯაძე თუ ნახოთ, უთხარით ჩემ მაგიერ, რომ მალე წამოვიდეს; უბრალო ტანტალი ქალაქში არას არგებს მასა.

ძალიან ვჰსწუხვარ და გულში დარდად გამიჩნდა, რომ იაკინთეს ვერ აღუსრულე თხოვნა მისი და იქნება მემდუროდეს; მაგრამ, რა ვჰქნა, ღმერთს გეფიცები, ჩემგან შეუძლებელი იყო!

ყაფლანისა რა ამბავი იცით? ძალუა ელისაბედ და მისი შვილები მომიკითხეთ, ეგრეთუე ძალუა წინა მისის თამარ-კატოთი!

კუმისის ვენახი სრულებით გაოხრებულია; ეგ საძაგელი, ეგ მყრალი გეუა რას აკეთებს და ან როგორ არა ჰსცხვენინან ესოდენის ჩემის გინებისაგან? – ორმოცი წელიწადია ეგ მოურაობს და გაოხრების მეტი მე ვერა ვიხილერა. – გაგონილა ამისთანა უსვინიდისობა? – დაიბარეთ და ერთი ჰკითხეთ, განგებ ჰშვრება ამ საქმეს შესარცხვენელსა, ჩვენ საზიანოდ, თუ მოურაობა არ შეუძლიან? –

ბაბაღე სიყუარულით მომიკითხე მისის ქმრითა.

როგორ არის პატარა გიორგი და ან როდის აპირებს ძალუა ვარინკა წამოსვლასა? –

თუ ჩემი საყუარელი ბაბაღე არ წასულიყოს ანანურს სიყუარულით მომიკითხე მისის დედითა.

თქუენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი

როგორ ბძანდება ჩვენი ლუბერნატი და ან როგორ არიგებს საქმეებსა?

8^ს მარტს 1857.
თემირხანშურით.²

ლეონტი ნიკოლაისაძვი №2 (450)

Барону Леонтию Павловичу Николаи 13 марта
1857 Шура.¹

Недавно я возвратился из Тифлиса, где с большим удовольствіем прожил более месяца в кругу моих родных и среди самой суетной жизни столицы. Обеды, вечера, концерты, балы. Какое изящество, какой блеск и притом какое радушное веселіе на вечерах у К: Алек: Ивановича! Никогда Тифлис не был так шумно-весел! Но среди такого развлеченія дела по управленію краем идут своим чередом: множество комитетов составлено по всем отраслям военнаго управленія с целью отменить иное, как бесполезно-сущствующее,

многое преобразовать и многое добавить. Но, ежели с помощью Божьей, исполнятся все предположения, все истинно великие планы, приготовленные К: Наместником, этот край быстро пойдёт по пути процветания и в материальном и нравственном отношениях. Дай бог! Дай бог! Но К: Александр Иванович околдовал меня своими гениальными идеями.

Здесь страшная зима; снег все идёт да идёт; Окрестности Шуры представляют собою одно огромное болото. Страшно подумать, ежели такаяже зима сопровождает и Вас в Вашем походе по Чечне.

Кстати о Чечне: как идут у Вас дела и что предпринимается Вами в третьем периоде зимней экспедиции Вашей? Партии из Дагестана с ругательствами и проклятиями на Шамиля потянулись опять в Вашу сторону на помощь Чечне. Здесь же всё мирно и покойно.

Совершенно неожиданно горцы привели в Аракан 6 пленных Грузин для выкупа по 100 руб. за каждого. Такая дешевизна крайне удивляет меня; но к сожалению моему, все деньги, какія были у меня для выкупа пленных, уже израсходованы и потому прибегаю к Вам с просьбою, нет ли у вас сколько нибудь этой суммы? Пришлите поскорее! С этою же почтою хотя и пишу к Княгине Анне Ильинишне, но боюсь, что высылка денег из Тифлиса запоздает, а нетерпеливые горцы между тем могут угнать этих несчастных Грузин в другую сторону.

Не имеете ли известий о бедном пленном артилл: офицере Пршевальском? Мать его обливает меня слезами и я не знаю чем помочь ей.

Брат Ваш и его прекрасная жена с дочерью весьма здоровы. Какая роскошная женщина К: Екатерине Дадіани, которую я не видал 14 лет! По величественной ея наружности, она, в полном смысле, владетельная Княгиня. Она живет в Тифлисе в ожидании открытия Имеретинской дороги, которая сделалась непроходимой от снегов и дождей – чтоб ехать в Мингрелию.

Секретно: Если Англо-Персидская война продлится, вопреки настоятельным требованиям нашего кабинета прекратить войну, Главнокомандующий имеет намерение собрать 80 батал: на границе Персии на помощь Шаху и тогда – кто предвидит будущее – судьба Индии чем окончится? В этом важном вопросе Франция нейтральна.

Барон, тогда прочь въючные сундуки, Дагестанские скалы, Чеченские леса; пойдём сражаться на слонах, подобно героям басно-словной поэмы Караманіані!

Прошу передать моё искреннее почтение Зиновьеву; Что делает молодой Князь Грузинский? Брат его и сестры здоровы и веселятся. Варвара Ильинишна приедет в Шуру.

ლეონტი ნიკოლაისადმი №2 (450)

ბარონს ლეონტი პავლოვიჩ ნიკოლაის 13 მარტი
1857 შურიით.

ამასწინათ მოვბრუნდი თბილისიდან, სადაც დიდის განცხრომით გავატარე თვეზე მეტი ჩემი ახლობლების წრეში და დედაქალაქის შუა ფუსფუსში. სადილები, სალამოები, კონცერტები, ბალები. რაოდენი მოხედენილობა, ლაზათი, რაოდენი ბრწყინვალეობა და, ამასთანავე, როგორი გულითადი მხიარულებაა კ[ნიაზ] ალექსანდრ[ი] ივანოვიჩის სალამოებზედ! არასოდეს ყოფილა თბილისი ესოდენ ხმაურიანი და მხიარული! მაგრამ ამგუარს მხიარულებაში თავისი გზით მიედინებოან მხარის მმართველობის საქმენი: მრავალი კომიტეტია შექმნილი სამხედრო მმართველობის ყველა დარგში იმ მიზნით, რათა გაუქმდეს ის, რაც უსარგებლოა, ბევრი გარდაიქმნას და მრავალი დაემატოს. მაგრამ, თუკი ღვთის ნყალობით, აღსრულდება ყოველი ვარაუდი, ყოველი ჭეშმარიტად დიდი გეგმა, მომზადებული კ[ნიაზ] ნამესტნიკის მიერ, ეს მხარე ჩქარა დაადგება აყვავების გზას მატერიალურის მხრივაცა და სულიერის მხრივაცა. ღმერთმა ჰქნას! ღმერთმა ჰქნას! ხოლო კ[ნიაზ] ალექსანდრ ივანოვიჩმა მომავადოვა თავისი გენიალური იდეებითა.

აქ საშინელი ზამთარია; თოვს და თოვს; შურის მიდამოები ერთი უზარმაზარი ჭაობი რამაა. მზარავს ფიქრიც კი იმაზე, რომ თქუენც ესრეთი ზამთარი გდევთ თქუენს ლაშქრობაში ჩეჩნეთსა.

ჰო, ჩეჩნეთზედ: როგორ მიდის თქუენი საქმენი და რასა იქმთ თქუენის ზამთრის ეკსპედიციის მესამე პერიოდში? პარტიები შამილის გინებითა და წყევლით დაღისტინიდან კვლავ თქუენსკენ წამოვიდნენ ჩეჩნეთის დასახმარებლად. აქ კი სიმშვიდეა და სიწყნარე.

სრულიად მოულოდნელად მთიელებმა არაკანში სასყიდლად მოიყვანეს 6 ქართველი ტყვე, 100 რუბ. ყოველი მათგანი. ძალზედ მაო-

ცებს ამგვარი იაფობა; მაგრამ ჩემდა სამწუხაროდ, მთელი ფული, რომელიც ტყვეთა გამოსასყიდად გამაჩნდა, უკვე დამეხარჯა და ამიტომ თქვენ მოგმართავთ თხოვნითა, ხომ არ გაგაჩნიათ თუნდაც მცირედი ამ თანხისა? გამომიგზავნეთ ჩქარა! ამავე ფოშტით კი ვწერ კნიაგინია ანა ილინიშნას, მაგრამ ვშიშობ, რომ თბილისიდან ფულის გამოგზავნა დაიგვიანებს, ამასობაში კი მოუთმენელ მთიელებს შეუძლიათ ამ უბედურ ქართველთა წასხმა სხუაგან.

ხომ არ იცით რამე საბრალო ტყვე არტილ[ერისტზე], აფიცარ პრშევალსკიზედ? დედამისი ცრემლებითა მბანს და არა უწყი, როგორ დავეხმარო.

თქუენი ძმა და მისი მშვენიერი მეუღლე ქალიშვილითურთ სრულებით ჯანმრთელად ბრძანდებიან. რაოდენ დიდმშვენიერი ქალბატონია კ[ნიაგინია] ეკატერინე დადიანი, რომელიც, 14 წელია, არ მინახავს! თავისი დიდებულის გარეგნობით ის [გულთა]მპყრობელი კნიაგინიაა სრულის მნიშვნელობითა. იგი თბილისში ცხოვრობს, ვიდრე გაიხსნება იმერეთის გზა, რომელიც გაუვალი შეიქნა თოვლისა და წვიმებისაგან – მინგრეულიაში გადასასვლელადა.

საიდუმლოდ: თუკი გაგრძელდება ანგლია-სპარსეთის ომი, მიუხედავად ჩუენის კაბინეტის დაჟინებულის მოთხოვნისა – შეწყდეს იგი, მთავარსარდალს განზრახული აქვს, შეჰკრიბოს 80 ბატალ: სპარსეთის საზღვართან შაჰის დასახმარებლად და მაშინ – ვინ განსჭვრეტს მომავალსა – რას უქადის ბედისწერა ინდოეთსა? ამ მნიშვნელოვანს საქმეში ჭრანცია ნეიტრალურია. ბარონო, მაშინ შორს სასაპალნე ზანდუეკები, დალისტინის კლდეები, ჩეჩნეთის ტყეები; გავსწიოთ საომრად სპილოებზედ პოემა-არაკის ყარამანიანის გმირთა დარად!

გთხოვთ, ჩემი გულწრფელი პატივისცემა გადასცეთ ზინოვიევსა; რასა იქს ახალგაზრდა კნიაზი გრუზინსკი? მისი ძმა და დანი ჯანმრთელად არიან და ხალისობენ. ვარვარა ილინიშნა ჩამობრძანდება შურასა.

ბაბალე ორპელიანი-საგინაშვილისადმი №12 (451)

ჩემო თვალის ჩინო დაო ბაბალე!

სად იმყოფები, ისევ თბილისში ხარხარობ, თუ წახვედი სატახტოს შენს ანანურსა? მე, როგორც იყო, და არიყო, მოვედი შურაში, მაგრამ ასეთი ზამთარი ზედ-დამეყვა, რომ საშინე-

ლის თოვლისაგამო, რომელიცა მოდის და მოდის, გარეთ ვერ გამიხედნია, და ეს ათი დღეა ვზივარ შემწყვედულ-შეკეტილი ოთახში; ასე გაშინჯე, ჯერ ავდოტია ივანოვნაცკი არ მინახავს და სხუასა ვინლა ჰსჩივის. – ხან-დახან, ღთმან! უშველოს კაკალასა, მოვა ხოლმე და მიაბობს შურის-ქალაქის ამბავსა სულ დაწვრილებით, სულ ზედმინევენით, ვინ, როგორ, სადა, და სხუანი? ასეა ჩემი საქმე ჯერ ამჟამად! –

რასა იქს ჩემი აპეკუნი, ჩემი საყუარელი ალექსანდრე? – მე მგონია მოჰსწყინდა მარტო ყოფნა ანანურში და გეძახის, და გეძახის! –

ჩემი დედოფალი, ჩემი იმპერატრიცა, ქვეყნის-თვალი ეკატერინა, თუ არ წაბძანებულებიყოს ჯერ მინგრელიასა, დიდის და დიდის სიყუარულით მომიკითხე; ეგრეთუე ნინა ალექსანდროვნა. –

ქვეყანამ იცის ელისაბედ, ჩემი ძალუა არის, საკუთარი სიყრმითგანვე; თუმცა აქამდის ცოლი არ შემერთო, მაგრამ მაინც კიდევ სიყუარულით მოვიკითხავ.

აბა ახლა, ჩემო ბაბაღე, მომწერე კარგად დაწვრილებით, აშკარად, გამოცხადებით, თვალ-ნათლით, რაც მოხდა და არ მოხდა ჩემ შემდეგ. შეუძლებელია, რომ არა იყოსრა და არა მომხდარიყოს. – ხომ იცი, საიდუმლოს შენახვა ვიცი!

მოდის და ერთი რჩევა დამიჯერეთ შენა და ივანემ თავის ცოლითა: ახსენეთ ღთ^მ და წამოდით ჩემკენ მაისში, ასე რომ თიბათვეში ზღვაში ვიბანაოთ; მაშინ ნახავთ რა რიგათ გარგებსთ თქვენ ზღვაში ბანაობა! – თუ გინდათ აქიმეხსაც ჰკითხეთ! – ძალუა ვარინკაც ხომ აქ იქნება, და ერთი ლაზათი გავჰსწიოთ. –

მე ესა ვჰსთქვი და აბა ახლა თქვენ ერთობრივ პასუხი მომეცით. –

შენი ძმა და მორჩილი გრიგოლ ორბელიანი

თამარ და კატო მომიკითხე სიყუარულით. –

15^ს მარტსა 1857.

თემირხანშურით.³

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №46 (452)

ჩემო ბატონო კნიაზო დემეტრე!

მოგელი და მოგელი, და არ იქმნა შენი მოსვლა. – მიკვირს, რას აკეთებ ესოდენს ხანსა თბილისში. და ანუ ვის უხარიან შენი მანდ ყოფნა, და ანუ ვინ შემოგტრფის? – აღარა ხარ ყმანვილი და უბრალო უჰაზრო, უსაგანო¹ ტანტალი აღარა ჰგშვენის!² – აქაც შენგამო ავდოტია მიწყრება; ოკოლნიჩისაც შინ არ უშვებს: [„]ზაჩემ ვი ოსტავილი კნ: დიმიტრია? ოჩენ ნუჟნო, ჩტო ვი პრეიხალი!“ – აი შენის მოუსვლელობით, მანდაც შენ არას არიგებ, და აქაც ჩვენ საქმეს გვიხდენ. –

მოვედ შურასა და ზედ დამყვა ასეთი ზამთარი, რომ თვალი ვერ აგვიხილებია; დღევანდლამდის მოდიოდა დღე და ღამ თოვლი, და შეიქმნა შურა და მის გარეშე ერთი საშინელი ქაობი. – დღეს, ძლივს რისყოფით, მზემ დაგვანახვა სახე თვისი, და ვნახოთ როდემდის? –

ცამეტი დღე შინ ვიყავ შეკეტილი; ასე გაშინჯე, ჯერ შამხალიცკი არ მინახავს.

შამხლის ცოდვა გეკიდოს კისერზედ საიქიოს, რომ ამის საქმე დარჩა აქამომდის შენის მოუსვლელობით. –

თუ რომ მალე მოხვალ და მოიყვან ძალუა ვარინკასა თავით ფეხამდის აგავსებ ჯავაირითა.

შურა ისევ ის არის, როგორც გინახავს; მთა დათოვლილია და არიან ლეკნი მიძინებულნი; ლაზარევიც არ მოსულა შენსავით აქამდისინ. – მე თქვენ არ გაბრალებთ: ამაში აზია არის დამნაშავე. – მახლავ, ამჟამად ამისმეტი არა მაქუსრა მოსანერი; მოდი და მოდი ჩქარა, თუ ჯავაირი გინდა.

შენი ბედნიერების მოსურნე გრიგოლ ორბელიანი

18^h მარტსა.

1857.

შურით.³

თუ ამ წიგნმა მოგასწროს თბილისში, რა საკუთრებელია ჩემს საყუარელს ალექსანდრეს ონიკოვსა⁴ ჩემ მაგიერ მოიკითხავ და ჰსთხოვ რომ ამის იქით გაგვიმართოს ერთი კარგი ლაზათიანი მიმონერა, ესე იგი, კორრესპონდე[ნ]ცია.

ალექსი ერმოლოვისადმი №1 (453)

23 Марта 1857 Шура.

Алексею Петровичу Ермолову.

Счастливым считаю себя, что Ваше Высокопре^о,¹ удостоив меня письмом, помните вашего Прапорщика Гришу, в котором чувство глубочайшаго уважения к Вам вкорёнаго с юных лет.

Желание Ваше, изъяснимое в том письме, выполнено: Хахутов, поверенный Г:² Ананова, доставил мне 600 руб., из которых переданы мною лично 300 руб. воспитаннице Вашей Софье Ханым, а остальные ея матери. Расписка о получении ими этих денег прилагается здесь.

Пользуюсь этим случаем, чтоб принести Вам мою жалобу на Вашего Клавдія, который был некогда и моим Клавдіем, но который теперь в шуме столичной суетной жизни совершенно забыл меня. Я даже не напомним ему об обещанном им мне пистолете Риволвере лишь бы по прежнему он продолжал со мною дружескую переписку.

ალექსი ერმოლოვისადმი №1 (453)

1857 წ. 23 მარტი შურით

ალექსეი პეტროვიჩ ერმოლოვსა

თავს ბედნიერად ვრაცხ, რომ თქვენს მაღალაღმტებულეებს, პატივი დამდო რა წიგნითა, ახსოვს თავისი პრაპორშჩიკი გრიშა, რომელსაც ყრ-

მოზის წლებიდან შთაენერგა უღრმესი პატივისცემის გრძნობა თქუენდამი.

შესრულებულია ნიგნში გამოხატული ნება თქუენი: ხახუტოვმან, ღ[ენერალ] ანანოვის ნდობით აღჭურვილმან, მომიტანა 600 რუბ., საი-დამაც 300 რუბ. პირადად მე გადავეცი თქუენს აღსაზრდელს სოფია ხანუმასა, ხოლო დარჩენილი – მის დედასა. ხელწერილი მათ მიერ ამ ფულის მიღებაზედ დართულია აქვე.

ვსარგებლობ ამ შემთხუევით, რათა შემოგჩივლოთ თქუენს კლავდიზედ, რომელიც ოდესლაც ჩემი კლავდიც გახლდათ, მაგრამ რომელმაც ახლა სრულებით მიმივიწყა დედაქალაქის მოუსვენარი ცხოვრების ხმაურში. არას შევასხენებ ჩემთვის დანაპირებ პისტოლეტ რევოლვერზედ, ნეტავი კი უწინდებურად გააგრძელოს მეგობრული მი-მონერა ჩემთანა.

ალექსანდრა ბარიატინსკისადმი №14 (454)

27 Марта. 1857 Шура.

К:¹ Александру Ивановичу
Барятинскому.

Ваше С^{ва},² в милостивом вниманіи к затруднительному положенію Маіора К:³ Багратіона, желая доставить ему возможность уплатить долги, сделанные им в молодости, приказали мне предста-вить Вам полное сведеніе всей суммы его долга.

Исполняя волю Вашего С^{ва},⁴ я не могу при етом скрыть мое-го чувства искренней радости, предвидя спасеніе К:⁵ Багратіона котораго грехи юных лет пали тяжким упрёком на жизнь и самую службу его. Горячка беспорядочной его юности прошла; наступила пора горьких размышлений; но для К:⁶ Багратіона нет исхода из тя-готеющих над ним оков. И я один только знаю те душевныя стра-данія, которыя переносит он, как благородный человек, от недостат-ка средств к уплате долгов и от мысли, что имя его от Тифлиса до Парижа отдано на самое беспощадное осужденіе.

Вашему С^в,⁷ свыше дан высокій жребій возвращать заблуд-шихся на путь к спасенію, к возрожденію нравственному. Спасая К:⁸

Багратионя – я могу только доложить – что Ваше С^{во}9 спасаете мужественного молодого человека с прекрасными талантами, отличного воинскими дарованиями и весьма полезного в будущем для службы Великого Государя.

ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №14 (454)

1857 წ. 27 მარტი შუროთ

კ[ნიაზ] ალექსანდრე ივანოვიჩ ბარიატინსკის

იჩენდა რა მონყალე ყურადღებას მაიორის კ[ნიაზ] ბაგრატიონის რთული მდგომარეობისადმი და ჰსურდა მიეცა მისთვის სიჭაბუკეში აღებული ვალების გასტუმრების საშუალება, თქუენმა ბ[რწყინვალეებამ მიბრძანა, მომერთმია სრული ცნობები მისი ვალის მთელს ოდენობაზედ.

თქუენის ბ[რწყინვალეების ნების აღსრულებისას არ ძალმიძს დავჰფარო გრძნობა ჩემი წრფელი სიხარულისა, რამეთუ ვსჭვრეტ ხსნას კ[ნიაზ] ბაგრატიონისა, ვისი სიჭაბუკის ცოდვანიც მიძიმე საყვედურად დაანვა მის ცხოვრებას და თვით მის სამსახურსაცა. განვლო მისი ანენილი სიჭაბუკის ცხელებამა; დაუდგა მწარე განსჯათა ჟამი; მაგრამ კ[ნიაზ] ბაგრატიონისთვის არ არის ხსნა ბორკილთა სიმძიმისაგან. და ოდენ მე უწყი მისი სულიერი ტანჯვანი, რომელთაც, ვითარცა კეთილშობილი ადამიანი, უმკლავდება იგი ვალების გასასტუმრებელი სახსრების უქონლობისა და ჰაზრების გამო იმაზედ, რომ მისი სახელი თბილისიდან პარიჟამდე განწირულია ყოვლად უმონყალო განსჯათათვის.

თქუენს ბ[რწყინვალეებს] ზეცით ებოძა მაღალი ხვედრი გზაბნეულთა მოქცევისა გადარჩენის გზისკენ, ზნეობრივი აღორძინებისკენ. კ[ნიაზ] ბაგრატიონის ხსნით – ამასლა მოგახსენებთ – თქუენი ბ[რწყინვალეება იხსნის მამაც ახალგაზრდა კაცს შესანიშნავის ტალანტებითა, გამორჩეულს სამხედრო ნიჭითა და მომავალში ერთობ საჭიროს დიდი ხელმწიფის სამსახურისათვის.

ქეთევან ორბელიანისადმი №99 (455)

ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან!

შენის წერილით ვჰსცან მშვიდობით ყოფნა შენი; ვჰმადლობ ღმერთსა ამ ამბისათჳს.

მეც ღთ^{ის}1 მონყალებით ვარ კარგად; მაგრამ ამ წყეულმა ზამთარმა მეტად შემან^{უხა}; ჯერაც თოვლი და ნვიმა მოდის მოუწყვეტილვ. –

მიკვირს ძალუა ვარინკის² წამოსვლისათჳს არასა მწერენ, და არცა დიმიტრი მოვიდა აქამომდის! სად არიან და ან რასა ჰშვრებიან? –

გოჰარალა არის ჯერ დედაკაცი, მერმე თათარი, თათარზედ უფრო თათარი, ესე იგი უმადლობით სავსე; მე ეგ უნდა ძალდაც³ არ ჩამეგდო, რომ მაშინ⁴ ექნებოდა ჩემი პატივისცემა. – თათარი ჯერ პირველად ან უნდა გალანძლო, ან ჰსცემო მას, რომ მაშინ შეგიყვარებს. – არა, რა ძნელი შესატყობია მაგის დარდი? – იბრაიმხანის ქალი ვარო, ჯამაგირი მომეცით სხუათა ხანისშვილებსავითო! აი ეს არის მაგის დიდი და მიუხდომელი დარდი. – დილიდამ საღამომდის რომ ილაქლაქოს, მაინც მხოლოდ ეს არის! – მითქვამს, მილაპარაკნია, არზაც გამისწორებია დურაკულად დანერილი, მთავარმართებლისათჳსაც მომიხსენებია, და ეგრეთუე კრუზენშტერსაც მოველაპარაკე. – და თუ ესე არა კმარა, მე მეტი არ შემიძლიან და თავისმა სულეიმან ხანმა გაურიგოს. – მეკი ბევრი სიკეთე მახსოვს მაგისგან ჰააააა? –

სოსიკა ბიჭს უბძანეთ, რომ ჩემის ძმის თოფი იქ მისცეს შესანახავად, უბრალოდ ნუ დაიქსაქსება ილიას იარაღი; უიმისოდაც აღარა დარჩომიარა. – მაგ თოფის მაგიერ მე სხუას თოფს მივსცემ და სხუათა იარაღებსაც; ოღონდ კარგი მოსამსახურე და კარგი კაცი იყოს, თორემ იარაღისათჳს ნუ ჰფიქრობს, მე ბევრს უშოვნი.

იაკინთე სიყუარულით მომიკითხე, თუ არა ჰსჯავრობს; ეგრეთუე სარდიონ. –

შენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი

მწერენ, მითომ ლევანს მელიქოვსა ფეხები დაჰსძრომია ყინვისაგანაო; მართალია თუარა? – ყაფლანის ამბავი რა იცით? – სპარსეთში რა ყინვა უნდა იყოს, მიკვირს! –

28^ა მარტს 1857.
თემირხანშურით.⁵

ქეთევან ორბელიანისადმი №100 (456)

ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან!

ღთის¹ მოწყალებით დიდს სამშაბათს მოვიდნენ მშვიდობიანად ჩემთან შურაში ძალუა ვარინკა გიორგით და ნინუცათი! – ნეტავი შენც აქ ყოფილიყო!

ალექსანდრე მწერს შენს ავთამყოფობასა. – ძალუავ, შენი აგრე ყოფნა წინააღმდეგია ღთის² წინაშე; სასოებითა უნდა გაიმაგრო გული; ლოცვითა მოგეცემა ნუგეში! – მარადის შავი ფიქრები არ ვარგა არცა სულისათჳს, და არცა ხორცისათჳს. – თუ ღმერთი გრწამს გული გაიმაგრე; ეს არის შენი წამალი, შენი მკურნალი. – საჩქაროდ მომწერე შენი ამბავი, ჩემო სასურველო ქეთევან!

შენი მარადის ერთგული გრიგოლ ორბელიანი

3^ა აპრილს 1857.
შურით.³

ქეთევან ორბელიანისადმი №101 (457)

ქე¹ ალსდგა!

ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან!

მომილოცავს ეს დღესასწაული; ღთმან² მოგცეს სიმრთელე

სულისა და ხორცისა.

ძალუა ვარინკა, გიორგი და ნინუცა მოვიდნენ მშვიდობიანად და ნელნელა ეჩვევიან აქაურობასა; ამათგან გიორგის უფრო უხარიან შურა, რადგანაც თავისუფლად დაჰხტის დილიდამ საღამომდის. – ძალიან მიამა, რომ ბაბალე მანდ დამდგარა; შენთჳსაც კარგია, და მეტადრე იმისათჳს აწინდელს მაგის მდგომარეობაში. – ძლივს, ეს სამი ოთხი დღეა, დავინახეთ მზე; მაგრამ ჯერკი ისევე მაინც ცივა.

ამ წერილს მოგართმევს ჩვენი ისაია,³ რომელიცა პირადაც მოგახსენებს ჩვენს ამბავსა.

ბაბალეს სიყუარულით მოვიკითხავ, ეგრეთუე ძალუებსა.

შენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი

10^ა აპრილს 1857

შურით.⁴

ქეთევან ორბელიანისადმი №102 (458)

ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან!

ვეშურები წერასა, რადგანაც ჯარები მზად არიან და მივდივარ ამავე მინუტში მათის გასაშინჯავად. – ამასკი მოგახსენებ – ვიცი გიამება, რომ გუშინ მოვიდა აქ ჩემთან ელენა, კნეინა ჩოლაყაევისა, ესე იგი ივან მალხაზიჩის ქალი, რომელიცა აქვე დაჰყოფს, ვიდრემდის არ განთავისუფლდება ორსულობისაგან. –

ჩემი საყუარელი დისწული ბაბალე მომიკითხე სიყუარულით; ეგრეთუე ძალუები.

შენი ბედნიერების მოსურნე გრიგოლ ორბელიანი

19^ა აპრილს 1857.

თემირხანშურით.¹

ქეთევან ორბელიანისადმი №103 (459)

ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან!

ეს ერთი თვეა სულ მგზავრობაში ვიყავ და ამისგამო ველარ მოგწერე აქამდის; გუშინ მოველ შურას, სადაცა ჩვენთანები დამხვდნენ მშვიდობიანად; მაგრამ, არ იქნა, ელენეს ვერა ეშველარა, ანგარიშიც შეეშალათ ცოლსაცა და ქმარსაცა. – გიორგი, ღთწით,¹ კარგად არის და დახტის დილით საღამომდის. ხან ლეკურად ჩაცმული, და ხან უფრო ტიტველა წივილკივილით. –

ძალუა ვარინკასა მოუვიდა ძმა დიმიტრი, რომელიცა ემსახურება იუნკერად ბარონ ნიკოლაის პოლკში; დიახ კარგი ყმანვილი კაცი ყოფილა და ლაზათიანად გაზდილი; აქ დაჰყო სამი კვირა და ხვალ ისევ მიდის პოლკში. –

იაკინთე, სარდიონ მისის ცოლით სიყუარულით მომიკითხე.

ძალუა ელისაბედის ავამყოფობა შევიტყე; მაცნობეთ როგორ არის; გულით ვჰსწუხვარ მაგის სნეულეებისათვს, ჩემი საკუთარი ძალუა არის.

ყაფლანის ამბავი შემატყობინეთ; ახლა დრო არის მის მოსვლისა. მგონია ძალუა ელისაბედ წუწუნებს და ნაზობს მის მოუსვლელობაზედ, მაგრამ ზოგიერთებსკი არა ჰჯერათ მაგისი ოხვრა. – ძალუა ნინოს სიყუარულით მოვიკითხავ, – ჩემი დისწული ბაბაღე როგორ არის და ან რატომ არასა მწერს? –

ჩემი საკუთარი და ბაბაღე ისევ ანანურს არის, თუ წყალზე წავიდა? –

დიდი ბიძია ალექსანდრე მომიკითხეთ.

თქუენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი

17^ს მაისს 1857.

შურა.²

თამარის ამბავი მომწერეთ, როგორ არის, და აქამდის წამლობით როგორ ვერ ეშველა?

ქეთევან ორბელიანისადმი №104 (460)

ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან!

სოსიკომ მომწერა გარდაცვალება ძალუა ელისაბედისა. – სწორედ მოგახსენო დიდად ვჰსწუხვარ, დიდად შემანუხა ამ ამბავმა: ორნივე პატარები ვიყავით, ერთმანეთის ტოლები, როდესაც შემოვიდა ეგე ჩვენს ოჯახში და მას აქეთ ჩემი¹ და ჩემის ძმებისა იყო საკუთარი ძალუა, თითქმის ყოველ დღე ვიყავით ერთად, და სანყალს დედას ჩემსაც შვილსავით უყვარდა ელისაბედ. – თუმც ყოველნი განვალთ ამა სოფლიდამ, მაგრამ გული მაინცკი ჰსწუხს დანაკარგისათჳს.

ჩვენ ყველანი ვართ მშვიდობიანად; ძალუავ, ეგების მიშოვოთ მგრგვალი წამალი² და გამომიგზავნოთ მალე, და ისიც მომწერეთ რომელს სნეულებას არგებს და ან როგორ უნდა დაილიოს? –

ჩემის ანგარიშით ყაფლან უნდა იყოს მოსული ქალაქსა.

ძალუა ნინო მომიკითხეთ სიყუარულით; თამარის ამბავი მომწერეთ.

თქუენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი

ჩემი ბაბაღე როგორ არის? აქამდის კიდევ ისეა და ვერ ეყოლა შვილი?

24^ა მაისს 1857.

შურით.³

ქეთევან ორბელიანისადმი №105 (461)

ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან!

ძლივს რის ყოფით, რის ტანჯვით, მორჩა და განთავისუფლდა ორსულობისაგან ჩვენი ელენე, რომელსაცა ეყოლა ქალი დღეს შუადღისას; მაგრამ ორი დღე და ღამე სიკუდილზედ იყო მიწურილი. – საბრალო, იმ საშინელს ტანჯვაში სულ მამას იგონებდა!

– მახლაზ, ახლა კარგად არის. –

ჩემი დისწული ბაბაღე სიყუარულით ჩამიკოცნე. ძალუა ვარინკამ და ნინუცამ მოგიკითხეს; გიორგი კარგად არის ლთის¹ მონყალეებით.

შენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი

6^ს ივნისს 1857.²

შურით.³

ბარბარე ორბელიანისადმი №1 (462)

15^თ Июня. 1857. Укреп: Евгеніевское.¹

К: Варваре Ильинишне.

Прощался я с вами и кажется не было ни слёз, ни рыданій, ни даже обморока, этих неотёмлемых принадлежностей трагедій и нежных, очень нежно-чувствительных серенад. Но, с тем не менее, поверьте, я вас люблю, очень люблю с вашим Георгіем, и быть может, это чувство и было пріятнее, что я молча ехал долго, долго, пока не показались войска, тянувшіеся с разных сторон к Евгеніевскому укреплению, вид их развеял грустное расположение моего духа, выпрямил мою спину, и другія мысли, другія темы засели в голову.

ბარბარე ორბელიანისადმი №1 (462)

15 ივნისი 1857. უკრებ: ევგენიევსკოე

კნ[იაგინია] ვარვარა ილინიშნას

გეთხოვებოდით და თითქოს არ ყოფილა არცა ცრემლები, არცა ქვითინი, არცა რამ გულისნასვლანი, ეს განუყრელი კუთვნილებანი

ტრალედიისა და ნაზი, ფრიად ნაზი და მგრძნობიარე სერენადებისა. მაგრამ მაინც, მერწმუნეთ, მიყუარხართ, ძალზედ მიყუარხართ თქვენს გიორგისთან ერთად და, შესაძლოა, გრძნობა ესე უფრო საამო იყო კიდევცა, როს მდუმარედ ვმგზავრობდი დიდსა, დიდსა ხანსა, ვიდრე არ გამოჩნდნენ ჯარები, ევგენიევსკოეს უკრეპლენისკენ დამწკრივებულნი სხვადასხვა მხრიდამ, მათმა ხილვამ განმიფანტა სევდიანი განწყობა გულისა, გამმართა ნელში და სხუა ჰაზრები, სხუა თემები მენვივნენ თავში.

ლიმიტრი ჯორჯაქისადმი №47 (463)

ჩემო ბატონო,
კნიაზო დემეტრე!

ღთის¹ წყალობითა და შენის დოვლათითა 16^ა ამ თვისას თერენგულის ხევს² გავედით, და მით აღსრულდა ჯერ პირველი პერიოდი ამა ეკსპედიციისა უკრავ-უგინებლად. – შამილა ჯერ არა ჰსჩანს; მაგრამ ბურთუნაის იქით ტყის პირში ჰსჩანდა ათასამდის ცხენოსანი კაცი. – ჯერ აქა იქ მხოლოდ კანტი-კუნტია თოფის სროლა, მაგრამ გინება და ლანძღვა ბევრია ორისავე მხრით *выразительно*.^{3*}

გუშინ 17^ა⁴ გავშინჯე ძველი ბურთუნაი, სადაცა აშენდება ციხე-შტაბი; გაველ თერენგულის ხევს იქ სადაცა იყო ნეიდგარდის პოზიცია; იქიდამ მთა-მთა მოუარე გზების გასაშინჯავად და ისე მოველ ლაგირს. – ამ მიმოსვლაში განვლო ცხრა საათმა და მე ცხენიდამ არ ჩამოვსულვარ; ეს უნდა უთოოდ ძალუას უთხრა, რომ ჰეი გრიგოლ ყაფლანისშვილო, ბევრი რამ შეგძლებიათქო! – გუშინ და დღეს მიგჰყავით ხელი გზის გაკეთებას, ხეების ქრასას; საკირეს ქვების მომზადებასა და ამ გვარს რაღაებსაც, რომელნიცა არიან ჯერ ცვრილმანკები,⁵ მაგრამ მეტად ბევრი. და ამისათჳს ბევრს დროს გვართმევს.

სამს დღეს უკან გადავინაცვლი ძველს ბურთუნაის და იქ დავინწყებთ ადგილების გასწორებასა და შენობასა. – ვნახოთ ღთი⁶ და ბედი!

ძალუა⁷ და ნინუცა სიყუარულით მომიკითხე; გიორგი ჩამიკოცნე; ელენეს ამბავი მომწერე და ილიკო მომიკითხე.

შენი გრიგოლ ორბელიანი

რა ამბავია თქვენს მხარეს; რა ისმის მთიდამ, ბარიდამ? სულ ყოველი მომწერე.

18^ბ ივნისს 1857
თერენგულთან ლაგირი.⁸

ძალუას მერე მოვსწერ დანვრილებით დიდს წიგნსა; ეხლა შუაღამეა.

*აქ: ლაზათიანად.

ღიმიტრი ჯორჯაძისადმი №48 (464)

ჩემო დემეტრე! მე და შამილ ვჰსდგევართ ერთმანეთ[ის] დიას ახლო და ვითარცა ქოფაკი ძაღლები უღრინავთ ერთი ერთს; ვნახოთ რომელი გაჰგლეჯს! – არა მცალიან¹ წერისათჳს. – ძალუა ვარინკა, ელენა, ნინუცა სიყუარულით მომიკითხე; გიორგი ჩამიკოცნე.

შენი გრიგოლი

24^ბ ივნისს²

ღიმიტრი ჯორჯაძისადმი №49 (465)

27^ბ ივნისს 1857
თერენგული[ს]¹ ლაგირი.²

ჩემო ბატონო დემეტრე!

ძლივს ერთხელ მოვასწარით ლეკებსა, ძლივს ერთხელ ჩავიგ-

დეთ ხელში! 24^ა ამთვისას ოთხასამდის მოკუდა და დაიჭრა იმათი; ვეება ხევი აივსო დახოცილებითა; ნაიბი სალათავიისა და ტეხნუცალისა, და მათთან მრავალნი მნიგნობარნი დაიხოცნენ. – იმათი ნიშნები, ბეჭდები, ლექსები შამილის ქებად შეთხზულნი, მომიტანეს. – მრავალი თოფიარალი მოიტანეს სალდათებმა სიმღერით. – ალექსანდრე მაქრაპულოვი გიამბობს დანვრილებით; მე არა მცალიან.

შენი გრიგოლ ორბელიანი

[62v გვერდზე მისამართი წერია:]

Его Сиятельству
Князю Дмитрію Давидовичу
Джорджадзе
В Шуре^{3*}

*მის ბრწყინვალეებას,
თავად დიმიტრი დავიდოვიჩი
ჯორჯაძეს
შურას

ქეთევან ორბელიანისადმი №106 (466)

ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან!

15^ა ივნისს გამოველ შურიდამ ჯართა და ამოველ სალათავიაში. – მრავალთა საქმეებთაგამო ველარ მოგწერე აქამოდის; მე და შამილა ცხვირში უდგევართ ერთმანეთსა. ერთხელ ესე იგი 24 ივნისს¹ ძალიან მოვასწარ და დავანექ იმის ჯარსა ასე, რომ იმათი ღრიალი ცამდის ადიოდა: ოთხასზე მეტი მოკუდა და დაიჭრა იმათი, ვეება ხევი აივსო იმათის დახოცილებითა; დიდი ხანია ლეკის ჯარი ასე არ ჩავგარდნია ხელში. – სალათავიისა და ტეხნუცალის ნაიბები დაიხოცნენ, შტიკებზედ აგებულნი, და მათთან მრავალნი მნიგნობარნი ყადიები, რომელთა წიგნები, ბეჭდები, ნიშნები მომიტანეს სალდათებმა ფეშქაშად. – მას აქეთ შამილა

გაჯდა განზედ და მიყურებს კბილების კრაჭუნით; მეც ჩემთვის მძიმედ ვზივარ და ვაკეთებინებ გზებსა, ხე-ტყესა, კირსა, ქვასა და სხუათა მასალათა, რომელნიცა არიან საჭირონი ასაშენებლად ციხისა ამ ადგილსა. – ჩვენის მხრით დაიჭრა სამი აფიცარი 36 სალდათი, 5 მილიციონერი, და მოკუდა 8 სალდათი. – ჩემის ანგარიშით ერთი კიდევ უნდა მოხდეს კარგი ომი და თუ ღთ^{ის} შემენია, უნდა მივლენო.

ჩემი თვალის ჩინი ყაფლან სიყუარულით მომიკითხე³ მისის ქულქათით; მაგრამ აქამდისკი უნდა მოენერა ჩემთვის თავის მოსვლა მშვიდობიანად საქრისტიანოში, და აღენერა მგზავრობა თვისი ირანში. – მაინც იმედი მაქუს, რომ არ დამივიწყებს.

ძალუა ნინო მისის ქალებით, და ჩემი დისწული ბაბაღე სიყუარულით მომიკითხე. –

იაკინთე და სარდიონ ჩამიკოცნე.

შენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი

1^ს ივლისს 1857.

სალათავიით.⁴

პირიმლუთისას შემავედრე.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №50 (467)

ჩემო ბატონო დემეტრე!

ღთ^{ის}1 მონყალებით ვართ ისე, როგორც ვიყავით შენს დროსა, მხოლოდ შამილა აღარ გვესვრის ღამე ზარბაზნასა; არ ვიცი შენ თუ² გემტერებოდა უნინ. –

გუშინ გამოიდარა; დღესაც კარგი ნათელი დღეა. ვნახოთ, მომავალი რას მოგვიტანს! –

სულეიმანხანი მოდის გამარჯვებული; მე თუმცა ძალიან შემანუხა ამისმა დაშორებამ, მაგრამ რა გაენყობა სოფლის ბრუნვასა. –

ახლა შენ იცი, რასაც გამომიგზავნი.

შენი გრიგოლ ორბელიანი

29^ა ივლისს 1857.

სალათავიით.³

[64v გვერდზე, მარჯვენა მხარეს, მინანურიან:]

ნინიკას უბძანე, ეს საძაგელი ჩაი საიღამ უშოვნია ჩემს მოსაკვლელად? მე მოსკოვიდამ დავიბარე ჩაი და ეგკი მაინც კაკალას ჩაის მასმევს. – თუ გამოლეოდეს, კაზნაჩეის გამომირთვი და გამომიგზავნე.

[ამავე გვერდზე, მარცხენა მხარეს, ადრესატისადმი მიძღვნაა:]

ჩემს ბატონს
კნიაზს დემეტრეს
მიერთოს სიმდაბლით.

ლიმიტრი ჯორჯაძისადმი №51 (468)

ჩემო ბატონო დემეტრე!

შენი წერილი მივიღე დღეს და რაცა მასში ეწერა, ყოველივე ვჰსცან. მერე:

1) კობიევის საქმეს, რა საკურველია, რომ კარგად მივსწერ და ვჰსთხოვ, რომ დრომდის არ გამოორიცხონ აქ ბატალიონის კამანდირობისაგან, და აფიცრების დოკლადნის ზაპისკასაც წარვადგენ, ვითარცა, ამ შემთხვევაში ბედმან მოიტანა, მათა.¹

2) ძალიან კარგსა იქმთ, რომ მცირედი შეიცადოთ და არ წახვიდეთ პეტროვსკში. – ხოლერა, არათუ ყუბაშია, აქაც, საკურველია, გამოჩნდა ამ სიმალლეს მთებში, ამისთანა წვიმებში და სიცივეში. – ჯერ, ღთის² მონყალეებით, არ არის ისე გახშირებული, და ღთმან³ ჰქმნას, რომ არ დაგვსაჯოს ამა საშინელის

სნეულებითა, და მალე სრულებით განგვარინოს.

3) თუ, ვინიცობაა, შურაშიაც გამოჩნდა, მაშინვე გადინაცვლეთ ბინა იშკარტაში, რაკუზას სახლში, და შენ უნდა იყო მომლელიცა და მფარველიცა მაგ ქალებისა. – მეტადრე ასე უნდა მოიქცე, რომ შიში არ ჩაუვარდესთ გულში. –

4) აგვისტომაც მოგვატყუა: გუშინ ასეთი წვიმა იყო, ასეთი საშინელი ნიაღვრები გადმოსქდნენ მთიდამ, ციდამ, მიწიდამ, რომ მეორეს მოსვლას ედარებოდა; ჩვენი აშენებული კაზარმები კინალამ პირქვე არ დაჰსცა.

დღესაც ჰსწვიმს, მაგრამ ორს კაზარმაზე სტრაპილები დაადგეს და მესამესაც ზეგ მიჰყოფენ ხელსა. –

ძალიან მეშინიან, რომ ესოდენის ავდრებისაგამო მუშაობა ვერ შევასრულოთ. –

შენი ბედნიერების მოსურნე
გრიგოლ ორბელიანი

6^ა აგვისტოს 1857.
სალათავია.⁴

ლიმიტრი ჯორჯაქისაღმი №52 (469)

ჩემო დემეტრე! აბა აქედამ მანდა რა უნდა მოგწერო? ღმერთს მოუცია შენთვის ჭკუა, მცნება; აილე, დაილე და ისე მოიქეცით. – თუ ანგარიშით შაშუბეში გამოდის, რალა თქმა უნდა, ნადით მშვიდობით და იჭყუპალავეთ ზღუაში. –

შამილა კატასავით მობუზვილია; აღარც ზარბაზ[ან]ს ისვრის და აღარც თოფსა; ასე გაშინჯე, რომ აღარცკი ილანძლებიან. – ისრე მიჩუმებულნი არიან, და გარდანქეშანგებმაც მომიტანეს ამბავი, რომ დღეს, ხვალ, შამილა აპირებს წასვლას დარლოში.

სტარიკა ჯამალასი ორნი შვილის შვილები ამოვიდნენ ჩემთან; ერთი აქ დარჩა, ერთიკი წავიდა ჩემის წერილით ნაიბთანა, რომელსაცა განგებ გამოეგზავნა ჩემთან ესენი.¹ – ვნახოთ, ჯერკი ძალიან ბევრს მპირდება. –

ეს ორი, სამი დღეა რა გამოიღარა, თუ ხვალვე არ მოიღ-
რუბლება. –

ძალუა, ელენე, ნინუცა მომიკითხე; გიორგი ჩამიკოცნე.

შენი გრიგოლ ორბელიანი

8^ს აგვისტოს 1857.

სალათავიით.²

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №53 (470)

ჩემო ბატონო

კნიაზო დემეტრე!

ავდარი და ავდარი, ნვიმა და ჯანლი, კაცის გულისა
შემანუხებელი! არ იქნა, არ გამოიღარა: სამი დღე ზედიზედ არ
გვიხილავს ნათელი. – ვართ ასე, და ამასთანა ხოლერაც გამოჩნდა
ეს ორი კვირა იქნება და აქამდის, როგორც ვჰხედავ, ჯერ არ
შემსუბუქებულა. – საბრალო ჩემი სტეფანა – პოვორი, ესოდენის
წლის ნამსახური, დღეს გარდაიცვალა. – ვნახოთ, ღთ^{ის}1 როგორ
მაღე ინებებს ამ საშინელის სნეულებისა განქარვასა.

არამც და არამც კნიაზი დიმიტრი ღრუზინსკი აქ გამოგზა-
ვნო! მანდ შეინახეთ ათიოდღე და როცა შეგატყობინოთ, მაშინ
მოვიდეს. –

ეს რისხვა ღთ^{ის}2 საიღამ მოგვევლინა ასე ერთბაშად? –
მახლაზ, თითქოს ღთ^{ის}3 გვინყრებოდეს აქ ამოსვლისათვის! –

შამილა⁴ და მისი ჯარი ასე ჩუმათ არიან, რომ იმათი ხმაც არ
ისმის, და არცა სადმე ჰსჩანან. – დღესკი მომიტანეს ისე ჭორად
ამბავი, რომ შამილა ნავიდა შინაო ხოლერის შიშით, რომელიცა
იმათშიაც აღმოჩენილა. – მაგრამ მაინცკი მე დრაგუნები გამოგვ-
ზავნე შურისაკენ, რომ ვინიცობაა, მტერმა მანდეთკენ მოინდო-
მოს წამოსვლა, ჰყვანდეს ასევესა ჯარი მის მოპირდაპირედ. –

მუშაობა, როგორც შეეფერება ამ ავდარსა და სნეულებასა,
მოდის ჯერ კარგად ღთ^{ის}5 მოწყალებითა.

მომიკითხე⁶ ძალუა, ელენე, ნინუცა, სიყუარულითა და გიორგი ჩამიკოცნე.

შენი გრიგოლ ორბელიანი

20 აგვისტოს 1857.
სალათავით.⁷

დღეს⁸ მივიღე შენი ორი წერილი; გულით მიხარის, რომ ლაზათიანად ატარებთ დროსა ჭყუპალაობითა. –

ამ მინუტში მომიტანეს ამბავი, რომ უსჯულოსშვილი, ვირი, ვირზედ უვირესი თამაზხან, შამხლის შვილი, წასულა უაკაზიოთ ჩერქეისკენ; დახვედრიან ორმოცნი კაცნი მტერთაგან, და ასე დაუმარცხებიათ, რომ 14 მოუკლამთ და თვთ თამაზხან დაუჭერიათ. – შენ იფიქრე ამათი დედაკაცობა: 40^ა ქვეითნი კაცნი ამარცხებენ ვაკეს ადგილზედ ორასს კაცსა ცხენოსანსა, და ტყვესაც იჭერენ! – ამაზედ მეტი თქმა არ შემიძლიან.⁹ – იმისი არ იყოს: ნიკორკინი¹⁰ მარტოდ მარტო წამოსულა შურას, და რასაკურველია დაუჭერიათ ტყვედ.

ქეთევან ორბელიანისადმი №107 (471)

ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან!

ღმერთმან¹ მოგვხედა და განგვათავისუფლა საშინელის სნეულებისაგან: ხოლერა გვეწვია ამ მთაში, სადაცა კაცობრივის ანგარიშით არ უნდა გამოჩენილიყო; მაგრამ ორკვირამდის გასწია და სხუათაშორის საბრალო ჩემი მზარეული დენშიკი სტეფანაც გადიტანა თანა. – და როგორც მახსოვს ისეკი არ იყო ძლიერი, როგორც უწინ. – ასე გამინჯვით ერთი აფიცარიც არ გახდა ავად.

ნიკო ჭავჭავაძე აქ არის ჩემთან და სულ მანდაურს ამბებს მეუბნება, და არ იქნა ჯერ ვერ დაასრულა.

ძალუა ვარინკა გიორგით, ნინოთი, ელენეთი, არის ზღუაზედ და ბანაობენ; გიორგი მთელი დღე გდია ზღვის პირს და

ჩანგლით იჭერს თევზებსა. –

შამილამ, რა ვერა გაანყორა აქა, აჰყარა ჯარი და თვტცა წავიდა დარღოს, და ახლა ჰფიქრობს, ეგებ გაიმარჯოს სადმე, რომ ხალხში სახელი არ წაუხდეს.

ჩემი დისწული ბაბალე მომიკითხე და ჩამიკოცნე; მაგის ქმრის წიგნი მომივიდა; თავში დაჭრილია, მაგრამ არაფერია, კარგად იქნება.

ყაფლან ქულფათით² სიყუარულით მომიკითხე; ძალუა ნინო მის ქალებითა.

ბიძია ალექსანდრესთან ბოდიში მომთხოვეთ, რომ ვერ მოვასწარ მონერა.

იაკინთე და სარდიონ სიყუარულით მომიკითხე.

თქუენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი.

27 აგვისტოს 1857.

სალათავით.³

ღიმიტრი ჯორჯაძისადმი №54 (472)

ჩემო ბატონო დემეტრე!

ლთმან¹ ისმინა ლოცვა ცოდვილთა და განარინა ჩვენგან საზარელი რისხვა თჳსი, ხოლერა. – უკანასკნელთა მსხუერპლთაშ² იყო საბრალო ჩემი პოვორი სტეფანე,³ რომელიცა ერთსვე დღეს შემუსრა, შელენა, შეჭამა სნეულებამ. – 130^{მდღს} მოკუდა სალდათი და არცა ერთი აფიცარი ამ სნეულებით. – მახლაზ, კიდევ მადლობა უზენაესსა!

ახლა ჩემი ფიქრი, ჩემი თვალ-ყური, მიჭირავს თქვენკენ და შიშით, კრძალვით, მოველი შურიდამ ამბავსა. – შამხალმაკი მახარა, რომ ხალილბეგაულში და ქაჭირყუმუხში გამოჩენილა ზოგიერთი ნიშანი ხოლერისა და მის შემდეგ აღარა ვიცირა. – ღმერთ[ს]⁴ მივანდოთ თავი ჩვენი და ვიყუნეთ გულმაგრად; მეტადრე ეგ ქალები არ შეშინდნენ.

შამილა წავიდა დარღოს, რა ნახა, რომ ველარას გაანყობს; მისი ჯარიც დაიშალა, გაიპარა, გაიქცა; ცოტანილა ჰსჩანან აქა იქ. –

საიდუმლოდ მელაპარაკებიან სალათავის სტარშინები და თვთ ნაიბიცა. – ჯამალას შვილისშვილები იყუნენ ჩემთან სამნი, და დღეს მოველი მისს შვილს ხასბულატსა.⁵ – თოფის სროლა სრულე-ბით შესწყდა ამ ჩვენს მხარეს; მაგრამ ძალიანკი გამობრწყინდ-ნენ ვაჟკაცობით შამხლის სოტნები, რომელთაცა დაუხვდნენ 40^{მძის} ქვეითნი, და ქვეითთა ვაკეს, სწორეს მინდორზედ დაიჭირეს ცხ-ენოსანნი. – ეს ვის უხილავს, და ან ვის გაუგონია? – ძალღმა ჩა..სას⁶ შამხლის ჩამომავლობას. – ტამაზხანში ითხოვენ ოთხი ათასს თუ-მანსა და სამასს ტყვესა. – არა, ვის და რათ უნდათ იმის გამოხსნა, იმ უვარგოს, უცხვირპიროს, ბაიყუმის კაცისა? – ბრძანდებოდეს მეორედ მოსვლამდის. –

მუშაობა კარგად მოდის; ამ აგვისტომაც კარგად გამოიდა-რა, და მაქუს იმედი, რომ სეკდემბრის გასულს მოვრჩეთ, და თუ გაჭირდა, ოკდომბრის ნახევრამდის. –

კობიევის⁷ საქმეს აბა შეუდეგით; მაგრამ ასე ფრთხილად, რომ არც ჩემი სახელი იყოს, არც შენი, და არცა ასევეისა, თორემ უფრო წახდება და გაჯანჯლდება.

სხუა ახლა შენ იცი, რასაც კარგსა და სასიხარულოსა მომ-ნერ. – ლთ⁸ იყოს შენი მფარველი.

შენი გრიგოლ ორბელიანი

შენ მაგიერ ნიკო მყავს აქა და დღეში ერთს ოქროს მეტს ვერ ვუგებ ნარდში.⁹

27 აგვისტოს 1857.

სალათავით.¹⁰

თუ კახეთიდან იცოდე რამე ვრევსკის ოტრიადისა, მომწერე.

ალექსანდრე ბარიატინსკისაღი №15 (473)

31 ავგუსტა 1857: Салатаვია

К:¹ Александрю Ивановичу Барятинскому

Вашему Сву² приношу глубочайшую мою благодарность за то милостивое внимание, которым угодно было вновь осчастливить меня, и вверенный мне отряд присылкою знаков отличия за дела, бывшія в Іюне и Августе. Знаки эти вчераже в торжественный день Тезоименитства Государя Императора, после молебствія, я возложил надостойнейших при всеобщем восторге отряда.

Как здесь, так и в Прикаспійском крае, благодаря Бога, всё благополучно.

Шамиль, укрепив Буртунай, уехал в Дарго, и теперь вокруг нашего лагеря редко является непріятель, который старается мелкими партіями вредить на наших сообщеніях.

Работы, по возведенію укреплений здесь Штаб-квартиры продолжаютсѣ с успехом, благодаря неутомимой деятельности наших инженеров; но погода, постоянно дождливая, тоскливая, много отнимает у них времени.

К этим трудам, к этой невыносимой погоде, присоединялась и холера. Это страшилище сожрало у нас 120 чел: с 8^{го} по 20^{ое} Августа и скрылась. Да провалится же она в глубину ада! Непостижимо откуда она явилась на этих высоких горах, отделённых от всего живущаго в мире?

Выражусь словами честнаго солдата: «без вины виноват я пред Вашим С^{вом}». ³ В донесеніи моём о деле 24^{го} Іюня сказано было, что Найб Салатавскій Айтемир убит. И могли я не верить этому известію, когда принесли мне его платье, знаки, печать, даже бумаги между которыми были некоторыя писанныя по моему приказанію о вымене пленных? Теперѣе оказывается, что он нетолько жив, но сделавшись одним из ревностных приверженцев нашего Правительства, вчера вышел к нам со 116 душами, между которыми находится его отец, старик Джамал Черкеевскій.

Быть может Вашему С^{вх}⁴ благоугодно будет видеть Найба Айтемира с его братом Исмайлom; в таком случае я буду иметь честь ожидать приказанія Вашего. Они оба очень приличные люди.

Шамиль, в собраніи Найбов, откровенно выразился, что с занятіем Салатавіи, Ваше С^{вд}⁵ нанесли ему удар прямо в сердце. Но потеря Ауха добьет его.

При этом немогу недоложить, что нарезныя ружья здесь в Дагестане выказывают чудеса. По моему мненію, оне современем вытеснят употребленіе горной артиллеріи в горах.

ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №15 (473)

31 აგვისტო 1857. სალათავით

კნ: ალექსანდრე ივანოვიჩ ბარიატინსკის

თქვენს ბ[რწყინვალეობას] ვაახლებ ჩემს უღრმესს მადლიერებას იმ მონყალე ყურადღებისათვის, რომლითაც ივნისისა და აგვისტოს საქმეებისათვის გამოგზავნილი წარჩინების ნიშნებით კვლავაც გინებებიათ, გაგებედნიერებინეთ მე და ჩემთვის მობარებული ოტრიადი. ამ ნიშნებით გუშინვე, ხელმწიფე იმპერატორის სახელობის საზეიმო დღეზედ, ლოცვის შემდგომ, მე დავაჯილდოვე უღირსეულესნი ოტრიადის საყოველთაო აღტაცების თანხლებითა.

როგორც აქა, ისე კასპიისპირა მხარეში, ღვთის წყალობით, ყველაფერი კარგადაა. შამილმა ბურთუნაი გაამაგრა და წავიდა დარლოს და ახლა ჩუენს ლაგერთან იშვიათად ჩნდება მტერი, რომელიც მცირე პარტიებით ლამობს, დაგვაზარალოს ჩუენს გზებზედ.

შტაბ-კვარტირის გასამაგრებელი სამშენებლო სამუშაოები წარმატებით გრძელდება აქა ჩუენის ინჟინრების დაულალავის შრომის წყალობითა; მაგრამ ამინდი, მუდამჟამს წვიმიანი, სევდიანი, დიდ დროს ართმევს მათ.

ამ ჯაფას, ამ აუტანელს ამინდს ზედ დაერთო ხოლერაცა. ამ საშინელებამ 8^{აგ} 20^{აგ} აგვისტომდინ ჩუენი 20 კაც: შეინწირა და გაუჩინარდა. ჯოჯოხეთშიაც ჩაქცეულა იგი! ყოვლად გაუგებარია, საიდანა გაჩნდა ამ მაღალს მთებში, ყოველივე ცოცხალს განრიდებულს ქუეყანაში?

გულწრფელი ჯარისკაცის სიტყუებით გეტყვით: „უდანაშაულოდ დამნაშავე ვარ თქუენის ბ[რწყინვალეების] წინაშე.“ ჩემს მოხსენებაში 24^ა ივნისის საქმეზედ ნათქვამი იყო, რომ მოკლულია სალათავიის ნაიბი აიდემირი. და შემდეგ კი, არ დამეჯერებინა ეს ამბავი, როცა მომიტანეს მისი სამოსი, ნიშნები, ბეჭედი და ქალაღდეიცი კი, რომელთაგან ზოგი ჩემის ბრძანებით იყო შედგენილი ტყვეთა გაცვლის თაობაზედ? ან კი ირკვევა, რომ ის არათუ ცოცხალია, არამედ ჩუენის ხელისუფლების თავგამოდებულ მომხრედ ქცეული, გუშინ მობრძანდა ჩუენთან 116 კაცი, რომელთა შორისაც იმყოფება მამამისი, ბერიკაცი ჯამალ ჩერქეელი.

ეგება თქუენმა ბ[რწყინვალეებამ] ინებოს ხილვა ნაიბ აიდემირისა მის ძმასთან – ისმაილთან ერთად; ესრეთს შემთხვევაში მექნება პატივი, დაველოდო თქუენს ბრძანებასა. ისინი ორივენი ძალზედ რიგიანნი გახლავან.

შამილმა ნაიბთა შეკრებაზედ გულწრფელად ბრძანა, რომ სალათავიის დაკავებით თქუენმა ბ[რწყინვალეებამ] მას პირდაპირ გულში ჩასცხო. მაგრამ აუხის დაცემა მოუღებს მას ბოლოს.

ამასთანავე, არ ძალმიძს არ მოგახსენოთ, რომ ხრახნიანი თოფები სასწაულებს ახდენს აქ დაღისტანში. ჩემის ჰაზრით, ისინი დროთა განმავლობაში ჩაანაცვლებენ სამთო არტილერიის გამოყენებას მთებში.

ღიმიტრი ჯორჯაძისადმი №55 (474)

ჩემო დემეტრე! შეჩვენებულნი ჩარვადრების პოდრიადჩიკები გაკუტრდნენ და ვარ ახლა საშინელს გაჭირებაში პროვიანტისა მოზიდვისაგამო.¹ – შამხალსა და იბრეიმხანსა ვჰსწერ, რომ ერთხელ კიდევ მომაშველონ ურმები, მხოლოდ ერთის გზობით; ვიცი ხალხისათუს მუშაობის დროც არის, მაგრამ უნდაკი შემენიგნენ, რომ მალე მოვრჩე აქაურობას და დავაბინაო ჯარი. შენც შენის მხრით უნდა მოჰმართო შენი რიტორება და ვინც შეგხვდეს² უქადაგო ყადიებსა, სტარშინებსა, და მეტადრე ტულაევმა ჰარაქათი გასწიოს, რომ ხალხი ხალისით წამოვიდეს ურმებითა, და კარგსა ფასსაც ვაძლევ: ჩეტვერტზე 1½ რუბ.; კრუპაზე ერთს აბაზს მომატებით ვაძლევ. –

აკოლნიჩიმ მომიტანა დღეს შენი წერილი, და ამასთანა დიდადაც გამახარა ამბითა, რომ შურაში ლთ^{ის}³ მონყალებით არ

გამოჩენილა ხოლერა. – ვჰმადლობ ღთსა!⁴ –

ძალუა ვარინკასი წერილი მომივიდა გუშინ; კარგად არიან და სულ თურმე სეირნობენ, ასე რომ დღისით სულ გარეთ არიან სადმე, ან ზღუაზედ და ან ბაღში. –

შაჰმანდარჰაჯიაც მელაპარაკება საიდუმლოდ, და ვნახოთ როდის გამოვა. – ჩემი ძმა ილია ამაზედ გაცვალა შამილამ. – დიდი მნიგნობარია და მგონია ფარისეველიც.⁵ –

კობიევის საქმეს როგორ აჩარხებთ და ანუ რას გელაპარაკებთან იმაზე მთიდამ?

შამხალმა რომ გადაახდევინოს ფარაულელებსა, რომელთაცა მისცეს მტერსა თამაზხანი, დიდად სჯულიერი იქნება და სიმართლითაც; და მეცა დიდად გამეხარდება. –

ურმებისათჳს, ურმებისათჳს ჩემო დემეტრე, თავპირი დაიმტვრიე და მომაშველე საჩქაროდ. –

შენი გრიგოლ ორბელიანი

5^ა სექდემ: 1857.

სალათავიით.⁶

[თარიღის გვერდით მინაწერია:]

ეს წერილი მიუტანე ჩემს და არა შენს, დუშკას.

ლიბიტრი მილიუტინისადმი №1 (475)

Дмитрію Алексеевичу Милютину.

В первый же пріезд Ваш на Кавказ Вы почтили меня обязательным письмом Вашим, которое доставило мне пріятный случай познакомиться с Вами заочно, хотя гораздо ранее я знаю и уважаю Вас по тем прекрасным произведеніям, которыми украшается наша отечественная литература.

Принося Вам искреннюю признательность мою я с большим удовольствіем воспользуюсь Вашим предложеніем: обращаться к

Вам в некоторых случаях письмом, независимо от официальной переписки, совершенно убеждённый, что от этого будет много пользы для службы: не всё можно писать официально! С чувством истинного почтения и совершенной преданности имею честь быть.

[1856 წლის 20 ნოემბრიდან 1857 წლის 7 სექტემბრამდე]

დიმიტრი მილიუტინისადმი №1 (475)

დიმიტრი ალექსეევიჩ მილიუტინს.

კავკასიაში თქუენი პირველი ჩამობრძანებისთანავე ღირს მყავით აუცილებელის წიგნით, რომელმაც სასიამო შესაძლებლობა მარგუნა, გამეცანით დაუსწრებლად, თუმც უფრო ადრიდამ გიცნობთ და პატივსა გცემთ იმ ნაწარმოებებისათვის, რომლებითაც იმკობა ჩუენი მშობლიური ლიტერატურა.

გულწრფელის მადლიერების გამოხატვითა და დიდის სიამოვნებით გამოვიყენებ თქუენს შემოთავაზებას: ოფიციალური მიმონერისაგან დამოუკიდებლად, ზოგიერთს შემთხვევაში მოგმართოთ წერილით, სრულიად დარწმუნებულმა, რომ ეს დიდ სარგებელს მოუტანს საქმესა: ყველაფრის წერა როდი ეგების ოფიციალურად! პატივი მაქუს, ვიყო ჭეშმარიტის მონინებითა და სრულის ერთგულების გრძნობით.

[1856 წლის 20 ნოემბრიდან 1857 წლის 7 სექტემბრამდე]

დიმიტრი მილიუტინისადმი №2 (476)

7 Сентяб: 1857 Салатавія

Дмитрію Алексеевичу Миліутину.

Приношу Вашему Пре^{бу}¹ мою глубокую, искреннюю благодарность за великадушное внимание Ваше к подполк:² Радецкому, к этому достойному молодому человеку, котораго будущность по службе едва не погибла от минутной вспышки превратно-понимаемого оскорбления. Благородное сердце Ваше спасло его и тем сохранило для

службы отличного Офицера и человека с прекрасными рправилами.

Мнение Главнокомандующаго, выраженное в письме ко мне, могло относиться только ко мне; но Радецкй по мнительности своей, возымел несчастную мысль, что и Вы, и Главнокоманд:³ сочли его за одного из тех пронырливых людей, которые разными пройсками ищут легкаго случая к отличіям, чтоб тем обратить к себе вниманіе Начальства. Мысль эта мучила и преследовала его. Но он действительно не таков! Могу Вас уверить, что в продолженіи трёх лет занимаемой им должности, он никогда ни очём не просил у меня для себя собственно.

Причины, по которым я вынужден был назначить его начальником колонны 24 Іюня, я изложу Вам в подробности при личном свиданіи. Теперь же позвольте просить Вас предать все это совершенному забвенію.

Письмо его и докладная записка, присланныя Вами ко мне при письме от 5^{го} Августа изорваны и сожжены. Да не останутся следы этого более нежели неприятнаго случая.

დიმიტრი მილიუტინისადმი №2 (476)

7 სექტემბ: 1857 სალათავიით

დიმიტრი ალექსეევიჩ მილიუტინს

თქვენს აღ[მატებულებას] ვაახლებ ჩემს ღრმა, გულწრფელს მადლიერებას თქვენის დიდსულოვანის ყურადღებისათვის პოდპოლკ[ოვნიკ] რადეცკისადმი, ამ ღირსეული ახალგაზრდა კაცისადმი, რომლის სამსახურებრივი მომავალი კინალამ არ შეენირა წამიერს აფეთქებას შეურაცხყოფის არასწორად გაგების გამო. თქვენმან კეთილშობილმან გულმან იხსნა იგი და ამით სამსახურში დასტოვა შესანიშნავი აფიცარი და კაცი შესანიშნავის წესიერებითა.

მთავარსარდლის მოსაზრება, ჩემდამი წიგნში გამოსხატული, უთუოდ მე მეხებოდა; მაგრამ თავისი იჭვნეულობით რადეცკის შეუჩნდა ჰაზრი, თითქოს თქვენცა და მთავარსარდ[ალმაც] ის მიიჩნიეთ ერთ-ერთ იმ კაცთაგანად, რომელნიც მრავალგუარის ხრიკებით ეძიებენ იოლს გზებს თავის წარმოსაჩენად, რათა მით მიიპყრონ მზერა ზემდეგთა. ეს ჰაზრი ღრღნიდა და სდევდა მას. მაგრამ ის ნამდვილად არ არის ასეთი! შემძლია დაგარწმუნოთ, რომ თანამ-

დებობაზე ყოფნის სამის წლის მანძილზედ მას ჩემთვის არასოდეს უთხოვია რაიმე საკუთრივ თავისთვისა.

მიზეზებს, რომელთა გამოც იძულებული ვიყავ, ის კოლონის ნა-ჩალნიკად დამენიშნა 24 ივნისს, მე დანვრილებით მოგახსენებთ პირადად შეხვედრისას. ან კი ნება მიბოძეთ გთხოვოთ, ეს ყოველივე დაივინყოთ.

მისი წერილი და განმარტებითი ბარათი, თქვენს მიერ ჩემთვის 5^ლ აგვისტოს წერილთან ერთად გამოგზავნილი, დაფლეთილია და დამწვარი. დაე, ნუ დარჩება კუალი ამ მეტად უსიამოვნო შემთხუევისა.

ლიმიტრი ჯორჯაძისადმი №56 (477)

ჩემო ბატონო დემეტრე! შენი წერილი და მასში ჩადებული ივანე სარდლისა მივიღე ამ მინუტში. – აი ჩემი პასუხი:

ხომ იცი, რომ შენი მალლად ასვლა, აწევა, გაბედნიერება სამსახურისაგამო, არ მეწყინება.

მაგრამ სოვეტნიკობა მინგრელიაში რა სანატრელია და ანუ რა ანგარიშია? – კარგად უნდა იცოდე, რომ საცხოვრებლად ზუგ-დიდი არა ჰსჯობს შურასა არცა ჰაერით, არცა საზოგადოობით და არცა სიამოვნებით. – ეს ასე. ახლა:

160 თუმანზედ ვიანგარიშოთ. როგორც აქა არ არის საკ-მაოდ შენთვის შენი ჯამაგირი, უფრო უმეტესად იქ არ იქნება საკმაო, თუმცა აწინდელზედკი მომატებულია: თავადისშვი-ლობა გარეშემოგეხვევა; აბა რასა იქმ? შენ ხომ სხუათა მს-გავსად ქრთამებს ვერ აიღებ? და მრავალჯერ გასაცემი კი მოგინდება. – იყოს არ იყოს აწინდელი მდგომარეობა ეკატ-ერინასი და მენგრელთა შენთვის სულერთია: სიმართლის მახ-ვილი გაჰსჭრის ყოველსა; ინტრიგები არაფერია; შენ მიხედავ საქმეებს და ისე მოიქცევი; ეს ყველაფერი ადვილია; მაგრამ მეკი ისევ იმას ვამბობ, რას მოიგებ შენ სოვეტნიკობითა სამ-სახურში? – თუ ჰხედავ სარგებლობას შენის იქ გადასვლითა, სამსახურისაგამო წინ-წასვლას, და მომავალშიაც ამაღლებას, მაშინ რალა თქმა გინდა? გადადი და ლთ^ი იყოს შენი მფარვე-ლი, თუმცა საკუთრივ მეკი დიდად შემანუხებს შენი დაშორე-ბა. – მიმონერით აქედამ მანდა მეტად ძნელია გადანყევით თქმა; იანგარიშე მხოლოდ შენის თავის სარგებლობისათვს, რა

მიგელის იქა და ისე მოიქეც! – თუ სოვეტნიკობა მართლად დიდი რაჟმე არის და უკანასკნელი კიბე შენის სამსახურისა ასასვლელად, წადი. – მაგრამ შენი ნიჭი რად უნდა დაილუპოს, დალპეს მინგრელიაში? – სოვეტნიკობას ყველგან იშოვნის! – თუ იმას ჰფიქრობ, რომ შურიდამ და თბილისიდამ დაშორებითა შეამსუბუქებ ხარჯსა და გადინყვეტ ვალსა, შემცდარი ხარ: მინგრელიაში ნაკლები ხარჯი არ გექნება. – მე ასე მგონია, და ვინ იცის, ეგებ მეც ვჰსცდებოდე.² ჰკითხე იასესა, მიხეილსა, ისინი როგორ გირჩევენ?

შენი ბედნიერების მოსურნე
გრიგოლ ორბელიანი

10^h სექდემ: 1857.
სალათავით.³

ყაფლან ორბელიანისადმი №7 (478)

10^h სექდემ: 1857 სალათავით.¹

ჩემო ღთის² წყალობავ ძმაო ყაფლან!

ეხლა ჩემის ანგარიშით უნდა იყო შენ მთიდამ მოსული შენის ქულქათით; ღმერთსა ვჰსთხოვ, რომ მალირსოს თქუენი ხილვა მშვიდობიანად.

აქამდის არა გწერდი, რადგანაც არ მეგულებოდი თბილისში და იმისათვის ვერ შეგატყობინე აქაური ამბები:

თიბათვეში ამოველ ჯარითა სალათავიაში, სადაცა ვაშენებ ციხესა. – შამილაც იყო აქა დიდის ჯარითა, ქურდსავით ტყეში იდგა, და რამდენჯერაც გამოვიდა ტყიდამ, იმდენჯერ დამარცხებული, ცხვირ-პირ ჩამტვრეული მირბოდა: 24 ივნისს ვეება ხევი ავავსე იმათის დახოცილებითა; ორნი ნაიბნი და მრავალნი მნიგნობარნი ყადიები სულ შტიკებზედ ავაგებინე; იმ დღეს ოთხასზე მეტი დაიხოცა იმათი: – 27^h კათათვესა კიდევ დამარცხდა, 86

მრავალი დახოცეს, 44 ტყვე და ერთი ბაირალი წავართვით; ამისგარდა 29^ა კათათვესა კიდევ დამარცხდა, 250 მოუკლეს და 70 დავიჭირეთ, და კიდევ ამისგარდა 1^ა აგვისტოს დავამარცხეთ და 12 დავიჭირეთ და ბევრი დახოცეს. – დღეგრძელობა შენა გქონდეს, რომ მე ისინი დათვსავით ვაღრიალე და კახეთის სისხლი ავიღე!

ბოლოს შამილამ რა ვერა გაანყორა, ადგა და მიბძანდა პირგამავეებული დარღოს. ჯარებიც ჩამოეფანტა. –

ამასწინათ სალათავიის ნაიბი გამოვიდა ჩემთან 116 სულითა, და მის შემდეგ ყოველს დღეს მორბიან ცოლშვილითა. –

წყეული ხოლერა გვეწვია აქაცა; ასორმოცდაათამდის შეგვიჭამა სალდათი, რომელთაშორის ჩემი საბრალო სტეფანა პოვორიცი წაბძანდა საიქიოს. – ახლა ლთ^{ის}3 მოწყალებითა, თუმცა განჰქარდა ეს საზარელი სენი, მაგრამ მაინც კიდევ აქა იქ გაკვრით თითო ოროლს გაიტანს ხანდახან. –

გიჟი ნიკო აქ არის ჩემთან და ეს მაძლებინებს ესოდენს მარტოობასა და შრომასა. – ძალიან უკვირს ამასა, რომ ამდენს ლეკებს ერთად როგორ ჰხოცენო აქა; რატომ კახეთშიაც არა ჰშვრებინო ასე? –

მაგრამ საშინელმა, მოუნყვეტელმა წვიმამ და ნისლმა მეტად შემანუხა, მეტად მომაბეზრა! ამ სამს თვეში მხოლოდ ცხრა დღე გვინახავს ნათელი! –

მომწერე შენი ამბავი, ჩემო თვალის ჩინო, ძალუა და შენი შვილები მომიკითხე სიყუარულითა, ეგრეთვე კეკლუცი, კოკეტკა სოფიო მისის ქმრითა. –

შენი მორჩილი ძმა გრიგოლ ორბელიანი

კოჭლი სოსიკო მომიკითხე; ალექსანდრემ მომწერა რომ ვანოს ქუნთრუმა შეჰყრიაო!

[16v გვერდის თავში ავტორის მინაწერია უკუღმა:]

ბიძია ალექსანდრეს სიყუარულით მოვიკითხავ.

ლიმიტრი ჯორჯაქისაღმი №57 (479)

ჩემო დემეტრე! კობიევის გამოსხნისათვის მოგენერა და დაგენყოთ პლანი, 1) რომ მთავარმართველს ვჰსთხოვოთ შამშუდდინის ძმისა და კიდევ ვილასისაც მობრუნება ციმბირიდამ, და 2) რომ მანამ ის ციმბირიდამ დაბრუნდება ზალოგად ფული მისცეთ შამშუდდინსა დასარწმუნებლად ჩვენის დაპირებისა.¹ –

პირველი² პლანი დიახ კარგია და ადვილიცა, მხოლოდ დროკი გავა მანამ მობრუნდებიან იგინი³ რუსეთიდამ, და ამისთვის გთხოვ მოამზადო პრედსტავლენიე მთავარმართველთან, რომელსაცა ვჰსთხოვოთ დაბრუნება მათი⁴ არა უბრალო ქართველების გასაცვლელად, არამედ პირდაპირ კობიევისა, როგორც გვთხოვენ მთიდამ.

მეორემ⁵ პლანმა კი დიდად გამაოცა: ზალოგად უნდა ფული მიჰსცე შამშუდდინსა! აბა, რა ჰაზრია? – ლეკს უნდა ფული მისცე და შემდეგ უანგარიშო? ვაჟო, ქართველები უფრო ქრისტიანები არ არიან, რომ თუკი ფული ჩაიგდეს ხელში, ღთ⁶ ვეღარ გამოართმევს! – მეორე ესე: შამშუდდინის ძმა რომ გზაზე მოკვდეს, ფულს ვილასა ჰსთხოვ? და კიდევ მესამე:⁷ შენ რა იცი რომ შამშუდდინს ფული არ ურჩევნია თავის ძმასა, მამასა, პაპასა?

ისევ სხუა რიგად დაანყევით პლანი მაგ საბრალოს გამოსახსნელად; და ეს რაპორტიც გამოცვალე. – არ მომწონს.

შენი გრიგოლი

11^ა სექდ 1857 სალათავიით⁸

ლიმიტრი ჯორჯაქისაღმი №58 (480)

15^ა სექდემ: 1857 სალათავიით¹

ჩემო ბატონო დემეტრე!

ესოდენს შრომას, ესოდენს ავსდარს, ესოდენს ხოლერიანო-

ბას, ზედა-დაერთო ახლა თოვლიცა, და შენ იფიქრე რა რიგად შემანუხებდა ეს ახალი ამბავი! ყინვაც დღეს იყო სამი გრადუსი; მუშაობაც შედგა, ურმებიც ველარ ამოსულან ჩერქეთგან; გზაზე ჰქვეს დიდი თოვლი და უფრო უდიდესი ტალახი. – არ ვიცი რა ვჰქნა!. თუმცა იმედს მაძლევენ გამოდარებისას, მაგრამ როდის-ღა? – ეს ხომ დღეის იქით ოკტომბერია და მთაში, მეტადრე ამ წყეულს ადგილს, სწორე და მართალი ზამთარი. – დიდს გაჭირებაში ვართ, თუ ღთ^ი არ მოგვხედავს მონყალეს თვალითა. –

ახალს გამოსულს ხალხსა ბურთუნაიდამ დაერია ხოლერა საშინლად: მოკვდა ჯამალა სტარია და მისი ცოლი; მოკვდენ ის-მეილასი ორნი ვაჟკაცნი შვილები, მოუკვდა ცოლი ხასბულატსა და თვთ ნაიბიც არის აქ ავათ ხოლერითა, რომლისაგან თუმცა განთავისუფლდა, მაგრამ ასე სუსტად არის, რომ ჯერ ისევ თითქმის უიმედოდ არის.

ძალუა სიყუარულით მომიკითხე, ეგრეთუე ელენე და ნინუცა; გიორგი ჩამიკოცნე.

მთლად კავალერია დავითხოვე საშინელის ავდარისაგამო.

თბილისში ღენარლები უნდა ახლა ახალს ოპერას უყურებდნენ და მეკი აქ ვეგდო ამ საშინელს ტალახში, სიცივეში; ეს ერთი კვირა არის სიცივისაგან პერანგიც არ გამომიცვლია. მახლაზ!

შენი გრიგოლ ორბელიანი

ქეთევან ორბელიანისადმი №108 (481)

ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან!

უდროოდ დაგვიზამთრდა; მოდის საშინელი თოვლი; გზებზე წახდა, შენობაებზეც ჯერ ვერ არის შესრულებული და ვართ ასრე. – ვნახოთ როგორ დავაბოლოებთ ამ დიდად ძნელს პახოდობას, სადაცა ოთხს თვეში ვიხილეთ მხოლოდ ცხრა დღე ერთხელ და მეორედ ხუთი დღე ნათელი, სხუა სულ წვიმა და ჯანლი; ამასთან გაგვიჩნდა ხოლერა, რომელიცა განჰქრა და ბოლოს ახლა თოვლი

და სიცივე.

ღთმა¹ უშველოს ნიკოსა, აქა მყავს და ეს მადლებინებს
ესოდენს ვაივავლახობასა. –

ბიძია ალექსანდრე მომიკითხეთ; ეგრეთვე ყაფლან მის
ქულქათითა და ძალუა ნინო მის ქალებითა.

შენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი

17^ა სექტემ: 1857.

სალათავიით.²

ღიმიტრი მილიუტინისაღმი №3 (482)

20 Сентяб: 1857 Салатавія

Дмитрію Алексеевичу Миліутину.

Командир Ширван:1 Пехот:2 Его Импер:3 Высочества Вел:4
Князя Николая Константиновича полка, Свиты Его Величества Ге-
нерал Маіор К:5 Васильчиков обратился ко мне с просьбою об уволь-
неніи его в отпуск в С: Петербург,6 с тем, чтоб теперьже он здал полк
на законном основаніи, так как по домашным обстоятельствам, он не
расчитывает возвратиться назад.

О желаніи К:7 Васильчикова сообщая Вашему Пре^{ву},8 прошу
Вас принять во вниманіе мою покорную просьбу, чтоб этот полк
принял или Подполк:9 Генеральнаго Штаба Романовскій,10 который
и представлен к переводу в этотже полк, или Полковник Гренадёр:11
полка Сарандов,12 или Подпол:13 Апшер:14 Полка Тергукасов.15

Ходагайствуя за этих Штабофицеров, я смело могу сказать, что
каждый из них будет славным представителем славнаго Ширванскаго
Полка.

Чин Подполковника надлежит быть препятствіем в этом слиш-
ком важном деле, когда судьба би тысяч людей вверяется достойно-
му.

დიმიტრი მილიუტინისაღმი №3 (482)

20 სექტემ: 1857 სალათავიით

დიმიტრი ალექსევიჩ მილიუტინს

მისი საიმპერატორო უდიდებულესობის, დიდი კნიაზის ნიკოლაი კონსტანტინოვიჩის შირვანის პეხოტნი პოლკის კამანდირმა, მისი უდიდებულესობის ამაღის ლენერალ მაიორმა, კ[ნიაზმა] ვასილჩიკოვმა თხოვნით მომმართა მისი ოტპუსკში გაშვების თაობაზედ ს[ანკტ] პეტერბურლსა, მით, რომ მან ეხლავ ჩააბაროს პოლკი კანონიერად, რამეთუ ოჯახური პირობებისა გამო, იგი არ ვარაუდობს უკან მობრუნებასა.

თქუენს აღმატებულებასა ვაუწყებ რა კ[ნიაზ] ვასილჩიკოვის სურვილს, გთხოვთ ყურად იღოთ ჩემი უმორჩილესი თხოვნა, რათა პოლკი ჩაიბაროს ან ლენერალური შტაბის პოდპოლკოვნიკმა რომანოვსკიმ, რომელიც არის კიდევაც წარდგენილი ამ პოლკში გადმოსაყვანად, ან გრენადერთა პოლკის პოლკოვნიკმა სარანდომ, ანდა აფშერონის პოლკის პოდპოლკოვნიკმა ტერლუქაზოვმან.

ვშუამდგომლობ ამ შტაბაფიცრებს და თამამად ძალმიძს განვაცხადო, რომ ყოველი მათგანი სახელოვანი წარმომადგენელი იქნება შირვანის სასახელო პოლკისა.

დაბრკოლება კია პოდპოლკოვნიკის ჩინი ამ ერთობ მნიშვნელოვანს საქმეში, როცა ღირსეულსა ჰბარდება ხოლმე 6^ა ათასი კაცის ბედი.

დიმიტრი მილიუტინისაღმი №4 (483)

24 Сент: 1857 Салатавія. Дмитрію Алексеевичу Милютину.

Вашему Пре^{sv1} представится с этим письмом Поручик Лейб Казач:² Полка К:³ Чавчавадзе, о назначеніи котораго помощником Даргинскаго окружного Начальника я имел честь ходатайствовать у Г:⁴ Главнокомандующаго.

Из отзыва Вашего Пре^{sv5} от 3 Сентяб: видно, что назначеніе это нетолько не воспоследовало, потому что он не принадлежит нашему корпусу, но даже должен ехать на службу в Россію. За необыкновенную

храбрость и две жестоких ран, полученные им в Чолохском сражении, он переведён в лейб Казачий Полк, не для службы в Полку, потому что он не знает фронтовой службы, но в замену награды Георгиевским крестом, к которому он был первоначально представлен. Служба же в Полку nebude для него наградою, потому что, кроме совершенного незнания фронтовой службы, он не имеет и того состояния, которое необходимо офицеру для приличного содержания себя в Столице.

Но К:⁶ Чавчавадзе с своею замечательною храбростью и честностью – составляющія отличительныя его качества, был бы гораздо полезнее здесь на Кавказе по управлению Горскими народами.

По этим причинам я убедительно прошу Ваше Прево:⁷ обратитъ милостивое вниманіе Ваше на этого достойнаго молодаго человека, котораго, если уже нельзя удержать в этом мундире для полезной службы на Кавказе, по крайней мере переименовать по кавалеріи, и согласно моему прежнему представлению назначить помощником Даргинскаго Окруж: Начальника. Смею уверить вас, ходатайствуя занего, я имею в виду одну только пользу для службы.

დიმიტრი მილიუტინისადმი №4 (483)

24 სექტემბერი 1857. სალათავით

დიმიტრი ალექსევიჩ მილიუტინს

თქვენს აღმატებულებას ამ წერილით წარუდგება ლეიბ კაზაკთა] პოლკის პორუჩიკი, კ[ნიაზი] ჭავჭავაძე, რომლის დანიშვნაზედაც დარღოს ოლქის ნაჩალნიკის დამხმარედ, პატივი მქონდა, მეშუამდგომლა ღენერალ] მთავარსარდალთან.

თქვენის აღმატებულების 3 სექტემბერის] გამომხაურებიდამ სჩანს, რომ ეს დანიშვნა არათუ არ აღსრულებულა, რადგან ის არ ეკუთვნის ჩუენს კორპუსს, არამედ რუსეთსაც კი უნდა გაემგზავროს სამსახურისათვის. გასაოცარის სიმამაცისა და ორი უმძიმესი ჭრილობისათვის, რომლებიც მიიღო ჩოლოქის ბრძოლაში, ის გადაყვანილია ლეიბ კაზაკთა პოლკში, არა იქ სამსახურებლად, ვინაიდან არ არის განაფული ფრონტის სამსახურში, არამედ გეორგიევსკის ჯილდოს

სანაცვლოდ, რომელზედაც ის წარდგენილი იყო იმთავიდან. ხოლო პოლკში სამსახური არ იქნება მისთვის ჯილდო, რადგან, გარდა ფრონტის სამსახურის სრული უცოდინრობისა, მას არც ის უნარი გააჩნია, რომელიც აფიცრისთვის აუცილებელია დედაქალაქში თავის საკადრისად შენახვისათვის.

მაგრამ კ[ნიაზი] ჭაჭაჭაძე თავისი შესანიშნავი სიმამაცითა და პატიოსნებით – მის განსაკუთრებულს თვისებებს რომ შეადგენენ, კავკასიაში მეტის სარგებლის მომტანი იქნებოდა მთიელი ხალხის სამართავადა.

ამ მიზეზთა გამო მე დაჟინებით ვსთხოვ თქვენს აღ[მატებულებას], ყურადღება მიაქციოს ამ ღირსეულ ახალგაზრდა კაცსა, რომელიც, თუკი შეუძლებელია მისი ამ მუნდირით დატოვება სასარგებლო სამსახურში კავკასიაში, მაშინ კავალერიაში მაინც ყოფილიყო გადაყვანილი და ჩემი უწინდელის წარდგინებით დაინიშნოს დარღოს ოლქ[ის] ნაჩაღნიკის დამხმარედა. ვუჟამდგომლობ რა მას, ვჰბედავ დაგარწმუნოთ, რომ მხოლოდ სარგებელს ვგულისხმობ სამსახურისთვისა.

ღიმიტრი ჯორჯაძისადმი №59 (484)

ჩემო დემეტრე! კობიევის საქმეზედ რაპორტი გადავანერინე და по военной части* წარვადგინე მთავარმართველთან; ამასთანა ერთი წერილიც დავატანე მილუტინს, რომ ციმბირიდან ტყვეები გამოგზავნონ ფოშტითა და პრაგონებს ჩვენ მივსცემთ. –

მერე, ჩემო ბატონო, ეს სამი დღეა რა გამოიიდარა და ვნახოთ როდემდის. – მუშაობა მიდის და მიდის; ურმებიც, ჯერ ღთით¹ და მერე შამხლისა და შენის წყალობით, მოდის და მოდის. – მახლაზ, უნდა როგორც იყოს, მცხეთობას – გწყალობდეს – ვაკურთხოთ კაზარმები ქლაგის აშეებით და ზარბაზნის შადლუხებით.

ნიკო წამოვა ოთხსშაბათს; არათუ მარტ[ო] მანდ მოდის, თავგადაგლეჯილი თბილისამდის მირბის. ქართველების ამბავი და ცხოვრება ასეა, სულ უთავ-ბოლო. –

თუთონ გეტყვის ყოველსავე.

ძალუა, ელენე, ნინუცი მომიკითხე სიყუარულით; გიორგი ჩამიკოცნე.

შენი გრიგოლ ორბელიანი

[1857 წლის 19-24 სექტემბერი]

*სამხედრო ნაწილში.

ლიბიტრი ჯორჯაქისაღმი №60 (485)

ჩემო დევეტრე! ჯამობეგი აცხონოს ღთმან!

მერე:

1) ვიცი რომ ყაითალს კარგად მოუვლიდა ჰათამობეგი, მაგრამ არ მოასვენებენ ჯამობეგის შვილები; მაშასადამე არ იქნება ჯერ ამ ჟამად მაგის იქ დანიშვნა.

2) ჯამობეგის შვილებთაგან ერთი არის ჭანკა, და მეორე გარყვნილი და ყმანვილი; მაშასადამე არც ესენი იქმნებიან.

3) მაშასადამე უნდა მოვიდეთ ახმედხანთან, რომელიცა თუმცა არის ლოთი и с дикими понятиями,* როგორც ინერები – მაგრამ იმ მხეც ხალხისათვის, ეგ ურიგო არ არის, დამიჯერე, ზედგამოჭრილია; და თუ პანჩენკამ, ან მანუკინმა რიგიანად ეგ მოიხმარეს, კარგად მოუვლის ზემოყაითალსა, რომელთაცა მხოლოდ ეს უნდათ, რომ იყოს კაცი, რომელსაცა შეეძლოს იქ სიარული უშიშრად და მაშასადამე სამართალიც ადათისამებრ.² – ეს დიახ კარგად შეუძლიან ახმედხანსა, რადგანაც ჰყავს მთაში დიდი დამოკიდებულება. – საქმე მანუკინია და პანჩენკა, რომ დროდროზედ აძლევდენ დარიგებასა და ასწავლიდენ. –

ამა მიზეზთაგამო მე აღმირჩევია, ვინც რა უნდა ჰსთქვას, ახმედხანი.³ – შენ მოამზადე მიწერილობა მანუკინთან. იმის დანიშნისათვის. ზემოყაითალს⁴ და მერე ოლოლო⁵ მითხარ! –

ამ ნიკოლაის, გთხოვ, აჩვენებინო ტუსალები გასაცვლელად ქართველებზედ, და არა ისინი, რომელნიცა არიან დანიშნულნი რიცხვით, ვეჭობ 11^{მა}, კობიევისათვის. –

გამოიდარა, და ვევედრებით ცას, რომ ორი კვირა მოგვცეს ნათელი. –

ნიკოს წერილებს უკანვე გიგზავნი; ეგებ მანდვე მოასწროს.

შენი გრიგოლ ორბელიანი

ძალუა, გიორგი, ელენე, ნინუცა მომიკითხე.

26^ა სექდ: 1857.

სალათავიით.⁶

*და ველური ცნობიერებით.

ლიმიტრი ჯორჯაძისადმი №61 (486)

ჩემო დემეტრე! აი მოწერილობა მილუტინისა კობიევის გამოსხნისათვის, რომლიდამაც ჰსცნობ მთავარმართებლის ჰაზრსა; მაგრამ გთხოვ, რომ ესე შეინახო საიდუმლოდ და არა უთხრა ვისმე, თვთ იმის ცოლსაც, თორემ მაშინვე მოეფინება ბარშიაცა და მთაშიაცა.

ველმწიფის კანკოსში ითხოვენ ჩვენგან ათსა ყმანვილსა კაცსა, არაუდიდეს 25^{მლ} წლისა.

აი ჩემი ჰაზრი ამაზედ:

1) შამხლის გვარიდამ ერთი, ანუ ორი, ისიც ძნელად არის საპოვნისი; თუ იქნება კუმტურყალიდამ იბრეიმ,¹ რომელმანცა იცის რუსულიცა, და სხვაკი არ ვიცი ვინ უნდა დაინიშნოს? – მოძებნე, ეგებ იპოვნო ჰილლიში, ანუ თარლოში და ანუ სხუაგან! –

2) მეხთულოში არავინ მეგულება; მაგრამ მაინცკი მოძებნე.

3) ლაზარევთან მოილაპარაკე, არიქნებაა, რომ ნურბაანყა-დიასშვილი დაინიშნოს? –

4) ორი ან სამი ყაზიყუმუხიდამ; იქ, მგონია, არიან ხანის ჩამომავლობისანი. –

5) ორი ან სამი ტაბასარანელებთაგან.

6) ყუბაში

7) უბადრუკს ყაითალის გვარში.

8) სამურსკის ოკრუღშიაც აბა მოძებნე?

9) უსუფბეგის შვილიც კარგია, თუ მამამ გამოიმეტა?

ეს ასე. –

აბა ახლა ნაიკითხე უკანასკნელს ცისკარში ლექსი კნეიჟნა მარიამ ერისთავისა, ნახე როგორ მოგეწონოს?

ვისი ქალი არის? –

ღარი გაგვიკეთდა, გაგვინათლდა, გაგვიბრწყინდა; მუშაობა ჰდულს და გადმოდის, ორს კვირას კიდევ ვევედრები ცასა, და რა ვიცი, რატომ არ უნდა მისმინოს, რა დამიშავებია?

ნიკო რას ჰშვრება? ნავიდა, თუ მანდვე იმყოფება? – ეგ სწორე ქართველია, რომელიცა თავის საქმეს ყოველთვის ბედზედ აგდებს! ათასს ვერსტსა მირბის და მორბის.

აბა, რა დაანყევით დიდს სადარბაზო რჩევაში?

შენი გრიგოლ ორბელიანი

30^ა სექტემ: 1857

სალათავია.²

მცხეთობას ვერ ვაკურთხეთ და ვერ განვჰსწმინდეთ აქაურობა ქრისტიანულის ლოცვა-წირვითა. – 14^ა ოკდომბრამდის დაუტყვევთ.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №62 (487)

ჩემო ბატონო დემეტრე!

მერე: ჩემმა ყელესე მაჰმადამ¹ შემოიტანა ჩემდა საჩივარი, რომ ვოინსკის ნაჩალნიკი სახნავს მიწას მართმევსო და ნებას აღარ მაძლევს ხენისასაო.

მართალია, მე ვუბძანე კამენდანტს ვასილიევს, რომ ნულარავის მისცემენ შურის გარეშემო სახნავს მიწას, რადგანაც ჩვენს ცხენებს აღარა ჰსჩებოდათ საძოვარი.

მაგრამ, რადგანაც ეს მაჰმადა დიდისხნის ნამსახურია და

მრავალჯერ ერთგულებაში სისხლ-დაღვრილი თავდადებით, ამის-გამო გთხოვ გამოუცხადო კამენდანტსა, რომ ამას მიეცეს ისევ თავისი სახნავი მიწა სარჩოდ ამის ცოლშვილისა. –

ნინიკამ უნდა იცოდეს ამის მიწა. –

ამჟამად ესა მაქუს და არა სხუად რაიმე მოსახსენებლად.

შენი გრიგოლ ორბელიანი

30^ა სექტემ: 1857

სალათავია.²

ხვალ არის მცხეთობა, გწყალობდეს! ვინძლო, ერთი სან-თელი დაუნთო ღთ^აისმშობელს.³

ღიმიტრი ჯორჯაძისადმი №63 (488)

ჩემო დემეტრე! რაც ამ მანუკინის წერილში არის გამო-სახულ-გამოხატულ-გამორანდული – რომელსაცა გიგზავნი – დი-ღიხანია სულ ზეპირად ვიცი. –

ადრევაც მინკვიცს ვჰსწერდი და ვჰსწერდი, რომ ზე-მოყაითაღს ჩვენი ჩინოვნიკი ვერ მოუვლის, თუ არეყოლება საკმაო ჯარი, ანუ ძალი, რომლითაც შეეძლოს ურჩებისა და ავაზაკების დამორჩილება, დამონება, მაგრამ ვერა გავაგონერა; და ცარიელის ჩინოვნიკის გაგზავნა 50^ა ყაზახით რა იქნება და ვინ დაემორჩილე-ბა? ვაჟო, ღენერალ სუსლოვსა ოთხს საათში მიუწვინეს 500 კაცი და ჩინოვნიკმა რა უნდა გაარიგოს იქა? – ან ბეგები მოასვენე-ბენ ხალხსა? – რა უყო, განა არ ვიცი, რომ ჯამობეგის შვილები უგუნურები არიან, ჰათამბეგი ჭანკა არის, ახმედხანი ველური მხე-ცი, მაგრამ სხუა გზა რომ არ არის? –

ამისგარდა, მაინც ყოველივე ისე აღსრულდება დროზედ, როგორც მანუკინი იწერება თავის თავათ, როდესაც ჩვენი პრო-ეკტი დამტკიცდება. – უეზდნის ნაჩაღნიკს ეყოლება 100 ყაზახი, 40^ა ნოქერი, იდგება ტაბასარანისა და ყაითაღის სამზღლუარზედ; ეს ორივე ხალხი იქნება მის ხელქვე, და ღთ^ამან¹ ჰქმნას, რომ მაშინ²

მანც³ შეიძლონ მთის ხალხის მოვლა და მიზიდვა.⁴ – განა⁵ რამდენნი ჩინოვნიკები არიან, რომელთაცა შეეძლოსთ მთის ხალხის დაკავშირება, მიზიდვა მმართველობისადმი?

ცარიელი სიტყვები ხომ არ უნდა; სიტყუა – საქმეა, საქმე! – 27 წელია, ჭარბელაქანს უვლიან ჩინოვნიკები; ძალიან მიზიდულია ხალხი ჰააა?⁶ –

ამისთვის გთხოვ, რომ მისწერო, წიგნად, ჩემმაგიერ მანუკინს ყოველივე ესე, და დააბოლოო რომ ახმედხანი უნდა იყოს, რამდენიც ვიანგარიშე, ამაზედ მეტი არა გამოდისრა; და დროზედ ესეც იქნება უეზდნის ნაჩაღნიკის ხელქვეით. –

თათრებმა რომ ერთმანეთი დაჭამონ, არაფერია, მაგრამ თათრებმა რომ ჩინოვნიკი მოგვიკლან ალენიჩსავით, ხომ ერთი ვეება ეკსპედიცია უნდა⁷ გაიმართოს? რისთვის და რადა? –

კარგად უნდა შეიტყოს, რომ ამ ჟამად ჯარი არა მყავს, რომ ყველა უჩასტკში დავაყენო. – წლეულს ერთი პოლკიც ყაზახისა მომიკლეს მე და გაგზავნეს საქართველოსაკენ. –

აი მიზეზები და კიდევ მრავალნი სხუანი, რომელნიცა აღრიცხულ არიან მინკვიცთან მინერილობაებში. –

შენი გრიგოლ ორბელიანი

1^ა ოკდომ: 1857.

სალათავია.⁸

ღიმიტრი ჯორჯაძისადმი №64 (489)

ჩემო ბატონო დემეტრე!

ეს ლამაზი ჩოქჩოქა გამომიგზავნია შენდა, რომ მოისმინო ამის საჩივარი და გაუსამართლო, ესე იგი: შეენიო, ეგებ ხასკინი სვინიდისში მოიყვანო შენის ლამაზსიტყუაობით და მიაცემინო ვალი, რომელსაცა უარსჰყოფს ბანკრუტობისაგამო.

მერე:

დღეს გაიქცა ბაგრატიონის საყუარელი და მრავალთა-

შორის აღმორჩეული მისგან, тело хранителемь,* რომელმანცა მიიღო ქრისტიანების სარწმუნოებაც, და იყო ბაგრატიონისა ხელისხელ საგომანები – სახელი მისი არვიცი – ვოლკოვსაც ახლდა ერთხელ. – გაქცევის დროს კინალამ აფიცარიც არ მოკლა აფშერონ: პოლკისა, დაბანჩა დააცემინა და არ გაუფარდა. – ბაგრატიონის ბარგი თურმე ამას ებარა, და სულ, რასაკვირე-ლია, გაუფლანგამს. –

ამაზედ მომდის ბრაზები, რომ არ იქნა, ვერ შევავგონე მაგ უგუნურსა, რომ უბრალო ვიღაებსაც, ყარტა-ყურტებს, ნუ მიიკარებს ახლოს; თავის თავის მცველად იყოლიოს ძველებნი, რომელთაცა 15^ლ წელიწადებში¹ გამოაჩინეს სისხლის დანთხევითა ერთგულება თვისი, მაგრამ არ იქნა, ვერ შევავგონე, და ჯერ სამნი გაქცეულან მაგის სახლიდამ; კიდევ ღთ^{მა} უშველოსთ, რომ არა ჰკვლენ მაგას! –

თუ მანდ იყოს ესეები უთხარ ჩემმაგიერ; გაახილოს თვალები; მე ჭეშმარიტად მეშინიან მაგის სიცოცხლისათვის.

შენი გრიგოლ ორბელიანი

1^ლ ოკდომ: 1857.

სალათავიით.³

*მცველად.

ღიმიტრი ჯორჯაძისადმი №65 (490)

ჩემო ბატონო დემეტრე!

ღთის¹ შეწევნითა და შენის წყალობითა გუშინ დილით, ცისკრის ჟამსა, ავიღე ბურთუნაი, უკანასკნელი ძალა შამილისა სალათავიაში. – ამ სოფლის გასამაგრებლად შამილმა მოიხმარა მთლად თავისი ვეება ჯარი მთელს ზაფხულს, და მართლად დიდად ძლიერად არის გამაგრებული: სამსაჟენზედ მეტი გარეშემო ავლია თხრილი და მასზედ დაწყობილი გოდორყუები მიწითა და ქვებითა ავსილი. – ახლა შამილისაგან აშენებულს ციხეში მყუდროდ და

მოსვენებით ჰსდგას ჩვენი სამი ბატალიონი ოთხის ზარბაზნითა. –

მაგრამ თუ დამეგვიანებინა ერთის დღით ამის აღება, მაშინ-
კი ძალიან გამიძნელდებოდა, რადგანაც შამილისაგან მოდიოდნენ
შვიდის ნაიბის ჯარები ამ სოფლის დასაცველად. – მზე ამოვიდა
ბრწყინვალედ; მე მეჩითის ბანზედ ვჰსვამდი ჩაისა; ბარაბანშიკები
უკრავდნენ ახალს აღებულს ციხეში ზორსა,² როდესაც გამოჩნდ-
ნენ მურუდის ჯარები გუმბეთის გზაზედ; და შენ იფიქრე იმათი
პირდაღებით გაოცება, რა სრულებით მოულოდნელად ნახეს რუ-
სის ჯარი ბურთუნაიში! – მახლაზ,³ 14^{აბ} დაჭრილის სალდათით
მოვრჩით ამას,⁴ მართლად მძიმეს⁵ საქმესა. – ხალხსა ადრევე
ჰყუანდათ ცოლშვილი დახიზნულად ტყეებში.

ენახოთ, ახლა შამილ ვის დააბრალებს? –

ბაგრატიონმა გუშინ სალამოზე მომიტანა შენი წერილები,
რომელთა პასუხსა ფოშტით მოგწერ. – ამან⁶ ველარ მოუსწრო
ბურთუნაის აღებასა; – მაგრამ რა გაენყობა? შურა მრავალთათჳს
გარდაიქცა პადუად.⁷ – კამისაროვიც მანდა ბძანდებოდეს! –

შენი აქ მოსვლა იქნება მხოლოდ საკუთრივ ჩემთვის სასიამო-
მოდ; მაგრამ ქალები ვის ანაბარად გაუშვა? და ამასთანა არცა
სამოქალაქოს საქმეები ჰშთებთან გადუნყვეტელად? – ამისგამო
ისევ მანდ იყავ; სამის, ოთხის კვირით არა გახდებარა!⁸ –

შენი გრიგოლ ორბელიანი

6^ა ოკდომბ: 1857.

სალათავია.⁹

შენ დაბეჭდე ეს შამხალთან მონერილი და გაუგზავნე.

ლიმიტრი ჯორჯაძისადმი №66 (491)

ჩემო ბატონო დემეტრე! ჰსწორედ მოგახსენო, აქყოფნა
ძალიან მომწყინდა; ძალიან შემანუხა ესოდენმა მუშაობამ და
ესოდენმა ავდარმა; სამის დღის წინ იყო 9 გრადუსი ყინვა.

შამილას შვილი მოვიდა – ყაზი მაჰმა – მდევრად; საიდლამაც

გამოისროლა ირიოდ ზარბაზანი და მერე მიიმალ-მიიფარა სოფლებში და ტყეებში, და ვართ კიდეც ისრე მიჩუმებულნი. – ახლა დაგურჩა ჩუჴნ უკანასკნელი საქმე, ტყის გაკაფა. – ესკი, მგონია, დაგვიჯდეს ძვირად.

დღეს შესრულდა კაზარმებზედ კალატოზების მუშაობა; ახლა გვაკლია მხოლოდ მათი დახურვა და *отпорניתельная стена*,* რომლითაცა შეერთდება კაზარმები და შეიკვრის ოთხკუთხედ. – მახლაზ, ეს ოკდომბერიც მოგვინდება ამაებისათჴს, თუმცა 15^ლ მექმნება კურთხევა ამა ახალის ციხისა დიდის შადლუხებითა. – ვაი, ერთი ცხვირი დამაცემინა! ბიძა ჩემი ალექსანდრე დიდად გამინყრებოდა ამა ბაიყუშობაზედ. –

ბეგ-მირზა, დიდად ქებული, რომლისათჴსაც გამოგეტანა წერილი, მე ვერა ვნახე, და მგონია, არცკი მოსულა აქა. – მე, სწორედ გითხრა, მაგ გვარი კაცი არ მიყუარს: პოლკში შევიდა, და არ დადგა დიდგულობისაგამო; ლაზარევთან განვანესე და არცა იმასთან ჰსდგება, და ახლა აქ მორბის, ისიც მაშინ, როცა თითქმის გადაწყვეტილია ბრძოლა აქა. – დაღისტანში, ყოველს ადგილს უნდა მოელოდეს კაცი შემთხუევასა, ოღონდკი ჰქონდეს მოთმინება: იმდენი დღეგრძელობა შენ გქონდეს, რამდენჯერ თოფი გავარდეს აჰყოშაში და მეჰხთულოში; მაგრამ ეგ ბეგ-მირზა რალასაც ბატონისშვილობს!

ალალარის თხოვნამ გამაკვირვა! შახნაზაროვმა ეხლა მიიღო ჩინი; ამან უნდა დიახ დიდი, მძიმე რამ სამსახური გამოაჩინოს სხვებზედ გარდამატებულად, რომ ეგებ მაშინ ძლივს, როგორმე, გადიყვანონ კავალერიაში, და მეორედ ადუტანტობა, – ეს ხომ ორი დიდი ჯილდო არის? და აბა, ახლა ვიანგარიშოთ, რა უქმნ[ია] განსაკუთრებით, განსხუაებული უფალს შახნაზაროვსა? – მე ეს-ეები მივსწერე ალალარს[ა] და შეუთვალე უარი. –

გრემელის დედაკაცისათჴს მე მივსწერე ალალარსა მადლობასა იმის გამოხსნისათჴს და ვჰსთხოვ, რომ გამომიგზავნოს, რადგანაც დიდხანია ვეძებთ მაგასა.

ახლა მოვიდეთ საბრალოს კობიევის საქმესთან.

თუ კობიევის გამოხსნა გაძნელდა, გამძღავრდა, იცოდე და კიდეც იცოდე, რომ პირუელად შენ ხარ დამნაშავე, და მერმე

ცოლი მისი! – ვერ შეგაგონეთ ვერც ერთსა, რომ თქვენგან ხშირად მიწერა, კაცების გზავნა და ამ გვარი რაღაებიცა გააძნელებს კობიევის გამოხსნასა. – არც თქუჴნ მოისვენეთ და არცა ქვეყანა მოასვენეთ, ჰგზავნეთ და ჰგზავნეთ კაცები. – მაგას რა წინასწარმეტყველობა უნდოდა, რომ ბოლოს აგრე მოხდებოდა! – შენ ცალკე ჰსწერდი; ცოლი ცალკე; კაკალაც თავის მხრით; ლაზარევი თავის მხრით; მითომ რა გგონიათ, მე თქუჴნზედ ნაკლებ ჰმსურს მისი განთავისუფლება? –

ცოლის ავათმყოფობით კობიევს არა ეშველებარა. – ახლა თქუჴნ ვინმე უნდა მიჰსწეროთ საიდუმლოდ, რომ მითომ მე არ შევიტყო. „კინაზმა შეიტყო ჩვენი შენთან მიწერმოწერა და ასე გაგვიწყნრა, რომ კინალამ კობიევის ცოლშვილი არ გააგდო შურიდამ საქართველოში, და ასე გამოგვიცხადა, რომ ვინც კობიევში ათთუმანზედ მეტს მისცემს, იმას გაასალდათებენ და ახლა თქუჴნ იცით“.² – ასე მისწერეთ, თუ გინდათ მისი გამოხსნა. – ნიკორკინში ითხოვდნენ ოთხასს თუმანსა, [დ]ა მე რომ ყური არ ვათხოვე, ახლა ასს თუმანს ითხოვენ. – აი ასე უნდა ელაპარაკოთ და ევაჭროთ მთიულს ხალხსა!

შამხალი მომიკითხე და ასე უთხარ, რომ თავის შვილისა ტყვეობ[იდამ] გამოხსნისათვის სულ ნურავის დაელაპარაკება, თორემ წახდება საქმე, მითომ მკუდარია, დაანებოს თავი, ვიდრე თვთ მთიდამ არ დაელაპარაკენ.³ –

ახლა მოვილაპარაკოთ აყროლებულის შამშუდდინისათვის: შამხალს ურჩიე, შენგნით, რომ ვითარცა მამამ, ვითარცა შამხალმა, რომ გადაახდევინოს ურჩისა და დამნაშავესა შვილსა, არათუ დამცირებაა მაგის ხარისხისა და მაგის ოჯახისა, დიდი ქება იქნება და დიდი დიდება, რადგანაც გამოაჩენს მით ჰსჯულიერსა სიმართლესა თვთ თავის შვილზედ. – იბრეიმ-ხანი და რეშიდხანიც მაგისი შვილები არიან, ორნივე ერთი ოჯახია, და ეგე თავი ოჯახისა; და ამისგამო არუნდა უსამართლოებით მიეკერძოს დამნაშავეს შვილსა. აბა, რას იტყოდა შამხალი და ანუ თვთ მისი უვარგო შვილი, რომ იბრეიმხანსა[ნსა] მოეკლა მაგათი ვინმე ნოქერი? – აი ამ მხრიდამ უნდა გაშინჯოს ეს საქმე და ისე მოიქცეს და გადაწყვიტოს ეს საქმე შამხალმა! – ამ საქმეში შენ

და ბაგრატიონი მეტადრე ისე ჰსჯით, როგორცა ახლად მოსული ვორონეჟიდან რუსის აფიცარი: Какъ смел допустить народъ до волненія?*** – ვაააი, ვაი!

რას გადამეკიდა ასსევი? – ადრევე დიდხანია მივეც მაგას მონერილო[ბა] ხუდოჟნიკისა – მგონია ვასილიევისა – რომელიცა ითხოვდა ვეჭობ ოცდაათს თუმანსა ხატებისათუს, და მაგას ის წერილი დაუკარგავს; ახლაკი მევე [მ]თხოვს. – იმის მაგიერ გიგზავნი კანტორის მონერილობასა, რომელსაცა ეცოდინება ხუდოჟნიკის სახელიცა და სახლიცა, და იმათგან ეგ ასსევიცა შეიტყობს იმის სადგურსა.⁴ – მე ამაზედ მეტი აქ ვერა ვიპოვერა. –

შენი გრიგოლ ორბელიანი

12^ს ოკდომ: 1857.
სალათავიით.⁵

[ხელმონერის გვერდით მინაწერია:]

გთხოვ, ჩემო დემეტრე, გაუგზავნო ძალუას ქეთევანს ოცი თუმანი და მისწერო რომ ეს ფული მისცეს ჩემს დისწულს ბაბალესა.

*დამცავი კედელი

**როგორ დაუშვა, ხალხი მიეყვანა მლეღვარებამდე?

ქეთევან ორბელიანისადმი №109 (492)

ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან!

ვჰმადლობ ღთ^{სა}¹ განთავისუფლებისათუს ჩემის დისწულის ბაბალესი ესრეთის საშინელის ავათმყოფობისაგან. – მომწერეთ, ეხლა როგორ არის და ან მოსულიერდა კარგად? –

დიმიტრი ჯორჯაძე გამოგიგზავნის ოცს თუმანსა; გთხოვ, ძალუავ, ეს ფული მისცე ბაბალესა.

მე ღთ^{სა}² მოწყალებით კარგადა ვარ, მაგრამ ძალიან დაზა-

მთრდა, დიდი ყინვები და ბუქები დაიწყო ამ წყეულს ადვილსა, და კიდევ მაინც ერთს თვეს გაჰსწევს ჩემი აქ ყოფნა.

ძალუა, გიორგი და ნინუცა კარგად არიან; მაგრამ ელენეკი დაჰშორებია ამათ და წასულა თავის ქმართან ჩირიურთში.

შემატყობინეთ, ჩემი ბიძაშვილი ბაბალე, მოვიდ[ა] პიატიგ-ორსკიდამ, თუ ჯერ ისევ ანანურში[ა?]

ყაფლან ქულქათით მომიკითხეთ სიყუ[ა]რულით, ეგრეთუე ძალუა ნინო მის ქალებით. – როგორ არის თამარ და ან როგორ არგო წყალმა?

ბიძია ალექსანდრესა და სოსიკოსა ვერ მოვასწარ ცალკე მონერა. – სწორედ მოგახსენო, ფეხები და ხელები სულ გაყინულ-სავითა მაქუს.

შენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი

15^ს ოკდომ: 1857.

სალათავიით.³

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №67 (493)

15^ს ოკდ:¹

პირუელი წერილი დარჩა აქამომდის გამოუგზავნელი: ასე-თი საშინელი ბუქი, ქარიშხალი [იყო],² რომ ყაფის მთა ირყეოდა საძირკვლიანად და მრავალნი მხეცნი, კამბეჩოვანად წოდებულნი, შეიქმნენ უსულოდ. დღესკი ამ დილით ჰაერი დამშვიდდა, და-ყუდდა; მზემაც მოგვფინა მაცოცხლებელი შუქი თჳსი და ცოტა ოდენ ათბობს გაყინულსა აქაურობასა.

ბრიყუნი ბაშლელები, მანამ კარგი დრო იყო, არ მოდიოდნენ ევგენიევსკიდამ, და როცა იმათს ელჩებს ბორკილები შეუყარე და ზოგიერთთა ვაგლიჯე წვერიცა, მაშინკი წამოვიდნენ პროვიან-ტითა, მაგრამ ბევრი დრო გავიდა და მოასწრო ბუქმა. – გუშინაც იმ საშინელს ქარიშხალში არ დადგნენ აქა, გამოიქცნენ ურმებითა და მეცა მეტი ვერა მოვახერხერა, გამოუყენე ერთი ბატალიონი

გზაზედ მტრისაგან დასაცველად, და ჯერკი არ ვიცი, როგორ ჩამოვიდნენ ან ბატალიონი და ან ურმები ევგენიევსკში იმ დიდს ბუქში.

ლენერალი ვოლკოვი მის დიდის შტაბით მოვიდა მშვიდობიანად; გუშინ გავგზავნე ბურთუნაის ბატონად.

ჯერ ორჯელ დაგვინახავს მზის ჩასვლის დროს ერთსა და იმავე ადგილს საკურველი სანახავები: ეკკლესიები, მინარეთები, ხიდები, ხომალდები, ნაგები, ზღუა, სამრეკლოები, ბესედკები, ასე ცხადად, ასე შეურყეველად, რომ თითქოს მართლად ერთი ვეება ქალაქი ჰქვევს ზღუის პირსა. – ორჯელ გვიხილავს ესე, და ორჯელვე მის შემდეგ საზარელი ქარიშხალი ამდგარა. – ნასწავლი კაცი ხარ, იერონიმეს გაზდილი, აბა ჩახედე შენს კარაბადინში, რას ჰნიშნავს ამ გვარი ჰაერში მოჩვენება? –

ამ წერაში ფეხები გამეყინა; მინდა, გავიდე მზის მყუდროზედ, ეგებ გავთბე.

შენი გრიგოლ ორბელიანი

შუადღის შემდეგ:³

მტერმა გამოიტანა ორი ზარბაზანი და დაიწყო სროლა დიას შორიდან. ბურთუნაის ბატონმა ეს დიდად ითაკილა და გაუსია სტრელკის ბატალი; მტერი იქვე შევიდა ტყეში. ჩვენმა სალდათებმა ისროლეს, ისროლეს, ახლა ზარბაზნებმაც ზედდააყოლეს ბრახა-ბრუხი, თითქოს მართლად დიდიბრძოლა იყოს; მაგრამ რაუყოს კაცმა? ეხლა სროლა აღარ ისმის. –

სალამოს.⁴

მომივიდა მთავარმართებელის წერილი, რომლითაცა მილოცავს ჯელმნიფის წყალობასა, ოქროს შაშკას აღმასით შემკობილსა! –

ბაგრატიონის წერილი მომივიდა ამ მინუტს ჩვენის არქაზის კამენდანტის ხელითა. – ყოველივე სურვილისაებრ ბაგრატიონისა აღსრულდება. –

დრაგუნების თივისათვის უთხარ, რომ განკარგულება მომიხ-
დენია: კამისია შედგება, შეამონმებს თივის რაოდენობასა, და ისე
დაურიგებენ ჯარსა, ვისაც ჰსურს.

ლიმიტრი ჯორჯაძისადმი №68 (494)

ჩემო ბატონო დემეტრე!

მოვიდა ისაია და მოიტანა თოვლი; მოვიდა კამისაროვი
და მოიტანა ქარიშხალი, რომელმანცა გუშინნინაც კინალამ არ
მოგვიტაცა აქედამ კაზარმებითურთ.

მახლაზ, გზები შედგა; ურმები ველარ ამოსულან ევგე-
ნიევსკიდამ და ჩვენკი ველით და ველით აგურსა, ფიცრებსა, ფი-
ჭვის ხეებსა; მაგრამ სად არის?

ახლა ჩემო დემეტრე! მიდი ასსევთან და ჰსთხოვე,
თუ აქუს железные листы,* რიცხვით 600, ანუ რაოდენიცა
ჰქონდეს, გამოგზავნოს ქირის ურმებით ევგენიევსკში; და
თუ ამ რიცხვს დააკლდეს, ეგებ ზარგაროვმა, ან სხვა ვინმე
შურაში იშოვნოს და ან პეტროვსკში, და გამომიგზავნოს ევგ-
ენიევსკში, საიდამაც როგორც იქნება ცხენებით ამოვატანინ-
ებ აქა. – თუ ასსევმა მომცა, სამაგიეროს მოუტანინებ, და
თუ სხუა კუპცებმა, ხომ ფულს მივსცემ; ოღონდკი საჩქაროდ
გამოგზავნონ ჩერქეისში. –

მომირთმევია ცისკარი;¹ ძალუას წაუკითხე და მომიკითხე
სიყუარულით, ნინუცაცა; და გიორგის ვაკოცებ.

შენი გრიგოლ ორბელიანი

17^ლ ოკდომ:² 1857

სალათავია.³

დღეს იყო ბოსკეს შაგირდისაგან სხუა და სხუა თვალთმაქ-
ცობა, და ბურთუნაის თეატრი სავსე იყო ხალხითა.

* თუნუქის ფირფიტები.

ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №16 (495)

23 Октяб: 1857. Салатавия.

К:¹ Барятинскому.²

Ваше С^{во3} в письме от 3 октяб: осчастливил меня радостным известіем о награжденіи меня золотою шашкою, алмазами украшенною.

Знаю, что не блеск моих заслуг, а только чувство Вашего ко мне благорасположенія удостоило меня высочайшей награды. Но Ваше С^{во4} награждая, налагает на меня тяжёлый долг: стать службою своею в уровень того лестнаго вниманія, которым я так постоянно удостоиваюсь Вами. Незнаю, будули в состояніи выполнить эту священную обязанность, но, по крайней мере, всегдашнее, задушевное желаніе моё: быть перед Вами всегда с светлым лицом.

Здесь и в остальной части Прикаспійскаго края всё благополучно.

Казимагома довольно с значительным скопищем занимает леса к стороне Ахташ Ауха.

20го Октяб: было освященіе новой, воздвигнутой здесь Штаб-квартиры, хотя ещё остаётся многое доделать.

Глухой ропот народной ненависти противу Шамиля становится слышнее; раздаются со всех сторон жалобы на безконечную войну, которая привела Горцев к совершенному разоренію; народ единодушно желает мира. И по всему видно, что нынешній порядок вещей в горах, созданный новостью Шариата, распадёт со смертью Шамиля, и даже ещё ранее. В числе других лиц ведёт со мною переговоры Шахмандар-Ажи, человек весьма уважаемый и народом и самым Шамилем.

Сегодня приехали сюда Шереметьев и Барон Зенфт Фон-Пильзан; неполагаю, чтоб им понравился Буртунай с его бурями и холодом. Я поместил их во вновь построенной Казарме.

Глубоко сожалею, что Вашему С^{ву5} неудобно было приказать Адъютанту Вашему Молоствову прямо поехать ко мне. На что моё

согласіе там, где есть прежнія Вашего Сіятельства? В особенности такого прекраснаго офицера, как Поручик Молоствов, всякій отряд пріймет с радушіем. Но теперь Салатавскій отряд останется только до 15 Нояб.:, и если к тому времени он успеет пріехать, то истинно обрадует нас своим пріездом.

Завтра отправляю Барона Зенфт Фон-Пильзана чрез Мехтулинское Ханство и Акушу в Казыкумык. Эта дорога даст ему некоторое понятіе о тех трудностях здешней войны, которыя преодолеваются с таким мужеством нашими войсками.

ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №16 (495)

23 ოქტომბ. 1857 სალათავიით

კ[ნიაზ] ბარიატინსკის

თქვენმა ბ[რწყინვალება]მ 3 ოქტომბ: წერილში გამაბედნიერა სასიხარულო ცნობით ჩემს დაჯილდოებაზედ ოქროს ხმლითა, აღმასებით შემეკულითა.

უნცი, რომ არა ჩემი დამსახურებების ბრწყინვალებამ, არამედ მხოლოდ თქვენმა ჩემდამი კეთილგანწყობილმა გრძნობამ ღირსმქმნა უმაღლესი ჯილდოსი. მაგრამ თქუენი ბ[რწყინვალება] ამ დაჯილდოებით მაკისრებს მძიმე ვალსა: ჩემის სამსახურით აღვმალდე იმ სასიამოვნო ყურადღებამდინ, რომლითაც მუდამ განებივრებული ვარ თქვენგან. არა უნცი, შევძლებ კი აღვასრულო ეს წმიდა ვალი, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, მაქვს მუდმივი, გულითადი სურვილი: მუდამ ნათელის სახით ვიყო თქუენს წინაშე.

აქა და კასპიისპირა მხარის დანარჩენს ნაწილში ყველაფერი კარგადაა.

ყაზიმაჰმა საკმაოდ მრავალრიცხოვანის ბრბოთი იკავებს ტყეებს ახტამ აუხის მხარეში.

20^ა ოქტომბ: იყო კურთხევა აქ აგებულის ახალი შტაბკვარტირისა, თუმცა ბევრი რამ დასამთავრებელია.

უფრო და უფრო გასაგონი ხდება სახალხო სიძულვილის ყრუ ვაება

შამილის წინააღმდეგ; ყოველის მხრიდამ ისმის ჩივილი დაუსრულებელს ომზედ, რომელმაც მთიელნი სრულს დაქცევამდე მიიყვანა; ხალხს ერთ-პირ სურს მშვიდობა. და ყოველივედამ სჩანს, რომ ახლანდელი წესრიგი მთაში, შარიათის სიახლით შექმნილი, დაიშლება შამილის სიკუდილთან ერთად და უფრო ადრეცა. სხუა პირებთან ერთად ჩემთან მოლაპარაკებას ანარმოებს შახმანდარ-აჯი, ყოვლად პატივცემული კაცი, ხალხის მხრიდამაც და თავად შამილისგანაცა.

დღეს აქ ჩამობრძანდნენ შერემეტევი და ბარონი ზენქტ ჟონ პილზანი; არა მგონია, რომ ბურთუნაი მოენონოთ თავისი ქარიშხლებითა და სიცივითა. ისინი ახლად აშენებულს ყაზარმაში დავაბინავე.

დიდად ვწუხვარ, რომ თქუენმა ბ[რწყინვალება]მ არ ინება, თავისი ადიუტანტი მოლოსტკოვისთვის ებრძანებინა გამომგზავრება პირდაპირ ჩემთანა. რისი მაქნისია ჩემი თანხმობა იქ, სადაც უკვე არის თქუენის ბრწყინვალებისა? განსაკუთრებით ისეთს შესანიშნავს აფიცარს, როგორც პორუჩიკი მოლოსტკოვია, ყუელა ოტრიადი გულითადად მიიღებს. მაგრამ სალათავის ოტრიადი დარჩება 15^ა ნოემბ[რამდინ] და თუ მანამდე ის ჩამოსვლას მოასწრებს, მაშინ ჭეშმარიტად გაგვახარებს.

ხვალ ბარონ ზენქტ ჟონ პილზანს მეხთულის სახანოსა და აჰყოშის გავლით ვაგზავნი ყაზიყუმუხსა. ეს გზა ცოტა რამ წარმოდგენას შეუქმნის აქაური ომის იმ სიძნელეებზედ, რომელნიც ესრეთის სიმამაცით დაიძლევიან ჩუენის მეომრების მიერ.

ელიზბარ ერისთავისადმი №1 (496)

ძმაო ელიზბარ

შე უნამუსო ეს ქალები რათ დატანჯე და შენი საქმე დაიწყე უსაფუძლოთა, მაშინ როდესაც მანანას ებძანებინა თქვენთვისა რომ ლუბერნატორსა ვთხოვო და შენ ვითარცა დიდს გამოცდილს კაცსა არ გენებებინა; ამ შეცდომილებას თავი დავანებოთ.

მანანა და ელენე ბრძანდებოდნენ ბებუთოვთანა რომელიც მობრძანდა¹ შაფათსა სთხოვეს დიდის თხოვნითა ასრე გასინჯე რომ ქალაქის კროვები არ ემჯობინებოდა იმათს ლიჭინსა და ეს

კეთილშობილი სიტყვა გამოართვეს რომ უთუოთ უეჭველათ და უსაცოლოთ უნდა ნაჩაღნიკმა წარმოგადგინოს დასამტკიცებელათა ბებუთოვი უთუოთ დაგნიშნავს ასრე გაშინჯე რომ მინამ შენი წარმოდგენა არმოვა არავის არ დაამტკიცებს და გიცდის მალე გამოგზავნასა; ეხლა ამ საქმეში ჩვენი სტარეკა მოიხმარე და ნაჩაღნიკისათვის ათხოვნიე შენც მოედევნე შენ წარმოდგენას დააშურე თუ რომ შენთვისაც და ამ ქალების თხოვნაც არ გაამტყუნო ამინ.

აღარავის არ დააბრალო.

შენი ძმა გრიგოლი

[1857 წლის თებერვლიდან 22 ოქტომბრამდე]

ღიმიტრი ჯორჯაძისადმი №69 (497)

ჩემო დემეტრე! მომირთმევია მინკვიცის წერილი, რომლიდამაცა ჰსცნობ, რომ ჯერაც იმას ხელი არ აუღია არცა ყაითაღზე, და არცა თავის ძველებურს¹ ჰაზრებზედ ამ ხალხის მოვლისათს. – განა არ ვიცე, რომ ხასაი მუსაი ჰსჯობია ახმედხანსა ჭკუითაც, სწავლითაც და კაცობითაცა, მაგრამ ყაითაღში ხასამუსაი და ერთი ვინმე რუსის აფიცარი, სულ ერთია; ამიტომ რომ ერთსაცა და მეორესაც ვერ შეუძლიანთ ცხოვრება საშუალ ხალხისა ყაითაღში ურუსის ჯაროდ, და ამასთანა უნდა მიეცეს კიდევ კარგი ბლომა ჯამაგირიცა. – ამის გარდა ამის მხილველნი,² როგორ იერთგულებენ ან ყაზიყუმუხის მმართველი, ან ქურისა და ანუ კიდევ სხუანი, თუკი შვილები მათი დაჰმთებთან ისე უნუგეშოდ? – ჩემის ფიქრით, ჯერ არ მოსულა ის დრო, როდესაც დაღისტანში შეიძლება ჩვენის სჯულის შემოტანა ასე ანაზდეულად, ასე ძალადობით, ასე ხალხის შეუჩვევლად, რომლითაცა ერთბაშად უნდა დაირღვას წესი და დამოკიდებულება, საუკუნოებით დაფუძნებულნი, დამკვიდრებულნი ხალხში.

რას ეშურებიან? ის არა ჰსჯობია, რომ დაამტკიცონ ჩვენი პროექტი, რომლითაცა რუსის აფიცარი იქმნება უფროსი ყაითაღშიაცა და ტაბასარანშიაცა? – ვერცა ხალხი, და ვერცა მფლო-

ბელნი გვარნი ვერ იგრძნობენ ცვლილებასა; ყოველნივე დარჩე-
ბიან თავის ადგილსა; არა რაჟმე შეირყევა ხალხის ასარევად, და
მართლადკი მოხდება მათშორის ცვლილება, როგორც მოვახდინე
აყუშაში! – ყადია ისევ ყადი არის; მაგრამ ხალხიკი შეეჩვია ლაზა-
რევის უფროსობასა და ბატონობასა. – რა გვენაღვლება, რომ
ამგვარად მოვახდინოთ ყაითაღშიაცა და ტაბასარანშიაცა? –

მინკვიცი დიას კეთილი კაცია, და კეთილისმსურველი, მა-
გრამ ნემენცია, და მაშასადამე ვერ მიხუდება, ვერცა გაიცნობს
აქაურს ხალხსა, თუგინდა ასი წელიწადი დაჰყოს მათშორის. –

ჩემი ჰაზრი ეს არის, და გთხოვ ამის მიხედვით მოამზადო
ერთი კარგი ლაზათიანი წერილი პასუხად მისდა. – დაამტკიცონ
ჩვენი პროექტი და ყოველივე აღსრულდება ისე, როგორც ჰსურს
მინკვიცსა, და როგორც მჰსურს მე. –

ისაია³ წამოვიდა; ესე იგი, მე გამოვაგდე, ვნახე რა, რომ
ყოველს დღეს თითქმის ჰსტიროდა, ვერ გაეძლო აქა; არვიციკი
რად მობძანდა.⁴

თუ ხარ ქრისტიანე, თუ ხატი გრწამს, ნულარ მიჰსწერ კობიე-
ვის საქმისათჳს; შეჰსწყვიტე ყოველივე ელჩობა და ჰაჯიების გზა-
ვნა! კეთილი არა იქმნებარა! – ეს ჩემი რჩევა უთხარ მის ცოლსაცა,
თუ უნდა თავის ქმრის გამოსხნა. – დეე, დარღ[ო]შიაც წაიყვანონ,
იქ უფრო კარგადაც შეინახვენ და უფრო ლაპარაკიც შეიძლება. –
თუ დამიჯერებს მაგის ცოლი, ძალიან კარგი იქნება, რომ წავიდეს
შურიდამ, მითომ თბილისსა და დადგესკი დერბენდში. – ამით ძა-
ლიან შეამოკლებთ საბრალოს კობიევის ტყვეობასა. –

მოვიდა აქ ბატონი შერემეტევი;⁵ გავგზავნე ბურთუნაის
სანახავად, დაბრუნდა და მუცელი ასტკვიდა. – ბარონ ზენტტ
ქონ პილზან გავისტუმრე ყაზიყუმუხისაკენ; დეე, ნახოს აქაურო-
ბა და ჰსცნას სადა ვომობთ და ვჰსცხოვრებთ რუსის მხედარნი.⁶

შენი გრიგოლ ორბელიანი

ძალუა, ნინო სიყუარულით მომიკითხე; გიორგი ჩამიკოცნე.

25^ა ოკდომ: 1857.

სალათავიით.⁷

ბაბაღე მარტვილი-საბინაშვილისადმი №13 (498)

ჩემო საყუარელო დაო-დედილო ბაბაღე!

ვიცი ჩემზედ იქმნები გაბუტებული ცხვირ-აბზეკით, რადგანაც დიდიხანია აღარ მომიწერია. – დავანებოთ თავი თავის გამართლებას და მიზეზების აღწერას. რად გვინდა ესეები, როდესაც იცი გულდაჯერებით, რომ სულით, გულით მიყუარხარ.

წლებანდელი ზაფხული და შემოდგომა განვიდა ჩემთვის მეტად დიდს შრომაში, მაგრამ ეს მანუგეშებს რომ ჩვენი სისხლი ავიღე შამილის კისრიდამ: სულ რჯული გავაგდებინე, მივამტვრივ-მივამსხვრიე მრავალ-ჯერ, ბევრი დავატყვევე, მრავალი დაუხოცე, მიმოვფანტე მისი ჯარი, უკანასკნელი მისი ნავთსაყუდელი სალათავიაში ბურთუნაი, ძლიერ გამაგრებული, ნავართვი; გუშინნინაც ერთი მისი დარჩომილი ციხეც ავიღე და მივჰყავ ხელი ტყის გაკაფასა და ამით ნავართვი მთლად სალათავია, სადაცა ავაშენე შტაბკვარტირა პოლკისა. – თვთონაც გამექცა შამილ აქედამ და ახლა ჰზის დარღოში.

იმედი მაქუს, რომ ღთის¹ შენეგნითა, ამ თვის ნახევარს შევასრულო ჩემი ეს ეკსპედიცია და გავჰსწიო შურისაკენ, სადაცა ხუთი თვეა ძალუა ვარინკა ჰზის მარტო, მელის და მელის! – მეც მოვიყვანე ძალუა შურაში, და მითომ ერთად ვატარებთ დროსა! –

მთავარმართებელი დიდს მადლობასა მწერს ბურთუნაის ალებისათვს, და ახლანდელი ალებული ციხეკი უფრო უმაგრესია.

ასე ჩემო ბაბაღე, ყველა კარგი, მაგრამ ეშხიკი აღარ არის გულში და უამისოდ რაღა ლაზათი აქუს სიცოცხლესა!

ერთს წიგნში მოეწერათ ჩემთან, კრასავიცას ბაბაღეს, ძალუა ქეთევანს, ნინოს, კატოს, ისაკ თუმანოვს, გრინჩენკოს ცოლსა, დიმიტრის ვახტანგისშვილსა, ჩემს სიძეს დიმიტრისა და კიდევ სხუათა, ერთს ვეება კამპანიასა; ეტყობა, რომ ლაზათიანად იყუნენ ჩამსხდარნი.

ჩემს საყუარელს ალექსანდრეს შუბლზედ ვაკოცებ. – აბა როგორ მოგიხდათ წყალი, და ანუ გაყმანვილდით თუ ვერა? –

ლეკი გიორგი, ძალუა ვარინკა და ნინუცა კარგად არიან ღთის² მონყალეებით. –

ღთმან³ მაღირსოს თქუენთან ყოფნა.

შენი ძმა გრიგოლ ორბელიანი

2^ა ნოემ; 1857.
სალათავიით.⁴

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №70 (499)

31 ნოემ: [ოკტომ:]¹ 1857. სალათავიით.²

ჩემო ბატონო დემეტრე! უკანასკნელი აკტი ბურთუნაის ტრალედიისა და ვინყეთ დღეს განთიადის ჟამსა შტურმითა და ალებითა დიდად მაგრად შამილისაგან აშენებულისა რედუტისა, რომელიცა იდგა დილიმის გზაზედ იქა, საიდამაც უნდა დაგვეწყო ტყის გაკაფა. – კრაპოტკინი აფშერონელებით შავარდენსავით აფრინდა რედუტში; მტერმა მოსცა დიდი ცეცხლი, მაგრამ ღთის³ მოწყალებით დაიჭრნენ მხოლოდ ორნი; შეცვიდნენ გაცოფებულნი სალდათები და იქვე ააგეს ცხრამეტნი შტიკებზედ, და ორნიც ჩვენნი მილიციონერები შეცთომით. – ბოგოლალის ნაიბი იდგა ამ ციხეში ორასის კაცითა. – ვჰმადლობ ღთსა,⁴ რომ ესრეთი მაგარი ადგილი, ასე ადვილად დაგურჩა. ახლა მტერი ისვრის შორიდამ და უფრო ილანძღება, და ამასთანა ერთად ჰსთოვს, ჰქრის, და ჰსდგას ღამესავით ბნელი ნისლი. – ვჰკვირობ და ვჰკვირობ ჩუჰნის სალდათების ესოდენს მხნეობასა, ესოდენს შრომასა და ესოდენს მოთმინებასა; მართლად ამათ ქებას „სანერელი ზღუა უნდა.“

ამ მინუტში მომივიდა თბილისიდან კურიერი, რომელმანცა მომიტანა⁵ მთავარმართებლის წერილი სალდათების ჯვრებითა. – ჰსჩანს რომ ბურთუნაის ალებითა მთავარმართებელი ძალიან გახარებულა და დიდს მადლობასაცა მწერს. – ერთს წერილში მილოცვენ გამარჯვებას ძალუა ქეთევან, ნინო, კატო, ბაბაღე ოპოჩინინისა, ისაკ თუმანოვი, გრინჩენკის ცოლი, პაჭონე დიმიტ[რი] ორბელ: და სხუანი კიდევ ვილაებიცა.

1^ს ნოემბ:6

მომირთმევეია კარლოფის წერილი, რომლიდამაც ჰსცნობ რასაც ითხოვს ჩემგან შამშუდდინის ძმის მოსვლისათვის ციმბირი-დამ კობიევის გასაცვლელად. – მე მახსოვს, რომ მხოლოდ ორნი იყუნენ გაგზავნილნი, და თუ არიან მეტნი, რად მინდა რომ სულ მოიყვანონ ციმბირიდამ? – მგონია ასს თუმანზედ მეტი დაიხარ-ჯოს იმათ მოყვანისათვის და ჰსჯობს, რომ ისევ მარტო შამშუდ-დინის ძმა მოვიდეს. – აბა იანგარიშე რა დაჯდება პრაგონის და გზის ხარჯი? – გთხოვ, მისწერო ჩემმაგიერ კარლოფსა, რომ თანახმავართ, პრაგონისგარდა, მივსცეთ კარმოვოიცა.⁷ – ამაზედ კარგად იფიქრე, დაამზადე წერილი და გამომიგზავნე.

ჩვენი ტერლუქასოვი ჰსდგას გორაზედ; მას გაუკეთებია მაგარი სანგარი, საიდამაც ხანდახან გვესმის ზარბაზნის ხმა. ტყეს გულსმოდგინებით ჰკაფენ სალდათები, უფრო ხალისიანად ვიდრე აქ აშენებდენ ციხე-კოშკებსა. –

ჩემის ანგარიშით დღეს ანუ ხვალე უნდა ევდაკიმოვიც გა-მორჩდეს აუხში⁸ და აქედამ დავინახავთ კიდეც, თუ მოუხდა სრო-ლა ზარბაზნებისა. –

სიცვიეა; საშინელი ნოტიოარის; კისერიც შეხუთვილი მაქუს სიცვიისაგან; რაო და რისათვის? – ხომ უნდა მოვჰკუდეთ და რაღაა ესოდენი ვაივავლახ-ტანტალი ამა ცრრრრუს სოფელში? –

3^ს ნოემბ:9

დღეს ვიყავ ტერლუქაზოვთან, რომელიცა ყოჩაღათ, მამა-ცურად ჰსდგას წინა პოზიციაზე თავის ბატალიონით. – ამა პოზიციების აღების დროსა გამორჩდნენ დიდებითა ტერლუქაზო-ვი და კნიაზ კრაპოტკინი.

სალდათები უწყალო მეცადინეობით ჰკაფენ ტყესა და ან-თებენ ვეება ცეცხლებსა.

დღეს მობძანდა თავის პოლკით великолепный* კნიაზ ბაგრა-ტიონი; გზაზედ ცოტაოდენი კინკლაობა მოხდენოდა მტერთან.

კნიაზ ვორონცოვი ვნახე სიზმარში, ორმოცდაათი ოქრო

მომცა. – აბა, ახლა შენ აღხსენ ეს სიზმარი, ჰაჯიოვის მაგიერი.

ბაგრატიონმა არ მომიტანა შენი წერილი; შენ ვინა და ეს-რეთი ზარმაცობა!

არა, ეგ დურაკი ისაია რომ წამოხანდა, მითომ ვისი თაი-გულია მანდა? –

ღენერალ ევდაკიმოვი უნდა გუშინწინ შემოსულიყო ჯარითა აუხში, მაგრამ ჯერაც არსადა ჰსჩანს.

აღარ მახსოვს კარგად, მივსწერეთ თუ არა მანუკინსა, რომ ახმედხანს ჩააბაროს ზემოყაითალი? და ანუ რა ჰქმნა მანუკინმა ამ მიწერილობაზედ?

ჯამოხეგის ერთმა ცოლმა იჩივლა ჩემთან არზითა, რომ ამირჩობა[მ] სულერთიანად წაილო სახლიდამ რაცკი ქონება იყოო ჯამოხეგის [პასკ]ვილისა შემდეგ, და მე არას მაძლევსო. – ამ არზას ვჰგზავნი მანუკინთან, რომ შარიათით გადასწყვიტოს ეს საქმე. –

ამ რუსულს წერილს გიგზავნი, რომ ყმანვილი კაცი გაა-ბედნიერო სადმე სამსახურში დანიშენითა. – კეთილი საქმე, ვიცი, გიყუარს!

ზრწყინვალე

ქეთევან ორბელიანისადმი №110 (500)

5^ს ნოემ: 1857 სალათავით.¹

ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან!

სწორედ იმ დღეს, როდესაც მომივიდა შენი წერილი, რომელშიაც ჩაენერათ ისაკ თუმანოვსაცა, ბაბალესაცა, კატოსაცა, ძალუა ნინოსა, დიმიტრის და სხუათა, სწორედ იმ დღეს ავიღეთ აქ კიდევ ერთი ციხე, აშენებული შამილისაგან. – მივამტვრივ-მივამ-სხვრიეთ მათი ცხვირპირი და ისე გადავრეკეთ ხევებში.

მე მშვიდობით გახლავარ.

შენი გრიგოლ ორბელიანი

ძალუა ნინოსა, და მისს ქალებს სიყუარულით მოვიკითხავ.
– ყაფლანს მის ქულქათით ჩავკოცნი.

დიმიტრი ჯორჯაქისაღმი №71 (501)

ჩემო ბატონო დემეტრე!

გუშინ დილით, როდესაც კრავჩენკოს ვჰგზავნიდი დონესენით¹ მთავარმართებლისად, გავარდა ზარბაზანი, კიდევ და კიდევ მოუხშირეს; თურმე ყაზიმაჰმა მობძანებულებო ორის ზარბაზნითა, მრავალის ბაირალებითა და ესროდა სოფელს ბურთუნაის, სადაცა ჰსდგას ვოლკოვი. – აღვმჰხედრდი ლურჯს ტაიჭზედ და თილიყამყამით შეუტიე; ნინ ბაგრატიონი პოლკით, მათ მიჰსდევდა ორის ბატალიონით რაკუსსა. რაღა გავაგრძელო: მრავალს თავი მოჰსჭრეს, ერთი უზბაში დაიჭირეს და ორი კიდევ სხუა, რომელთაშორის არის თუთ ნასახჩიბაში ყაზიმაჰმასი თავისის ცუ-ლით, რომლითა აყრევიებდა თავებსა.² –

ამ ჟამად ეს გახლავს მოსახსენებელი.

შენი გრიგოლ ორბელიანი

7^h ნოემბ: 1857.

სალათავით.³

8^h⁴

მანუკინთან⁵ დაამზადე ერთი ქალაღი, რომ ამირჩობანის გაყრა არ არის შესაძლებელი ჩვენის სუდითა; უნდა გაიყარნენ უთოოდ ადათითა.

დღეს მომივიდა დიახ უსიამოვნო ამბავი თბილისიდან: გაგარინს თურმე ჰსდომებია დადეშკილიანისა⁶ – ვლადეტელის – გაგზავნა რუსეთში, როგორც ეკატერინა დადიანისა, ეს რომ შეუტყვია დადეშკილიანსა, ამოუძვრია ხანჯალი და შეუცია ფერდში გაგარინისათჳს, მოუკლამს პერეოჩიკი, ჩინოვნიკი ილინი, გარეთ რომ გამოვარდნილა, იქ დახვედრია მზარეული, და ესეც

დაუჭრია; მერე შევარდნია ერთს ვილასიც სახლში და იქიდან დაუნყვია თოფის სროლა, ვიდრე არ მოსულან სალდათები; მაშინ ხლმით გამოვარდნილა, გაქცევა ჰსდომებია, მაგრამ ტყვიით დაჭრილი ღაცემულა და დაუჭერიათ. – გაგარინისას ინერებთან, რომ არ მორჩებო და ივანეც მანანასშვილი მაშინვე წასულა ქუთაისს, სადაც მომხდარა ეს ამბავი. –

აი, ჩემო დემეტრე, სულ ამას ვამბობდი და ვამბობდი, რომ აგრე ერთბაშად, სხარტულად ახალის რჯულის შეტანა და ძველისა დარღვევა, აი რას მოასწავებს? იმდენი დღეგრძელობა მე მექონდეს, რამდენი ამგვარი საქმე მოხდეს მენგრელიაშიაცა!

აბა, ერთი ვჰსთქუათ, დადეშკილიანის ოჯახის ამოფხვრა რას სარგებლობას მისცემს ჩვენს მმართველობასა, და ანუ ვინ უნდა გაგზავნონ ჩინოვნიკთაგანი სვანეთის მოსავლელად? – და ანუ სვანეთი მთლად ერთიანად ჰღირს ჩინოვნიკის ჯამაგირად? – ახ, და კიდევ ახ!⁷

შენი გრიგოლ ორბელიანი

მანუკინის წერილიდან ჰსცნობ, რომ თუცა ახლა თანახმა არის ახმედხანის დანიშვნაზედ; მოახდინეთ რალა და დანიშნეთ, მოვრჩეთ და მოვისვენოთ ამ ჯანჯალის საქმიტგან.

ალექსანდრე ბარიატინსკისადგი №17 (502)

9^{то} Ноябрь: 1857. Салатавія

К^ю Барятинскому

Письмо Вашего С^{ва1} от 17 Октяб: счастливит меня вполне, как выражение милостиваго Вашего вниманія ко мне. Оно получено мною в тот день, когда храбрые Апшеронцы взяли непріятельскій редут, построенный Шамилем на очень крепком месте, с целью заградить нам путь к Дилиму и не допустить нас к рубке леса. День этот вдвойне счастливый для меня.

Потеря наша в этом деле так незначительна, что это могло быть только по особенной милости Божьей над нами: всего несколько человека ранеными, когда я рассчитывал на сотню.

На другой день при церковном параде я возложил на достойнейших знаки отличия, присланные по приказанию Вашего С^{ва}² за взятие Буртунай. Радость была всеобщая.

При этом не могу не доложить Вашему С^в³, что солдаты наши точно составлены из гранита: их непоколебимое мужество, изумительная твёрдость в перенесении трудов, выше всякой похвалы.

Письмо это я не успел отправить с Штабс-Капитаном Кравченко, потому что вдруг сделалась тревога: Казимагома с большим скопищем появился и открыл огонь из двух орудий противу Буртунай. Оставив письмо это недоконченным, я подхватил Конно-Дагестан: Полк и направил его на неприятеля, поддерживая двумя батал: Дагест: Пехот: Полка и двумя ротами Ширванцев. Атака была блистательная! всадники К:⁴ Багратиона врезались в толпу неприятеля и живо опрокинули их. Казимагома, разбитый на голову, едва спасся от плена; потеряв много людей, он оставил в наших руках в числе пленных Палача с секирою. Это знак его власти.

Душою этого дела был Подполк: К:⁵ Багратион, котораго Полк, по храбрости своей, может считаться в числе лучших Полков Кавказ: Корпуса.

Барон Зенфт-Фон-Пильзан будет иметь честь поднести Вашему С^в⁶ донесение мое к секиру. Он был прикомандирован в Конно Дагест: в полку и с отличною храбростью участвовал в этом деле.

საქართველოს იმპერატორის ბრძანება №17 (502)

9^ა ნომბ: 1857. სალათავით

კ[ნიაზ] ბარიატინსკის

თქუენის ბ[რწყინვალეხის] 17 ოქტომბ: ნიგნი სრულად აღმავსებს ბედნიერებით, ვითარცა გამოვლინება თქუენის მონყალე ყურადღეხისა

ჩემდამი. ის მივიღე იმ დღეს, როს მამაცმან აფშერონელებმან აიღეს მტრის რედუტი, შამილის მიერ აშენებული ძალზედ მტკიცე ალაგას, რათა გზა ჩაეკეტა დილიმისკენა და არ მივეშვით ტყის საკაფად. ეს დღე ორწილ ბედნიერია ჩემთვის.

ჩუენი დანაკარგი ამ საქმეში ესრეთ მცირეა, რომ ეს უნდა მომხდარიყო მხოლოდ ღვთის განსაკუთრებულის წყალობით ჩუენზედა: სულ რამდენიმეა დაჭრილი, როცა ვვარაუდობდი ასამდინა.

საეკლესიო პარადზედ მეორე დღეს თქუენის ბ[რწყინვალეების] ბრძანებით გამოგზავნილი წარჩინების ნიშნებით შევამკე უღირსეულესნი ბურთუნაის ალებისათვის. სიხარული იყო საყოველთაო.

ამასთანავე, არ ძალმიძს არ მოვახსენო თქუენს ბ[რწყინვალეებს], რომ ჯარისკაცი ჩუენნი არიან სწორედ რომ გრანტიცისანნი: მათი შეუდრეკელი სიმამაცე, სიძნელეთა გადალახვის გასაოცარი სიმტკიცე უმეტეს არს ყოველი ქებისა.

ამ წიგნის გამოგზავნა შტაბს-კაპიტან კრავჩენკოსთან ერთად ვერ მოვასწარ, რამეთუ უცაბედად შეიქნა ტრევილა: ყაზიმაჰმა გაჩნდა დიდი ბრბოთი და ორი ორუდიიდან ცეცხლი გახსნა ბურთუნაისკენ. დაუმთავრებელი დავტოვე ეს წერილი და ცხენოსან-სადესან: პოლკი გავიყოლიე და მტერზედ მივუშვი, თან ვამაგრებდი დალესტ[ნის] პეხოტ[ნი] პოლკის ორის ბატალ[იონითა] და შირვანელების ორის პოლკითა. იერიში იყო ბრწყინვალე, კნ[იაზ] ბაგრატიონის მხედარნი ეკვეთნენ მტრის ბრბოსა და ჩაუქად უკუაგდეს იგი. მუსრგავლებული ყაზიმაჰმა ძლივს გადაურჩა ტყვეობასა; მეომართა დიდის დანაკარგით მან ტყვეთა შორის ჩუენს ხელთ დასტოვა ჯალათი ცულითა. ეს მშვენებაა მისი ძალაუფლებებისა.

გული და სული ამ საქმისა იყო პოდპოლკ[ოვნიკი] კნ[იაზი] ბაგრატიონი, რომლის პოლკიც თავისი სიმამაცით შეიძლება მივათვალოთ კავკასიის კორპუსის საუკეთესო პოლკთა რიცხვს.

ბარონ ზენტტ ქონ პილზანს ექნება პატივი, თქუენს ბ[რწყინვალეებს] მიართვას ჩემი მოხსენება ცულის თაობაზე. ის მივლინებულ იყო დალესტ[ნის] ცხენოსანთა პოლკში და საოცარი სიმამაცით მონაწილედა ამ საქმეში.

აღიქსანდრა ბარიატინსკისადმი №18 (503)

19 ნოაბ: 1857 შურა

კ: ¹ ბარიატინსკომუ.²

ადიუტანტ ვაშეგო ს^{ვა3} მოლოსტოვა ვოვრაშაეა ვ თიფლის. დუშევნო სოჯალეო, ჭო იმ პრიბილ კ სალათავსკომო ოტრადუ ვ თო ვრეა, კოგდა ვოენნაა დეიშვია ოკონჩილსი ი ვოიკა ვოვრაშაელსი ვ შტაბკვარტირა. ესლიბ ოდნემ დნემ რანშე პრეხალ კო მნე, იმ ოტაშთვალ ბი ვ სლავნომ დელე 13 ნოაბ:, ვ კოტორომ ნეპრიატელ, რაზბიტი ი ნა გოლოვუ, პოტერალ 5 ზნაჩკოვ ი ბოლეს 300 ჭელოვ: ტამ-ჟე პალ შამხალ ნაიბ, ნაჩალნიკ ნად 12 ნაიბამი ი ვმესე ს ნიმ მნოგო პოჩეტნის ლოდეი. სკოპიშე ბილო ოგრომნო: შამილ სოსრედოტოჩილ ვსე სვოი სრედსთვა ს სამის ოტდალენნის ობშესთვ, ჭობ ს ოდნოი სთრონო პრეგრადიტი მნე რუბკუ ლესა, ი ვ თოჟე ვრეა ვოსპრეპიატსთვოვოტ ვ გენერალუ ევდოკიმოვუ ზანიატი კიშინ აუხ, ნო პოროჟენიე, ნანესენო იმ ნაშისი ვოიკამი ბილო ტაკ პოლნო, ჭო ვ თოტჟე ვეჩერ ნი ოდინ ნეპრიატელ ნე ოსთავალსი ვ სალათავი ი ნი ოდინ ვისრელ ნე ტრევიჟილ ნაში ვოიკა, კოგდა ნა დრუგოი დენი დერევინი ზაპილალსი პოჟარომ.

სლავა ეტოგო დნია პრინადლეჟიტი სტრელკოვომო ბათალიონუ, კოტორი ი პო ვოიშთვენნომო დუჟუ, დოსთოინ მილასთივაგო ვნიმანიე ვაშეგო ს^{ვა4}

ზნაჩკი ოსთალსი ი მენია; ი ნე რეშისილსი პრედსთავიტი იშ ვაშემუ ს^{ვუ5} პოტომო ჭო იმ ოჩენი ნეპრილიჩნაგო ვიდა. ნო ზნაკი ნაიბა შამხალა ი დრუგის პრედსთავიტი კაპიტან ლაგორიო.

აღიქსანდრა ბარიატინსკისადმი №18 (503)

19 ნოემბ: 1857 შურიო

კნ: ბარიატინსკის.

თქუენი ბ[რწყინვალები] ადიუტანტი მოლოსტოვი თბილისს ჰბრუნდება. გულითა ვწუხვარ, რომ სალათავის ოტრიადს მაშინ ეახლა,

ოდეს დასრულდა საომარი მოქმედებები და ჯარები შტაბკვარტირებში ჰპრუნდებოდნენ. ერთი დღით ადრე რომ მოსულიყო ჩემთან, ის მონაწილე გახდებოდა 13 ნოემბ: სასახელო საქმისა, რომელშიც მტერმა, ბოლომდე გასრესილმა, დაჰკარგა 5 დროშა და უმეტეს 300 კაც[ი]. იქვე დაეცა ნაიბი შამხალი, თავკაცი 12 ნაიბისა და მასთან ერთად ბევრი საპატიო ადამიანი. ბრბო იყო უზარმაზარი: შამილმა თავი მოუყარა მთელს თავის ძალებს ყველაზე შორეული საზოგადოებებიდამ, რათა ერთის მხრივ ჩემთვის აღეკვეთა ტყის ჭრა, და იმავდროულად ღენერალ ევდოკიმოვისთვის შეეშალა ხელი კიშინ აუხის აღებაში, მაგრამ ჩუენის ჯარების მიერ მისთვის ნაგემი მარცხი იყო ესრეთ ძლიერი, რომ იმ საღამოს არც ერთი არაკეთილმოსურნე არ დარჩენილა სალათავიაში და არცერთ გასროლას არ შეუნუხებია ჩუენი ჯარები, მეორე დღეს კი სოფლები ცეცხლის ალში გაეხვივნენ.

დიდება ამა დღისა ეკუთვნის მსროლელთა ბატალიონს, რომელიც მებრძოლი სულისა გამო ღირსია თქუენის ბ[რწყინვალეების] მონყალე ყურადღებისა.

დროშები ჩემთან დარჩა; მე ვერ გავჰბედე მათი წარდგენა თქუენის ბ[რწყინვალეების] წინაშე, რადგან ძალზედ შელახულია. მაგრამ ნაიბ შამხალისა და სხუათა დროშებს კაპიტანი ლაგორიო წარმოგიდგენთ.

ალექსანდრა ბარიატინსკისადგი №19 (504)

22 Ноябрь: 1857 Шура

К:¹ Барятинскому.²

По воле Вашего С^{ва3} прибывший в Салатавский отряд Шереметьев, теперь возвращается в Тифлис. Всё время до окончания военных действий он состоял при мне, участвовал с отличием в похвальных делах против неприятеля, и переносил наравне с другими все труды и лишения, сопряжённые с походною жизнью, в суровое время года, на высоте 6^м тысяч футов.

Принимаю смелость свидетельствовать это пред Вашим С^ятельством и ходатайствовать о милостивом внимании Вашего к этому молодому человеку.

ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №19 (504)

22 ნოემბ: 1857 შურით

კ[ნიაზ] ბარიატინსკის.

სალათავიის ოტრიადში ჩამოსული შერემეტევი თქუენის ბრწყინვალეების ნებისაებრ ან თბილისს ჰბრუნდება. სამხედრო მოქმედებების დასრულებამდე ის სულ ჩემთან ბრძანდებოდა, წარჩინებით მონაწილეობდა საქებარს საქმეებში მტრის წინააღმდეგ და სხუებთან ერთად იტანდა ყოველ სიძნელესა და დანაკლისს, რაც ახლავს ხოლმე ლაშქრად ყოფნასა, წელიწადის მკაცრსა ჟამს, 6 ათასის ფუტის სიმაღლეზედ.

ვჰბედავ ჩემი შუამდგომლობის დადასტურებას თქუენის ბრწყინვალეების წინაშე, რათა მოწყალეობრივი ყურადღება გამოიჩინოთ ამ ქაბუკისადმი.

ნიკოლოზ ევდოკიმოვიწისადმი №1 (505)

27 Ноябрь: 1857 Шура.

Николаю Ивановичу Евдокимову.¹

Занятіе Вами Ауха так важно по своим последствиям, и для нас, и для Шамиля, что он не может невозбудить во мне пріятнаго желанія знать по чаще о ваших действиях. Посылаю к Вам Метликскаго жителя Дація, бывшаго при мне во всё время Салатавской экспедиціи. Убедительно прошу Вас уведомить меня с ним, что у вас делается, где Шамиль и что предпринял противу вас?

Местный журнал о блистательном вторженіи вашем в Чечню доставил мне большое удовольствіе. – Да, удары нанесённые Шамилю в нынешнем году сильно потрясают власть его и далеко отозвались в горах. Ропот народной ненависти противу него слышется со всех сторон и доходит до самага Шамиля. Положеніе его становится очень и очень трудным; Любви народной уже нет к нему; один только страх, внушенный им народу в продолженіи двадцати лет, ещё

поддерживает его власть. Настало время бить его. – От всего сердца желаю Вам дальнейших полных успехов в ваших предприятиях.

ნიკოლოზ ევლოკიმოვისადმი №1 (505)

27 ნოემბ: 1857 შურით.

ნიკოლაი ივანოვიჩ ევლოკიმოვს

თქვენს მიერ აუხის აღება იმდენად მნიშვნელოვანია თავისი შედეგებით, ჩუენთვისაც და შამილისთვისაც, რომ არ შეიძლება არ გამიღვიძოს სასიამოვნო სურვილი უფრო ხშირად შევიტყო თქვენს ქმედებებზედა. გიგზავნით მეტლის მაცხოვრებელს დაციას, მუდამ გვერდით რომ მახლდა სალათავიის ეკსპედიციისას. დაბეჯითებითა გთხოვთ მისი საშუალებით მაცნობოთ, რა ხდება თქვენთანა, სად არის შამილი და რა იღონა თქვენს წინააღმდეგ.

ადგილობრივმა ჟურნალმა ერთობ მასიამოვნა ცნობით თქუენი დიდად წარმატებული შეჭრის შესახებ ჩეჩნეთში. – დიახ, შამილის ძალაუფლებას ძლიერად არყვევენ მასზედ წლეულს მიტანილი დარტყმები, რომელნიც ექოებრ მოედვენ შორეულს მთებსა. ყოველის მხრიდამ გაისმის სახალხო სიძულვილის დრტვინვა მის წინააღმდეგ და აღწევს თავად შამილამდეცა. უფრო და უფრო მძიმდება მისი მდგომარეობა; განჰქრა ხალხის სიყუარული მისდამი; მხოლოდ შიში, 20 წლის მანძილზედ მის მიერ ხალხში შთანერგილი, ასულდგმულებსლა მის ძალაუფლებასა. დადგა ჟამი შევეუტიოთ მას. – მთელი გულით გისურვებთ შემდგომ სრულ წარმატებებს თქუენს საქმიანობაში.

ალექსანდრა ბარიატინსკისადმი №20 (506)

5^{то} Декаб: 1857 Шура.

К: ¹ Барятинскому. ²

Священный вензел нашего Великаго Государя, пожалованный мне на эполеты, верх моего счастья, награда, на которую я никогда не смел рассчитывать за слабыя заслуги мои, и только, по особенному

вниманию Вашего С^{ва}³ ко мне, я удостоен этой великой Царской милости. Принимая его с благоговением я молю Бога даровать мне силы и возможности оправдать доверие Монарха моего и его Наместника.

Подарок, присланный Вами, тем дорожее для меня, что я получил его от человека, которому душою предан, от Боярина и Наместника Императора, в котором вижу и внастоящем и вбудушем, благодателя моей родины.

აღეპსანდრა ბარიატინსკისადმი №20 (506)

5^ა დეკემბ: 1857 შურა.

კ[ნიაზ] ბარიატინსკის.

ჩუენის დიდის ხელმწიფის წმიდა ვენზელი, მონყალედ ბოძებული ჩემი ეპოლეტებისათვის, მწვერვალია ჩემის ბედნიერებისა, ჯილდოა, რომლის იმედიც არასოდეს მქონია ჩემის მცირედის ღვანლისა გამო, და მხოლოდ თქუენის ბ[რწყინვალების] განსაკუთრებულის ყურადღებისა გამო ჩემდამი ღირს ვიქმენ ხელმწიფის ამ დიდი ჯილდოსი. მონიებით ვიღებ მას და ვევედრები უფალს, მომცეს ძალა და უნარი გავამართლო ნდობა ჩემი მონარქისა და მისი მეფისნაცვლისა.

საჩუქარი, თქუენს მიერ გამოგზავნილი, მით უფრო ძვირფასია ჩემთვის, რომ ის მივიღე ადამიანისგან, რომლისთვისაც სული დამიდვია, ბოიარინისგან და იმპერატორის მეფისნაცვლისაგან, ვისშიაც ვჭვრეტ ჩემი სამშობლოს კეთილისმყოფელს ან და მარადის.

აღეპსანდრა ბარიატინსკისადმი №21 (507)

5^თ Декаб: 1857 Шура

К:¹ Барятинскому.²

Письмо Вашего С^{ва}³ ко мне посланное с Адютантом вашим К:⁴ Грузинским и при нём 25 крестов, пожалованные Вами за дела 31го Окт: и бго Ноября, я имел честь получить и напараде в день Кавалерскаго Праздника Св. Победоносца Георгія, они возложены

мною на достойнейших.

В письме этом Ваше С^{во}5 дозволили мне откровенно высказать Вам мнение моё о назначении Полков: Кононовича Командиром Ширван: Полка. Зная его в числе лучших Штаб-офицеров Корпуса, я уверен, что он будет достоин командовать Полком; но сравнивая его с Подполк: Тергукасовым, немогу не сознаться, что последний, и по уму, и по образованию, и по способностям, далеко выше первого. Прибавлю к этому, что, по моему мнению, звание и обязанность Командира Полка, так важны, что при избрании лиц на эту должность, не старшинство в чине, а достоинства офицера должны возводить его на эту высокую степень.

Позвольте принести В: С^{вы}6 глубочайшую благодарность за вновь полученные мною от вас 34 креста, доставленные мне вчера вечером, Капитаном Лагорио. В воскресенье, с торжеством, они будут возложены на достойнейших из храбрых моих товарищей.

ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №21 (507)

5^ს დეკემბ: 1857 შუროთ

კ[ნიაზ] ბარიატინსკის.

პატივი მქონდა, მიმელო თქუნეს ადიუტანტ კ[ნიაზ] გრუზინსკისთან ერთად ჩემდამი გამოგზავნილი თქუნეს ბ[რწყინვალე]ის წერილი და მასთან ერთად 25 ჯუარი, თქუნეს მიერ ნაწყალობევი 31^ა ოქტ. და 6^ა ნოემბრის საქმეთათვის, და მათით შევამკე უღირსეულესნი კავალერისტთა წმიდა გიორგის სადღესასწაულო პარადზედა.

თქუნემა ბ[რწყინვალე]მ ნება მიბოძა, გულწრფელად გამეზიარებინა თქუნეთვის ამ წერილში ჰაზრი პოლკოვ[ნიკ] კონონოვიჩის დანიშვნის თაობაზედ შირვან[ის] პოლკის კამანდირადა. ვიცნობ მას, როგორც კორპუსის საუკეთესო შტაბ-აფიცარს და დარწმუნებული ვარ, რომ ის იმსახურებს პოლკის კამანდირობას; მაგრამ თუკი მას შევადარებთ პოდპოლკ[ოვნიკ] ტერლუქაზოვს, არ ძალმიძს არ გამოგიტყდეთ, რომ ეს უკანასკნელი ჭკუითაც, განათლებითაც, ნიჭითაც ბევრად მალლა სდგას პირველზედა. დაჯურთავ აგრეთვე, რომ, ჩემის ჰაზრით, პოლკის კა-

მანდირის წოდება და მოვალეობა ესრეთ მნიშვნელოვანია, რომ პირთა არჩევისას ამ მაღალს თანამდებობაზედ ის უნდა წამოსწიოს არა ჩინის უპირატესობამ, არამედ აფიცრის ღირსებამა.

ნება მიბოძეთ, უღრმესი მადლობა მოვახსენო თქვენს ბრწყინვალეებას თქვენგან კვლავ მიღებული 34 ჯვრის გამო, რომლებიც გუშინ საღამოს გადმომეცა კაპიტან ლაგოროსგან. ვვირას საზეიმოდ შეიმკობიან მათით უღირსეულესნი ჩემს მამაც მეგობართაგან.

ქეთევან ორბელიანისადმი №111 (508)

ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან!

იარანალ-ადუტანტობა მოვიდა ანაზდეულად, მოულოდნელად. – ვიცი, რომ ისოდენი არ მიმიძღვის სამსახური, რაოდენიცა მიწყალობა დიდმან ჯელმნიფემან და რაოდენიცა მიშუამდგომელა მთავარმართებელმან წინაშე მისსა.¹ – ნება და წყალობა მისს ხელშია. –

ჩვენ ღთის² მოწყალებით კარგადა ვართ; მაგრამ საშინლად დაგვიზამთრდა; ვეება თოვლი ჰძევს და დილით საღამომდის დარბიან აქაურნი სანებითა.

თქუენი ბარათი მივეც სოსიკოსა; არა, რალა ამასა ჰსწერთ კვერნების სყიდვისათჳს; მე აქ ვიყო და ამასკი ჰსწერდეთ? მაგრამ ირწმუნეთ ძალუავ, რომ სრულებით არ იშოება აქა; თითო ორორი სადმე იქნება წელიწადში გაჩნდეს საითმე, თორემ იქნება მანდ უფრო ადვილად იშოებოდეს.

დიმიტრიმ მოკითხვა მოგახსენათ; ეგრეთუე ჩვენმა ქალებმა; ისაიამ ხელს გაკოცა. – თუ ანანურის დედოფალი ჩამობძანებულა ჩემმაგიერ სიყუარულით მოიკითხე, მაგრამ ისაიამ უფრო ბევრი სიყუარული შემოუთვალა.

ბიძია ალექსანდრეს უთხარით, რომ მაგის შტუცერი მზად არის დიახ ლაზათიანად შემკულ-შეკმაზმული, და მგონია მოეწონოს.³

ყაფლან მის ქულქათით მომიკითხე; ეგრეთუე ჩემი საყუარელი ძალუა ნინა მის ქალებით და მეტადრე თამარით და მის ქმრითა.

რასა იქს სოსიკო და მის ფეხი? – ივანე და მანანა ხომ არ

დაბრუნებულან ქუთაისიდამ. – ტასიკო და სოფიო მომიკითხე⁴
სიყუარულით, და ეგრეთუე კონსტანტინეს და ლუბერნატსა.
ამ ჟამად ეს იყოს, და შემდეგ ღთ⁵ მოწყალეა.

თქუენი გრიგოლ ორბელიანი

6^ა დეკემ: 1857
შურა.⁶

ბაბაღე ორბელიანი-საგინაშვილისადმი №14 (509)

ჩემო გულით საყუარელო დაო ბაბაღე!

რადგანაც თამარ მწერს, რომ ანანურის დედოფლისათჳს
ორი კვირა არის სახლებს ამზადებენო, ამისგამო ანგარიშით ეხლა
უნდა იმყოფებოდე თბილისს. – იანვარში მეც ვაპირებ ჩამოს-
ვლასა და ღთ¹მან¹ ჰქმნას, რომ გნახო გულ-მხიარულებითა და
მშვიდობიანობითა შენის ქმრით.

ძალუა ვარინკა გიორგით, და ნინუცა, არიან კარგად მიჩ-
უმებულნი; და პლანებიცა გუაქუს დაწყობილი, რომ შენც გაზაფ-
ხულზე, როგორც იყოს, მოგაცუხცუხოთ ზღუაში საბანებლად. –
ნეტავი ასე მოხდეს.

ძალუა ვარინკა გიორგით და ნინუცათი ღთ² არიან კარ-
გად თავისთჳს მიჩუმებულნი, მაგრამ ხშირადკი ვნატრულობთ
შენს აქ ყოფნასა.

ჩემი საყუარელი ალექსანდრე რასა ჰშვრება; ან ისაკ თუმა-
ნოვი, გულის ვარდი, ხშირად დაიარება შენთან, თუ არა? –

ეს ღენერალადუტანტობაც მოვიდა; მაგრამ რა გამოვიდა,
ნელიკი ველარ მომდევს და რაღა ლაზათია? –

შენი საკუთარი ისაია აქ მადგას თავსა და მეხვეწება რომ
ხელს კოცნა მისწერეო.

შენი ძმა გრიგოლ ორბელიანი

[მეორე გვერდის მარცხენა და ზედა არშიაზე მინაწერია:]

ამდენი მომიტანეს ქალაქები ხელმოსაწერად, რომ კინალამ თავი დამ დავინწყე წერა.

[დეკემბრის პირველი ნახევარი]

ლიბიტრი სვიატოპოლკ-მირსკისადმი №1 (510)

28 Декаб: 1857. Шура.

К:¹ Святополк-Мирскому.²

Любезный брат Дмитрій! После новаго года я думаю отпра-
виться в Тифлис, душевно сожалею, что, по служебным обяза-
тельствам, вынужден поехать не чрез Хасавьюрт, гдебы я обнял, и тебя,
и Сопичку, и детей твоих, с которыми три года не виделся.

Меня чрезвычайно удивило твоё письмо в котором жалуется
на мой какойто тон. Чёрт побери все тоны! Между нами какіе могут
быть тоны, кроме искренних чувств братства и дружбы?

Вот уже более двух месяцев стоит здесь суровая зима, моро-
зы достигли до 18 град: Мы живём точно в Сибири; Сани, шубы,
меховые наушники, всё пошло в ход! Безпокойно смотрю к стороне
Буртуная, откуда всякій день сострахом жду известій. Конечно, не
неприятель внушает мне опасенія, но страшны в Салатавіи вьюги и
метели, которые случаются там внезапно, и горе тем, которые неу-
спели скрыться под надёжный кровь! Недавно ещё Полков: Ракуса
два раза возвращался назад в Евгениевское укрепленіе, небудучи в
состояніи перейти с баталіоном чрез Ибрайм Даду. Знаю, что Гар-
низон будет иметь недостатка во многом, но делать нечего. Надо
вытерпеть эту зиму, хоть для обезпеченія и содержанія нижних чи-
нов и принять возможные меры. Неужели ваши баталіоны неимеют
улучшенное, усиленное содержаніе, без котораго весь Полк ляжет в
госпитале; Какая же эта экономія?

Вот мой план на будущий год: 1) проложение хороших, удобных общеній с Буртунаем из Евген: укрепления чрез Ибраим Даду и из Метлы чрез Хубары.

2) Достройка Штаба в Буртунае и перенесеніе туда хозяйственной части Полка из Ишкарты.

3) Вырубка небольшого леснаго пространства, оставшегося недорубленным вблизи Дылыма.

4) Возобновленіе деревни Метлы и построеніе там небольшого укрепления.

5) Окончательный обзор местности вблизи Дылыма для выбора пункта, где полагаю выстроить укрепленіе, которое связалобы Буртунай с Кишенем.

6) Возобновленіе старых деревень: Буртуная, Зубуты, Дылыма, Хубары и пр: заселеніем вышедших из гор жителей.

и 7) Движеніе к Гумбету и Андїи, как для ознакомленія с местностью, так равно и для того, чтобы войдти в ближайшее сношеніе с жителями этих обществ, и между прочим поколотить непріятеля, где представиться случай. Народ единодушно желает успокоенія от нескончаемой войны, и только Шамиль силою кровавой руки своей принуждает их к ней, а Найбы поддерживают его из личных, корыстных видов. Я знаю, что один из Чеченских Найбов предлагал Шамилю ежегодно 2/тыс. руб.; лишьбы он не сменял его с найбства. Но религиозный фанатизм, одушевлявшій народ, угас; Людей, известных своим мужеством, истребила война; Даже самая цель войны, первоначально направленная во имя Бога для распространенія Св. Шаріата, теперь растерялась для народа, который видит внея только конечное своё разореніе для обогащенія Шамиля и утвержденія верховной власти за его домом. Народонаселеніе сильно уменьшилось: оно состоит теперь из 2/3 женщин и 1/3 мужчин. Всё это озлобляет народ, котораго ненависть сильно противу Шамиля, и он держится только силою привычки и страха, внушеннаго им народу двадцатилетним, кровавым [...] правленіем. Нет сомненія, что сосмертью Шамиля произойдет в горах благоприятный для нас переворот, а может быть и ранее, если сумеем нанести

ему верные, сильные удары. И, по моему мнению, теперь настало время бить и бить его, просто, без лживых мудрствований, без фантастических вымыслов. Ну, любезный брат и сосед! постарайся же для пользы общего дела.

Дорога из Кишеня в Алмах очень и очень скверная, леса дремучие, болота непроходимыя. Наша дорога, покрайней мере теперь, чрез Гегляр Кирачь, Дылым, Зубут ведёт в Буртунай: другая – также чрез Дылым и по новой просеке – прямо в Бурунтай. И потому я полагаю необходимым занять Дылым нашими войсками, т. е: укреплением.

Ну теперь любезная сестра Сопичка, разцелую тебя и в голову, и в глаза; а ты поцелуй за меня детей своих.

დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკისადმი №1 (510)

28 დეკემბ: 1857. შურა.

კნ[იაზ] სვიატოპოლკ-მირსკის.

საყუარელო ძმაო დიმიტრი! ახალი წლის შემდგომ ვჰფიქრობ თბილისს გამგზავრებას, გულითა ვწუხვარ, რომ სამსახურებრივი მოვალეობისა გამო, იძულებული ვარ, გავემგზავრო არა ხასავიურთის გავლით, სადაც შენც გადაგეხვეოდი, სოფიჩკასაცა და შენს შვილებსაცა, რომელნიც სამი წელიწადია არ მინახავს.

ძალზედ გამაოცა შენმა წიგნმა, რომელშიაც უჩივი ჩემს რაღაცნაირს ტონსა. ეშმაკსაც წაულია ყოველი ტონი! შეიძლება განა, ჩუენს შორის იყოს ტონები, გარდა ძმობისა და მეგობრობის გულწრფელის გრძნობებისა?

აგერ უკვე ორ თვეზედ მეტია, რაც მკაცრი ზამთარი სუფევს აქა, ყინვებმა მიაღწია 18 გრად[უსამდის], სწორედ რომ ციმბირში ვცხოვრობთ; მარხილები, შუბები, ბენვის სათბურები, ყველაფერი გამოგვადგა! შფოთვით გავყურებ ბურთუნაის მხარეს, საიდამაც ყოველდღე ველი ამბებსა. რაღა თქმა უნდა, მტერი კი არ მინერგავს შიშსა, არამედ საშინელი ქარბუქებია სალათავიაში და მეტლელები, რომელნიც უცაბედად ამოვარდებიან ხოლმე იქ, და ვაი მათ, ვინაც ვერ მოასწრო შეფარება საიმედო ქერქუეშ! სულ ახლახანს პოლკოვნიკი რაკუზა ორჯერ მო-

ბრუნდა უკან ევგენიევსკის უკრეპლენიიდან, არ ძალედვა ბატალიონთან ერთად გადასულიყო იბრაიმ დადაზედ. უწყი, რომ მრავალი რამ მოაკლდება გარნიზონსა, მაგრამ სხვას ვერას იზამ. უნდა გადავიტანოთ ეს ზამთარი, თუნდაც დაბალ ჩინთა უზრუნველსაყოფად და შესანახად, და ვილონოთ რამე. ნუთუ თქვენს ბატალიონებს არ გააჩნიათ გაუმჯობესებული, გაძლიერებული სოდერჟანიე, ურომლისოდაც მთელი პოლკი ჩანვება ჰოსპიტალში; და რანაირი ეკონომიაა ესა?

აი ჩემი გეგმა მომავალი წლისათვის: 1) ბურთუნაისთან კარგი, მოხერხებული კავშირის დამყარება ევგენიევსკის უკრეპლენიიდან იბრაიმ დადაზედ გავლითა და მეტლიდამ ხუბარის გავლითა.

2) შტაბის მშენებლობის დასრულება ბურთუნაიში და იქ იმპარტის პოლკის სამეურნეო ნაწილის გადატანა.

3) დილიმის სიახლოვეს გაუკაფავად დარჩენილი მომცრო ტყის ზოლის გაკაფვა.

4) სოფელ მეტლის განახლება და იქ მომცრო უკრეპლენიის აშენება.

5) მიდამოს საბოლოო დათვალიერება პუნქტის ასარჩევად დილიმის მახლობლად, სადაც ვფიქრობ, გავმართო უკრეპლენიე, რომელიც ბურთუნაის დაუკავშირებდა კიშენს.

6) ბურთუნაის, ზუბუტის, დილიმის, ხუბარისა და სხვა ძველი სოფლების განახლება მთიდან გადმოსულ მობინადრეთა ჩასახლებით.

და 7) გუმბეთისკენ და ანდისკენ გავლა როგორც მიდამოთა გასაცნობად, ისე იმისთვისაც აგრეთვე, რათა მჭიდრო ურთიერთობები დავამყაროთ ამ საზოგადოებათა მაცხოვრებლებთან და, სხუათაშორის, მტრის მისაბერტყადაც, სადაც კი ვიხელთებთ. ხალხს ერთსულოვნადა ჰსურს მოისვენოს გაუთავებელის ომისაგან და მხოლოდ შამილი თავისი სისხლიანი ხელის ძალით აომებს მათ, ხოლო ნაიბნი მას მხარს უჭერენ პირადი, ანგარებიანი ზრახვებისა გამო. უწყი, რომ ჩეჩენ ნაიბთაგან ერთიერთი შამილს სთავაზობდა ყოველწლიურად 2 ათ. რუბლს, ოლონდაც ნაიბობისგან არ ჩამოეშორებინა. მაგრამ განჰქრა ხალხის გამამხნევებელი რელიგიური ფანატიზმი; თავისი სიმამაცით განთქმული კაცები ომმა შემუსრა; თავდაპირველად წმ. შარიათის გასავრცელებლად ღმერთის სახელით წარმართული ომის თვით მიზანიც კი ან განჰქრა ხალხისთვის, რომელიც მასში სჭვრეტს მხოლოდ თავის საბოლოო დაქცევას შამილის გასამდიდრებლად და უმაღლესი ძალაუფლების დასამკვიდრებლად მისი ოჯახობისთვისა. მოსახლეობა ძალზედ შემცირდა: ან ის შედგება 2/3 ქალებისა და 1/3 კაცებისაგან. ყოველივე ეს აბოროტებს ხალხსა, რომლის სიძულვილიც დიდია შამილის მიმართ, და მას თავი უჭირავს მხოლოდ ჩვეულებისა და შიშის ძალით, რომელიც ხალხს შთაუნერგა ოცნლიანი,

სისხლიანი [...] მმართველობითა. ეჭვიც არაა, რომ მთებში ჩუენთვის სა-
სიკეთო გადატრიალება მოხდება შამილის სიკუდილისთანავე, ან ეგება
უფრო ადრეც, თუკი შევძლებთ მისთვის ნაღდი, ძლიერი დარტყმების
მიყენებასა. და, ჩემის ჰაზრით, ან დადგა ჟამი დავცხოთ და დავცხოთ
მას, უბრალოდ, ცრუ ჭკუისკოლოფობის, ფანტასტიკური მონაჩმახების
გარეშე. აბა, საყუარელო ძმავე და მეზობელო! მამ, ვეცადნეთ საერთო
საქმისთვისა.

გზა კიშენიდან აღმასამდინ ძალზედ საძაგელია, ტყეები უღრანია,
ჭაობები გაუვალი. ჩუენს გზას, ყოველ შემთხვევაში ეხლა, ბეგლიარის,
კირაჩის, დილიმის, ზუბუტის გავლით [მივყავართ] ბურთუნაში: მეორეს
– აგრეთვე დილიმის გავლითა და ახალი ნაკავით – პირდაპირ ბურთუ-
ნაში. და ამიტომ საჭიროდ მივიჩნევ დილიმის დაკავებას ჩუენის ჯარ-
ებითა, ანუ უკრეპლენითა.

ან კი საყუარელო დაო სოფიჩკავ, დაგიკოცნი თავსაცა, თუალებ-
საცა; შენ კი ჩემ წილ აკოცე შენს შვილებსა.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №72 (511)

ჩემო ბატონო,
კნიაზო დიმიტრი!

აქამდის ვერ მოგწერე, თუმცაკი დიდად მსურდა. მარხვა, აღდგომა, დღესასწაულები და მრავალგვარი ამაოდ ცხოვრება მიშლიდა მოწერას; ახლაც ამ მინუტში მოვიდა ბულატოვი საყაფლანისშვილოს მამულის პლანითა, და ამისგამო ვათავებ ამ წერილსა იმ იმედითა, რომ შენ მაინც მომწერ დიდს ვრცელს თაბახსა მანდაურის ამბებითა.

მთავარმართებელი აქამდის შავად იყო მოსილი და არა ჰქონდა წვეულება ჩვეულებრივ; დღეს, რომ ხუთშაბათია, დაიწყო პირველი სადილი. –

გაგარინი ლამაზის ცოლით წავიდა პეტერბურს ზამთრამდის; ზეგ კნიაზ ლოლიცინიც მიდის პარიჟში. – ივანე მუხრანბატონის შვილმა კონსტანტინემ დაიწერა ჯვარი ლიზა ფალავანდოვის ქალზედ; და სხუანი ამგვარნი, მაგრამ არ მახსოვს.

მე, საკუთრივ მე, ჯერ ვერ შევეჩვიე აქაურს ფუჭს ცხოვრებას и скучаю.* –

იაკობ კარაევი მოგართმევს ამ წერილსა; ამან აიღო თქვენის პროვიანტის პერეგოზკა და შენ იცი როგორც შეენევი.

ბარონი მომიკითხე დიდად. – ჩემი საყუარელი ბაგრატიონი გულით მომიკითხე; ეგრეთუე რადეცკი და ოკოლნიჩი. – როგორა ხართ ლაზარევი რას ჰშვრება? – შამილისა რა ისმის? შამხალი ვითარ ჰსუფევს და ამ გვარნი რაღაებიცა.

შენი ბედნიერების მოსურნე
გრიგოლ ორბელიანი

მირზა და ისაია მომიკითხე

3^ლ Апр: 1858
თბილისი.¹

*მონყენილი ვარ.

ლიბიტრი ჯორჯაძისადმი №73 (512)

ჩემო ბატონო,
კნიაზო დემეტრე!

აქამომდის ვერ მოგწერე; განა შენ არ იცი, რომ თბილისში მცხოვრებს არა აქუს დრო წერისათვის, ამისგამო არცა უნდა დამემდურო და არცა მომაკლო შენი წერილი და ამბავი.

არ მახსოვს, მოგწერეა, რომ მე უნდა შევიქმნე იგი, რაღცა იყო უნინ რეალი ვორონცოვის დროს, ესე იგი: პრედსედატელი სოვეტისა და ოსობის პრისუტსტვიისა, და ამასთანავე ინსტიტუტისა, და როცა მთავარმართველი განვალს თბილისით, მე ვარ მის მოადგილედ. – ამით ჰსცნობ, რომ ახალი ესე თანამდებობა ჩემი არის მშვიდობიანი, უშფოთელი, უზრუნველი, სავსე ამაოების ცხოვრებითა, რომელსაცა ვერ შევჩვეულვარ აქამომდის და იქნება ვერცა სიკუდილამდის შევეჩვიო. –

ამ მინუტში მომივიდა შენი წერილი, რომლითაცა მაცნობე კობიევის გამოსვლა ტყვეობიდამ. – ღმერთმან გაგახაროს ისე, როგორც ჩუჴნ გვაამე მაგ ამბითა! მაშინვე გაუგზავნე კაცი გრიგოლ მუხრანის ბატონსა, რომ აცნობონ კობიევის ნათესავთა ეს სასიხარულო ამბავი. – გუშინაც მთავარმართველს ვჴსთხოვე აღთქმული მისგან 200/თუმ: კობიევისათვის; იმანაც უბძანა ინსარსკისა და მალეც გამოგიგზავნი ამ ფულსა. –

ამჟამად საქართველოსა ერთად რუსეთისათანა წინაუძევს დიახ მძიმე, დიახ დი[დი],¹ დიახ თავში საცემი, საქმე ყმების განთავისუფლებისათვის. ვჴბაასობთ, ვჴყვირით, ვჴჩხავით და ჯერ ისე იქვე ვართ და ვერ წავიდეგამს ფეხი წინ. – ძველის ივერიისა შენცა ხარ ერთი ძეთაგანი; აბა, მოგვანვდინე შენცა მანდედამ შენი ხმა და შენი ჰაზრი! –

ამ მინუტში შემოვიდა ყიფიანი, რომელთანაცა ვიმუსაიფეთ ამ საგანზედ ბევრი რაჟმე და მაინც ისე იქვე დავრჩით, და ვნახოთ შემდეგი რას მოგვიტანს? –

შემოვიდა² კოცებუ, მოსული ერევნიდამ, სადაცა იყო წარგზავნილი ლუბერნიის რევიზიისათვის. – მომითვალა მრავალი ბოროტმოქმედებები ჩინოვნიკებისაგან, მაგრამ ეს ამბავი არ

არის ჩემთვის ახალი.

მთავარმართებელს ჰსტკივა ცოტად ფეხი ნეკრესის ქართა.

მოველით ლენერალლუბერნატორსა ქუთაისიდან და არ იქნა, არ მოვიდა. – სენკოვსკისათვის ვჰსთხოვე სარდალსა³ ჯერ ამხელად ჯამაგირის მომატება, და იმანაც აღმითქვა მომატება შვიდასის მანათისა წელიწადში. –

კნენა ბებუთოვისა წარადგინა მთავარმართებელმა ოთხას თუმანზედ წელიწადში ჯამაგირად და ამისგარდა ხუთასი თუმანი კვარტირისათვის, რომელიცა სამის წლით დარჩება ამას, ვიდრე სახლებს ააშენებდეს. – კნიაზ ბებუთოვს, როგორცა ჰსჩანს, მაგდენი არა დარჩენიარა 50/ТЫ: მანათი, და მრავალთა არა ჰსჯერათ. –

გაგარინი გვრიტის ცოლით წავიდა; გოლიცინიც ამ დღეებში გაემგზავრება; ტრუბეცკოიცა წავიდა (ჯერ არწავიდა და აპირებსკი.);⁴ ერთის სიტყვით მთლად რუსეთის არისტოკრატია და მათთანა ერთად კნენა ანნეტა მუ[ხ]რანსკიცა, რომელიცა წავიდა გრანიცას გარეთ, აიყარნენ და გაეცალნენ თბილისის ზაფხულსა. –

მგონია, მოგწერე ივანესმუხრანსკის შვილის დაქორწინება ლიზა ფალავანდოვისასზე.

მოველით ახალს არქიერს – სახელი დამავინწყდა – და ჩუწნი ექზარხოსი მიბძანდება კიევს, ვითარცა უმაღლესს ადგილს. – საბრალო ჩუწნი ვიკარიი⁵ დავმარხეთ სიონში. – არ მახსოვს, მოგწერეა, რომ ყორხმაზიცა დავმარხეთ! – ასე, ნელნელად მიდიან წასასვლელნი, სიტყვასაებრ აბრამა მოურავისა: გასატეხი უნდა გატყდეს! –

უნინდელი მუშთეიდის ბალი მთავარმართებელმა გაადიდგაალამაზა და შეჰქმნა იგი პუბლიკისათვის სასეირნოდ და სალხნოდ.

ჩემი საკუთარი ბაგრატიონი სიყუარულით მომიკითხე და უთხარ, რომ მაგის ნათესავი ბაგრატიონი, რომლისაცა გადმოყუანასა ვჰსცდილობდით დრაგუნის პოლკში, დაქორწინებულა ერთს დიახ მდიდარს ქალზედ, რომელსაცა 1½ მილლიონი აქუს მზითევი!!!! – აბა რალათ მოვა ჩირიურთში.

ძალუა ვარინკა, რა დაბრუნდა შურიოთ, სულ თვალის ტკივილით იყო ავად და ახლაკი უკეთ არის; პატარა გიორგი ხშირად

გიკითხავს, და უკვირს, რომ აღარ მოდიხარ ჩუწნთან.⁶ –

დავით ჭავჭავაძე აქ იმყოფება თავის ცოლშვილით მშვიდობიანად. – ძლივს საბრალლო სუნდუკიანც⁷ გადმოვაყვანინე სტროიტელნის კამისიაში ჩლენად. – ლორისმელიქოვი – ლენერალი – მიდის ზაქათალას თანამემნედ ვრევსკისა, რომელიცა გუშინნინ გაემგზავრა ცარსკისკალოდცისაკენ ლამაზის ცოლითა და უფრო ულამაზესის ცოლის დითა. –

მოდით ეს წერილი ამით და აქვე დავაბოლოოთ!

მომიკითხე ბარონ ალექსანდრე ასტაფიევიჩი, რადეცკი, ოკოლნიჩი, გერშელმან, დოკტორ პლაშჩევსკი, და ასსეევი, და ეგრეთუე ტერლუქასოვი. – როცა ნახო მაღალხარისხოვანი შამხალი, იბრაიმხან და რეშიდხან მათის დედითურთ მომიკითხე, და შენცა იყავნ მშვიდობით.

შენი გრიგოლ ორბელიანი

ჩუწნი დიდი გასწავლულ-გავითარებული მირზა ხუდად და დიდი დიპლომატი ისაია მომიკითხე.

13^ლ აპრი: 1858.

თბილისით.⁸

[(106r) გვერდზე, მარცხენა არშიაზე, მინაწერია უკუღმა:]⁹

პეტრე აპპოლონოვიჩი პატივისცემით მომიკითხე.

ალექსი კრუზენშტერნისადმი №1 (513)

Крузенштерну.

Возвращая вам составленную инструкцию... Тифлис: Генерал Губер: я могу выразить только то, что по крайней мере в настоящее время, не имею я ничего сказать к ея дополнению. Чтоже касается до штата, то мне кажется необходимым:

1) Чтоб при Генерал Губер: состояли словесные переводчики

Груз: и Татар: языков. Собственно я в переводчике не нуждаюсь, но те, которые займут это место после меня, незная туземских языков, поставлены будут в затруднительное положение.

2) 3й пункт примечания к штату касается ли Писцев, т: е: могут ли они пользоваться теми преимуществами, которыя предоставляются по обычным правилам Писцам, определяемым от Правительства?

[3)] Не полагаете ли возможным назначить особую сумму независимо от штатной, на первое обзаведение мебели [...] вещей, необходимых для канцелярии [...] снабдить хоть на время [...] и военных постановлений.

Извольте просить вас о назначении Правителем [...] Алексева-Месхива.

[1858 წლის 13 აპრილის შემდეგ მალევე]

ალექსი კრუზენშტერნისადმი №1 (513)

კრუზენშტერნს

გიბრუნებთ თბილის[ის] ლენერალ გუბერ[ნატორის] მიერ შედგენილ ინსტრუქციას [...] და მხოლოდ ის ძალმიძს მოგახსენოთ, რომ არაფერი მაქვს დასამატებელი, ყოველ შემთხვევაში, ახლა. ხოლო, რაც შეეხება შტატს, საჭიროდ მიმაჩნია:

1) რომ ლენერალ ლუბერ[ნატორთან] უნდა იყუნენ ქართ[ული] და თათრ[ული] ენების თარჯიმნები: მე პირადად თარჯიმანს არ ვსაჭიროებ, მაგრამ ისინი, ვინც ჩემს შემდგომ დაიკავებენ ამ ადგილს, რთულს მდგომარეობაში აღმოჩნდებიან ველური ენების უცოდინრობით.

2) შენიშვნის მე-3 პუნქტი შტატის შესახებ ეხება მწერალთ, ანუ: მათ ძალუძთ თუ არა, ისარგებლონ იმ უპირატესობებით, რომლებიც ჩვეულებრივ ეძლევათ ხოლმე მწერლებს, ხელისუფლების მიერ დანიშნულთ?

[3)] ხომ არ სთვლით შესაძლებლად, საშტატოსგან დამოუკიდებლად გამოჰყოთ ცალკე თანხა კანცელარიის მოსამარაგებლად თავდაპირველი ავეჯით [...], აუცილებელი ნივთებით, თუნდაც დროებით [...] და სამხედრო დადგენილებებისთვის.

ნება მომეცით, გთხოვთ [...] ალექსეევ-მესხიევის დანიშვნა მმართველად.

[1858 წლის 13 აპრილის შემდეგ მალევე]

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №74 (514)

28 აპრილს 1858 თბილისით.

ჩემო ბატონო,
კნიაზო დემეტრე!

წასულს კვირაში გამოვატანე წერილი შენად სოლომონ ყორღანოვს, რომელშიაც მოგახსენეთ აქაური ამბები.¹ მის შემდეგ მოხდა: კონსტანტინე თარხანოვი და ნიკოლაი ალაპიჩი ივანოვი, ესე იგი, ჩვენი ბატონი-სიძე, შეიქმნენ იანარღები;² სენკოვსკის მოუვიდა სტანისლავის ლენტი და სხუათა მრავალთა. – ავთანდილოვი მიდის დეპუტატად ეჩმიადინს პატრიარქის აღმოსარჩევად, და როგორც ისმის, აღმოსარჩევენ კონსტანტინოპოლიდამ; ანგლიის კონსული, დანიშნული ყიზილბაშისა მხარეს, მიდის ბაქოზედ, და იქიდამ პარახოდით გილან-მაზანდარანისაკენ, და რა საკუთრველია, რომ რუსეთისათვის საკეთილოს არას დაანყობს. – სუხუმშიაც იჯდება ანგლიის კონსული და რაღა თქმა უნდა, რომ მრავალგვარი ინტრიგები გაკეთდება მისგან მთაში ჩვენ სავენებელად. – მოვიდა პეტერბურლიდამ დიდად მოსალოდნელი ხარიტონოვი, მაგრამ ჯერ კარგად დაწვრილებით, თავიდან³ არ უანბნია ჩემთვის, მხოლოდ ისრე в общих выражениях,* და ამისგამო არცა მე გწერ, და ვჭგონებუკი, მაგდენი არა მოუტანიარა. –

ებლინდ⁴ გადმოდის კაპიტნად და მოვა შურაში სამსახური-სათვის; ამ ანგარიშს ვერ მიმხუდარვარ: აქ ორასი თუმანი ეძლეოდა, და მანდ როგორ უნდა იცხოვროს პოლკის ჯამაგირით ცოლიანმა კაცმა.

აფშერონსკის პოლკსა მისცემენ ღვარდიის პოლკოვნიკსა, რომლისა გვარი, სიბერისაგამო, დამავინყდა.

ბრიგადნის კამანდირნი, რომელნიცა, ახლის დაწყობილები-საგამო, ჰშთებიან უადგილოდ, იქმნებიან იმ ჯამაგირით, რომელიცა ეძლევათ ამჟამად, ვიდრე მიიღებდენ ახალს რასმე თანამდებობას, ასე რომ ზოგნი სიკუდილადმდე იქნებიან განსვენებითს ცხოვრებაში უკრავ-უგინებლად; და ივანე მუხრანის ბატონი ამბობს, რომ ნეტავი მეც მაგათ რიცხვში ჩამწერონო! –

22 სოტნა მილიციისა გაიყუანეს მარტო კახეთილამ და ახლავე დააყენეს ლინიაზე; შენ იფიქრე რა შეინრებულს მდგომარეობაში იქნება კახეთი, რომელიცა ყოველს თვეს უნდა აძლევდეს ორიათასს თუმანზე მეტსა მხოლოდ ამ ერთის საგნისათვის საჯამაგიროს! – და კახეთი ესოდენს რას დაჰკარგავს, თუ გინდა მართლად მტერიც მოვიდეს მასზედ? –

შარიათის წიგნები მომივიდა და მეცა გაუგზავნე დირექტორს ინსარსკისა. ამ წიგნებისათვის როდის იყო შტაბილამ მოწერილობა? გამომიგზავნე ან № და ან რიცხვი.⁵ – აკოლნიჩიც მოვიდა თავისის ვეება წარდგენითა⁶ და სიმამრითა.

გულით ვჰსწუხვარ ღოპპესათვის; რა უნდა ჰქმნას და რით იცხოვროს ეგოდენის შვილების პატრონმა? – რას წამს მომივიდა მაგისი წერილი და ბარონისა მაშინვე დაველაპარაკე მილუტინსა, მაგრამ რა გაეწყობა, არსად არის ვაკანცია; სტავროპოლისა და კისლოვოდსკის ბატალიონები დაერიგებინათ; ნეტავი ერთის კვირით მაინც ადრე მცოდნოდა მაგის აგრეთი მდგომარეობა, საგინოვის ბატალიონს გაურიგებდი. – ჩერნომორსკის ლინეი: ბატალ: არის, მილუტინმა მითხრა, არ მიიღებსო იქაო? მე უპასუხე არა მგონია, რომ იქ მოინდომოს სამსახური მეთეი, რადგანაც ბევრი წვრილი შვილები ჰყავს, რომელნიცა ვერ გაუძლებენ იქაურს ჰაერსა; და ამით დაბოლოვდა. – ახლა რადგანაც ვიცი მაგის სურვილი, ვეცდები, რომ მეჭიროს თვალყური შესაბამის თანამდებობის აღმოჩენაში, მაგრამ ძნელი ეს არის, როდის იქნება ვაკანცია? –

2^ა მაისს.⁷

გუშინ მოუვიდა მთავარმართებელს წერილი, რომ ველიკიე

კნიაზები ნიკოლაი და მიხეილ მობრძანდებიან ამ შემოდგომაზედ საქართველოში და მოვლიან მთელს კავკაზსა. – მთავარმართებელმა ასე დააწყო პლანი მათ მისაღებლად: 8^ა სექტემ: გავლენ თბილისიდან ყარაიაზედ 9,10 და 11 ინადირებენ, იმწყერ-იკურდ-ლლაებენ, და 12^ა გაემგზავრებიან გომბორს და იქიდან ალავერდ-სა, სადაცა იდღესასწაულებენ და შემდეგ ჩაუვლიან ლეზგინსკის ლინიას და მერე თქვენკენაც გამოემგზავრებიან.

ენდრონიკაანთში სწორედ ლეკობანა არის: სოლომონ და ივანმაღსაზიჩი გადაკიდებულნი არიან და ერთმანეთს ჰსტაცებენ ხან საქონელსა, და ხან ჯოგსა. – სად არის მმართველობა, სად არის სამართალი?

აპაჩინინის ქალი მაშინკა გამოვიდა ინსტიტუტიდამ, და დიას ლაზათიანი ქალი არის; პოპოროლოპულო დაინიშნა ნულუკიძის ქალზე, რომელიცა ეგრეთუე ინსტიტუტიდამ არის გამოსული და მეტისმეტი მშვენიერი.

მომიკითხე შამხალი, რადეცკი, ბაგრატიონი; ამისგარდა იბრაიმხანი რეშიდითა⁸ და მათის დედითურთ.

შენი გრიგოლ ორბელიანი

ისაია და მირზა ხუდად ჩემის კაკალათი მომიკითხე.

*ზოგადი ფრაზებით.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №75 (515)

ჩემო ბატონო
კნიაზო დემეტრე!

შენი წერილი 1^ა მაისისა მივიღე და შენის ხილვის მსგავსად ვისიამოვნე. მერე:

დიდად და დიდად მიამა, რომ ჩემი ცხენი მანდავე დაგრჩომია და, ჰალალშედისაგამო, აღარ გაგიგზავნია პეტერბურს. – აბა, ჩემო დიმიტრი, დიდად დამავალეზ, თუ მაგა ცხენსა აქ გამომიგზავნი უკრავ-უგინებლად: ვერ წარმოიდგენ რა ძვირია აქა

მაგისტანა ცხენი.

თბილისი არარაჲ ღირსი მონერისა; ზაფხულმა მოატანა და ვისაცკი შეუძლიან, ემზადება გასასვლელად კოჯორს, ბორჯომს, და სხუათა ადგილთა მთის სიგრილეში. – მეცა კათათვემი და აგვისტოს მინდა მიმოვლო საყაფლანისშვილო მამულები და ამასთანა გავეცლები აქაურს სიცხეებსა. –

აღარ მახსოვს, მოგწერე თუ არა, რომ მე ვჰსთხოვე მთავარმართებელს შენი აქ დანიშვნა ვიცელუბერნატორად, მაგრამ რადგანაც ადრევე ამას თვთონ აღეთქუა ორლოვსკისათჳს, ამისგამო დარჩა ეს ასე დრომდის. –

ამ თვის 18^ს იქნება ეჩმიადინში აღმორჩევა პატრიარხისა. – ჩვენის მმართველობისა მხრით არის დანიშნული ავთანდილოვი და სომეხთაგან ამიროვი. – გუშინ სტამბოლიდამ მოუვიდა ისაკ თუმანოვსა წერილი, რომლითაც აღმოარჩევენ ამას მთლად იქაური სომეხობა და სამლუდლო კრება თავის დეპუტატად, და ახლა ისაკსა ექმნება 96 ხმა. – ეს დიდი მინდობილობა არის იქაურთ სომეხთაგან ჩვენის მართველობისადმი. – როგორც ისმის ერთს სტამბოლის პატრიარხთაგანსა აღმოარჩევენ ნერსესის ადგილსა.

ნაზოროვი – ნალუბერნატარი – მიდის ამ დღეებში რუსეთს; კულებაკინი მოვიდა გუშინ მინგრელიდამ და აპირებს ერევანში წასვლასა ლუბერნატორად.

მირზა ვექილოვისათჳს ვჰსთხოვე მილუტინსა, რომ დანიშნოს პერევოდჩიკად თავისთანა და აღმითქვა ამის აღსრულება დროზედ. – ჯერ ჩემი შტატი და საზოგადოდ სოვეტისა, რომელიცა უნდა შეიცვალოს სხუაგუარად – არ მოსულა. –

ბაგრატიონი სიყუარულით მომიკითხე; ეგრეთუე ვოლკოვი და ბარონი აღექსანდრე ასტაქიჩი. –

აკოლნიჩი აქ არის; ყოველს დღეს მოაქუს ხელის მოსანერად ქალაღებუი, მაგრამ დასასრული არ არის. – საღამოსადამოდ აკოლნიჩი უკითხავს მთავარმართებელსა ზოგიერთს თავსა თავის თხზულებისას ავარიისათჳს. –

კაკალა და ისაია მომიკითხე.

შენი გრიგოლ ორბელიანი

[IV (131v) გვერდის მარცხენა არშიაზე მინაწერია:]

აპაჩინინი ბაბალეთი წავიდა ვლადიკავკაზს მოსამზადებლად პოლკის ჩაბარებისა.

[ამავე გვერდის თავში ავტორის მინაწერია უკუღმა:]

ამ დილით ბაშმაკოვი წავიდა ცოლშვილით ყირიმსა და ძალუა ვარინკა გაჰყვა გასაცვილებლად. –

[1858 წლის 3 მაისიდან 18 მაისამდე]

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №76 (516)

ჩემო ბატონო, კნიაზო დემეტრე!

ჩვენი ბრძენი ალისულთანი სრულიად მოულოდნელად შემოვიდა ჩემთან და მომიტანა შენი წერილი და ბაგრატიონისა, პირველის სიტყვითგანვე, რასაკურველია, შევიტყე ამის მუცლის დარდი. –

მთავარმართებელმა ასე უბრძანა, რომ რადგანაც არ არის დიდი ხანი შენის სიბირიდან მობრუნებისა, ამისგამო არ შეიძლება რომ ვჰსთხოვო ჯელმნიფესა შენის საქმისათვისაო; წადი ბარონ ვრანგელთან, იმსახურე, გამოაჩინე შენი ვაჟკაცობაო, და როცა ბარონ ვრანგელი დაინახავს შენს თავდადებით სამსახურსა და წარმოგადგენს ჩემდამო, მაშინ მეც მოვახსენებ ჯელმნიფესაო და უეჭველია, რომ უჯილდოდ და უნუგეშოდ არ დარჩეო. – ასე გადაწყდა ამის საქმე; მეც დავარიგე, რომ წამოვიდეს ეკსპედიცი-აში, იმსახუროს და თავის კარგის ქცევით შეაყვაროს თავი ბარონსა, და მაშინ ეშველება რამე. – რა საკურველია, სოფელი ველარ გამოერთმევა რეშიდხანსა, მაგრამ ესეცკი შესაბრაალისია: ახმედხანის ძმასა არა აქუსრა ერთის სოფლის მეტი და ძმისწულუბსკი მთლად სახანო. ამისგამო, როგორც ბარონს ჰქონდა განზრახვა ჯამაგირის მომატებისა, დიახ სიმართლე იქნება, რომ ეკსპედიციის შემდეგ ეს საბრალო გააბედნიეროს ჯამაგირის მომატებითა

და მით გაუჩინოს ერთი ლუკმა პური ამის სახლეულობას, თორემ ესკი თავის უგუნურებით არცკია ღირსი. –

საშინლად დაცხა; ფანჯრებ დაბურვილი ვზივარ შინ სიბნელეში; ნამესტნიკი 1^ა ივნისს წავა ბორჯომს და მე ტაბახმელას, მამაპაპის ეილაღში, სადაცა გუშინნინ გავისტუმრე ჩემი ძალუა ვარინკა თავის შვილით.

თითქოს ეშმაკმა შემკრა, რომ ბაგრატიონს ვერ მოვსწერე აქამდის; ვჰსწუხვარ, და ახლაცკი მომიკითხე სიყუარულით.

შენი ბედნიერების მოსურნე
გრიგოლ ორბელიანი

ვოლკოვი მომიკითხე და შამხალიცა. 4/ათ. თუმანი გამოუვიდა შამხალსა.

[მარცხენა არშიაზე, ირიბად გამოგზავნის თარიღი და ადგილია
მინერილი:]

28^ა მაისს 1858
თბილისი.

ღიმიტრი ჯორჯაძისადმი №77 (517)

ჩემო ბატონო,
კნიაზო დემეტრე!

ამ წერილს მოგართმევს შვილი სვიმეონ პაიჭაძისა, წამოსული აქედამ ყუბის უეზდის გადასაზომად. – მიიღე ესე ჩუჭულებრივის ყურადღებითა, რადგანაც არის ყმანვილი კაცი და გამოუცდელი, და ზენაარსი მოგაგებს ნაცულადსა.

შენი ბედნიერების მოსურნე
გრიგოლ ორბელიანი

2^ა ივნისს 1858.
თბილისით.¹

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №78 (518)

ჩემო ბატონო დემეტრე!

ნიკო მოდის შურას და მასთან ერთად რევაზ ერისთავი. –
შენ იცი როგორც მიიღებ.

მომიკითხე ბაგრატიონი, აკოლნიჩი, ვოლკოვი, და რადეცკი.

მე გამოვიზაფხულე ტაბახმელას ჩემის რძლით ვარინკათი,
მისის გიორგით და ჩემის დისწულით და ვარ მყუდროებაში. –

ესლა არა მცალიან¹ განვრცელებით მონერისათვის, რადგანაც
ვეშურები, რომ ნერილმა მიუსწროს თბილისში ნიკოს, რომელსაცა
ეს მეთორმეტე დღეა სულ აცილებენ და ვერ მორჩნენ გამოსალმე-
ბასა.

მირზა ხუდად და კაკალა ისაიითურთ მომიკითხე.

შენი ბედნიერების მოსურნე
გრიგოლ ორბელიანი

15^ა ივნისს 1858

ტაბახმელა.²

ტერლუქაზოვი მომიკითხე სიყუარულით.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №79 (519)

28^ა ივნისს 1858.¹

ჩემო ბატონო,
კნიაზო დემეტრე!

ნუ მემდურვი და ნუცა შემრისხავ მოუნერლობისათვის; მეც
არა ვარ მადრიელი ამ შემთხვევაში ჩემის თავისა, მაგრამ რა
გაენყობა: სიბერე და სიზარმაცე მერევან.

გუშინ ვიყავ ქალაქსა, სადაცა კრუზენშტერნმა შემატყო-

ბინა, რომ ჩუჰნს დიდს მწიგნობარს მირზა ხუდადს ვეჟილოვსა, – რომლისა სახელი განთქმულია ირან-არაბისტანში – გამოსვლია წყალობად 150 დესატინა ყუბის უეზდში. თუმცა მომატებულზე იყო წარდგენილი, მაგრამ, სიტყვისაებრ უეჭველისა წიგნისა, იყოს კმაყოფილ ამაზედაც.

ალარ მახსოვს, მოგწერეა² ახლის პროექტისათვის, რომლითაც უნდა მოხდეს ცვლილება სოვეტში. აი ამ გვარად:

1) ახლანდელნი ოტდელენიები უნდა გარდიცვალნენ დეპარტამენტებად.

2) ოტდელენიის ნაჩალნიკნი შეიქმნენ დირექტორებად, რომელნიცა არა იქმნებიან სოვეტის ჩლენებად, მაგრამ დირექტორიკი თავისს ნაწილსა მოახსენებს თვითონ სოვეტსა.

3) ნაჩალნიკი ღრაჟდანსკალო უპრავლენია არის ჩლენი სოვეტისა.

4) პრედსედატელი სოვეტისა მთავარმართველის გასვლის დროს თბილისიდან მიიღებს მისს მოადგილეობას.

ამა ცვლილებითა არ ვიცი ეს მხარე შეიქმნება თუ არა ბედნიერად; მაგრამ ესკი ვიცი, რომ კიდევ მომატებული ხარჯი დაედვა ხაზინასა, რომელშიცა, ეტყობა, ბევრი ფული ჰქევს, რომ ასე ადვილად აჩენენ ახალთა თანამდებობათა თითქოს განგებ ჯამაგირისათვის. – ხალხის მოვლა? სასამართლო, სადაცა ვერა ჰპოებენ სიმართლესა? ხალხის აკლება? უეზდების გაყვლეფა? გზაზედ ავაზაკობა და მგზავრების დახოცვა, შარშან და წლეულს 68 კაცი რომ მოკლეს, იმათი მკვლელნი? ქრთამობა ჩინოვნიკებისა და ამკარად თანამდებებების ფულით შესყიდვა? ხალხის შეწუხება, წივილ-კივილი მათი და წყევა? – ვნახოთ, ეგების ღთმა³ მოხედოს ამა მხარესა და აპოვინოს ნამალი უმაღლესსა მმართველობასა განსაკურნებელად ათასგვართა წყლულთა უსამართლოებით და მოუვლელიობით ხალხზედ მოვლენილთა!

ერთი ესეც მანუხებს, რომ ასე გაუფრთხილებლობით, ასე განუხჯელობით, მოჰფინეს ხალხში ხმა ყმების განთავისუფლებისათვის. – ჩემის ფიქრით, ეს ასეთი საქმეა, რომ ვიდრე რუსეთში არ დასრულდება, არ დამკვიდრდება, და არ ვიხილავთ თვალით მათ კეთილდღეობასა, მანამდის ჩვენ უნდა ვიყვნეთ ჩვენთვის ჩვე-

ნის ძველებურის წეს-დებულებითა. – არა, რას ვეშურებით? რა გვენადვლა ეს საქმე, რომლისა⁴ სიძნელე არ გვესმის,⁵ ჩვენმა დედა-რუსეთმა დაანესოს, დაამკვიდროს, და ჩვენთვის გაავაკოს⁶ ეს ძნელი გზა, რომ შემდეგ ჩვენცა ადვილად შეუდგეთ და განვლოთ ეს აუცილებელი გზა და მოვერიდნეთ იმ შეცთომილებათა, რომელნიცა უეჭველია, რომ არ მოუხდეს რუსეთსა ამ ახალს დაწყობილებაში. – ლთ⁷მან⁷ ჰქმნას, რომ იქაც და აქაც აღსრულდეს ესე მშვიდობიანად. –

მთავარმართებლის⁸ ძმა მოსულა ბორჯომს; ძალიან მოჰსწონებია ეს ხეობა და უსყიდნია იქ სახლიცა, რომელსაცა დააქცევს და ააშენებს სხუას ახალსა თავის ცოლისათვის, რომ ვინიცობაა, როდესმე მოვიდეს აქა, პირდაპირ მივიდეს თავის სახლში. – ჰეი სიმდიდრევე, ამ სოფლის ღირ⁹ –

ჩემმაგიერ ჰკითხე აკოლნიჩის, წარვადგინეთ თუარა მაიორი შტანდე? –

მილუტინი იყო აქამდის შავს ზღუაზედ ნოვოროსსიისკამდის, და ამ ახლოს ხანში მოვიდა. – რადეცკისათვის ამ დღეებში მოვილაპარაკებ ამასთან და ვნახოთ. – ლოპპესათვისაც, რომლისათვის დიდად ვჰსწუხვარ, განუმეორებ ჩემს თხოვნასა.

გამაგდეთ ეგ მყრალი, ეგ უნამუსო მანუკინი. – დიდის სიყუარულით მომიკითხე პეტრე აპპოლონოვიჩი და შემიტყე მაგის ჰაზრი საღებურნატოროდ, თუ მანდ არ მოუხდა სამსახური და აქ აღმოჩნდეს ვაკანცია. – ეს¹⁰ წერილი წამიხდინა ქარმა და სწორედ მოგახსენო, ველარ გავბედე გადაწერა. –

ჩემს ცხენს თუ გამომიგზავნი დიდად და დიდად¹¹ მაღლობელი ვიქნები, ამიტომ რომ შესაჯდომი ცხენი, მართლად, დიას ძვირი საშოვნელია, და მეტადრე ახლა, როდესაც ველიკიე კნიაზები მოსასვლელნი არიან, დიას საჭიროა ჩემთვის, და გარწმუნებ რომ ეს ნადირობა რომ გათავდება, მე თვითონვე გავგზავნი პეტერბურს პირველსვე აკაზიით, რომელიცა უეჭველია, რომ არ მოხდეს აქედამ.

ბარონ ვრანგელისა და მილუტინისაშორის მიმონერაში კინკლაობა არ შემიტყვია აქა და არცა უთქვამს ჩემთვის რაიმე მთავარმართებელსა ამ საგანზე, და ეს კი ვიცი, რომ ყოველთვის,

როდესაც ჩამოვარდება ლაპარაკი მაგ მხარეზე, მთავარმართებელი იხსენება დიდის პატივისცემით ბარონისათვის. – და ეს მიკვირს, რომ რათ უნდა მომხდარიყო მაგ გვარი მიმონერა? –

ნაზრანელების აშლა მოხდა ჩვენგან: რა გაენყობა, რომ არვიციტ ხალხის მოვლა? დაუნიჟეს, რომ უთოოდ უნდა დიდროან სოფლებად დაშენდეთო, და ეხლანდელნი დაფანტულნი პატარა სოფლები უნდა დაიქცეს და გაოხრდესო. ეს იყო მიზეზი. ერთხელ, არც ერთმა ხალხმა კავკასიისამ არ გაატარა ათი წელიწადი მშვიდობიანობაში, რომ ან მინის შემუშავებას შეჰსჩვეოდა და ანუ ვაჭრობასა. – სულ ომი, სულ აღრეულება, სულ სისხლი, და ყოველსავე ამას ვაბრალებთ საწყალს ხალხსა, რომლისა არცა ჩვეულებასა და არცა ისტორიასა აქამომდის არ მიმხუდარვართ! –

ჩვენი სოვეტი დაიკეცა ორს თვეს, მაგრამ რაცკი შემეძლება ბაქიხანოვის საქმეზედ ხუდადის მამულის შესყიდვისათვის, მზადა ვარ. – დრო არის, რომ ყუბის უეზდსა ჰქონდეს უფლება მამულის შესყიდვისაცა და გასყიდვისაცა.

მართალია, რომ კალასოვსკის საქმე გამოცვლისა ერთს დროს იყო თბილისში ლაპარაკის საგნად, მაგრამ ჯერ ისე როგორღაც მიიჩუმა. – კალასოვსკის აღარა უჭირსრა: რომ მოინდომოს შენს შაქრიანსაც იყიდის! მაგრამ სიტყუა ეს არის, ვინც დაჯდება მისს ადგილს, ზანდუკებს გასტენს თუ არა? –

ნაზიმკისათვის დიახ კარგი, დიახ შესაფერი ადგილი მიუცია ბარონსა, და მაგაზე მეტის ღირსიც არ არის.

გუშინ, ესე იგი პეტრე-პავლობას, ვიყავით კოჯორს დიმიტრის თამაზისშვილთან ორბელ: დიდის დასტით. ნარდი, ლოტო, სადღეგრძელოები და სხუანი, რა საკურველია, თავის რიგზე და დროზე იყო. – დღეს ეს დასტა ჩვენთან უნდა მოსუფევდნენ ტაბახმელას. – გიორგი ხშირად გიგონებს და უკვირს, რომ ჩვენთან ჩაიზე აღარ [მო]დიხარ.¹² –

სხუათაშორის ჩვენი სტუმარი იქნება დღეს მამუკას ქალი, ახლად გამოსული ინსტიტუტიდამ, სახით მშვენიერი, წელით საროზე აღზრდილი. – შე წყეულო, ეს მაინც შეირთე?

ვიდრე ეს წერილი მოგივა, რევაზ ერისთავი და ნიკო

ჭავჭავაძე მანდ იქმნებიან. მომწერე მაგათი ამბავი და სამსახური. – დალისტანი ახლა შემოვიდა მოდაში: სულ მანდეთკენ მოდიან ჩვენი ყმანვილ-კაცნი.

ძალუა ვარინკა, ლთ^{ის}¹³ მოწყალებით, კარგად არის; აქაურმა ჰაერმა ძალიან არგო თვალებში, ასე რომ ახლა კარგადაც კითხულობს.

ამ დღეებში მომიხდება წასვლა ბორჯომსა მთავარმართე-ბლის სანახავად; იქა ქალებთაგანნი არიან მხოლოდ კაბლერის ცოლი და ლიზა დავიდოვისა.

ნიკო ბუყიასშვილი ჭავჭავაძე დანიშნეს სუდიად თბილისის უეზდისა; და ბეჟანბეგოვსა აღუთქვეს ერევანში ლუბერსკის სუ-დიობა.¹⁴ –

რიონზედ დაიწყო პაროხოდმა სიარული; ფოთის გარეშემო გაიკაფა დიდი ადგილი, სადაცა ახლავე ჰსახლდებიან მრავალნი, და იმედია, რომ მოკლეს ხანს გარდიქცეს ქალაქად. მრავალნი სომეხნი და ბერძენნი გადმოდიან ოსმალოდამ აქ საცხოვრებლად и принимают присягу на верноподданство.* – ნიკოლაი ალაპიჩმა გამოაჩინა ამ შემთხვევაში დიდად საქმის ცოდნა. –

მილუტინმა მიაშობო, რომ შარვაშიძემაც დაანყო სასამართ-ლო, რალაც в роде народного судилища.** – არ ვიციკიო განგებ ჩემის მისვლისათვის მოახდინა ეს ტეატრული წარმოდგენაო, თუ მართლად სასამართლოს შედგენისათვის ხალხი შეეგროვებინაო. –

თუ ძალიან არა გაქუს ხურუში კითხვისათვის, მგონია, ესეც საკმაო იყოს. – კაკალა მომიკითხე და მირზახუდად ისაითურთ.¹⁵

შენი ბედნიერების მოსურნე გრიგოლ ორბელიანი

30^ს ივნისს 1858.

ტაბახმელით.¹⁶

ვრევსკიმ აინია მთისაკენ ჯარითა და აქამდის იდგა ნინიკას ციხესთან და ელოდა გამოდარებას, რომ გადასულიყო დიდოში.

დავით ჭავჭავაძე არის თელავში ცოლშვილით და როგორც ისმის ჯერ ამ ხელა[დ] სახლებს აშენებს თავლაზედ, და მერე ლთ^ი¹⁷ მოწყალეა!

[117v გვერდის არშიაზე, მარცხნივ, მინანქრია უკულმა:]

ფოლკენდალენს მოუტანია ბევრი მეტად კარგნი პლანები სახლებისათჳს სასოფლოდ ასაშენებლად. –

*დებენ ერთგული ქვეშევრდომობის ფიცს.

**სახალხო სამსჯავროს მსგავსს.

ივანე ჯამბაკურ–ორბელიანისადმი №1 (520)

რა მშვენიერი დარებია; რამდენს გიგონებთ მანდაურს წირპლიანს ღრუბელში მყოფსა!¹ აქ ქვეყანა სულ გარეთ არის; დადიან, დარბიან, მიაჭენებენ; შინ მიდიან მხოლოდ დასაძინებლად. ნათელი, მყუდრო, წმინდა ჰაერი, მზე კაშკაშებს; ერთის სიტყვით ქვეყანაზე მხოლოდ ერთი არის საქართველო, ისიც ჩუჭნი! კაცმა აქ უნდა იცხოვროს, პეტრებუღში კი ემსახუროს, ისიც მოკლეს ხანს. – ასე ჩემო ვანო, ახლა აბა მიაგბე შენის ფეხების ამბავი.

[1858 წლის ივლისის დასაწყისი]

ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №22 (521)

19 Июля 1858. Селен: Табахмели¹

К: Барятинскому.²

Вашему С^{ву} в письме от 16 Июля благоугодно было приказать мне выразить мнение о будущем управленіи Казыкумыкским Ханством по случаю безнадежной болезни Агалар Бека.

Казыкумыкское Ханство, как и Акуша слышком важны для нас своим географическим положением: Оне собою заслоняют от неприятеля почти все другія покорныя и полупокорныя общества нашего Дагестана. От прочнаго и спокойнаго управленія ими зави-

сит спокойствіе или волненіе до Шуры, Дербенда и далее. В Акуше возстановлен порядок учрежденіем внутренняго управленія. К сожаленію, от Аслан Хана до Агалара управлявшіе Казыкумыкским Ханством были люди, или бездарные, или пьяные. Только Агалар своим твёрдым характером, энергіею и дикою храбростію мог возстановить порядок в разстроенном, разорённом Ханстве, привлечь к себе уваженіе и доверенность народа и своею щедростію окружить себя людьми способными.

Безвременная смерть Агалара была бы великою потерью для нас, в особенности теперь, когда ещё не подготовлен ему преемник; А близость непріятеля и слабое управленіе могут разом уничтожить там всё хорошее, едва возникшее после многих трудов и кровавых усилій.

В настоящем деле представляются три вопроса:

1) Назначитьли малолетняго сына Агалара управляющим Ханством под руководством опытнаго Штабофицера, или даже Генерала?

2) Устранитьли его совершенно, и тогда назначить одного из родственников Агалара?

и 3) Устранив их всех предоставить управленіе благоразумному Штабофицеру?

Из этих трёх случаев, по моему мненію первый наиболее удовлетворителен, невзирая на те неудобства, которыя неминуемо сопряжены с регентством. Но пример уже был в Мехтулинском Ханстве, где народ, в продолженіи 13 лет, оставался совершенно спокойным и довольным. Притом непременно нужно образовать под надзором Штабофицера внутреннее управленіе, без котораго одна военная сила неводворит в стране спокойствіе.

Устраненіе сына от Ханства неминуемо породит ропот и неудовольствіе между приверженцами Агалара, которые в тоже время составляют и партію нашего Правительства. Надо уважать их мненіе, если оно выскажется в пользу сына Агалара, невзирая нато, что он, по происхожденію, Чанка.

Никто из родственников Агалара не может быть правителем

по их бездарности. Между ими, кое как выглядывает человеком Джибраиль Бек. Но тогда что делать с сыном Агалара и его приверженцами?

Назначеніе же нашего Штабофицера правителем Казыкумыкского Ханства, полагаю рановременным.

Без сомненія лучше их всех былбы на этом месте Генерал-Маіор Юсуп Бек, управляющій Кюрынским Ханством; но, во первых эти два Ханства не должны быть соединены под управленіем мусульманскаго Правителя, а воторых Агалар и Юсуп Бек были непримиримыми врагами.

Выразив мненіе моё в пользу сына Агалара, считаю нужным повторить, что Штабофицер, который будет назначен при нём, должен быть очень опытным, дальновидным и хорошо знаком с тем краем и лицами, которых интересы касаются новаго положенія дел в Ханстве, чтобы с перваго же дня его появленія, он стал смело, твёрдо на своём месте, и чтобы никакіе интриги и пройски немогли поколебить его.

ალექსანდრე ბარიატინსკისადგი №22 (521)

19 ივლისი 1858. დაბ: ტაბახმელა

კნ: ბარიატინსკის.

16 ივლისის წერილში ჩემდამი თქუენს ბ[რწყინვალეობას] სურდა, ებრძანებინა ჩემთვის, მოსაზრება გამომეტყვა ყაზიყუმუხის სახანოს მომავალს მართვა-გამგეობაზედ ალაღარ ბეგის უიმედო ავადმყოფობის გამო.

ყაზიყუმუხის სახანო, ისევე როგორც აჰყოშა, ძალზედ მნიშვნელოვანია ჩუენთვის თავისი ლეოლრაფიულის მდებარეობითა: ისინი მტრისგან იფარვენ ლამის ყუელა დანარჩენ მორჩილსა თუ ნახევრად-მორჩილ საზოგადოებებს ჩუენი დაღისტნისას. მათს მტკიცესა და მშვიდს მართვაზედ ჰკიდია სიმშვიდე თუ მღელვარება შურისა, დერბენდისა და სხუათა. აჰყოშაში აღდგენილია წესრიგი შიდა მმართველობის დაწესებით. საუბედუროდ, ასლან ხანიდამ ალაღარამდინ ყაზიყუმუხის სახანოს მმართ-

ველნი იყვნენ კაცნი ან უნიჭონი, ან ლოთნი. თავისი მტკიცე ხასიათით, ენერგიითა და ველურის სიმამაცით მხოლოდ ალაღარს ძალუძდა აღედგინა ნესრიგი არეულს, დარბეულს სახანოში, მოეპოვებინა ხალხის პატივისცემა და ნდობა და თავისი გულუხვობით შემოეკრიბა მარიფათიანი ადამიანები.

ალაღარის უდროო სიკვდილი ჩუენთვის იქნებოდა დიდი დანაკარგი, მეტადრე ახლა, როცა ჯერაც არა გვყავს შეგულებული მისი მემკვიდრე; ხოლო მტრის სიახლოვემ და სუსტმა მმართველობამ შესაძლოა, წამიერად მოსპოს იქ ყოველივე კარგი, ვაი-ვაგლახით მოპოვებული მძიმე შრომისა და სისხლიანი ძალისხმევის წილ.

ამ საქმესთან დაკავშირებით ისმის სამი საკითხი:

დაინიშნოს თუ არა ალაღარის მცირეწლოვანი ვაჟი სახანოს მმართველად გამოცდილი შტაბაფიცრის, ან სულაც ღენერლის ხელმძღვანელობითა?

სულაც ჩამოვიშოროთ იგი და მაშინ დაინიშნოს ალაღარის ერთ-ერთი ნათესავთაგანი?

და 3) ისინი ყველანი ჩამოვიშოროთ და მმართველობა მივცეთ კეთილგონიერს შტაბაფიცარსა?

ამ სამიდან, ჩემის ჰაზრით, პირველი მეტად დამაკმაყოფილებელია, მიუხედავად იმ უხერხულობებისა, რომელნიც გარდაუვლად ახლავან რეგენტობასა. მაგრამ მაგალითი უკვე იყო მეხთულის სახანოში, სადაც ხალხი 13 წლის მანძილზედ სრულებით მშვიდი იყო და კმაყოფილი. ამასთან ერთად, შტაბაფიცრის მეთვალყურეობის ქუემ უსათუოდ უნდა შეიქმნას შიდა მმართველობა, ურომლისოდაც მხოლოდ სამხედრო ძალა ვერ დაამკვიდრებს სიმშვიდეს ქვეყანაში.

სახანოდამ ვაჟის მოშორება გარდაუვლად წარმოშობს შფოთსა და უკმაყოფილებას ალაღარის მომხრეთა შორის, რომელნიც იმავდროულად შეადგენენ ჩუენი მთავრობის პარტიასაცა. პატივი უნდა ეცეს მათ ჰაზრს, თუკი ის ალაღარის ვაჟის სასარგებლოდ გამოითქმის, მიუხედავად იმისა, რომ ის წარმოშობით ჭანკაა.

არც ერთს ალაღარის ნათესავთაგან არ ძალუძს, იყოს მმართველი უნიჭობისა გამო. მათ შორის, როგორღაც კაცივით გამოიყურება ჯიბრაილ ბეგი. მაგრამ მაშინ რა ფუყოთ ალაღარის ვაჟსა და მის მომხრეთ?

ყაზიყუმუხის სახანოს მმართველად ჩვენი შტაბაფიცრის დანიშვნა ნაადრევად მიმაჩნია.

ექვგარეშეა, ამ ადგილისთვის ყველაზე უკეთესი იქნებოდა ღენერალ-მაიორი ჰუსუფბეგი, ქურის სახანოს მმართველი; მაგრამ, ჯერ ერთი, ეს ორი სახანო, არ ეგების, გაერთიანდეს მუსულმანი მმართველის ქუემ, და მეორეც, ალაღარი და ჰუსუფბეგი შეურიგებელი მტრები იყვნენ.

გამოვხატავ ჩემს მოსაზრებას ალაღარ ბეგის ვაჟის სასარგებლოდ და საჭიროდა ვრაცხ გავიმეორო, რომ შტაბაფიცარი, რომელიც მასთან დაინიშნება, უნდა იყოს ძალზედ გამოცდილი, შორსმჭვრეტელი და კარგად იცნობდეს იმ მხარესა და პირებს, რომელთა ინტერესები ეხება საქმეთა ახალს ვითარებას სახანოში, რათა მისი გამოჩენის პირველსავე დღიდან ის თამამად, მყარად დადგეს თავის ადგილზე და რათა ვერანაირმა ინტრიგებმა და ხრიკებმა ვერ დაჯაბნოს იგი.

ლიმიტრი ჯორჯაქისაღვი №80 (522)

ტერლუქაზოვს ჩემმაგიერ მიულოცე პოლკოვნიკობა. ბარონს ურჩიე, რომ ველიკიე კნიაზია წამოიყვანოს გუსრიდამ ახტაზე, ყაზიყუმუხზე, აჰყოშაზედ შურას. ამისთანა გზას და ადგილებს ისინი ვერარას იხილვენ. –

ჩემო ბატონო,
კნიაზო დემეტრე!

შენი წერილი 10^{ახ} ივლისისა მივიღე და დიდის სიამოვნებით ნავიკითხე აღწერა თქვენის მგზავრობისა შურიდამ ახტისაკენ ანისადაღზე¹ გადავლითა, და ცხადად თვალწინ წარმომიდგა რაგინდა რალაებიცა წარსრულის დროებისა. – დიდად მიხარის, რომ იბრაიმხანი აგრე კარგად იქცევა და უვლის თავის სახა[ნ]ოსა;² მაინცკი ზოგჯერ და ზოგჯერ უნდა დარიგება და შეგონება სიმართლისათვის დივანში.

დიდკაცურად ლაზარევის მოგებება აჰყოშელებითა სასიამოვნო იყო ჩემთვის, მაგრამ არ მიკვირს: გამოსაჩენს ადგილსა ეგ ყოველთვის თავს გამოიჩენს. – აიმაკის ციხე სრულიად ფუჭია: ორი როტა ტყუილად არის შემწყუდეული და თავის თავს ძლივს ინახავს. – ვაი, ესოდენო შრომავე, ესოდენო ხარჯო და უფრო უმეტეს შესანანებლო სისხლო მრავალთა ვაჟკაცთა, უბრალოდ დ[ა]თხეულო!³ რა საჭირო იყო შტურმით აღება გერგებილისა, თუკი [რეზ]ულტატად⁴ იქმნებოდა აიმაკში ციხის აშენება? მითომ

ვინ გვიშლიდა აქ ციხის აშენებასა? – მრავალი; მეტად მრავალი, ამ გვარი შეცთომა მოგვსვლია ჩვენ მაშინ, როდესაც განთქმულ-გამოჩენით-განბრწყინვალებულნი მმართველნი დაღისტინისა იყუნენ მანდა სადიდებელად ჩუჭნისა საჭურველისა. –

[პირველი (34r) გვერდის მარცხენა არშიაზე მინანერია:]

რადეცკი რომ გამოდის პოლკში, ვინ იქნება ნაჩაღნიკად შტაბისა? ალაღარის აგრე უიმედოდ ავათმყოფობა ძალიან მენყინა. ვინ უნდა იყოს ახლა ყაზიყუმუხის მმართველი? შვილი⁵ ყმან-ვილია და ამასთანაა ქანკაცა! ჯიბრაილბეგი,⁶ მგონია, ვერ იყოს მახვილ-გონებისა და ვაჟკაცი, და სწორედ მოგახსენო, არ ვიცი ყაზიყუმუხელებში რა ხმა აქუს, ანუ რა პარტია ჰყავს? ჰუსუფბეგის შვილი სელიმბეგ⁷ არ უნდა დაინიშნოს იქა, რადგანაც მაგის ოჯახი მეტად განძლიერდებოდა სავნებელად ჩუჭნდა, და არც უნდა შეერთდეს ეგ ორი სანახო. – რუსებთაგან ვერავინ მომი-გონია და ვერცა შეიძლებს მაგ ხალხის მოვლასა. – ამ მინუტში მომავონდა ჩვენი ირაკლი ღრუზინსკი,⁸ რომელიცა შევიდა კიდევ სამსახურში პოლპოლკოვნიკად! რას იტყვი? მდიდარი, ჭკვიანი, თავმოძნონი და მეფის ჩამომავლობისა;⁹ მაგრამკი არ ვიცი, მაგ ხალხის ჩვეულებას მიხუდებაა მალე? – რა საკურველია, ვინც უნდა დაინიშნოს, უნდა გაკეთდეს დივანი იმ გვარად, როგორც აჰყომაში, რომ ხალხსა ჰმართვიდენ სიმართლით. – თუ მეტყვით, დაველაპარაკები ირაკლისა. – ტერლუქაზოვი უფრო უკეთესი იქნებოდა, მაგრამ ეგ სხუას გზაზედ ჰსდგას და არუნდა შეიშა-ლოს მაგის გზა. – ვინიცობაა, ხალხმა მოინდომოს ალაღარის შვილი, ნუ დაუშლით; მაგრამ მაინცკი უნდა მიუჩინოთ შტაბაფი-ცარი ვინმე და დაუნყოთ დივანი; თუ დივანი არ იქნება, ხალხი ვერ დაინახავს მმართველობის მამობრივს მზრუნველობასა. – მაგრამ რალა შორს ვეძებოთ [შე]ნისთანა¹⁰ კარგი მმართველი იქ არავინ იქნებოდა. თუ თანახმა გახდები, მომწერე. შენ გად-გიყუანენ სამხედროს სამსახურში შტაბაფიცრად, მაინც ხომ ეს გინდოდათ შენ და მეტადრე სვიმონ შალიკოვსა. – ჰაა, რას მე-ტყვი? –

ამისწინად ვიყავ ბორჯომსა, სადაცა დავჰყავ ოთხი დღე.

იქ ცხოვრება განწესებულია ასე: დილით მეექუსე საათზედ საზოგადოება შეიყრება წყალთან; ზოგნი ჰსმენ, ზოგნი ბანაობენ. – მერვეს საათზე ჩაი; პირველზედ სადილი; ხუთზე სეირნობა ცხენებით, ანუ ეკიპაჟებით; რვაზედ ვახშამი ჩაითა და ათზედ ძილი. – საზოგადოებას შეადგენენ, მთავარმართებლის ამაღლას გარდა, კაპლერი თავის ცოლითა და დავიდოვი ცოლითა. ესენი არიან ბორჯომის მეფანი.¹¹ ამათ გარდა ჭილოსოქოსის ერისთავის სახლობა და თამარ ივანე აბაშიძის ცოლი, რომელიცა დიდად ნატრულობს შენს ხილვასა და უფრო ცოლის შერთვასა. – არის იქ კიდევ ჩვენი კატო თავის შვილებით ორსულად და ამისგამო ვერცა წყალსა ჰსვამს და ვერცა სეირნობს; არიან კიდევ კონსტ: თარხანოვი ავთიმყოფი, კონსტ: დადიანი, ისაკ თუმანოვი, მარშალი ალექს: ორბელ:, ესენი სულ კარგადმყოფნი, და დასასრულ ორნი არქიერნი ჩვენნი. – იქვე იყო რამდენიმე დღე მორსკოი მინისტრი განგებ მოსული მოსალაპარაკებლად კასპიის ზღვისათჳს, მაგრამ მე ველარ მიუსწარ. – იყო მთავარმართებლის ძმაცა, რომელმანცა შეისყიდა ბორჯომში ჰატარა მამული მტკვრის პირს და დაარქუა სახელი ელისაბედიანი,¹² ცოლის სახელი. –

მეტად და მეტად ცხელა ქალაქში და სიცხეზე უარესი არის მტვერი, რომლითაცა აღვსილია ჰაერი.

ნუ გეშინიან, შენი დრო ჯერ არნასულა: ზაქარია ციციშვილმა გუშინ წინ დაინერა ჯვარი სოლომონ სუმბათოვის ქალზედ.

ბებუთოვის ქალი, კნენა გურიელისა, დაწვა და ეყოლა მკუდარი შვილი. სპივანევესკის ქალი გათხოვდა, ვილაც ჩინოვნიკმა შეირთო.

დავით და ანნეტა მათის შვილებით ჰსცხოვრებენ თელავს; ანნეტა ორსულია; ქეთუშა¹³ სუმბათოვისაც ორსულია.

ალექსანდრე მარშალი და კაპლერის ცოლი ძალიან ეკურკურებიან; ივანეს ცოლს სოფოს შეეყარა ყვავილი, მაგრამ, ღთის¹⁴ მონყალებით, კარგად არის.

ვრევსკი ავიდა ანწუხში, მაგრამ, ჯერ არ ვიცით, რა მოხდა იქა.

გუშინ გათავდა ტორლი პროვიანტისა და დარჩა ყარამან

არლუთ: 58 8820. – ევდაკიმოვი ასულა ჯარით შუბუტს.¹⁵ – ეს ძალიან საქმეა.

ნინო, თამარ, ანდრეი სტეფანიჩი კარგად არიან; ძალუა ვარინკა, ნინუცა, გიორგი კარგად არიან და სოფლის ჰაერი ძალიან მოუხდათ.

კოჯორიდამ ქალაქს არის გამართული ტელეგრაფი.

აკოლნიჩი და გერშელმანი – შურის განმაშვენებელის ცოლითა მომიკითხე სიყუარულით.

ლენერალ-ლუბერნატორი ერისთავი იყო ოტრიადით სვანეთში, სადაცა ხალხი დახვდა მშვიდობიანად, მაგრამ დადეშკილიანის ძმებიკი გაიქცნენ.

პოლკოვნიკი ზენოვიევი დაინიშნა управляющим Боржомским именіем* და ამით, იმედია, რომ ქალაქში ტივები გაიაფდება. – დიდი ბოროტმოქმედება იყო იქ უნინ.

გუშინ, ივან მალხაზიჩი იყო აქ ჩემთან ტაბახმელას, და მოკითხვა შემოგითვალა.

შენი ბედნიერების მოსურნე გრიგოლ ორბელიანი

[მეოთხე (35v) გვერდის მარცხენა არშიაზე მინაწერია:]

ფუ ეშმაკო! ბაგრატიონს კიდევ ვერ მოვსწერე. მომიკითხე სიყუარულით და ბოდიში მომთხოვე; არ ვიცი რა ეშმაკმა შემკრა, რომ [ვ]ერ მ...¹⁶

[1858 წლის 10-დან 26 ივლისამდე]

*ბორჯომის მამულის მმართველად.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №81 (523)

ჩემო ბატონო დემეტრე!

თუმცა იმედი აღარა მქონდა აღალარის სიცოცხლეზედ, მაგრამ მაინცკი დიდად შემანუხა¹ მაგისმა სიკუდილმა. ახლა იმის 156

მაგიერ, როგორც ჰსჩანს შენს წერილში, კლუდენი დანიშნულა. – ლთ²მან² ჰქმნას, რომ მშვიდობიანად გაიაროს ამ ცვლილებამ, მაგრამ რა ვიცი? ძნელად შეინწყნარებს ეგ ხალხი რუსის აფიცარსა, მეტადრე მანდა, სადაცა არიან მრავალნი ბეგებთაგან, რომელთაცა ჰგონიათ თავის თავი მემკვიდრედ და ჰყავთ მაგ ხალხში თავისი პარტიაცა; ამასთანა ალაღარის შვილი და მისი პარტია, მერმე ალაღარის ცოლები და დასასრულ შამილას პარტია. – ამასთანა კლუდენი ანგაარიც არის. – ვნახოთ, ლთ³მა³ უკეთ იცის!

ეკსპედიცია ლოსუდარსტვენის იმუშჩესტე მოიწერება, ან ამ ახლოს ხანში მოგწერსთ თქვენ, შეიძლება, რომ გრიგოლს ერისთავსა, ნაცულად მაგის ყმისა და⁴ მამულისა საერისთაოში, მიეცეს მხოლოდ⁵ მამული ყუბის უეზდში. – მთავარმართველსაც ჰსურს ესე, მეტადრე ამ ახალს ბატონყმობის საქმეზედ დიდს შემწეობას გამოეღოს, თუ ეს საქმე ასე მოხდა. – ახლა თქვენზე ჰკიდია, და თუ როგორმე შეიძლებოდეს ამის აღსრულება სასარგებლოდ გრიგოლ ერისთავისა, მართლად დიდად დაავალებთ და მთავარმართველსაც აამებთ, რადგანაც ერთი ვეება ნაწილი საერისთაო ყმებისა განთავისუფლდება უდავიდარაბოდ და მით სხუათაც, რომელთაცა ჩამოერთმევათ ყმები ოდესმე, ექმნებათ ეს საქმე მაგალითად, რომ სადმე სამაგიეროდ მიეცეს მამული მაინცა, რომ არ დაჰშთენ სრულიად სიგლახაკეში. – ეს მაგალითი შემდეგისათვის ძალიან სასარგებლო იქნება საქართველოში მეზატონეთათვის. –

ვოლკოვი სიყუარულით მომიკითხე.

შენი გრიგოლ ორბელიანი

26 ივლისი 1858.

ტაბახმელით.⁶

ბაგრატიონი მომიკითხე; ეგრეთუე აკოლნიჩი და გერშელმანი ცოლით.

ბაბაღე ორბელიანი-საბინაშვილისადმი №15 (524)

31 ივლისს 1858. ტაბახმელით.

ჩემო საყუარელო და სასურველო დაო ბაბაღე! შენმა ორმა ნერილმა მეტად გამახარა და მეტად დამატკბო შენის მგზავრობის აღწერითა; აქამომდის პასუხი ვერ მოგწერე მრავალგუარ მიზეზებისაგამო; მაგრამ ჰჯობს რომ თავიდამ დავინყო:

შენ რა გაემგზავრე პიატიგორსკისაკენ, მეც აღარ დავჰყავ მაგდენი ხანი თბილისს და გავეცალე აქაურს სიცხეებს, აქაურს საშინელს ჰაერსა, სავსესა კირითა და მტვერითა, და ამოველ ტაბახმელას, სადაცა მართლად მშვენიერი საზაფხულო ადგილია: წმინდა, გრილა, სუნნელიანი ჰაერი, წყალი სიკეთითა განთქმული საქართველოში და მიჩუმებით, მიმყუდროებით ცხოვრება. – ვართ ასე აქამომდის; გიორგი დარბის დილით სალამომდის, ხან ვირზე ჰზის, და ხან ცივს წყალში ჩყუპალაობს; ჩვენც ზოგჯერ კოჯორშიაც მივდივართ სტუმრად, იქიდანაც იქაურნი მოდიან ჩვენდა. – კოჯორში ჰსცხოვრობენ: დიმიტრი თამაზის შვილი ცოლით; მათა თუმანო: რძლითა; მილუტინი ცოლშვილითა; კალასოვსკი ცოლით; ხარიტონოვი ცოლით; ხოცკო, ხრისტინიჩი, დეკრუასი უცოლონი ერთად ჰსდგანან, როგორც *три мушкетера*;* და სხუანი... –

პეტრეპავლობას დღესა – გნყალობდესთ – დიდი მეჯლიში მქონდა ტაბახმელასა: მენვივნენ სტუმრად იაშალაშვილი სოსია, ძალაანთ ზალიკა, მგალობლისშვილი, ჯანყულაშვილი პეპენა და სხუანი სულ რჩეულნი გვარისანი; გაიშალა სუფრა მწვანეს მინდორზედ; მოერთუათ სათალი, ყველი, არაყი; ზედ-მოჰყუა ხაშლამა; ფლავი და მწუადები და ამასთანა დიდროანი ჯამები ღვინითა. – დიდებაა ღმერთსა, ლ~თო¹ გაუმარჯვე ჩვენს ბატონს და სხუანი, და შეიქმნა ღვინი დიდი! ჩვეულებრივი სიმღერა, ლ~თო² გვიცოცხლე, და კიდევ ბულბულმან ჰსთქუა, შემოჰსძახეს და შემოჰსძახეს; მერე ფერხული; მერმე კიდევ რომ გადაჰკრეს, ერთმა დაიძახა: ლ~თო³ ადღეგრძელე ჩვენი ქოლგიანი ქალბატონი – ვარინკა იჯდა ქოლგითა და უყურებდა – ამის შემდეგ შეიქმნა ფალავნობა. – ჩვენკი ამ დროს წავედით დიმიტრისას კოჯორსა; იქ მოვიდნენ ვაშლოვანიდამ მამუკა და ლევან ცოლშვილებითა. მეორეს დღეს

ეს კამპანია ერთიანად გვესტუმრნენ ჩვენ და შეიქმნა ლხინი, მაგრამ არშეიყო ბაკი არ იყო და უამისოდ, სწორედ გითხრა, წასვლა-მოსვლა და სადილი, სრულებით არაფერია.

ვიყავ ბორჯომშიაცა ჩვენს ბატონთან; განცხრომით და სიამოვნებით ატარებენ დროსა. – იქაურ მეფად არიან ლიზა და კაბლერის ცოლი. – დილით მეექვსე საათზე პუბლიკა გროვდება წყალთან; დადიან, ჰსმენ, ბანაობენ, კურკურობენ; რვას საათზე ჩაი ან მთავარმართებელთან და ანუ ვისთან ვისთან უნდა; პირველს საათზე სადილი იქ, სადაც მოეწონებათ; ხუთს საათზე სეირნობა ცხენებით, ეკიპაჟებით; გარეშემო ბორჯომისა მრავალი ადგილია მშვენიერი სანახავი, ეკლესიები, ციხეები, სასახლეები, და ამ სეირნობის დროსა ამათ სანახავად მიდიან ათს ანუ თხუთმეტს ვერსტზე. – რვას საათზე გაიშლება სადმე ვახშამი ლაზათიანად შემდეგ მცირეხანს იარალაში და ბოლოს მეთეს საათზე ძილი. – მშვენიერი ჰაერი, წყალი, ტყის ჩრდილი, ცოტაოდენი კურკურობაც, მართლად კაცსა გულით, სულით განასვენებს. –

ბარიატინსკის ძმამ – ვლადიმირმა – იყიდა ბორჯომში მეტად ლამაზი ადგილი და დაარქუა სახელი თავის ცოლისა – ელისაბედიანი. – აქ აპირებს სახლისა და ბაღის აშენებასა. – ეჭი სიმდიდრეც, ქვეყნის ღთო!!⁴

იქა სცხოვრებენ: ჩვენი კატო, ორსულად მყოფი; ორნი ჩვენი არქიერნი; ისაკ თუმანოვი; ერისთავის ფილოსოფის სახლობა; მთავარმართებლის ამალა; ჩვენი ალექსანდრე მარშალი; კონსტან: თარხანოვი; კონსტან: დადიანი და სხუანი; მაგრამ ბევრნიკი არ არიან. –

ტასო მიდის რუსეთს ქმართან აგვისტოს დამდეგსა და ძალიან მენუხება ამის განშორება. – სოფიოს, ივანეს ცოლსა, ყვავილი გამოაჩნდა, მაგრამ, ღთით,⁵ მორჩა და არა დააჩნდარა. – კიკო, ლუბერნატის ცოლსაც, გამოაჩნდა ყვავილი, ესეც მცირედ ავათ არის. –

ყაფლან თავის ქულქათით ჰსცხოვრობს კოდაზე; მანანა ჯერ ისეც ქალაქშია; ძალუა ქეთევან, ძალუა ნინა, ჩემი დისწულნი ბაბაღე და სოფიო წავიდნენ სალოცავად თელეთს და ლოუბანში, და დღეს ყაფლანთან იქნებიან.

ველიკიე კნიაზია უეჭველად მობრძანდებიან და ყარაიაზე მზადდება დიდ-მეფური ნადირობა მხოლოდ სამის დღითა.

საწყალი ალაღარბეგი ყაზიყუმუხის ხანი მოკუდა.

ვრევსკი გადასულა კაპუჭაში. –

ჩემი საკუთარი მოსავალი წლეულს გახლავსთ ორმოცდაორი კოდი პური და ეგოდენიც ქერი. მუხათში წყალი გამომაქუს, ორმოცდაათ თუმნად მიჯდება, და არვიციკი ამის სარგებელს საიდამ ავიღებ? ალექსანდრე ჩამიკოცნე სიყუარულით; ერთი მალე მოდით, მე უთქვენოდ ვერც გამიძლია და ვერცარა სასარგებლო მომიფიქრია. – ესკი დამავიწყდა: ამ თქვენს იასამანს, როგორღაც მუცელი უსივდება; მე აქამდის წყალმანკი მეგონა, მაგრამ სხუარაღაც დამართვია. ათასი რომ გაუნყრე და გაჯავრდე, ბუნებითს ჰსჯულს ვერ ვინ გადავა, ვერ ვინ ასცდება, და შენის გაჯავრებით ეს აღარ გაქალწულდება. დამიჯერე ისევ გაიცინ-გაიხარე! – ვაი, რომ სხუამ დამასწრო ამის კრაოტზე მიბმა; რაღას უშველი!

შენი ძმა გრიგოლ ორბელიანი

*სამი მუშკეტერი.

დიმიტრი მილიუტინისადმი №5 (525)

19 Августа 1858. Тифлиси¹

Дмитрію Алексеевичу Милютину.²

Ваше Прев^{во} в письме ко мне от 17 Августа изъявили желаніе знать моё мненіе о изменённом маршруте представленном к Главнокомандующему Бароном Врангелем для проезда Их Императорских Высочеств Великих Князей от Буртуная до Хасавюрты.

Дорога от Буртуная чрез Дылым и Кишень к Хасавюрту, избранная по первоначальному маршруту для проследованія Великих Князей, очень опасна. Местоположеніе изрыто оврагами и покрыто местами густым лесом. Нет сомненія, что неприятель, от котораго не-

может скрыться путешествіе Высоких Особ и который так близко живёт к той дороге, попытается всеми силами воспрепятствовать этому наезду. Конечно, отряд, который будет сопровождать Великих Князей из Буртуная преодолет все препятствія; но нужноли в этом случае подвергать жизнь Высоких Особ и сопровождающих их Высочества случайностям перестрелки?

По моему мненію маршрут, предложенный Бароном Врангелем, должен быть предпочтён первоначальному, потому что он представляет более безопасности в пути, более приличнаго помещенія на ночлегах и наконец сама дорога лучше от Буртуная чрез Евгеніевское укреп: на Чирюрт к Хасавюрту.

Но если желаніе Главнокомандующаго, проидти из Буртуная в Кишень неизменно, тогда для более безопаснаго начлега, я полагаю выбрать позицію не в самом Дылыме, подвержённом со всех сторон непріятельскому огню, но далее на высотах к Ахташу.

Имею честь при этом возвратить Вашему Прево^{ву} отношеніе Барона Врангеля к Вам и маршрут.

P.S. Вчера я получил известіе, что Анцухцы в числе 3 семейств явились с покорностью Генералу Вревскому и уже переселяются в наши границы. Это чрезвычайно важно: другія общества Горцев непременно последуют этому примеру и вскоре звезда Шамиля померкнёт навсегда. Дай Бог, чтоб эта кровавая, вековая война скорее окончилась.

დომიტრი მილიუტინისადმი №5 (525)

19 აგვისტო 1858. ტფილისი

დომიტრი ალექსეევიჩ მილიუტინს.

ჩემდამი 17 აგვისტოს წერილში თქვენმა აღმ[ატებულემა] სურვილი გამოთქვა, შეეტყო ჩემი ჰაზრი ბარონ ვრანგელის მიერ მთავარსარდლისთვის წარდგენილი შეცვლილი მარშრუტის შესახებ მათი საიმპერატორო უდიდებულესობების დიდ თავადთა გასავლელად ბურთუნაიდან ხასავიურთამდე.

გზა ბურთუნაიდან ხასავიურთისკენ დილიმისა და კიშენის გავლით, შერჩეული თავდაპირველი მარშრუტის მიხედვით დიდ თავადთა გასავლელად, ძალზედ საშიშია. ალაც დაღარულია ხევებით და ალაც დაფარულია ხშირის ტყითა. ეჭვი არაა, რომ მტერი, რომელსაც არ გამოეპარება მაღალ პირთა მოგზაურობა და რომელიც აგრე ახლოს ცხოვრობს იმ გზასთან, მთელის ძალით შეეცდება, ხელი შეუშალოს ამ ნაკადსა. რა თქმა უნდა, დიდ თავადთა ბურთუნაიდან გამცილებელი ოტრიადი დასძლევს ყოველგვარს წინააღმდეგობას; მაგრამ ეგების კი ამ შემთხვევაში მაღალ პირთა და მათ გამცილებელთა სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდება ორმხრივი სროლის შემთხვევაში? ჩემის ჰაზრით, ბარონ ვრანგელის მიერ შემოთავაზებულ მარშრუტს უპირატესობა უნდა მიენიჭოს პირვანდელთან შედარებით, როგორც მეტი უსაფრთხოების მქონეს გზაზე, უფრო უკეთესს შენობებს ღამის გასათევად და, ბოლოს, თვით გზა ბურთუნაიდან ჩირიურთისა და ხასავიურთისკენ უკეთესია ეგგენიევსკის უკრებ[ლენიის] გავლით.

მაგრამ თუკი უცვლელია მთავარსარდლის სურვილი, ბურთუნაიდან კიშენში გავიდეს, მაშინ უფრო უსაფრთხო ღამის გასათევად ვამჯობინებდი პოზიციას არა თვით დილიმში, ყოველის მხრიდან გახსნილში მტრის ცეცხლისათვის, არამედ უფრო მოშორებით ახტამისკენ მდებარე მაღლობებზედ.

ამასთანავე, პატივი მაქუს, თქუენს აღმატებულებას და ვუბრუნო ბარონ ვრანგელის მიმართვა თქუენდამი და მარშრუტი.

P.S. გუშინ მივიღე ცნობა, რომ ანუხელთა 3 კომლი მორჩილებით გამოცხადდა ღენერალ ვრევსკისთან და უკვე დაიწყეს გადმოსახლება ჩუენს საზღვრებში. ეს უაღრესად მნიშვნელოვანია: მთიელთა სხუა საზოგადოებები უსათუოდ მიჰბაძავენ ამ მაგალითს და მალე სამუდამოდ ჩაქრება შამილის ვარსკვლავი. ღმერთმა ჰქნას, რომ მალე დამთავრდეს ეს სისხლიანი, საუკუნო ომი.

ღიმიტრი მილიუტინისადმი №6 (526)

29 Августа 1858 Тифлиси.¹

Дмитрію Алексеевичу Миліотину.²

На письмо вашего Пре^{ва} от 24^{го} Августа относительно представлениа старшинства Полковнику Лазареву в настоящем его чине, со дня оказаннаго им отличія в делах противу Горцев, имею честь уведо-

мить Вас, милостивый Государь, что Полков: Лазарев всегда отличною службою, хоть и достойн благосклоннаго вниманія Начальства, но, внастоящем случае, по моему мненію, нет особенной необходимости предоставлять ему одному старшинство с 22 Августа 1854, когда за тоже время и за теже дела отказано другим офицерам, имеющим равно с ним право на подобную награду. При том нельзя не принять в соображеніе, что чин Полковника, сам собою, уже составляет важную награду, даже без предоставленія старшинства.

დიმიტრი მილიუტინისადმი №6 (526)

29 აგვისტო 1858 ტფილისი.

დიმიტრი ალექსეევიჩ მილიუტინს.

თქუენი აღმატ[ებულების] 24^o აგვისტოს წერილზედ პოლკოვნიკ ლაზარევის ზემდეგად წარდგენის თაობაზე მის ახლანდელს ჩინში, დღიდამ მის მიერ მთიელთა წინააღმდეგ გამოჩენილი წარჩინებისა, პატივი მაქუს მოგახსენოთ, მონყალეო ხელმწიფევ, რომ, თუმც თავისი მუდამ შესანიშნავის სამსახურით ღირსი კია პოლკოვ[ნიკი] ლაზარევი უფროსობის მონყალე ყურადღებისა, მაგრამ ამ შემთხვევაში, ჩემის ჰაზრით, არ არსებობს განსაკუთრებული აუცილებლობა, მას ერთს მიენიჭოს ზემდეგობა 1854 წლის 22 აგვისტოდამ, როცა იმავე დროსა და იმავე საქმეთათვის უარი ეთქვათ სხვა აფიცრებს, რომელთაც ასეთივე უფლება გააჩნიათ მსგავს ჯილდოზედ. ამასთან ერთად, არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ, რომ პოლკოვნიკის ჩინი, თავისთავად, უკვე წარმოადგენს მნიშვნელოვან ჯილდოს, ზემდეგად წარდგინების გარეშეც კი.

ლიმიტრი ჯორჯაძისადმი №82 (527)

2 სექტემ: 1858 თბილისით¹

ჩემო ბატონო დემეტრე!

შენი ორი წერილი ზედიზედ მივიღე გებეგასაგან და კური-ერისაგან. – ბარონი დიას კარგად ჰშვრება, რომ უარს ამბობს გზისათვის ბურთუნაიდამ დილიმზე წასასვლელად ველიკის კნიაზე-ბისა. – რად უნდათ, რომ უბრალოდ სისხლი დაიქცეს? არეყოფათ, რაც მართლად ყოველს წელს იხოცებიან ესოდენნი მხედარნი?

აი ეხლაც მოკუდა ლენერალი ვრევსკი² ორს ადგილს დაჭრი-ლობისაგან და ეგრეთუჴ მისი ნაჩალნიკი შტაბისა ლარნერი³ დაჭ-რილობითვე ექუსს ადგილს, და მათთანა 200 მდის მკუდარი და დაჭრილი! ისე ტყუილად, უსაგნოდ, უმიზეზოდ! აბა რა არის? –

ეს უბედურებითი შემთხვევა მოხდა ილანხევში⁴; აი ასე: ვრევსკი ანწუხიდამ, სადაცა კეთილად დააბოლოვა საქმე, მოვი-დოდა ჯარით დიდოსაკენ.

რა ჩაეშვა ჯარი ილანხევში, მოუვიდა ვრევსკის აფიცარი პოლკოვნი: დესაჟისაგან – ავანგარდის ნაჩალნიკისაგან – რომ სოფლიდამ მრავალს საქონელს მიერეკებიან და თუ მიბრძან-ებ წავართმევო. – ვრევსკიმ უპასუხა, თუ შეიძლება წართმევა, წაართვი! ამ დროს საბრალო ვრევსკიც ნელნელა ჩადის მთიდამ; გზაზედ ადგილიც ამოარჩია ჯარის დასადგომად იმ ღამესათვის. ბოლოს წყნარ-წყნარა ჩავიდა და მიადგა ავანგარდსა, რომელიცა იხილა ურიგოდ დამდგარი; ეწყინა უწესობა და თვთ დაიწყო ჯარ-ებისა და ზარბაზნების დაყენება ერთს მხარეს და თავის შტაბის ნაჩალნიკი გაგზავნა მეორეს ფლანგზე; უბრძანა ორის მორტი-რისათვის ბატარეის გაკეთება, და ასე გაცხარდა, რომ ყურს არ უგდებდა, როდესაც მის გარეშე სალდათებს ჰკლავდნენ ტყვიითა, ასე ახლოს მივიდა სოფელზე; მერმე დააკვრევინა ნასტუპლენი⁵ და თვთცა ხმალამოლებული შევარდა სოფელში და იქვე მოხვდა ორი ტყვია: ლავინში და ფეხის კოჭში. – მეორეს მხრით მივიდა ლარნერი⁶ დიდის უგუნურებით და ისიც იქ დაეცა ექვსის ტყვიით დახვრეტილი. – მახლაზ, რაღა გავაგრძელო, იმ დღეს ვრევსკისა

სრულებით ომის ფიქრიც არა ჰქონდა და დესაჟეს უგუნურად ქცევისაგამო ეს ამბავიკი მოხდა. –

ყორლანოვი იოსებ გადვიდა დიდოში ჯვართა, და ასე ისმის, რომ რამდენიმე სოფლები გააოხრა და დანარჩენნი შემოურიგდნენ, ეგრეთუე ადრევე ანწუხი და კაპუჭაც შემოურიგდენ; და ახლა ვნახოთ რა გამოვა ამ შერიგებისაგან და ან როგორ მოუვლიან ხალხსა?

შენ იფიქრე რამდენნი არიან მონადინენნი ვრევსკის მოადგილედ დანიშვნისათჳს, და რაოდენს ჰგონიათ თავის თავი უთოოდ მაგ ადგილისათჳს დაბადებულად.

ანაზდეულად მოვარდა მტკუარი ასე საშინლად აღელვებული, რომ რაც ავლბრის რიყეზედ იყვნენ ან კაცნი, ან საქონელი, ან ურმები პოვოზკები, ტივები, აქლემები, აბრაშუმების საპალნეები, მეთევზები, სულ წაილო ერთიანად. – ეს უბედურება მოხდა სწორედ იმდღეს და იმავე საათს, როგორც შარშან, ესე იგი 28 აგვისტოს.

წლეულს ვენახები უკეთ არის შარშანდელზედ, ასე რომ იმედია ბლომად ღვინის მოსავალისა. – დიდი მზადებაა კახეთში საალავერდოდ; ახალი არქიერიც მიდის იქ. –

ლევან ჩოლაყაშვილმა ძალიან გაიმარჯვა ქისტებში: ხუთი სოფელი სრულიად გააოხრა და თორმეტი შემოირიგა. –

ღთი იყოს შენი მფარველი.

შენი გრიგოლ ორბელიანი

ჯერ ველიკიე კნიაზებისა არ ვიცით ფოთში გამოსულან თუ არა?

[|| (121v ფურცლის) ზედა და მარცხენა არშიაზე მინაწერებია:]

6^ს სეკდემ:⁸

ყორლანოვის დიდოდამ გამოსვლის დღეს მოსვლიათ ომი, რომელშიაც დაჭრილა ადვილად ლევან ჩოლაყაევი და მძიმედ ქობულოვი და მათთან ასამდის კაცი; მაგრამ 400 კომლი დიდო გადმოუყვანიათ. – ასე ამბობენ.

[| (120r) გვერდის მარცხენა და ქვედა არშიაზე მინანერია, რომელიც გრიგოლ ორბელიანს შემდეგ წაუშლია:]

[28ს აგვისტოს ანაზღეულად აღელდა წყალი და რაც რიყეზე იყო კაცი თუ ურემი სულ წაიღო: ტივები, აქლემები, კამბეჩები, აბრაშუმი და სხ].

ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №23 (528)

14 сентяб: 1858. Лагерь Караязь

К: Бярятинскому.¹

П[р]оезд Великих Князей из Тифлиса до Караяза был одним торжественным следствием: Жители с чувством искренней радости выбегали на дорогу с приветствиями; Кавалерия до безконечности огромная, под командою К: Мамуки Орбелиани встретила за 7 вёрст. Грузинское Дворянство, Татары, Курды, Тушинцы, Хевсурцы, все эти различныя племена в своих національных одеждах представляли своим разнообразием прекрасный вид! Великія Князя восхищались этим зрелищем; но непрерывно произносили слова: жаль, очень жаль, что нет здесь К: Александра Ивановича.

Их Высочества, обозрев лагерь, раскинутый на чрезвычайно красивом месте, между громадными деревьями изволили возвратиться в свои палатки.

К 6^м часам Они вышли к обеду и тут имели честь представиться их Высочествам консулы, французскій Барон Фино, персидскій Мирза Усейн Хан и Трапезондскіи Машнин.

После этого Их Высочества изволили войти в палатку, где были уже собраны дамы и здесь Царевна Варвара и К: Варвара Ильинишна Орб: представили Их Высочествам некоторых ещё незнакомых Им дам.

За столом сидели точно так, как указано было Вашим С^{вом} мне.

После обеда тотчас начались танцы и продолжались до 11 часов непрерываясь. Вальс, Кадриль, Лезгинка, Абхазка, Мазурка сменяли другдруга. Их Величества были веселы, милостиво-любезны и

танцевали очень много.

В 11 часов Их Высочества оставив бал, изволили возвратиться в свои палатки.

Забыл доложить Вашему С^{ву}, что тосты были провозглашены за Государя Императора, Императрицы, Государя-Наследника, Великих князей Николая, Михайла и Великих Княгинь Александры Петровны и Ольги Феодоровны. После этого Великий Князь Николай провозгласил три тоста: за здравие Вашего С^{ва}, за преуспевание За Кавказскаго Края и за присутствовавших Дам.

Могу успокоить Ваше С^{во}, что всё было в превосходном виде; даже самыя тайныя речи К: старика – Эривова – котораго не могли удержать никакия просьбы мои от страсти к речам – много веселили Великих Князей. Одно только грустное чувство наводило тем на это блестящее празднество, что было без Вас, без Хозяина Края, котораго живительное присутствие везде и всюду так необходимо для нашего счастья, для нашей жизни.

Их Высочества изъявили желаніе знать всякій день о Вашем здоріві.

ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №23 (528)

14 სექტემბ: 1858. ყარაიაზის ლაგერი

კნ[იაზ] ბარიატინსკის.

დიდ თავადთა გ[ა]ვლა ტფილისიდან ყარაიაზამდინ იყო ერთი საზეიმო მსვლელობა: ხალხი გულწრფელის სიხარულის გრძნობით გამორბოდა გზაზე მისალმებებითა; უსაშველოდ დიდი კავალერია კნ[იაზ] მამუკა ორბელიანის მეთაურობით შეეგება 7 ვერსზედ. ქართველი თავადაზნაურობა, თათარნი, ქურთნი, თუმნი, ხევსურნი, ყველა ეს განსხვავებული თემი თავის ნაციონალურს სამოსში მშვენიერს სანახაობას წარმოადგენდა თავისი მრავალფეროვნებითა! დიდნი თავადნი აღფრთოვანდნენ ამ სანახაობით; მაგრამ განუწყვეტლივ წარმოსთქვამდნენ სიტყუებს: დასანანი, ძალზედ დასანანი, რომ აქ არ არის კნ[იაზი] ალექსანდრე ივანოვიჩი. ძალზედ ლამაზ ალაგას, უზარმაზარ ხეებს შორის

გაშლილი ლაგერის დათვალიერების მერე მათმა უდიდებულესობებმა ინებეს თავიანთ კარვებში დაბრუნება.

6 საათისთვის ისინი სადილად გამობრძანდნენ და აქ მათ უდიდებულესობებთან წარდგენის პატივი ჰქონდათ კონსულებს, ჭრანციელ ბარონ ფინოს, სპარსელ მირზას, ჰუსეინ ხანსა და ტრაპიზონელ მოშინისა.

ამის შემდგომ მათმა უდიდებულესობებმა ინებეს კარავში შებრძანება, სადაც უკვე იყვნენ შეკრებილნი ქალბატონნი და აქ დედოფალმა ვარვარამ და კნეინა ვარვარა ილინიშნა ორბელიანისამ მის უდიდებულესობებს წარუდგინეს მათთვის ჯერ კიდე უცნობი ზოგიერთი მანდილოსანი.

სუფრასთან ისხდნენ ზუსტად ისე, როგორც მიმითითა თქუენმა ბრწყინვალეობამ.

სადილის დამთავრებისთანავე დაიწყო ტანცები და უწყვეტლივ გაგრძელდა 11 საათამდინ. ვალსი, კადრილი, ლეკური, აფხაზური, მაზურკა ენაცვლებოდნენ ერთურთსა. მათი უდიდებულესობები იყვნენ მხიარულნი, მონყალედ-თავაზიანნი და ცეკვავდნენ ძალზედ ბევრსა.

11 საათზედ მათმა უდიდებულესობებმა დასტოვეს ბალი და თავიანთ კარვებში დაბრუნება ინებეს.

დამავიწყდა მომეხსენებინა თქუენის ბრწყინვალეობისათვის, რომ სადღეგრძელოები ითქვა ხელმწიფე იმპერატორისა, იმპერატრიცისა, ხელმწიფე-მემკვიდრისა, დიდთა თავადთა ნიკოლაისა, მიხაილისა და დიდი კნიაგინებისა ალექსანდრა პეტროვნასი და ოლლა ქეოდოროვნასი. ამის მერე დიდმა კნიაზმა ნიკოლაიმ წარმოსთქვა სამი სადღეგრძელო: თქუენის ბრწყინვალეობის, ჯანმრთელობისა, ამიერკავკასიის მხარის წარმატებისა და დამსწრე ქალბატონებისა.

ძალმიძს თქუენი ბრწყინვალეობა დავამშვიდო, რომ ყველაფერი იყო შესანიშნავად; თვით ყველაზე საიდუმლო საუბრებმაც კი მოხუცი კნიაზი ერისთოვისა, რომელსაც ვერანაირმა ჩემმა თხოვნამ ვერ დაუოკა ლაპარაკის საღერღელი, დიდად გამხიარულა დიდნი კნიაზნი. მხოლოდ ერთი სევდიანი განცდა ჰქროდა ამ ბრწყინვალე დღესასწაულზედ, რომ არ ბრძანდებოდით თქვენა, მხარის პატრონი, რომლის მაცოცხლებელი ყოფნაც ესრეთ აუცილებელია ყოველგან ჩუენის ბედნიერებისათვის, ჩუენის სიცოცხლისათვის.

მათმა უდიდებულესობებმა ინებეს, ყოველდღე სცოდნოდათ თქუენის ჯანმრთელობის შესახებ.

აღიქსნაწღრა გარიატინსკისაღმი №24 (529)

К. Бярятинскому. Сацхენиси. 17 сентября 1858

После окончания великолепных праздников на Караязе, о подробностях которых, вероятно, вашему Сият^{ву} уже доложено Крузенштерном, великие Князья 15^{го} числа прибыли на Мухрован.* На другой день его Высочество Михаил Николаевич изволил смотреть батареи; сделал некоторые замечанія на ученье, но вообще остался доволен, в особенности материальною частью и пальбою в цель. Но этот день переезд был до Телав. Их Высочества после завтрака на Гомборе, где представился им Генерал-маіор К: Меликов, переехали верхом чрез Гомборский перевал, на вершине котораго дворянство Телавскаго уезда имело честь встретить великих Князей. Отличная скачка, превосходныя лошади и красивый грузинский костюм очень нравились великим князям.

Вечером прибыли в Телав, народ встретил с восторгом, город и в особенности старая крепость иллюминованы были очень красиво. После обеда великие Князья удостоили своим посещением павильон, где дамы были заранее собраны. Княгиня Чолокаева – жена Уезднаго начальника и Княгиня Дарико Кобулова достойно встретили их высочества. Начались танцы; Великий князь Николай Николаевич танцевал Кадриль с Дарико Кобуловою, а Михаил Николаевич с дочерью Гулбаата Чавчавадзе. Давно я невидел вместе столько красивых женщин!

Надругой день, т. е. 18 сентяб: Их Высочества изволили смотреть Госпитал и баталіон Лейб-Грен: Эриванскаго Полка и очень остались довольными, как состояніем ракетных воинских чинов, так и мужественным видом Гренадёр и их свободным шагом при прохождении церемоніальным маршем. Они также посетили с утешеніем вдову Генерала Вревскаго.

В 9^{мъ} часов утра выехали из Телав при торжественных криках народа, балконы были наполнены дамами; день был ясный; Кахетия предстала во всем блеске красоты; всё кругом неволью располагало к веселію, самому искреннему и в этом настроеніи души прибыли

в Энисели, где завтрак был приготовлен в аллее сада. Виноградные кисти висели над нами. Патриарх – Бахус – Гулбаат предлагал заздравные тосты, и пошли в ход туриные рога и азарпеши всех возможных форм. Песельники [...] зурна, арало, сменяли друг друга; из сада перешли в маран и вновь пошли заздравные тосты, доставая вино прямо из кувшина. Эта новость угощения чрезвычайно занимала великих князей; но зато некоторые из свиты их проснулись уже в Сацхенис.

Подороге из Энисели раставлены были баталіоны и сотни Грузинской Дружины. Великіе Князья осматривали каждую из этих частей, всегда оставаясь довольными их мужественным видом. Было сделано одно замечание, что в баталіоне мингр: Полка было много больных.

На дороге их Высочествам представлены были недавно вошедшіе Анцухо-Капучинскіе жители и их Наиб, которые находились в числе Конвоя. Великих Князей восхищало то что вчерашніи враги сегодня с покорностью конвойруют и Наиб поднес секиру Великому Князю Николаю.

Так благополучно их Высочества доехали до Сацхенис, сопровождаемые прекрасною погодою.

*Здесь неожиданно предстал Фадеев с важным известіем от Генерала Евдокимова о покорении Шароаргуна. Великие Князья были очень обрадованы но хоть я и не придворный не мог не заметить недоверчивость некоторых лиц, окружающих их Высочества.

აღეჟსანდრე ბარიატინსკისადმი №24 (529)

კნ. ბარიატინსკის. საცხენისი. 17 სექტემბერი 1858

ყარაიაზის დიდებული დღესასწაულების დასრულების მერმე, რომელთა შესახებაც კრუზენშტერნმა, ალბათ, უკვე დანვრილებით მოახსენა თქვენს ბ[რწყინვალებას], დიდნი კნიაზნი 15^ს რიცხვს ჩაბრძანდნენ მუხროვანსა.* მეორე დღეს მისმან უდიდებულესობამან

მიხაილ ნიკოლაევიჩმა ინება ენახა ბატარეები; იყო რამდენიმე შენიშვნა სწავლებისას, მაგრამ მთლიანობაში კმაყოფილი დარჩა, განსაკუთრებით მატერიალურის მხარითა და მიზანში ბათქაბუთქითა. მაგრამ ამ დღისით იმგზავრეს თელავამდინ. მათმან უდიდებულესობებმან გომბორზე საუზმის მერე, სადაც მათ წარუდგა ლენერალ-მაიორი კნ[იაზი] მელიქოვი, ცხენებით გადალახეს გომბორის უღელტეხილი, რომლის მწვერვალზეც თელავის უეზდის თავადაზნაურობას პატივი ჰქონდა შეხვედროდა დიდს კნიაზესა. მშვენიერი დოლი, შესანიშნავი ცხენები და ლამაზი ქართული ჩაცმულობა ძალზედ მოსწონდათ დიდს კნიაზესა.

სალამოს ჩავიდნენ თელავში, ხალხი შეეგება სიხარულითა, ქალაქი და განსაკუთრებით ძველი ციხესიმაგრე ძალზედ ლამაზად იყო განათებული. სადილის შემდეგ დიდმა კნიაზემამა მონახულებით პატივი დასდეს პავილიონს, სადაც ქალბატონები წინასწარ შეკრებილიყვნენ. კნიაგინია ჩოლოყაევა – მეუღლე უეზდის ნაჩაღნიკისა და კნიაგინია დარიკო ქობულოვა ღირსეულად დახვდნენ მათს უდიდებულესობებს. დაიწყო ტანცები; დიდმა კნიაზემა ნიკოლაი ნიკოლაევიჩმა კადრილი იცეკვა დარიკო ქობულოვასთან, ხოლო მიხაილ ნიკოლაევიჩმა გულბაათ ჭავჭავაძის ასულთანა. დიდი ხანია ამდენი ლამაზი ქალი არ მიხილავს ერთადა!

მეორე დღეს, ანუ 18 სექტემბ[ერს], მათმა უდიდებულესობებმა ინებეს ჰოსპიტლისა და ერევნის პოლკის ლეიბ-გრენ: ბატალიონის მონახულება და ძალზედ კმაყოფილი დარჩნენ როგორც რაკეტნი ვოინსკი ჩინების მდგომარეობითა, ეგრეცა გრენადერთა მამაცურის იერთა და მათის თავისუფალის ნაბიჯით ცერემონიის მარშის დროსა. მისასამძიმრებლად მათ მოინახულეს აგრეთვე ლენერალ ვრევსკის ქვრივი.

დილის 9 საათზე ხალხის საზეიმო შეძახილების თანხლებით გავიდნენ თელავიდან, აივნები ქალბატონებით იყო სავსე; კარგი დარი იდგა; კახეთი წარმოჩინდა მთელის თავისი სილამაზითა; ირგვლივ ყოველივე უნებურად განგანყობდა ყოვლად წრფელის მხიარულებისათვის და ამ განწყობილებით ჩავედით ენისელს, სადაც საუზმე მოემზადებინათ ბალის ხეივანში. ჩუენს თავზედ ყურძნის მტევნები ეკიდა. პატრიარქი – ბახუსი – გულბაათი გვთავაზობდა სადღეგრძელოებს და წამოვიდა ყანწები და ყველანაირი აზარფეშები. მომღერლები ზურნა, ჰარალო ენაცვლებოდნენ ერთურთსა; ბალიდამ მარანში გადავინაცვლეთ და კვლავ წავიდა სადღეგრძელოები პირდაპირ ქვევრიდამ ამოღებულის ღვინითა. ესრეთი უჩვეულო გამასპინძლება ძალზედ ახალისებდა დიდს კნიაზესა;

ამიტომაც ამალიდამ ზოგი მხოლოდ საცხენისს გამოფხიზლდა.

ენისელიდამ გზად განელაგებინათ ბატალიონები და ქართული დრუჟინების ასეულები. დიდნი კნიაზნი სათითაოდ ათვალერებდნენ ყოველ ნაწილს, ყოველ ჯერზე კმაყოფილნი მათის მამაცურის იერთთა. იყო ერთი შენიშვნა, რომ მიწგრ[ელიის] პოლკში ჭარბად იყვნენ ავადმყოფნი.

მათს აღმატებულებებს გზად წარუდგნენ ახლახანს ჩამოსახლებული ანწუხ-კაპუჭის ბინადარნი, ბადრაგთა რიცხვში რომ შედიოდნენ, და მათი ნაიბი. დიდს კნიაზებს აღაფრთოვანებდა ის, რომ გუშინდელი მტრები დღეს მორჩილად ბადრაგობდნენ და ნაიბმა ჩუგლუგი მიართვა დიდ კნიაზს ნიკოლაის. ესრეთ მშვიდობით ჩაბრძანდნენ მათნი უდიდებულესობანი საცხენისამდინ, მშვენიერის ამინდის თანხლებითა.

*აქ მოულოდნელად გამოცხადდა ფადეევი მნიშვნელოვანის ამბით ლენერალ ევდოკიმოვისგან შაროარლუნის დამორჩილების შესახებ. დიდ კნიაზთ ძალზედ ეამათ ეს ამბავი, მაგრამ არც მე, არც პრიდვორნის არ შეგვეძლო, არ შეგვენიშნა ზოგიერთთა უნდობლობა მათი უდიდებულესობის გარემოცვიდამ.

ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №25 (530)

К: Барятинскому. 19¹ Сентяб: 1858. Закаталы²

Вчера, т: е: 18 числа Их Высочества благополучно прибыли в кр: Закаталы.

В Лагодехе, где был завтрак, они осматривали Казармы, усиленный лазарет и остались довольны.

В сел: Белакани, по желанію Великих Князей, срисован портрет с жены Ажи Муртуза. Она известна своею храбростью.

Партизаны убили двух Качагов, головы которых с любопытством разсматривали Великіе Князя.

Вчера вечером получено Великими Князіями от Вашего С^{ва} донесеніе Генерала Евдокимова о покореніи Шароаргунскаго общества; Их Высочества читали с большим вниманіем и некоторыя из неверующих наконец убедились.

Сегодня в 9 часов Их Высочества выезжают в Нуху. Благодаря Бога досих пор всё и везде идёт по желанію Вашего Сіятельства.

ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №25 (530)

კნ[იაზ] ბარიატინსკის. 19 სექტემბ: 1858. ზაქათალით

გუშინ, ანუ 18 რიცხვში, მათი უდიდებულესობანი მშვიდობით ჩაბრძანდნენ ზაქათალის ციხეს.

ლაგოდებში, სადაც სადილი ჰქონდათ, მათ დაათვალიერეს ყაზარმები, გაძლიერებული ლაზარეთი და დარჩნენ კმაყოფილნი.

სოფელ] ბელაქანში, დიდთა თავადთა ნებით, დახატულია პორტრეტი აჯი მურთუზას ცოლისა, ვინც სახელმობხვეჭილია თავისი სიმამაცითა.

პარტიზანებმა მოკლეს ორი ყაჩალი, რომელთა თავებსაც ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნენ დიდნი თავადნი.

გუშინ სალამოს თქვენი ბრწყინვალეების] დიდთა თავადთა მიიღეს ლენერალ ევდოკიმოვის მოხსენება შაროარლუნის საზოგადოების დაპყრობის შესახებ; მათი უდიდებულესობანი კითხულობდნენ დიდის ყურადღებით და ბოლოს ირწმუნა ზოგიერთმა ურწმუნომაცა.

დღეს 9 საათზედ მათი უდიდებულესობანი მიემგზავრებიან ნუხაში. ღვთის მადლით, აქამომდის ყველგან ყოველივე გვარდება თქვენის ბრწყინვალეების ნებისამებრ.

ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №26 (531)

К: Барятинскому. Баку. Сентября 1858.¹

Вчера их Высочества Великіе Князья изволили прибыть в Баку, проехав Шемахинскую Губернію, в самом пріятном расположеніи духа, сопровождаемые во всё это время прекрасною погодою. В Нухе понравился им ханскій дворец, в котором они и остановились.

В Шемахе их Высочества посетили заведение Св. Нины, новоосвещённую Православную церковь, Армянскую церковь и Главный Мечеть, в котором Главный Ахунд прои́знес речь при собраніи многочисленнаго народа.

Великіе Князья удостоили своим посещеніем также и театр, устроенный собственно для того, чтоб здешняя публика имела счастье узреть Августейших гостей. В театре пели персидскія песни и плясали баядерки.

В Бане их Высочествам представлялись Генерал Адъютант Барон Врангель и Контр-Адмирал Машнин. Здесь Великія Князя осматривали пароход, прибывшій с Контр-Адмиралом из Астрахана для перевода Великих Князей, но они поехали сухим путем. Осмотрели старыя подводныя строенія, вновь строящійся Порт, Ханскій Дворец и Мечеть. Вечером обозрели невтяныя колодцы и вечные огни. Город, его окрестности и дальныя деревни залиты были огнём иллюминаціи; море – горело!

Здесь Великія князя купили много эмалевых вещей.

В Нухе, Шемахе и Баку представлялись Их Высочествам Чиновники и почётнейшіе жители, которые были ввосторге от их милостиваго вниманія кним.

Словом, до сих пор всё в превосходном виде и порядке; Великія Князя очень веселы. Но одно только беспокоит Их: незнаніе о состояніи здоровья Вашего Сіятельства.

Немог я незаметить срадостью, что Их Высочества всегда говорят о Вашем Сіятельстве с чувством искреннаго уваженія.

ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №26 (531)

კნ: ბარიატინსკის. ბაქო. სექტემბერი: 1858.

გუშინ მათმან უდიდებულესობებმან, დიდმა კნიაზებმან შემახის გუბერნიაზე გავლით ინებეს ბაქოში ჩამობრძანება უმშვენიერესი გუნება-განწყობითა, მშვენიერის ამინდის თანხლებით მთელი ამ ხნის მანძილზედ. ნუხაში ისინი მოიხიბლნენ ხანის სასახლით, რომელშიაც დაბინავდნენ კიდევცა.

შემახიაში მათმან უდიდებულესობებმან მოინახულეს წმ. ნინოს ზავედენიე, ახლად ნაკურთხი მართლმადიდებლური ეკლესია, სომხური ეკლესია და მთავარი მეჩეთი, რომელშიც მთავარმან ახუნდმან წარმოსთქვა სიტყვა მრავალთა კაცთა თანდასწრებითა.

დიდმა კნიაზებმა დასწრებით პატივი მიაგეს აგრეთვე თეატრსაცა, მონყობილს სწორედ მისთვის, რათა აქაურს პუბლიკას ჰქონოდა ბედნიერება, ეხილა უავგუსტესი სტუმარნი. თეატრში იმღერეს სპარსული სიმღერები და იცეკვეს ბაიადერკები.

ბანში მათს უდიდებულესობებს წარუდგნენ ღენერალ ადიუტან-

ტი, ბარონი ვრანგელი და კონტრ-ადმირალი მოშინი. აქ დიდმა კნია-ზებმა მოინახულეს გემი, კონტრ-ადმირალის თანხლებით ასტრახანიდამ ჩამოსული, დიდთა თავადთა გადასაყვანად, მაგრამ ისინი წაბრძანდნენ ხმელეთითა. დაათვალიერეს ძველი წყალქვეშა ნაგებობები, ხელმეორედ მშენებარე პორტი, ხანის სასახლე და მეჩეთი. მწუხრზედ მოინახულეს ნავთობის ქუჩი და მარადიული ცეცხლი. ქალაქი, მისი შემოგარენი და შორეული სოფლები ბრდღვიალებდნენ ილუმინაციის შუქითა; ზღვა გიზგიზებდა!

აქ დიდმა თავადებმა შეიძინეს ბევრი ემალის ნივთი.

ნუხაში, შემახიასა და ბაქოში მათ უდიდებულესობებს წარუდგნენ ჩინოვნიკები და უპატივცემულესი ბინადარნი, რომელნიც ალტაცებაში იყვნენ მათი მონყალე ყურადღების გამო.

მოკლედ, აქამომდის ყველაფერი ჩინებულად და რიგიანადაა; დიდნი კნიაზნი ძალზედ მხიარულნი არიან. მაგრამ მხოლოდ ერთი რამ აღელვებთ მათ: რომ არა უწყიან რა თქუენის ბრწყინვალეობის სიჯანსაღის შესახებ.

არ ძალმედვა, სიხარულით არ შემენიშნა, რომ მათნი უდიდებულესობანი ყოველთვის გულწრფელის პატივისცემის გრძნობით უბნობენ თქუენს ბრწყინვალეობაზედ.

ალექსანდრე ბარიატინსკისადგი №27 (532)

К: Барятинскому 1^{ое} Октяб: Чирюрт.¹

В последний раз я имел честь писать Вашему С^{ву} из г: Баку о проезде их Высочеств Великих Князей. Оттуда на другой день т: е: 25 октяб: они прибыли в штаб полка Гусарки, проехав Кубу, где народ с восторгом встретил Великих Путешественников. В Гусарке они посетили Церковь, полковой лазарет, казармы.

[2]6^{ое} Здесь представлялись почётнейшие жители Самур: округа;

[...] Дербенд, встреча жителей, посещение Церкви, осмотр древности, окно Петра Велик: его землянке, главной Мечети Иллюминация.

[2]7. Представление почётнейших Дербенд: жителей и поездка до Дишлагара. Посещение Церкви, лазарета, и сада, где Великие Князя писали много лестнаго Генералу Кеслеру, как основателю

этой Штабквартиры.

[28]. Сопровождаемые Акушинскою Конною Артиллеріею остановились для завтрака в дер: Харабудекенте, где Князь Шамхал Тарковский, управляющіи Даргинским Округом и Главный Акушинскій Кадій с почётнейшими жителями представились Их Высочествам.

Вечером прибыли в Т: Х: Шуру. Встреча, Иллюминація, осмотр башень, фантанов города.

ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №27 (532)

კნ[იაზ] ბარიატინსკის 1^ა ოქტომბ: ჩირიურთი.

ბოლოხანს პატივი მქონდა, მომენერა თქუენი ბ[რწყინვალეობისათვის] ქ: ბაქოდამ მათ უდიდებულესობათა დიდ კნიაზთა გადაადგილების შესახებ. იქიდან მეორეს დღეს, ანუ: 25 ოქტომბ: ისინი ჩავიდნენ გუსარკის პოლკის შტაბში, ყუბის გავლით, სადაც ხალხი აღტაცებით შეხვდა დიდს მოგზაურებს. გუსარკაში მათ მონიხულეს ეკლესია, საპოლკო ლაზარეთი, ყაზარმები.

[2]6^ა. აქ მათ წარუდგნენ უღირსეულესნი ბინადარნი სამურ[ის] ოკრულისა; [...] დერბენდი, ბინადართა დახვედრა, ეკლესიის მონახულება, სიძველეთა დათვალიერება, პეტრე დიდ[ის] სარკმელი მის მიწურში, მთავარი მეჩეთის განათება.

[2]7^ა. დერბენდი: უღირსეულეს ბინადართა წარდგენა და გამგზავრება დიშლაარამდის. მონახულება ეკლესიისა, ლაზარეთისა და ბალისა, სადაც დიდნი თავადნი სწერდნენ ბევრს სასიამოს ლენერალ კესლერს, როგორც ამ შტაბკვარტირის დამაარსებელსა.

[28]. აჰყოშის ცხენოსანი არტილერიის თანხლებით სადილად შეჩერდნენ სოფელ] ხარაბუდეკენტში, სადაც თავადი, თარკოს შამხალი, დარლოს ოკრულის მმართველი და აჰყოშის მთავარი ყადი უღირსეულეს მობინადრებთან ერთად წარუდგნენ მათს უდიდებულესობებსა.

მწუხრზედ ჩავიდნენ თ: ხ: შურას. დახვედრა, ილუმინაცია, კოშკების, ფანტანების დათვალიერება.

ლიმიტრი ჯორჯაქისაღმი №83 (533)

ჩემო ბატონო,
კნიაზო დიმიტრი!

ამ წერილს მოგართმევს ვილაცა ყაზიყუმუხელი, რომელიცა მოგახსენებს თავის დარდსა, ანუ თავის სოფლის დარდსა, ვეჭობ, უნდათ სადღაც სოფლის აშენება, და როგორც გადაუნყვეტთ თქვენ იცით და არა მე. – მე მხოლოდ ამის თხოვნა აღვასრულე, რომ უთოოდ ერთი ბარათი უნდა მომცეო შურაში. – ამის მეტი ამ ჟამად არა არისრა მოსანერი.

შენი ბედნიერების მოსურნე
გრიგოლ ორბელიანი

3^ს დეკემ: 1858¹

ნიკოლოზ კარლოვისაღმი №1 (534) ¹

При письме моё мненіе.²

Николаю Ивановичу Кирлгосту.
7 Декаб: 1858.³

Более полувека Россія владеет Закавказьем, а населенія Мусульманских провинцій находятся в томже невежественном состо-
яніи, в каком застало наше Правительство в начале текущаго сто-
летія. С тех пор ничто не изменилось в них: таже страсть к кочевой
жизни, таже наклонность к воровству и разбою, и таже отчужденіе
от нас. Очень немногіе при Татар служат в Полках: очень немногіе
из них отдают детей своих в наши училища.

Оставаясь до сих пор в таком положеніи, Татары имеют самое
тёмное понятіе о Россіи, исключая тех немногих лиц, которые име-
ли случай служить в Конно-мусульманском Полку, или в Конвойной
Команде.

Необходимо извлечь Татар из этого отчуждённого состоянія и мало по малу сблизить их с нами. Для достиженія этой цели меры, предложенныя в этой переписке несомненно будут иметь самыя благочестныя послѣдствія, в особенности 5^й пункт, которымъ избавляется отъ всехъ податей и натуральныхъ повинностей всякій Мусульманъ, прослужившій в Россіи 8 летъ.

Это вознагражденіе за кратковременный срокъ службы есть какбы пансіонъ очень выгодный и вместе очень почётный в податномъ сословіи и темъ нетъ сомненія, что эти меры, предоставляющія такъ много существенныхъ выгодъ и преимуществъ, со временемъ привлекутъ многихъ Татаръ на службу в Россію, а темъ осуществится истинно благое намереніе попечительнаго Правительства относительно умственнаго и нравственнаго преобразованія Татаръ.

ნიკოლოზ კარლოვისადმი №1 (534)

წერილს ახლავს ჩემი მოსაზრება.

ნიკოლაი ივანოვიჩ კირლოვსტს. 7 დეკემბ: 1858.

ნახევარ საუკუნეზედ მეტია, რაც რუსეთი კავკასიას ჰფლობს, ხოლო მუსლიმურ პროვინციათა მობინადრენი იმავე უმეცრებაში არიან, რომელშიაც ჩუენს ხელისუფლებას ჩაჰბარდნენ მიმდინარე ასწლეულის დამდეგსა. მას აქეთ არაფერი შეცვლილა მათში: იგივე ყინი მომთაბარეობისა: იგივე მიდრეკილება ქურდობისა და ყაჩაღობისადმი და იგივე გაუცხოება ჩუენგანა. თათართაგან ძალზედ ცოტანი მსახურობენ პოლკებში: ძალზედ ცოტანი ჰგზავნიან თავიანთ შვილებს ჩუენს სასწავლებლებში.

ესრეთს მდგომარეობაში დარჩენილ თათრებს გააჩნიათ ყოვლად ბნელი წარმოდგენა რუსეთზედ, იმ მცირერიცხოვან პირთა გარდა, რომელთაც მოუწიათ მსახურება მუსლიმურ საცხენოსნო პოლკში, ანდა საბადრაგო კამანდაში.

აუცილებელია თათართა გამოყვანა ამ გაუცხოებულის მდგომარეობიდან და ნელ-ნელა მოახლოება ჩუენთანა. ამ მიზნის მისაღწევად

ზომები, შემოთავაზებული ამ მიმონერაში, უთუოდ მოიტანენ ყოვლად კეთილისმყოფელ შედეგებს, განსაკუთრებით პუნქტი 5^ა, რომლითაც ყოველი მუსლიმი, ნამსახურევი რუსეთში 8 წელიწადს, თავისუფლდება ყოველგვარი ხარკისა და ნატურალური ბეგარისგან.

ეს ჯილდო ხანმოკლე სამსახურისათვის წარმოადგენს რაღაც პანსიონის მაგვარსა, ძალზედ ხელსაყრელსა და, ამასთან, ძალზედ საპატიო რამეს საგამოსალებო დაბეგვრაში; ეჭვგარეშეა, რომ ესოდენ მნიშვნელოვან მოგებათა და უპირატესობათა მომცემი ეს ზომები დროთა განმავლობაში ბევრ თათარს მიიზიდავს რუსეთში სამსახურებლად, ხოლო ამით განხორციელდება თათართა გონებრივი და სულიერი გარდასახვის ჭეშმარიტად კეთილი განზრახვა მზრუნველი ხელისუფლებისა.

კონსტანტინე ფონ კაუფმანისადმი №1(535)

Свиты Его Величества Генералмайору;
Начальнику штаба при Генерале Инспекторе,
Константину Петровичу Фон Кауфману
10 декаб: 1858. Тифлис.

Во время путешествія Великих Князей по Кавказу, Вы передали мне желаніе Его Императорскаго Высочества Николая Николаевича иметь черкесское платье для Его сына.

По записке, в тоже время, вами мне переданной, изготовлено это платье, а теперь оно посылается к вам с моей убедительнейшею просьбою поднести Его Высочеству вместе с увереніем в истинном чувстве глубочайшей преданности моей.

Почту себя истинно счастливым, если это платье nebude отвергнуто по его неизвидности.

Остальное оружие, заказанное мною в Дагестане, вы получите от Генерал Адютанта Барона Врангеля.

С чувством глубокаго уваженія и совершенной преданности имею честь быть.

კონსტანტინე ფონ კაუფმანისადმი №1 (535)

მისი აღმატებულების ამალის ლენერალმაიორს;
ლენერალურ ინსპექტორთან არსებული შტაბის უფროსს,
კონსტანტინე პეტროვიჩ ფონ კაუფმანს
10 დეკემბ: 1858. ტფილისი.

დიდ კნიაზთა მოგზაურობისას კაკვკასიაში, თქვენ გადმომეცით მისი საიმპერატორო უდიდებულესობის ნიკოლაი ნიკოლაევიჩის ნება, ჰქონოდა ჩერქეზული სამოსი თავისი ვაჟისთვისა. თქვენს მიერ იმავდროულად გადმოცემული წერილისამებრ არის შეკერილი ეს სამოსი, ან კი ჩემს ბეჯით თხოვნასთან ერთად გეგზავნებათ თქვენ, რათა მიართვათ მის უდიდებულესობას ჩემი მისდამი უღრმესი ერთგულების ნიშნად.

ჭეშმარიტად ბედნიერად ჩავთვლი თავს, თუკი სამოსი არ იქნება დანუწეული მისი შეუხედაობის გამო.

დანარჩენ იარაღს, ჩემს მიერ დალისტანში შეკვეთილს, თქვენ მიიღებთ ლენერალ ადიუტანტ ბარონ ვრანგელისგანა.

პატივი მაქუს, ვიყო ღრმა პატივისცემის გრძნობითა და სრულის ერთგულებითა.

პასპორტები, შენიშვნები,

კომენტაზები

ტექსტისათვის

სამეცნიერო აპარატი წამოდგენილია კომენტარებით, პირთა და გეოგრაფიულ სახელთა ანოტირებული საძიებლებითა და ლექსიკონით. რამდენადაც აქ არ არის მოცემული ავტორის ეპისტოლური მემკვიდრეობის ენის საკითხები (ენობრივი მიმოხილვა წარმოდგენილი იქნება გრიგოლ ორბელიანის წერილების ბოლო ტომისთვის დართულ სამეცნიერო აპარატში), მოკლედ აღვნიშნავთ, რომ გამოცემაში ბოლომდეა დაცული ავტორისეული ორთოგრაფია, პუნქტუაცია და აბზაცები (გარდა იმ შემთხვევებისა, სადაც კალმისმიერი ლაფსუსები დაფიქსირდა). ტექსტებში არსებული ენობრივად გაუმართავი ფრაზები ავტორისეულია და ჩვენ ისინი, რა თქმა უნდა, არ ჩაგვისწორებია. ნათქვამი თანაბრად ეხება როგორც ქართულ, ისე რუსულ წერილებს.

კომენტარებს წინ უძღვის პასპორტები, სადაც მკითხველი მიიღებს სრულ ინფორმაციას წერილის შესახებ. ეს ინფორმაცია განაწილებულია შემდეგ რუბრიკებში:

1. ავტოგრაფი: აქ ვიგებთ, სად და რა ნომრით ინახება ხელნაწერი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი აღნიშნული გვაქვს C, ხოლო ეროვნული ისტორიული არქივი – A ლიტერით.

2. თარიღი და ადგილი: აქ მოცემულია ავტორის მიერ მითითებული თარიღი და წერილის გამოგზავნის ადგილი. ავტორის მიერ წერილის დაუთარილებლობის შემთხვევაში, სამეცნიერო აპარატს არ ახლავს მოცემული რუბრიკა;

3. ხელმოწერა: რუბრიკა შეიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, წერილი ხელმოწერილია თუ არა. თუ წერილი ხელმოუწერელია, მოცემული რუბრიკა პასპორტს არ ეერთვის;

4. ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: აქ მკითხველი გაეცნობა ავტორის ადრესატისადმი დამოკიდებულებას: როგორ მიმართავს მას, რას უწოდებს და ა. შ.

5. ავტოგრაფის აღწერილობა: რუბრიკა გვანვდის ცნობას იმის შესახებ, თუ რა სახის, ზომისა და ფერის ქალაღბზეა ბარათი დაწერილი, დაზიანებულია თუ არა ხელნაწერი, არის თუ არა გადახაზული ადგილები და ა. შ., ანუ, როგორია ტექსტის დღევანდელი მდგომარეობა;

6. ადრესატის მისამართი: აქ მოცემულია ადრესატის ადგილსამყოფელი. რუბრიკა წერილის პასპორტში იმ შემთხვევაშია

ნარმოდგენილი, თუ მისამართი ავტორის მიერაა დასახელებული. აღსანიშნავია, რომ გრიგოლ ორბელიანი იშვიათად აწერს მისამართს წერილზე. იგი, სავარაუდოდ, კონვენტზე იქნებოდა დაფიქსირებული, რაც დღემდე არ შენახულა. იშვიათად ადრესატის ადგილსამყოფელი წერილშია დასახელებული. უმრავლეს შემთხვევაში კი ჩვენ ის წლების მიხედვით ადრესატთა მოღვაწეობის გათვალისწინებით, აგრეთვე საანალიზო თუ სხვა წერილებში დასახელებული ფაქტები-სა და მოვლენების ურთიერთშეჯერებით აღვადგინეთ;

საპასპორტე რუბრიკებს მოსდევს წერილის შესახებ ინფორმაციის შემცველი შემდეგი რუბრიკები:

1. შენიშვნები: აქ კალმისმიერი შეცდომები და ტექსტის ენობრივი ლაფსუსებია აღწუსებული. ტექსტში მოცემული ნუმერაცია სწორედ შენიშვნებზე მიგვითითებს;

2. პირველი პუბლიკაცია: აქ ვიგებთ, პირველად რომელ გამომცემლობაში და როდის დაიბეჭდა წერილი, გამომცემის რომელ გვერდებზეა იგი განთავსებული და ა. შ.

3. დათარიღება: რუბრიკაში, ფაქტების ანალიზის საფუძველზე, მოცემულია წერილის დაწერის სავარაუდო თარიღი და დასაბუთებულია მისი საფუძველი. გამომცემაში დათარიღებულია 21 წერილი.

სამეცნიერო აპარატის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს კომენტარები, სადაც ამა თუ იმ ფაქტისა თუ მოვლენის ასახსნელად ბევრი ახალი მასალაა მოხმობილი.

თითოეული საკომენტარო ფრაზა დამონმებულია გვერდისა და სტრიქონის მითითებით, რომლებიც ერთმანეთისაგან მძიმითაა გამოყოფილი. კომენტარებში სტრიქონების ნომრები მითითებულია წლისა და სათაურის ჩაუთვლელად. შესაბამისად, მკითხველმა მისთვის საჭირო ინფორმაცია ამის გათვალისწინებით უნდა მოძებნოს. მაგ., თუ რომელიმე გვერდი იწყება წლისა და სათაურის აღნიშვნით, ვთქვათ, 1856, ქეთევან ორბელიანისადმი №81 (402) (გვ. 7), პირველი სტრიქონი ამ გვერდზე იქნება „ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან!“ და ა. შ., რომლითაც იწყება უშუალოდ წერილი.

კომენტარების შემდეგ გამოცემას ერთვის პირთა და გეოგრაფიულ სახელთა ანოტირებული საძიებლები, რომლებიც ანბანურ რიგზეა დალაგებული და მკითხველს საშუალებას აძლევს, მისთვის სასურველი პიროვნება თუ გეოგრაფიული სახელი მითი-

თებულ გვერდებზე მოძებნოს.

საძიებლებში პირთა სახელები ტექსტური მონაცემითაა წარმოდგენილი, მაგ.: **ნინა ალექსანდროვნა, ვარინკა, ბაბალე** და სხვ., რომლებსაც ანოტაცია არ ახლავს. ანოტაცია დართული აქვს სახელის სწორ დასახელებას, რომელთანაც, ლექსიკონის პრინციპის გამოყენებით, გაგზავნილია ტექსტური მონაცემი. მაგ.: **ნინა ალექსანდროვნა** – იხ. ჭავჭავაძე-გრიბოედოვისა ნინო. ამდენად, ანოტირებულია ჭავჭავაძე-გრიბოედოვისა ნინო და არა ნინა ალექსანდროვნა.

თუ ტექსტურ მონაცემსა და სწორ დასახელებას შორის უმნიშვნელო განსხვავებაა, ასეთ შემთხვევაში ტექსტური მონაცემი აღარ არის გაგზავნილი სწორ დასახელებასთან, ისინი ერთადაა წარმოდგენილი შემდეგი თანმიმდევრობით: ტექსტური მონაცემი – სწორი დასახელება – ანოტაცია, მაგ.: **„დადეშკილიანი – დადეშქელიანი ციოყ ციოყის ძე** – სვანეთის უკანასკნელი მთავრის, კონსტანტინე დადეშქელიანის, ძმა“, და ა. შ. თუ ავტორი სახელს რამდენიმე ვარიანტით ხმარობს, ყველა ეს ვარიანტი ასახულია საძიებელში და ერთმანეთისაგან პარალელური ხაზებითაა გამოყოფილი, მაგ.: **„ანეტა//ანნა ილინიშნა//ანნეტა** – იხ. ბაგრატიონი-ჭავჭავაძისა ანა (ანნეტა) ილიას ასული“; **„პეტრე აპოლონოიჩი//აპოლონოვიჩი** – იხ. ვოლკოვი პეტრე აპოლონის ძე“, და სხვ.

თუ ავტორის მიერ დასახელებული პიროვნების ქვეშ ორი პირია სავარაუდებელი, საძიებელში ორივეს ანოტაციაა დართული და დამონმებულ გვერდს კითხვის ნიშანი უწერია, მაგ., ქეთევან ორბელიანისადმი 1856 წლის 1 მარტს გაგზავნილ წერილში გრიგოლ ორბელიანი ადრესატს ეკითხება: „ყაფლან დაბრუნდა რევაზის ქორწილიდამ“ – ამ შემთხვევაში (როგორც კომენტარშია აღნიშნული), შესაძლოა, საუბარი იყოს გრიგოლის გარდაცვლილი დისწულის, ეკატერინე მელიტონის ასული ბარათაშვილის, ქმრის, რევაზ ლუარსაბის ძე ერისთავის, მეორე ქორწინებაზე. 1856 წლის 12 თებერვალს მან ცოლად მოიყვანა მართა ნიკოლოზის ასული ბაგრატიონ-მუხრანელი, მაგრამ იმავე წლის იმავე თვეში, მაგრამ 18 რიცხვში, იყო ორბელიანებისათვის ასევე ძალიან ახლობლის, პოლკოვნიკ რევაზ შალვას ძე ერისთავისა და ნინო ესტატეს ასული ერისთავის ქორწილიც, რომელსაც ასევე ვერ გამოვრიცხავთ. ამის გათვალისწინებით, საძიებელში ანოტაცია ერთვის როგორც რევაზ ლუარსაბის ძე ერისთავს, ისე რევაზ

შალვას ძე ერისთავს და დამონმებულ გვერდს – 17-ს – ორივეგან კითხვის ნიშანი უნერია:

ერისთავი რევაზ ლუარსაბის ძე – გორელი თავადი, სამხედრო პირი. გრიგოლ ორბელიანის დისშვილის, ეკატერინე მელიტონის ასული ბარათაშვილის მეუღლე. 17?

ერისთავი რევაზ შალვას ძე – გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის, ეკატერინე ასლანის ასული ორბელიან-ერისთავის, ვაჟი. 17?

ქალი პიროვნებები წარმოდგენილნი არიან ქალიშვილობის გვართ, რომლის გვერდითაც დეფისის შემდეგ მეუღლის გვარია დაფიქსირებული, მაგ, ავალიშვილი-ორბელიანისა ელისაბედ, ალექსი-მესხიშვილი-ორბელიანისა ქეთევან და ა. შ. როცა ქალიშვილობის გვარი არ არის ცნობილი, პიროვნება მითითებულია მეუღლის გვართ, მაგ., **გრიჩენკოსი, დავიდოვისა** და სხვ.

საძიებლებში პირთა თუ გეოგრაფიულ სახელებს გვერდები იმ შემთხვევებშიც აქვს მითითებული, როცა ისინი მხოლოდ იგულისხმება და დასახელებული არ არის, მაგ., თუ ტექსტში წერია „და“, „ძმა“, „სიძე“, „რძალი“ და ა. შ. და ცნობილია, ვისზეა საუბარი, გვერდები მითითებული აქვს ამ სიტყვების ქვეშ ნაგულისხმევ პირთა სახელებს, მაგ.: „მოდით და ერთი რჩევა დამიჯერეთ შენა და ივანემ თავის **ცოლითა**.“ ამ შემთხვევაში საძიებელში გვერდი მითითებული აქვს ივანეს ცოლსაც; სხვა მაგალითი: „მომწერე შენი ამბავი, ჩემო თვალის ჩინო, **ძალუა** და **შენი შვილები** მომიკითხე სიყუარულითა“, – რამდენადაც ვიცით, რომ ადრესატის – ყაფლან ორბელიანის – მეუღლე იყო ელისაბედ ივანეს ასული ბარათაშვილი, ხოლო მისი შვილები – ელენე, ნინო და დავითი – მათ გვერდები საძიებელში ამ შემთხვევაშიც აქვთ მითითებული.

გეოგრაფიულ სახელს გვერდები აღენიშნება იმ შემთხვევებშიც, თუ ის წერილის დაწერის ადგილია.

როცა საუბარია ერთ კონკრეტულ პიროვნებაზე, მაგრამ ის მოხსენიებულია ნათესავის საშუალებით, გვერდები ეთითება ორივე პიროვნებას, მაგ.: „შამშუდდინის ძმისა“ – საძიებელში ამ შემთხვევაში გვერდები მითითებული აქვს როგორც შამშუდდინს, ისე მის ძმას.

საძიებელში გვერდები არ გვაქვს დაფიქსირებული იმ შემთხვევებში, როცა პიროვნება საზოგადო სახელით არის მოხსენიებული და ტექსტში ზუსტად არ ჩანს, ვისზეა საუბარი, ან როდესაც მთელი ოჯახია მოხსენიებული.

რაც შეეხებათ ადრესატებს, მათ გვერდები აღენიშნებათ იმ შემთხვევაში, თუ სხვა პირებისადმი გაგზავნილ წერილებში არიან მოხსენიებულნი, ან მათდამი მიმართულ წერილებში მათზე საუბარია, როგორც მესამე პირზე. სხვა შემთხვევაში მათ ეთითებათ, რომ წერილის ადრესატები არიან.

საძიებელში ანოტაციები არ დავუერთეთ საქართველოს ქალაქებსა და მხარეებს, აგრეთვე კონტინენტებს. მათ მხოლოდ გვერდები აქვს აღნიშნული.

გეოგრაფიული სახელებიც ანოტირებულ საძიებელში გატანილია ტექსტური მონაცემით. თუ ავტორი გეოგრაფიულ სახელსაც, პირთა სახელის მსგავსად, ერთზე მეტი ვარიანტით ხმარობს, ყველა ეს ვარიანტი ასახულია საძიებელში ანბანური პრინციპის დაცვით და ერთმანეთისაგან პარალელური ხაზებითაა გამოყოფილი, მაგ., **აყუმა/აჰყომა, თემირხანშურა//შურა, იშკარტა//იშკარტი, კავკაზი//კავკასია** და სხვ. ასეთ შემთხვევებში ფრჩხილებში მოცემულია მართებული ფორმა, მაგ., **იშკარტა//იშკარტი (იშკარტი)**; სწორი ფორმა ფრჩხილებში მითითებულია ცალკე წარმოდგენილი არასწორი გეოგრაფიული სახელის შემთხვევაშიც. მაგ., **კაპუჭა (კაპუჩი)**.

ჟანრის სპეციფიკის გათვალისწინებით, ლექსიკონში, გარდა ლიტერატურულისა, სასაუბრო ფორმები, რუსიციზმები და უცხო წარმომავლობის სიტყვებიცაა ახსნილი. სიტყვა, საჭიროების შემთხვევაში, მოცემულია თავისი ვარიანტებით, რომლებიც ერთმანეთისაგან პარალელური ხაზებითაა გამოყოფილი. თითოეული ვარიანტის გვერდები და სტრიქონები ცალ-ცალკეა დამონმებული, რომლებიც ერთმანეთისაგან ასევე პარალელური ხაზებითაა გამიჯნული. სალექსიკონო მასალა წარმოდგენილია ტექსტური ფორმებით, რომლებიც ხშირ შემთხვევაში არ ემთხვევა სალიტერატურო ფორმებს.

რუსული წერილების ქართულად თარგმნისას გათვალისწინებულია ავტორის ქართული წერილების ენობრივი თავისებურებები. შენარჩუნებულია არა მხოლოდ მისთვის ნიშანდობლივი რუსიციზმები (**ნაჩალნიკი, ოტრიადი, ლაგერი, პეხოტნი, ოტპუსკი**), არამედ სიტყვათა ორთოგრაფიაც, მაგ., ეკსპედიცია, დალისტანი, აფიცარი, ჰაზრი და სხვ.

თითოეულ საქმიან შენიშვნას სამეცნიერო ჯგუფი დიდი მადლიერებით მიიღებს და გაითვალისწინებს შემდგომი მუშაობისას.

ქეთევან ორბელიანისადმი №81 (402) (გვ. 7)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №339, გვ. 112r.

თარიღი და ადგილი: „5^ს იანვ: 1856 წელს. თემირხანშურით.“

ხელმოწერა: „შენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, მოყვითალო ფერის, თხელი ქაღალდი; ზომები: გადაუკეცავისა: 21,8X13,1 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით.

ადრესატის მისამართი: წერილის ადრესატი ქეთევან ალექსი-მესხიშვილი-ორბელიანისა თბილისში ცხოვრობდა. წერილში გრიგოლი ქეთევანს ანუგეშებს შვილის – სანდროს – გარდაცვალების გამო და მოიკითხავს თბილისში მცხოვრებ ახლო ნათესავეებს, ამასთან, აგზავნის ათ თუმანს ბაბაღე ბარათაშვილისთვის გადასაცემად, რაც ადასტურებს, რომ ადრესატი ბარათის გაგზავნის დროს იმყოფებოდა **თბილისში**.

შენიშვნები: 1. ღვთის; 2. „მ“ ასომთავრულით წერია; 3. ღვთის; 4. „მ“ ასომთავრულით წერია; 5. ღმერთი; 6. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ. 156.

გვ. 7,1. „**ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან!**“ – წერილის ადრესატია გრიგოლ ორბელიანის გარდაცვლილი ძმის, ზაქარიას, მეუღლე ქეთევან დიმიტრის ასული ალექსი-მესხიშვილი-ორბელიანისა.

გვ. 7,2-3. „**ნუცა შენს თავსა მიჰსცემ სასონარკვეთილებასა**“ – ამ დროს ახალგარდაცვლილი იყო ქეთევანის ვაჟი, გრიგოლის ძმისწული ალექსანდრე ზაქარიას ძე ორბელიანი.

გვ. 7,10. „**ჩემს დისწულს ბაბაღესა**“ – საუბარია ბარბარე მელიტონის ასულ ბარათაშვილზე.

გვ. 7,10-11. „**თქუჴნი ძმები სიყუარულით მომიკითხეთ**“ – ქეთევანს ჰყავდა ოთხი ძმა – პლატონ, იაკინთე, სარდიონ და მიხეილ ალექსი-მესხიშვილები.

გვ. 7,11-12. „**დეკანოზსა მარჯვენეს ვეამბორები**“ – ქეთევან-

ნის მამა – დიმიტრი სოლომონის ძე ალექსი-მესხიშვილი – იყო ანჩისხატის ტაძრის დეკანოზი.

გვ. 7,12. „**მიუტირებ სანდროს დამინებას**“ – იგულისხმება ქეთევანის ახალგარდაცვლილი ვაჟი – ალექსანდრე ზაქარიას ძე ორბელიანი.

ქეთევან ორბელიანისადმი №82 (403) (გვ. 7-8)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №340, გვ. 113r.

თარიღი და ადგილი: „20 იანვარს 1856. თემირხანშურს.“

ხელმოწერა: „შენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო ძალუაჲ ქეთევან!“

ავტოგრაფის აღწერილობა: შუაზე გადაკეცილი, მოყვითალო ფერის, საშუალო სისქის ქაღალდი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,9X21,6 სმ; გადაკეცილისა: 21,6X13,5 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომლითაც ალაგ-ალაგ გაჟღენთილია ხელნაწერი.

ადრესატის მისამართი: ქეთევან ალექსი-მესხიშვილი-ორბელიანისა თბილისში ცხოვრობდა. წერილში გრიგოლი მოიკითხავს იქ მცხოვრებ ახლო ნათესავებს, რაც ადასტურებს, რომ ბარათი გაგზავნილია თბილისში.

შენიშვნები: 1. ღმერთმა; 2. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 156-157.

გვ. 7,25. „**იაკინთე და სარდიონ სიყუარულით მომიკითხე**“ – საუბარია ადრესატის ძმებზე – იაკინთე და სარდიონ დიმიტრის ძე ალექსი-მესხიშვილებზე.

გვ. 8,5. „**ჩემს ბაბაღეს სიყუარულით ვაკოცებ**“ – საუბარია გრიგოლის დისწულ ბარბარე მელიტონის ასულ ბარათაშვილზე.

მიხეილ ვორონცოვისადმი №46 (404) (გვ. 8-10)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 95r, 96r-v.

თარიღი და ადგილი: „24 Генв: 1856. т: х: шура“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „К: Воронцову.“ / „Письмо Вашей Свет“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაყვითლებული, საშუალო სისქის ქაღალდი; ზომა: 34,3X21,2 სმ; შესრულებულია მუქი შავი მეღვინით, ლამაზი კალიგრაფიით, აქა-იქ არის ჩასწორებები ავტორის მიერ.

ადრესატის მისამართი: წერილის შინაარსიდან ირკვევა, რომ მიხეილ ვორონცოვს გამოუთქვამს სურვილი, მონაწილეობა მიეღო თემირხანშურის მშენებარე ეკლესიის შემკობაში: „Ваша Светлость изъявили желание принять участие в украшении строящейся в Шуре Церкви.“ ამის გამო გრიგოლ ორბელიანი მას წარუდგენს კანკელის სრულ ნახაზს: „поэтому я представляю полный чертеж Иконостасу“ – და აქვე უხსნის თავისი განზრახვის მიზანს, საიდანაც ვიგებთ, რომ კანკელის ნახაზს ავტორი ადრესატს უგზავნის **ჰეტეროგრაფში:** „Полный чертеж Иконостасу, я прислал с тою целью, что быть может, ктонибудь из благочестивых Кавказцев, проживающих в Петербурге, и даже не из Кавказцев, пожелает принять участие в этом прекрасном деле.“

შენიშვნები: 1. თარიღი საზგასმულია ავტორის მიერ; 2. Светлости; 3. Святой; 4. Святым; 5. селения; 6. Князь; 7. селению; 8. реке; 9. селению; 10. Князя.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ. 8,7. „Письмо Вашей Свет“ – წერილის ადრესატია 1844-1854 წლებში კავკასიის მეფისნაცვალის მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვი.

გვ. 8,10-11. „рукою Княгини Елисаветы Ксавериевны“ – საუბარია ადრესატის მეუღლეზე, ელისაბედ ქსავერის ასულ ბრანიცკაია-ვორონცოვისაზე.

გვ. 8,14. „строющейся в Шуре Церкви“ – 1853-1861 წლებში თემირხანშურაში (ამჟამად. ქ. ბუინაკსკი) შენდებოდა ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების ხატის სახელობის სამხედრო ტაძარი.

გვ. 8,16. „кроме образов Спасителя и Богородицы“ – როგორც ჩანს, ვორონცოვს უკვე ჰქონდა შეკვეთილი მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ხატები.

გვ. 8,18-19. „Запрестольным образом – молющийся Иисус“ – საუბარია საკურთხევლის აღმოსავლეთ კედელზე გამოსახატ ხატზე.

გვ. 8,19. „и еще одним, Александра Невского“ – საუბარია მე-13 საუკუნის რუს მხედართმთავარზე, რომელიც რუსეთის ეკლესიის მიერ წმინდანად იქნა შერაცხული.

გვ. 8,20. „кроме Св: Марии-Магдалины“ – საუბარია წმინდა მარიამ მაგდალინელის ხატზე.

გვ. 8,21. „вышлёт из Рима молодой наш художник Лагорио“ – საუბარია ცნობილ რუს მხატვარ ლევ ფელიქსის ძე ლაგორიოზე (1826-1905), რომელიც 1854-1857 წლებში რომში მოღვაწეობდა.

გვ. 21-22. „брат которого служит при мне“ – იგულისხმება ლევ ლაგორიოს ძმა – კარლ ფელიქსის ძე ლაგორიო, რომელიც 1850-1870 წლებში იბრძოდა კავკასიის მთიელთა წინააღმდეგ და გარდაიცვალა 1901 წელს გენერალ-მაიორის წოდებით.

გვ. 9,2-3. „Графине же Шуазель просим о Катапетазме ... и три воздуха для покровов к Св: Дарам“ – საუბარია აღსავლის კარის ფარდასა და ბარძიმზე დასაფარებლებზე, რომლის შეკვეთასაც სთხოვს გრიგოლი მიხეილ ვორონცოვის ადიუტანტის, პოლკოვნიკ ედუარდ ოქტავის ძე შუაზელ-გოფიეს მეუღლეს – სენატორ გრიგოლ სერგის ძე გოლიცინის ქალიშვილს – ბარბარე გოლიცინ-შუაზელ-გოფიეს.

გვ. 9,4. „В прошлом ноябре я вошел с отрядом в вольную Табасарань“ – საუბარია 1855 წლის ნოემბერში ჩატარებულ ტაბასარანის ექსპედიციაზე, რომლის მიზანიც იყო აჯანყების ჩახშობა და ტყეების გაჩეხვა.

გვ. 9,6-7. „проповедников Шаріата... утверждали там власть Шамиля“ – საუბარია ყურანზე დამყარებული მუსლიმანური სამართლის მქადაგებლებზე და ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამის ძალაუფლების განმტკიცებაზე.

გვ. 9,9. „деревни, Ханаг и Лучек“ – სავარაუდოდ, საუბარია ტაბასარანის ექსპედიციის დროს განადგურებულ სოფლებზე – ხანაქსა და ლუჩეკზე.

გვ. 9,9-10. „возмутителя Ших Мамеда“ – საუბარია მუსლიმან ღვთისმსახურ შიხმაჰმადზე, რომელიც 1855 წელს ტაბასარანის აჯანყებას ამზადებდა.

გვ. 9,11. „от с: Хошни“ – უნდა იგულისხმებოდეს ტაბასარანის სოფელი ხოშნი (ხუშნი, ხუჩნი).

გვ. 9,11-12. „по речке Пелекчай чрез Ханагскую Гору“ – სავარაუდოდ, საუბარია მდინარე ხანაქჩაიზე.

გვ. 9,12. „до селения Гужника“ – საუბარია ტაბასარანის სოფელ ლუჟნიკზე (ხუშნიკზე).

გვ. 9,12-13. „мимо котораго прошёл К: Аргутинский в 1851“ – საუბარია 1851 წლის აგვისტოს ექსპედიციაზე, რომლის დროსაც გენერალ მოსე ზაქარიას ძე არლუთინსკი-დოლგოროუკოვის მეთაურობით რუსეთის ჯარებმა დაიკავე დაღესტნის პროვინციები – ტაბასარანი და ყაითალი.

გვ. 9,13-14. „по хребту, соединяющемуся с Ашти Кукумскими“ – იგულისხმება ამტიყუყუმის მთა.

გვ. 9,14. „возвращался Ажимурад“ – საუბარია იმ გზაზე, რომლითაც არლუთინსკის ჯარებს თავი დააღწია შამილის ცნობილმა ნაიბმა ჰაჯი მურატმა – 1851 წლის აგვისტოს დასაწყისში, ტაბასარანზე თავდასხმის შემდეგ.

გვ. 9,14-15. „по хребту Калухдага к с: Хошни“ – სავარაუდოდ, საუბარია ყალუხის მთასა და სოფელ ხოშნიზე.

გვ. 9,15-16. „по р: Рубис к с: Мараги“ – სავარაუდოდ, საუბარია მდინარე რუბასზე და ყარაბაღის სოფელ მარაღაზე.

გვ. 9,20-21. „самой деревни Шилиаги“ – სავარაუდოდ, საუბარია ყაითალის სოფელ შილიაგიზე.

გვ. 9,26-27. „громы адской артиллерии разражались над Свеборгом и Севастополем“ – იგულისხმება ფინეთის ციხესიმაგრე სვეაბორგისა (1855 წლის ივლისში) და ყირიმის ქალაქ სევასტოპოლის (1855 წლის აპრილ-სექტემბერში) დაბომბვა ყირიმის ომის დროს ინგლისისა და საფრანგეთის საჰაერო ძალების მიერ.

გვ. 9,27-28. „Карс падал под ударами ничем непоколебимаго Кавказскаго Корпуса“ – იგულისხმება 1855 წლის 16 ნოემბერს ქალაქ ყარსის (ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზე) აღება რუსეთის ჯარების კავკასიის კორპუსის მიერ.

გვ. 9,33. „Варинка и семейство К: Чавчавадзе“ – საუბარია გრიგოლის რძალ ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანისაზე და დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძის ცოლ-შვილზე, რომლებიც 1854 წლის 4 ივლისიდან 1855 წლის 10 მარტამდე შამილის ტყვეობაში იმყოფებოდნენ.

გვ. 10,2. „у Бабале Сагиновой“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილზე – ბარბარე სამარაგდონის ასულ ორბელიან-საგინაშვილისაზე.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №29 (405) (გვ. 12)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №554, გვ. 42r, 43v.

თარიღი და ადგილი: „25 იანვ: 1856 იშკარტი.“

ხელმოწერა: „შენი ბედნიერების მოსურნე გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ბურიენო, ბატონო დიმიტრი!“

ავტოგრაფის აღწერილობა: შუაზე გადაკეცილი, გაცრეცილი, გახუნებული, გაყვითლებული, დალაქავებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის ქაღალდი; ზომები: გადაუკეცავისა: 41,2X32,8 სმ; გადაკეცილისა: 32,8X20,6 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომლითაც გაჟღენთილია ფურცლები; ხელნაწერი ადგილ-ადგილ ამოხეულია; 43v გვერდზე ირიბად მისამართი წერია რუსულად, აქვე ფანქრით მიწერილი აქვს თარიღი „1856“; ამავე გვერდზე შენარჩუნებულია დიდი წითელი ლუქის ორი ანაბეჭდი.

ადრესატის მისამართი: „Его Сіятельству, Князю Дмитрію Давидовичу, Джорджадзе. В Шуру.“

შენიშვნები: 1. ღვთისათა; 2. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 3. ღმერთი; 4-5. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ. 157.

გვ. 12,1. „ჩემო ბურიენო, ბატონო დიმიტრი!“ – წერილის ადრესატია 1854-1857 წლებში გრიგოლ ორბელიანის მდივანი დიმიტრი დავითის ძე ჯორჯაძე, რომელსაც გრიგოლ ორბელიანი ხუმრობით ნაპოლეონ ბონაპარტის მდივნის, ფრანგი პოლიტიკური მოღვაწის, ლუი ანტუან დე ბურიენის, სახელს ეძახდა.

გვ. 12,2-3. „მოველ მშვიდობიანად იშკარტას“ – ყუმბითა ამ სოფელში, რომელიც თემირხანშურასთან მდებარეობდა, განლაგებული იყო დაღესტნის ქვეითი პოლკის შტაბბინა.

გვ. 12,11. „გადავალ ჩირიურთსა“ – საუბარია დაღესტნის სოფელზე.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №30 (406) (გვ. 13-14)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №555, გვ.: 44r-v, 45r-v.
თარიღი და ადგილი: „26 Генв: 1856. Чир-Юрт.“

ხელმოწერა: „შენი ბედნიერების მოსურნე გრიგოლ ორბელიანი“
ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ბურიენო, ბატონო დიმიტრი!“

ავტოგრაფის აღწერილობა: შუაზე გადაკეცილი, გაცრეცილი, გახუნებული, გაყვითლებული, დალაქავებული, საშუალო სისქის ქაღალდი; ზომები: გადაუკეცავისა: 27,5X21,2 სმ; გადაკეცილისა: 21,2X13,7 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომლითაც დასვრილი და გაჟღენთილია ფურცლები.

ადრესატის მისამართი: წერილში არ ჩანს ადრესატის ადგილსამყოფელი, მაგრამ 25 იანვარს მასთან გაგზავნილი ბარათიდან ვიგებთ, რომ იგი იმყოფებოდა თემირხანშურაში. ასევე 30 სექტემბერს დიმიტრისადმი გაგზავნილი წერილიდანაც ცხადი ხდება, რომ ადრესატს ადგილსამყოფელი არ შეუცვლია. აღნიშნულის გათვალისწინებით, საანალიზო წერილიც, სავარაუდოდ, **თემირხანშურაში** უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. ღვთით; 2. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განწერელის რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ. 158.

გვ. 13,1. „**ჩემო ბურიენო**“ – გრიგოლ ორბელიანი დიმიტრი ჯორჯაძეს ხუმრობით უწოდებს ნაპოლეონ ბონაპარტის მდივნის სახელს.

გვ. 13,18. „**პაკატილოვმა დაჰპატიჟა**“ – საუბარია ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის ოფიცერ პოკატილოვზე.

გვ. 13,18-19. „**ლევინი, რადეცკი, ლაგორიო**“ – საუბარია კავკასიის სამხედრო კორპუსის საარტილერიო ბატარეის მეთაურ ლევ თევდორეს ძე ლევინზე, 1858-1861 წლებში დაღესტნის 82-ე ქვეითი პოლკის მეთაურ თეოდორე თეოდორეს ძე რადეცკისა და ოფიცერ კარლ ფელიქსის ძე ლაგორიოზე.

გვ. 13,22. „**ხვალვე გავემგზავრები ყიზიურთისკენ**“ – სავარაუდოდ, საუბარია დაღესტნის ციხე-სიმაგრე ყაზიურთზე.

ქეთევან ორბელიანისადმი №83 (407) (გვ. 14-15)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №341, გვ.: 114r-v.

თარიღი და ადგილი: „3^ს თებერვალს 1856. თემირხანშურით.“

ხელმოწერა: „შენი მარადის ერთგული გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან!“

ავტოგრაფის აღწერილობა: შუაზე გადაკეცილი, გაცრეცილი, მოყვითალო ფერის, თხელი ქაღალდი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,2X21,7 სმ; გადაკეცილისა: 21,7X13,2 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გაჟღენთილია გვერდებში. III გვერდზე მთლიანად გადასულია II გვერდის ნაწერი.

ადრესატის მისამართი: ქეთევან ალექსი-მესხიშვილი-ორბელიანისა თბილისში ცხოვრობდა. წერილში გრიგოლი მოიკითხავს იქ მცხოვრებ ახლო ნათესავებს, რაც ადასტურებს, რომ ბარათი გაგზავნილია თბილისში.

შენიშვნები: 1. ღმერთსა; 2. ღვთისადმი; 3. „მ“ ასომთავრულით წერია; 4. სიტყვა საზგასმულია ავტორის მიერ; 5. ეს სიტყვა ჩამატებულია; 6. სიტყვა საზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განწერელის რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ. 159.

გვ. 14,28. „სანდროს გვამის გადმოტანა“ – ალექსანდრე ზაქარიას ძე ორბელიანი პეტერბურგში გარდაიცვალა.

გვ. 14,31. „ბუტკოვს უთქვამს“ – შესაძლოა, იგულისხმებოდეს რუსი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, პეტერბურგის აკადემიის აკადემიკოსი, სენატორი და საიდუმლო მრჩეველი პეტრე გრიგოლის ძე ბუტკოვი.

გვ. 14,31-15,1. „ძალუა ვარინკასათვს“ – საუბარია გრიგოლ ორბელიანის მეორე რძალზე – ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანისაზე.

გვ. 15,3. „უმჯობესია მამათქვენსა ჰკითხოთ რჩევა“ – ქეთევანის მამა – დიმიტრი სოლომონის ძე ალექსი-მესხიშვილი – იყო სასულიერო პირი – ანჩისხატის ტაძრის დეკანოზი.

გვ. 15,15. „ჩემს საყუარელს დისწულს ბაბალეს სიყუარულით ვაკოცებ“ – საუბარია ბარბარე მელიტონის ასულ ბარათაშვილზე.

ყაფლან ორბელიანისადმი №8 (408) (გვ. 15-16)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №391, გვ.: 9r-v.

თარიღი და ადგილი: „10 თებერ: 1856. თემირხანშურით.“

ხელმოწერა: „შენი ძმა გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო ძმაო ყაფლან!“

ავტოგრაფის აღწერილობა: შუაზე გადაკეცილი, გაცრეცილი, გაყვითლებული, დალაქავებული, თხელი ქალაღი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,4X21,6 სმ; გადაკეცილისა: 21,6X13,2 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გაჟღენთილია გვერდებში.

ადრესატის მისამართი: წერილის შინაარსიდან ირკვევა, რომ ყაფლანს თბილისში სახლი გაუმართავს. გრიგოლი მას სოფელში ცხოვრებისკენ მოუწოდებს: „მანდა წყეულს ქალაქშიკი ხარჯისა და ვალის მეტი, დამიჯერე, არა იქნებარა. – რაცა მამაჩვენებმა იპოვნეს თბილისში, იმას ჩვენ ვიპოვნით.“ ამრიგად, ადრესატი წერილის დაწერის დროს იმყოფებოდა **თბილისში**.

შენიშვნები: 1. ღეთის; 2-3. ამ ადგილებში მელანი აფხეკილია; 4. აქედან ტექსტის ბოლომდე აფხეკილია მელანი; 5. ღმერთი; 6. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განწერელის რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 159-160.

გვ. 15,16. „ჩემო საყუარელო ძმაო ყაფლან!“ – წერილის ადრესატია გრიგოლის ბიძაშვილი ყაფლან ასლანის ძე ორბელიანი.

გვ. 15,20. „ჩვენს უბედურს ძალუა ქეთევანს“ – საუბარია გრიგოლის რძალზე – ქეთევან დიმიტრის ასულ ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისაზე.

გვ. 15,21. „უბედურება და ვაება ზედი-ზედ მოგვდის“ – ამ დროისათვის გრიგოლს გარდაცვლილი ჰყავდა სამივე დედმამიშვილი: და – ეფემია, ძმები – ზაქარია და ილია, დისწული – ნიკოლოზ ბარათაშვილი და ძმისწული – ალექსანდრე ორბელიანი.

გვ. 15,27. „შენი ცოლი და შვილები ჩამიკოცნე“ – ყაფლანს 1840 წლიდან ცოლად ჰყავდა ელისაბედ ივანეს ასული ბარათაშვილი, პირველი ცოლისგან ჰყავდა ორი ქალიშვილი – ელენე და ნინო და მეორისგან – ვაჟი დავითი.

გვ. 16,17. „**რაცა მამაჩვენებმა იპოვნეს თბილისში**“ – ყაფლანისა და გრიგოლის მამები – ასლანი და ზურაბი (დიმიტრი) ძმები იყვნენ – ნიკოლოზ რევაზის ძე ორბელიანის შვილები.

ქეთევან ორბელიანისადმი №84 (409) (გვ. 16-17)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №342, გვ.: 115r-v, 116r.

თარიღი და ადგილი: „1^ა მარტს 1856 თემირხანშურით.“

ხელმოწერა: „გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან!“

ავტოგრაფის აღწერილობა: შუაზე გადაკეცილი, გაცრეცილი, გაყვითლებული, თხელი ქაღალდი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,3X21,8 სმ; გადაკეცილისა: 21,8X13,2 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გაჟღენთილია გვერდებში; 116r გვერდზე მთლიანად გადასულია 115v გვერდის ნაწერი.

ადრესატის მისამართი: ქეთევან ალექსი-მესხიშვილი-ორბელიანისა თბილისში ცხოვრობდა. წერილში გრიგოლი მოიკითხავს იქ მცხოვრებ ახლო ნათესაებს, რაც ადასტურებს, რომ ბარათი გაგზავნილია **თბილისში**.

შენიშვნები: 1. ღმერთმან; 2. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 160-161.

გვ. 16,13-14. „**ბაიყუშის შამხლის გამო, რომელსაცა აუბუნტა და ხალხი**“ – საუბარია თარკოს შამხალ აბუ-მუსლიმ-ხანზე.

გვ. 16,16-17. „**მიუტეოთ დანაშაულობა ჯოხაძესა**“ – საუბარია ორბელიანების ნაყმევზე, რომელიც მათთან მსახურობდა.

გვ. 16,19-20. „**ბიძია ალექსანდრე მწერს**“ – სავარაუდოდ, საუბარია ალექსანდრე (თორნიკე) იესეს ძე ქსნის ერისთავზე.

გვ. 16,24. „**გიგზავნით ჩემის პენსიის პოვერობასა**“ – საუბარია მინდობილობაზე, რომლითაც უნდა აეღოთ გრიგოლის პენსია.

გვ. 16,25. „**მომიკითხეთ იაკინთე**“ – საუბარია ქეთევანის ძმაზე – იაკინთე დიმიტრის ძე ალექსი-მესხიშვილზე.

გვ. 16,27. „მამათქვენს მარჯვენეს ვეამბორები“ – საუბარია მღვდელ დიმიტრი სოლომონის ძე ალექსი-მესხიშვილზე.

გვ. 16,27-28. „სარდიონ სიყუარულით მომიკითხეთ“ – საუბარია ქეთევანის ძმაზე – სარდიონ დიმიტრის ძე ალექსი-მესხიშვილზე.

გვ. 16,29. „ბაბაღე ჩამიკოცნეთ“ – საუბარია ბარბარე მელიტონის ასულ ბარათაშვილზე.

გვ. 17,1. „ყაფლან დაბრუნდა რევაზის ქორწილიდამ“ – შესაძლოა, საუბარი იყოს გრიგოლის გარდაცვლილი დისნულის, ეკატერინე მელიტონის ასული ბარათაშვილის, ქმრის, რევაზ ლუარსაბის ძე ერისთავის, მეორე ქორწინებაზე. 1856 წლის 12 თებერვალს მან ცოლად მოიყვანა მართა ნიკოლოზის ასული ბაგრატიონ-მუხრანელი, მაგრამ იმავე წლის იმავე თვეში, მაგრამ 18 რიცხვში, იყო ორბელიანებისათვის ასევე ძალიან ახლობლის, პოლკოვნიკ რევაზ შალვას ძე ერისთავისა და ნინო ესტატეს ასული ერისთავის ქორწილიც, რომელსაც ასევე ვერ გამოვრიცხავთ.

გვ. 17,7-8. „დიმიტრის ჯორჯაძეს წყალობითა პოვერნობის წერილი დღეის ფოშტას ველარ მოესწრო“ – როგორც ჩანს, იგულისხმება ის, რომ გრიგოლის მდივანმა – დიმიტრი დავითის ძე ჯორჯაძემ – მინდობილობის წერილის გაგზავნა დააგვიანა.

ქეთევან ორბელიანისადმი №85 (410) (გვ. 17)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №343, გვ.: 117r-v.

თარიღი და ადგილი: „16^ს მარტსა 1856. თემირხანშურით.“

ხელმოწერა: „თქუენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო ძალუავე ქეთევან!“

ავტოგრაფის აღწერილობა: შუაზე გადაკეცილი, გაცრეცილი, მოყვითალო ფერის, თხელი ქაღალდი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,4X21,7 სმ; გადაკეცილისა: 21,7X13,2 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გაყლენთილია გვერდებში.

ადრესატის მისამართი: ქეთევან ალექსი-მესხიშვილი-ორბელიანისა თბილისში ცხოვრობდა. წერილში გრიგოლი მოიკითხავს იქ მცხოვრებ ახლო ნათესავეებს, რაც ადასტურებს, რომ ბარათი გაგზავნილია თბილისში.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამოცემლობა, 1937, გვ. 161.

გვ. 17,12. „**დიმიტრიც სრულებით გამოაყრუვა**“ – იგულისხმება გრიგოლის მდივანი დიმიტრი დავითის ძე ჯორჯაძე.

გვ. 17,15-16. „**მითომ მთავარმართებელი ნაბძანებულის სტავროპოლს**“ – საუბარია კავკასიის იმდროინდელ მთავარმართებელზე – ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მურავიოვ-ყარსკიზე.

გვ. 17,21. „**ბაბაღე ჩამიკოცნეთ**“ – საუბარია ბარბარე მელიტონის ასულ ბარათაშვილზე.

გვ. 17,21. „**ყაფლან, ჩემი საყუარელი ძმა**“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილზე – ყაფლან ასლანის ძე ორბელიანზე.

ქეთევან ორბელიანისადმი №86 (411) (გვ. 18)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №344, გვ.: 118r-v, 119r.

თარიღი და ადგილი: „23^ა მარტს 1856. თემირხანშურით.“

ხელმოწერა: „თქუენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო ძალუაჲ ქეთევან!“

ავტოგრაფის აღწერილობა: შუაზე გადაკეცილი, გაცრეცილი, გაყვითლებული, დალაქავებული თხელი ქალაღი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,3X21,6 სმ; გადაკეცილისა: 21,6X13,2 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გაჟღენთილია გვერდებში; 119v გვერდზე მთლიანად გადასულია 119r გვერდის ნაწერი.

ადრესატის მისამართი: ქეთევან ალექსი-მესხიშვილი-ორბელიანისა თბილისში ცხოვრობდა. წერილში გრიგოლი მოიკითხავს იქ მცხოვრებ ახლო ნათესავებს, რაც ადასტურებს, რომ ბარათი გაგზავნილია თბილისში.

შენიშვნები: 1. ღმერთსა; 2-3. სიტყვები ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამოცემლობა, 1937, გვ. 162.

გვ. 18,2. „**შენი წერილი და ყაფლანისა**“ – საუბარია გრიგო-

ლის ბიძაშვილზე – ყაფლან ასლანის ძე ორბელიანზე.

გვ. 18,7-8. „**კნიაზს დიმიტრის კიდევ ერთი, დამავიწყდა, მოუვიდა**“ – იგულისხმება გრიგოლის მდივანი დიმიტრი დავითის ძე ჯორჯაძე.

გვ. 18,11-12. „**ბიძია ალექსანდრეს ძალიან ეწყინება**“ – სავარაუდოდ, საუბარია ალექსანდრე (თორნიკე) იესეს ძე ქსნის ერისთავზე.

გვ. 18,13. „**ჩვენი კიკო ჰსწავლობს თურმე ქორტოპიანსა**“ – სავარაუდოდ, საუბარია პოლკოვნიკ ნიკოლოზ (კიკო) თადეოზის ძე ჩოლოყაშვილზე.

გვ. 18,22. „**შენის ძმის პლატონის დაქორწინება**“ – საუბარია პლატონ დიმიტრის ძე ალექსი-მესხიშვილზე.

გვ. 18,24. „**იაკინთე და სარდიონ სიყუარულით მომიკითხე**“ – საუბარია ადრესატის ძმებზე – იაკინთე და სარდიონ დიმიტრის ძე ალექსი-მესხიშვილებზე.

ყაფლან ორბელიანისადმი №9 (412) (გვ. 19)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №392, გვ.: 10r-v, 11r-v.
თარიღი და ადგილი: „23^ს მარტს 1856 შურით.“

ხელმოწერა: „შენი ძმა გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „...ჩემო საყუარელო ძმაო ყაფლან!“

ავტოგრაფის აღწერილობა: შუაზე გადაკეცილი, გაცრეცილი, გაყვითლებული, დალაქავებული, თხელი ქაღალდი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,3X21,5 სმ; გადაკეცილისა: 21,5X13,1 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომლითაც დასვრილი და გაჟღენთილია გვერდები. 11v გვერდზე ნითელი ლაქაა.

ადრესატის მისამართი: ადრესატი **თბილისში** ცხოვრობდა, წერილიც, სავარაუდოდ, იქ უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. ღმერთი; 3. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განწერელის რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 162-163.

გვ. 19,7. „**კიკოს ქორტოპიანზედ დაკვრის ჰსწავლასა მწერ**“

– სავარაუდოდ, საუბარია პოლკოვნიკ ნიკოლოზ (კიკო) თადეოზის ძე ჩოლოყაშვილზე.

გვ. 19,14. „**შენი შვილი ჰსწავლობს სპარსულსა**“ – სავარაუდოდ, იგულისხმება ყაფლანის ვაჟი დავითი, რომელიც იმ დროს 11 წლისა იყო.

გვ. 19,15-16. „**ყარაბაღელი მირზა ჰუსუფი ჩემთანა არის**“ – იგულისხმება მირზა ვექილოვი (იგივე მირზა უსუფა ხუდად ვექილოვი) – მეხთულის სახანოს თარჯიმანი და გრიგოლ ორბელიანის მდივანი.

გვ. 19,17. „**ნადირშაჰი დამ აქამომდის**“ – იგულისხმება ყიზილბაშური აფშართა ტომის დინასტიის ფუძემდებელი – თამაზ I ყული-ხანი, სპარსეთის შაჰი 1736-1747 წლებში.

გვ. 19,19. „**მოგართმევ ფეშქაშად მთლად ვალუფის ლექსებსა**“ – უნდა იგულისხმებოდეს მე-18 საუკუნის აზერბაიჯანელი სახელმწიფო მოღვაწისა და პოეტის – მოლა პანაჰ ვალიფის (ვაგიფი) – ლექსები.

გვ. 19,21. „**ძალუა და შენი შვილები ჩამიკოცნე**“ – იგულისხმება ყაფლანის ცოლი ელისაბედ ივანეს ასული და შვილები – ელენე, ნინო და დავითი.

გვ. 19,21-22. „**სოფიოს გულითადს პატივისცემას მოვახსენებ**“ – შესაძლოა, იგულისხმებოდეს გრიგოლ ორბელიანის ყოფილი დანიშნული – სოფიო ყაფლანის (ივანეს) ასული ორბელიანი-ბეზაკისა. სხვა სოფიოებს, ბიძაშვილებსა და რძლებს, იგი უფრო შინაურულ მოკითხვას უთვლის ხოლმე.

გვ. 19,30-31. „**შეატყობინებ იძია ლექსანდრეს**“ – სავარაუდოდ, საუბარია ალექსანდრე (თორნიკე) იესეს ძე ქსნის ერისთავზე.

ქეთევან ორბელიანისადმი №87 (413) (გვ. 20)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №345, გვ.: 120r-v.

თარიღი და ადგილი: „20 აპრილს 1856. თემირხანშურით.“

ხელმოწერა: „თქუენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან!“

ავტოგრაფის აღწერილობა: შუაზე გადაკეცილი, გაცრეცილი, გაყვითლებული, დალაქავებული, თხელი ქაღალდი; ზომები: გადაუ-

კეცავისა: 26,4X21,6 სმ; გადაკეცილისა: 21,6X13,2 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გაჟღენთილია გვერდებში; 121r გვერდზე გადასულია 120v გვერდის ნაწერი.

ადრესატის მისამართი: ქეთევან ალექსი-მესხიშვილი-ორბელიანისა თბილისში ცხოვრობდა. წერილში გრიგოლი მოიკითხავს იქ მცხოვრებ ახლო ნათესავეებს, რაც ადასტურებს, რომ ბარათი გაგზავნილია **თბილისში**.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 163-164.

გვ. 20,7. „**შერიგების ამბავი მოგვივიდა**“ – სავარაუდოდ, იგულისხმება 1856 წლის 30 მარტს პარიზში დადებული საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც დასრულდა ყირიმის ომი.

გვ. 20,7-8. „**მგონია მთავარმართებელმა აქეთ გამომიაროს**“ – საუბარია კავკასიის იმდროინდელ მთავარმართებელზე – ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მურავიოვ-ყარსკიზე.

გვ. 20,11. „**ჩემი საყუარელი ყაფლან**“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილზე – ყაფლან ასლანის ძე ორბელიანზე.

გვ. 20,12. „**ბაბალეს ჩავკოცნი**“ – საუბარია გრიგოლის დისწულ ბარბარე მელიტონის ასულ ბარათაშვილზე.

გვ. 20,13. „**სად არიან ძალუა ნინო, თამარ, ბაბალე, კატო**“ – საუბარია გრიგოლის ბიძის, იაკობის, ცოლზე – ნინო მაცაშვილ-ორბელიანისაზე და ქალიშვილებზე: თამარ ორბელიან-სანკოვსკისაზე, ბარბარე ორბელიან-ოპოჩინინისაზე და ეკატერინე ორბელიან-ივანოვისაზე.

გვ. 20,15. „**იაკინთე და სარდიონ სიყუარულით მომიკითხე**“ – საუბარია ქეთევანის ძმებზე – იაკინთე და სარდიონ დიმიტრის ძე ალექსი-მესხიშვილებზე.

ქეთევან ორბელიანისადმი №88 (414) (გვ. 20-21)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №346, გვ.: 121r-v, 122r.

თარიღი და ადგილი: „8^ა მაისს 1856. შურით.“

ხელმოწერა: „თქუენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან!“

ავტოგრაფის აღწერილობა: შუაზე გადაკეცილი, თეთრი ფერის, თხელი ქაღალდი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,6X20,8 სმ; გადაკეცილისა: 20,8X13,3 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გაჟღენთილია გვერდებში; 122v გვერდზე წითელი ლუქის ნარჩენია და ფურცელი ამ ადგილას ოდნავ ამოხეულია.

ადრესატის მისამართი: ქეთევან ალექსი-მესხიშვილი-ორბელიანისა თბილისში ცხოვრობდა. წერილში გრიგოლი მოიკითხავს იქ მცხოვრებ ახლო ნათესავებს, რაც ადასტურებს, რომ ბარათი გაგზავნილია **თბილისში**.

შენიშვნები: 1. ღვთის; 2. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ. 164.

გვ. 20,25-21,1. „**ამ ლექებსა გამოუყენე კნიაზი ბაგრატიონი**“ – საუბარია ჭარ-ბელაქნის ოლქის მიმართველის თანაშემწესა და ლეიბ-გვარდიის ცხენოსანთა პოლკის მეთაურზე, გენერალ-მაიორ გრიგოლ ივანეს ძე ბაგრატიონზე.

გვ. 21,1. „**ამან ჰსდია გიმრამდის**“ – საუბარია დალესტნის სოფელზე, რომელიც მდებარეობს მდ. ხუნძეთის ყოისუს მარჯვენა სანაპიროზე, ღრმა ხეობაში.

გვ. 21,9. „**მთავარმართებელსა მოველით**“ – საუბარია კავკასიის იმდროინდელ მთავარმართებელზე – ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მურავიოვ-ყარსკიზე.

გვ. 21,11. „**ბაბალე ჩამიკოცნეთ**“ – საუბარია გრიგოლის დინულ ბარბარე მელიტონის ასულ ბარათაშვილზე.

გვ. 21,11-12. „**ჩემი საყუარელი ყაფლან მისის ქულქათით სიყუარულით**“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ყაფლან ასლანის ძე ორბელიანსა და მის ოჯახზე.

ქეთევან ორბელიანისადმი №89 (415) (გვ. 21-22)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №347, გვ.: 123r-v.

თარიღი და ადგილი: „18^ა მაისს 1856. თემირხანშურით.“

ხელმოწერა: „თქუენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „...ჩემო უსაყუარლესო ძალუ-
ავ ქეთევან“

ავტოგრაფის აღწერილობა: თეთრი ფერის, თხელი ქაღალდი; ზო-
მა: 20,7X13,3 სმ; შესრულებულია შავი მელნით, რომელიც გა-
ჟღენთილია ფურცელში.

ადრესატის მისამართი: ქეთევან ალექსი-მესხიშვილი-ორბელიანისა
თბილისში ცხოვრობდა. წერილში გრიგოლი მოიკითხავს იქ მც-
ხოვრებ ახლო ნათესავებს, რაც ადასტურებს, რომ ბარათი გაგ-
ზავნილია **თბილისში**.

შენიშვნები: 1. ღმერთი; 2. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მე-
ორე, 1851-1859, აკაკი განწერელის რედაქციით და შენიშვნებით,
სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ. 165.

გვ. 21,22. **„შურიდამ ქუთიშის მთაზედ“** – საუბარია იმდროინ-
დელ ციხესიმაგრე თემირხანშურაზე (ამჟამად ქალაქი ბუინაქსკი)
და დაღესტნის ქუთიშის მთაზე.

გვ. 21,26. **„მთავარმართველისა აქ მოსვლისათჳს“** – საუბა-
რია კავკასიის იმდროინდელ მთავარმართველზე – ნიკოლოზ
ნიკოლოზის ძე მურავიოვ-ყარსკიზე.

გვ. 21,27. **„ამბობენ, პირდაპირ ქალაქს მიბძანდებო“** – სავა-
რაუდოდ, იგულისხმება ქალაქი თბილისი.

გვ. 22,4. **„ჩემი დისწული ბაბაღე“** – საუბარია ბარბარე მე-
ლიტონის ასულ ბარათაშვილზე.

გვ. 22,4-5. **„ყაფლან როგორ არის თავის ცოლშვილით“** –
საუბარია გრიგოლის ბიძაშვილზე – ყაფლან ასლანის ძე ორბე-
ლიანზე, მის მეუღლე ელისაბედ ივანეს ასულ ბარათაშვილსა და
შვილებზე: ელენეზე, ნინოსა და დავითზე.

გვ. 22,7. **„ძალუა ნინოს სიყუარულით მოვიკითხავ“** – საუბა-
რია გრიგოლის ბიძის, იაკობის, ცოლზე – ნინო მაყაშვილ-ორბე-
ლიანისაზე.

გვ. 22,7-8. **„ბაბაღე ანანურიდამ ხომ არ ჩამოსულა“** – სავა-
რაუდოდ, იგულისხმება გრიგოლის ბიძის, სამარაგდონ ორბელია-
ნის, ქალიშვილი ბარბარე, რადგან გრიგოლი ანანურს მის „სატა-
ხტო ქალაქად“ მოიხსენიებს ხოლმე.

გვ. 22,9. **„სარდიონ და იაკინთე სიყუარულით მომიკითხე“** –
საუბარია ქეთევანის ძმებზე – სარდიონ და იაკინთე დიმიტრის ძე
ალექსი-მესხიშვილებზე.

ალექსანდრე საგინაშვილისადმი №2 (416) (გვ. 22-23)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №415, გვ.: 7r-v, 8r.

თარიღი და ადგილი: „1^ა ივნისის 1856 თემირხანშურით“

ხელმოწერა: „შენი ბედნიერების მოსურნე გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო ძმაო ალექსანდრე!“

ავტოგრაფის აღწერილობა: შუაზე გადაკეცილი, თეთრი ფერის, თხელი ქალაღი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,5X20,7 სმ; გადაკეცილისა: 20,7X13,4 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გაჟღენთილია გვერდებში.

ადრესატის მისამართი: ქეთევან ორბელიანისადმი 18 მაისს მიწერილი ბარათიდან ვიგებთ, რომ ალექსანდრეს მეუღლე ბაბაღე იმყოფებოდა ანანურში: „ბაბაღე ანანურიდამ ხომ არ ჩამოსულა.“ წინამდებარე წერილში გრიგოლი ალექსანდრეს თბილისში ჩასვლას სთხოვს, რაც ადასტურებს, რომ ადრესატი თბილისში არ იმყოფებოდა: „ახლა შენც, ჩემო ალექსანდრე, უნდა ჩაირბინო თბილისში და მიართო არზა კნ: ბებუთოვსა.“ აღნიშნულის გათვალისწინებით, ბარათი **ანანურში** უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. სიტყვა ჩამატებულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 165-166.

გვ. 22,14. „**ჩემო საყუარელო ძმაო ალექსანდრე!**“ – წერილის ადრესატია გრიგოლის ბიძის, სამარაგდონ ორბელიანის, ქალიშვილის, ბაბაღეს, ქმარი ალექსანდრე დიმიტრის ძე საგინაშვილი.

გვ. 22,14-15. „**მომივიდა ძალუა ქეთევანის წერილი**“ – საუბარია გრიგოლის ძმის, ზაქარიას, მეუღლე ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისაზე.

გვ. 22,15-16. „**ზემღემერები ჰზომენ ჩვენს მამულებსა ალექსანდრეს ვალისათვს**“ – სავარაუდოდ, საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილ ალექსანდრე გიორგის ძე ორბელიანზე. მისი ვალები სხვა წერილებშიც არის ნახსენები.

გვ. 22,16-17. „**ალექსანდრეს ვალისათვს პასუხის გამცემნი არიან სხუანი**“ – როგორც სხვა წერილებიდან ჩანს, შესაძლოა, იგულისხმებოდეს გრიგოლის ბიძის, იაკობის, მემკვიდრეები.

გვ. 23,1-2. „ამას ეხლავე ვჰსნერ კნიაზს ვასილი ოსებჩისა“ – საუბარია გენერალ ვასილ იოსების ძე ბებუთაშვილზე, რომელიც 1854 წლიდან განაგებდა გუბერნიის სამოქალაქო საქმეებს.

გვ. 23,5-6. „არზა... მიაართმევიწო ძალუა ვარინკასაცა“ – საუბარია გრიგოლის ძმის, ილიას, მეუღლეზე – ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანისაზე.

გვ. 23,11. „ჩემს საყუარელს დას და დედას – ბაბაღეს“ – იგულისხმება ადრესატის მეუღლე, გრიგოლის ბიძაშვილი ბარბარე სამარაგდონის ასული ორბელიანი-საგინაშვილისა.

გვ. 23,12. „ჩემს საკუთარს ძალუას ელისაბედს“ – იგულისხმება გრიგოლის ბიძის, სამარაგდონ ორბელიანის, მეუღლე ელისაბედ სოლომონის ასული ავალიშვილი.

ქეთევან ორბელიანისადმი №90 (417) (გვ. 23)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №348, გვ.: 124r.

თარიღი და ადგილი: „12^ს ივნისს 1856. შურით.“

ხელმოწერა: „თქუენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან!“

ავტოგრაფის აღწერილობა: შუაზე გადაკეცილი, გაყვითლებული, თხელი ქალაღი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,9X20,9 სმ; გადაკეცილისა: 20,9X13,5 სმ; შესრულებულია შავი მეღნით, რომლითაც ალაგ-ალაგ დასვრილია ხელნაწერი; მეორე ფურცელს ქვემოთ, ორ ადგილას, გვერდები შემოხეული აქვს.

ადრესატის მისამართი: ქეთევან ალექსი-მესხიშვილი-ორბელიანისა თბილისში ცხოვრობდა. წერილში გრიგოლი მოიკითხავს იქ მცხოვრებ ახლო ნათესავებს, რაც ადასტურებს, რომ ბარათი გაგზავნილია თბილისში.

შენიშვნები: 1. ღვთით; 2. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განწერელის რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ. 166.

გვ. 23,19. „წერილს მოგართმევს სოლომონ ყორღანოვი“ – სავარაუდოდ, საუბარია ყირიმის ომის მონაწილე თბილისელ გენერალ-მაიორ სოლომონ ივანეს ძე ყორღანაშვილზე, რომელიც

მოგვიანებით (1859 წელს) ლეკეთის სასაზღვრო ხაზის მარცხენა ფლანგის მეთაურად დაინიშნა.

გვ. 23,23. „საითაც გამოჩნდება შამილა“ – საუბარია ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამზე.

გვ. 23,24. „ბაბაღე ჩამიკოცნეთ“ – საუბარია გრიგოლის დისწულ ბარბარე მელიტონის ასულ ბარათაშვილზე.

გვ. 23,24. „ყაფლანის ქულქათი მომიკითხეთ“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილზე – ყაფლან ასლანის ძე ორბელიანსა და მის ოჯახზე.

გვ. 23,24-25. „მომიკითხეთ... ძალუა ნინა სიყუარულითა“ – საუბარია გრიგოლის ბიძის, იაკობის, ცოლზე – ნინო მაცაშვილ-ორბელიანისაზე.

ქეთევან ორბელიანისადმი №91 (418) (გვ. 24-25)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №349, გვ.: 125r-v, 126r.

თარიღი და ადგილი: „ნ^ა ივლისს 1856. თემირხანშურ[ით].“

ხელმოწერა: „თქუენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან!“

ავტოგრაფის აღწერილობა: შუაზე გადაკეცილი, გაყვითლებული, დალაქავებული, საშუალო სისქის ქაღალდი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,6X21,4 სმ; გადაკეცილისა: 21,4X13,2 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომლითაც ალაგ-ალაგ დასვრილია ხელნაწერი და გაყდენთილია ფურცლები.

ადრესატის მისამართი: ქეთევან ალექსი-მესხიშვილი-ორბელიანისა თბილისში ცხოვრობდა. წერილში გრიგოლი მოიკითხავს იქ მცხოვრებ ახლო ნათესავეებს, რაც ადასტურებს, რომ ბარათი გაგზავნილია თბილისში.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ. 167.

გვ. 24,2-3 „ალექსანდრეს ვალებისათვის დიდხანია რა მოვჰსწერე“ – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილ ალექსანდრე

გიორგის ძე ორბელიანზე, რომლის ვალებზეც ალექსანდრე საგინაშვილისადმი 1856 წლის 1 ივნისის წერილშიც არის საუბარი.

გვ. 24,3. **„მოვჰსწერე კნიაზს ბებუთოვსა“** – საუბარია გენერალ ვასილ იოსების ძე ბებუთაშვილზე, რომელიც 1854 წლიდან განაგებდა გუბერნიის სამოქალაქო საქმეებს.

გვ. 24,5. **„ერისთვიანთ მამულებისათჳს“** – სავარაუდოდ, საუბარია ერისთავებისა და ორბელიანების სადავო მამულებზე.

გვ. 24,6-7. **„დავალებულნი ჩვენის ბიძაშვილისგან ალექსანდრე მარშლისა“** – სავარაუდოდ, იგულისხმება 1856-1864 წლებში თბილისის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლი ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანი, გრიგოლის გარე ბიძაშვილის, დავით იოანეს ძე ორბელიანისა, და მანანა მირმანოვის ასული ერისთავ-ორბელიანის ვაჟი.

გვ. 24,16. **„დავით აბაში ჯერ არ მინახავს“** – როგორც ამავე წლის 2 აგვისტოს წერილიდან ჩანს, გრიგოლ ორბელიანისა და მისი რძლის, ქეთევანის, ერთ-ერთი საერთო ნაცნობი იყო ივანე აბაშიძე, რომელსაც გრიგოლი თავის წერილებში ახსენებს. შესაძლოა, აქ საუბარი იყოს ივანე გიორგის ძე აბაშიძის ვაჟზე – დავითზე (1830-1892).

გვ. 24,21-22. **„დეპუტატების გაგზავნისაგან მოსკოვში“** – 1856 წლის აგვისტოში მოსკოვში უნდა ჩატარებულიყო იმპერატორ ალექსანდრე II-ის კორონაცია და მან მოისურვა, რომ 1826 წლის მსგავსად, მის მირონცხებას დასწრებოდნენ კავკასიისა და ამიერკავკასიის მხარის დეპუტატები.

გვ. 24,24. **„იაკინთე და სარდიონ სიყუარულით მომიკითხეთ“** – საუბარია ქეთევანის ძმებზე – იაკინთე და სარდიონ დიმიტრის ძე ალექსი-მესხიშვილებზე.

გვ. 24,28-25,1. **„ალექსანდრე საგინოვმა რა ჰქნა მამულების გაზომისაგამო?“** – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილის, ბარბარე სამარაგდონის ასული საგინაშვილის, მეუღლე ალექსანდრე დიმიტრის ძე საგინაშვილზე და ორბელიანების მამულებზე, რომლებსაც დაკარგვის საფრთხე ემუქრებოდა.

გვ. 25,1. **„მოვსწერე, რომ კნიაზს ბებუთოვსა ჰსთხოვოს“** – საუბარია გენერალ ვასილ იოსების ძე ბებუთაშვილზე, რომელიც 1854 წლიდან განაგებდა გუბერნიის სამოქალაქო საქმეებს.

გვ. 25,3. **„საყუარელს ბაბაღეს ჩავკოცნი“** – საუბარია გრიგოლის დისწულ ბარბარე მელიტონის ასულ ბარათაშვილზე.

გვ. 25,4. „ძალუას ნინას სიყუარულით მოკითხვას მოვახსენებ“ – საუბარია გრიგოლის ბიძის, იაკობის, ცოლზე – ნინო მაცაშვილ-ორბელიანისაზე.

გვ. 25,4-6. „სად არიან მაგის ქალები წელნაზი თამარ კრასავიცა ბაბალე და კატო მარტომყოფი?“ – საუბარია გრიგოლის ბიძის, იაკობის, ქალიშვილებზე: თამარ ორბელიან-სანკოვსკისაზე, ბარბარე ორბელიან-ოპოჩინინისაზე და ეკატერინე ორბელიან-ივანოვისაზე. 1852-დან 1858 წლამდე კატოს ქმარი – ნიკოლოზ ალაპოს ძე ივანოვი ქუთაისის სამოქალაქო გუბერნატორი იყო და კატოც, როგორც ჩანს, ქმართან ერთად იყო – ოჯახის სხვა წევრებისგან შორს.

ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №12 (419) (გვ. 25-26)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 97r-v.

თარიღი და ადგილი: „Темир хан шура. 12 Июля 1856.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „К: Александру Ивановичу Барятинскому.“ / „Позволяю себе представить вашему С^{вх}“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაყვითლებული, საშუალო სისქის ქაღალდი; ზომა: 34,3X21,3 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით, ლამაზი კალიგრაფიით.

ადრესატის მისამართი: წინამდებარე წერილში გრიგოლ ორბელიანი ადრესატს წარუდგენს მაიორ ბაგრატიონს და მისდამი ყურადღების გამოჩენას სთხოვს: „Позволяю себе представить вашему С^{вх} с письмом этим командира Дагестанскаго Конно-Иррегулярнаго Полка Маіора К: Багратіона, который по вашему же ходатайству у Князя Воронцова, получил это назначеніе... Пріймите же, Доблестный Князь, этого молодаго человека под тенью правой руки Вашей; а он положит голову свою для Царской службы.“ დიმიტრი ჯორჯაძისადმი 30 სექტემბერს გაგზავნილი წერილიდან კი ვიგებთ, რომ მაიორი ბაგრატიონი მოსკოვში ყოფილა: „წუხელის მოულოდნელად მოიჭრა აქა ჩვენი ბაგრატიონი მოსკოვიდამ“ და ჩამოუტანია ინფორმაცია ბარიატინსკის მოსკოვიდან გამოსვლის ზუსტი დროის შესახებ: „კნიაზ ბარიატინსკი, როგორც ეს ამბობს, მოსკოვიდამ გამოვა ამ თვის 20^ა“, რაც

გვავარაუდებინებს, რომ წინამდებარე წერილი გაგზავნილია **მოსკოვში**.

შენიშვნები: 1. Князю; 2. ადრესატის ვინაობა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 3. Сіятельству; 4. Князя; 5. Сіятельству; 6. Князь; 7. Вашу; 8. Светлость; 9. Князь.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ. 25,8. „**Александрю Ивановичу Барятинскому**“ – წერილის ადრესატია 1856 წლის 1 იანვრიდან გვარდიის სარეზერვო ქვეითი კორპუსის მეთაური ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკი.

გვ. 25,9-11. „**командира Дагестанскаго Конно-Иррегулярнаго Полка Маіора К: Багратіона**“ – საუბარია დაღესტნის სასაზღვრო ხაზის მარჯვენა ფლანგის მეთაურზე, ჭარ-ბელაქნის ოლქის მმართველის თანამემნესა და ლეიბ-გვარდიის ცხენოსანთა პოლკის მეთაურზე, გენერალ-მაიორ გრიგოლ ივანეს ძე ბაგრატიონზე.

გვ. 25,11-12. „**у Князя Воронцова, получил это назначение**“ – საუბარია კავკასიის ყოფილ მეფისნაცვალ მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვზე.

გვ. 25,18-19. „**произведённые им в Койсубу и Салатавію**“ – საუბარია დაღესტნის ისტორიულ ოლქებზე.

გვ. 26,1-2. „**О лицах же отправленных из Прикаспійскаго Края на священную коронацію Государя Императора**“ – საუბარია 1856 წლის აგვისტოში მოსკოვში იმპერატორ ალექსანდრე II-ის კორონაციაზე დასასწრებად კავკასიიდან გაგზავნილ დეპუტატებზე.

გვ. 26,3-4. „**двух молодых людей: Ибрайм Хана Мехтулинскаго и Гассан хан бека**“ – საუბარია მეხთულელ ფლიგელ-ადიუტანტ, პოლკოვნიკ იბრაჰიმ ხანსა და გენერალ-ლეიტენანტ ჰასან ბეგ ალაღარზე.

გვ. 26,5-6. „**о старике Шамхале Тарковском**“ – საუბარია თარკოს შამხალ აბუ-მუსლიმ-ხანზე.

გვ. 26,11-12. „**отцом его Мехти Шамхалом**“ – საუბარია აბუ-მუსლიმ-ხანის მამაზე – თარკოს ადრინდელ შამხალ მეხთი II-ზე.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №31 (420) (გვ. 27-28)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №557, გვ.: 48r-v, 49r-v.

თარიღი და ადგილი: „1856. ივლისის... პეტროვსკით.“

ხელმოწერა: „შენი ბედნიერების მოსურნე გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო დიმიტრი!“

ავტოგრაფის აღწერილობა: შუაზე გადაკეცილი, თეთრი, დალაქავებული, სიფრიფანა ქალაღდი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,5X20,8 სმ; გადაკეცილისა: 20,8X13,3 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომლითაც დასვრილი და გაჟღენთილია ფურცლები; ხელნაწერი დაზიანებულია: ადგილ-ადგილ ამოხეული და ამომწვარი. **ადრესატის მისამართი:** დიმიტრი ჯორჯაძე თემირხანშურაში მსახურობდა. წერილში გრიგოლი მოიკითხავს დალესტინის სასაზღვრო ხაზის მარჯვენა ფლანგის მეთაურ პეტრე აპოლონის ძე ვოლკოვსა და მის ძმისწულ ლიდია ალექსანდრეს ასულ ვოლკოვ-ვერიოვკინას, რომლებიც დალესტანში იმყოფებოდნენ: „პეტრე აპოლონისძე და მშვენიერი ლიდია ალექსანდროვნა დიდად მომიკითხე.“ აღნიშნულის გათვალისწინებით, საანალიზო წერილი **თემირხანშურაში** უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სიტყვა დიდი ასოებით წერია; 2. აქ ერთი სიტყვა არ იკითხება; 3. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ. 169.

დათარიღება: 1856 წლის ივლისით დათარიღებულ წინამდებარე წერილში გრიგოლი სწერს დიმიტრი ჯორჯაძეს „საჭიროა კარგი ხატი მაცხოვრისა. – გთხოვ, ჩუმაღ, საიდუმლოდ, იყიდო ეს ხატი და უკრაფ-უგინებლად გამომიგზავნო“, მეორე ბარათში კი, რომელიც ამავე წლის 22 ივლისით არის დათარიღებული, ვკითხულობთ: „გუშინ წერილითაც გთხოვე, რომ მალე გამომიგზავნო ხატი მაცხოვრისა, რომლითაც უნდა ვაკურთხო და დავლოცო მექორწინენი.“

ფრაზიდან – „გუშინ წერილითაც გთხოვე“ – არ ჩანს, რომ ორბელიანს მანამდე კიდევ სხვა წერილით ეთხოვოს ხატის გაგზავნა. შესაბამისად, საუბარი უნდა იყოს წინამდებარე წერილზე, რომელსაც 1856 წლის ივლისი აწერია, მაგრამ თარიღი არ უზის

და დაწერილი უნდა იყოს 21 ივლისს. 1856 წლის 21 ივლისი იყო შაბათი, წერილში კი ვკითხულობთ: „ივლისის... არ მახსოვს; ვიცო-კი რომ ხუთშაბათია, ამ ნიშნით რომ წვერიცა მოვიპარსე და სა-დილათ დალინისასა ვართ.“ თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ წერ-ილს ორბელიანი ნაბახუსევზე წერდა, ის უფრო სავარაუდოა, რომ კვირის დღე შეშლოდა, ვიდრე ის, რომ ეს წერილი ხუთშაბათს იყოს გაგზავნილი და მისი დაწერიდან ორი დღის შემდეგ, შაბათს, კიდევ ერთი ბარათი გაეგზავნა ადრესატისთვის, სადაც ისევ სთხოვდა ხატის გაგზავნას. 22 ივლისის წერილში ვკითხულობთ: „გუშინ წერილითაც გთხოვე“-ო და არა იმას, ორჯერ წერილითაც გთხოვეო. შესაბამისად, წინამდებარე ბარათს ვათარილებთ **1856 წლის 21 ივლისით.**

გვ. 27,24. **„ჩემო საყუარელო დიმიტრი!“** – წერილის ადრესა-ტია დალესტნის ოლქის მმართველის კანცელარიის უფროსი დი-მიტრი დავითის ძე ჯორჯაძე.

გვ. 27,26-27. **„ქოლკენლაღენის ქორწილი იქნება რამდენისამე დღის შემდეგ“** – საუბარი უნდა იყოს რუს სამხედრო ინჟინერ ადოლფ დანიელის ძე ფოლკენლაღენზე (ფოლკენგაგენზე), რო-მელიც 1848 წლიდან მსახურობდა დალესტნის რაზმში. 1859 წელს მან კაპიტნის წოდება მიიღო და დაევალა ქალაქ პეტრო-ვსკის პორტის მშენებლობა, მაგრამ ისევ ირიცხებოდა დალესტნის რაზმში და მონაწილეობას ღებულობდა საბრძოლო ოპერაციებში.

გვ. 27,27. **„მე ვარ მამა მექორწინეთა“** – სავარაუდოდ, საუ-ბარია მეჯვარეობაზე.

გვ. 27,30-31. **„პეტრე აპოლონიჩი და მშვენიერი ლიდია ალექსანდროვნა დიდად მომიკითხე“** – საუბარია დალესტნის სა-საზღვრო ხაზის მარჯვენა ფლანგის მეთაურ პეტრე აპოლო-ნის ძე ვოლკოვსა და მის ძმისწულ ლიდია ალექსანდრეს ასულ ვოლკოვ-ვერიოვკინისაზე.

გვ. 28,2. **„შამილის ნებაც იქნება“** – იგულისხმება ის, რომ, თუ ჩეჩნეთ-დალესტნის იმამი საბრძოლო მოქმედებებს განაახ-ლებდა, გრიგოლი იძულებული გახდებოდა, სასწრაფოდ დაბრუ-ნებულიყო მოვალეობების შესასრულებლად.

გვ. 28,5. **„მანუკინი როგორ მოიქცევა“** – საუბარია 21-ე ქვეითი დივიზიის ბრიგადის მეთაურ ზაქარია სტეფანეს ძე მა-ნიუკინზე.

გვ. 28,7. **„ჩემი ბიძია ბატონი ალექსანდრე მწერს“** – საუბარი

უნდა იყოს 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთ ორგანიზატორზე – ალექსანდრე (პუპლია) ვახტანგის ძე ორბელიანზე. გრიგოლის წერილებში „ბიძია ალექსანდრედ“ მეტწილად იხსენიება ალექსანდრე (თორნიკე) იესეს ძე ქსნის ერისთავი, მაგრამ მისი გარდაცვალების (1860 წლის 13 ივნისი) შემდგომ წერილებში „ბიძიასთან“ ერთად გრიგოლი იყენებს სიტყვა „ბატონს“, რაც მოხსენიებული პიროვნების სამეფო წარმომავლობაზე მიგვანიშნებს. ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანი იყო ერეკლე მეფის შვილიშვილი, მისი საყვარელი ქალიშვილის, თეკლას, ვაჟი.

გვ. 28,7-8. „**მურავიევი და უნიშნავთქრეიტალის მოადგილეთაო**“ – სავარაუდოდ, საუბარია ყოფილ მეფისნაცვალ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მურავიოვზე და ვილნოს ქვეითი პოლკის ყოფილ (1845-1854) მეთაურ არკადი ბოგდანის ძე ფრეიტაგ-ლორინგოვზე, მაგრამ, რა თანამდებობები იგულისხმება, გაურკვეველია.

გვ. 28,9-10. „**კნიაზ ბებუთოვი დარჩებაო დროებით მთავარმართებლათაო**“ – სავარაუდოდ, საუბარია გენერალ ვასილ იოსების ძე ბებუთაშვილზე, მაგრამ თანამდებობების ამგვარი გადანაწილება არ დადასტურდა.

გვ. 28,15-16. „**საბრალო პეტრე როგორ არის და ანუ კარგად უყურებენა მას?**“ – სავარაუდოდ, საუბარი უნდა იყოს ოფიცერ პეტრე კოპიაშვილზე, რომელსაც, როგორც ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისადმი 1856 წლის 28 ნოემბერს გაგზავნილი წერილიდან ჩანს, დიდხანს და ძლიერ უავადმყოფია.

გვ. 28,23-24. „**აქაურობა აიკლეს რადეცკიმ თავის პოლკითა და ლოპპემ მახურკითა**“ – სავარაუდოდ, საუბარია კასპიისპირა მხარის ჯარების შტაბის უფროს თეოდორე თეოდორეს ძე რადეცკისა და მთავარსარდლის შტაბის მაიორ თეოდორ ივანეს ძე ლოპპეზე.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №32 (421) (გვ. 28-29)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №556, გვ.: 46r-v, 47r. **თარიღი და ადგილი:** „22 ივლისს 1856. პეტროვსკით.“

ხელმოწერა: „შენი ბედნიერების მოსურნე გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ბურიენო დიმიტრი!“

ავტოგრაფის აღწერილობა: შუაზე გადაკეცილი, გახუნებული,

მოყავისფრო-მოყვითალო, გაცვეთილი, სიფრიფანა, დიდი ფორმატის ქალაღი; ზომები: გადაუკეცავისა: 43,7X26,8 სმ; გადაკეცილისა: 26,8X21,8 სმ; (I ფურცელი); 26,8X21,9 სმ; (II ფურცელი); შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გაჟღენთილია ფურცლებში; ხელნაწერი დაზიანებულია: ადგილ-ადგილ ამოხეულია; რესტავრირებულია.

ადრესატის მისამართი: დიმიტრი ჯორჯაძე თემირხანშურაში მსახურობდა. წერილში გრიგოლი მოიკითხავს დალესტნის სასაზღვრო ხაზის მარჯვენა ფლანგის მეთაურ პეტრე აპოლონის ძე ვოლკოვსა და მის ძმისწულ ლიდია ალექსანდრეს ასულ ვოლკოვ-ვერიოვკინას, რომლებიც დალესტანში იმყოფებოდნენ: „პეტრე აპოლონოვიჩი და მშვენიერი ლიდია მომიკითხე.“ აღნიშნულის გათვალისწინებით, საანალიზო წერილი **თემირხანშურაში** უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. კვადრატულ ფრჩხილებში მოთავსებული ადგილები არ იკითხება ფურცლის დაზიანების გამო; 2. ღმერთს; 3. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ. 168.

გვ. 28,25. „ჩემო ბურიენო დიმიტრი!“ – იგულისხმება ნაპოლეონ ბონაპარტის მდივანი, ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე ლუი ანტუან ფოველე დე ბურიენი. ორბელიანი ხუმრობით თავის თავს ნაპოლეონს ადარებს, დიმიტრი ჯორჯაძეს კი, რომელიც მისი კანცელარიის მდივანი იყო – ბურიენს.

გვ. 29,4. „ბრუსილოვის წერილს გიგზავნი“ – სავარაუდოდ, საუბარია გენერალ-მაიორ ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ბრუსილოვზე, რომელიც მსახურობდა გრიგოლ ორბელიანის პოლკში.

გვ. 29,5-6. „მთხვოს, რომ აბდულხალილს მოუჭერ სოდერჟანიო“ – საუბარია დალესტნის ცხენოსანთა არარეგულარული პოლკის პორუჩიკზე.

გვ. 29,10. „უნინ არუყვარდა კლუგინს“ – სავარაუდოდ, საუბარია შემდგომში სამურის ოლქის მმართველის მოადგილეზე, მაიორ ფონ კლუგენზე.

გვ. 29,19. „შამილა წასულაო კახეთისაკენ“ – ჩეჩნეთ-დალესტნის იმამის წასვლა კახეთზე თავდასასხმელად აღნიშნულ პერიოდში არ დასტურდება.

გვ. 29,21. „ირიბში ჯარების ყრილობაც გაცრუვდა“ – დაღესტნის სოფელ ირიბში ცხოვრობდნენ მუჰაჯირები და საქართველოზე თავდასხმას ხშირად აქედან ახორციელებდნენ ხოლმე.

გვ. 29,22. „პეტრე აპოლონოვიჩი და მშვენიერი ლიდია“ – საუბარია დაღესტნის სასაზღვრო ხაზის მარჯვენა ფლანგის მეტაურ პეტრე აპოლონის ძე ვოლკოვსა და მის ძმისწულ ლიდია ალექსანდრეს ასულ ვოლკოვ-ვერიოვკინისაზე.

გვ. 29,23. „აქ დავჰყოფ ქორწილამდის ქოლკენღალენისა“ – საუბარი უნდა იყოს რუს სამხედრო ინჟინერ ადოლფ დანიელის ძე ფოლკენგაგენზე.

ქეთევან ორბელიანისადმი №92 (422) (გვ. 30)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №350, გვ.: 127r-v, 128r.

თარიღი და ადგილი: „2^ა აგვისტოს 1856. შურით.“

ხელმოწერა: „თქუენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან!“

ავტოგრაფის აღწერილობა: შუაზე გადაკეცილი, გაცრეცილი, გაყვითლებული, თხელი ქაღალდი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,7X21,9 სმ; გადაკეცილისა: 21,9X13,4 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით სუფთად.

ადრესატის მისამართი: ქეთევან ალექსი-მესხიშვილი-ორბელიანისა თბილისში ცხოვრობდა. წერილში გრიგოლი მოიკითხავს იქ მცხოვრებ ახლო ნათესავებს, რაც ადასტურებს, რომ ბარათი გაგზავნილია თბილისში.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ. 170.

გვ. 30,4. „ჩემი ნინიკა ბიჭი“ – საუბარია გრიგოლის მსახურ ნინიკა ბაქრაძეზე.

გვ. 30,6. „ალექსანდრე საგინოვის წერილი მომივიდა“ – საუბარია გრიგოლის ბძის, სამარაგდონ ორბელიანის, ქალიშვილის, ბაბალეს, ქმარ ალექსანდრე დიმიტრის ძე საგინაშვილზე.

გვ. 30,8-9. „სამთავ მივართვით არზაო. მე, მანანამ და ვარინ-

კამაო – იგულისხმება ალექსანდრე დიმიტრის ძე საგინაშვილი, მანანა მირმანოვის ასული ერისთავი-ორბელიანისა და ბარბარე ილიას ასული ბაგრატიონი-ორბელიანისა. საუბარია არზაზე მიწის საკუთრებასთან დაკავშირებით.

გვ. 30,12-13. **„მთავარმართებელიც არ მობძანდა“** – სავარაუდოდ, საუბარია ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მურავიოვ-ყარსკიზე. მართალია, ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკი 1856 წლის ივლისში უკვე ასრულებდა კავკასიის მეფისნაცვლის მოვალეობას, მაგრამ ამ თანამდებობაზე იგი მხოლოდ 26 აგვისტოს დაამტკიცეს და, როგორც ორბელიანის მიერ ალექსანდრე საგინაშვილისთვის 10 აგვისტოს გაგზავნილი წერილიდან ჩანს, გრიგოლს იმ დრომდე არ ეგონა, თუ მურავიოვმა საბოლოოდ დატოვა თანამდებობა („ამ ჩვენს მხარეს ისმის მითომ მთავარმართებელი აღარა დგება აქა, და მის მაგიერ დაუნიშნავთ კნ: ბარიატინსკი“).

გვ. 30,14. **„ივანე აბაშიძის კაცისათვის მწერო“** – სავარაუდოდ, საუბარია ივანე გიორგის ძე აბაშიძეზე და მის მსახურზე, ან ყმაზე.

გვ. 30,24. **„ბაბაღე ჩამიკოცნეთ“** – საუბარია გრიგოლის დიხნულ ბარბარე მელიტონის ასულ ბარათაშვილზე.

გვ. 30,25. **„ძალუა ნინო სიყუარულით მომიკითხეთ“** – საუბარია გრიგოლის ბიძის, იაკობის, ცოლზე – ნინო მაყაშვილ-ორბელიანისაზე.

გვ. 30,25-26. **„წელ-ნაზის თამართა“** – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ თამარ იაკობის ასულ ორბელიან-სანკოვსკისაზე.

გვ. 30,26. **„ჩემის ყაფლანის ქულქათი“** – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ყაფლან ასლანის ძე ორბელიანის ოჯახზე.

ალექსანდრე საგინაშვილისადმი №3 (423) (გვ. 31)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №416, გვ.: 9r-v, 10r.

თარიღი და ადგილი: „10^ა აგვისტოს 1856. თემირხანშურით.“

ხელმოწერა: „შენი ბედნიერების მოსურნე გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო ძმაო ალექსანდრე!“

ავტოგრაფის აღწერილობა: შუაზე გადაკეცილი, გაცრეცილი, გახუნებული, გაყვითლებული, დალაქავებული, თხელი ქალაღი;

ზომები: გადაუკეცავისა: 27X21,6 სმ; გადაკეცილისა: 21,6X13,3 სმ (I გვერდი); 21,6X13,8 სმ (II გვერდი); შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომლითაც ალაგ-ალაგ დასვრილი და გაჟღენთილია ხელნაწერი; ავტოგრაფი დაზიანებულია: გვერდები გახეულია.

ადრესატის მისამართი: რამდენადაც ალექსანდრე და ბაბაღე საგინაშვილები, ძირითადად, ცხოვრობდნენ **ანანურში**, წერილი, სავარაუდოდ, იქ უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. „შენის ბაბაღეთი“ წითელი ფანქრით არის ხაზგასმული; 2. ამ ადგილას ფურცელი მოხეულია და „ძა“ არ იკითხება; 3. სიტყვა ჩამატებულია ავტორის მიერ; 4. ამ ადგილას ფურცელი მოხეულია და დაკარგული ასოები კვადრატულ ფრჩხილებშია აღდგენილი; 5. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 4. ბოლოში შავი ფანქრით, სხვისი (სავარაუდოდ, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომლის) ხელით, მიწერილია: „მართალია?“

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 170-171.

გვ. 31,10. „შენის ბაბაღეთი და ელისაბედით“ – საუბარია ალექსანდრე საგინაშვილის მეუღლეზე, გრიგოლის ბიძაშვილ ბარბარე სამარაგდონის ასულ ორბელიან-საგინაშვილისაზე და მის დედაზე – ელისაბედ სოლომონის ასულ ავალიშვილ-ორბელიანისაზე.

გვ. 31,29-30. „ისმის მითომ მთავარმართებელი აღარა დგება აქა, და მის მაგიერ დაუნიშნავთ კნ: ბარიატინსკი“ – საუბარია კავკასიის ძველ და ახალ მთავარმართებლებზე – ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მურავიოვ-ყარსკისა და ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკიზე.

ქეთევან ორბელიანისადმი №93 (424) (გვ. 32)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №351, გვ.: 129r-v, 130r.

თარიღი და ადგილი: 27^h აგვისტოს 1856. ახტით.“

ხელმოწერა: „თქუენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან!“

ავტოგრაფის აღწერილობა: შუაზე გადაკეცილი, გაცრეცილი, გაყ-

ვითლებული, დალაქავებული, ალაგ-ალაგ დამწვარი, თხელი ქალაღი; ზომები: გადაუქეცავისა: 26,8X21,7 სმ; გადაქეცილისა: 21,7X13,4 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომლითაც დასვრილი და გაჟღენთილია გვერდები; 129-ე ფურცელი ორ ადგილას გახეულია.

ადრესატის მისამართი: ქეთევან ალექსი-მესხიშვილი-ორბელიანი-სა თბილისში ცხოვრობდა. წერილში გრიგოლი რძალს სთხოვს ბაბაღე ბარათაშვილის საქორწინო საქმეების მოგვარებას, რაც ადასტურებს, რომ ადრესატი წერილის დაწერის დროს იმყოფებოდა თბილისში.

შენიშვნები: 1-2. კვადრატულ ფრჩხილებში მოთავსებული ადგილები არ იკითხება ფურცლის დაზიანების გამო; 3. ღმერთი; 4. ღმერთია; 5. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განწერელის რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 171-172.

გვ. 32,4. „ბაბაღეს გათხოებისათვის ითხოვთ ჩემს თანხმობას“ – საუბარია გრიგოლის დისწულ ბარბარე მელიტონის ასულ ბარათაშვილზე.

გვ. 32,5. „ვეზიროვს ცოტად მეც ვიცნობ“ – საუბარია ბარბარეს საქმროზე – დიმიტრი გიორგის ძე ვეზირიშვილზე.

გვ. 32,12-13. „მირზოევს მოვსწერო, რომ მოგართოს ასი თუმანი“ – სავარაუდოდ, საუბარია თბილისელ ვაჭარ ივანე (ოვანეს) მინაის (მინასის) ძე მირზოევზე (მიზოევი, მირზოიანი), რომლისგანაც გრიგოლი სესხს იღებდა ხოლმე.

გვ. 32,24. „ივანე შალიკოვს გაუგზავნეთ ეს წერილი“ – სავარაუდოდ, საუბარია გრენადერთა პოლკის ხაზინადარ სვიმონ შალიკაშვილის ძმაზე – ივანე იოსების ძე შალიკაშვილზე.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №33 (425) (გვ. 33)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7516 (ძველი №173), გვ. 134r.

თარიღი და ადგილი: „7^ს სექტემ:“

ხელმოწერა: „შენი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო დიმიტრი!“

ავტოგრაფის აღწერილობა: თეთრი ფერის, საშუალო სისქის, მელ-
ნით დასვრილი ქალაღდი; ზომა: 19X12 სმ; შესრულებულია ლურ-
ჯი მელნით.

ადრესატის მისამართი: დიმიტრი ჯორჯაძე თემირხანშურაში მსა-
ხურობდა. წინამდებარე წერილში არაფერია ნათქვამი მისი შესაძ-
ლო გადაადგილების შესახებ, რაც გვავარაუდებინებს, რომ ისიც
თემირხანშურაშია გაგზავნილი.

შენიშვნები: 1-2. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

დათარიღება: წერილის სიტყვები „ახალი მთავარმართებელი“ მი-
გვანიშნებს, რომ მისი წერის დრო დაახლოებით უნდა ემთხვეო-
დეს რომელიმე მთავარმართებლის დანიშვნას, მეორე ფრაზა –
პროექტები, „რომელნიცა უნდა წარგვედგინა მურავიევისათჳს“,
მიგვანიშნებს, რომ ეს არ არის 1854-56 წლებში კავკასიის მეფი-
სნაცვალ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მურავიოვ-ყარსკი, არამედ
არის ამ პოსტზე მის შემდეგ – 1856 წლის 22 ივლისს დანიშნული
ალექსანდრე ბარიატინსკი. შესაბამისად, **ბარათი დაწერილი უნდა
იყოს 1856 წლის 7 სექტემბერს.**

გვ. 33,1-2. „**ბარონ ნიკოლაის სიტყვით ახალი მთავარმართე-
ბელი მოვა ხასავიურთსა**“ – საუბარია ფლიგელადიუტანტ, ბარონ
ლეონტი პავლეს ძე ნიკოლაიზე და კავკასიის მთავარმართებლის,
ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკის, დალესტნის სიმაგრე ხასა-
ვიურთში მისვლაზე.

გვ. 33,4-5. „**უნდა წარგვედგინა მურავიევისათჳს**“ – საუბარია
კავკასიის ყოფილ მეფისნაცვალ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მურა-
ვიოვ-ყარსკიზე.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №34 (426) (გვ. 33)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7516 (ძველი №173),
გვ. 117 რ.

თარიღი და ადგილი: „9^ა სექტემ.:“

ხელმოწერა: „შენი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ავათმყოფო ბურიენო!“

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის, საშუალო სისქის
ქალაღდი; ზომა: 18,5X14,1 სმ; შესრულებულია ლურჯი მელნით,

რომლითაც ალაგ-ალაგ დასვრილია ხელნაწერი.

ადრესატის მისამართი: დიმიტრი ჯორჯაძე თემირხანშურაში მსახურობდა. წინამდებარე წერილში არაფერია ნათქვამი მისი შესაძლო გადაადგილების შესახებ, რაც გვავარაუდებინებს, რომ ისიც **თემირხანშურაშია** გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

დათარილება: დიმიტრი ჯორჯაძისათვის მიწერილ წინამდებარე წერილში, რომელიც 9 სექტემბრით არის დათარიღებული და 1856 წლის 7 და 13 სექტემბრის ბარათებში ყველგან არის მინიშნება, ან პირდაპირი საუბარი დიმიტრის ავადმყოფობაზე: „მიანც ხომ შეკეტილ შებეჭდილი ხარ და ამ გვარის დასაქმებისათვის უნდა კიდეც მმადლობდე“ (7 სექტემბერი) / „ჩემო ავათმყოფო ბურიენო!“ (9 სექტემბერი) / „მიამბო შენი ავათმყოფობა სრულებით ზედმინეგ-დანვრილებით აკოლნიჩიმა“ (13 სექტემბერი).

დიმიტრის ავადმყოფობა ისე დიდხანს გაგრძელებულა, რომ 1856 წლის 28 ოქტომბრის წერილშიც კი არის ამაზე საუბარი: „ჩემო დიმიტრი! ერთი შემატყობინე რა დაგემართა აქამდის, რომ ვერ განთავისუფლდი მაგ ციებ-ცხელებისაგან? ვინ არ ყოფილა ავადა? რა არის აგრე გამძღაერება? – როგორ ჰხედავ შენ თვთონ და ანუ ექიმი რას ამბობს?“ საგულისხმოა, რომ ჩვენ მიერ შედარებული სამი წერილი ერთმანეთს ჰგავს თარიღის მიწერის სტილითაც – „7^ა სეკდემ:“, „9^ა სეკდემ:“ „15^ა სეკდემ:“

13 სექტემბრის ბარათში ნახსენებია მთავარმართებლის ჩამოსვლის მოლოდინი („მთავარმართებელი კარზე მოგვადგა“). მთავარმართებელ ბარიატინსკის ჩამოსვლას პეტროვსკში ორბელიანი ელოდა 1856 წლის 20 სექტემბრიდან. 18 სექტემბრის წერილში ნათქვამია: „მრავალნი საქმეები მახვევია თავსა მთავარმართებლის მოსვლისაგამო, რომლისა მისაგებებლად მივდივარ ორს დღეს უკან“. 1856 წლის 7 სექტემბრის წერილში, ისევე როგორც 13 სექტემბრისაში, საუბარია მთავარმართებელთან წარსადგენ პროექტებზე („ვინძლო ხვალ დილითვე გამომიგზავნო პროღრამმა იმ პროექტებისა, რომელნიცა უნდა წარგვედგინა მურავიევისათვის“ / „აბა სად არის ზამეტკები პროექტებისა, ანუ თვთ დამზადებულნი პროექტნი?“), რაც ასევე მიგვანიშნებს, რომ ისინი ერთ პერიოდშია დაწერილი.

მართალია, 9 სექტემბრის წერილში არ არის ნახსენები

მთავარმართებლის ჩამოსვლა, მაგრამ საუბარია ბაგრატიონის წერილზე („ბაგრატიონის წერილი მომირთმევია“), იმავე წლის 30 სექტემბრის წერილიდან (ასევე დიმიტრი ჯორჯაძისადმი) კი ირკვევა, რომ ბაგრატიონი მოსკოვში ყოფილა („წუხელის მოულოდნელად მოიჭრა აქა ჩვენი ბაგრატიონი მოსკოვიდამ“) და ჩამოუტანია ინფორმაცია ბარიატინსკის მოსკოვიდან გამოსვლის ზუსტი დროის შესახებ. სავარაუდოდ, იმ წერილშიც მეფისნაცვლის დაგეგმილ ვიზიტზე იქნებოდა საუბარი და, რადგან გრიგოლმა თავის წერილთან ერთად დიმიტრი ჯორჯაძეს ბაგრატიონის წერილიც გაუგზავნა, მეფისნაცვლის სტუმრობაზე თავად აღარაფერი მიუწერია. შესაბამისად, სამივე ბარათი ერთი პერიოდისა უნდა იყოს. **წინამდებარე წერილს ვათარილებთ 1856 წლის 9 სექტემბრით.**

გვ. 33,10. „ჩემო ავთიმყოფო ბურიენო“ – ორბელიანი დიმიტრი ჯორჯაძეს ხუმრობით ნაპოლეონ ბონაპარტის მდივანს, ლუი ანტუან დე ბურიენს, ადარებს.

გვ. 33,11. „ბაგრატიონის წერილი მომირთმევია“ – საუბარია ქარ-ბელაქნის ოლქის უფროსსა და დალესტნის სასაზღვრო ხაზის მარჯვენა ფლანგის მეთაურზე, გენერალ-მაიორ გრიგოლ ივანეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელზე.

გვ. 33,16. „დარიანურის ბეჭედი“ – სავარაუდოდ, საუბარია სპარსეთის მეფე დარიუს I-ის ცილინდრის ფორმის ქვის ბეჭედზე, რომელსაც მისი დამარცხების შემდეგ ალექსანდრე მაკედონელიც იყენებდა აზიაში გასაგზავნი წერილების დასაბეჭდად.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №35 (427) (გვ. 34)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7516 (ძველი №173), 154r.

თარიღი და ადგილი: „11^ა სექდ.“

ხელმოწერა: „შენი გრიგოლი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო დიმიტრი!“

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის, საშუალო სისქის ქალაღლი; ზომა: 19,5X12 სმ; შესრულებულია შავი მელნით.

ადრესატის მისამართი: დიმიტრი ჯორჯაძე თემირხანშურაში მსახურობდა. წინამდებარე წერილში არაფერია ნათქვამი მისი შესაძ-

ლო გადაადგილების შესახებ, რაც გვავარაუდებინებს, რომ ისიც **თემირხანშურაშია** გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

დათარილება: წინამდებარე ბარათიდან ჩანს, რომ გრიგოლი ცდილობს თანხების გამონახვას ჩირალდნებისათვის („რამდენი შეგვიძლიან რომ დავხარჯოთ ჩირალდნისათვის გოროდოვის სუმმიდამ?“). 1856 წლის 28 ნოემბერს ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისათვის გაგზავნილ წერილში იგი აღნიშნავს: „კნიაზს ბარიატინსკის დავჰხვდი დიდის ყოფით: ჩირალდნები, შუშხუნები, ბალები, რეჩები, ისე როგორც შეეფერებოდა იმპერატორის ნამესტნიკსა.“

შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ უთარილო წერილში ამ ჩირალდნებზეა საუბარი. იმის შესახებ, რომ ბარიატინსკი დალესტანში აპირებდა ჩასვლას, გრიგოლმა 1856 წლის 7 სექტემბერს გაიგო ბარონ ნიკოლაისაგან („ახალი მთავარმართებელი მოვა ხასავიურთსა ამთვის გასულს; მაშა აქაც უნდა მოველოდეთ“) და, რადგან ისიც ცნობილია, რომ ჩირალდნებით დახვდა, ბუნებრივია, ვიფიქროთ, რომ ამ ამბის გაგებიდან 4 დღის შემდეგ უკვე დაეწყო ზრუნვა საზეიმო სამზადისზე.

აქედან გამომდინარე, ბარათი 1856 წელს უნდა იყოს დაწერილი. ამ მოსაზრებას განამტკიცებს ის ფაქტიც, რომ წერილში ნახსენებია წმინდა ვლადიმირის ორდენი, რომელიც გრიგოლმა 1856 წლის 10 სექტემბერს მიიღო. ამ ორდენის მიღებაზე ისეთი ფორმით არის ნათქვამი, რომ წერილი ამ ფაქტიდან დიდი ხნის შემდეგ არ უნდა იყოს დაწერილი. თუ გავითვალისწინებთ დიმიტრი ჯორჯაძესთან ამ პერიოდში გრიგოლის მიმოწერის სიხშირეს, სავსებით ბუნებრივია, რომ ორდენის მიღებიდან მეორე დღესვე ეხსენებინა ეს ფაქტი მისთვის მიწერილ ბარათში. შესაბამისად, **წინამდებარე ბარათის თარიღში 1856 წლის 11 სექტემბერი უნდა იგულისხმებოდეს.**

გვ. 34,2-3. „**გინდა ვლადიმირიც მოუვიდეს, მისს გულსა აღარა გაუხარდება**“ – წმინდა ვლადიმირის ორდენი გრიგოლმა 1856 წლის 10 სექტემბერს მიიღო.

გვ. 34,4. „**ამას უთოოდ ვჰკითხავ პლაშჩევსკისა**“ – სავარაუდოდ, საუბარია მთავარსარდლის სამმართველოს მთავარ ექიმ აბრაამ ალექსის ძე პლაშჩევსკიზე.

გვ. 34,6-7. „დავხარჯოთ ჩირალდნისათვის გოროდოვის სუმმი-
დამ?“ – სავარაუდოდ, საუბარია ქალაქის პოლიციის განკარ-
გულებაში არსებულ თანხაზე.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №36 (428) (გვ. 34)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7516 (ძველი №173), 148რ.

თარიღი და ადგილი: „13 სექდ:“

ხელმოწერა: „შენი გრიგოლი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო დიმიტრი!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, თეთრი ფერის, საშუალო სისქის, მელნით დასვრილი ქალაქი; ზომა: 28,8X19,6 სმ; შესრუ-
ლებულია ლურჯი მელნით.

ადრესატის მისამართი: დიმიტრი ჯორჯაძე თემირხანშურაში მსა-
ხურობდა. წინამდებარე წერილში არაფერია ნათქვამი მისი შესაძ-
ლო გადაადგილების შესახებ, რაც გვაფარაულებინებს, რომ ისიც
თემირხანშურაშია გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. „ხან თავმოხ-
ვეული მოლლასავით, ხან სურდო-ცინგლიანობით?“ ხაზგასმულია ავ-
ტორის მიერ; 3. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

დათარიღება: 7, 9 და 13 სექტემბრით დათარიღებულ ბარათებში
საუბარია 1856 წელს მთავარმართებელ ბარიატინსკის ვიზიტზე,
მისთვის წარსადგენ პროექტებსა და დიმიტრი ჯორჯაძის ავად-
მყოფობაზე. შესაბამისად, **ამ ბარათსაც, ისევე როგორც წინა ორს,
ვათარიღებთ 1856 წლით.** უფრო დანვრილებით იხ. 7 და 9 სექტემ-
ბრის წერილების დათარიღება.

გვ. 34,11-12. „მიაშობ შენი ავთამყოფობა სრულებით ზედმი-
წევ-დანვრილებით აკოლნიჩიმა“ – სავარაუდოდ, საუბარია კას-
პიისპირა მხარის ჯარების შტაბსკაპიტან ნიკოლოზ ანდრიას ძე
ოკოლნიჩიზე.

გვ. 34,19. „მთავარმართებელი კარზე მოგვადგა“ – საუბარია
კავკასიის მეფისნაცვალ ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკის
ვიზიტზე დალესტანში.

ქეთევან ორბელიანისადმი №94 (429) (გვ. 35)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №352, გვ. 131r.

თარიღი და ადგილი: „15^ს სექტემ: 1856. შურით.“

ხელმოწერა: „შენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო ძალუავე ქეთევან!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, თეთრი ფერის, თხელი ქაღალდი; ზომა: 20,6X13,6 სმ; შესრულებულია შავი მელნით; ხელნაწერი დაზიანებულია: მარცხენა მხარეს გახეულია.

ადრესატის მისამართი: ქეთევან ალექსი-მესხიშვილი-ორბელიანისა თბილისში ცხოვრობდა. წერილში გრიგოლი რძალს აცყობინებს ახალი მთავარმართებლის მარშრუტს და მისი თბილისში მისვლის თარიღს: „ახალი მთავარმართებელი მოდის ასტარხანზედ პირდაპირ შურას 25^ს ამ თვისას, და აქედამ შემახაზედ, ნუხზედ და თელავზედ მოვა თბილისს 15^ს ოკდომ:“ ზმნის ფორმაც („მოდის“) ადასტურებს, რომ ქეთევანი **თბილისში** იმყოფებოდა და წერილიც იქ არის გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. ღვთით; 2. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განწერელის რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ. 172.

გვ. 35,2-3. „**ახალი მთავარმართებელი მოდის ასტარხანზედ**“ – საუბარია კავკასიის მეფისნაცვალ ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკიზე.

გვ. 35,5-6. „**მივიღე წმიდა ვლადიმირისა მეორე ხარისხი**“ – წმინდა ვლადიმირის ორდენი გრიგოლმა 1856 წლის 10 სექტემბერს მიიღო.

გვ. 35,6. „**ბაბალე ჩამიკოცნე**“ – საუბარია გრიგოლის დისწულ ბარბარე მელიტონის ასულ ბარათაშვილზე.

ქეთევან ორბელიანისადმი №95 (430) (გვ. 35)

ავტოგრაფი: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №306, გვ.: 132r-v, 133r.

თარიღი და ადგილი: „18^ს სექტემ 1856. შურით.“

ხელმოწერა: „შენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო ძალუაჲ ქეთევან!“

ავტოგრაფის აღწერილობა: შუაზე გადაკეცილი, გახუნებული, ცისფერი, საშუალო სისქის ქალაღი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,8X20,6 სმ; გადაკეცილისა: 20,6X13,4 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომლითაც ალაგ-ალაგ დასვრილი და გაჟღენთილია ხელნაწერი.

ადრესატის მისამართი: ტექსტიდან ჩანს, რომ ადრესატი იმყოფებოდა **თბილისში:** „ამა წერილსა მოგართმევს თქვენი ძველისძველად მეგობარი არაბოლლი, რომელიცა მოეშურება თბილისს თავის დედ-მამის სანახავად.“

შენიშვნები: 1-2. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განწერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ. 173.

გვ. 35,11-12. **„თქვენი ძველისძველად მეგობარი არაბოლლი“** – პიროვნების სახელი უცნობია, მაგრამ მოგვიანებით, 1925 წელს, თბილისში ცხოვრობდა სომეხი ეროვნების არტურ არაბოლლი (ცნობილი ფილოსოფოსის, ედვარდ არაბოლის, მამა) და, შესაძლოა, მათ წინაპრებზე იყოს საუბარი.

გვ. 35,15-16. **„მთავარმართებლის მოსვლისა გამო“** – საუბარია კავკასიის მეფისნაცვალ ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკიზე.

გვ. 35,17. **„ძალუა ბარბარე სიყუარულით მომიკითხეთ“** – საუბარია გრიგოლის გარდაცვლილი ძმის, ილია ორბელიანის, მეუღლეზე – ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანისაზე.

გვ. 35,18. **„ლეკი გიორგი ჩამიკოცნეთ“** – როგორც ირკვევა, ჩაცმულობის გამო (სხვა წერილიდან ჩანს, რომ ლეკურად აცმევდნენ: „ხან ლეკურად ჩაცმული, და ხან უფრო ტიტველა“), ასე ეძახდნენ გრიგოლის პატარა ძმისწულს – გიორგი ილიას ძე ორბელიანს.

გვ. 35,18-19. **„ეგრეთვე ბაბაღე და ნინუცი“** – საუბარია გრიგოლის დისწულეებზე – ბარბარე და ნინო მელიტონის ასულ ბარათაშვილებზე.

გვ. 35,23. **„ყაფლან მისის ქულქათით“** – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ყაფლან ასლანის ძე ორბელიანსა და მის ოჯახზე.

გვ. 35,24. „**ძალუა ნინას მიულოცავ ალექსეი პეტროვიჩის ლენარლობასა**“ – საუბარია გრიგოლის ბიძის, იაკობის, მეუღლე ნინო მაყაშვილ-ორბელიანისაზე და მის სიძეზე (ქალიშვილის ქმარზე) – ალექსეი პეტრეს ძე ოპოჩინინზე.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №37 (431) (გვ. 36)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №558, გვ.: 50r-v.

თარიღი და ადგილი: „26^ს სექტემ: 1856 პეტროვსკით.“

ხელმოწერა: „შენი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ბატონო კნიაზო დიმიტრი!“

ავტოგრაფის აღწერილობა: შუაზე გადაკეცილი, გახუნებული, მოყავისფრო-მოყვითალო, გაცვეთილი, სიფრიფანა, დიდი ფორმატის ქალაღი; ზომები: გადაუკეცავისა: 42,6X26,3 სმ; გადაკეცილისა: 26,3X21,4 სმ; (I ფურცელი); 26,3X21,2 სმ; (II ფურცელი); შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გაჟღენთილია ფურცლებში; ხელნაწერი დაზიანებულია: I გვერდის მარჯვენა მხარე ჩამოხეულია, ასევე მეორე ფურცლის ქვედა ნაწილი მოხეულია; რესტავრირებულია.

ადრესატის მისამართი: დიმიტრი ჯორჯაძე თემირხანშურაში მსახურობდა. წინამდებარე წერილში არაფერია ნათქვამი მისი შესაძლო გადაადგილების შესახებ, რაც გვავარაუდებინებს, რომ ისიც თემირხანშურაშია გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. კვადრატულ ფრჩხილებში მოთავსებული ასოები არ იკითხება ფურცლის დაზიანების გამო; 2. ფრაზა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 173-174.

გვ. 36,3-4. „**არ მოჰსჩანს პარახოდი მთავარმართებლისა**“ – გრიგოლი ამ დროს ქალაქ პეტროვსკში ელოდა ახალი მთავარმართებლის, ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკის, ჩასვლას.

გვ. 36,11-12. „**ნინიკა[ს] უბძანეთ... კარგი გემოვან-სუნ-ნელ-ამბრიანი ზლუდი იყოს**“ – საუბარია გრიგოლის მსახურ ნინიკა ბაქრაძეზე და გემრიელი, სურნელოვანი და არომატული

საჭმლის მომზადებაზე.

გვ. 36,13. „როგორც ვოლკოვ[მა] უთხრას“ – იგულისხმება დალესტინის სასაზღვრო ხაზის მარჯვენა ფლანგის მეთაური – პეტრე აპოლონის ძე ვოლკოვი.

გვ. 36,16-17. „დააკმიონ ოდიკოლონი, [ან] ამბრე“ – ამბრი ხე იყო, რომელსაც სურნელოვანი ზეთი სდიოდა და საკმევლადაც იყენებდნენ.

გვ. 36,22. „ახვერდოვი მწერს დიდს ყვედრებას“ – სავარაუდოდ, საუბარია იური თევდორეს ძე ახვერდოვზე, რომელიც გრიგოლ ორბელიანთან მსახურობდა დალესტანში.

გვ. 36,23-24. „მთავარმართებელი მაგის სიძე-პიძია იყო“ – იგულისხმება კავკასიის წინანდელი მეფისნაცვალი – ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მურავიოვ-ყარსკი, რომლის პირველი ცოლიც იყო სოფიო თეოდორეს ასული ახვერდოვა, სავარაუდოდ, იური თევდორეს ძე ახვერდოვის ნათესავი.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №38 (432) (გვ. 37-38)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №559, გვ.: 51r-v, 52r.

თარიღი და ადგილი: „28^ა სექტემ: 1856. პეტროვსკით.“

ხელმოწერა: „შენი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ბატონო, კნიაზო დიმიტრი!“

ავტოგრაფის აღწერილობა: შუაზე გადაკეცილი, გახუნებული, ნაცრისფერი, დალაქავებული, თხელი ქაღალდი; ზომები: გადაუკეცავისა: 25,8X20,4 სმ; გადაკეცილისა: 20,4X12,9 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გაჟღენთილია ფურცლებში; ხელნაწერი დაზიანებულია: გადაკეცვის ადგილას ქვემოდან შეხეულია.

ადრესატის მისამართი: დიმიტრი ჯორჯაძე თემირხანშურაში მსახურობდა. წინამდებარე წერილში გრიგოლი მოიკითხავს იქ მომსახურე სამხედრო პირებს: „ვოლკოვი მომიკითხე; რას ვშვრებიან ევდაკიმოვი და ბარონ ნიკოლაი?“ – რაც ადასტურებს, რომ ბარათი გაგზავნილია **თემირხანშურაში**.

შენიშვნები: 1. აქედან მოყოლებული, ყოველი ახალი სტრიქონი ხელნაწერში ბრჭყალებით იწყება, რომელიც სტრიქონის ბოლოს არ იხურება; 2. ღვთით; 3. ღვთის; 4. სიტყვა ხაზგასმულია ავტო-

რის მიერ; 5. წინადადება საზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 174-175.

გვ. 37,2. **„არ მოჰსჩანს მთავარმართებლის პაროხოდი“** – გრიგოლი ქალაქ პეტროვსკში ელოდა ახალი მთავარმართებლის, ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკის, ჩასვლას.

გვ. 37,3-4. **„მაკვირვებს ინდრენიუსის მოუსვლელობა“** – იგულისხმება 1855-1856 წლებში კავკასიის საგანგებო კორპუსის უფროსი – ბარონი ბერნგარდ ემანუილის ძე ინდრენიუსი.

გვ. 37,7. **„კონსტან: თარხნისშვილის წერილი მომივიდა“** – უნდა იგულისხმებოდეს შემახის რაიონის გუბერნატორი კონსტანტინე დავითის ძე თარხნისშვილი.

გვ. 37,25. **„ჩემის ძმისწულის ოპეკუნობისათვის, მოვილაპარაკოთ“** – იგულისხმება გრიგოლის გარდაცვლილი ძმის, ილიას, ვაჟი გიორგი.

გვ. 37,28. **„ძალუა ნინო მწერს შენზედ“** – საუბარია გრიგოლის ბიძის, იაკობის, მეუღლე ნინო მაყაშვილ-ორბელიანისაზე.

გვ. 37,31. **„ვოლკოვი მომიკითხე“** – იგულისხმება დაღესტნის სასაზღვრო ხაზის მარჯვენა ფლანგის მეთაური პეტრე აპოლონის ძე ვოლკოვი.

გვ. 37,31-38,1. **„რას ჰშვრებიან ევდაკიმოვი და ბარონ ნიკოლაი?“** – სავარაუდოდ, საუბარია მე-20 დივიზიისა და კავკასიის სამომარი ხაზის მარცხენა ფლანგის მეთაურზე, გენერალ ნიკოლოზ ივანეს ძე ევდოკიმოვსა და ფლიგელადიუტანტ, ბარონ ლეონტი პავლეს ძე ნიკოლაიზე.

გვ. 38,1. **„როგორ ატარებს დროსა ალასლარბეგი?“** – სავარაუდოდ, საუბარია ყაზიყუმუხის უკანასკნელ ხან ალალარ ბეგზე.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №39 (433) (გვ. 38)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №560, გვ.: 53r-v.

თარიღი და ადგილი: „30^h სექედ: 1856. – 9-ть часов утра.“

ხელმოწერა: „შენი გრიგოლი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ბატონო კნიაზო დიმიტრი!“

ავტოგრაფის აღწერილობა: შუაზე გადაკეცილი, გახუნებული, ნაცრისფერი, დალაქავებული, სიფრიფანა ქალაღდი; ზომები: გადაუკეცავისა: 25,8X20,4 სმ; გადაკეცილისა: 20,4X12,9 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გაჟღენთილია ფურცლებში.

ადრესატის მისამართი: წერილში გრიგოლი საყვედურს გამოთქვამს სერგეის მოუხერხებლობის გამო, რომელმაც ალაღარს ვერ აცნობა თემირხანშურაში ადგილების სიმცირის თაობაზე: „არა, მაგ გიჟმა სერგეიმ, ეს როგორ ვერ მოახერხა, რომ პირველს მოსვლაზევე მოეხსენებინა ალაღარისათვის, რომ ამდენის ცხენოსნისათვის ადგილი არ იშოება შურაში და ამისგამო ჰსჯობს სოფლებში დავარიგოთ.“ ამონარიდიდან ცხადი ხდება, რომ სერგეი და დიმიტრი ერთად იმყოფებოდნენ. აღნიშნულის გათვალისწინებით, წერილი გაგზავნილი უნდა იყოს **თემირხანშურაში**.

შენიშვნები: 1. თარიღი ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 175-176.

გვ. 38,11-12. **„წუხელის მოულოდნელად მოიჭრა აქა ჩვენი ბაგრატიონი მოსკოვიდამ“** – სავარაუდოდ, საუბარია ჭარ-ბელაქნის ოლქის უფროსზე, გენერალ-მაიორ გრიგოლ ივანეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელზე.

გვ. 38,15-16. **„კნიაზ ბარიატინსკი, როგორც ეს ამბობს, მოსკოვიდამ გამოვა ამ თვის 20ს“** – საუბარია კავკასიის მეფისნაცვალ ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკიზე.

გვ. 38,18. **„მიერთონ ვოლკოვმა თავის სტუმრებით“** – საუბარია დაღესტნის სასაზღვრო ხაზის მარჯვენა ფლანგის მეთაურ პეტრე აპოლონის ძე ვოლკოვზე.

გვ. 38,20. **„გიჟმა სერგეიმ, ეს როგორ ვერ მოახერხა“** – სავარაუდოდ, საუბარია შემახიის სამხედრო გუბერნატორ სერგი გაბრიელის ძე ჭილაშვილზე.

გვ. 38,21. **„პირველს მოსვლაზევე მოეხსენებინა ალაღარი-სათვს“** – სავარაუდოდ, საუბარია ყაზიყუმუხის უკანასკნელ ხან ალაღარ ბეგზე.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №40 (434) (გვ. 39)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7516 (ძველი №173), გვ.: 132r-v.

თარიღი და ადგილი: „1^ა ოქტომბერს. – გნყალობდეს მცხეთა. პეტროვსკით.“

ხელმოწერა: „შენი გრიგოლი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო დიმიტრი!“

ავტოგრაფის აღწერილობა: შუაზე გადაკეცილი, ნაცრისფერი, თხელი ქაღალდი; ზომები: გადაუკეცივისა: 25,6X20,2 სმ; გადაკეცილისა: 20,2X12,8 სმ; I და IV გვერდებზე არის წითელი ლუქის პატარა ნარჩენები; შესრულებულია შავი მელნით; IV გვერდზე ფანქრით, უკუღმა, სავარაუდოდ, დიმიტრი ჯორჯაძის ხელით, მიწერილია ლექსი:

„ვით ქარიშხალი ღრუბელთა მიფანტ მოჰფანტავს ცის
იმგრგვლივ

ზოგთა შეუცვლის სახესა ზოგთა ცის ძირით განაძებს
ეგრეთ ახალმა სარდალმა სცვალა ყოველნი თვის იმგრგვლივ
მალიად მოვალს კავკასსა და ენახოთ რა გვართ განაგებს.“

ადრესატის მისამართი: წინამდებარე წერილშიც გრიგოლი აგრძელებს საყვედურების გამოთქმას სერგეის საქციელის გამო: „მაგ მხეცსა, მაგ უგუნურს მთიულსა, როგორ ვერ ურჩიე, რომ რიგი, წესი, ზდილობა და თვთ სამსახურისაგამო მოვალეობაცა, მოითხოვენ, რომ მისუღიყო და ენახა, ანუ გაეცნა ვოლკოვიცა, ევდაკიმოვიცა და ბარონ ნიკოლაიცა?“ წინა დღეს გაგზავნილი წერილიდან კი ვიგებთ, რომ სერგეი თემირხანშურაში იმყოფებოდა. აღნიშნულის გათვალისწინებით, საანალიზო წერილიც გაგზავნილი უნდა იყოს **თემირხანშურაში**.

შენიშვნები: 1. სიტყვა ჩამატებულია ავტორის მიერ; 2. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

დათარიღება: წერილი გაგზავნილია პეტროვსკიდან 1-ლ ოქტომბერს, ჩვენ კი თარიღიანი წერილებიდან ვიცით, რომ გრიგოლ ორბელიანი პეტროვსკში მეფისნაცვლის ჩასვლას ელოდა 1856 წლის ოქტომბრის დასაწყისში (7 სექტ.: „მთავარმართებელი მოვა ხასავიურთსა ამთვის გასულს“, 30 სექტ.: „კნიაზ ბარიატინსკი... მოსკოვიდამ გამოვა ამ თვის 20^ა; მამასადაამე, აქ მობძანდება 2^ა 3^ა

ანუ 4^ბ ოკდომბერსა“).

1856 წლის 30 სექტემბრის წერილშიც არის გამოთქმული უკმაყოფილება ალაღარ ბეგის და მისი ამაღლის შურაში გაჩერებით. შდრ.: „როგორ ატარებს დროსა აღასლარბეგი? – მაგრამ რა ღთის რისხუა ასის ცხენოსნის კაცისა მანდ შენახვა“ / „რომ მოსულა მანდა და ოთხს კედელსშუა ჩამჯდარა თავის აყროლე-ბულის ნოქრებითა, მითომ რა ლაზათი ჰგონია?“

1856 წელზევე მიგვანიშნებს წინამდებარე წერილის ერთი პასაჟის შინაარსობრივი სიახლოვე 1856 წლის 30 სექტემბრის ბარათთან: „გთხოვ დაიბარო სერგეია, და გამოიანგარიშოთ ამ მირზა ვექილოვთან, რა მოუნდებათ დღეში და ანუ რით წავლენ იოლათა ალაღარის ნოქრები და თვთ ალაღარიც.“ / „არა, მაგ გიჟ-მა სერგეიმ, ეს როგორ ვერ მოახერხა, რომ პირველს მოსვლაზევე მოეხსენებინა ალაღარისათვის, რომ ამდენის ცხენოსნისათვის ადგილი არ იშოება შურაში.“ შესაბამისად, **1-ლ ოქტომბერში 1856 წელი უნდა იგულისხმებოდეს.**

გვ. 39,1. „**მაგ უგუნურს მთიულსა**“ – როგორც 29 და 30 სექტემბრის წერილებისა და წინამდებარე ბარათის კონტექსტიდან ჩანს, უნდა იგულისხმებოდეს ყაზიყუმუხის უკანასკნელი ხანი ალაღარ ბეგი.

გვ. 39,4. „**გაეცნა ვოლკოვიცა, ევდაკიმოვიცა და ბარონ ნიკოლაიცა**“ – იგულისხმება დაღესტანში მომსახურე სამხედრო მაღალჩინოსნები: პეტრე აპოლონის ძე ვოლკოვი, ნიკოლოზ ივანეს ძე ევდოკიმოვი და ლეონტი პავლეს ძე ნიკოლაი.

გვ. 39,7. „**გთხოვ დაიბარო სერგეია**“ – სავარაუდოდ, საუბარია შემახიის სამხედრო გუბერნატორ სერგი გაბრიელის ძე ფილაშვილზე.

გვ. 39,7-8. „**გამოიანგარიშოთ ამ მირზა ვექილოვთან, რა მოუნდებათ დღეში**“ – საუბარია თარჯიმან მირზა ვექილოვზე.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №41 (435) (გვ. 39-40)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №561, გვ.: 54r-v.
თარიღი და ადგილი: „ნ^ბ ოკდომ: 1856. პეტროვსკით ათი საათი. დილისა.“

ხელმოწერა: „შენი გრიგოლი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო დემეტრე!“

ავტოგრაფის აღწერილობა: შუაზე გადაკეცილი, გახუნებული, ნაცრისფერი, დალაქავებული, სიფრიფანა ქალაღი; ზომები: გადაუკეცავისა: 25,8X20,4 სმ; გადაკეცილისა: 20,4X12,8 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გადასულია გვერდებში. **ადრესატის მისამართი:** წინამდებარე წერილში გრიგოლი მოიხსენიებს ევდოკიმოვს, რომელიც წინა ბარათებშიც იხსენიება და ვიცით, რომ იგი დიმიტრისთან ერთად იმყოფებოდა თემირხანშურაში. აღნიშნულის გათვალისწინებით, საანალიზო წერილიც გაგზავნილი უნდა იყოს **თემირხანშურაში**.

შენიშვნები: 1. ფრაზა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განწერელის რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ. 176

გვ. 39,15. „**მთავარმართებელი არცა გუშინ მობძანდა**“ – საუბარია კავკასიის მეფისნაცვალ ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკიზე.

გვ. 39,25. „**სიტყვისაებრ ცხონებულისა აბრამასი**“ – სავარაუდოდ, საუბარია გრიგოლის ნაყმევზე, რომელიც სხვა წერილებშიც იხსენიება.

გვ. 40,5. „**წინიკას უბძანე**“ – საუბარია გრიგოლის მსახურ წინიკა ბაქრაძეზე.

გვ. 40,5. „**ღენერალს ევდაკიმოვს არა დააკლდესრა**“ – სავარაუდოდ, საუბარია მე-20 დივიზიისა და კავკასიის საომარი ხაზის მარცხენა ფლანგის მეთაურზე, გენერალ ნიკოლოზ ივანეს ძე ევდოკიმოვზე.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №42 (436) (გვ. 40-41)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7516 (ძველი №173), გვ. 163r.

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო დემეტრე!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, თეთრი ფერის, საშუალო სისქის, მელნით დასვრილი, შელახული ქალაღი; ზომა: 24,9X21,2 სმ; შესრულებულია დიდი ასოებით, მუქი ლურჯი მელნით, რომლითაც გაჟღენთილია ფურცელი.

ადრესატის მისამართი: დიმიტრი ჯორჯაძე თემირხანშურაში მსახურობდა. წინამდებარე წერილში არაფერია ნათქვამი მისი შესაძლო გადაადგილების შესახებ, რაც გვავარაუდებინებს, რომ ისიც **თემირხანშურაშია** გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. აქ ჯერ „შეჩი“ დაუნერია და შემდეგ „შ“ „რ“-დ გადაუკეთებია; 2. ამის შემდეგ სიტყვა მელნითაა გადახაზული და არ იკითხება; 3. ამის ქვეშ ლურჯი მელნით სქელი ხაზია გასმული.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ. 179.

დათარილება: გრიგოლ ორბელიანი მთავარმართებელ ბარიატინსკის პეტროვსკში დახვდა 1856 წელს. წინამდებარე წერილიდან ჩანს, რომ მათი პირველი შეხვედრა უკვე შედგა, მაგრამ ბარიატინსკის საქართველოსკენ გამგზავრება ნახსენები არ არის. შესაბამისად, ეს წერილი დაწერილი უნდა იყოს 6 ოქტომბრის ბარათის შემდეგ, სადაც ნათქვამია, რომ მთავარმართებელი ჯერ არ იყო ჩასული პეტროვსკში („არცა დღეს მოჩანს ზღუაში პარახოდი მისი“), და 22 ოქტომბრის წერილამდე, სადაც უკვე საუბარია მის გამგზავრებაზე თბილისისკენ („მოდის თქვენკენ მთავარმართებელი“). შესაბამისად, უთარილო **ბარათი დაწერილი უნდა იყოს 1856 წლის 6-დან 22 ოქტომბრამდე.**

გვ. 40,14-15. „მოვახსენე მთავარმართებელსა პეტროვსკში“ – 1856 წლის ოქტომბერში მეფისნაცვალის ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკი გემით ჩავიდა პეტროვსკში.

გვ. 40,24. „და რადუეტე სერდცე ცარია“ – რუსეთის იმპერატორი იმ დროს იყო ალექსანდრე II.

ყაფლან ორბელიანისადმი №10 (437) (გვ. 41-42)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №393, გვ.: 12r-v, 13r-v.

თარიღი და ადგილი: „22^ა ოკდომ: 1856“

ხელმოწერა: „შენი ძმა გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო ძმაო ყაფლან!“

ავტოგრაფის აღწერილობა: შუაზე გადაკეცილი, გაცრეცილი, გაყვითლებული, გაცვეთილი, თხელი ქაღალდი; ზომები: გადაუკე-

ცავისა: 27X21,7 სმ; გადაკეცილისა: 21,7X13,4 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომლითაც დასვრილი და გაჟღენთილია გვერდები; ხელნაწერი რესტავრირებულია.

ადრესატის მისამართი: წერილში გრიგოლი ყაფლანს აცყობინებს მთავარმართებელ ბარიატინსკის მოსვლის თაობაზე: „მოდის თქვენკენ მთავარმართებელი კნიაზი ბარიატინსკი.“ „თქვენკენ“ სიტყვის ქვეშ, ცხადია, **თბილისი** იგულისხმება და წერილიც იქ უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. თარიღი საზგასმულია ავტორის მიერ; 2. ღვთისაგან; 3. ღმერთმან; 4. ამ ადგილას მელანია დასხმული.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 179-180.

გვ. 41,12. „**მოდის თქვენკენ მთავარმართებელი კნიაზი ბარიატინსკი**“ – მეფისნაცვალი ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკი 1856 წლის ოქტომბერში გაემგზავრა დაღესტნიდან თბილისისაკენ.

გვ. 41,17-18. „**ველმწიფესა... ჰყუარებია საქართველო**“ – რუსეთის იმპერატორი იმ დროს იყო ალექსანდრე II.

გვ. 41,23-24. „**შენც კარგად ახსოვხარ, და ჩვენი ბიძია ალექსანდრეცა**“ – სავარაუდოდ, საუბარია ალექსანდრე (თორნიკე) იესეს ძე ქსნის ერისთავზე.

გვ. 41,24-25. „**შენებურად წინ მიეგებე ცხენით ბარამჯიბილსავით**“ – იგულისხმება დავით ორბელიანის მიერ სპარსულიდან ნათარგმნი ეპიკური თხზულების, „ყარამანიანის“, ერთ-ერთი გმირი რაინდი.

გვ. 41,29. „**გიჟი ნიკო თუ მანდ იყოს**“ – სავარაუდოდ, საუბარია ლეიბ-გვარდიის კაზაკთა პოლკის პორუჩიკ ნიკოლოზ ზურაბის ძე ჭავჭავაძეზე.

გვ. 42,7. „**ძალები მომიკითხე**“ – „ძალებად“ ორბელიანის წერილებში მოხსენიებულია როგორც რძლები, ისე ბიცოლები.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №43 (438) (გვ. 42-43)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №562, გვ.: 55r-v, 56v.

თარიღი და ადგილი: „28^ს ოკდომ: 1856. შურით.“

ხელმოწერა: „შენი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო დიმიტრი!“

ავტოგრაფის აღწერილობა: შუაზე გადაკეცილი, გაცრეცილი, გახუნებული, გაყვითლებული, დალაქავებული, თხელი ქალაღი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,8X21,8 სმ; გადაკეცილისა: 21,8X13,4 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით; ხელნაწერი რესტავრირებულია; 56v გვერდზე ადრესატისადმი მიძღვნაა.

ადრესატის მისამართი: საანალიზო წერილიდან ირკვევა, რომ გრიგოლი უკვე თემირხანშურაშია და ბარათსაც აქედან აგზავნის. დიმიტრი ჯორჯაძისადმი მიწერილი წინა წერილებიდან ვიცით, რომ ის თემირხანშურაში იმყოფებოდა. როგორც ჩანს, გრიგოლი დიმიტრის მისი ავადმყოფობის გამო ვერ ნახულობდა და მასთან ურთიერთობას წერილის საშუალებით ამყარებდა. ასე რომ, ბარათი **თემირხანშურაშივე** უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1-2. ღმერთმან; 3. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ. 180.

გვ. 42,12. „**მთავარმართებელი გავაცილე ბაქომდის**“ – იგულისხმება კავკასიის მეფისნაცვალი ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკი.

გვ. 42,24-25. „**შენი ზაპისკა დერბენდის ლუბერნიისათვის წაუკითხე – ჯავაირსავით**“ – დიმიტრი ჯორჯაძის დაწერილ პროექტს ორბელიანი ძვირფას თვალს ადარებს.

გვ. 42,25-26. „**ინდრენიუსმაცა მითხრა დიდი ქება შენის ზაპისკისა**“ – იგულისხმება კავკასიის საგანგებო კორპუსის უფროსი – ბარონი ბერნგარდ ემანუილის ძე ინდრენიუსი.

გვ. 42,27. „**შენს მწერალსაც – მგონია ბეგანოვს – მედელი გამოუვიდა**“ – სამხედრო მოსამსახურის სახელი უცნობია.

გვ. 42,28. „**ეგრეთვე ჩვენს მირზას უსუფას**“ – იგულისხმება მირზა ვექილოვი, მეხთულის სახანოს თარჯიმანი და გრიგოლ ორბელიანის მდივანი.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №44 (439) (გვ. 43-44)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7516 (ძველი №173), გვ.: 142r-v, 143r-v.

თარიღი და ადგილი: „29^ა ოკტომ.“

ხელმოწერა: „შენი გრიგოლი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო დიმიტრი!“

ავტოგრაფის აღწერილობა: შუაზე გადაკეცილი, გაცრეცილი, ლურჯი ფერის, თხელი, მელნით დასვრილი ქალაღი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,6X20,3 სმ; გადაკეცილისა: 20,3X13,3 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით.

ადრესატის მისამართი: დიმიტრი ჯორჯაძე თემირხანშურაში მსახურობდა. წინამდებარე წერილში არაფერია ნათქვამი მისი შესაძლო გადაადგილების შესახებ, რაც გვავარაუდებინებს, რომ ისიც **თემირხანშურაშია** გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. კვადრატულ ფრჩხილებში მოთავსებულ ადგილას მელანია დასხმული და ასო არ იკითხება; 2. ხელნაწერში წერია „მოიჯადარენნი“; 3. აქ ჯერ დაუნერია „ჰსურსთ ალება“, შემდეგ გადაუხაზავს და ზემოდან დაუნერია „აულია“; 4. „მანყოთანისა“ წერებულა და „სა“ კალმით გადაუხაზავს; 5. „სხვათა“ წერებულა და „თა“ კალმით გადაუხაზავს; 6. მართალია, „დ“-ს ადგილას მელანია დასხმული, მაგრამ „დ“ იკითხება; 7. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

დათარიღება: 29 ოქტომბრით დათარიღებულ ამ წერილში მოხსენიებული მოვლენები ეხმიანება გრიგოლ ორბელიანის 1956 წლის ოქტომბრის წერილებში აღწერილ ამბებს. 28 ოქტომბერს ამავე ადრესატს – დიმიტრი ჯორჯაძეს ორბელიანი სწერს: „რა დაგემართა აქამდის, რომ ვერ განთავისუფლდი მაგ ციებ-ციხელებისაგან?“ წინამდებარე ბარათში კი ვკითხულობთ: „როგორა ხარ... მოდიხარ ღონეზედ, თუ ჯერ ვერა?“ 1856 წლის 28 ოქტომბრის ბარათში ნახსენებია დიმიტრის „ზაპისკა დერბენდის ლუბერნიისათვის“, 29 ოქტომბრისაში კი ვკითხულობთ: „აბა ერთი მოიფიქრე, და შეადგინე ახალი პროექტი“; 28 ოქტომბრის ბარათის მიხედვით, გრიგოლი ესაუბრა 1855-1856 წლებში კავკასიის საგანგებო კორპუსის უფროს ბარონ ბერნგარდ ემანუილის ძე ინდრენიუსს: „ინდრენიუსმაცა მითხრა დიდი ქება შენის ზაპისკისა“, 29 ოქტომბერს დაწერილ წინამდებარე ბარათში კი ვკითხულობთ: „მთავარმართებელმა, ჩემის თხოვნით, უბრძანა ენდრენიუსს“. ბერნგარდ ინდრენიუსი, წინამდებარე ბარათის გარდა, სულ ორჯერ არის ნახსენები გრიგოლის წერილებში. ერთხელ 1856 წლის სექტემბრისაში, მეორეჯერ კი – იმავე წლის ოქტომბრისაში. სხვა

შეხება ამ პირთან, სავარაუდოდ, ორბელიანს აღარც ექნებოდა, რადგან 1856 წლის ნოემბერში იგი უკვე ფინეთის სანკტ მიხეილის გუბერნიის გუბერნატორად დაინიშნა. 1856 წლის 28 ოქტომბრის ბარათიდან ვიგებთ, რომ გრიგოლს მთავარმართებელი ბაქომდე გაუცილებია და შემდეგ დაბრუნებულა თემირხანშურაში („მთავარმართებელი გავაცილე ბაქომდის“). წინამდებარე წერილის ფრაზა „ყუბაში მოვიდნენ ჩემთან მოიჯარადენნი“, მიგვანიშნებს, რომ გრიგოლი ყუბაში ახალნამყოფია. საგულისხმოა, რომ აზერბაიჯანის ქალაქი ყუბა მდებარეობს სწორედ ბაქოდან თემირხანშურისკენ (ამჟამად ბუინაქსკი) მიმავალ გზაზე. შესაბამისად, წერილში მოხსენიებული ყველა ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ **იგი 1856 წლის 29 ოქტომბერს უნდა იყოს დაწერილი.**

გვ. 43,10. „**მთავარმართებელმა მიბრძანა**“ – იგულისხმება კავკასიის მეფისნაცვალ ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკი.

გვ. 43,21. „**კრუზენშტერნს ეხლავ მისწერე**“ – სავარაუდოდ, იგულისხმება ალექსი თეოდორეს ძე კრუზენშტერნი, რომელიც მოგვიანებით დაინიშნა კავკასიის მეფისნაცვლის სამოქალაქო სამმართველოს უფროსად.

გვ. 43,22-24. „**со необходимостью наградить землями Ага мирзу, Абдуллу и еще кого-то, по нашей докладной записке**“ – საუბარია თარჯიმან მირზა ვეჟილოვსა და დალესტინის ცხენოსანთა არარეგულარული პოლკის პორუჩიკ აბდულხალილზე.

გვ. 43,27. „**აულიათ იჯარად სულეიმანყოთან**“ – შესაძლოა, საუბარი იყოს დარლოს სოფელ სულეიმან-კენდზე.

გვ. 44,6. „**ჩვენის ღამაზოვის დედას, ანუ მამას მისწერე**“ – სავარაუდოდ, საუბარია მათე აბელის ძე ღამაზოვის მშობლებზე.

გვ. 44,8. „**უბრძანა ენდრენიუსს ველმწიფესთან წარდგენა**“ – იგულისხმება კავკასიის საგანგებო კორპუსის უფროსი – ბარონი ბერნგარდ ემანუილის ძე ინდრენიუსი და რუსეთის იმჟამინდელი იმპერატორი ალექსანდრე II.

ქეთევან ორბელიანისადმი №96 (440) (გვ. 44-45)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №353, გვ. 134r.

თარიღი და ადგილი: „9^ა ნოემბ: 1856. შურით.“

ხელმოწერა: „თქუენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან!“

ავტოგრაფის აღწერილობა: შუაზე გადაკეცილი, გაცრეცილი, გახუნებული, ცისფერი, თხელი ქაღალდი; ზომები: გადაუკეცავისა: 27X20,6 სმ; გადაკეცილისა: 20,6X13,5 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომლითაც ალაგ-ალაგ დასვრილია ხელნაწერი.

ადრესატის მისამართი: ქეთევან ალექსი-მესხიშვილი-ორბელიანისა თბილისში ცხოვრობდა. წერილში გრიგოლი მოიკითხავს იქ მცხოვრებ ახლო ნათესავეებს, რაც ადასტურებს, რომ ბარათი გაგზავნილია **თბილისში**.

შენიშვნები: 1. ღმერთმან; 2. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განწერელის რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ. 181.

გვ. 44,18. **„ბაბალეს დაქორწინება მიამა“** – საუბარია გრიგოლის დისწულ ბარბარე მელიტონის ასულ ბარათაშვილზე.

გვ. 44,20. **„შეაყვარებს თავისთავსა თავის ქმარსა“** – იგულისხმება დიმიტრი გიორგის ძე ვეზირიშვილი.

გვ. 44,24-25. **„მირზოევს... დიდის მადლობით მივართმევ ფულსა“** – საუბარია თბილისელ ვაჭარ ივანე (ოვანეს) მინაის (მინასის) ძე მირზოევზე (მიზოევი, მირზოიანი), რომლისგანაც ისესხა გრიგოლმა ბარბარესთვის მისაცემი თანხა.

გვ. 45,2. **„ძალუა ნინო მომიკითხეთ“** – საუბარია გრიგოლის ბიძის, იაკობის, ცოლზე – ნინო მაცაშვილ-ორბელიანისაზე.

გვ. 45,3. **„ჩემი საყუარელი ძმა ყაფლან მისის ქულქათით“** – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ყაფლან ასლანის ძე ორბელიანსა და მის ოჯახზე.

ალექსანდრე საგინაშვილისადმი №4 (441) (გვ. 45-46)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №417, გვ.: 11r-v, 12r. **თარიღი და ადგილი:** „9^ა ნოემბერს 1856. შურით.“

ხელმოწერა: „შენი ძმა გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო ძმაო ალექსანდრე!“

ავტოგრაფის აღწერილობა: შუაზე გადაკეცილი, ცისფერი, დალა-

ქავებული ქალაღდი; ზომები: გაღაუკეცავისა: 26,8X20,6 სმ; გაღაკეცილისა: 20,6X13,4 სმ; შესრულებულია მუქი შავი მეღნით, რომლითაც დასვრილი და გაჟღენთილია გვერდები.

აღრესაღის მისაღმართი: წერიღში გრიგოღი აღექსანდრეს ეკითხეღა ახალი მთავარმართებღის თბიღისში მიღების თაობაზე, რაც გვავარაუღებინებს, რომ ბარათი გაგზავნიღია **თბიღისში:** „აბა, ახღა მომწერე დანვრიღებით, როგორ მიიღო თბიღისმა, და ან რა ცერემონიით შემოვიღა ქალაქში?“ ამონარიღში გამოყენებული ზმნის ფორმაც („შემოვიღა“) ამ ვარაუღს ადასტურებს.

შენიშვნები: 1. ღმერთმან; 2. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 12v გვერდზე რუსულად სხვისი ხელით მიწერიღი და შემდეგ ფანქრით გაღახაზულია შემდეგი სინტაქსურად გაუმართავი რუსული ფრაზა: „Прапорщик меишь Грагпоз цалуете прелесною ружью розью – бадали.“ გვერღის ბოღოს ფანქრით მიწერიღია „1856“.

პირვეღი პუბღიკაცია: გრიგოღ ორბელიანი, წერიღები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემღობა, 1937, გვ.: 181-182.

გვ. 45,9. „რათა მივიღო ოპეკუნობა ჩემს ძმისწულზეღა“ – საუბარია გრიგოღის გარდაცვღიღი ძმის, იღიას, ვაჟ გიორგიზე.

გვ. 45,22. „ახღა მოვიღეთ ჩვენს მთავარმართებღლთან“ – იგუღისხმება კავკასიის მეფისნაცვაღი აღექსანდრე ივანეს ძე ბარიაღინსკი.

გვ. 45,27. „ღთმან აკურთხოს ჴელმწიფე“ – რუსეთის იმპერატორი იმ დროს იყო აღექსანდრე II.

გვ. 46,11. „ჩემს საყუარელს თვალის ჩინს ბაბაღეს შუბღზეღ ჩავკოცნი“ – საუბარია აღრესაღის მეუღღეზე და გრიგოღის ბიძაშვიღ ბარბარე სამარაგღონის ასულ ორბელიან-საგინაშვიღისაზე.

გვ. 46,12. „ჩემი ძალუა... ეღისაბედ სიყუარულით მომიკითხე“ – იგუღისხმება გრიგოღის ბიძის, სამარაგღონ ორბელიანის, მეუღღე ეღისაბედ სოღომონის ასული ავაღიშვიღი.

ღმიღტრი ჯორჯაღისაღმი №45 (442) (გვ. 46)

ავტოგრაფი: A: ფონღი 5, აღწერა 1, საქმე №7516 (ძვეღი №173), გვ. 127r.

ხელმოწერა: „მენი გრიგოღი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „...დიმიტრი...“

ავტოგრაფის აღწერილობა: შუაზე გადაკეცილი, მოყვითალო ფერის ქალაღდი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,6X21,6 სმ; გადაკეცილისა: 21,6X13,3 სმ; 126r-v გვერდებზე დიმიტრი ჯორჯაძის წერილია გრიგოლ ორბელიანისადმი. ნაწერი შესრულებულია შავი მელნით და იმდენად გაურკვეველად, რომ შეუძლებელია მისი ამოკითხვა. ამას მოსდევს 127r გვერდზე გრიგოლის პასუხი, რომელიც დაწერილია ლურჯი მელნით.

ადრესატის მისამართი: დიმიტრი ჯორჯაძე თემირხანშურაში მსახურობდა. წინამდებარე წერილში არაფერია ნათქვამი მისი შესაძლო გადაადგილების შესახებ, რაც გვავარაუდებინებს, რომ ისიც თემირხანშურაშია გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. ღმერთმან; 2. ეს ფრაზა შავი მელნით წერია.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

დათარიღება: წერილში ნახსენებია გრიგოლის დისწულ ბარბარე ბარათაშვილის დაქორწინება დიმიტრი გიორგის ძე ვეზირიშვილზე. 1856 წლის 27 აგვისტოს წერილში გრიგოლმა თანხმობა შეუთვალა თავის რძალს – ქეთევანს, რომ ბარბარე გაეთხოვებინათ („ბაბაღეს გათხოებისათვის ითხოვთ ჩემს თანხმობას... ჩემის მხრით, მიკუთრებულია მაგისი გვირგვინი“), იმავე წლის 9 ნოემბრის წერილიდან თავისი რძლის ქეთევანისადმი კი ჩანს, რომ ბარბარეს გათხოვება ახალგაგებული აქვს („ბაბაღეს დაქორწინება მიამაძალიან“). შესაბამისად, უნდა ვიფიქროთ, რომ თავის ახლობელსა და თანამშრომელს – დიმიტრი ჯორჯაძეს, რომელთანაც ხშირი მიმონერა ჰქონდა, ამ ამბავს პირველსავე წერილში შეატყობინებდა. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ **ბარათი 1856 წლის ნოემბრის პირველ ნახევარშივე უნდა იყოს დაწერილი.**

გვ. 46,20. „ჩემი დისწული ბაბაღე დაუქორწილებიათ ვეზიროვზედ“ – საუბარია ბარბარე მელიტონის ასულ ბარათაშვილსა და დიმიტრი გიორგის ძე ვეზირიშვილზე.

ყაფლან ორბელიანისადმი №6 (443) (გვ. 47)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №394, გვ.: 14r-v.

თარიღი და ადგილი: „16 ნოემბერს 1856. შურით.“

ხელმოწერა: „შენი ბედნიერების მოსურნე გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო თვალის ჩინო, ძმაო ყაფლან!“

ავტოგრაფის აღწერილობა: შუაზე გადაკეცილი, გაცრეცილი, თერთრი ფერის, თხელი ქაღალდი; ზომები: გადაუკეცავისა: 27X20,6 სმ; გადაკეცილისა: 20,6X13,5 სმ; შესრულებულია შავი მელნით, სუფთად; მეორე ფურცელი ჰორიზონტალურად შუაზეა გახეული.

ადრესატის მისამართი: **წერილის** შინაარსიდან ირკვევა, რომ ყაფლანი იმყოფებოდა **თბილისში**. გრიგოლი მას სწერს: „ათასი თვალი, ყური მაქუს მე მანდა თქვენშორის თბილისში!“

შენიშვნები: 1. სიტყვა ჩამატებულია ავტორის მიერ; 2. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამოცემლობა, 1937, გვ.: 182-183.

გვ. 47,2-3. **„დარბაისულად, ბარამჯიბილ-მშვენიერ-ჩინებულად“** – შედარებულია დავით ორბელიანის მიერ სპარსულიდან თარგმნილი ეპიკური თხზულების – „ყარამანიანის“ – ერთ-ერთ რაინდთან.

გვ. 47,3-4. **„გასულხარ მთავარმართებლის მისაგებებლად“** – იგულისხმება კავკასიის მეფისნაცვალი ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკი.

გვ. 47,4-5. **„როგორც შეეფერება შენს ოჯახსა და მამის შენის შვილსა!“** – ყაფლანს ცოლად ჰყავდა ელისაბედ ივანეს ასული ბარათაშვილი და ჰყავდა სამი შვილი: ელენე, ნინო და დავითი. მისი მამა – ასლან ნიკოლოზის ძე ორბელიანი გრიგოლის ღვიძლი ბიძა იყო.

გვ. 47,8-9. **„შენა და ალექსანდრე თარხნისშვილი ყოფილხართ“** – სავარაუდოდ, საუბარია გორის თავადაზნაურობის წინამძღოლ ალექსანდრე დავითის ძე თარხნისშვილზე.

გვ. 47,16. **„ჩვენი გიჟი ნიკო სად იყო?“** – სავარაუდოდ, საუბარია ლეიბ-გვარდიის კაზაკთა პოლკის პორუჩიკ ნიკოლოზ ზურაბის ძე ჭავჭავაძეზე.

გვ. 47,18. **„თავით ფეხამდის ჯავაირი“** – ორბელიანი ბარიატინსკის ძვირფას თვალს ადარებს.

გვ. 47,23-24. **„ძალეუბი ქეთევან, ბარბარე, ნინო“** – სავარაუდოდ, საუბარია გრიგოლის რძლებზე – ქეთევან დიმიტრის ასულ ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისაზე, ბარბარე ილიას ასულ

ბაგრატიონ-ორბელიანისაზე და ბიცოლაზე – ნინო მაყაშვილ-ორბელიანისაზე.

გვ. 47,24. „ჩემი გიორგი ჩამიკოცნე“ – საუბარია გრიგოლის გარდაცვლილი ძმის, ილია ორბელიანის, ვაჟ გიორგიზე.

ქეთევან ორბელიანისადმი №97 (444) (გვ. 48)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №354, გვ.: 135r-v.

თარიღი და ადგილი: „27 ნოემბ: 1856. თემირხანშურით.“

ხელმოწერა: „თქუენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან!

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, გახუნებული, ცისფერი, თხელი ქალაღი; ზომა: 20,6X13,5 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გაჟღენთილია ფურცელში.

ადრესატის მისამართი: ქეთევან ალექსი-მესხიშვილი-ორბელიანისა თბილისში ცხოვრობდა. წერილში გრიგოლი რძალს ეკითხება თბილისის ახალი ამბების შესახებ, რაც ადასტურებს, რომ ადრესატი ამ დროს იმყოფებოდა **თბილისში:** „ძალუავ, რატომ არა მწერთ, რა ამბავია თქვენს ქალაქში? რას ამბობენ ახლის მმართველობისათვის, და ანუ რა ცვლილება არის მანდა?“

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. ღვთით; 3. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ. 183.

გვ. 48,2. „წერილს მოგართმევს ჩვენი პეტრე აფიცარი“ – სავარაუდოდ, საუბარია პეტრე კოპიაშვილზე.

გვ. 48,3-4. „გამომიგზავნია კურიერად... მთავარმართველთან“ – იგულისხმება კავკასიის მეფისნაცვალ ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკი.

გვ. 48,8. „გულ-ტრედის ქეთევანისებურად“ – „გულტრედ ქეთევანს“ გრიგოლი უწოდებს მამუკა (მაკარ) თამაზის ძე ორბელიანის ცოლს – ქეთევან გიორგის ასულ ერისთავს, რომელსაც, როგორც ამ წერილიდან ირკვევა, ეხერხებოდა ყოველგვარი ახალი ამბის დაწვრილებით აღწერა.

გვ. 48,10. „**ძალუა ნინა და თამარ წყნარი სიყუარულით მომიკითხე**“ – საუბარია გრიგოლის ბიძის, იაკობ ორბელიანის, მეუღლეზე – ნინო მაცაშვილ-ორბელიანისაზე და ქალიშვილზე – თამარ ორბელიან-სანკოვსკისაზე.

გვ. 48,11. „**ყაფლან მისის ქულქათით**“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ყაფლან ასლანის ძე ორბელიანსა და მის ოჯახზე.

ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისადმი №3 (445) (გვ. 48-49)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 99r-v.

თარიღი და ადგილი: „28^ა ნოემბ: 1856 წელს – თემირხანშურით.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „უმონყალესო დაო ჩემო ეკატერინავ!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაყვითლებული, საშუალო სისქის ქაღალდი; ზომა: 34,5X21,5 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით; ადგილ-ადგილ არის გადახაზული და ჩამატებული ადგილები; ფურცელი ზედა მხარეს, პატარა ადგილას, გახვრეტილია.

ადრესატის მისამართი: წერილის შინაარსიდან ირკვევა, რომ ეკატერინე **მოსკოვში** იმყოფებოდა: „მოსკოვიდამ მივიღე თქვენგან ერთი, მხოლოდ ერთი, ისიც მეტად პანანა ბარათი, რომელიცა ვერ ეკმარა ჩემს გამგელებულს სურვილსა: მე მინდა ვიცოდე სრულის დანვრილებით, როგორ გაბრძანდით მენგრელით; ზღუაზედ როგორ ვჰლეთ; მოსკოვში როგორ მიბრძანდით.“

შენიშვნები: 1. ღვთისაგან; 2. ღვთისა; 3. პირველი ასო ასომთავრულია; 4. ჯერ დაუნერია „ყოველ“, მერე გადაუშლია და გვერდზე მიუწერია „თვთოეული“; 5. ეს სიტყვა ჩამატებულია ავტორის მიერ; 6. ამ ადგილას ფურცელი ამოხეულია და „ა“ არ იკითხება; 7. ღვთის; 8. პირველი ასო ასომთავრულია; 9. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განწერელის რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 183-184.

გვ. 48,16. „**უმონყალესო დაო ჩემო ეკატერინავ!**“ – წერილის ადრესატია სამეგრელოს დედოფალი, გრიგოლ ორბელიანის ნათესავი და ახლობელი – ეკატერინე ალექსანდრეს ასული

ჭავჭავაძე-დადიანისა.

გვ. 48,18-19. „**დიდის იმპერატორისა წყალობითა**“ – იმ დროისათვის რუსეთის იმპერატორი იყო ალექსანდრე II.

გვ. 48,19. „**თქვენის შვილების სიცოცხლითა**“ – იმ დროისათვის ეკატერინე ჭავჭავაძე უკვე დაქვრივებული იყო. მას პირველი სამი შვილი მცირეწლოვან ასაკში დაეღუპა და იმ დროისათვის ჰყავდა ორი ვაჟი (ნიკოლოზი (1847-1903) და ანდრია (1850-1910) და ორი ქალიშვილი (სალომე (1848-1913) და თამარი (1853-1859)).

გვ. 48,20-21. „**გასახარებლად თქვენთა ნათესავთა, რომელთაგან პირველი ვარი მე**“ – ეკატერინეს დედის, სალომე იოანეს ასული ორბელიანისა, და გრიგოლ ორბელიანის პაპები, დავითი და ნიკოლოზი, ძმები იყვნენ.

გვ. 49,13-14. „**თქვენმა თავდადებით ერთგულმა პეტრე კოპიაშვილმა გამაბედვინა**“ – გრიგოლთან მომსახურე ეს ოფიცერი, როგორც ირკვევა, ადრე ეკატერინეს ოჯახში მსახურობდა.

გვ. 49,20. „**შამილა ძალიან მიჩუმებულია**“ – საუბარია ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამზე.

გვ. 49,22. „**სოფელს ავთურის სიახლოეს ააშენებენ ციხესა**“ – ეს სოფელი მდებარეობს ჩეჩნეთში, მდინარე სუნჟის აუზში.

გვ. 49,25. „**თუ მთავართებელმა ინება**“ – იგულისხმება კავკასიის მეფისნაცვალ ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკი.

ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №13 (446) (გვ. 50)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 98r-v.

თარიღი და ადგილი: „28 ноябр: 1856 Темир хан шура.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „К: Александру Ивановичу Барятинскому.“ / „... Ваше С^{во}...“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაყვითლებული, საშუალო სისქის ქაღალდი; ზომა: 34,4X21,3 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით, ლამაზი კალიგრაფიით.

ადრესატის მისამართი: ამ დროისთვის ალექსანდრე ბარიატინსკი უკვე მეფისნაცვლის თანამდებობაზე მუშაობდა და ცხოვრობდა **თბილისში**. შესაბამისად, წერილი იქ უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. Князь; 2. ადრესატის ვინაობა ხაზგასმულია ავტო-

რის მიერ; 3. Сіятельство; 4. Полковника; 5. Сіятельства.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ. 50,3. „Начальник Штаба Генерал Маіор Индреніус уведомила меня“ – საუბარია ბარონ ბერნგარდ ემანუილის ძე ინდრენიუსზე.

გვ. 50,4. „о возвращеніи на Кавказ Полков:⁴ Мамуки Ор-беліани“ – საუბარია გრიგოლის ნათესავ მამუკა (მაკარ) თამაზის ძე ორბელიანზე.

1857

ანასტასია ორბელიანი-გაგარინისადმი №1 (447) (გვ. 52)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7516 (ძველი №173), გვ.: 97r, 98v.

ხელმოწერა: „შენი გრიგოლი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო მამიდავ ტასო!“

ავტოგრაფის აღწერილობა: შუაზე გადაკეცილი, თეთრი ფერის, თხელი, პატარა ფორმატის ქალაღი; ზომები: გადაუკეცავისა: 15X12 სმ; გადაკეცილისა: 12X7,5 სმ; შესრულებულია მოყავისფრო მელნით I გვერდზე; IV (98v) გვერდზე მისამართია; აქვეა ნითელი ლუქის ნარჩენი; პატარა ნარჩენია 98r გვერდზეც.

ადრესატის მისამართი: „ავლაბარში რომ ჰსდგას ტასოს მიერთოს“
შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

დათარიღება: გრიგოლ ორბელიანის არც ერთ მამიდას (არც მამის ბიძაშვილებს) არ რქმევია „ტასო – ანასტასია“ და, რომც ჰყოლოდა, მასზე უფროს ქალბატონს – სულ ცოტა 60 წლის მამიდას, არ მისწერდა: „აბა ჩქარა გამოდი“. შესაბამისად, წერილში მისი ნათესავი რომელიმე ახალგაზრდა ტასო უნდა ვიგულისხმოთ.

ანასტასია კონსტანტინეს ასული ორბელიანის ქმარი, ივანე დიმიტრის ძე ოკლობჟიო, თავადი არ ყოფილა და, რადგან, წერილის მიხედვით, ადრესატის ქმარი თავადია („კნიაზმა თვთონ უნდა გახაროს“), ბარათი მისთვის ვერ იქნება გაგზავნილი. თავადის ცოლი იყო გრიგოლის გარე ბიძაშვილი ანასტასია დავითის ასული ორბელიანი-გაგარინისა (მანანა ორბელიანის ქალიშვილი).

მისი ქმარი იყო ალექსანდრე ივანეს ძე გაგარინი. 1856 წელს, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, იგი საზღვარგარეთ იყო წასული და, როდესაც დაბრუნდა, მეფისნაცვალმა ალექსანდრე ბარიატინსკიმ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორობა შესთავაზა. რამდენადაც ცნობილია, რომ გაგარინი თავისი მოვალეობის შესრულებას ქუთაისში შეუდგა 1857 წლის თებერვალში, **წინამდებარე ბარათი 1857 წლის თებერვლამდე უნდა იყოს დანერილი**, როდესაც ანასტასია ორბელიანმა-გაგარინისამ ჯერ კიდევ არ იცოდა ქმრის ახალ თანამდებობაზე დანიშვნის ამბავი.

გვ. 52,1. „ჩემო მამიდავ ტასო!“ – გრიგოლი ასე ხუმრობით მიმართავს მასზე თითქმის 20 წლით უმცროს ნათესავსა და ახლობელს – ანასტასია დავითის ასულ ორბელიან-გაგარინისას.

გვ. 52,1-2. „შენი საქმე, ესე იგი შენის ქმრისა დაბოლოვდა“ – იგულისხმება ალექსანდრე ივანეს ძე გაგარინის დანიშვნა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორად.

გვ. 52,2-3. „კნიაზმა თვთონ უნდა გახაროს“ – ტასოს მეუღლე ალექსანდრე გაგარინი თავადი იყო.

ბაბაღე ორბელიანი-საგინაშვილისადმი №11 (448) (გვ. 52-53)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №456, გვ.: 19r-v, 20r-v.

ხელმოწერა: „შენი ძმა გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო თვალის ჩინო ბაბაღე!“

ავტოგრაფის აღწერილობა: შუაზე გადაკეცილი, გაცრეცილი, თერთრი ფერის, თხელი ქაღალდი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,9X21,1 სმ; გადაკეცილისა: 21,1X13,5 სმ; შესრულებულია შავი მელნით; ხელნაწერი რესტავრირებულია.

ადრესატის მისამართი: წერილში გრიგოლი ადრესატს აცნობებს ეკატერინე ჭავჭავაძის თბილისში ვიზიტის შესახებ და გადასცემს მის მოკითხვას, საიდანაც ვიგებთ, რომ ბაბაღე იმყოფებოდა

კოდაში: „თქუწნი დედოფალი მობძანდა გასუქებული, გასპეტაკებული, გაბრწყინებული. რა საკურველია დიდის სურვილით გიკითხეს, და მეცა კრძალვით მოვახსენე შენი კოდაზე ყოფნა და დაბინაება.“

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

დათარილება: წერილში „ძალუა ელისაბედად“ რამდენიმეგან, სავარაუდოდ, მოხსენიებულია ყაფლან ასლანის ძე ორბელიანის ცოლი ელისაბედ ივანეს ასული ბარათაშვილი („მოსვლიათ წიგნი ძალუა ელისაბედისაგან“, „უნდოდა ძალუა ელისაბედის სურვილის აღსრულება“...), მაგრამ წერილის ბოლოს, ბარბარე სამარაგდონის ასული ორბელიან-საგინაშვილისა და მისი ქმრის – ალექსანდრესათვის 1857 წლის მასამდე გაგზავნილი წერილებისათვის დამახასიათებლად, ორბელიანი მოკითხვას უთვლის ძალუა ელისაბედს: „ძალუა ელისაბედ მომიკითხეთ სიყუარულით“, სადაც ისევე, როგორც სხვა წერილებში, ადრესატის დედა – ელისაბედ სოლომონის ასული ავალიშვილი უნდა იგულისხმებოდეს (შდრ. „ძალუა ელისაბედს, ჩემს საკუთარს ძალუას, სიყვარულით მოვიკითხავ“ (1854), „ძალუა ელისაბედ სიყვარულით მომიკითხე“ (1854), „ძალუა, ჩემი საკუთარი ძალუა ელისაბედ, და ჩემი საყუარელი ალექსანდრე გულით, სულით მომიკითხე“ (1855), „ჩემს საყუარელს დას ბაბალ-ბაბლუც-ბაბულინკას ჩავკოცნი სიყუარულით; ეგრეთვე ჩემს საკუთარს ძალუას ელისაბედს“ (1856) „ქვეყანამ იცის, ელისაბედ ჩემი ძალუა არის, საკუთარი სიყრმითგანვე; თუმცა აქამდის ცოლი არ შემერთო, მაგრამ მაინც კიდევ სიყუარულით მოვიკითხავ“ (1857 16 მარტი) და სხვ. 1857 წლის 17 მაისს თავისი რძლის – ქეთევანისათვის გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „ძალუა ელისაბედის ავამყოფობა შევიტყე; მაცნობეთ როგორ არის; გულით ვჰსწუხვარ მაგის სნეულებისათვის, ჩემი საკუთარი ძალუა არის“, ქეთევანისათვის იმავე წლის 24 მაისს გაგზავნილი წერილიდან კი ჩანს, რომ ელისაბედი უკვე გარდაცვლილა: „სოსიკომ მომწერა გარდაცვალება ძალუა ელისაბედისა“.

ორბელიანთა საგვარეულო ნუსხაში ელისაბედის გარდაცვალების წლად შეცდომით არის მითითებული 1856 წელი. როგორც ვხედავთ, მას 1857 წლის მასამდე უცოცხლია. შესაბამისად, წინამდებარე ბარათი, რომელშიც გრიგოლ ორბელიანი მოკითხვას უთვლის „ძალუა ელისაბედს“ და არაფერია ნათქვამი მის ავადმყოფობაზე, 1857 წლის მაისის პირველ ნახევრამდე უნდა იყოს დაწერილი. რამდენადაც წერილიდან ჩანს, რომ იგი თბილისშია დაწერილი („დღეს დილით: ქეთევანსა, თუ წინუცასა, მოსვლიათ წიგნი ძალუა ელისაბედისაგან... ამოვიდა ამობაში ყაფლანცა... ამა დილამ ამით დაიწყო, და ვნახოთ როგორ განვლის დღე ესე

სალამომდის“), იგი ორბელიანის თბილისში გადმოსვლამდე მისი რომელიმე მოკლევადიანი ჩამოსვლის დროს უნდა იყოს დაწერილი. 1857 წლის 13 მარტს ლეონტი პავლეს ძე ნიკოლაისათვის გაგზავნილი წერილიდან ვიგებთ, რომ გრიგოლი თემირხანშურაში იმ დროს თბილისიდან ახალდაბრუნებული იყო („ამასწინათ მოვბრუნდი თბილისიდან“) და რომ იქ დაუყვია „თვეზე მეტი“. შესაბამისად, იგი თბილისში ყოფილა 1857 წლის იანვრის ბოლოსა და თებერვალში. ამავე წერილიდან ვიგებთ, რომ იქ შეხვედრია 14 წლის უნახავ ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისას, რომელიც უგზოობის გამო სამეგრელოში ვერ მიდიოდა და თბილისში იყო გაჩერებული. შესაბამისად, წინამდებარე უთარილო წერილში ბარბარე ორბელიანი-საგინაშვილისათვის მიწერილ ფრაზაში: „თქუცნი დედოფალი მობძანდა გასუქებული, გასპეტაკებული, გაბრწყინებული“, ეკატერინე ჭავჭავაძესთან ის შეხვედრა იგულისხმება, რომელიც ბარონ ნიკოლაისადმი წერილშიც არის აღწერილი: „Какая роскошная женщина К: Екатерине Дадіани, которую я не видал 14 лет! По величественной ея наружности, она, в полном смысле, владетельная Княгиня.“ თუ გავითვალისწინებთ, რომ ორბელიანი მეფისნაცვალთან გამართულ შეხვედრებს არ გამოაკლდებოდა, იგი ეკატერინეს თბილისში ჩასვლიდან მალევე ნახავდა. შესაბამისად, წინამდებარე **ბარათი, სავარაუდოდ, დაწერილი უნდა იყოს 1857 წლის თებერვალში.**

გვ. 52,9. „**თქუცნი დედოფალი მობძანდა**“ – იგულისხმება სამეგრელოს დედოფალი ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისა, რომელიც ორბელიანების ნათესავი იყო და მათთან მუდმივად ჰქონდა ურთიერთობა. იმ დროს იგი რუსეთიდან ახალჩამოსული იყო.

გვ. 52,18-19. „**ქეთევანსა, თუ ნინუცასა, მოსვლიათ წიგნი ძალუა ელისაბედისაგან**“ – საუბარია ორბელიანის რძალზე – ქეთევან დიმიტრის ასულ ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისაზე, დისწულ ნინო მელიტონის ასულ ბარათაშვილსა და ყაფლან ასლანის ძე ორბელიანის მეორე ცოლზე – ელისაბედ ივანეს ასულ ბარათაშვილზე.

გვ. 52,20-21. „**მიდი „სოფიო ნიკოლაის ცოლთან**“ – საუბარია ბარონ ალექსანდრე პავლეს ძე ნიკოლაის ცოლზე – სოფიო ალექსანდრეს ასულ ჭავჭავაძე-ნიკოლაისაზე, რომელიც, როგორც 1857 წლის 13 მარტს ლეონტი პავლეს ძე ნიკოლაისათვის გაგზავნილი წერილიდან ჩანს, იმ დროს თბილისში იმყოფებოდა.

გვ. 52,21. „**ჰსთხოვე „სოკოლოვის ცოლისათვის ფულები“** – როგორც ჩანს, ეს სოკოლოვი ყაფლან ორბელიანის ოჯახის ახლობელი იყო, მაგრამ დამატებითი ცნობები მასზე არ მოგვეპოვება.

გვ. 53,5-6. „**ამოვიდა ამობაში ყაფლანცა**“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ყაფლან ასლანის ძე ორბელიანზე.

გვ. 53,9. „**დავით და ანნეტაცა დღეს მიდიან წინანდალსა**“ – საუბარია დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძესა და მის ცოლ ანა ილიას ასულ ბაგრატიონ-ჭავჭავაძისაზე.

გვ. 53,11. „**ისაკ დიდის ქებით მიაშობდა**“ – სავარაუდოდ, საუბარია გრიგოლის მეგობარზე, გენერალ-ლეიტენანტ ისაკ შიოს (სოლომონის) ძე თუმანიშვილზე.

გვ. 53,12. „**ძალუა ელისაბედ მომიკითხეთ სიყუარულით**“ – იგულისხმება ადრესატის დედა, გრიგოლის ბიძის, სამარაგდონ ორბელიანის, მეუღლე ელისაბედ სოლომონის ასული ავალიშვილი.

გვ. 53,13. „**ლოლოვანში ჭალის მეტი არა არისრა**“ – საუბარია ქვემო ქართლში, ამჟამად თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტში შემავალ სოფელზე.

გვ. 53,14. „**ლოუბანში მოჰსჭრან**“ – საუბარია ქვემო ქართლში, ასევე თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტში შემავალ სოფელზე.

ქეთევან ორბელიანისადმი №98 (449) (გვ. 53-54)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №355, გვ.: 136r-v, 137r.

თარიღი და ადგილი: „8^ა მარტს 1857. თემირხანშურით.“

ხელმოწერა: „თქუენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან!“

ავტოგრაფის აღწერილობა: შუაზე გადაკეცილი, გაცრეცილი, გახუნებული, დალაქავებული, საშუალო სისქის ქაღალდი; 137r-v ფურცელი შუაზეა მოხეული; 136r-v ფურცელიც შუაში გახეულია; ზომები: გადაუკეცავისა: 26,9X20,3 სმ; გადაკეცილისა: 20,3X13,5 სმ (I ფურცელი); 13,5X10,2 სმ (II ფურცელი); შესრულებულია შავი მელნით.

ადრესატის მისამართი: ქეთევან ალექსი-მესხიშვილი-ორბელიანი-სა თბილისში ცხოვრობდა. ტექსტის შინაარსითაც ირკვევა, რომ

ადრესატი წერილის დაწერის დროს იქ იმყოფებოდა: გრიგოლი რძალს თბილისში მყოფი დიმიტრი ჯორჯაძისა და ბაბაღე საგინაშვილის შესახებ ეკითხება: „დიმიტრი ჯორჯაძე თუ ნახოთ, უთხარით ჩემ მაგიერ, რომ მალე წამოვიდეს; უბრალო ტანტალი ქალაქში არას არგებს მაგასა.“ / „თუ ჩემი საყუარელი ბაბაღე არ წასულაიყოს ანანურს სიყუარულით მომიკითხე მისის დედიტა.“

შენიშვნები: 1. ღვთის; 2. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განწერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 185-186.

გვ. 53,21. „დიმიტრი ჯორჯაძე თუ ნახოთ“ – საუბარია გრიგოლის კანცელარიის მდივან დიმიტრი დავითის ძე ჯორჯაძეზე, რომელიც იმ დროს თბილისში იმყოფებოდა.

გვ. 53,24-25. „იაკინთეს ვერ აღუსრულე თხოვნა მისი“ – საუბარია ქეთევანის ძმაზე – იაკინთე დიმიტრის ძე ალექსი-მესხიშვილზე. შესაძლოა, თხოვნაში იგულისხმებოდეს შუამდგომლობა მისი ძმის, პლატონის, სხვა სამსახურში გადაყვანასთან დაკავშირებით. როგორც ჩანს, ცოლის მოყვანის გამო მას ოჯახთან ახლოს ყოფნა უნდოდა. გრიგოლ ორბელიანი მოგვიანებითაც ცდილობდა ამ თხოვნის შესრულებას. ამასთან დაკავშირებით იხ. 1858 წლის აპრილის წერილი ალექსანდრე კრუზენშტერნისადმი.

გვ. 53,27. „ყაფლანისა რა ამბავი იცით?“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ყაფლან ასლანის ძე ორბელიანზე.

გვ. 53,27-28. „ძალუა ელისაბედ და მისი შვილები მომიკითხეთ“ – ორბელიანი თავის წერილებში ხშირად ახსენებს ძალუა ელისაბედს, თავისი ბიძის, სამარაგდონის, მეუღლეს – ელისაბედ სოლომონის ასულ ავალიშვილ-ორბელიანისას, მაგრამ მას მხოლოდ ერთი შვილი ჰყავდა – ბარბარე. შესაბამისად, აქ უნდა იგულისხმებოდეს ყაფლან ორბელიანის მეუღლე – ელისაბედ ივანეს ასული ბარათაშვილი-ორბელიანისა და შვილები: ელენე, ნინო და დავითი.

გვ. 53,28. „ძალუა ნინა მისის თამარ-კატოთი“ – საუბარია გრიგოლის ბიძის, იაკობის, ცოლზე – ნინო მაყაშვილ-ორბელიანისაზე და ქალიშვილებზე: თამარ ორბელიან-სანკოვსკისაზე და ეკატერინე ორბელიან-ივანოვისაზე.

გვ. 54,2. „გეუა რას აკეთებს და ან როგორ არა ჰსცხვენინან“ – საუბარია გრიგოლის მოურავ გეუა ოჰანაშვილზე.

გვ. 54,8. „ბაბაღე სიყუარულით მომიკითხე მისის ქმრითა“ – საუბარია გრიგოლის დისწულ ბარბარე მელიტონის ასულ ბარათაშვილ-ვეზირიშვილისაზე და დიმიტრი გიორგის ძე ვეზირიშვილზე.

გვ. 54,9-10. „როგორ არის პატარა გიორგი და ან როდის აპირებს ძალუა ვარინკა წამოსვლასა?“ – საუბარია გრიგოლის პატარა ძმისწულ გიორგი ილიას ძე ორბელიანსა და მის დედაზე – ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანისაზე, რომლებიც თემირხანშურაში აპირებდნენ წასვლას გრიგოლთან.

გვ. 54,11. „თუ ჩემი საყუარელი ბაბაღე არ წასულიყოს ანანურს“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ბარბარე სამარაგდონის ასულ ორბელიან-საგინაშვილისაზე.

გვ. 54,11-12. „სიყუარულით მომიკითხე მისის დედითა“ – ბარბარეს დედა იყო ელისაბედ სოლომონის ასული ავალიშვილი-ორბელიანისა.

გვ. 54,14-15. „როგორ ბძანდება ჩვენი ლუბერნატი და ან როგორ არიგებს საქმეებსა?“ – სავარაუდოდ, საუბარია ალექსანდრე ივანეს ძე გაგარინზე, რომელიც ამ დროს იყო ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი.

ლეონტი ნიკოლაისადმი №2 (450) (გვ. 54-56)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 100v, 101r.

თარიღი და ადგილი: „13 марта 1857 Шура.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Барону Леонтию Павловичу Николаи“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაყვითლებული, საშუალო სისქის ქაღალდი; ზომა: 34,5X21,3 სმ; შესრულებულია მუქი შავი მეღვინით.

ადრესატის მისამართი: წერილის შინაარსიდან ირკვევა, რომ ადრესატი იმყოფებოდა ჩეჩნეთში: „Страшно подумать, ежели такаяже зима сопровождает и Вас в Вашем походе по Чечне. Кстати о Чечне: как идут у Вас дела и что предпринимается Вами в третьем периоде зимней экспедиции Вашей?“

შენიშვნები: 1. თარიღი და ადგილი ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ. 54,18. „**Барону Леонтию Павловичу Николаи**“ – წერილის ადრესატია რუსი გენერალი, კავკასიის არმიის მთავარსარდლის ამალის წევრი ლეონტი პავლეს ძე ნიკოლაი.

გვ. 54,23-24. „**какое радушное веселіе на вечерах у К: Алек: Ивановича!**“ – იგულისხმება კავკასიის მეფისნაცვალ ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკი.

გვ. 55,12. „**проклятіями на Шамилиа**“ – საუბარია ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამზე.

გვ. 55,14-15. „**горцы привели в Аракан 6 пленных Грузин**“ – საუბარია დაღესტნის სოფელ არაკანზე. ტყვეების ვინაობა უცნობია.

გვ. 55,19. „**хотя и пишу к Княгине Анне Ильинишне**“ – საუბარია ანა ილიას ასულ ბაგრატიონ-ჭავჭავაძისაზე, რომლის მული სოფიოც ცოლად ჰყავდა ადრესატის ძმას – ბარონ ალექსანდრე ნიკოლაის.

გვ. 55,22-23. „**о бедном пленном артилл: офицере Пршевальском**“ – სავარაუდოდ, უნდა იყოს პრჟეველსკი, მაგრამ მისი სახელი და შემდგომი ბედი უცნობია.

გვ. 55,23. „**Мать его обливает меня слезами**“ – უცნობია პრჟეველსკის დედის სახელიც.

გვ. 55,24. „**Брат ваш и его прекрасная жена с дочерью весьма здоровы**“ – საუბარია ბარონ ალექსანდრე პავლეს ძე ნიკოლაიზე, რომელიც რუსეთის იმპერატორის სასახლის კარზე მსახურობდა, მის მეუღლეზე – სოფიო ალექსანდრეს ასულ ჭავჭავაძე-ნიკოლაისაზე და მათ ქალიშვილზე – მარიამ (მაკა) ალექსანდრეს ასულ ნიკოლაიზე.

გვ. 55,25. „**Какая роскошная женщина К: Екатерине Дадиа-ни**“ – საუბარია სამეგრელოს დედოფალ ეკატერინე ალექსანდრეს ასულ ჭავჭავაძე-დადიანისაზე.

გვ. 55,30. „**Если Англо-Персидская война продлится**“ – რუსეთ-სპარსეთის ომი დიდხანს აღარ გაგრძელებულა. ის დასრულდა 1857 წლის 4 აპრილს.

გვ. 55,32-33. „**на границе Персии на помощь Шаху**“ – გრიგოლი გულისხმობს სპარსელების მხარდაჭერას.

გვ. 55,33-34. „**судьба Индии чем окончится?**“ – ბრიტანეთის ბრძანებით, ომში ჩართული იყო ინდოეთიც. ომის დასრულების შემდეგ იქ ისევ დაბრუნდნენ ინგლისის ჯარები.

გვ. 56,2-3. „подобно героям басно-словной поэмы Ка-
раманіані“ – იგულისხმება სპარსული ეპიკური თხზულება,
რომელიც ქართულად თარგმნა დავით ორბელიანმა.

გვ. 56,4. „искреннее почтение Зиновьеву“ – სავარაუდოდ,
საუბარია ქართველ გრენადერთა პოლკის პოლკოვნიკ ვასილი
ვასილის ძე ზინოვიევიზე, რომელიც ასევე ცნობილი წარჩინებული
გვარიდან იყო.

გვ. 56,4-5. „Что делает молодой князь Грузинский?“ –
სავარაუდოდ, საუბარია გრიგოლისა და ადრესატის საერთო
ნათესავ დიმიტრი ილიას ძე გრუზინსკიზე, რომელიც ადრესატთან
მსახურობდა.

გვ. 56,5-6. „Брат его и сестры здоровы и веселятся“ –
გრიგოლისა და ადრესატის საერთო ნათესავებს, ბარბარე და ანა
ილიას ასულ ბაგრატიონებს, ჰყავდათ კიდეც ორი ძმა – გრიგოლი
და 1844 წელს დაბადებული ნიკოლოზი. თუ გავითვალისწინებთ,
რომ ნიკოლოზი იმ დროს პაჟთა კორპუსში სწავლობდა,
სავარაუდოა, რომ საუბარია გრიგოლზე.

გვ. 56,6. „Варвара Ильинишна придет в Шуру“ – გრიგოლის
რძალი ბარბარე ილიას ასული ბაგრატიონი-ორბელიანისა
შვილთან ერთად აპირებდა თემირხანშურაში ჩასვლას.

ბაბაღე ორბელიანი-საგინაშვილისადმი №12 (451) (გვ. 57-58)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №443, გვ.: 1r-v, 2r.

თარიღი და ადგილი: „15^ა მარტსა 1857. თემირხანშურით.“

ხელმოწერა: „შენი ძმა და მორჩილი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო თვალის ჩინო დაო ბა-
ბაღე!“

ავტოგრაფის აღწერილობა: შუაზე გადაკეცილი, გაცრეცილი, გა-
ხუნებული, გაყვითლებული, დალაქავებული, საშუალო სისქის ქა-
ლაღლი; ზომები: გადაუქეცავისა: 26,8X20,3 სმ; გადაკეცილისა:
20,3X13,4 სმ; შესრულებულია მუქი შავი მეღვინით.

ადრესატის მისამართი: ტექსტის შინაარსიდან ირკვევა, რომ გრი-
გოლისთვის უცნობია ადრესატის ადგილსამყოფელი. ის ბაბაღეს
ეკითხება: „სად იმყოფები, ისევ თბილისში ხარხარობ, თუ წახვედი
სატახტოს შენს ანანურსა?“

შენიშვნები: 1. ღმერთმან; 2. ღმერთი; 3. ხაზგასმულია ავტორის მიერ.
პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 186-187.

გვ. 58,3-4. **„ჯერ ავდოტია ივანოვნაცკი არ მინახავს“** – შესაძლოა, იგულისხმებოდეს მოსამსახურე ქალი.

გვ. 58,4-5. **„ღთმან უშველოს კაკალასა“** – საუბარია გრიგოლის ნაყმევზე.

გვ. 58,8. **„რასა იქს ჩემი აპეკუნი, ჩემი საყუარელი ალექსანდრე?“** – გრიგოლის თხოვნით, ალექსანდრე საგინაშვილი დაინიშნა ორბელიანის ძმისშვილის, გიორგი ილიას ძე ორბელიანის, მეურვედ.

გვ. 58,11-12. **„ჩემი დედოფალი, ჩემი იმპერატრიცა, ქვეყნის-თვალი ეკატერინა“** – საუბარია სამეგრელოს დედოფალ ეკატერინე ალექსანდრეს ასულ ჭავჭავაძე-დადიანისაზე.

გვ. 58,13. **„ეგრეთუე ნინა ალექსანდროვნა“** – საუბარია ნინო ალექსანდრეს ასულ ჭავჭავაძე-გრიბოედოვისაზე.

გვ. 58,14. **„ელისაბედ, ჩემი ძალუა არის... სიყუარულით მოვიკითხავ“** – საუბარია ადრესატის დედაზე – გრიგოლის ბიცოლა ელისაბედ სოლომონის ასულ ავალიშვილ-ორბელიანისაზე.

გვ. 58,21-22. **„დამიჯერეთ შენა და ივანემ თავის ცოლითა“** – სავარაუდოდ, საუბარია გრიგოლის ნათესავ ივანე დავითის ძე ორბელიანსა და მის მეუღლეზე – სოფიო შალვას ასულ ერისთავ-ორბელიანისაზე.

გვ. 58,25. **„ძალუა ვარინკაც ხომ აქ იქნება“** – საუბარია გრიგოლის რძალ ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანისაზე.

გვ. 58,29. **„თამარ და კატო მომიკითხე სიყუარულით“** – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილებზე – თამარ იაკობის ასულ ორბელიან-სანკოვსკისაზე და ეკატერინე იაკობის ასულ ორბელიან-ივანოვისაზე.

ღიმიტრი ჯორჯაძისადმი №46 (452) (გვ. 59-60)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №563, გვ.: 57r-v, 58r.
თარიღი და ადგილი: „18^ლ მარტსა. 1857. შურით.“

ხელმოწერა: „შენი ბედნიერების მოსურნე გრიგოლ ორბელიანი“
ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ბატონო კნიაზო დემეტრე!“

ავტოგრაფის აღწერილობა: შუაზე გადაკეცილი, გაცრეცილი, გახუნებული, გაყვითლებული, დალაქავებული, საშუალო სისქის ქაღალდი; ზომები: გადაუქეცავისა: 26,9X20,3 სმ; გადაკეცილისა: 20,3X13,4 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით; ხელნაწერი გადაკეცვის ადგილზე ქვემოდან შეხეულია.

ადრესატის მისამართი: წერილის შინაარსიდან ირკვევა, რომ ადრესატი იმყოფებოდა **თბილისში**: „მოგელი და მოგელი, და არ იქმნა შენი მოსვლა. – მიკვირს, რას აკეთებ ესოდენს ხანსა თბილისში.“

შენიშვნები: 1-2. ასეა ხელნაწერში; 3. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 4. სიტყვა გადაკეთებულია.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 187-188.

გვ. 59,6. „ავდოტია მიწყება“ – ეს ავდოტია ივანეს ასული სხვაგანაც იხსენიება და, სავარაუდოდ, უნდა იყოს მოსამსახურე ქალი.

გვ. 59,6. „ოკოლნიჩისაც შინ არ უშვებს“ – სავარაუდოდ, საუბარია კასპიისპირა მხარის ჯარების შტაბსკაპიტან ნიკოლოზ ანდრიას ძე ოკოლნიჩიზე.

გვ. 59,15-16. „ჯერ შამხალიცკი არ მინახავს“ – საუბარია თარკოს შამხალ აბუ-მუსლიმ-ხანზე.

გვ. 59,19. „თუ რომ... მოიყვან ძალუა ვარინკასა“ – საუბარია გრიგოლის რძალზე – ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანისაზე.

გვ. 59,22. „ლაზარევიც არ მოსულა“ – საუბარია მეხთულის სახანოს მმართველ ივანე დავითის ძე ლაზარევიზე.

გვ. 60,2. „ალექსანდრეს ონიკოვსა ჩემ მაგიერ მოიკითხავ“ – საუბარია ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ონიკაშვილზე, რომელიც ადრე დალესტანში მსახურობდა.

ალექსი ერმოლოვისადმი №1 (453) (გვ. 60)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ. 101v.

თარიღი და ადგილი: „23 Марта 1857 Шура.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Алексею Петровичу Ермоло-

ву.“ / „Счастливым считаю себя, что Ваше Высокопре“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაყვითლებული, საშუალო სისქის ქა-
ლალდი; ზომა: 34,5X21,3 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით.
ადრესატის მისამართი: წერილში არ ჩანს ადრესატის ადგილსა-
მყოფელი.

შენიშვნები: 1. Высокопревосходительство; 2. Генерала.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ. 60,7-8. „**Ваше Высокопре^о, удостоив меня письмом**“ –
წერილის ადრესატია ცნობილი რუსი სამხედრო და პოლიტიკური
მოღვაწე, კავკასიის ყოფილი მთავარსარდალი ალექსი პეტრეს ძე
ერმოლოვი.

გვ. 60,10-11. „**Хахутов, поверенный Г: Ананова**“ –
სავარაუდოდ, საუბარია ალექსი პეტრეს ძე ერმოლოვთან
დაახლოებულ გენერალ ანანიაშვილსა და მის ნდობით აღჭურვილ
პირზე – ხახუტოვზე (სავარაუდოდ, ხახუტაშვილზე).

გვ. 60,12-13. „**воспитанице Вашей Софье Ханым, а
остальные ея матери**“ – ალექსი ერმოლოვს დალესტანში ჰყავდა
რამდენიმე „დროებითი ცოლი“ (Кебинный брак) და შვილები.
ვფიქრობთ, ეს ფული მან სწორედ ერთ-ერთ ასეთ „ცოლ-შვილს“
გაუგზავნა და გრიგოლი მის უკანონო შვილს დელიკატურად
უწოდებს „აღსაზრდელს“.

გვ. 60,14-15. „**принести Вам мою жалобу на Вашего Клав-
дия**“ – საუბარია წერილის ავტორის ვაჟზე – კლავდი ალექსის ძე
ერმოლოვზე, რომელიც ადრე გრიგოლთან მსახურობდა.

ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №14 (454) (გვ. 61-62)

ავტოგრაფი: А: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174),
გვ. 102r.

თარიღი და ადგილი: „27 Марта. 1857 Шура.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „К: Александру Ивановичу
Барятинскому.“ / „... Ваше С^{во}...“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაყვითლებული, საშუალო სისქის ქა-
ლალდი; ზომა: 34,5X21,3 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით.
ადრესატის მისამართი: ამ დროს ალექსანდრე ბარიატინსკი მეფის-

ნაცვლის თანამდებობაზე მუშაობდა და ცხოვრობდა **თბილისში**.
შესაბამისად, წერილი იქ უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. Князю; 2. Сіятельство; 3. Князя; 4. Сіятельства; 5-6. Князя; 7. Сіятельству; 8. Князя; 9. Сіятельство.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ. 61,16-17. „к затруднительному положенію Маіора К: Баграціона“ – საუბარია გენერალ-მაიორ გრიგოლ ივანეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელზე.

გვ. 62,3-4. „для службы Великаго Государя“ – ამ დროს რუსეთის იმპერატორი იყო ალექსანდრე II.

ქეთევან ორბელიანისადმი №99 (455) (გვ. 63-64)

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №356, გვ.: 138r-v, 139r.

თარიღი და ადგილი: „28^ა მარტს 1857. თემირხანშურით.“

ხელმოწერა: „შენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან!“

ავტოგრაფის აღწერილობა: შუაზე გადაკეცილი, გაცრეცილი, გაყვითლებული, დალაქავებული, საშუალო სისქის ქაღალდი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,9X20,3 სმ; გადაკეცილისა: 20,3X13,4 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომლითაც ალაგ-ალაგ დასვრილი და გაჟღენთილია ხელნაწერი.

ადრესატის მისამართი: ქეთევან ალექსი-მესხიშვილი-ორბელიანისა თბილისში ცხოვრობდა. წერილში გრიგოლი მოიკითხავს იქ მცხოვრებ ახლო ნათესავებს, რაც ადასტურებს, რომ ბარათი გაგზავნილია **თბილისში**.

შენიშვნები: 1. ღვთის; 2. ასეა ხელნაწერში; 3-4. ეს სიტყვები გადაკეთებულია და ამის გამო ეს ადგილები მელნითაა დასვრილი; 5. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 188-189.

გვ. 63,7. „ძალუა ვარინკის წამოსვლისათვს არასა მწერენ“ – გრიგოლი ელოდებოდა თემირხანშურაში თავისი რძლის, ბარბარე ილიას ასული ბაგრატიონ-ორბელიანის, ჩასვლას პეტერბურგიდან.

გვ. 63,8. „არცა დიმიტრი მოვიდა აქამომდის“ – იმ დროს გრიგოლის მდივანი დიმიტრი დავითის ძე ჯვორჯაძეც თბილისში იყო.

გვ. 63,10. „გოჭარალა არის ჯერ დედაკაცი“ – საუბარია ყარაბაღის მმართველის, იბრაჰიმ ხანის, ქალიშვილზე – გევჰარ ალაზე (Гевхар ара). ცნობილია, რომ მისი დედა ქართველი თავადიშვილი იყო.

გვ. 63,15. „იბრაიმხანის ქალი ვარო“ – მისი მამა იყო ყარაბაღის მმართველი იბრაჰიმ ხანი.

გვ. 63,19. „მთავარმართველისათვსაც მომიხსენებია“ – იგულისხმება კავკასიის მეფისნაცვალი ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკი.

გვ. 63,20. „კრუზენშტერსაც მოველაპარაკე“ – სავარაუდოდ, იგულისხმება ალექსი თეოდორეს ძე კრუზენშტერნი.

გვ. 63,21. „თავისმა სულეიმან ხანმა გაურიგოს“ – სულეიმან-ხანი გევჰარ ალას ძმა იყო, იბრაჰიმ ხანის ვაჟი.

გვ. 63,23. „სოსიკა ბიჭს უბძანეთ“ – სავარაუდოდ, საუბარია გრიგოლის მსახურზე.

გვ. 63,24. „უბრალოდ ნუ დაიქსაქსება ილიას იარალი“ – საუბარია გრიგოლის გარდაცვლილი ძმის – ილია ზურაბის ძე ორბელიანის – იარალზე.

გვ. 63,29. „იაკინთე სიყუარულით მომიკითხე... ეგრეთუე სარდიონ“ – საუბარია ადრესატის ძმებზე – იაკინთე და სარდიონ დიმიტრის ძე ალექსი-მესხიშვილებზე.

გვ. 64,1-2. „მითომ ლევანს მელიქოვსა ფეხები დაჰსძრომია ყინვისაგანო“ – საუბარია ლევან ივანეს ძე მელიქიშვილზე, რომელიც იმ დროს მივლინებული იყო სპარსეთში. ფეხების დაკარგვასთან დაკავშირებით ხმები არ დადასტურდა. დაბრუნების შემდეგ იგი კვლავ აქტიურად აგრძელებდა სამხედრო სამსახურს.

გვ. 64,2. „ყაფლანის ამბავი რა იცით?“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ყაფლან ასლანის ძე ორბელიანზე.

ქეთევან ორბელიანისადმი №100 (456) (გვ. 64)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №357, გვ.: 140r-v.

თარიღი და ადგილი: „3^ს აპრილს 1857. შურით.“

ხელმოწერა: „შენი მარადის ერთგული გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, გაყვითლებული, დალაქავებული, საშუალო სისქის ქალაღდი; ზომა: 20,3X13,8 სმ; შესრულებულია მსხვილი ასოებით, მუქი შავი მელნით, რომლითაც გაჟღენთილია ხელნაწერი; ფურცელი ალაგ-ალაგ გახეულია.

ადრესატის მისამართი: ქეთევან ალექსი-მესხიშვილი-ორბელიანისა თბილისში ცხოვრობდა. წერილიც, სავარაუდოდ, იქ უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1-2. ღვთის; 3. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ. 189.

გვ. 64,7. „ღიდს სამშაბათს მოვიდნენ“ – 1857 წელს აღდგომა იყო 7 აპრილს და დიდი სამშაბათი – 2 აპრილს.

გვ. 64,8. „ძალუა ვარინკა გიორგით და ნინუცათი“ – გრიგოლთან თემირხანშურაში ჩავიდნენ მისი რძალი – ბარბარე ილიას ასული ბაგრატიონი-ორბელიანისა, ძმისწული გიორგი და დისწული ნინო მელიტონის ასული ბარათაშვილი.

გვ. 64,10. „ალექსანდრე მწერს შენს ავათმყოფობას“ – სავარაუდოდ, იგულისხმება გრიგოლის ბიძის, სამარაგდონ ორბელიანის, ქალიშვილის, ბაბალეს, ქმარი ალექსანდრე ღიმიტრის ძე საგინაშვილი.

ქეთევან ორბელიანისადმი №101 (457) (გვ. 64-65)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №358, გვ. 141რ.

თარიღი და ადგილი: „10^ა აპრილს 1857 შურით.“

ხელმოწერა: „შენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, გახუნებული, თეთრი ფერის, დალაქავებული, საშუალო სისქის ქალაღდი; ზომა: 20,3X13,4 სმ; შესრულებულია შავი მელნით.

ადრესატის მისამართი: ქეთევან ალექსი-მესხიშვილი-ორბელიანისა თბილისში ცხოვრობდა. წერილში გრიგოლი მოიკითხავს იქ მც-

ხოვრებ ახლო ნათესავებს, რაც ადასტურებს, რომ ბარათი გაგზავნილია **თბილისში**.

შენიშვნები: 1. ქრისტე; 2. ღმერთმან; 3-4. სიტყვა საზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განწერელის რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 189-190.

გვ. 65,2. **„ძალუა ვარინკა, გიორგი და ნინუცა მოვიდნენ მშვიდობიანად“** – იგულისხმება გრიგოლის რძალი ბარბარე ილიას ასული ბაგრატიონი-ორბელიანისა, მისი მცირეწლოვანი ვაჟი გიორგი ილიას ძე ორბელიანი და გრიგოლის დისწული ნინო მელიტონის ასული ბარათაშვილი.

გვ. 65,5. **„ძალიან მიამა, რომ ბაბაღე მანდ დამდგარა“** – სავარაუდოდ, საუბარია გრიგოლის დისწულ ბარბარე მელიტონის ასულ ბარათაშვილ-ვეზირიშვილისაზე.

გვ. 65,6. **„ანინდელს მაგის მდგომარეობაში“** – როგორც 1857 წლის 24 მაისის წერილიდან ჩანს, ბარბარე იმ დროს ფეხმძიმედ იყო.

გვ. 65,9. **„წერილს მოგართმევს ჩვენი ისაია“** – საუბარია ისაი (ისააკ) ივანეს ძე გრამოვზე (ზოგიერთ წყაროში წერია გრომოვი), რომელიც გრიგოლ ორბელიანთან თარჯიმნად მუშაობდა.

გვ. 65,11. **„მოვიკითხავ, ეგრეთუე ძალუებსა“** – „ძალუებში“ ორბელიანი გულისხმობს როგორც რძლებს, ისე ბიცოლებს.

ქეთევან ორბელიანისადმი №102 (458) (გვ. 65)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №359, გვ. 142r.

თარიღი და ადგილი: „19^ა აპრილს 1857. თემირხანშურით.“

ხელმოწერა: „შენი ბედნიერების მოსურნე გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო ძალუავე ქეთევან!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, გახუნებული, თეთრი ფერის, დალაქავებული, საშუალო სისქის ქაღალდი; ზომა: 20,3X13,4 სმ; შესრულებულია შავი მელნით.

ადრესატის მისამართი: ქეთევან ალექსი-მესხიშვილი-ორბელიანისა თბილისში ცხოვრობდა. წერილში გრიგოლი მოიკითხავს იქ მცხოვრებ ახლო ნათესავებს, რაც ადასტურებს, რომ წერილი გაგ-

ზავნილია **თბილისში**.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ, თუმცა ხაზი პატარა ადგილასღაა შემორჩენილი.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამოცემლობა, 1937, გვ. 190.

გვ. 65,18-19. **„გუშინ მოვიდა აქ ჩემთან ელენა, კნინა ჩოლაყაევისა, ესე იგი ივან მალხაზიჩის ქალი“** – საუბარია ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილის ქალიშვილ ელენე ივანეს ასულ ანდრონიკაშვილ-ჩოლოყაშვილისაზე. ელენეს ბებია – მათა იყო გრიგოლის ბების, ელენეს, ქალიშვილი პირველი ქმრისგან.

გვ. 65,21. **„ბაბალე მომიკითხე“** – საუბარია გრიგოლის დისნულ ბარბარე მელიტონის ასულ ბარათაშვილ-ვეზირიშვილისაზე.

გვ. 65,22. **„ეგრეთუე ძალუები“** – „ძალუებში“ ორბელიანი გულისხმობს როგორც რძლებს, ისე ბიცოლებს.

ქეთევან ორბელიანისადმი №103 (459) (გვ. 66)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №360, გვ.: 143r-v, 144r-v.

თარიღი და ადგილი: „17^ა მაისს 1857. შურა.“

ხელმოწერა: „თქუენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო ძალუაე ქეთევან!“

ავტოგრაფის აღწერილობა: შუაზე გადაკეცილი, გაცრეცილი, გახუნებული, გაყვითლებული, დალაქავებული, საშუალო სისქის ქალაღი; ზომები: გადაუქეცავისა: 26,8X20,3 სმ; გადაკეცილისა: 20,3X13,4 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომლითაც დასვრილი და გაჟღენთილია გვერდები.

ადრესატის მისამართი: ქეთევან ალექსი-მესხიშვილი-ორბელიანისა თბილისში ცხოვრობდა. წერილში გრიგოლი მოიკითხავს იქ მცხოვრებ ახლო ნათესავეებს, რაც ადასტურებს, რომ ბარათი გაგზავნილია **თბილისში**.

შენიშვნები: 1. ღვთით; 2. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით,

სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 190-191.

გვ. 66,4. „არ იქნა, ელენეს ვერა ეშველარა“ – იგულისხმება ელენე ივანეს ასული ანდრონიკაშვილი-ჩოლოყაშვილის მშობიარობა.

გვ. 66,5. „ანგარიშიც შეეშალათ ცოლსაცა და ქმარსაცა“ – ელენეს ქმარი იყო ილია ზაალის ძე ჩოლოყაშვილი.

გვ. 66,5-6. „გიორგი, ლთ ~ ით, კარგად არის“ – იგულისხმება გრიგოლის ძმისწული გიორგი ილიას ძე ორბელიანი.

გვ. 66,8. „ძალუა ვარინკასა მოუვიდა ძმა დიმიტრი“ – საუბარია დიმიტრი ილიას ძე ბაგრატიონზე.

გვ. 66,8-9. „ემსახურება იუნკერად ბარონ ნიკოლაის პოლკში“ – სავარაუდოდ, საუბარია ბარონ ლეონტი ჰავლეს ძე ნიკოლაიზე და ყაბარდოს ქვეით პოლკზე.

გვ. 66,12. „იაკინთე, სარდიონ მისის ცოლით სიყუარულით მომიკითხე“ – საუბარია ადრესატის ძმებზე – იაკინთე და სარდიონ დიმიტრის ძე ალექსი-მესხიშვილებსა და რძალ სოფიოზე.

გვ. 66,13. „ძალუა ელისაბედის ავათმყოფობა შევიტყე“ – საუბარია გრიგოლის ბიძის, სამარაგდონის, მეუღლეზე – ელისაბედ სოლომონის ასულ ავალიშვილ-ორბელიანისაზე.

გვ. 66,16. „ყაფლანის ამბავი შემატყობინეთ“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ყაფლან ასლანის ძე ორბელიანზე.

გვ. 66,16-17. „ახლა დრო არის მის მოსვლისა“ – როგორც 1857 წლის 28 მარტის წერილიდან ჩანს, ყაფლანი სპარსეთში უნდა ყოფილიყო მივლინებული.

გვ. 66,17. „ძალუა ელისაბედ წუნუნებს“ – იგულისხმება ყაფლან ორბელიანის მეუღლე ელისაბედ ივანეს ასული ბარათაშვილი-ორბელიანისა.

გვ. 66,19. „ძალუა ნინოს სიყუარულით მოვიკითხავ“ – საუბარია გრიგოლის ბიძის, იაკობის, ცოლზე – ნინო მაცაშვილ-ორბელიანისაზე.

გვ. 66,19-20. „ჩემი დისწული ბაბაღე როგორ არის“ – საუბარია ბარბარე მელიტონის ასულ ბარათაშვილ-ვეზირიშვილისაზე.

გვ. 66,21. „ჩემი საკუთარი და ბაბაღე“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ბარბარე სამარაგდონის ასულ ორბელიან-საგინაშვილისაზე.

გვ. 66,23. „დიდი ბიძია ალექსანდრე მომიკითხეთ“ – სავარაუდოდ, საუბარია ალექსანდრე (თორნიკე) იესეს ძე ქსნის ერისთავზე.

გვ. 66,27. „თამარის ამბავი მომწერეთ“ – სავარაუდოდ, იგულისხმება გრიგოლის ბიძაშვილი თამარ ორბელიანი-სანკოვსკისა.

ქეთევან ორბელიანისადმი №104 (460) (გვ. 67)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №361, გვ.: 145r-v.

თარიღი და ადგილი: „24^ა მაისს 1857. შურით.“

ხელმოწერა: „თქუენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, გახუნებული, გაყვითლებული, დალაქავებული, საშუალო სისქის ქალაღდი; ზომა: 20,3X13,4 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომლითაც დასვრილი და გაჟღენთილია ფურცელი.

ადრესატის მისამართი: ქეთევან ალექსი-მესხიშვილი-ორბელიანისა თბილისში ცხოვრობდა. წერილში გრიგოლი მოიკითხავს იქ მცხოვრებ ახლო ნათესავებს, ამასთან, ყაფლანის შესახებ ეუბნება: „ჩემის ანგარიშით ყაფლან უნდა იყოს მოსული ქალაქსა“, რაც ადასტურებს, რომ წერილი გაგზავნილია **თბილისში**.

შენიშვნები: 1. ამ ადგილას მელანია დაღვრილი; 2. „მგრგვალი წამალი“ ხაზგასმულია ავტორის მიერ; 3. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განწერელის რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 191-192.

გვ. 67,2. „სოსიკომ მომწერა“ – სავარაუდოდ, იგულისხმება გრიგოლის ბიძაშვილის, კონსტანტინე იოსების ძე ორბელიანის, ვაჟი იოსები.

გვ. 67,2. „გარდაცვალება ძალუა ელისაბედისა“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილზე – ელისაბედ სოლომონის ასულ ავალიშვილ-ორბელიანისაზე. გენეალოგიურ ჩანაწერებში მისი გარდაცვალების დროდ 1856 წელი წერია, მაგრამ, წინამდებარე წერილების მიხედვით, შეგვიძლია დავაზუსტოთ, რომ იგი 1857 წელს გარდაცვლილა.

გვ. 67,5-6. „ჩემი და ჩემის ძმებისა იყო საკუთარი ძალუა“ – გრიგოლს ორი უმცროსი ძმა ჰყავდა – ზაქარია და ილია დიმი-

ტრის (ზურაბის) ძე ორბელიანები.

გვ. 67,6-7. „საწყალს დედას ჩემსაც შვილსავით უყვარდა ელისაბედ“ – გრიგოლის დედა იყო ხორეშან ზაქარიას ასული ანდრონიკაშვილი-ორბელიანისა.

გვ. 67,9-10. „ეგების მიშოვით მგრგვალი წამალი“ – ტაბლეტებისა და კაფსულების გამოგონებამდე მყარ (არა თხევად) წამალს, ძირითადად, მგრგვალი ფორმა ჰქონდა.

გვ. 67,13. „ყაფლან უნდა იყოს მოსული ქალაქსა“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილის, ყაფლან ასლანის ძე ორბელიანის, სპარსეთიდან თბილისში დაბრუნებაზე.

გვ. 67,14. „ძალუა ნინო მომიკითხეთ“ – საუბარია გრიგოლის ბიძის, იაკობის, ცოლზე – ნინო მაყაშვილ-ორბელიანისაზე.

გვ. 67,14-15. „თამარის ამბავი მომწერეთ“ – სავარაუდოდ, იგულისხმება გრიგოლის ბიძაშვილი თამარ ორბელიანი-სანკოვსკისა.

გვ. 67,17. „ჩემი ბაბაღე როგორ არის“ – საუბარია გრიგოლის დისწულ ბარბარე მელიტონის ასულ ბარათაშვილ-ვეზირიშვილისაზე, რომელიც იმ დროს ფეხმძიმედ იყო.

ქეთევან ორბელიანისადმი №105 (461) (გვ. 67-68)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №362, გვ. 146r.

თარიღი და ადგილი: „ნ^ს ივნისს 1857. შურით.“

ხელმოწერა: „შენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო ძალუაგ ქეთევან!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, გახუნებული, თეთრი ფერის ქაღალდი; ზომა: 20,6X13,2 სმ; ხელნაწერი დაზიანებულია: ფურცლის ზედა მარცხენა მხარე ჩამოხეულია; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გადასულია მეორე მხარეს.

ადრესატის მისამართი: ქეთევან ალექსი-მესხიშვილი-ორბელიანისა თბილისში ცხოვრობდა. წერილში გრიგოლი მოიკითხავს იქ მცხოვრებ ბაბაღე ბარათაშვილს, რაც ადასტურებს, რომ ბარათი გაგზავნილია თბილისში.

შენიშვნები: 1. ღვთის; 2. თარიღად ჯერ „7^ს ივნისს“ დაუნერია, შემდეგ „7“ „6“-ად გადაუკეთებია; 3. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ. 192.

გვ. 67,22-23. **„განთავისუფლდა ორსულობისაგან ჩვენი ელენე, რომელსაცა ეყოლა ქალი“** – იგულისხმება ელენე ივანეს ასული ანდრონიკაშვილი-ჩოლოყაშვილისა.

გვ. 67,25. **„იმ საშინელს ტანჯვაში სულ მამას იგონებდა“** – ელენეს მამა იყო გრიგოლის ნათესავი – ცნობილი გენერალი ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილი. გრიგოლი და ის საკმაოდ ახლო ნათესავები იყვნენ. ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილის დედა (მაია) იყო გრიგოლ ორბელიანის დედის (ხორეშანის) დეიდაშვილი (მისი დედის, ერეკლე II-ის ქალიშვილ ელენეს, შვილი პირველი ქორწინებიდან). ელენეს პირველი ქმარი იყო იმერეთის მეფე ალექსანდრე V-ის ძე არჩილი.

გვ. 68,2. **„ჩემი დისწული ბაბაღე სიყუარულით ჩამიკოცნე“** – საუბარია ბარბარე მელიტონის ასულ ბარათაშვილ-ვეზირიშვილისაზე.

გვ. 68,2-3. **„ძალუა ვარინკამ და ნინუცამ მოგიკითხეს“** – საუბარია გრიგოლის რძალ ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანისაზე და დისწულზე – ნინო მელიტონის ასულ ბარათაშვილზე.

გვ. 68,3. **„გიორგი კარგად არის“** – საუბარია გრიგოლის პატარა ძმისწულ გიორგი ილიას ძე ორბელიანზე.

ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისადმი №1 (462) (გვ. 68)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ. 162v.

თარიღი და ადგილი: „15th Июня. 1857. Укреп. Евгеніевское.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „К: Варваре Ильинишне.“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაყვითლებული, საშუალო სისქის ქაღალდი; ზომა: 32,5X21,5 სმ; შესრულებულია შავი ფანქრით. ხელნაწერი ორ ადგილას გახვრეტილია.

ადრესატის მისამართი: ბარბარე ბაგრატიონი-ორბელიანისა თემირხანშურაში ჩავიდა გრიგოლთან 1857 წლის 2 აპრილს: „დიდს სამშაბათს მოვიდნენ მშვიდობიანად ჩემთან შურაში ძალუა ვარინკა გიორგით და ნინუცათი“ (1857 წელს დიდი სამშაბათი იყო

2 აპრილს). სამსახურებრივი მოვალეობის გამო, გრიგოლს მალე მოუხდა თემირხანშურიდან გამგზავრება, სადაც დატოვა თავისი რძალი ძმისწულთან და დისწულთან ერთად. ამდენად, წერილი გაგზავნილია **თემირხანშურაში**.

შენიშვნები: 1. თარიღი და ადგილი ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ. 68,10. „**Прощался я с вами**“ – გრიგოლმა თავისი ძმის, ილიას, ცოლ-შვილი თავისთან მიიწვია თემირხანშურაში, მაგრამ მალე იძულებული გახდა, დაეტოვებინა და ბრძოლის ხაზზე წასულიყო.

გვ. 68,13. „**очень люблю с вашим Георгием**“ – საუბარია მის პატარა ძმისწულ გიორგი ილიას ძე ორბელიანზე.

გვ. 68,15-16. „**тянувшіеся с разных сторон к Евгеніевскому укреплению**“ – 1857 წლის 15 ივნისს შამილის ოთხი ნაიბი მრავალრიცხოვანი ჯარით ისე მიუახლოვდა ევგენიევსკის სიმაგრეს, რომ სარდლობამ გამოაცხადა ძალების მობილიზება ამ სიმაგრესთან.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №47 (463) (გვ. 69-70)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №564, გვ.: 59r-v, 60r-v.

თარიღი და ადგილი: „18^ა ივნისს 1857 თერენგულთან ლაგირი.“

ხელმოწერა: „შენი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ბატონო, კნიაზო დემეტრე!“

ავტოგრაფის აღწერილობა: შუაზე გადაკეცილი, გაცრეცილი, გახუნებული, გაყვითლებული, დალაქავებული, საშუალო სისქის ქაღალდი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,6X21 სმ; გადაკეცილისა: 21X13,5 სმ (I ფურცელი); 21X13,2 სმ (II ფურცელი); შესრულებულია მუქი შავი მეღვინით, რომლითაც ალაგ-ალაგ დასვრილია ხელნაწერი; 60r გვერდის ბოლო აბზაცი – „ძალუა და ნინუცა...“ – და მთელი 60v გვერდი – ავტორის ხელრთვის შემდეგ – შავი ფანქრით არის გადახაზული.

ადრესატის მისამართი: წერილში გრიგოლი მოიკითხავს ბარბარეს – ილია ორბელიანის მეუღლეს, გიორგის – მის შვილს, ნინუცას

– თავის დისწულს: „ძალუა და ნინუცა სიყუარულით მომიკითხე; გიორგი ჩამიკოცნე“ – რომლებიც 1857 წლის 2 აპრილიდან **თემირხანშურაში** იმყოფებოდნენ. აღნიშნულის გათვალისწინებით, წერილი აქ არის გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. ღვთის; 2. „თერენგულის ხევს“ ხაზგასმულია ავტორის მიერ; 3. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 4. თარიღი ჩამატებულია ზემოდან ავტორის მიერ; 5. ასეა ხელნაწერში; 6. ღმერთი; 7. აქედან მოყოლებული, ტექსტი ბოლომდე შავი ფანქრითაა გადახაზული; 8. ადგილსამყოფელი ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 192-195.

გვ. 69,12. „**თერენგულის ხევს გავედით**“ – თერენგული ეწოდება დაღესტნის მდინარე სალასუს ზემო წელს.

გვ. 69,13-14. „**შამილა ჯერ არა ჰსჩანს**“ – საუბარია პირადად ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამის გამოჩენაზე.

გვ. 69,14. „**ბურთუნაის იქით**“ – საუბარია დაღესტნის სოფელზე.

გვ. 69,19-20. „**იქ სადაცა იყო ნეიდგარდის პოზიცია**“ – საუბარია 1844 წლის ჩეჩნეთის ექსპედიციის დროს გენერალ ალექსანდრე ივანეს ძე ნეიდგარდტის ერთ-ერთ საბრძოლო პოზიციაზე.

გვ. 69,22. „**ეს უნდა უთოოდ ძალუას უთხრა**“ – გრიგოლის რძალი ბარბარე ილიას ასული ბაგრატიონი-ორბელიანისა იმ დროს დიმიტრი ჯორჯაძესთან ერთად იყო თემირხანშურაში.

გვ. 69,23. „**ჰეი გრიგოლ ყაფლანისშვილო**“ – გრიგოლის გვარის ერთ-ერთ ფუძემდებელს ყაფლანი ერქვა.

გვ. 69,24-25. „**მივჰყავით ხელი... ამ გვარს რაღაებსაც**“ – აღწერილია სამზადისი ციხის ასაშენებლად.

გვ. 70,1. „**ნინუცა სიყუარულით მომიკითხე**“ – საუბარია გრიგოლის დისწულ ნინო მელიტონის ასულ ბარათაშვილზე.

გვ. 70,1-2. „**გიორგი ჩამიკოცნე**“ – საუბარია გრიგოლის პატარა ძმისწულ გიორგი ილიას ძე ორბელიანზე.

გვ. 70,2. „**ელენეს ამბავი მომწერე და ილიკო მომიკითხე**“ – საუბარია ელენე ივანეს ასულ ანდრონიკაშვილ-ჩოლოყაშვილისაზე და მის მეუღლეზე – ილია ზაალის ძე ჩოლოყაშვილზე, რომლებიც ასევე თემირხანშურაში იმყოფებოდნენ.

დომიტრი ჯორჯაძისადმი №48 (464) (გვ. 70)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7516 (ძველი №173), გვ. 155r.

თარიღი და ადგილი: „24^ა ივნისს“

ხელმოწერა: „შენი გრიგოლი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო დემეტრე!“

ავტოგრაფის აღწერილობა: თეთრი ფერის, საშუალო სისქის, მელ-ნით დასვრილი, შელახული ქალაღი; ზომა: 20,8X12,6 სმ; შესრუ-ლებულია ლურჯი მელნით.

ადრესატის მისამართი: წერილში გრიგოლი მოიკითხავს თავის ახლობლებს: ბარბარეს – ილია ორბელიანის მეუღლეს, გიორგის – მის შვილს, ნინუცას – თავის დისწულს: „ძალუა და ნინუცა სიყუარულით მომიკითხე; გიორგი ჩამიკოცნე“ – რომლებიც 1857 წლის 2 აპრილიდან **თემირხანშურაში** იმყოფებოდნენ. აღნიშნუ-ლის გათვალისწინებით, წერილი აქ არის გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. ხელნაწერში იკითხება „ერთმანეთვ“; 2. ხელნაწერ-ში აქ წერტილია; 3. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

დათარიღება: გრიგოლის რძალი ვარინკა თავის ვაჟ გიორგისთან, გრიგოლის დისწულ ნინოსთან და ივანე მალხაზის ძე ანდრონი-კაშვილის ქალიშვილ ელენესთან ერთად, თემირხანშურაში იყო 1857 წელს, გრიგოლს კი 15 ივნისს მოუხდა მათთან განშორება და სალათავიაში წასვლა. 24 ივნისით დათარიღებული წინამდებარე წერილიდან ჩანს, რომ ერთმანეთთან ახლო-ახლოს განლაგე-ბული გრიგოლისა და შამილის სამხედრო დანაყოფები შეტაკების მოლოდინში იყვნენ. 1857 წლის 27 ივნისის და 1 ივლისის წერ-ილებიდან კი ვიგებთ, რომ სწორედ 24 ივნისს (სავარაუდოდ, ამ ბარათის დაწერის შემდეგ) მართლაც მომხდარა დიდი შეტაკება, რომლის დროსაც შამილს განსაკუთრებით დიდი ზარალი უნახავს („24 ივნისს ძალიან მოვასწარ და დავანექ იმის ჯვარსა ასე, რომ იმათი ღრიალი ცამდის ადიოდა“). შესაბამისად, **წერილის თარიღი – 24 ივნისი – 1857 წელს უნდა გულისხმობდეს.**

გვ. 70,11. „**მე და შამილ ვჰსდგევართ ერთმანეთის] დიას ახლო**“ – იგულისხმება ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამი.

გვ. 70,13-14. „**ძალუა ვარინკა, ელენა, ნინუცა სიყუარულით მომიკითხე**“ – იგულისხმება გრიგოლის რძალი ბარბარე ილიას

ასული ბაგრატიონი-ორბელიანისა, გრიგოლის ბებუის შვილთაშვილი ელენე ივანეს ასული ანდრონიკაშვილი-ჩოლოყაშვილისა და გრიგოლის დისწული ნინო მელიტონის ასული ბარათაშვილი.

გვ. 70,14. „გიორგი ჩამიკოცნე“ – იგულისხმება გრიგოლის პატარა ძმისწული გიორგი ილიას ძე ორბელიანი.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №49 (465) (გვ. 70-71)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №565, გვ.: 61r, 62v.

თარიღი და ადგილი: „27^ა ივნისს 1857 თერენგული[ს] ლაგირი.“

ხელმოწერა: „შენი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ბატონო დემეტრე!“

ავტოგრაფის აღწერილობა: შუაზე გადაკეცილი, გაცრეცილი, გახუნებული, გაყვითლებული, დალაქავებული, საშუალო სისქის ქაღალდი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,6X21 სმ; გადაკეცილისა: 21X13,3 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით; 62v გვერდზე რუსულად მიწერილია მისამართი, აქვეა წითელი ლუქის ნარჩენი; ხელნაწერი დაზიანებულია: ადგილ-ადგილ ამოხეულია, 62-ე გვერდის ზედა კუთხის ნაწილიც მოხეულია.

ადრესატის მისამართი: „Его Сиятельству Князю Дмитрію Давидовичу Джорджадзе В Шуре“

შენიშვნები: 1. კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმულ ადგილას ფურცელია გახეული; 2-3. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 195-196.

გვ. 71,2-3. „ნაიბი სალათავიისა და ტეხნუცალისა“ – სალათავიის ნაიბი იყო აიდემირი. ტეხნუცალის ნაიბის სახელი უცნობია.

გვ. 71,4. „ლექსები შამილის ქებად შეთხზულნი“ – იგულისხმება ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამი.

გვ. 71,6. „ალექსანდრე მაქრაპულოვი გაიმბობს“ – სავარაუდოდ, იგულისხმება სამხედრო პირი ალექსანდრე ივანეს ძე მაკროპულო.

ქეთევან ორბელიანისადმი №106 (466) (გვ. 71-72)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №363, გვ.: 147r-v, 148r.
თარიღი და ადგილი: „1^ს ივლისს 1857. სალათავიით.“

ხელმოწერა: „შენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო ძალუავე ქეთევან!“

ავტოგრაფის აღწერილობა: შუაზე გადაკეცილი, გაცრეცილი, გახუნებული, გაყვითლებული, დალაქავებული, საშუალო სისქის ქალაღი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,7X21 სმ; გადაკეცილისა: 21X13,2 სმ; შესრულებულია მუქი შავი მეღნით, რომელიც გაყვინთილია გვერდებში; 147v გვერდის ბოლო აბზაცის მე-3 სტრიქონიდან – „მომიკითხე მისის ქულქათით“ – ბოლომდე ტექსტი ფანქრით არის გადახაზული.

ადრესატის მისამართი: ქეთევან ალექსი-მესხიშვილი-ორბელიანისა თბილისში ცხოვრობდა. წერილში გრიგოლი მოიკითხავს იქ მცხოვრებ ახლო ნათესავებს, ამასთან, ყაფლანის შესახებ ეუბნება: „ჩემი თვალის ჩინი ყაფლან სიყუარულით მომიკითხე მისის ქულქათით; მაგრამ აქამდისკი უნდა მოეწერა ჩემთვის თავის მოსვლა მშვიდობიანად საქრისტიანოში, და აღწერა მგზავრობა თვის ირანში.“ როგორც ჩანს, ყაფლანი ირანში იყო და დაბრუნდა საქრისტიანოში – **თბილისში**, სადაც წერილი უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სიტყვები – „ესე იგი 24 ივნისს“ – ჩამატებულია ავტორის მიერ; 2. ღმერთი; 3. აქედან ბოლომდე ტექსტი ფანქრით არის გადახაზული; 4. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განწერელის რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ. 196.

გვ. 71,21. „**მე და შამილა ცხვირში უდგევართ ერთმანეთსა**“ – ჩეჩნეთ-დაღესტნის ჯარი სალათავიაში გრიგოლის პირისპირ იდგა, შეტაკების მოლოდინში.

გვ. 71,25-26. „**სალათავიისა და ტეხნუცალის ნაიბები დაიხოცნენ**“ – სალათავიის ნაიბი იყო აიდემირი. ტეხნუცალის ნაიბის სახელი უცნობია.

გვ. 72,8-9. „**ჩემი თვალის ჩინი ყაფლან... მისის ქულქათით**“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ყაფლან ასლანის ძე ორბელიანსა და მის ოჯახზე.

გვ. 72,12. „**ძალუა ნინო მისის ქალებით**“ – საუბარია გრიგოლის ბიძის, იაკობ ორბელიანის, მეუღლეზე – ნინო მაყაშვილ-ორბელიანისაზე და ქალიშვილებზე: თამარ ორბელიან-სანკოვსკისაზე, ეკატერინე ორბელიან-ივანოვისაზე, სოფიო ორბელიან-სვიატოპოლკ-მირსკისაზე და ბარბარე ორბელიან-ოპოჩინინისაზე.

გვ. 72,12-13. „**ჩემი დისწული ბაბაღე სიყუარულით მომიკითხე**“ – საუბარია ბარბარე მელიტონის ასულ ბარათაშვილ-ვეზირიშვილისაზე.

გვ. 72,14. „**იაკინთე და სარდიონ ჩამიკოცნე**“ – იგულისხმება ადრესატის ძმები – იაკინთე და სარდიონ დიმიტრის ძე ალექსიმესხიშვილები.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №50 (467) (გვ. 72-73)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №566, გვ.: 63r, 64v.

თარიღი და ადგილი: „29^ა ივლისს 1857. სალათავიით.“

ხელმოწერა: „შენი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ბატონო დემეტრე!“

ავტოგრაფის აღწერილობა: შუაზე გადაკეცილი, გაცრეცილი, გახუნებული, გაყვითლებული, დალაქავებული, სიფრიფანა ქალაღდი; ზომები: გადაუყვცავისა: 25,9X18 სმ; გადაკეცილისა: 18X12,9 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით; ხელნაწერი დაზიანებულია: ადგილ-ადგილ ამოხეულია, 64-ე ფურცლის ზედა კუთხის ნაწილიც მოხეულია. 64v გვერდზე ორ ადგილას არის წითელი ლუქის ნარჩენი; გადაკეცილი ფურცელი კიდევ ორჯერ არის გადაკეცილი და ნაწერი – ორ მხარეს განაწილებული: მარჯვენა მხარეს წერილის ბოლო აბზაცი წერია, ხოლო მარცხენა მხარეს – ადრესატისადმი მიძღვნა.

ადრესატის მისამართი: ტექსტის შინაარსიდან ირკვევა, რომ დიმიტრი **თემირხანშურაში** იმყოფება. სალათავიიდან მყოფი გრიგოლი მას გარკვეულ დავალებებს აძლევს და თემირხანშურაში მყოფ ნინიკასთან სიტყვას აბარებს: „ნინიკას უბძანე, ეს საძაგელი ჩაი საიღამ უშოვნია ჩემს მოსაკვლელად?“

შენიშვნები: 1. ღვთის; 2. ჩამატებულია ავტორის მიერ; 3. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განწერელის რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ. 199.

გვ. 72,21. „**შამილა აღარ გვესვრის ღამე ზარბაზანსა**“ – საუბარია ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამის მოქმედებებზე სალათავიაში.

გვ. 72,25. „**სულეიმანხანი მოდის გამარჯვებული**“ – საუბარია რუსეთის სამსახურში მყოფ პოდპოლკოვნიკ სულეიმან ხანზე, მაიორ ახმედ ხანის ვაჟზე.

გვ. 73,6. „**ნინიკას უბძანე, ეს საძაგელი ჩაი საიღამ უშოვნია**“ – საუბარია გრიგოლის მსახურ ნინიკა ბაქრაძეზე.

გვ. 73,7-8. „**კაკალას ჩაის მასმევს**“ – საუბარია გრიგოლის ნაყმევზე.

გვ. 73,8-9. „**კაზნაჩის გამომირთვი და გამომიგზავნე**“ – სავარაუდოდ, აქ მოლარეზე უფრო სანყობის გამგე იგულისხმება.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №51 (468) (გვ. 73-74)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №567, გვ.: 65r-v, 66r. **თარიღი და ადგილი:** „ნ⁶ აგვისტოს 1857. სალათავია.“

ხელმოწერა: „შენი ბედნიერების მოსურნე გრიგოლ ორბელიანი“
ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ბატონო დემეტრე!“

ავტოგრაფის აღწერილობა: შუაზე გადაკეცილი, გაცრეცილი, გახუნებული, გაყვითლებული, დალაქავებული, საშუალო სისქის ქაღალდი; ზომები: გადაუკეცავისა: 27X21,7 სმ; გადაკეცილისა: 21,7X13,3 სმ; შესრულებულია მუქი შავი მეღვინით, რომელიც გადასულია გვერდებში.

ადრესატის მისამართი: წერილის შინაარსიდან ირკვევა, რომ დიმიტრი თემირხანშურაშია. გრიგოლი მას ხოლერისგან თავდაცვას სთხოვს: „თუ, ვინიცობაა, შურაშიაც გამოჩნდა, მაშინვე გადინაცვლეთ ბინა იშკარტაში, რაკუზას სახლში, და შენ უნდა იყო მომღვინე და მფარველიცა მაგ ქალებისა.“

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. ღვთის; 3. ღმერთმან; 4. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განწერელის რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 199-200.

გვ. 73,17. „კობიევის საქმეს, რა საკურველია, რომ კარგად მი-
ვსწერ“ – საუბარია პოდპოლკოვნიკ ნიკოლოზ იაგორის ძე კობია-
შვილზე, რომელიც 1857 წლის 4 ივნისს ტყვედ ჩაუვარდა მთიელებს.

გვ. 73,18-19. „ვჰსთხოვ, რომ დრომდის არ გამოირიცხონ აქ ბა-
ტალიონის კამანდირობისაგან“ – ტყვედ ჩავარდნამდე პოდპოლკო-
ვნიკი კობიაშვილი იყო კავკასიის მე-4 მსროლელთა ბატალიონის
მეთაური. ჩანს, რომ ორბელიანს თხოვნა შეუსრულეს, რადგან
1858 წლის 5 აპრილს, როდესაც კობიაშვილი ტყვეობიდან გამოი-
სყიდეს, იგი თავის თანამდებობაზე დაბრუნდა და 1862 წლის 12
ნოემბრამდე ასრულებდა ბატალიონის მეთაურის მოვალეობას.

გვ. 73,22-23. „ხოლერა, არათუ ყუბაშია, აქაც, საკურველია,
გამოჩნდა ამ სიმალლეს მთებში“ – დაავადების პირველი შემთხ-
ვევები სალათავიაში ჯერ კიდევ ივლისის ბოლოს გაჩნდა, თავდა-
პირველად ავადმყოფობა ჯარისკაცების მუდმივ წვიმასა და
სიცივეში ყოფნით გამოწვეულ გაციებას მიაწერეს, მაგრამ აგვის-
ტოს შუა რიცხვებამდე ეპიდემია ისე მომძლავრდა, რომ დღეში,
დაახლოებით, 26 კაცი კვდებოდა, შემდეგ კი თანდათან იკლო.

გვ. 74,2-3. „გადინაცვლეთ ბინა იშკარტაში, რაკუზას სახლ-
ში“ – საუბარია თემირხანშურასთან ახლოს მდებარე სოფელზე
და პოლკოვნიკ ნიკოლოზ ბიკენტის ძე რაკუზას (რაკუზას) სახ-
ლზე, რომელიც იქ მდებარეობდა.

გვ. 74,3-4. „შენ უნდა იყო მომლელიცა და მფარველიცა მაგ ქა-
ლებისა“ – გრიგოლ ორბელიანი დიდ შიშსა და პასუხისმგებლობას
გრძნობდა თავისი უახლოესი ადამიანების გამო, რომლებიც მან
მიიწვია თემირხანშურაში და საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ.

გვ. 74,12-13. „ძალიან მეშინიან, რომ ესოდენის ავდრებისაგ-
ამო მუშაობა ვერ შევასრულოთ“ – საუბარია ევგენიევსკის ციხე-
სიმაგრის მშენებლობაზე.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №52 (469) (გვ. 74-75)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №568, გვ.: 67r-v,
68r.

თარიღი და ადგილი: „8^ა აგვისტოს 1857. სალათავიით.“

ხელმოწერა: „შენი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო დემეტრე!“

ავტოგრაფის აღწერილობა: შუაზე გადაკეცილი, გაცრეცილი, გახუნებული, გაყვითლებული, დალაქავებული, საშუალო სისქის ქაღალდი; ზომები: გადაუკეცავისა: 27X21,8 სმ; გადაკეცილისა: 21,8X13,4 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომლითაც დასვრილი და გაჟღენთილია ფურცლები.

ადრესატის მისამართი: წერილში გრიგოლი მოიკითხავს თემირხანშურაში მყოფ ახლობლებს: ბარბარეს – ილია ორბელიანის მეუღლეს, ელენეს, ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილის ქალიშვილს, ნინუცას – თავის დისწულსა და გიორგის – თავის ძმისწულს: „ძალუა, ელენე, ნინუცა მომიკითხე; გიორგი ჩამიკოცნე“, რაც ადასტურებს, რომ წერილი **თემირხანშურაშია** გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სიტყვა ჩამატებულია ავტორის მიერ; 2. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განწერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 200-201.

გვ. 74,20-21. „**წადით მშვიდობით და იჭყუპალავით ზღუაში**“ – როგორც ჩანს, დიმიტრი აპირებდა სტუმრების: გრიგოლ ორბელიანის რძლის – ბარბარე ილიას ასული ბაგრატიონ-ორბელიანის, ძმისშვილის – გიორგი ილიას ძე ორბელიანისა და დისშვილის – ნინო მელიტონის ასული ბარათაშვილის ზღვაზე წაყვანას პეტროვსკში.

გვ. 74,22. „**შამილა კატასავით მობუზვილია**“ – იგულისხმება ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამის მდგომარეობა სალათავიაში მარცხის შემდეგ.

გვ. 74,24-25. „**გარდანქეშანგებმაც მომიტანეს ამბავი**“ – იგულისხმება სპარსული ეპოსის – „ყარამანიანის“ – გმირი.

გვ. 74,26-27. „**სტარკა ჯამალასი ორნი შვილის შვილები ამოვიდნენ ჩემთან**“ – იგულისხმება ჩირქეის უხუცესი, რომელსაც ადრე შამილი იმდენად ენდობოდა, რომ უნდოდა რუსების მიერ მძევლად აყვანილ მის შვილს, ჯამალედინს, გაჰყოლოდა და ეზრუნა მასზე. შვილიშვილების სახელები უცნობია.

გვ. 74,27. „**წავიდა ჩემის წერილით ნაიბთანა**“ – სალათავიის ნაიბი აიდემირი ამ დროს ახალგარდაცვლილი იყო და მისი ადგილი ეკავა ისმაილს.

გვ. 75,3. „**ძალუა, ელენე, ნინუცა მომიკითხე**“ – საუბარია გრიგოლის რძალ ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანი-

საზე, მისი ბებუის შვილთაშვილ ელენე ანდრონიკაშვილ-ჩოლოყა-შვილისაზე და დისშვილ ნინო მელიტონის ასულ ბარათაშვილზე.

გვ. 75,3. „გიორგი ჩამიკოცნე“ – იგულისხმება გრიგოლის პატარა ძმისწული გიორგი ილიას ძე ორბელიანი.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №53 (470) (გვ. 75-76)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №569, გვ.: 69r-v, 70r-v.

თარიღი და ადგილი: „20 აგვისტოს 1857. სალათავიით.“

ხელმოწერა: „შენი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ბატონო კნიაზო დემეტრე!“

ავტოგრაფის აღწერილობა: შუაზე გადაკეცილი, გაცრეცილი, გახუნებული, თეთრი ფერის, საშუალო სისქის ქაღალდი; ზომები: გადაუკეცავისა: 27,1X21,3 სმ; გადაკეცილისა: 21,3X13,5 სმ; (I ფურცელი); 21,3X13,6 სმ; (II ფურცელი); შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომლითაც დასვრილი და გაჟღენთილია ფურცლები.

ადრესატის მისამართი: იმავე ადრესატისადმი 6 აგვისტოს მიწერილი ბარათიდან ჩანს, რომ დიმიტრი ჯორჯაძე პეტროვსკში აპირებდა წასვლას და გრიგოლი თავმეკავებას ურჩევდა: „ძალიან კარგსა იქმთ, რომ მცირედი შეიცადოთ და არ წახვიდეთ პეტროვსკში.“ წინამდებარე წერილიდან კი ჩანს, რომ ადრესატი გრიგოლის ნათესავებთან ერთად პეტროვსკში იმყოფება: „მიხარის, რომ ლაზათიანად ატარებთ დროსა ჭყუპალაობითა.“ ამდენად, წერილი გაგზავნილია **პეტროვსკში**.

შენიშვნები: 1. ღმერთი; 2. ღვთისა; 3. ღმერთი; 4. ეს აბზაცი სტრიქონის – „მანცკი მე დრაგუნები გამოვგზავნე“ – ჩათვლით, მარცხენა არშიაზე ფანქრით არის მონიშნული; 5. ღვთის; 6. ეს აბზაცი და ხელრთვა შავი ფანქრით არის გადახაზული; 7. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 8. აქედან ტექსტი ბოლომდე შავი ფანქრით არის გადახაზული; 9. ამ ადგილას ავტორის შენიშვნის ნიშანია (X) ფრჩხილებში ჩასმული და დარჩენილი ფრაზა გადატანილია I გვერდის თავში და დაწერილია უკუღმა; აღნიშნული ნიშანი ფრაზის წინაცაა გადატანილი; 10. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 201-202.

გვ. 75,13. „საბრალო ჩემი სტეფანა – პოვორი“ – მზარეულის გვარი უცნობია.

გვ. 75,16-17. „არამც და არამც კნიაზი დიმიტრი ღრუზინსკი აქ გამოგზავნო“ – სავარაუდოდ, საუბარია გრიგოლის რძლის, ბარბარეს, ძმაზე – დიმიტრი ილიას ძე ბაგრატიონზე.

გვ. 75,21. „შამილა და მისი ჯარი ასე ჩუმით არიან“ – ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამის ჯარები შეტაკებების შემდეგ ძალებს იკრებდნენ.

გვ. 75,26. „ჰყვანდეს ასევესა ჯარი მის მოპირდაპირედ“ – საუბარია პოლკოვნიკ დიმიტრი კუზმას ძე ასევეზე, რომელიც სალათავიაში მსახურობდა გრიგოლ ორბელიანთან.

გვ. 75,27-28. „მუშაობა... მოდის ჯერ კარგად ღთის მონყალებითა“ – იგულისხმება ციხე-სიმაგრის მშენებლობა.

გვ. 76,1. „მომიკითხე ძალუა, ელენე, ნინუცა, სიყუარულითა“ – საუბარია გრიგოლის რძალ ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანისაზე, მისი ბებუის შვილთაშვილ ელენე ანდრონიკაშვილ-ჩოლოყაშვილისაზე და დისშვილ ნინო მელიტონის ასულ ბარათაშვილზე.

გვ. 76,2. „გიორგი ჩამიკოცნე“ – იგულისხმება გრიგოლის პატარა ძმისწული გიორგი ილიას ძე ორბელიანი.

გვ. 76,6-7. „მიხარის, რომ ლაზათიანად ატარებთ დროსა ქყუპალაობითა“ – დიმიტრი ჯორჯაძე გრიგოლის სტუმრებს ახლდა ზღვაზე პეტროვსკში.

გვ. 76,9-10. „თამაზხან, შამხლის შვილი, ნასულა უაკაზიოთ ჩერქეისკენ“ – საუბარია თარკოს შამხალ აბუ-მუსლიმ-ხანის უკანონო შვილზე.

გვ. 76,15-16. „ნიკორკინი... დაუჭერიათ ტყვედ“ – ოფიცრის სახელი უცნობია.

ქეთევან ორბელიანისადმი №107 (471) (გვ. 76-77)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №364, გვ.: 149r-v, 150r.

თარიღი და ადგილი: „27 აგვისტოს 1857. სალათავიით.“

ხელმოწერა: „თქუენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო ძალუაგ

ქეთევან!“

ავტოგრაფის აღწერილობა: შუაზე გადაკეცილი, ცისფერი, დალაქავებული, თხელი ქალაღდი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,7X21 სმ; გადაკეცილისა: 21X13,2 სმ; (I ფურცელი); 21X13,5 სმ; (II ფურცელი); შესრულებულია მუქი შავი მეღნით, რომლითაც დასვრილი და გაჟღენთილია ფურცლები; ხელნაწერი გვერდებში ადგილ-ადგილ შეხეულია.

ადრესატის მისამართი: ქეთევან ალექსი-მესხიშვილი-ორბელიანისა თბილისში ცხოვრობდა. წერილში გრიგოლი მოიკითხავს იქ მცხოვრებ ახლო ნათესავებს, რაც ადასტურებს, რომ წერილი გაგზავნილია **თბილისში**.

შენიშვნები: 1. ღმერთმან; 2. პირველი შემთხვევაა, რომ გრიგოლს ეს სიტყვა ქართული „ფ“ ასოთი უწერია; 3. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განწერელისა რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 202-203.

გვ. 76,21-22. „ჩემი მზარეული დენშიკი სტეფანაც გაღიტანა“ – მზარეულის გვარი უცნობია.

გვ. 76,24. „ნიკო ჭავჭავაძე აქ არის ჩემთან“ – საუბარია ლეიბ-გვარდიის კაზაკთა პოლკის პორუჩიკ ნიკოლოზ ზურაბის ძე ჭავჭავაძეზე

გვ. 76,26-27. „ძალუა ვარინკა გიორგით, ნინოთი, ელენეთი, არის ზლუაზედ“ – იგულისხმება გრიგოლის რძალი – ბარბარე ილიას ასული ბაგრატიონი-ორბელიანისა, ძმისშვილი – გიორგი ილიას ძე ორბელიანი, დისშვილი – ნინო მეღიტონის ასული ბარათაშვილი და ბებუის შვილთაშვილი – ელენე ივანეს ასული ანდრონიკაშვილი-ჩოლოყაშვილისა, რომლებიც იმ დროს პეტროვსკში იყვნენ.

გვ. 77,2. „შამილამ, რა ვერა გაანყორა აქა“ – საუბარია ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამის წარუმატებელ ექსპედიციაზე სალათავიაში.

გვ. 77,5. „ჩემი დისწული ბაბაღე მომიკითხე“ – საუბარია ბარბარე მეღიტონის ასულ ბარათაშვილ-ვეზირიშვილისაზე.

გვ. 77,5-6. „მაგის ქმრის წიგნი მომივიდა“ – საუბარია დიმიტრი გიორგის ძე ვეზირიშვილზე.

გვ. 77,8. „ყაფღან ქულფათით სიყუარულით მომიკითხე“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ყაფღან ასლანის ძე ორბელიანსა

და მის ოჯახზე.

გვ. 77,8-9. „**ძალუა ნინო მის ქალებითა**“ – საუბარია გრიგოლის ბიძის, იაკობ ორბელიანის, მეუღლეზე – ნინო მაცაშვილ-ორბელიანისაზე და ქალიშვილებზე: თამარ ორბელიან-სანკოვსკისაზე, ეკატერინე ორბელიან-ივანოვისაზე, სოფიო ორბელიან-სვიატოპოლკ-მირსკისაზე და ბარბარე ორბელიან-ოპოჩინინისაზე.

გვ. 77,10. „**ბიძია ალექსანდრესთან ბოდიში მომთხოვეთ**“ – სავარაუდოდ, საუბარია ალექსანდრე (თორნიკე) იესეს ძე ქსნის ერისთავზე.

გვ. 77,12. „**იაკინთე და სარდიონ სიყუარულით მომიკითხე**“ – საუბარია ადრესატის ძმებზე – იაკინთე და სარდიონ დიმიტრის ძე ალექსი-მესხიშვილებზე.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №54 (472) (გვ. 77-78)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №570, გვ.: 71r-v, 72r.

თარიღი და ადგილი: „27 აგვისტოს 1857. სალათავიით.“

ხელმოწერა: „შენი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ბატონო დემეტრე!“

ავტოგრაფის აღწერილობა: შუაზე გადაკეცილი, გახუნებული, ცისფერი, დალაქავებული, თხელი, დიდი ფორმატის ქალაღი; ზომები: გადაუკეცავისა: 42,5X26,6 სმ; გადაკეცილისა: 26,6X21,2 სმ; (I ფურცელი); 26,6X21,3 სმ; (II ფურცელი); შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გადასულია გვერდებში; ხელნაწერი დაზიანებულია: ადგილ-ადგილ მელნითა დამწვარი და გვერდები შეხეული აქვს; რესტავრირებულია.

ადრესატის მისამართი: ქეთევან ორბელიანისადმი ამავე დღეს გაგზავნილი წერილიდან ჩანს, რომ გრიგოლის სტუმრები ისევ ზღვაზე არიან: „ძალუა ვარინკა გიორგით, ნინოთი, ელენეთი, არის ზღუაზედ და ბანაობენ.“ რამდენადაც ვიცით, რომ მათ თან ახლდა დიმიტრი, წერილი გაგზავნილია **პეტროვსკში**.

შენიშვნები: 1. ღმერთმან; 2. მსხუერპლთაშორის; 3. „პოვორი სტეფანე“ ხაზგასმულია ავტორის მიერ; 4. კვადრატული ფჩხილებით აღნიშნულ ადგილას ფურცელია გახეული და „ს“ არ იკითხება; 5. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 6. უცენზურო სიტყვა წერია;

7. აქედან ბოლომდე ტექსტი შავი ფანქრით არის გადახაზული; 8. ღმერთი; 9. ეს წინადადება ლურჯი მელნით არის მიწერილი; 10. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 203-204.

გვ. 77,19. „**საბრალო ჩემი პოვორი სტეფანე**“ – მზარეულის გვარი უცნობია.

გვ. 77,24. „**შიშით, კრძალვით, მოველი შურიდამ ამბავსა**“ – გრიგოლს განსაკუთრებით ეშინოდა ხოლერის გავრცელებისა, რადგან იქ ჰყავდა უახლოესი ნათესავები.

გვ. 77,24-25. „**შამხალმაკი მახარა, რომ ხალილბეგაულში და ქაჭირყუმუხში გამოჩენილა**“ – საუბარია თარკოს შამხალ აბუმუსლიმ-ხანზე და დალესტნის სოფლებზე – ხალიმბეკ-აულზე და ქაჭირ-ყუმუხზე.

გვ. 77,27-28. „**მეტადრე ეგ ქალები არ შეშინდნენ**“ – იგულისხმება გრიგოლის რძალი – ბარბარე ილიას ასული ბაგრატიონი-ორბელიანისა, დისწული – ნინო მელიტონის ასული ბარათაშვილი და ბების შვილთაშვილი – ელენე ივანეს ასული ანდრონიკაშვილი-ჩოლოყაშვილისა.

გვ. 78,1. „**შამილა წავიდა დარლოს**“ – საუბარია ჩეჩნეთ-დალესტნის იმამზე.

გვ. 78,4-5. „**სალათავიის სტარშინები და თვთ ნაიბიცა**“ – საუბარია სალათავიელ უხუცესებზე და ახალ ნაიბ ისმაილზე.

გვ. 78,5. „**ჯამალას შვილისშვილები იყუნენ ჩემთან**“ – საუბარია ერთ-ერთი უხუცესის შვილიშვილებზე.

გვ. 78,6. „**მოველი მისს შვილს ხასბულატსა**“ – საუბარია ჩირქეის უხუცესის, ჯამალის, ვაჟზე.

გვ. 78,11-12. „**ტამაზხანში ითხოვენ ოთხი ათასს თუმანსა**“ – საუბარია შამხლის დატყვევებულ უკანონო შვილზე.

გვ. 78,15. „**მუშაობა კარგად მოდის**“ – იგულისხმება ციხე-სიმაგრის მშენებლობა.

გვ. 78,18. „**კობიევის საქმეს აბა შეუდეგით**“ – საუბარია პოდპოლკოვნიკ ნიკოლოზ იაგორის ძე კობიაშვილის ტყვეობიდან გამოსხნაზე.

გვ. 78,19. „**არც ჩემი სახელი იყოს, არც შენი, და არცა ასევეისა**“ – საუბარია პოლკოვნიკ დიმიტრი კუზმას ძე ასევეზე.

მთიელებს არ უყვარდათ რუსეთის წარჩინებულ სამხედრო პირებთან დათმობაზე წასვლა.

გვ. 78,24. „შენ მაგიერ ნიკო მყავს აქა“ – სავარაუდოდ, საუბარია ლეიბ-გვარდიის კაზაკთა პოლკის პორუჩიკ ნიკოლოზ ზურაბის ძე ქავჭავაძეზე.

გვ. 78,28. „თუ კახეთიდან იცოდე რამე ვრევსკის ოტრიადისა, მომწერე“ – საუბარია ლეკეთის სასაზღვრო ხაზის სარდალზე, გენერალ იპოლიტ ალექსანდრეს ძე ვრევსკიზე, რომელმაც 1857 წლის ზაფხულში კახეთის მხრიდან იერიში მიიტანა დიდოელების სოფლებზე.

ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №15 (473) (გვ. 79-80)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 102v, 103r.

თარიღი და ადგილი: „31 Августа 1857: Салатавія“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „К: Александрю Ивановичу Барятинскому“ / „...Вашему С^ву ...“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაყვითლებული, საშუალო სისქის ქაღალდი; ზომა: 34,5X21,5 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით.

ადრესატის მისამართი: ამ დროს ალექსანდრე ბარიატინსკი მეფის-ნაცვლის თანამდებობაზე მუშაობდა და ცხოვრობდა **თბილისში**. შესაბამისად, წერილი იქ უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. Князю; 2. Сіятельству; 3. Сіятельством; 4. Сіятельству; 5. Сіятельство.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ. 79,5. „**вверенный мне отряд**“ – ორბელიანი იმ დროს იყო კასპიისპირა ჯარების სარდალი.

გვ. 79,5-6. „**за дела, бывшія в Іюне и Августе**“ – იგულისხმება შამილის შემოტევების მოგერიება სალათავიაში.

გვ. 79,6-7. „**в торжественный день Тезоименитства Государя Императора**“ – ასე მოიხსენიებოდა სამეფო ოჯახის წევრთა სახელობის დღეები. 30 აგვისტო არის რუსეთის იმდროინდელი იმპერატორის მფარველი წმინდანის – ალექსანდრე ნეველის – ხსენების დღე.

გვ. 79,11. „**Шамиль, укрепив Буртунай, уехал в Дарго**“ –

საუბარია ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამის უკანდახევაზე.

გვ. 79,24-25. „сказано было, что **Наиб Салатавский Айтемир убит**“ – საუბარია სალათავის ნაიბ აიდემირზე.

გვ. 79,31. „старик **Джамал Черкеевский**“ – ნაიბ აიდემირის მამა – ჯამალი იყო ჩირქეის ერთ-ერთი უზუცესთაგანი.

გვ. 80,1-2. „**видеть Найба Айтемира с его братом Исмаилом**“ – საუბარია ჩირქეის უზუცესის, ჯამალის, შვილებზე.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №55 (474) (გვ. 81-82)

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №571, გვ.: 73r-v, 74r.

თარიღი და ადგილი: „5^ა სექტემ: 1857. სალათავიით.“

ხელმოწერა: „შენი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო დემეტრე!“

ავტოგრაფის აღწერილობა: შუაზე გადაკეცილი, გაცრეცილი, გახუნებული, ნაცრისფერი, დალაქავებული, თხელი ქალღი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,2X21,1 სმ; გადაკეცილისა: 21,1X13,1 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გადასულია გვერდებში; აქა-იქ მელანია დაღვენთილი.

ადრესატის მისამართი: ტექსტის შინაარსიდან ირკვევა, რომ დიმიტრი უკვე დაბრუნებულია **თემირხანშურაში**. გრიგოლი ადრესატს სწერს: „აკოლნიჩიმ მომიტანა დღეს შენი წერილი, და ამასთანა დიდადაც გამახარა ამბითა, რომ შურაში ღთის მოწყალეობით არ გამოჩენილა ხოლერა...“

შენიშვნები: 1. აქ ჯერ დაუნერია „პროვიანტისა მოზიდვაში“, შემდეგ მეორე სიტყვა გადაუსწორებია ლურჯი მელნით; 2. აქ ხელნაწერში წერია „შეგვხდეს“; 3. ღვთის; 4. ღმერთსა; 5. ეს აბზაცი მარცხენა არშიაზე ლურჯი მელნით არის მონიშნული; 6. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 204-205.

გვ. 81,23. „**შამხალსა და იბრეიმხანსა ვჰსწერ**“ – საუბარია თარკოს შამხალ აბუ-მუსლიმ-ხანსა და მის სიძეზე – მეხთულელ ფლიგელ-ადიუტანტ, პოლკოვნიკ იბრაჰიმ ხანზე.

გვ. 81,25-26. „მაღლე მოვრჩე აქაურობას“ – იგულისხმება ჩირქეიში ციხე-სიმაგრისა და შტაბის მშენებლობა.

გვ. 81,28. „ტულავემა ჰარაქათი გასნიოს“ – სავარაუდოდ, იგულისხმება გრიგოლის ნაყმევი იოსებ თათულაშვილი.

გვ. 81,31. „აკოლნიჩიმ მომიტანა დღეს შენი წერილი“ – სავარაუდოდ, საუბარია კასპიისპირა მხარის ჯარების შტაბსკაპიტან ნიკოლოზ ანდრიას ძე ოკოლნიჩიზე.

გვ. 82,2. „ძალუა ვარინკასი წერილი მომივიდა გუშინ“ – საუბარია გრიგოლის რძალზე – ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანისაზე.

გვ. 82,2-3. „კარგად არიან და სულ თურმე სეირნობენ“ – იგულისხმება გრიგოლის რძალთან ერთად მყოფი მისი ვაჟი გიორგი, ელენე ივანეს ასული ანდრონიკაშვილი-ჩოლოყაშვილისა და ნინო მელიტონის ასული ბარათაშვილი.

გვ. 82,5. „შაჰმანდარჰაჯიაც მელაპარაკება საიდუმლოდ“ – საუბარია ჩირქეის ნაიბ შაჰმანდარ-ჰაჯიზე.

გვ. 82,6. „ჩემი ძმა ილია ამაზედ გაცვალა შამილამ“ – საუბარია გრიგოლის ძმის, ილია ორბელიანის, გაცვლაზე 1842 წელს, როცა ის შამილის ტყვეობაში იყო.

გვ. 82,8. „კობიევის საქმეს როგორ აჩარხებთ“ – საუბარია იმჟამად შამილის ტყვეობაში მყოფ პოდპოლკოვნიკ ნიკოლოზ იაგორის ძე კობიაშვილის გაცვლის მოგვარებაზე.

გვ. 82,10. „შამხალმა რომ გადაახდევინოს ფარაულელებსა“ – საუბარია თარკოს შამხალ აბუ-მუსლიმ-ხანსა და დაღესტნის სოფელ ფარაულის (Парави) მცხოვრებლებზე.

გვ. 82,10-11. „რომელთაცა მისცეს მტერსა თამაზხანი“ – საუბარია თარკოს შამხალ აბუ-მუსლიმ-ხანის უკანონო შვილზე, რომელიც ტყვედ აიყვანეს მთიელებმა.

გვ. 82,20. „ეს წერილი მიუტანე ჩემს და არა შენს, დუშკას“ – რამდენადაც წერილში გარკვეული დავალებებია მიცემული იოსებ თათულაშვილისადმი, რომელსაც გრიგოლი სხვა წერილებშიც ხუმრობით მოიხსენიებს (მაგ. უწოდებს კიკო თულაევს), ვფიქრობთ, აქაც ის უნდა იგულისხმებოდეს.

დიმიტრი მილიუტინისადმი №1 (475) (გვ. 82-83)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ. 100გ.

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Дмитрію Алексеевичу Миліутину.“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაყვითლებული, საშუალო სისქის ქაღალდი; ზომა: 34,5X21,3 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით სუფთად.

ადრესატის მისამართი: წერილის შინაარსიდან ირკვევა, რომ დიმიტრი მილიუტინი კავკასიაში იმყოფება: „В первый же приезд Ваш на Кавказ Вы почтили меня обязательным письмом Вашим, которое доставило мне приятный случай познакомиться с Вами заочно.“ 1856 წლის 20 ნოემბრიდან ის მუშაობდა კავკასიის არმიის მთავარი შტაბის უფროსის თანამდებობაზე, რომელიც მდებარეობდა **თბილისში**. შესაბამისად, წერილი იქ უნდა იყოს გაგზავნილი.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

დათარიღება: ბარათი დაწერილი უნდა იყოს მილიუტინის კავკასიაში გადმოსვლის შემდეგ. მართალია, იგი ამ რეგიონში 1839-1844 წლებშიც მსახურობდა, მაგრამ იმხანად მნიშვნელოვანი თანამდებობა არ სჭერია. გრიგოლ ორბელიანი ამ ასაკით უმცროს ადამიანს (დაბადებული იყო 1816 წელს), განსაკუთრებული პატივით მიმართავს: „почтили меня“, „обращаться к Вам в некоторых случаях письмом“, „С чувством истиннаго почтенія и совершенной преданности“, რაც გვაფიქრებინებს, რომ იგი ამ დროს თანამდებობრივად უფრო მაღალ პოზიციაზე უნდა ყოფილიყო. 1856-60 წლებში მილიუტინი იყო კავკასიის არმიის მთავარი შტაბის უფროსი. ამის შემდეგ გადაიყვანეს სამხედრო მინისტრის თანაშემწედ და შემდეგ, 20 წლის მანძილზე, მსახურობდა მინისტრად. წერილიდან ჩანს, რომ ორბელიანს მასთან საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა: „независимо от официальной переписки“, „будет много пользы для службы“, რაც უფრო სავარაუდოა, რომ ყოფილიყო კავკასიის შტაბის უფროსად მისი ყოფნის პერიოდში. მილიუტინი კავკასიის არმიის მთავარი შტაბის უფროსად დაინიშნა 1856 წლის 9 სექტემბერს და კავკასიაში ჩამოვიდა იმავე წლის 20 ნოემბერს. რამდენადაც ბარათის შინაარსიდან ჩანს, რომ ეს გრიგოლ ორბელიან-

ნის პირველი პირადი წერილია მილიუტინისადმი („с большим удовольствием воспользуюсь Вашим предложением: обращаться к Вам в некоторых случаях письмом“), ჩვენ ხელთ არსებული ყველაზე ადრეული თარიღიანი წერილი კი გაგზავნილია 1857 წლის 7 სექტემბერს, **ბარათი დაწერილი უნდა იყოს 1856 წლის 20 ნოემბრიდან 1857 წლის 7 სექტემბრამდე.**

წერილის ადრესატია ცნობილი რუსი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, გენერალი, გრაფი დიმიტრი ალექსის ძე მილიუტინი.

გვ. 82,22. „**В первый же приезд Ваш на Кавказ**“ – მილიუტინმა კავკასიაში სამსახური დაიწყო 1856 წელს, როდესაც ის მეფისნაცვალ ბარიატინსკის შუამდგომლობით, დაინიშნა კავკასიის არმიის მთავარი შტაბის უფროსად.

გვ. 82,24-25. „**уважаю Вас по тем прекрасным произведениям**“ – მილიუტინი 1836 წლიდან აქვეყნებდა მნიშვნელოვან სტატიებსა და ნარკვევებს სამხედრო თემებზე.

დიმიტრი მილიუტინისადმი №2 (476) (გვ. 83-84)

ავტოგრაფი: А: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 103v, 104r.

თარიღი და ადგილი: „7 Сентя: 1857 Салатавія“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Дмитрію Алексеевичу Миліутину.“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაყვითლებული, საშუალო სისქის ქაღალდი; ზომა: 34,5X21,5 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით.

ადრესატის მისამართი: 1856 წლის 20 ნოემბრიდან დიმიტრი მილიუტინი მუშაობდა კავკასიის არმიის მთავარი შტაბის უფროსის თანამდებობაზე, რომელიც მდებარეობდა **თბილისში.** შესაბამისად, წერილი იქ უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. Превосходительству; 2. подполковнику; 3. Главнокомандующій.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ. 83,21. „**великадушное внимание Ваше к подполк: Радецкому**“ – იგულისხმება დალესტინის 82-ე ქვეითი პოლკის მეთაური თეოდორე თეოდორეს ძე რადეცკი.

გვ. 84,2. „Мнение Главнокомандующаго“ – იგულისხმება კავკასიის მეფისნაცვალს და ჯარების მთავარსარდალს ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკის.

გვ. 84,8-9. „что в продолжении трёх лет занимаемой им должности“ – რადეცკი დაღესტნის 82-ე ქვეითი პოლკის მეთაურად იყო 1858 წლიდან.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №56 (477) (გვ. 85-86)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №572, გვ.: 75r-v, 76r-v.

თარიღი და ადგილი: „10^ა სექტემ: 1857. სალათავით.“

ხელმოწერა: „შენი ბედნიერების მოსურნე გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ბატონო დემეტრე!“

ავტოგრაფის აღწერილობა: შუაზე გადაკეცილი, გაცრეცილი, გახუნებული, ნაცრისფერი, დალაქავებული, თხელი ქაღალდი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,2X21,1 სმ; გადაკეცილისა: 21,1X13,1 სმ; შესრულებულია მუქი შავი მეღვინით, რომელიც გადასულია გვერდებში; აქა-იქ მეღვინა დაღვენთილი; ხელნაწერი გადაკეცვის ადგილას ქვემოდან ოდნავ შეხეულია.

ადრესატის მისამართი: ტექსტის შინაარსიდან ირკვევა, რომ დიმიტრი სამეგრელოში აპირებს მრჩევლად გადასვლას და გრიგოლი ცდილობს, განზრახვაზე ხელი ააღებინოს. ის **თემირხანშურის** უპირატესობებს ჩამოუთვლის, სადაც იმ პერიოდში მსახურობდა ადრესატი, და სადაც წერილი უნდა იყოს გაგზავნილი: „კარგად უნდა იცოდე, რომ საცხოვრებლად ზუგდიდი არა ჰსჯობს შურასა არცა ჰაერით, არცა საზოგადოებით და არცა სიამოვნებით.“

შენიშვნები: 1. ღმერთი; 2. ამის შემდეგ ტექსტი ბოლომდე შავი ფანქრით არის გადახაზული; 3. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განწერელის რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 205-206.

გვ. 85,9-10. „შენი წერილი და მასში ჩადებული ივანე სარდლისა“ – სავარაუდოდ, საუბარია ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილზე, რომელიც ყირიმის ომის დროს სარდლობდა ახალ-

ციხის რაზმს.

გვ. 85,22-23. „**ანინდელი მდგომარეობა ეკატერინასი**“ – საუბარია სამეგრელოს დედოფალ ეკატერინე ალექსანდრეს ასულ ქავჭავაძე-დადიანისაზე.

გვ. 86,8-9. „**ჰკითხე იასესა, მიხეილსა, ისინი როგორ გირჩევენ?**“ – სავარაუდოდ, იგულისხმება თბილისის გუბერნიის სამმართველოს წევრი იასე ქავჭავაძე, მაგრამ რომელი მიხეილი – უცნობია.

ყაფლან ორბელიანისადმი №7 (478) (გვ. 86-87)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №395, გვ.: 15r-v, 16r-v.

თარიღი და ადგილი: „10^ს სექტემ: 1857 სალათავიით.“

ხელმოწერა: „შენი მორჩილი ძმა გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ღ^თის წყალობავ ძმაო ყაფლან!“

ავტოგრაფის აღწერილობა: შუაზე გადაკეცილი, გაცრეცილი, ნაცურისფერი, გაცვეთილი, დალაქავებული, თხელი ქალაღი; ზომები: გადაუკეცავისა: 26X21 სმ; გადაკეცილისა: 21X13 სმ; შესრულებულია შავი მელნით, რომელიც გაჟღენთილია ფურცლებში; ხელნაწერი რესტავრირებულია.

ადრესატის მისამართი: **წერილის** შინაარსიდან ირკვევა, რომ ყაფლანი იმყოფებოდა **თბილისში**. გრიგოლი მას სწერს: „ეხლა ჩემის ანგარიშით უნდა იყო შენ მთიდან მოსული შენის ქულქათით.“ / „აქამდის არა გწერდი, რადგანაც არ მეგულებოდი თბილისში და იმისათვის ვერ შეგატყობინე აქაური ამბები.“

შენიშვნები: 1. თარიღი და ადგილი ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2-3. ღვთის.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განწერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 206-209.

გვ. 86,16-17. „**უნდა იყო შენ მთიდან მოსული შენის ქულქათით**“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ყაფლან ასლანის ძე ორბელიანსა და მის ოჯახზე.

გვ. 86,22. „**შამილაც იყო აქა დიდის ჯარითა**“ – საუბარია

ჩენეთ-დალესტნის იმამზე და მის სამხედრო ექსპედიციაზე სალათავიაში.

გვ. 86,25-26. „**ორნი ნაიბნი და მრავალნი მნიგნობარნი ყადიები**“ – საუბარია სალათავიის ნაიბ აიდემირსა და ნაიბ ისმაილზე (ბოთლიხელი).

გვ. 87,5. „**კახეთის სისხლი ავიღე**“ – იგულისხმება ლეკთა მცირე რაზმების გამოდმებული შემოსევები კახეთზე, რომელსაც მოჰყვებოდა ხოლმე ოჯახების ანიოკება, ძარცვა და ტყვეების წაყვანა.

გვ. 87,8. „**ამასწინათ სალათავიის ნაიბი გამოვიდა ჩემთან**“ – საუბარია სალათავიის ახალ ნაიბ ისმაილზე.

გვ. 87,9. „**ყოველს დღეს მორბიან ცოლშვილითა**“ – იგულისხმება რუსეთის მხარეს გადასვლა.

გვ. 87,11-12. „**ჩემი საბრალო სტეფანა პოვოროც**“ – საუბარია გრიგოლის მზარეულზე.

გვ. 87,15. „**გიჟი ნიკო აქ არის ჩემთან**“ – სავარაუდოდ, საუბარია ლეიბ-გვარდიის კაზაკთა პოლკის პორუჩიკ ნიკოლოზ ზურაბის ძე ჭავჭავაძეზე.

გვ. 87,22-23. „**ძალუა და შენი შვილები მომიკითხე**“ – ყაფლან ასლანის ძე ორბელიანის ცოლი იყო ელისაბედ ივანეს ასული ბარათაშვილი, შვილები კი – ელენე, ნინო და დავითი.

გვ. 87,23-24. „**კოკეტკა სოფიო მისის ქმრითა**“ – შესაძლოა, იგულისხმებოდეს გრიგოლ ორბელიანის ყოფილი დანიშნული – სოფიო ყაფლანის (ივანეს) ასული ორბელიანი და მისი ქმარი – კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიის მმართველი ნიკოლოზ პავლეს ძე ბეზაკი.

გვ. 87,26. „**კოჭლი სოსიკო მომიკითხე**“ – სავარაუდოდ, იგულისხმება გრიგოლის ბიძაშვილის, კონსტანტინე იოსების ძე ორბელიანის, ვაჟი იოსები.

გვ. 87,26-27. „**ალექსანდრემ მომწერა რომ ვანოს ქუნთრუმა შეჰყრიათ**“ – სავარაუდოდ, საუბარია გრიგოლის ნათესავებზე – ალექსანდრე და ივანე დავითის ძე ორბელიანებზე.

გვ. 87,29. „**ბიძია ალექსანდრეს სიყუარულით მოვიკითხავ**“ – სავარაუდოდ, საუბარია ალექსანდრე (თორნიკე) იესეს ძე ქსნის ერისთავზე.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №57 (479) (გვ. 88)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №573, გვ.: 77r-v.

თარიღი და ადგილი: „11^ს სექდ 1857 სალათავით“

ხელმოწერა: „შენი გრიგოლი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო დემეტრე!“

ავტოგრაფის აღწერილობა: შუაზე გადაკეცილი, გაცრეცილი, გახუნებული, ნაცრისფერი, დალაქავებული, თხელი ქაღალდი; ზომები: გადაუქეცავისა: 26,2X21,1 სმ; გადაკეცილისა: 21,1X13,1 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გადასულია გვერდებში; ალაგ-ალაგ არის გადახაზული და ჩამატებული ადგილები.

ადრესატის მისამართი: წერილში მისამართი არ არის გამოკვეთილი, მაგრამ იმავე ადრესატისადმი წინა დღეს გაგზავნილი წერილის ტექსტიდან ჩანს, რომ დიმიტრი იმყოფებოდა **თემირხანშურაში**. საანალიზო ბარათიც იქ უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. აქ სხვა სიტყვა დაუწყია, დაუნერია მხოლოდ „აღ“, შემდეგ გადაუხაზავს და დაუნერია „დაპირებისა“; 2. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 3. აქ ჯერ დაუნერია „მობრუნდება იგი“, შემდეგ ფრაზა მრავლობითი რიცხვით შეუცვლია; 4. „დაბრუნება მათი“ ჩამატებულია ავტორის მიერ; 5. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 6. ღმერთიც; 7. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 8. თარიღი და ადგილი ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 209-210.

გვ. 88,1. „**კობიევის გამოსხნისათვის მოგენერა**“ – საუბარია პოდპოლკოვნიკ ნიკოლოზ იაგორის ძე კობიაშვილზე, რომელიც ტყვედ ჰყავდათ მთიელებს.

გვ. 88,2. „**მთავარმართველს ვჰსთხოვოთ**“ – იმ დროს კავკასიის მეფისნაცვალს იყო ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკი.

გვ. 88,2-3. „**შამშუდდინის ძმისა და კიდევ ვილასისაც მობრუნება ციმბირიდან**“ – საუბარია თარკოს შამხალ აბუ-მუსლიმ-ხან შვილებზე – შამსუდინ-ხანსა და თამაზ-ხანზე.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №58 (480) (გვ. 88-89)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №574, გვ.: 78r-v, 76r.

თარიღი და ადგილი: „15^{სა} სექტემ: 1857 სალათავით“

ხელმოწერა: „შენი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ბატონო დემეტრე!“

ავტოგრაფის აღწერილობა: შუაზე გადაკეცილი, გაცრეცილი, გახუნებული, ნაცრისფერი, დალაქავებული, თხელი ქალღი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,2X21,1 სმ; გადაკეცილისა: 21,1X13,1 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გადასულია გვერდებში; ფურცელზე ალაგ-ალაგ მელანია დაღვენილი.

ადრესატის მისამართი: წერილში გრიგოლი მოიკითხავს თემირხანშურაში მყოფ ახლობლებს: ბარბარეს – ილია ორბელიანის მეუღლეს, ელენეს – ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილის ქალიშვილს, ნინუცას – თავის დისწულსა და გიორგის – თავის ძმისწულს: „ძალუა სიყუარულით მომიკითხე, ეგრეთუ ელენე და ნინუცა; გიორგი ჩამიკოცნე“, რაც ადასტურებს, რომ წერილი **თემირხანშურაშია** გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. თარიღი და ადგილი ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. ღმერთი.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 210-211.

გვ. 89,3. „**მუშაობაც შედგა**“ – იგულისხმება სოფელ ჩირქეისთან ციხე-სიმაგრის მშენებლობა.

გვ. 89,10. „**მოკვდა ჯამალა სტარიკა და მისი ცოლი**“ – იგულისხმება ჩირქეის უხუცესი.

გვ. 89,10-11. „**მოკვდენ ისმეილასი ორნი ვაჟკაცი შვილები**“ – საუბარია სალათავიის ნაიბის, ისმაილის, შვილებზე.

გვ. 89,11. „**მოუკვდა ცოლი ხასბულატსა**“ – საუბარია ჩირქეის უხუცესის, ჯამალის, ვაჟზე.

გვ. 89,12. „**თუთ ნაიბიც არის აქ ავათ ხოლერიითა**“ – საუბარია სალათავიის ნაიბ ისმაილზე.

გვ. 89,15-16. „**ძალუა სიყუარულით მომიკითხე, ეგრეთუ ელენე და ნინუცა**“ – იგულისხმება გრიგოლის რძალი – ბარბარე ილიას ასული ბაგრატიონი-ორბელიანისა, გრიგოლის ბე-

ბიის შვილთაშვილი – ელენე ივანეს ასული ანდრონიკაშვილი-
ჩოლოყაშვილისა და გრიგოლის დისწული – ნინო მელიტონის
ასული ბარათაშვილი.

გვ. 89,16. „გიორგი ჩამიკოცნე“ – იგულისხმება გრიგოლის
პატარა ძმისწული გიორგი ილიას ძე ორბელიანი.

გვ. 89,18-19. „თბილისში ლენარლები უნდა ახლა ახალს ოპ-
ერას უყურებდნენ“ – 1851 წლიდან თბილისში წარმოდგენებს მარ-
თავდა იტალიური საოპერო დასი, რომელიც დიდი პოპულარობით
სარგებლობდა.

ქეთევან ორბელიანისადმი №108 (481) (გვ. 89-90)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №365, გვ.: 151r-v.

თარიღი და ადგილი: „17^ა სექტემ: 1857. სალათავიით.“

ხელმოწერა: „შენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო ძალუავ
ქეთევან!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, გახუნებული, ნაცრისფე-
რი, თხელი ქაღალდი; ზომა: 21X13 სმ; შესრულებულია მუქი შავი
მელნით, რომლითაც დასვრილი და გაჟღენთილია ფურცელი.

ადრესატის მისამართი: ქეთევან ალექსი-მესხიშვილი-ორბელიანისა
თბილისში ცხოვრობდა. წერილში გრიგოლი მოიკითხავს იქ მც-
ხოვრებ ახლო ნათესავებს, რაც ადასტურებს, რომ ბარათი გაგ-
ზავნილია თბილისში.

შენიშვნები: 1. ღმერთმა; 2. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მე-
ორე, 1851-1859, აკაკი განწერელის რედაქციით და შენიშვნებით,
სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ. 211.

გვ. 90,2. „ლთ მა უშველოს ნიკოსა“ – სავარაუდოდ, საუბარ-
ია ლეიბ-გვარდიის კაზაკთა პოლკის პორუჩიკ ნიკოლოზ ზურაბის
ძე ჭავჭავაძეზე.

გვ. 90,4. „ბიძია ალექსანდრე მომიკითხეთ“ – სავარაუდოდ,
საუბარია ალექსანდრე (თორნიკე) იესეს ძე ქსნის ერისთავზე.

გვ. 90,4-5. „ყაფლან მის ქულქათითა“ – საუბარია გრიგო-
ლის ბიძაშვილ ყაფლან ასლანის ძე ორბელიანსა და მის ოჯახზე.

გვ. 90,5. „ძალუა ნინო მის ქალებითა“ – საუბარია გრიგოლ-

ის ბიძის, იაკობ ორბელიანის, მეუღლეზე – ნინო მაცაშვილ-ორბელიანისაზე და ქალიშვილებზე: თამარ ორბელიან-სანკოვსკისაზე, ეკატერინე ორბელიან-ივანოვისაზე, სოფიო ორბელიან-სვიატოპოლკ-მირსკისაზე და ბარბარე ორბელიან-ოპოჩინინისაზე.

დიმიტრი მილიუტინისადმი №3 (482) (გვ. 90)

ავტოგრაფი: А: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 104r-v.

თარიღი და ადგილი: „20 Сентяб: 1857 Салатавія“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Дмитрію Алексеевичу Миліутину.“ / „О желаніи К: Васильчикова сообщая Вашему Прев.“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაყვითლებული, საშუალო სისქის ქაღალდი; ზომა: 34,5X21,5 სმ; შესრულებულია შავი მელნით.

ადრესატის მისამართი: 1856 წლის 20 ნოემბრიდან დიმიტრი მილიუტინი მუშაობდა კავკასიის არმიის მთავარი შტაბის უფროსის თანამდებობაზე, რომელიც მდებარეობდა **თბილისში**. შესაბამისად, წერილი იქ უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. Ширванского; 2. Пехотного; 3. Императорского; 4. Великого; 5. Князь; 6. Санкт Петербург; 7. Князя; 8. Превосходительству; 9. Подполковник; 10. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 11. Гренадёрского; 12. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 13. Подполковик; 14. Апшеронского; 15. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ. 90,11-12. „Его Импер: Высочества Вел: Князя Николая Константиновича Полка“ – 1856 წელს შირვანის პოლკს მიენიჭა რუსეთის იმჟამინდელი იმპერატორ ალექსანდრე II-ის ძმის, კონსტანტინე ნიკოლოზის ძის, პირველი ვაჟის – ნიკოლოზ კონსტანტინეს ძის სახელი.

გვ. 90,12-13. „Генерал Маіор К: Васильчиков“ – საუბარია 1853 წლიდან შირვანის ქვეითი პოლკის მეთაურ სერგი ილარიონის ძე ვასილჩიკოვზე.

გვ. 90,19-20. „Подполк: Генеральнаго Штаба Романовскій, которій и представлен к переводу в этотже полк“ – საუბარია დიმიტრი ივანეს ძე რომანოვსკიზე. ცნობილია, რომ მეფის-

ნაცვალი ბარიატინსკი მას ჰპირდებოდა შირვანის პოლკის მიცემას, მაგრამ სრულიად მოულოდნელად გადაიფიქრა. შესაძლოა, გრიგოლ ორბელიანის ეს წერილიც, სადაც პოლკის მეთაურად სხვა ორი პირის რეკომენდაციაც არის, ერთგვარი მინიშნება იყო იმაზე, რომ ორბელიანს ამ თანამდებობისთვის რომანოვსკიზე უფრო შესაფერისად სხვები მიაჩნდა. ეს წერილი სექტემბერშია გაგზავნილი, იმავე წლის ოქტომბერში კი ბარიატინსკიმ მიიღო გადაწყვეტილება, რომ რომანოვსკი ამავე პოლკის არა მეთაურად, არამედ ბატალიონის უფროსად დაენიშნა. განაწყენებულმა რომანოვსკიმ უარი თქვა ამ თანამდებობაზე, რამაც მეფისნაცვალს განარისხა და მას სასწრაფოდ დაატოვებინა კავკასია.

გვ. 90,20-21. „**Полковник Гренадёр: полка Сарандов**“ – საუბარია ქართველ გრენადერთა პოლკის პოლკოვნიკ ივანე პავლეს ძე სარანდოვზე.

გვ. 90,21. „**Подпол: Апшер: Полка Тергукасов**“ – საუბარია აფშერონის ქვეითი პოლკის ბატალიონის მეთაურზე, პოდპოლკოვნიკ არზას არტემის ძე ტერლუგასოვზე.

დიმიტრი მილიუტინისადმი №4 (483) (გვ. 91-92)

ავტოგრაფი: А: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 104v, 105r.

თარიღი და ადგილი: „24 Сент: 1857 Салатавія.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Дмитрію Алексеевичу Миліутину.“ / „Вашему Прев“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაყვითლებული, საშუალო სისქის ქაღალდი; ზომა: 34,7X21,4 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით.

ადრესატის მისამართი: 1856 წლის 20 ნოემბრიდან დიმიტრი მილიუტინი მუშაობდა კავკასიის არმიის მთავარი შტაბის უფროსის თანამდებობაზე, რომელიც მდებარეობდა **თბილისში**. შესაბამისად, წერილი იქ უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. Превосходительству; 2. Казачего; 3. Князь; 4. Генерала; 5. Превосходительства; 6. Князь; 7. Превосходительство.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ. 91,21-22. „**Поручик Лейб Казач: Полка К: Чавчавадзе**“ – სავარაუდოდ, საუბარია ლეიბ-გვარდიის კაზაკთა პოლკის

პორუჩიკ ნიკოლოზ ზურაბის ძე ჭავჭავაძეზე, რომელსაც ორბელიანი ხშირად ახსენებს თავის წერილებში და ზოგჯერ ხუმრობით „გიჟ ნიკოს“ უწოდებს.

გვ. 91,23-24. „**ходатайствовать у Г: Главнокомандующаго**“ – კავკასიის ჯარების მთავარსარდალი იმ დროს იყო ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკი.

გვ. 91,26-27. „**он не принадлежит нашему корпусу**“ – კაზაკთა ეს პოლკი საიმპერატორო გვარდიას ექვემდებარებოდა.

გვ. 92,1. „**две жестоких ран, полученные им в Чолохском сражении**“ – ნიკოლოზ ზურაბის ძე ჭავჭავაძის ბიოგრაფიიდან ცნობილია, რომ 1854 წელს, ყირიმის ომის დროს, როდესაც ის მეთაურობდა კახეთის მილიციის საცხენოსნო ასეულს, მართლაც ორჯერ დაიჭრა მძიმედ.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №59 (484) (გვ. 93-94)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7516 (ძველი №173), გვ.: 144r-v.

ხელმოწერა: „შენი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო დემეტრე!“

ავტოგრაფის აღწერილობა: ცისფერი, თხელი ქაღალდი; ზომა: 20,1X14,5 სმ; შესრულებულია შავი მელნით.

ადრესატის მისამართი: წერილში გრიგოლი მოიკითხავს თემირხანშურაში მყოფ ახლობლებს: ბარბარეს – ილია ორბელიანის მეუღლეს, ელენეს – ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილის ქალიშვილს, ნინუცას – თავის დისწულსა და გიორგის – თავის ძმისწულს: „ძალუა, ელენე, ნინუცი მომიკითხე სიყუარულით; გიორგი ჩამიკოცნე“, რაც ადასტურებს, რომ ბარათი **თემირხანშურაშია** გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. ღვთით.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

დათარილება: 1857 წლის 26 სექტემბერს დიმიტრი ჯორჯაძისათვის გაგზავნილი წერილიდან ჩანს, რომ ნიკო ჭავჭავაძე, რომელიც გრიგოლთან იყო სალათავიაში, ახალი წასულია თემირხანშურისკენ (ნიკოს სახელზე მიღებულ წერილებს გრიგოლი დიმიტრის უგზავნის, რომ თემირხანშურაში მიუსწროს ნიკოს),

წინამდებარე წერილიდან კი ჩანს, რომ იგი თემირხანშურისკენ ნიკოს გამგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრეა დაწერილი („ნიკო წამოვა ოთხშაბათს“).

რამდენადაც 1857 წლის 26 სექტემბერი იყო ხუთშაბათი, ნიკო სალათავიიდან უნდა წასულიყო 25-ში, ოთხშაბათს, ბარათი კი წინა ოთხშაბათიდან მის გამგზავრებამდე 19-დან 24 სექტემბრამდე უნდა იყოს დაწერილი. წინამდებარე ბარათისა და 26 სექტემბრის წერილის ასეთსავე თანმიმდევრობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ წინამდებარე წერილში კობიევზე გასაცვლელი ტყვეები ციმბირიდან ჯერ არ არიან ჩამოყვანილები („კობიევის საქმეზედ რაპორტი გადავანერინე და... წარვადგინე მთავარმართებელთან... რომ ციმბირიდან ტყვეები გამოგზავნონ ფოშტითა“), 26 სექტემბრის წერილში კი ეს ტყვეები უკვე თემირხანშურაში არიან („გთხოვ, აჩვენებინო ტუსალები გასაცვლელად ქართველებზედ, და არა ისინი, რომელნიცა არიან დანიშნულნი... კობიევისათჳს“).

ჩვენს მოსაზრებას დათარიღებასთან დაკავშირებით ასევე განამტკიცებს მოკითხვის სიტყვები, რომლებსაც გრიგოლი უთვლის რძალ ვარინკას, ძმისწულ გიორგის, დისწულ ნინოსა და ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილის ქალიშვილ ელენეს (ილია ზაალის ძე ჩოლოყაშვილის მეუღლეს). მათდამი მოკითხვა 26 სექტემბრის წერილშიც არის ნახსენები – „ძალუა, გიორგი, ელენე, ნინუცა მომიკითხე.“ შესაბამისად, **ბარათს ვათარილებთ 1857 წლის 19-24 სექტემბრით.**

გვ. 93,18. „**კობიევის საქმეზედ რაპორტი გადავანერინე**“ – საუბარია პოდპოლკოვნიკ ნიკოლოზ იაგორის ძე კობიაშვილზე და მისი ტყვეობიდან გამოხსნის პროცედურაზე.

გვ. 93,19. „**წარვადგინე მთავარმართებელთან**“ – იგულისხმება კავკასიის მეფისნაცვალ ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკი.

გვ. 93,20. „**ერთი წერილიც დავატანე მილუტინს**“ – იგულისხმება იმ დროს კავკასიის არმიის შტაბის უფროსი – გრაფი დიმიტრი ალექსის ძე მილიუტინი.

გვ. 93,21. „**პრაგონებს ჩვენ მივსცემთ**“ – „პრაგონებს“ უწოდებდნენ საფოსტო კარეტით მგზავრობის საფასურს. როდესაც სამხედრო პირებს უხდებოდათ მისი საკუთარი ჯიბიდან გადახდა, ხელისუფლება უნაზღაურებდა.

გვ. 93,23. „**მუშაობა მიდის და მიდის**“ – იგულისხმება სოფელ

ჩირქეისთან ციხე-სიმაგრისა და შტაბის მშენებლობა.

გვ. 93,24. „**შამხლისა და შენის წყალობით**“ – საუბარია თარკოს შამხალ აბუ-მუსლიმ-ხანზე.

გვ. 93,25-26. „**მცხეთობას – გწყალობდეს – ვაკურთხოთ კაზარმები**“ – მცხეთობას ძველი სტილით 1-ლ ოქტომბერს დღესასწაულობდნენ.

გვ. 93,28. „**ნიკო წამოვა ოთხსშაბათს**“ – სავარაუდოდ, საუბარია ლეიბ-გვარდიის კაზაკთა პოლკის პორუჩიკ ნიკოლოზ ზურაბის ძე ჭავჭავაძეზე.

გვ. 94,1. „**ძალუა, ელენე, ნინუცი მომიკითხე სიყუარულით**“ – იგულისხმება გრიგოლის რძალი – ბარბარე ილიას ასული ბაგრატიონი-ორბელიანისა, გრიგოლის ბებუის შვილთაშვილი – ელენე ივანეს ასული ანდრონიკაშვილი-ჩოლოყაშვილისა და გრიგოლის დისწული – ნინო მელიტონის ასული ბარათაშვილი.

გვ. 94,1-2. „**გიორგი ჩამიკოცნე**“ – იგულისხმება გრიგოლის მცირეწლოვანი ძმისწული გიორგი ილიას ძე ორბელიანი.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №60 (485) (გვ. 94-95)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №575, გვ.: 80r-v, 81r. **თარიღი და ადგილი:** „26^ა სექდ: 1857. სალათავიით.“

ხელმოწერა: „შენი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო დემეტრე!“

ავტოგრაფის აღწერილობა: შუაზე გადაკეცილი, გაცრეცილი, გახუნებული, ნაცრისფერი, დალაქავებული, თხელი ქაღალდი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,1X21,1 სმ; გადაკეცილისა: 21,1X13 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გადასულია გვერდებში; ფურცელზე ალაგ-ალაგ მელანია დაღვენთილი.

ადრესატის მისამართი: წერილში გრიგოლი მოიკითხავს თემირხანშურაში მყოფ ახლობლებს: ბარბარეს – ილია ორბელიანის მეუღლეს, გიორგის – მის შვილს, ელენეს – ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილის ქალიშვილსა და ნინუცას – თავის დისწულს: „ძალუა, გიორგი, ელენე, ნინუცა მომიკითხე“, რაც ადასტურებს, რომ წერილი **თემირხანშურაშია** გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. ღმერთმან; 2-3. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 4. სიტყვა ჩამატებულია ავტორის მიერ; 5-6. სიტყვა ხაზ-

გასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 211-212.

გვ. 94,6. **„ჯამობეგი აცხონოს ლტმან“** – საუბარია დაღესტნის მხარის, ყარაყაითალის, ყოფილ მმართველ ჯამოვ-ბეგზე.

გვ. 94,8. **„ყაითალს კარგად მოუვლიდა ჰათამობეგი“** – შესაძლოა, იგულისხმებოდეს ქურის სახანოს მმართველ იუსუფ-ბეგის ძმის, ალი-ბეგის, ვაჟი – ჰათამ-ბეგი (Хатам-бек).

გვ. 94,9. **„არ მოასვენებენ ჯამობეგის შვილები“** – ჯამოვ-ბეგის შვილები იყვნენ ახმედ-ფაშა, რომელიც მართავდა ოლქის რამდენიმე დიდ დასახლებას, და მეხთიბეკ უცმიევი.

გვ. 94,11. **„ერთი არის ჭანკა“** – ჭანკას დაღესტანში უწოდებდნენ სოციალურ წრეს, რომელიც ბიებზე ოდნავ დაბლა იდგა.

გვ. 94,13. **„უნდა მოვიდეთ ახმედხანთან“** – საუბარია ელიუს პრისტავ ჰაჯი ალა-ბეგის ვაჟზე.

გვ. 94,16. **„თუ პანჩენკამ, ან მანუკინმა რიგიანად ეგ მოიხმარეს“** – საუბარია ტაბასარანის მაზრის უფროს კირილე პანფილის ძე პანჩენკოზე და 21-ე ქვეითი დივიზიის ბრიგადის მეთაურ ზაქარია სტეფანეს ძე მანიუკინზე.

გვ. 94,26. **„ამ ნიკოლაის“** – სავარაუდოდ, საუბარია იმ პირზე, ვისაც წერილი გაატანა.

გვ. 94,27-28. **„არიან დანიშნულნი... კობიევისათვის“** – საუბარია პოდპოლკოვნიკ ნიკოლოზ იაგორის ძე კობიაშვილზე, რომელიც ტყვედ ჰყავდა შამილს და მთიელ ტყვეებზე უნდა გაეცვალათ.

გვ. 95,3. **„ნიკოს წერილებს უკანვე გიგზავნი“** – სავარაუდოდ, საუბარია ლეიბ-გვარდიის კაზაკთა პოლკის პორუჩიკ ნიკოლოზ ზურაბის ძე ჭავჭავაძეზე.

გვ. 95,5. **„ძალუა, გიორგი, ელენე, ნინუცა მომიკითხე“** – იგულისხმება გრიგოლის რძალი – ბარბარე ილიას ასული ბაგრატიონი-ორბელიანისა, ძმისწული – გიორგი ილიას ძე ორბელიანი, გრიგოლის ბებუის შვილთაშვილი – ელენე ივანეს ასული ანდრონიკაშვილი-ჩოლოყაშვილისა და გრიგოლის დისწული – ნინო მელიტონის ასული ბარათაშვილი.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №61 (486) (გვ. 95-96)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №577, გვ.: 82r-v, 83r-v.

თარიღი და ადგილი: „30^ა სექტემ: 1857 სალათავია.“

ხელმოწერა: „შენი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო დემეტრე!“

ავტოგრაფის აღწერილობა: შუაზე გადაკეცილი, გაცრეცილი, გახუნებული, ნაცრისფერი, დალაქავებული, თხელი ქალღი; ზომები: გადაუკეცავისა: 26X20,7 სმ; გადაკეცილისა: 20,7X13 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გაჟღერებული და გადასულია გვერდებში.

ადრესატის მისამართი: უთარილო წერილიდან, რომელიც 19-24 სექტემბერს შორის პერიოდში უნდა იყოს დაწერილი, ვიგებთ, რომ ნიკო ჭავჭავაძე ჯერ თემირხანშურაში აპირებდა წასვლას, შემდეგ კი – თბილისში: „ნიკო წამოვა ოთხსაბათს; არათუ მარტ[ო] მანდ მოდის, თავგადაგლეჯილი თბილისამდის მირბის.“ წინამდებარე წერილში კი ვკითხულობთ: „ნიკო რას ჰმზერება? წავიდა, თუ მანდვე იმყოფება?“ – რაც გვაგვარაუდებინებს, რომ წერილი გაგზავნილია **თემირხანშურაში**.

შენიშვნები: 1-2. სიტყვა საზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 212-213.

გვ. 95,9-10. **„მონერილობა მილუტინისა კობიევის გამონხსნისათვის“** – საუბარია კავკასიის არმიის შტაბის უფროსზე, გრაფ დიმიტრი ალექსის ძე მილუტინზე და პოდპოლკოვნიკ ნიკოლოზ იაგორის ძე კობიაშვილზე, რომელიც ტყვედ ჰყავდა შამილს.

გვ. 95,10-11. **„ჰსცნობ მთავარმართებლის ჰაზრსა“** – იგულისხმება კავკასიის მეფისნაცვალ ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკი.

გვ. 95,14. **„ველმწიფის კანვოსში ითხოვენ“** – რუსეთის იმპერატორი იმ დროს იყო ალექსანდრე II.

გვ. 95,17. **„შამხლის გვარიდამ ერთი“** – იგულისხმება თარკოს შამხალი აბუ-მუსლიმ ხანი.

გვ. 95,18. **„კუმტურყალიდამ იბრეიმ“** – საუბარია თემირხანშურის ოლქის სოფელზე და მის მკვიდრ 25 წლამდე ასაკის

ახალგაზრდა ყმაწვილზე, რომლის გვარიც უცნობია.

გვ. 95,20. „**ჰილიში, ანუ თარლოში**“ – საუბარია დაღესტნის სოფლებზე, ჰილისა (Гилли) და თარკოზე.

გვ. 95,22. „**ლაზარევთან მოილაპარაკე**“ – საუბარია მეხთულის სახანოს მმართველ ივანე დავითის ძე ლაზარევზე.

გვ. 95,22-23. „**წურბანყადაისშვილი დაინიშნოს**“ – საუბარია აჰყომის ყადის ვაჟზე.

გვ. 96,2. „**უსუფბეგის შვილიც კარგია**“ – იუსუფ-ხან ქურელს რამდენიმე ვაჟი ჰყავდა: ჰაჯი მუჰამედ-ბეგი, ჰაჯი სადიკ-ბეგი, ხალიდ-ბეგი, შახმარდან-ბეგი, ტაჰირ-ბეგი და მუჰამედ ნუცალ-ბეგი. ძნელი სათქმელია, რომელ მათგანს გულისხმობდა.

გვ. 96,4-5. „**ნაიკითხე უკანასკნელს ცისკარში ლექსი კნიჟნა მარიამ ერისთავისა**“ – საუბარია 1857 წელს ცისკრის მეცხრე ნომერში დაბეჭდილ ლექსზე – „ვაების უფსკრულს“, რომელსაც ხელს აწერდა „მარიამ ერისთავისა“ და ორბელიანი დაინტერესდა მისი ვინაობით. ამავე ხელმოწერით 1861 წელს „ცისკრის“ მე-9 ნომერში დაიბეჭდა კიდევ ერთი ლექსი – „იკორთა“. ტექსტიდან ჩანს, რომ მისი ავტორი ქსნის ერისთავია, სქოლიოში გაკეთებული სარედაქციო შენიშვნიდან კი ვიგებთ, რომ მარიამ ერისთავისა იმხანად გარდაცვლილი ყოფილა და ლექსი რედაქციისთვის მიუწოდებია ეკატერინე ერისთავს. ქსნის ერისთავთა საგვარეულო ნუსხის შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ამ ორი ლექსის ავტორი უნდა იყოს „მელექსის“ სახელით ცნობილი – ელიზბარ გიორგის ძე ერისთავის მეუღლე, იმერეთის მეფე სოლომონ I-ის ქალიშვილი, რომლის პოეტური მოღვაწეობის შესახებაც ქართული საზოგადოებისთვის თითქმის არაფერია ცნობილი.

„იკორთის“ ფრაგმენტი 2014 წელს გამოქვეყნდა ქართული ქრისტიანული პოეზიის ათგომეულში, სადაც ავტორად მითითებულია მარიამ ერისთავი, დაბადება-გარდაცვალების წლებად კი – 1834-1858, მაგრამ ეს თარიღები არ შეესაბამება ქსნის ერისთავთა საგვარეულო ნუსხაში შემავალი არც ერთი მარიამ ერისთავის მონაცემებს. გარდა იმისა, რომ იმერეთის მეფის ასულისა (შემთხვევითი არ არის, რომ ამ პერიოდის ქალთა პოეზია მეტწილად ბატონიშვილების შემოქმედებით არის წარმოდგენილი) და „მელექსე“ ერისთავის მეუღლისგან უფრო ბუნებრივად გვეჩვენება პოეტობა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ის ეკატერინე, რომელმაც აწერა „ცისკარს“ ეს ლექსები მიაწოდა, შეიძლებოდა

ყოფილიყო მარიამის შვილიშვილი, თავადაც პოეტი, ეკატერინე ივანეს (ნინიას) ასული ერისთავი. ეკატერინეს კავშირს „ცისკრის“ რედაქციასთან ადასტურებს ის ფაქტი, რომ 1859 წელს მან იქ თავისი საკუთარი ლექსიც გამოაქვეყნა, 1871 წლიდან კი რეგულარულად თანამშრომლობდა ამ ჟურნალთან.

გვ. 96,7-8. „**მუშაობა ჰდულს**“ – საუბარია ჩირქეისთან ციხე-სიმაგრის მშენებლობაზე.

გვ. 96,10. „**ნიკო რას ჰშვრება?**“ – სავარაუდოდ, საუბარია ლეიბ-გვარდიის კაზაკთა პოლკის პორუჩიკ ნიკოლოზ ზურაბის ძე ჭავჭავაძეზე.

გვ. 96,17. „**მცხეთობას ვერ ვაკურთხეთ**“ – იგულისხმება გრიგოლის სურვილი, რომ ციხე-სიმაგრე 1-ლ ოქტომბერს ეკურთხებინათ.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №62 (487) (გვ. 96-97)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №576, გვ.: 84r-v, 85r.

თარიღი და ადგილი: „30^ა სექტემ: 1857 სალათავია.“

ხელმოწერა: „შენი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ბატონო დემეტრე!“

ავტოგრაფის აღწერილობა: შუაზე გადაკეცილი, გაცრეცილი, გახუნებული, ნაცრისფერი, დალაქავებული, თხელი ქაღალდი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,1X21,1 სმ; გადაკეცილისა: 21,1X13 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გაჟღენთილი და გადასულია გვერდებში.

ადრესატის მისამართი: 30 სექტემბერს გრიგოლ ორბელიანს ორი წერილი აქვს დაწერილი დიმიტრი ჯორჯაძისადმი. წინა წერილის ანალიზისას გაირკვა, რომ ადრესატი ამ დროს იმყოფებოდა **თემირხანშურაში**. წინამდებარე წერილში გრიგოლი ადრესატს თემირხანშურასთან მდებარე სოფელ არკაზის კომენდანტ ვასილიევთან სიტყვას აბარებს, რაც დამატებითი საბუთია იმის დასადასტურებლად, რომ წერილი გაგზავნილია **თემირხანშურაში**: „მართალია, მე ვუბძანე კამენდანტს ვასილიევს, რომ ნულარავის მისცემენ შურის გარეშემო სახნავს მიწას, რადგანაც ჩვენს ცხენებს აღარა ჰსჩებოდათ საძოვარი. მაგრამ, რადგანაც ეს მაჰმადა დიდისხნის ნამსახურია და მრავალჯერ ერთგულებაში სისხლ-

დაღვრილი თავდადებით, ამისგამო გთხოვ გამოუცხადო კამენდანტსა, რომ ამას მიეცეს ისევ თავისი სახნავი მიწა სარჩოდ ამის ცოლშვილისა.“

შენიშვნები: 1. „ყელესე მაჰმადამ“ ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 3. ღვთისმშობელს.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განწერელის რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 213-214.

გვ. 96,21. „ყელესე მაჰმადამ შემოიტანა ჩემდა საჩივარი“ – ამ პირს გრიგოლ ორბელიანი წინა წლების წერილებშიც ახსენებს. მას მიჰქონდა წერილები შამილთან, როცა კახეთიდან გატაცებული ქალების გამოსხნაზე წარმოებდა მოლაპარაკება. სავარაუდოდ, იგი უნდა იყოს ცნობილი მუსლიმანი სწავლულის – ყელესა ალის შთამომავალი.

გვ. 96,24. „მე ვუბანე კამენდანტს ვასილიევს“ – სავარაუდოდ, საუბარია თემირხანშურასთან მდებარე სოფელ არკაზის კომენდანტზე.

გვ. 97,4. „ნინიკამ უნდა იცოდეს ამის მიწა“ – საუბარია გრიგოლის მსახურ ნინიკა ბაქრაძეზე

ღიმიტრი ჯორჯაძისადმი №63 (488) (გვ. 97-98)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №578, გვ.: 86r-v, 87r-v.

თარიღი და ადგილი: „1^ს ოკდომ: 1857. სალათავია.“

ხელმოწერა: „შენი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო დემეტრე!“

ავტოგრაფის აღწერილობა: შუაზე გადაკეცილი, გაცრეცილი, გახუნებული, ნაცრისფერი, თხელი ქალაღი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,1X21 სმ; გადაკეცილისა: 21X13,1 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გაჟღენთილი და გადასულია გვერდებში.

ადრესატის მისამართი: წინა დღეს დაწერილი წერილების ანალოგიურად, წინამდებარე ბარათიც **თემირხანშურაშია** გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. ღმერთმან; 2. აქ წერებულა „მაშინაც“ და „აც“ ავტორს შავი მელნითვე გადაუხაზავს; 3. სიტყვა ჩამატებულია ავტორის მიერ; 4. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 5. ეს სი-

ტყვა წინა მხრიდან არის მიმატებული; 6. სიტყვები – „ჭარბელა-ქანს უვლიან ჩინოვნიკები; ძალიან მი...“ – ჩამატებულია ავტორის მიერ სტრიქონებს შორის, ხოლო ფრაზის გაგრძელება – „ზიდულია ხალხი ჰააა?“ – ჩამატებულია ტექსტის მარცხენა არშიაზე ირიბად ავტორის მიერვე; 7. სიტყვა ჩამატებულია ავტორის მიერ; 8. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 214-215.

გვ. 97,11. „**რაც ამ მანუკინის წერილში არის**“ – საუბარია 21-ე ქვეითი დივიზიის ბრიგადის მეთაურ ზაქარია სტეფანეს ძე მანიუკინზე.

გვ. 97,14. „**ადრეაც მინკვიცს ვჰსწერდი**“ – საუბარია დერბენდის გუბერნატორ იული თეოდორეს ძე მინკვიცზე.

გვ. 97,19-20. „**ღენერალ სუსლოვსა ოთხს საათში მიუწვინეს 500 კაცი**“ – სავარაუდოდ, საუბარია გენერალ ალექსანდრე ალექსის ძე სუსლოვზე და 1852 წლის შეტაკებაზე ყაითაღელებთან.

გვ. 97,21-22. „**ჯამოგების შვილები უგუნურები არიან**“ – ჯამოგ-ბეგის შვილები იყვნენ ახმედ-ფაშა, რომელიც მართავდა ოლქის რამდენიმე დიდ დასახლებას, და მეხთიბეკ უცმიევი.

გვ. 97,22. „**ჰათამბეგი ჭანკა არის**“ – უნდა იგულისხმებოდეს ქურის სახანოს მმართველ იუსუფ-ბეგის ძმის, ალი-ბეგის, ვაჟი – ჰათამ-ბეგი (Хатам-бек) და საუბარია მის დაბალ სოციალურ წარმომავლობაზე დედის მხრიდან.

გვ. 97,22-23. „**ახმედხანი ველური მხეცი**“ – საუბარია ელისუს პრისტავ ჰაჯი ალა-ბეგის ვაჟზე.

გვ. 98,12. „**თათრებმა რომ ჩინოვნიკი მოგვიკლან აღენიჩსავით**“ – საუბარია დარლოს თემებისგან შემდგარი ოლქის უფროსზე – მაიორ აღენიჩზე, რომელიც მოკლეს 1845 წელს.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №64 (489) (გვ. 98-99)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №579, გვ.: 88r-v, 89r. **თარიღი და ადგილი:** „1^ა ოკდომ: 1857. სალათავიით.“

ხელმოწერა: „შენი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ბატონო დემეტრე!“

ავტოგრაფის აღწერილობა: შუაზე გადაკეცილი, გაცრეცილი, გახუნებული, ნაცრისფერი, დალაქავებული, თხელი ქაღალდი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,1X21,1 სმ; გადაკეცილისა: 21,1X13 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გაჟღენთილი და გადასულია გვერდებში.

ადრესატის მისამართი: წინა დღეს დაწერილი წერილების ანალოგიურად, წინამდებარე ბარათიც **თემირხანშურაშია** გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სიტყვა ჩამატებულია ავტორის მიერ; 2. ღმერთმა; 3. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 215-216.

გვ. 98,23. „**ეს ლამაზი ჩოქროქა**“ – სავარაუდოდ, საუბარია წერილის მიმტანზე.

გვ. 98,24-25. „**ეგებ ხასკინი სვინიდისში მოიყვანო**“ – სავარაუდოდ, საუბარია დალესტნის ერთ-ერთ ოფიცერზე.

გვ. 98,28. „**ბაგრატიონის საყუარელი... тело хранителем**“ – საუბარია გენერალ-მაიორ გრიგოლ ივანეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელზე.

გვ. 99,3-4. „**ვოლკოვსაც ახლდა ერთხელ**“ – საუბარია დალესტნის სასაზღვრო ხაზის მარჯვენა ფლანგის მეთაურ პეტრე აპოლონის ძე ვოლკოვზე.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №65 (490) (გვ. 99-100)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №580, გვ.: 90r-v, 91r-v.

თარიღი და ადგილი: „ნ⁶ ოკდომბ: 1857. სალათავია.“

ხელმოწერა: „შენი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ბატონო დემეტრე!“

ავტოგრაფის აღწერილობა: შუაზე გადაკეცილი, გაცრეცილი, გახუნებული, ნაცრისფერი, დალაქავებული, თხელი ქაღალდი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,1X21,1 სმ; გადაკეცილისა: 21,1X13 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გადასულია გვერდებში; ხელნაწერი დაზიანებულია: II (91-ე) ფურცელს გვერდიდან მოხეული აქვს; ალაგ-ალაგ მელანია დაღვენთილი.

ადრესატის მისამართი: წინა წერილების ანალოგიურად, წინამდებარე ბარათიც **თემირხანშურაშია** გაგზავნილი. გრიგოლი ადრესატს სწერს: „შურა მრავალთათვის გარდაიქცა პადუად. – კამისაროვიც მანდა ბძანდებოდეს!“ ამასთან, გრიგოლი წერილში ახსენებს ქალებს, სავარაუდოდ, ბარბარეს – ილია ორბელიანის მეუღლეს, ელენეს – ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილის ქალიშვილსა და ნინუცას – თავის დისწულს, რომლებიც თემირხანშურაში იმყოფებოდნენ: „შენი აქ მოსვლა იქნება მხოლოდ საკუთრივ ჩემთვის სასიამოდ; მაგრამ ქალები ვის ანაბარად გაუშვა?“

შენიშვნები: 1. ღვთის; 2. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; ამასთან, ფრაზა – „ვჰსვამდი ჩაისა; ბარაბანშიკები უკრავდნენ ახალს აღებულს ციხეში ზორსა“ – მარცხენა არშიაზე ლურჯი მელნით არის მონიშნული; 3. ფრაზა – „სრულებით მოულოდნელად ნახეს რუსის ჯარი ბურთუნაიში! – მახლაზ“ – მარცხენა არშიაზე ლურჯი მელნით არის მონიშნული; 4. აქედან მოყოლებული, ტექსტი სიტყვების – „წერილები, რომელთა“ – ჩათვლით, მარცხენა არშიაზე, ლურჯი მელნით არის მონიშნული; 5. აქ ჯერ სხვა სიტყვა დაუნერია და შემდეგ გადაუკეთებია; 6. სიტყვა ჩამატებულია ავტორის მიერ; 7. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 8. ამის ქვემოთ ტექსტი ბოლომე შავი ფანქრით არის გადახაზული; 9. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 216-219.

გვ. 99,22. „ავიღე ბურთუნაი, უკანასკნელი ძალა შამილისა სალათავიაში“ – საუბარია 5 ოქტომბრის ოპერაციაზე, რომელსაც თავად გრიგოლ ორბელიანი ხელმძღვანელობდა.

გვ. 100,3-4. „მოდოდნენ შვიდის ნაიბის ჯარები“ – სალათავიის ბრძოლებში მონაწილეობას იღებდნენ სალათავიის ნაიბი აიდემირი, გუმბეთის ნაიბი აბაკარ-დიბირი, არაკანის ნაიბი იბრაჰიმი და სხვები.

გვ. 100,7. „მურუდის ჯარები გუმბეთის გზაზე“ – საუბარია დაღესტნის ოლქზე.

გვ. 100,13. „ბაგრატიონმა გუშინ სალამოზე მომიტანა შენი წერილები“ – სავარაუდოდ, საუბარია გენერალ-მაიორ გრიგოლ ივანეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელზე.

გვ. 100,15-16. „შურა მრავალთათვის გარდაიქცა პადუად“

– შესაძლოა, იგულისხმებოდეს ის ფაქტი, რომ XIX საუკუნის პირველ ნახევარში პადუა ხელიდან ხელში გადადიოდა, ხან ავსტრიელების მფლობელობაში იყო და ხან იტალიელებისა.

გვ. 100,16. „კამისაროვიც მანდა ბძანდებოდეს“ – სავარაუდოდ, საუბარია დალესტანში მებრძოლ ოფიცერზე.

გვ. 100,18. „ქალები ვის ანაბარად გაუშვა?“ – იგულისხმება გრიგოლის რძალი – ბარბარე ილიას ასული ბაგრატიონი-ორბელიანისა, გრიგოლის ბებულის შვილთაშვილი – ელენე ივანეს ასული ანდრონიკაშვილი-ჩოლოყაშვილისა და დისწული – ნინო მელიტონის ასული ბარათაშვილი.

გვ. 100,24. „დაბეჭდე ეს შამხალთან მონერილი“ – საუბარია თარკოს შამხალ აბუ-მუსლიმ-ხანზე.

დამიტრი ჯორჯაძისადმი №66 (491) (გვ. 100-103)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №581, გვ.: 92r-v, 93r-v.

თარიღი და ადგილი: „12^ს ოკდომ: 1857. სალათავით.“

ხელმოწერა: „შენი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ბატონო დემეტრე!“

ავტოგრაფის აღწერილობა: შუაზე გადაკეცილი, გაცრეცილი, გახუნებული, მუქი მოყავისფრო, დალაქავებული, სიფრიფანა ქალაქი; ზომები: გადაუკეცავისა: 43,4X26,2 სმ; გადაკეცილისა: 26,2X21,7 სმ; შესრულებულია შავი მელნით, რომელიც გადასულია გვერდებში; ხელნაწერი დაზიანებულია: ადგილ-ადგილ ამოხეულია; რესტავრირებულია; საანალიზო და მომდევნო წერილი ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ ერთი ნომრის – 581-ის – ქვეშ არის გაერთიანებული, ოღონდ აღნიშნული ნომრის ზემოთ წინამდებარე წერილს უწერია ციფრი 30, ხოლო მომდევნო წერილს – 31.

ადრესატის მისამართი: წინა წერილების ანალოგიურად, წინამდებარე ბარათიც **თემირხანშურაშია** გაგზავნილი: გრიგოლი ადრესატს იქ მყოფ შამხალთან მოკითხვას აბარებს: „შამხალი მომიკითხე და ასე უთხარ, რომ თავის შვილისა ტყვეობ[იდამ] გამოხსნისათჳს სულ ნურავის დაელაპარაკება.“

შენიშვნები: 1. კვადრატულ ფრჩხილებში მოთავსებული ადგილე-

ბი არ იკითხება ფურცლის დაზიანების გამო; 2. ავტორს ყოველი ახალი სტრიქონი ბრჭყალებით აქვს დანყებული, თუმცა ბოლოში ბრჭყალებითვე არ ხურავს ხოლმე; 3. ხელნაწერში წერია „დაე-ლაპარაკდნენ“; 4. „იმის სადგურსა“ ჩამატებულია ავტორის მიერ; 5. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 219-221.

გვ. 100,28. **„შამილას შვილი მოვიდა – ყაზი მაჰმა – მდევრად“** – საუბარია შამილის ვაჟ ყაზი მუჰამედზე.

გვ. 101,10-11. **„ბიძა ჩემი ალექსანდრე დიდად გამიწყობოდა“** – სავარაუდოდ, საუბარია ალექსანდრე (თორნიკე) იესეს ძე ქსნის ერისთავზე.

გვ. 101,12. **„ბეგ-მირზა, დიდად ქებული“** – სავარაუდოდ, იგულისხმება მირზა ვექილოვი, მეხთულის სახანოს თარჯიმანი და გრიგოლ ორბელიანის მდივანი.

გვ. 101,15. **„ლაზარევთან განვანესე“** – საუბარია მეხთულის სახანოს მმართველ ივანე დავითის ძე ლაზარევზე.

გვ. 101,22. **„ალალარის თხოვნამ გამაკვირვა“** – სავარაუდოდ, საუბარია ყაზიყუმუხის უკანასკნელ ხან ალალარ ბეგზე.

გვ. 101,22-23. **„შახნაზაროვმა ეხლა მიიღო ჩინი“** – შესაძლოა, იგულისხმებოდეს ისაი სერგეიბეკის ძე მელიქ-შაჰნაზაროვი, ან ბოგდან დიმიტრის ძე მელიქ-შაჰნაზაროვი.

გვ. 101,29. **„გრემელის დედაკაცისათვის“** – სავარაუდოდ, საუბარია კახეთის სოფელ გრემის მცხოვრებზე, რომელიც ტყვედ ჰყავდათ მთიელებს.

გვ. 101,32. **„მოვიდეთ საბრალოს კობიევის საქმესთან“** – საუბარია პოდპოლკოვნიკ ნიკოლოზ იაგორის ძე კობიაშვილის გამოსხნაზე მთიელთა ტყვეობიდან.

გვ. 102,1. **„ცოლი მისი“** – იგულისხმება ნიკოლოზ იაგორის ძე კობიაშვილის ცოლი.

გვ. 102,6. **„კაკალაც თავის მხრით“** – საუბარია გრიგოლის ნაყმეზე.

გვ. 102,16. **„ნიკორკინში ითხოვდნენ ოთხასს თუმანსა“** – საუბარია შამილის ტყვედ მყოფ რუს ოფიცერზე.

გვ. 102,19. **„შამხალი მომიკითხე“** – საუბარია თარკოს შამხალ აბუ-მუსლიმ-ხანზე.

გვ. 102,19-20. „თავის შვილისა ტყვეობი[დამ] გამოსხსნისათჳს“ – საუბარია თარკოს შამხლის უკანონო შვილზე.

გვ. 102,23. „მოვილაპარაკოთ აყროლებულის შამშუდ-დინისათჳს“ – საუბარია თარკოს შამხალ აბუ-მუსლიმ-ხანის ვაჟ შამსუდინ-ხანზე.

გვ. 102,28-29. „იბრეიმ-ხანი და რეშიდხანიც მაგისი შვილები არიან“ – საუბარია ახმედხანის ვაჟებზე – თარკოს შამხლის სიძეზე – მეხთულელ ფლიგელ-ადიუტანტსა და ლეიბგვარდიის კაზაკთა პოლკის როტმისტრ იბრაჰიმ ხანსა და მის ძმაზე – ლეიბგვარდიის გროდნოს ჰუსართა პოლკის პორუჩიკ რეშიდ-ხანზე.

გვ. 103,1. „ბაგრატიონი მეტადრე ისე ჰსჯით“ – საუბარია გენერალ-მაიორ გრიგოლ ივანეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელზე.

გვ. 103,4. „რას გადამეკიდა ასსევი?“ – საუბარია პოლკოვნიკ დიმიტრი კუზმას ძე ასეევზე, რომელიც სალათავიაში მსახურობდა გრიგოლ ორბელიანთან.

გვ. 103,5. „მონწერილო[ბა] ხუდოჟნიკისა – მგონია ვასილიევისა“ – ხატმწერის სახელი უცნობია.

გვ. 103,15-16. „ძალუას ქეთევანს ოცი თუმანი“ – საუბარია გრიგოლის რძალ ქეთევან დიმიტრის ასულ ალექსი-მესხიშვილზე.

გვ. 103,16-17. „ჩემს დისწულს ბაბალესა“ – საუბარია გრიგოლის დისწულ ბარბარე მელიტონის ასულ ბარათაშვილ-ვეზირიშვილისაზე.

ქეთევან ორბელიანისადმი №109 (492) (გვ. 103-104)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №366, გვ.: 152r-v.

თარიღი და ადგილი: „15^ს ოკდომ: 1857. სალათავით.“

ხელმოწერა: „შენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, გახუნებული, მოთეთრო-მოყვითალო ფერის, დალაქავებული, თხელი ქალღი; ზომა: 21,8X13,3 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომლითაც დასვრილი და გაჟღენთილია ფურცელი.

ადრესატის მისამართი: ქეთევან ალექსი-მესხიშვილი-ორბელიანისათბილისში ცხოვრობდა. წერილში გრიგოლი მოიკითხავს იქ მც-

ხოვრებ ახლო ნათესავეებს, რაც ადასტურებს, რომ წერილი გაგზავნილია **თბილისში**.

შენიშვნები: 1. ღმერთსა; 2. ღვთის; 3. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ. 223.

გვ. 103,21-22. „**ჩემის დისწულის ბაბაღესი**“ – საუბარია ბარბარე მელიტონის ასულ ბარათაშვილ-ვეზირიშვილისაზე.

გვ. 103,24. „**დიმიტრი ჯორჯაძე გამოგიგზავნის**“ – იგულისხმება დიმიტრი დავითის ძე ჯორჯაძე.

გვ. 104,3. „**ძალუა, გიორგი და ნინუცა კარგად არიან**“ – საუბარია გრიგოლის რძალ ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანისაზე, მის მცირეწლოვან ვაჟ გიორგი ილიას ძე ორბელიანსა და გრიგოლის დისწულ ნინო მელიტონის ასულ ბარათაშვილზე.

გვ. 104,3-4. „**ელენეკი დაჰშორებია ამათ და წასულა თავის ქმართან ჩირიურთში**“ – საუბარია გრიგოლის ნათესავ ელენე ივანეს ასულ ანდრონიკაშვილსა და მის ქმარზე – ილია ზაალის ძე ჩოლოყაშვილზე.

გვ. 104,5. „**ჩემი ბიძაშვილი ბაბაღე**“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ბარბარე სამარაგლონის ასულ ორბელიან-საგინაშვილისაზე.

გვ. 104,7. „**ყაფლან ქულქათით მომიკითხეთ**“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ყაფლან ასლანის ძე ორბელიანსა და მის ოჯახზე.

გვ. 104,8. „**ძალუა ნინო მის ქალებით**“ – საუბარია გრიგოლის ბიძის, იაკობის, ცოლზე – ნინო მაცაშვილ-ორბელიანისაზე და ქალიშვილებზე: თამარ ორბელიან-სანკოვსკისაზე, ბარბარე ორბელიან-ოპოჩინინისაზე, ეკატერინე ორბელიან-ივანოვისაზე და სოფიო ორბელიან-სვიატოპოლკ-მირსკისაზე.

გვ. 104,10. „**ბიძია ალექსანდრესა და სოსიკოსა**“ – სავარაუდოდ, საუბარია ალექსანდრე (თორნიკე) იესეს ძე ქსნის ერისთავსა და გრიგოლის ბიძაშვილის, კონსტანტინე იოსების ძე ორბელიანის, ვაჟ იოსებზე.

დებიტრი ჯორჯაძისადმი №67 (493) (გვ. 104-106)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №581, 31, გვ.: 96r-v, 97r-v.

თარიღი და ადგილი: „15^ა ოკდ.“ / „შუადღის შემდეგ.“ / „სალამოს.“
ხელმოწერა: „შენი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:

ავტოგრაფის აღწერილობა: შუაზე გადაკეცილი, გაცრეცილი, გახუნებული, მუქი მოყავისფრო, დალაქავებული, სიფრიფანა ქალალდი; ზომები: გადაუქეცავისა: 26,2X21 სმ; გადაკეცილისა: 21X13,1 სმ; შესრულებულია შავი მელნით, რომელიც გადასულია გვერდებში; რესტავრირებულია; საანალიზო და წინა წერილი ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ ერთი ნომრის – 581-ის – ქვეშ არის გაერთიანებული, ოღონდ აღნიშნული ნომრის ზემოთ წინამდებარე წერილს უწერია ციფრი 31, ხოლო წინა წერილს – 30.

ადრესატის მისამართი: ტექსტში არ ჩანს ადრესატის ადგილსამყოფელი, მაგრამ წინა წერილებიდან ვიცით, რომ იგი იმყოფებოდა თემირხანშურაში. სავარაუდოდ, ეს ბარათიც **თემირხანშურაში** უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. საზგასმულია ავტორის მიერ; 2. კვადრატულ ფრჩხილებში მოთავსებული ადგილი არ იკითხება ფურცლის დაზიანების გამო; 3. „შუადღის შემდეგ“ საზგასმულია ავტორის მიერ; 4. სიტყვა საზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 221-223.

გვ. 104, 18-19. „**ყაფის მთა ირყეოდა საძირკვლიანად**“ – იგულისხმება ლეგენდარული მთა სპარსული ეპოსიდან, „ყარამანიანიდან“.

გვ. 104, 23. „**ბრიყუნი ბაშლულები**“ – საუბარია დაღესტნის სოფელზე.

გვ. 105, 4. „**ლენერალი ვოლკოვი**“ – საუბარია დაღესტნის სასაზღვრო ხაზის მარჯვენა ფლანგის მეთაურ პეტრე აპოლონის ძე ვოლკოვზე.

გვ. 105, 5. „**გუშინ გავგზავნე ბურთუნაის ბატონად**“ – ბურთუნაიში იქნა გადატანილი დაღესტნის ჯარების შტაბი.

გვ. 105, 12. „**იერონიმეს გაზდილი**“ – შესაძლოა, იგულისხ-

მებოდეს კირიონ საძაგლიშვილის (შემდგომში საქართველოს პატრიარქის) მამა – მღვდელი იერონიმე.

გვ. 105,20. „**ბურთუნაის ბატონმა**“ – იგულისხმება გენერალი ვოლკოვი.

გვ. 105,26. „**მომივიდა მთავარმართებელის წერილი**“ – იგულისხმება მეფისნაცვალი ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკი.

გვ. 105,27. „**ველმწიფის წყალობასა, ოქროს შაშკას აღმასით შემკობილსა**“ – რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე II-ისაგან გრიგოლ ორბელიანს ეს ჯილდო მიენიჭა 1857 წლის 1-ლ ოქტომბერს.

გვ. 105,28. „**ბაგრატიონის წერილი მომივიდა**“ – საუბარია გენერალ-მაიორ გრიგოლ ივანეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელზე.

გვ. 105,28-29. „**ჩვენის არქაზის კამენდანტის ხელითა**“ – სავარაუდოდ, საუბარია თემირხანშურასთან მდებარე სოფელ არკაზის კომენდანტ ვასილიეზე.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №68 (494) (გვ. 106)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №582, გვ.: 94r-v, 95r.
თარიღი და ადგილი: „17^ა ოკდომ: 1857 სალათავია.“

ხელმოწერა: „შენი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ბატონო დემეტრე!“

ავტოგრაფის აღწერილობა: შუაზე გადაკეცილი, გაცრეცილი, გახუნებული, თეთრი ფერის, სიფრიფანა ქალაღდი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,5X21,3 სმ; გადაკეცილისა: 21,3X13,5 სმ; (I ფურცელი); 21,3X13 სმ; (II ფურცელი); შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გადასულია გვერდებში.

ადრესატის მისამართი: ტექსტის შინაარსიდან ირკვევა, რომ ადრესატი იმყოფებოდა **თემირხანშურაში**. გრიგოლი მას სთხოვს რკინის ლისტების შოვნასა და ევგენიევსკში გაგზავნას: „ეგებ ზარგაროვმა, ან სხვა ვინმე შურაში იშოვნოს და ან პეტროვსკში, და გამომიგზავნოს ევგენიევსკში.“ ამასთან, გრიგოლი მოიკითხავს თემირხანშურაში მყოფ ახლობლებს: ბარბარეს – ილია ორბელიანის მეუღლეს, ნინუცას – თავის დისწულსა და გიორგის – თავის ძმისწულს: „მომირთმევია ცისკარი; ძალუას ნაუკითხე და მომიკითხე სიყუარულით, ნინუცაცა; და გიორგის ვაკოცებ.“

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. ჯერ „18“

დაუნერია, შემდეგ „8“ „7“-ად გადაუკეთებია; 3. სიტყვა ხაზგას-
მულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მე-
ორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით,
სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 223-224.

გვ. 106,5. „მოვიდა ისაია“ – საუბარია თარჯიმან ისაი ივანეს
ძე გრამოვზე.

გვ. 106,5. „მოვიდა კამისაროვი“ – სავარაუდოდ, საუბარია
დალესტანში მებრძოლ ოფიცერზე.

გვ. 106,11. „მიდი ასსევთან“ – საუბარია პოლკოვნიკ დიმი-
ტრი კუზმას ძე ასეევზე, რომელიც სალათავიაში მსახურობდა
გრიგოლ ორბელიანთან.

გვ. 106,14-15. „ვეგებ ზარგაროვმა... შურაში იშოვნოს“ – სახ-
ელი უცნობია.

გვ. 106,19. „გამოგ ზავნონ ჩერქეისში“ – ორბელიანს სამ-
შენებლო მასალა სჭირდებოდა ჩირქეიში ციხის მშენებლობის
დასამთავრებლად.

გვ. 106,20. „ძალუას წაუკითხე“ – იგულისხმება გრიგოლის
რძალი ბარბარე ილიას ასული ბაგრატიონი-ორბელიანისა.

გვ. 106,2-21. „მომიკითხე სიყუარულით, ნინო უცაცა“ – იგულისხ-
მება გრიგოლის დისწული ნინო მელიტონის ასული ბარათაშვილი.

გვ. 106,21. „გიორგის ვაკოცებ“ – იგულისხმება გრიგოლის
პატარა ძმისწული გიორგი ილიას ძე ორბელიანი.

გვ. 106,25-26. „ბოსკეს შაგირდისაგან სხუა და სხუა თვალო-
მაქცობა“ – შესაძლოა, იგულისხმებოდეს საფრანგეთის მარშალი
პიერ ფრანსუა ბოსკე და მისი მოხერხებული სამხედრო მანევრები.

ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №16 (495) (გვ. 107-108)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174),
გვ.: 105v, 106r.

თარიღი და ადგილი: „23 Октябр: 1857. Салатавія.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „К: Бярятинскому.“ / „Ваше С^{во} ...“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაყვითლებული, საშუალო სისქის ქა-
ლალდი; ზომა: 34,7X21,4 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით
სუფთად.

ადრესატის მისამართი: ამ დროს ალექსანდრე ბარიატინსკი მეფის-ნაცვლის თანამდებობაზე მუშაობდა და ცხოვრობდა **თბილისში**. შესაბამისად, წერილი იქ უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. Князь; 2. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 3-4. Сіятельство; 5. Сіятельству.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ. 107,4-5. „о награжденіи меня золотою шашкою, алмазами украшенною“ – რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე II-ისაგან გრიგოლ ორბელიანს ეს ჯილდო მიენიჭა 1857 წლის 1-ლ ოქტომბერს.

გვ. 107,15. „Казимагома довольно с значительным скопием“ – სავარაუდოდ, საუბარია შამილის ვაჟ ყაზი მუჰამედზე.

გვ. 107,16. „леса к стороне Ахташ Ауха“ – სავარაუდოდ, საუბარია დაღესტნის ჩეჩნურ სოფელ აქტაშ-აუხზე.

გვ. 107,19. „ненависти противу Шамиля“ – იგულისხმება ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამი.

გვ. 107,24-25. „ведёт со мною переговоры Шахмандар-Ажи“ – საუბარია ჩირქეის ნაიბ შაჰმანდარ-ჰაჯიზე.

გვ. 107,27-28. „приехали сюда Шереметьев и Барон Зенфт Фон-Пильзан“ – სავარაუდოდ, საუბარია სერგი ალექსის ძე შერემეტიევზე, რომელიც 1856 წლიდან კავკასიის არმიის კავალერიაში ირიცხებოდა მთავარსარდლის განსაკუთრებულ დავალებათა შემსრულებლად, და ავსტრიელ პოლიტიკურ მოღვაწეზე – ლუდვიგ ზენფტ ფონ პილზანზე.

გვ. 107,30-31. „приказать Адьютанту Вашему Молоствову“ – საუბარია ბარიატინსკის ადიუტანტ ვლადიმერ ვლადიმერის ძე მოლოსტკოვზე.

ელიზბარ ერისთავისადმი №1 (496) (გვ. 109-110)

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №84/№14; 1r-v. (ავტორიზებული).

ხელმოწერა: „შენი ძმა გრიგოლი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ძმაო ელიზბარ“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, გაყვითლებული, თხელი, პატარა ფორმატის, რესტავრირებული 1 ფურცელი; ზომა: 20X13,2სმ; შესრულებულია მოყავისფრო მელნით, რომელიც გა-

ჟონილია ფურცელში. ხელწერა გრიგოლ ორბელიანს არ ეკუთვნის, უფრო დიმიტრი ჯორჯაძის ხელია, თუმცა ხელმოწერა გრიგოლისაა.

ადრესატის მისამართი: წერილის შინაარსიდან ირკვევა, რომ გრიგოლ ორბელიანის ნათესავი მანანა ორბელიანი აპირებდა, გუბერნატორისთვის (თავისი სიძისთვის) ეთხოვნა ელიზბარ ერისთავის დაწინაურება, რაც გვავარაუდებინებს, რომ ადრესატი ამ დროისთვის იმყოფებოდა **თბილისში**.

შენიშვნები: 1. ჯერ „მობრძანდება“ დაუწერია, შემდეგ გადაუკეთებია, „ება“ წაუშლია და ზემოდან „ა“ დაუწერია.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

დათარილება: წერილში ნახსენებია გუბერნატორი, რომლისთვისაც მანანა ორბელიანი აპირებს ელიზბარის დაწინაურების თხოვნას. სავარაუდოდ, ამ გუბერნატორში უნდა იგულისხმებოდეს მანანა მირმანოვის ასული ერისთავ-ორბელიანის სიძე – ალექსანდრე ივანეს ძე გაგარინი, რომელმაც ამ თანამდებობაზე სულ რამდენიმე თვე დაჰყო – 1857 წლის თებერვლიდან 22 ოქტომბრამდე (როდესაც იგი სასიკვდილოდ დაჭრეს). შესაბამისად, წერილსაც ასე ვათარილებთ.

წერილის ადრესატია გრიგოლ ორბელიანის ახლობელი – რუსეთის სამხედრო მოსამსახურე ელიზბარ შანშეს ძე ერისთავი.

გვ. 109,23. „**ეს ქალები რათ დატანჯე**“ – სავარაუდოდ, იგულისხმებიან ელიზბარის ახლობლები, რომლებიც ცდილობდნენ, ეშუამდგომლათ მის დასაწინაურებლად. მათი სახელები ქვემოთ არის მითითებული.

გვ. 109,24-25. „**მანანას ებძანებინა თქვენთვისა რომ ღუბერნატორსა ვთხოვო**“ – სავარაუდოდ, იგულისხმება მანანა მირმანოვის ასული ერისთავი-ორბელიანისა და მისი ქალიშვილის, ანასტასიას, ქმარი – ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი ალექსანდრე ივანეს ძე გაგარინი.

გვ. 109,28. „**მანანა და ელენე ბრძანდებოდნენ ბებუთოვთანა**“ – სავარაუდოდ, საუბარია მანანა მირმანოვის ასულ ერისთავ-ორბელიანისაზე და ელიზბარის ბიძაშვილის, ზაქარია ერისთავის, ცოლზე – ელენე ლუარსაბის ასულ ორბელიან-ერისთავისაზე, რომლებსაც უთხოვიათ გენერალ ვასილ იოსების ძე ბებუთაშვილისთვის ელიზბარის თაობაზე. ძნელი სათქმელია, კონკრეტულად რას ითხოვდნენ, ინფანტერიის გენერალი ბებუთაშვილი,

ამავე დროს, იყო კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ვიცე პრეზიდენტი.

გვ. 110,5. „ჩვენი სტარიაკა მოიხმარე“ – ასე მოიხსენიებს ხოლმე ორბელიანი ელიზბარის ბიძას – გიორგი იესეს ძე ერისთავს და, სავარაუდოდ, გულისხმობდა მის „სენატორობას“ და არა ასაკს.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №69 (497) (გვ. 110-111)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №583, გვ.: 98r-v, 99r. **თარიღი და ადგილი:** „25^ა ოკდომ: 1857. სალათავით.“

ხელმოწერა: „შენი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო დემეტრე!“

ავტოგრაფის აღწერილობა: შუაზე გადაკეცილი, გახუნებული, მოყავისფრო-მოყვითალო, გაცვეთილი, სიფრიფანა, დიდი ფორმატის ქალაღი; ზომები: გადაუკეცავისა: 42,9X26,5 სმ; გადაკეცილისა: 26,5X21,5 სმ; (I ფურცელი); 26,5X21,4 სმ; (II ფურცელი); შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გადასულია გვერდებში; ხელნაწერი რესტავრირებულია.

ადრესატის მისამართი: ტექსტის შინაარსიდან ირკვევა, რომ ადრესატი იმყოფებოდა **თემირხანშურაში**. გრიგოლი მას ურჩევს, რომ კობიევის ცოლს, რომელიც ასევე თემირხანშურაში იმყოფებოდა, ხელი ააღებინოს წერილების წერაზე მეუღლის გამოსხნასთან დაკავშირებით: „ეს ჩემი რჩევა უთხარ მის ცოლსაცა, თუ უნდა თავის ქმრის გამოსხნა. – დეე, დარდ[ო]შიაც წაიყვანონ, იქ უფრო კარგადაც შეინახვენ და უფრო ლაპარაკიც შეიძლება. – თუ დამიჯერებს მაგის ცოლი, ძალიან კარგი იქნება, რომ წავიდეს შურიდამ“; ამასთან, გრიგოლი მოიკითხავს თემირხანშურაში მყოფ ახლობლებს: ბარბარეს – ილია ორბელიანის მეუღლეს, ნინოს – თავის დისწულსა და გიორგის – თავის ძმისწულს: „ძალუა, ნინო სიყუარულით მომიკითხე; გიორგი ჩამიკოცნე.“

შენიშვნები: 1. სიტყვა ჩამატებულია ავტორის მიერ; 2. „ამის მხილველნი“ ჩამატებულია ავტორის მიერ; 3. აქედან მოყოლებული, სიტყვების – „კობიევის ტყვეობასა“ – ჩათვლით, ტექსტი შავი ფანქრით არის გადახაზული; 4. ამის შემდეგ ერთი სიტყვაა გადახაზული; 5. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 6. ამის შემდეგ ტექსტი ბოლომდე შავი ფანქრით არის გადახაზული; 7. სიტყვა

ხაზგასმულია ფანქრით.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განწერელის რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 224-225.

გვ. 110,12. **„მომირთმევია მინკვიცის წერილი“** – საუბარია დერბენდის გუბერნატორ იული თეოდორეს ძე მინკვიცზე.

გვ. 110,15. **„ხასაი მუსაი ჰსჯობია ახმედხანსა“** – სავარაუდოდ, საუბარია ყარაბაღის სახანოს მმართველზე, რუსეთის გენერალ-მაიორ ხასაი ხან მუსა ოლლი უცმიევსა და ელისუს პრისტავ ჰაჯი ალა-ბეგის ვაჟზე.

გვ. 111,3-4. **„როგორც მოვახდინე აყუშაში“** – საუბარია დაღესტნის სოფელ აჰყოშაზე.

გვ. 111,4-5. **„შეეწვია ლაზარევის უფროსობასა“** – საუბარია მეხთულის სახანოს მმართველ ივანე დავითის ძე ლაზარევეზე.

გვ. 111,14. **„ისაია წამოვიდა“** – საუბარია თარჯიმან ისაი ივანეს ძე გრამოვზე.

გვ. 111,17-18. **„ნულარ მიჰსწერ კობიევის საქმისათვის“** – საუბარია პოდპოლკოვნიკ ნიკოლოზ იაგორის ძე კობიაშვილის ტყვეობიდან გამოსხნაზე.

გვ. 111,25. **„მოვიდა აქ ბატონი შერემეტიევი“** – სავარაუდოდ, საუბარია სერგი ალექსის ძე შერემეტიევეზე, რომელიც 1856 წლიდან კავკასიის არმიის კავალერიაში ირიცხებოდა მთავარსარდლის განსაკუთრებულ დავალებათა შემსრულებლად.

გვ. 111,26-27. **„ბარონ ზენტჰ ქონ პილზან გავისტუმრე ყაზიყუმუხისაკენ“** – სავარაუდოდ, საუბარია ავსტრიელ პოლიტიკურ მოღვაწეზე – ლუდვიგ ზენტჰ ფონ პილზანზე.

გვ. 111,30. **„ძალუა, ნინო სიყუარულით მომიკითხე“** – საუბარია გრიგოლის რძალ ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანისაზე და დისწულ ნინო მელიტონის ასულ ბარათაშვილზე.

გვ. 111,30. **„გიორგი ჩამიკოცნე“** – იგულისხმება გრიგოლის პატარა ძმისწული გიორგი ილიას ძე ორბელიანი.

ბაბაღე ორბელიანი-საგინაშვილისადმი №13 (498) (გვ. 112-113)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №444, გვ.: 1r-v, 2r. **თარიღი და ადგილი:** „2^ს ნოემ; 1857. სალათავიით.“

ხელმოწერა: „შენი ძმა გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო დაო-დედილო ბაბაღვე!“

ავტოგრაფის აღწერილობა: შუაზე გადაკეცილი, გაცრეცილი, გახუნებული, გაყვითლებული, დალაქავებული, საშუალო სისქის ქალაღვი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,6X21,2 სმ; გადაკეცილისა: 21,2X13,2 სმ; (I ფურცელი); 21,2X13,4 სმ (II ფურცელი); შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გადასულია გვერდებში; ხელნაწერი გადაკეცვის ადგილას ქვემოდან ოდნავ შეხეულია.

ადრესატის მისამართი: წერილში არ ჩანს ადრესატის ადგილსამყოფელი, მაგრამ ერთი თვის შემდეგ – 6 დეკემბერს – ქეთევან ორბელიანისადმი გაგზავნილ წერილში გრიგოლი ადრესატის მის შესახებ ეკითხება: „თუ ანანურის დედოფალი ჩამობძანებულა ჩემმაგიერ სიყუარულით მოიკითხე“, რაც გვავარაუდებინებს, რომ წერილი **ანანურშია** გაგზავნილი.

შენიშვნები: 1-2. ღვთის; 3. ღმერთმან; 4. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ. 226.

გვ. 112,7-8. „**ჩვენი სისხლი ავიღე შამილის კისრიდამ**“ – ორბელიანი გულისხმობს ლეკთა ხშირ თავდასხმებს საქართველოზე და იმას, რომ ეს სისხლი ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამის ჯარს აზღვევინა.

გვ. 112,13. „**გუშინნინაც ერთი მისი დარჩომილი ციხეც ავიღე**“ – რუსეთის ჯარების მიერ სოფელ ახალი ბურთუნაის აღების შემდეგ, იმისათვის, რომ პოზიციები საბოლოოდ არ დაეთმოთ, მთიელებმა იქვე ახლოს, გაუვალ ტყეში, მონაწყვეს დროებითი გამაგრება (რედუტი), რომელიც 31 ოქტომბერს აიღო რუსების ორმა ქვეითმა ბატალიონმა.

გვ. 112,18. „**ხუთი თვეა ძალუა ვარინკა ჰზის მარტო**“ – ორბელიანის მიწვევით მისი რძალი – ბარბარე ილიას ასული ბაგრატიონი-ორბელიანისა ჩავიდა თემირხანშურაში, მაგრამ გრიგოლი იძულებული გახდა, რომ მიეტოვებინა და ფრონტის ხაზზე წასულიყო საბრძოლო ოპერაციების წარსამართად.

გვ. 112,20. „**მთავარმართებელი დიდს მადლობასა მწერს**“ – საუბარია კავკასიის მეფისნაცვალ ალექსანდრე ივანეს ძე ბარი-

ატინსკიზე.

გვ. 112,24-26. „**მოწერათ ჩემთან, კრასავიცას ბაბალეს, ძალუა ქეთევანს, ნინოს, კატოს, ისაკ თუმანოვს, გრინჩენკოს ცოლსა, დიმიტრის ვახტანგისშვილსა, ჩემს სიძეს დიმიტრისა**“ – საუბარია გრიგოლის ბიძის, იაკობის, მეუღლეზე – ნინო მაცაშვილ-ორბელიანისაზე, მის ქალიშვილებზე – ბარბარე ორბელიან-ოპოჩინინისაზე და ეკატერინე ორბელიან-ივანოვისაზე, გრიგოლის რძალ ქეთევან დიმიტრის ასულ ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისაზე, კავკასიის კორპუსის მთავარი შტაბის საველე აუდიტორიატის ნევრ ისაკ შიოს ძე თუმანიშვილზე, კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს ტიტულარული მრჩევლის, გრინჩენკოს, ცოლზე, გრიგოლის ნათესავზე, გვარდიის პოდპორუჩიკ დიმიტრი („პაჭონე“) ვახტანგის ძე ორბელიანსა და გრიგოლის დისწულ ბარბარე მელიტონის ასული ბარათაშვილის ქმარზე – დიმიტრი გიორგის ძე ვეზირიშვილზე.

გვ. 112,28. „**ჩემს საყუარელს ალექსანდრეს**“ – საუბარია ადრესატის მეუღლეზე – ალექსანდრე დიმიტრის ძე საგინაშვილზე.

გვ. 112,30. „**ლეკი გიორგი, ძალუა ვარინკა და ნინუცა კარგად არიან**“ – იგულისხმება გრიგოლის ძმისწული – გიორგი ილიას ძე ორბელიანი, მისი დედა – ბარბარე ილიას ასული ბაგრატიონი-ორბელიანისა და გრიგოლის დისწული – ნინო მელიტონის ასული ბარათაშვილი.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №70 (499) (გვ. 113-115)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №584, გვ.: 102r-v, 103r.

თარიღი და ადგილი: „31 ნოემ: [ოკტომ:]! 1857. სალათავიით.“ / „1^ს ნოემბ:“ / „3^ს ნოემბ:“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ბატონო დემეტრე!“

ავტოგრაფის აღწერილობა: შუაზე გადაკეცილი, გაცრეცილი, გახუნებული, დალაქავებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის ქაღალდი; ზომები: გადაუკეცავისა: 42,9X26,2 სმ; გადაკეცილისა: 26,2X21,4 სმ; (I ფურცელი); 26,2X21,5 სმ; (II ფურცელი); შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გადასულია გვერდებში; ხელნაწერი ადგილ-ადგილ ამოხეულია; I ფურცელი მუქი ყავისფე-

რია, მეორე კი – გახუნებული თეთრი; რესტავრირებულია; 1 და 3 ნოემბრის ტექსტები შავი ფანქრით არის გადახაზული.

ადრესატის მისამართი: წერილის შინაარსიდან ირკვევა, რომ ადრესატი იმყოფებოდა **თემირხანშურაში**. გრიგოლი მას იქ მყოფი სამხედრო პირების შესახებ ეკითხება: „ალარ მახსოვს კარგად, მივსწერეთ თუ არა მანუკინსა, რომ ახმედხანს ჩააბაროს ზემოყაითალი? და ანუ რა ჰქმნა მანუკინმა ამ მიწერილობაზედ?“

შენიშვნები: 1. ავტორს შეშლია: ოქტომბრის ნაცვლად უწერია ნოემბერი; 2. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 3. ღვთის; 4. ღმერთსა; 5. კვადრატულ ფრჩხილებში მოთავსებული ადგილები არ იკითხება ფურცლის დაზიანების გამო; 6. ხაზგასმულია ავტორის მიერ; ამასთან, ამის შემდეგ მთლიანი ტექსტი ხელნაწერის ორივე გვერდზე შავი ფანქრით არის გადახაზული; 7-8-9. ხაზგასმულია ავტორის მიერ;

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 230-232.

დათარილება: ნოემბრის თვეში 30 დღეა და 31 ნოემბერი კალენდარში არ არსებობს. წერილში ნახსენები ყველა ფაქტი მიგვანიშნებს იმაზე, რომ ბარათი 31 ოქტომბერს უნდა იყოს დაწერილი. ბურთუნაის ტრაგედია დასრულდა 31 ოქტომბერს. ამ დღეს რუსეთის ჯარმა აიღო ბურთუნაისთან მდებარე ის სამხედრო გამაგრებაც, რომელიც შამილის მიერ ამ სოფლის ისევ დაბრუნების გარკვეულ საფრთხეს ქმნიდა. შეტევა მართლაც განთიადისას დაიწყო და აქტიურობით გამოირჩეოდა სწორედ ალექსი ივანეს ძე კრაპოტკინის ბატალიონი, ბოგოლალის ნაიბი შამხალი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და სწორედ ამ დღეს მიიღო ორბელიანმა მეფისნაცვლის წერილი და სალათავიის ბრძოლების მონაწილეთათვის ჯილდოები (იხ. 9 ნოემბრის წერილი: „получено мною в тот день, когда храбрые Апшеронцы взяли неприятельский редут“, „я возложил на достойнейших знаки отличія, присланные по приказанию Вашего С^{ва}“).

გვ. 113, 5-6. „უკანასკნელი აკტი ბურთუნაის ტრაგედიისა“ – სოფელი ბურთუნაი რუსეთის ჯარმა აიღო 5 ოქტომბერს, მაგრამ პოზიციები საბოლოოდ განიმტკიცა 31 ოქტომბერს ამ სოფელთან ახლოს შამილის მიერ აშენებული გამაგრების ალებით.

გვ. 113,6. „დავინყეთ დღეს განთიადის ჟამსა“ – 31 ოქტომბრის შეტევა გენერალ ვოლკოვის ბრძანებით გათენებისას დაიწყო.

გვ. 113,7. **„შამილისაგან აშენებულისა რედუტისა“** – იგულისხმება ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამის მიერ გამაგრებული პუნქტი სოფელ ბურთუნაისთან.

გვ. 113,9-10. **„კრაპოტკინი აფშერონელებით შავარდენსავით აფრინდა რედუტში“** – სავარაუდოდ, საუბარია აფშერონის ქვეითი პოლკის მე-3 ბატალიონის მეთაურ ალექსი ივანეს ძე კრაპოტკინზე, რომელმაც ამ ბრძოლაში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი.

გვ. 113,13. **„ბოგოლალის ნაიბი იდგა“** – საუბარია ბოგულალის ნაიბ შამხალზე.

გვ. 113,22-23. **„მო[მიტანა] მთავარმართებლის წერილი სალდათების ჯვრებითა“** – საუბარია კავკასიის მეფისნაცვალ ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკიზე და ჯარისკაცების ჯილდოებზე.

გვ. 113,23-24. **„ბურთუნაის ალებითა მთავარმართებელი ძალიან გახარებულა“** – აქ იგულისხმება თვით სოფელი ბურთუნაის, და არა მასთან მდებარე მთიელთა გამაგრების, ალება. ეს უკანასკნელი 31 ოქტომბერს დაიკავეს რუსებმა და მთავარმართებლის მიერ 17 ოქტომბერს გაგზავნილ წერილში („Письмо Вашего С^{на} от 17 Октяб^{ря}“) ნახსენები ვერ იქნებოდა.

გვ. 113,24-27. **„ერთს წერილში მილოცვენ გამარჯვებას ძალუა ქეთევან, ნინო, კატო, ბაბაღე ოპოჩინინისა, ისაკ თუმანოვი, გრინჩენკის ცოლი, პაჭონე დიმიტ[რი] ორბელ“** – საუბარია გრიგოლის რძალ ქეთევან დიმიტრის ასულ ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისაზე, გრიგოლის ბიძის, იაკობის, მეუღლე ნინო მაყაშვილ-ორბელიანისაზე, მის ქალიშვილებზე – ბარბარე ორბელიან-ოპოჩინინისაზე და ეკატერინე ორბელიან-ივანოვისაზე, კავკასიის კორპუსის მთავარი შტაბის საველე აუდიტორიატის წევრ ისაკ შიოს ძე თუმანიშვილზე, კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს ტიტულარული მრჩევლის, გრინჩენკოს, ცოლსა და გრიგოლის ნათესაზე – გვარდიის პოდპორუჩიკ დიმიტრი („პაჭონე“) ვახტანგის ძე ორბელიანზე.

გვ. 114,2. **„მომირთმევია კარლლოქის წერილი“** – საუბარია კავკასიის სამხედრო კორპუსის ობერკვარტირმეისტერ ნიკოლოზ ივანეს ძე კარლლოფზე.

გვ. 114,3. **„შამშუდდინის ძმის მოსვლისათვის“** – საუბარია თარკოს შამხალ აბუ-მუსლიმ-ხანის შვილებზე – შამსუდინ-ხანსა და თამაზ-ხანზე.

გვ. 114,4. „**კობიევის გასაცვლელად**“ – საუბარია მთიელთა ტყვეობაში მყოფ პოდპოლკოვნიკ ნიკოლოზ იაგორის ძე კობიაშვილის გაცვლაზე.

გვ. 114,12. „**ტერლუკასოვი ჰსდგას გორაზედ**“ – საუბარია აფშერონის ქვეითი პოლკის ბატალიონის მეთაურზე, პოდპოლკოვნიკ არზას არტემის ძე ტერლუგასოვზე.

გვ. 114,16-17. „**უნდა ევდაკიმოვიც გამოჩნდეს აუხში**“ – საუბარია კავკასიის საომარი ხაზის მარცხენა ფლანგის მეთაურზე, გენერალ ნიკოლოზ ივანეს ძე ევდოკიმოვზე.

გვ. 114,26. „**კნიაზ კრაპოტკინი**“ – სავარაუდოდ, საუბარია აფშერონის ქვეითი პოლკის მე-3 ბატალიონის მეთაურ ალექსი ივანეს ძე კრაპოტკინზე.

გვ. 114,29-30. „**великолепный кнიაზ ბაგრატიონი**“ – საუბარია გენერალ-მაიორ გრიგოლ ივანეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელზე, რომელიც 1850 წლიდან იყო დაღესტნის სასაზღვრო ხაზის მარჯვენა ფლანგის მეთაური.

გვ. 114,31. „**კნიაზ ვორონცოვი ვნახე სიზმარში**“ – იგულისხმება კავკასიის ყოფილი მეფისნაცვალ მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვი.

გვ. 115,1. „**აღხსენ ეს სიზმარი, ჰაჯიოვის მაგიერი**“ – სავარაუდოდ, საუბარია ჩირქეის ნაიბ შაჰმანდარ-ჰაჯიზე.

გვ. 115,4. „**ისაია რომ წამობძანდა**“ – საუბარია თარჯიმან ისაი ივანეს ძე გრამოვზე.

გვ. 115,6. „**ღენერალ ევდაკიმოვი უნდა გუშინნინ შემოსულიყო**“ – სავარაუდოდ, საუბარია მე-20 დივიზიისა და კავკასიის საომარი ხაზის მარცხენა ფლანგის მეთაურზე, გენერალ ნიკოლოზ ივანეს ძე ევდოკიმოვზე.

გვ. 115,8. „**მივსწერეთ თუ არა მანუკინსა**“ – საუბარია 21-ე ქვეითი დივიზიის ბრიგადის მეთაურ ზაქარია სტეფანეს ძე მანიუკინზე.

გვ. 115,9. „**ახმედხანს ჩააბაროს ზემოყაითალი**“ – საუბარია ელისუს პრისტავ ჰაჯი ალა-ბეგის ვაჟზე.

გვ. 115,11. „**ჯამოზბეგის ერთმა ცოლმა იჩივლა**“ – საუბარია დაღესტნის მხარის, ყარაყაითალის, ყოფილი მმართველის, ჯამოზბეგის, ცოლზე.

გვ. 115,12. „**ამირჩობა[მ] სულერთიანად წაიღო**“ – სავარაუდოდ, საუბარია 1847-1857 წლებში ყარაყაითალის მმართველ ჯამოზბეგის ვაჟზე – ამირ-ჩობან-ბექ-უცმიევ-ყარაყაითალელზე.

ქეთევან ორბელიანისადმი №110 (500) (გვ. 115-116)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №367, გვ. 153r.

თარიღი და ადგილი: „5^ს ნოემ: 1857 სალათავით.“

ხელმოწერა: „შენი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო ძალუავე ქეთევან!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, გახუნებული, მოთეთრო-მოყვითალო ფერის, დალაქავებული, თხელი ქალღი; ზომა: 21,8X13,2 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გადასულია მეორე გვერდზე.

ადრესატის მისამართი: ქეთევან ალექსი-მესხიშვილი-ორბელიანისა თბილისში ცხოვრობდა. წერილში გრიგოლი მოიკითხავს იქ მცხოვრებ ახლო ნათესავებს, რაც ადასტურებს, რომ ბარათი გაგზავნილია თბილისში.

შენიშვნები: 1. თარიღი და ადგილი ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განწერელის რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ. 229.

გვ. 115,21-23. „**შენი წერილი, რომელშიაც ჩაწერათ ისაკ თუმანოვსაცა, ბაბალესაცა, კატოსაცა, ძალუა ნინოსა, დიმიტრის და სხუათა**“ – საუბარია კავკასიის კორპუსის მთავარი შტაბის საველე აუდიტორიატის წევრ ისაკ შიოს ძე თუმანიშვილზე, გრიგოლის ბიძის, იაკობის, მეუღლეზე – ნინო მაყაშვილ-ორბელიანისაზე, მის ქალიშვილებზე – ბარბარე ორბელიან-ოპოჩინინისაზე და ეკატერინე ორბელიან-ივანოვისაზე და, სავარაუდოდ, გრიგოლის ნათესავ დიმიტრი („ბაჭონე“) ვახტანგის ძე ორბელიანზე.

გვ. 115,23-24. „**იმ დღეს ავიღეთ აქ კიდევ ერთი ციხე**“ – სავარაუდოდ, საუბარია 31 ოქტომბერს ახალ ბურთუნაისთან მდებარე მთიელთა სტრატეგიული მნიშვნელობის დროებითი გამაგრების (რედუტის) აღებაზე.

გვ. 115,24. „**აშენებული შამილისაგან**“ – ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამის მეომრებმა ეს სიმაგრე მოაწყვეს იმისათვის, რომ ბურთუნაი საბოლოოდ არ დაეკარგათ.

გვ. 116,1. „**ძალუა ნინოსა, და მისს ქალებს**“ – საუბარია გრიგოლის ბიძის, იაკობ ორბელიანის, მეუღლეზე – ნინო მაყაშვილ-ორბელიანისაზე და ქალიშვილებზე: თამარ ორბელიან-

სანკოვსკისაზე, ეკატერინე ორბელიან-ივანოვისაზე, სოფიო ორბელიან-სვიატოპოლკ-მირსკისაზე და ბარბარე ორბელიან-ოპოჩინისაზე.

გვ. 116,2. „ყაფლანს მის ქულქათით ჩავკოცნი“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ყაფლან ასლანის ძე ორბელიანსა და მის ოჯახზე.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №71 (501) (გვ. 116-117)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №585, გვ.: 100r-v, 101r-v.

თარიღი და ადგილი: „7^ა ნოემბ: 1857. სალათავით.“ / „8^ა“

ხელმოწერა: „შენი გრიგოლ ორბელიანი“ / „შენი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ბატონო დემეტრე!“

ავტოგრაფის აღწერილობა: შუაზე გადაკეცილი, გახუნებული, მოყავისფრო, დალაქავებული, საშუალო სისქის ქალაღი; ზომები: გადაუკეცავისა: 27X21,2 სმ; გადაკეცილისა: 21,2X13,5 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომლითაც დასვრილი და გაჟღენთილია ფურცლები; რესტავრირებულია.

ადრესატის მისამართი: წერილის შინაარსიდან ირკვევა, რომ ადრესატი იმყოფებოდა **თემირხანშურაში:** გრიგოლი იქ მყოფ სამხედრო პირს ახსენებს: „მანუკინთან დაამზადე ერთი ქალაღი, რომ ამირჩობანის გაყრა არ არის შესაძლებელი ჩვენის სუდითა.“

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. აქედან მოყოლებული სიტყვების – „უთოოდ ადათითა“ – ჩათვლით, ტექსტი გადახაზულია შავი ფანქრით; 3-4. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 5. ხელნაწერშია „მანუკინსთან“; 6. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 7. ამის შემდეგ ტექსტი ბოლომდე შავი ფანქრით არის გადახაზული.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 229-230.

გვ. 116,4. „როდესაც კრავჩენკოს ვვგზავნიდი“ – სავარაუდოდ, საუბარია შტაბს-კაპიტან პავლე პავლეს ძე კრავჩენკოზე.

გვ. 116,4-5. „ღონესენით მთავარმართებლისად“ – იგუ-

ლისხმება კავკასიის მეფისნაცვალი ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკი.

გვ. 116,6. „**თურმე ყაზიმაჰმა მობძანებულიყო**“ – საუბარია შამილის ვაჟ ყაზი მუჰამედზე.

გვ. 116,8. „**სადაცა ჰსდგას ვოლკოვი**“ – იგულისხმება დაღესტნის სასაზღვრო ხაზის მარჯვენა ფლანგის მეთაური – პეტრე აპოლონის ძე ვოლკოვი.

გვ. 116,9. „**ნინ ბაგრატიონი პოლკით**“ – საუბარია გენერალ-მაიორ გრიგოლ ივანეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელზე.

გვ. 116,10. „**ორის ბატალიონით რაკუსსა**“ – იგულისხმება პოლკოვნიკი ნიკოლოზ ბიკენტის ძე რაკუსა.

გვ. 116,19. „**მანუკინთან დაამზადე ერთი ქალაღი**“ – საუბარია 21-ე ქვეითი დივიზიის ბრიგადის მეთაურ ზაქარია სტეფანეს ძე მანიუკინზე.

გვ. 116,19-20. „**ამირჩობანის გაყრა**“ – სავარაუდოდ, საუბარია გარდაცვლილი ჯამოვ-ბეგის ცოლსა და მის ვაჟს – ამირჩობან-ბეკ-უცმიევ-ყარაყაითაღელს – შორის ქონების გაყოფაზე.

გვ. 116,22-24. „**გაგარინს თურმე ჰსდომებია დადეშქელიანისა – ვლადეტელის – გაგზავნა რუსეთში**“ – საუბარია გრიგოლის ნათესავის, ანასტასია დავითის ასული ორბელიანი-გაგარინის, ქმარზე – ქუთაისის გენერალ-გუბერნატორ ალექსანდრე ივანეს ძე გაგარინზე, კონსტანტინე (მურზაყან) ციოყის ძე დადეშქელიანზე – სვანეთის უკანასკნელ მთავარსა და 1857 წლის 24 ოქტომბერს ქუთაისში მომხდარ ფაქტებზე.

გვ. 116,24. „**როგორც ეკატერინა დადიანისა**“ – რუსეთის ხელისუფლებას უნდოდა სამეგრელოსა და სვანეთის სამთავროების გაუქმება და მთავრების ოჯახების, მათ შორის, სამეგრელოს დედოფლის, ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანის, რუსეთში გასახლება.

გვ. 116,26. „**მოუკლამს პერეოჩიკი**“ – დადეშქელიანის მიერ მოკლულთა შორის იხსენიება არდიშვილი.

გვ. 116,26. „**ჩინოვნიკი ილინი**“ – მოკლული მოხელის სახელი უცნობია.

გვ. 117,5. „**ივანეც მანანასვილი მაშინვე წასულა ქუთაისს**“ – საუბარია მოკლული გაგარინის ცოლის ძმაზე – ივანე დავითის ძე ორბელიანზე.

ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №17 (502) (გვ. 117-118)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 106v, 107r.

თარიღი და ადგილი: „9^{го} Ноябр: 1857. Салатавія“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „К^{во} Барятинскому“ / „Письмо Вашего С^{ва} ...“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაყვითლებული, სამუალო სისქის ქალაქი; ზომა: 34,6X21,3 სმ; შესრულებულია მუქი შავი მეღვინით, რომლითაც ალაგ-ალაგ დასვრილია ხელნაწერი.

ადრესატის მისამართი: ამ დროს ალექსანდრე ბარიატინსკი მეფისნაცვლის თანამდებობაზე მუშაობდა და ცხოვრობდა **თბილისში**. შესაბამისად, წერილი იქ უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1-2. Сіятельства; 3. Сіятельству; 4. Княза; 5. Княз; 6. Сіятельству.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ. 117,24-25. „**когда храбрые Апшеронцы взяли неприятельскій редут**“ – საუბარია 31 ოქტომბრის მოვლენებზე სალათავიაში და ბურთუნაისთან მდებარე გამაგრებაზე.

გვ. 117,25. „**построенный Шамилем**“ – საუბარია ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამზე.

გვ. 117,25-26. „**заградить нам путь к Дилиму**“ – საუბარია დაღესტნის სოფელზე.

გვ. 118,10-11. „**отправить с Штабс-Капитаном Кравченко**“ – საუბარია შტაბს-კაპიტან პავლე პავლეს ძე კრავჩენკოზე, რომელმაც, სავარაუდოდ, მიუტანა ბარიატინსკის წერილი.

გვ. 118,11-12. „**Казимагома с большим скопищем**“ – საუბარია შამილის ვაჟ ყაზი მუჰამედზე.

გვ. 118,15. „**двумя ротами Ширванцев**“ – იგულისხმება შირვანის 84-ე ქვეითი პოლკი.

გვ. 118,16. „**всадники К: Багратіона**“ – საუბარია ქარბელაქნის ოლქის მმართველის მოადგილესა და ლეიბ-გვარდიის ცხენოსანთა პოლკის მეთაურზე, გენერალ-მაიორ გრიგოლ ივანეს ძე ბაგრატიონზე.

გვ. 118,19. „**Палача с секирою**“ – სხვა წერილიდანაც ჩანს, რომ ამ ბრძოლის დროს ტყვედ აუყვანიათ ყაზი მუჰამედის ჯალათი თავისი ნაჯახით, რომლითაც თავებს ჰკვეთდა.

გვ. 118,23. „**Барон Зенфт-Фон-Пильзан**“ – სავარაუდოდ, საუბარია ავსტრიელ პოლიტიკურ მოღვაწეზე – ლუდვიგ ზენფტ ფონ პილზახზე, რომელიც იმ დროს დაღესტანში იმყოფებოდა.

ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №18 (503) (გვ. 120)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ. 107v.

თარიღი და ადგილი: „19 Ноябрь: 1857 Шура“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „К: Барятинскому.“ / „Адютант Вашего С^{ва} ...“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაყვითლებული, საშუალო სისქის ქაღალდი; ზომა: 34,6X21,3 სმ; შესრულებულია შავი მელნით სუფთად.

ადრესატის მისამართი: ამ დროს ალექსანდრე ბარიატინსკი მეფის-ნაცვლის თანამდებობაზე მუშაობდა და ცხოვრობდა **თბილისში**. შესაბამისად, წერილი იქ უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. Князу; 2. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 3-4. Сіятельство; 5. Сіятельству.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ. 120,3. „**Адютант Вашего С^{ва} Молоствова**“ – საუბარია ბარიატინსკის ადიუტანტ ვლადიმერ ვლადიმერის ძე მოლოსტვოვზე.

გვ. 120,7. „**в славном деле 13 Ноябрь:**“ – ამ დღეს რუსეთის ჯარებმა აიღეს და გადაწვეს დაღესტნის სოფელი დილიმი.

გვ. 120,8-9. „**Тамже пал Шамхал Найб – начальник над 12 Найбами**“ – საუბარია ბოგულალის ნაიბ შამხალზე.

გვ. 120,10-11. „**Шамиль сосредоточил все свои средства**“ – საუბარია ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამზე.

გვ. 120,12-13. „**воспрепятствовать Генералу Евдокимову занять Кишин аух**“ – საუბარია კავკასიის საომარი ხაზის მარცხენა ფლანგის მეთაურზე, გენერალ ნიკოლოზ ივანეს ძე ევდოკიმოვის მიერ დაღესტნის სოფელ კიშინ-აუხის აღებაზე.

გვ. 120,22. „**представит Капитан Лагорию**“ – იგულისხმება კაპიტანი კარლ ფელიქსის ძე ლაგორიო, რომელიც 1850-1870 წლებში იბრძოდა კავკასიის მთიელთა წინააღმდეგ.

ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №19 (504) (გვ. 121)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ. 108გ.

თარიღი და ადგილი: „22 Ноябр: 1857 Шура“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „К: Барятинскому.“ / „По воле Вашего С^{ва} ...“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაყვითლებული, საშუალო სისქის ქაღალდი; ზომა: 34,6X21,4 სმ; შესრულებულია შავი მელნით სუფთად; ამავე გვერდზეა დაწერილი ბარათი ნიკოლოზ ევდოკიმოვისადმი.

ადრესატის მისამართი: ამ დროს ალექსანდრე ბარიატინსკი მეფისნაცვლის თანამდებობაზე მუშაობდა და ცხოვრობდა **თბილისში**. ამასთან, გრიგოლი ადრესატს ატყობინებს შერემეტეიევის განზრახვის თაობაზე თბილისში დაბრუნებასთან დაკავშირებით და სთხოვს მისთვის სათანადო ყურადღების გამოჩენას: „По воле Вашего С^{ва} прибывший в Салатавский отряд Шереметьев, теперь возвращается в Тифлис... Принимаю смелость свидетельствовать это пред Вашим С^{ятельством} и ходатайствовать о милостивом внимании Вашего к этому молодому человеку.“ შესაბამისად, წერილი გაგზავნილი უნდა იყოს **თბილისში**.

შენიშვნები: 1. Князу; 2. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 3. С^{ятельства}.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ. 121,22-23. „**прибывший в Салатавский отряд Шереметьев**“ – სავარაუდოდ, საუბარია სერგი ალექსის ძე შერემეტეიეზე, რომელიც 1856 წლიდან კავკასიის არმიის კავალერიაში ირიცხებოდა, მთავარსარდლის განსაკუთრებულ დავალებათა შესასრულებლად.

ნიკოლოზ ევდოკიმოვისადმი №1 (505) (გვ. 122-123)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ. 108გ.

თარიღი და ადგილი: „27 Ноябр: 1857 Шура.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Николаю Ивановичу Евдокимову.“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაყვითლებული, საშუალო სისქის ქაღალდი; ზომა: 34,6X21,4 სმ; შესრულებულია შავი მელნით სუფთად, წერილი ასოებით. ამავე გვერდზეა დაწერილი ალექსანდრე ბარიატინსკისადმი მიძღვნილი ბარათი.

ადრესატის მისამართი: წერილის შინაარსიდან ირკვევა, რომ ადრესატი იმყოფებოდა ჩეჩნეთში და იქ საომარ ოპერაციებს ახორციელებდა: „Местный журнал о блистательном вторжении вашем в Чечню доставил мне большое удовольствие.“

შენიშვნები: 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

წერილის ადრესატია კავკასიის საომარი ხაზის მარცხენა ფლანგის მეთაური, გენერალი ნიკოლოზ ივანეს ძე ევდოკიმოვი.

გვ. 122,15. „Занятие Вами Ауха“ – საუბარია გენერალ ნიკოლოზ ივანეს ძე ევდოკიმოვის მიერ დაღესტნის სოფელ კი-შინ-აუხის ალებაზე.

გვ. 122,15-16. „и для Шамиля“ – საუბარია ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამზე.

გვ. 122,17-18. „Метликсаго жителя Дація“ – საუბარია დაღესტნის სოფელ მიატლიზე. ხსენებული პიროვნების შესახებ დამატებითი ცნობები არ მოგვეპოვება.

ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №20 (506) (გვ. 123-124)

ავტოგრაფი: А: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ. 108v.

თარიღი და ადგილი: „5^{го} Декаб: 1857 Шура.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „К: Барятинскому.“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაყვითლებული, საშუალო სისქის ქაღალდი; ზომა: 34,6X21,4 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით სუფთად.

ადრესატის მისამართი: ამ დროს ალექსანდრე ბარიატინსკი მეფისნაცვლის თანამდებობაზე მუშაობდა და ცხოვრობდა თბილისში. შესაბამისად, წერილი იქ უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. Князу; 2. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 3. Сіятельство.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ. 123,24. „Священный вензел нашего Великаго Государя“ – საუბარია რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე II-ის ვენზელზე. იმპერატორის სტილიზებულ ინიციალებს სამხედროები ატარებდნენ პაგონებსა და ეპოლეტებზე. შესაძლოა, ეს ვენზელი ორბელიანს გამოუგზავნეს 1857 წლის 10 ნოემბერს იმპერატორის გენერალ-ადიუტანტად დანიშვნასთან დაკავშირებით.

გვ. 124,3. „Монарха моего и его Наместника“ – იგულისხმება იმპერატორი ალექსანდრე II და კავკასიის მეფისნაცვალ ალექსანდრე ბარიატინსკი.

ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №21 (507) (გვ. 124-125)

ავტოგრაფი: А: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ. 109გ.

თარიღი და ადგილი: „5^{то} Декаб: 1857 Шура“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „К: Барятинскому.“ / „Письмо Вашего С^{ва} ...“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაყვითლებული, სამუალო სისქის ქალაღი; ზომა: 34,6X21,5 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით სუფთად.

ადრესატის მისამართი: ამ დროს ალექსანდრე ბარიატინსკი მეფისნაცვლის თანამდებობაზე მუშაობდა და ცხოვრობდა **თბილისში**. შესაბამისად, წერილი იქ უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. Князу; 2. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 3. Сіятельство; 4. Князом; 5. Сіятельство; 6. Сіятельству.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ. 124,22-23. „с Адютантом вашим К: Грузинским“ – სავარაუდოდ, საუბარია გრიგოლის რძლის, ბარბარეს, ძმაზე – თავად დიმიტრი ილიას ძე გრუზინსკიზე.

გვ. 124,23-24. „за дела 31^{то} Окт: и 6^{то} Ноября“ – საუბარია ბურთუნასთან მდებარე ორი გამაგრების ალეზაზე.

გვ. 124,24-25. „в день Кавалерскаго Праздника Св. Победоносца Георгія“ – საუბარია წმინდა გიორგის ორდენის დღესასწაულზე, რომელიც 26 ნოემბერს აღინიშნებოდა.

გვ. 125,3-4. „о назначеніи Полков: Кононовича Командиром Ширван: Полка“ – სავარაუდოდ, საუბარია თბილისის

იგერთა პოლკის მეთაურზე, მაიორ პეტრე ივანეს ძე კანანოვიჩზე.

გვ. 125,5-6. „сравнивая его с Подполк: Тергукасовым“ – საუბარია აფშერონის ქვეითი პოლკის ბატალიონის მეთაურზე, პოდპოლკოვნიკ არზას არტემის ძე ტერლუგასოვზე.

გვ. 125,13-14. „доставленные мне вчера вечером, Капитаном Лагоріо“ – სავარაუდოდ, იგულისხმება კაპიტანი კარლ ფელიქსის ძე ლაგორიო.

ქეთევან ორბელიანისადმი №111 (508) (გვ. 126-127)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №368, გვ.: 154r-v, 155r-v.

თარიღი და ადგილი: „ნ⁶ დეკემ: 1857 შურა.“

ხელმოწერა: „თქუენი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან!“

ავტოგრაფის აღწერილობა: შუაზე გადაკეცილი, გაცრეცილი, გახუნებული, გაყვითლებული, საშუალო სისქის ქაღალდი; ზომები: გადაუქეცავისა: 26,5X21,6 სმ; გადაკეცილისა: 21,6X13,3 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომლითაც დასვრილი და გაყლენთილია ფურცლები.

ადრესატის მისამართი: ქეთევან ალექსი-მესხიშვილი-ორბელიანისა თბილისში ცხოვრობდა. წერილში გრიგოლი მოიკითხავს იქ მცხოვრებ ახლო ნათესავებს, რაც ადასტურებს, რომ ბარათი გაგზავნილია თბილისში.

შენიშვნები: 1. პირველი ასო ასომთავრულით წერია; 2. ღვთის; 3. ჯერ „მოიწონოს“ დაუნერია და შემდეგ „ი“ „ე“-დ გადაუქეთებია; 4. ჯერ „მომიკითხეთ“ დაუნერია და შემდეგ „თ“ გადაუშლია; 5. ღმერთი; 6. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განწერელისა რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 232-233.

გვ. 126,9. „იარანალ-ადუტანტობა მოვიდა ანაზდეულად“ – იგულისხმება 1857 წლის 10 ნოემბერს იმპერატორის გენერალ-ადიუტანტად მისი დანიშვნა.

გვ. 126,10-11. „მინყალობა დიდმან ჳელმწიფემან“ – იგული-

სხმება რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე II.

გვ. 126,11-12. „**მიშუამდგომელა მთავარმართებელმან**“ – იგულისხმება კავკასიის მეფისნაცვალი ალექსანდრე ბარიატინსკი.

გვ. 126,16. „**თქუენი ბარათი მივეც სოსიკოსა**“ – სავარაუდოდ, საუბარია გრიგოლის მსახურ სოსიკაზე.

გვ. 126,21. „**დიმიტრიმ მოკითხვა მოგახსენათ**“ – სავარაუდოდ, საუბარია გრიგოლის მდივან დიმიტრი დავითის ძე ჯორჯაძეზე.

გვ. 126,21. „**ჩვენმა ქალებმა**“ – საუბარია იმ დროს თემირხანშურაში მყოფ გრიგოლის რძალზე – ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანისაზე და დისწულ ნინო მელიტონის ასულ ბარათაშვილზე.

გვ. 126,22. „**ისაიამ ხელს გაკოცა**“ – საუბარია თარჯიმან ისაი ივანეს ძე გრამოვზე.

გვ. 126,22. „**თუ ანანურის დედოფალი ჩამოხდნებულა**“ – ასე მოიხსენიებს ხოლმე გრიგოლი თავის ბიძაშვილს – ბარბარე სამარაგდონის ასულ ორბელიან-საგინაშვილისას.

გვ. 126,25. „**ბიძია ალექსანდრეს უთხარით**“ – სავარაუდოდ, საუბარია ალექსანდრე (თორნიკე) იესეს ძე ქსნის ერისთავზე.

გვ. 126,25-26. „**მაგის შტუცერი მზად არის**“ – საუბარია მოკლელულიან თოფზე.

გვ. 126,28. „**ყაფლან მის ქულქათით მომიკითხე**“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ყაფლან ასლანის ძე ორბელიანსა და მის ოჯახზე.

გვ. 126,28-29. „**ჩემი საყუარელი ძალუა ნინა მის ქალებით**“ – საუბარია გრიგოლის ბიძის, იაკობის, ცოლზე – ნინო მაყაშვილ-ორბელიანისაზე და ქალიშვილებზე: თამარ ორბელიან-სანკოვსკისაზე, ბარბარე ორბელიან-ოპოჩინინისაზე, ეკატერინე ორბელიან-ივანოვისაზე და სოფიო ორბელიან-სევატოპოლკ-მირსკისაზე.

გვ. 126,29-30. „**თამარით და მის ქმრითა**“ – თამარ ორბელიანის ქმარი იყო ანდრია სტეფანეს ძე სანკოვსკი.

გვ. 126,31. „**რასა იქს სოსიკო და მის ფეხი?**“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ კონსტანტინე იოსების ძე ორბელიანის ვაჟ იოსებზე, რომელსაც ფეხი სტუკიოდა და კოჭლობდა.

გვ. 126,31-127,1. „**ივანე და მანანა ხომ არ დაბრუნებულან**

ქუთაისიდან – საუბარია გრიგოლის გარდაცვლილი ნათესავის, დავით იოანეს ძე ორბელიანის, ცოლ-შვილზე – მანანა მირმანოზის ასულ ერისთავ-ორბელიანისაზე და ივანე დავითის ძე ორბელიანზე.

გვ. 127,1-2. **„ტასიკო და სოფიო მომიკითხე სიყუარულით“** – იგულისხმება გრიგოლის ნათესავი ანასტასია დავითის ასული ორბელიანი-გაგარინისა და მისი რძალი სოფიო შალვას ასული ერისთავი.

გვ. 127,2. **„კონსტანტინეს და ლუბერნატსა“** – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ კონსტანტინე იოსების ძე ორბელიანსა და, სავარაუდოდ, მისი ბიძაშვილის, ეკატერინე იაკობის ასული ორბელიანის, ქმარზე – ქუთაისის სამოქალაქო გუბერნატორ ნიკოლოზ ალაპოს ძე ივანოვზე.

ბაბაღე ორბელიანი-საგინაშვილისადმი №14 (509) (გვ. 127-128)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №458, გვ.: 17r-v.

ხელმოწერა: „შენი ძმა გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო გულით საყუარელო დაო ბაბაღე!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, გაყვითლებული, საშუალო სისქის ქაღალდი; ზომა: 20,7X1 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გაჟღენთილია ფურცელში.

ადრესატის მისამართი: ტექსტის შინაარსიდან ირკვევა, რომ წერილი გაგზავნილია **თბილისში**. გრიგოლი ადრესატს სწერს: „რადგანაც თამარ მწერს, რომ ანანურის დედოფლისათვის ორი კვირა არის სახლებს ამზადებენო, ამისგამო ანგარიშით ეხლა უნდა იმყოფებოდე თბილისს.“

შენიშვნები: 1. ღმერთმან; 2. ღვთით.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განწერელის რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 233-234.

დათარილება: წერილში ნახსენები გენერალ-ადიუტანტობა გრიგოლ ორბელიანმა მიიღო 1857 წლის 10 ნოემბერს. შესაბამისად, ბარათი ამ დროზე ადრე დაწერილი ვერ იქნება. თავისი რძლის – ქეთევანისადმი 6 დეკემბერს გაგზავნილი ბარათის მიხედ-

ვითაც, ორბელიანმა არ იცის, ბარბარე იმ დროს თბილისშია, თუ არა. შესაბამისად, **ეს ბარათიც დეკემბრის პირველ ნახევარში უნდა იყოს დაწერილი, სავარაუდოდ, 6 დეკემბრის წერილის შემდეგ**, რადგან ამ წერილის მიხედვით, მოლოდინი ბარბარეს თბილისში ყოფნისა, მეტია.

გვ. 127,8. **„თამარ მწერს“** – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ თამარ იაკობის ასულ ორბელიან-სანკოვსკისაზე.

გვ. 127,8-9. **„ანანურის დედოფლისათვის ორი კვირა არის სახლებს ამზადებენო“** – იგულისხმება წერილის ადრესატი ბარბარე სამარაგდონის ასული ორბელიანი-საგინაშვილისა და მისი სახლი თბილისში.

გვ. 127,13-14. **„ძალუა ვარინკა გიორგით, და ნინუცა, არიან კარგად მიჩუმებულნი“** – საუბარია იმ დროს თემირხანშურაში მყოფ გრიგოლის რძალზე – ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანისაზე, მის ვაჟ გიორგი ილიას ძე ორბელიანსა და გრიგოლის დისწულ ნინო მელიტონის ასულ ბარათაშვილზე.

გვ. 127,20. **„ჩემი საყუარელი ალექსანდრე რასა ჰშვრება“** – საუბარია ადრესატის მეუღლეზე – ალექსანდრე დიმიტრის ძე საგინაშვილზე.

გვ. 127,20-21. **„ისაკ თუმანოვი, გულის ვარდი“** – საუბარია კავკასიის კორპუსის მთავარი შტაბის საველე აუდიტორიატის წევრ ისაკ შიოს ძე თუმანიშვილზე.

გვ. 127,22. **„ეს ლენერალადუტანტობაც მოვიდა“** – იგულისხმება 1857 წლის 10 ნოემბერს იმპერატორის გენერალ-ადიუტანტად მისი დანიშვნა.

გვ. 127,25. **„შენი საკუთარი ისაია აქ მადგას“** – საუბარია თარჯიმან ისაი ივანეს ძე გრამოვზე.

სვიატოპოლკ-მირსკისადმი №1 (510) (გვ. 128-130)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 109v, 110r-v.

თარიღი და ადგილი: „28 Декаб: 1857. Шура.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „К: Святополк-Мирскому.“ / „Любезный брат Дмитрий!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაყვითლებული, სამუალო სისქის ქა-

ლადლი; ზომა: 34,6X21,5 სმ; შესრულებულია შავი მელნით, რომ-
ლითაც რამდენიმე ადგილას დასვრილია ხელნაწერი.

ადრესატის მისამართი: ნერილის ადრესატი დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკი ყაბარდოს პოლკს მეთაურობდა, რომელიც **ხასავიურთში** მდებარეობდა. ამის შესახებ ტექსტშიცაა აღნიშნუ-
ლი: „Любезный брат Дмитрій! После новаго года я думаю отпра-
виться в Тифлис, душевно сожалею, что, по служебным обяза-
тельствам, вынужден поехать не чрез Хасавьюрт, гдебы я обнял, и тебя, и Сопичку, и детей твоих, с которыми три года не виделся.“

შენიშვნები: 1. Князю; 2. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 3. არ იკითხება დაზიანების გამო.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

ნერილის ადრესატია 1857-1859 წლებში ყაბარდოს პოლკის მე-
თაური, გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის, სოფიო იაკობის ასუ-
ლი ორბელიან-სვიატოპოლკ-მირსკის, მეუღლე, პოდპოლკოვნიკი
დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკი.

გვ. 128,9-10. „**гдебы я обнял, и тебя, и Сопичку, и детей твоих**“ – ყაბარდოს ბატალიონის შტაბი იყო ხასავიურთში და პოლკის მეთაურის ცოლი, სოფიო იაკობის ასული ორბელიანი-სვიატოპოლკ მირსკისა, და შვილებიც იქ იმყოფებოდნენ.

გვ. 128,18-19. „**страшны в Салатавиі вьюги и метели**“ – ორბელიანს ყოველთვის ეშინოდა სალათავის უხუცესების ლაღატის.

გვ. 128,20-21. „**Полков: Ракуса два раза возвращался назад**“ – საუბარია პოლკოვნიკ ნიკოლოზ ბიკენტის ძე რაკუსაზე (რაკუზა), რომლის პოლკიც დაბანაკებული იყო იშკარტში.

გვ. 128,22. „**чрез Ибраим Даду**“ – საუბარია ევგენიევსკსა და ბურთუნაის შორის მდებარე მთაზე.

გვ. 129,3. „**из Метлы чрез Хубары**“ – საუბარია დაღესტნის სოფლებზე.

გვ. 129,5. „**из Ишкарты**“ – საუბარია დაღესტნის სოფელზე, თემირხანშურასთან ახლოს.

გვ. 129,10-11. „**связалобы Буртунай с Кишенем**“ – საუბარია ბურთუნაის დაკავშირებაზე ასევე დაღესტნის სოფელ კიშინ-აუხთან.

გვ. 129,19. „**только Шамиль силою**“ – საუბარია იმაზე, რომ ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამი ხალხს ძალით იმორჩილებდა.

გვ. 129,21-22. „**один из Чеченских Найбов предлагал Шамилю ежегодно 2 тыс. руб.**“ – ნაიბის სახელი უცნობია.

გვ. 130,3. „**Ну, любезный брат и сосед**“ – ორბელიანსა და სვიატოპოლკ-მირსკის, როგორც ნათესავეებს, მამულები საქართველოში მეზობლად ჰქონდათ და, ამასთანავე, იმჟამად მათი სამხედრო ნაწილებიც ახლო-ახლოს იყო – დაღესტნის სოფლებში – ხასავიურთსა და თემირხანშურაში.

გვ. 130,5. „**из Кишеня в Алмах**“ – სავარაუდოდ, საუბარია დაღესტნის სოფლებზე – კიშინ-აუხსა და ალმალოზე.

გვ. 130,7. „**через Бегляр Кирачь**“ – სავარაუდოდ, საუბარია დაღესტნის სოფლებზე – ბეგლიარსა და კირჟაჩზე.

1858

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №72 (511) (გვ. 133)

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №586, გვ.: 104r-v, 105r-v.

თარიღი და ადგილი: „3^{го} Апр: 1858 თბილისი.“

ხელმოწერა: „შენი ბედნიერების მოსურნე გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ბატონო, კნიაზო დიმიტრი!“

ავტოგრაფის აღწერილობა: შუაზე გადაკეცილი, თეთრი, დაღაქავებული, საშუალო სისქის ქაღალდი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,8X20,8 სმ; გადაკეცილისა: 20,8X13,4 სმ; შესრულებულია დიდი, მსხვილი ასოებით, მუქი შავი მელნით, რომელიც გაჟღენთილი და გადასულია გვერდებში.

ადრესატის მისამართი: ამ დროს დიმიტრი ჯორჯაძე მსახურობდა **თემირხანშურაში** და წერილიც, სავარაუდოდ, იქ უნდა იყოს გაგზავნილი, ისევე როგორც ამ პერიოდის სხვა ბარათები. ამას ადასტურებს იქ მომსახურე სამხედრო თუ სხვა პიროვნებების მოკითხვა: „ბარონი მომიკითხე დიდად. – ჩემი საყურელი ბაგრატიონი გულით მომიკითხე; ეგრეთუე რადეცკი და ოკოლნიჩი. – როგორა ხართ ლაზარევი რას ჰშვრება? – შამილისა რა ისმის? შამხალი ვითარ ჰსუფევს და ამ გვარნი რალაებიცა.“

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ. ამის ქვემოთ

კი ა. სანკოვსკის მინანერია რუსულად: „Целую душу и поздравляю съ праздником. А. Санковскій“

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 235-236.

გვ. 133,3-4. **„მარხვა, აღდგომა, დღესასწაულები“** – იგულისხმება დიდი მარხვა. 1858 წელს აღდგომა იყო 23 მარტს, რასაც მოჰყვა ბრწყინვალე შვიდეული.

გვ. 133,5-6. **„მოვიდა ბულატოვი საყაფლანისშვილოს მამულის პლანითა“** – შესაძლოა, საუბარი იყოს საგანგებო დავალებათა მოხელე ფოკიონ ესტატეს ძე ბულატოვზე, რომელიც მოგვიანებით ელიზავეტოპოლის გუბერნატორი გახდა.

გვ. 133,8. **„მთავარმართებელი აქამდის შავად იყო მოსილი“** – ცნობილია, რომ კავკასიის მეფისნაცვლის, ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკის, დედა – მარია თევდორეს ასული კელერი-ბარიატინსკი, გარდაიცვალა 1858 წელს და, სავარაუდოდ, მეფისნაცვალს შავები მისი გარდაცვალების გამო ეცვა, თუმცა ამავე პერიოდს ემთხვევა მძიმე მარხვაც და მიზეზი ესეც შეიძლება ყოფილიყო.

გვ. 133,11. **„გაგარინი ლამაზის ცოლით წავიდა პეტერბურს“** – სავარაუდოდ, საუბარია რუს მხატვარსა და ხელოვნებათმცოდნე გრიგოლ გრიგოლის ძე გაგარინზე, რომელმაც მოხატა სიონის ტაძარი. გაგარინის მეორე ცოლი იყო სოფიო ანდრიას ასული დაშკოვა-გაგარინისა. ჯვრისწერის შემდეგ ცოლ-ქმარი თბილისში ცხოვრობდა. მათი სახლი კულტურულ ცენტრად იყო ქცეული. სოფიო თამაშობდა მისი ქმრის პროექტით აშენებული თეატრის სცენაზე. მართალია, 1854 წელს ისინი პეტერბურგში დაბრუნდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, სტუმრად ჩამოდიოდნენ თბილისში.

გვ. 133,12. **„კნიაზ ლოლიცინიც მიდის პარიჟში“** – შესაძლოა, საუბარი იყოს სენატორ გრიგოლ სერგის ძე გოლიცინის რომელიმე ვაჟზე. გოლიცინის ქალიშვილს, ვორონცოვის ადიუტანტ შუაზელ გოფიეს მეუღლე ბარბარეს, კარგად იცნობდა გრიგოლ ორბელიანი.

გვ. 133,12-14. **„ივანე მუხრანბატონის შვილმა კონსტანტინემ დაინერა ჯვარი ლიზა ფალავანდოვის ქალზედ“** – საუბარია კონსტანტინე ივანეს ძე მუხრანბატონზე და ელისაბედ ნიკოლოზის ასულ ფალავანდიშვილზე.

გვ. 133,17. „იაკობ კარაევი მოგართმევს ამ წერილსა“ – სავარაუდოდ, საუბარია დალესტანში მომსახურე ოფიცერზე.

გვ. 133,19. „ბარონი მომიკითხე დიდად“ – თუ გავითვალისწინებთ ამავე წლის 13 აპრილის წერილს, სავარაუდოა, რომ აქაც საუბარი იყოს ბარონ ალექსანდრე ევსტათეს ძე ვრანგელზე, რომელიც გრიგოლ ორბელიანის თბილისში გადმოსვლის შემდეგ კასპიისპირა მხარის სამოქალაქო ნაწილის მმართველად დაინიშნა.

გვ. 133,19. „ჩემი საყუარელი ბაგრატიონი“ – საუბარია ქართველეთის ოლქის მმართველის თანაშემწესა და ლეიბ-გვარდიის ცხენოსანთა პოლკის მეთაურზე, გენერალ-მაიორ გრიგოლ ივანეს ძე ბაგრატიონზე.

გვ. 133,20. „რადეცკი და ოკოლნიჩი“ – საუბარია 1858-1861 წლებში დალესტანის 82-ე ქვეითი პოლკის მეთაურ თეოდორე თეოდორეს ძე რადეცკისა და კასპიისპირა მხარის ჯარების შტაბსკაპიტან ნიკოლოზ ანდრიას ძე ოკოლნიჩიზე.

გვ. 133,21. „ლაზარევი რას ჰშვრება?“ – საუბარია მეხთულის სახანოს მმართველ ივანე დავითის ძე ლაზარევიზე.

გვ. 133,21. „შამილისა რა ისმის?“ – იგულისხმება ჩეჩნეთ-დალესტანის იმამი.

გვ. 133,21-22. „შამხალი ვითარ ჰსუფევს“ – იგულისხმება თარკოს შამხალი აბუ-მუსლიმ-ხანი.

გვ. 133,25. „მირზა და ისაია მომიკითხე“ – საუბარია თარჯიმნებზე – მირზა ვექილოვსა და ისაი (ისააკ) ივანეს ძე გრამოვზე.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №73 (512) (გვ. 134-136)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №587, გვ.: 106r-v, 107r-v.

თარიღი და ადგილი: „13^ა აპრი: 1858. თბილისით.“

ხელმოწერა: „შენი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ბატონო, კნიაზო დემეტრე!“

ავტოგრაფის აღწერილობა: შუაზე გადაკეცილი, გაცრეცილი, გახუნებული, გაყვითლებული, დალაქავებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის ქალაღი; ზომები: გადაუკეცავისა: 42,2X26,6 სმ; გადაკეცილისა: 26,6X21,1 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელ-

ნით, რომელიც გაჟღენთილი და გადასულია გვერდებში; რამდენიმე ადგილას დაღვენილია; ხელნაწერი ალაგ-ალაგ გახეულია.

ადრესატის მისამართი: ამ დროს დიმიტრი ჯორჯაძე მსახურობდა **თემირხანშურაში** და წერილიც, სავარაუდოდ, იქ უნდა იყოს გაგზავნილი, ისევე როგორც ამ პერიოდის სხვა ბარათები. ამას ადასტურებს იქ მომსახურე სამხედრო თუ სხვა პიროვნებების მოკითხვა: „მომიკითხე ბარონ ალექსანდრე ასტაძიევიჩი, რადეკუკი, ოკოლნიჩი, გერშელმან, დოკტორ პლაშჩევსკი, და ასსეევი, და ეგრეთუე ტერლუქასოვი. – როცა ნახო მაღალხარისხოვანი შამხალი, იბრაიმიხან და რეშიდხან მათის დედითურთ მომიკითხე.“

შენიშვნები: 1. ამ ადგილას მელანია დაღვენილი და კვადრატულ ფრჩხილებში მოთავსებული ადგილი არ იკითხება; 2. აქედან მოყოლებული, ბოლომდე ტექსტი შავი ფანქრით არის გადახაზული; 3. სიტყვა ჩამატებულია ავტორის მიერ; 4. აქ ავტორს სიტყვა „წავიდა“ მონიშნული აქვს და შენიშვნა – „ჯერ არწავიდა და აპირებსკი“ – სქოლიოში აქვს ჩატანილი; 5. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 6. ეს აბზაცი მარცხენა არშიაზე ლურჯი მელნით არის მონიშნული; 7-8. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 9. ეს მინაწერიც ფანქრით არის გადახაზული.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 236-238.

გვ. 134,8. **„რეადი ვორონცოვის დროს“** – გენერალი ნიკოლოზ ანდრიას ძე რეადი მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვის მეფისნაცვლობის დროს რუსეთის ჯარების კავკასიის კორპუსს ხელმძღვანელობდა, მაგრამ, კონტექსტიდან გამომდინარე, აქ უნდა იგულისხმებოდეს ის ფაქტი, რომ 1854 წელს მას ხშირად უხდებოდა მეფისნაცვლის მოვალეობების შესრულება, როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო სფეროში.

გვ. 134,15. **„კობიევის გამოსვლა ტყვეობიდან“** – საუბარია პოდპოლკოვნიკ ნიკოლოზ იაგორის ძე კობიაშვილზე, რომელიც 1857 წლის 4 ივნისიდან ტყვედ ჰყავდათ მთიელებს და 1858 წლის აპრილში გათავისუფლდა.

გვ. 134,16-17. **„გაუგზავნე კაცი გრიგოლ მუხრანის ბატონსა“** – საუბარია ჭარ-ბელაქის ოლქის უფროსსა და დაღესტნის სასაზღვრო ხაზის მარჯვენა ფლანგის მეთაურზე, გენერალ-მაიორ გრიგოლ ივანეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელზე.

გვ. 134,18. „**მთავარმართებელს ვჰსთხოვე**“ – იგულისხმება კავკასიის მეფისნაცვალს და ჯარების მთავარსარდალს – ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკის.

გვ. 134,19-20. „**უბძანა ინსარსკისა**“ – საუბარია კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორ ვასილი ანტონის ძე ინსარსკიზე.

გვ. 134,27. „**ამ მინუტში შემოვიდა ყიფიანი**“ – საუბარია ცნობილ ქართველ საზოგადო მოღვაწე დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანზე, რომელიც იმ დროს მეფისნაცვლის აპარატში მსახურობდა.

გვ. 134,30. „**შემოვიდა კოცებუ**“ – საუბარია კავკასიის კორპუსის შტაბის უფროს პავლე ევსტათის ძე კოცებუზე.

გვ. 135,3. „**მოველით ლენერალლუბერნატორსა ქუთაისიდამ**“ – სავარაუდოდ, იგულისხმება ქუთაისის გუბერნატორი – გენერალ-მაიორი ნიკოლოზ ალაპოს ძე ივანოვი.

გვ. 135,4-5. „**სენკოვსკისათვის ვჰსთხოვე სარდალსა ჯერ ამხელად ჯამაგირის მომატება**“ – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძის, იაკობის, სიძეზე – პოლკოვნიკ ანდრია სტეფანეს ძე სანკოვსკიზე.

გვ. 135,7. „**კნენა ბებუთოვისა წარადგინა მთავარმართებელმა**“ – საუბარია 1858 წლის 10 მარტს გარდაცვლილი ცნობილი რუსი გენერლის, ვასილ იოსების ძე ბებუთაშვილის, ქვრივზე – მარიამ სოლომონის ასულ არლუთინსკი-მხარგრძელ-ბებუთაშვილისაზე.

გვ. 135,12. „**გაგარინი გვრიტის ცოლით წავიდა**“ – სავარაუდოდ, საუბარია რუს მხატვარსა და ხელოვნებათმცოდნე გრიგოლ გრიგოლის ძე გაგარინზე. მისი მეორე ცოლი იყო მასზე ბევრად ახალგაზრდა სოფიო ანდრიას ასული დაშკოვა-გაგარინისა.

გვ. 135,12-13. „**გოლიცინიც ამ დღეებში გაემგზავრება**“ – შესაძლოა, საუბარი იყოს სენატორ გრიგოლ სერგის ძე გოლიცინის რომელიმე ვაჟზე. გოლიცინის ქალიშვილს, ვორონცოვის ადიუტანტ შუაზელ გოფიეს ცოლს – ბარბარეს კარგად იცნობდა გრიგოლ ორბელიანი.

გვ. 135,13. „**ტრუბეცკოიცა წავიდა**“ – შესაძლოა, საუბარი იყოს მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვის ადიუტანტ სერგი ნიკიტას ძე ტრუბეცკოიზე, რომელმაც მოგვიანებით ცოლად შეირთო სოფიო ირაკლის ასული ბაგრატიონი.

გვ. 135,14-15. „**მათთანა ერთად კნენა ანნეტა მუ[ხ]რანს-**

კიკა“ – შესაძლოა, იგულისხმებოდეს ანა ოქროპირის ასული ბაგრატიონ-გრუზინსკაია, რომელიც ცოლად ჰყავდა ალექსანდრე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელს.

გვ. 135,17-18. **„ივანესმუხრანსკის შვილის დაქორწინება ლიზა ფალავანდოვისასზე“** – საუბარია კონსტანტინე ივანეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელსა და ელისაბედ ნიკოლოზის ასულ ფალავანდიშვილზე.

გვ. 135,19. **„მოველით ახალს არქიერს“** – 1858 წლის 1-ლ მარტს საქართველოს არქიეპისკოპოსად და ეგზარქოსად დაინიშნა ევსევი – ალექსი ალექსის ძე ილინსკი.

გვ. 135,19-20. **„ჩუჭნი ეჭარხოსი მიბძანდება კიევს“** – 1844-1858 წლებში საქართველოს ეგზარქოსი – ისიდორე (ერისკაცობაში იაკობ სერგის ძე ნიკოლსკი) გადაიყვანეს კიევის მიტროპოლიტად.

გვ. 135,20-21. **„საბრალო ჩუჭნი ვიკარიი დავმარხეთ სიონში“** – საუბარია გორის ეპისკოპოს იოანე ავალიანზე.

გვ. 135,22. **„ყორხმაზიცა დავმარხეთ“** – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილის, თამარ იოსების ასული ორბელიანის, პირველ ქმარზე – ყორხმაზ (დიმიტრი) სოლომონის ძე მელიქიშვილზე, რომელთანაც ის განქორწინებული იყო.

გვ. 135,23-24. **„სიტყვასებრ აბრამა მოურავისა: გასატყეხი უნდა გატყდეს“** – ორბელიანი ხშირად ხუმრობს თავისი მოურავის ასეთ გამონათქვამებზე, რომლებსაც, როგორც ჩანს, თავის გასამართლებლად იგონებდა ხოლმე.

გვ. 135,28. **„ჩემი საკუთარი ბაგრატიონი“** – საუბარია გენერალ-მაიორ გრიგოლ ივანეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელზე.

გვ. 135,29. **„მაგის ნათესავი ბაგრატიონი“** – შესაძლოა, იგულისხმებოდეს გიორგი XII-ის შთამომავალი – დავით ბაგრატის ძე ბაგრატიონი, რომელმაც ჯვარი დაინერა მოსკოვის მერისა და მდიდარი ფაბრიკანტის, ალექსანდრე მაზურიანის, ქალიშვილ ანაზე.

გვ. 135,33. **„ძალუა ვარინკა“** – იგულისხმება გრიგოლის რძალ ბარბარე ილიას ასული ბაგრატიონი-ორბელიანისა.

გვ. 136,1. **„პატარა გიორგი ხშირად გიკითხავს“** – საუბარია გრიგოლის ძმისწულზე – გიორგი ილიას ძე ორბელიანზე, რომელიც რამდენიმე თვის განმავლობაში იყო თემირხანშურაში და ხშირად ნახულობდა დიმიტრი ჯორჯაძეს.

გვ. 136,2. „დავით ჭავჭავაძე აქ იმყოფება თავის ცოლშვილით“ – საუბარია გრიგოლის ნათესავ დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძესა და მის მეუღლე ანა ილიას ასულ ბაგრატიონ-ჭავჭავაძისაზე. იმ დროისათვის მათ ჰყავდათ 6 შვილი: სალომე, მარიამი, ელენე, თამარ, ალექსანდრე და ანასტასია.

გვ. 136,3-4. „სუნდუკიანც გადმოვაყვანიწ სტროიტელნის კამისიაში“ – საუბარია შემდგომში ცნობილ დრამატურგ გაბრიელ სუნდუკიანცზე, რომელიც მანამდე თბილისში მსახურობდა მეფისნაცვლის კანცელარიაში, მაგრამ მისდამი მტრულად განწყობილი ერთ-ერთი ჩინოვნიკის ცილისწამების გამო, იმ დროისათვის გადაყვანილი იყო დერბენდის გუბერნიაში.

გვ. 136,4-5. „ლორისმელიქოვი – ლენერალი – მიდის ზაქათა-ლას თანაშემწედ ვრევსკისა“ – საუბარია გენერალ მიხეილ ტარიელის ძე ლორის-მელიქოვსა და ლეკეთის საომარი ხაზის სარდალზე, გენერალ-ლეიტენანტ იპოლიტ ალექსანდრეს ძე ვრევსკიზე.

გვ. 136,6-7. „ლამაზის ცოლითა და უფრო ულამაზესის ცოლის დითა“ – ვრევსკი იმ დროს ოჯახით ვლადიკავკაზში ცხოვრობდა. მისი ცოლი იყო იულია პეტრეს ასული ვარპახოვსკაია-ვრევსკისა, ხოლო ცოლისდა – ნატალია პეტრეს ასული ვარპახოვსკაია, რომელიც მოგვიანებით ცოლად გაჰყვა თავისი დის გერს – ნიკოლოზ იპოლიტეს ძე ვრევსკის.

გვ. 136,9-10. „მომიკითხე ბარონ ალექსანდრე ასტაძიევიჩი, რადეცკი, ოკოლნიჩი, გერშელმან, დოკტორ პლაშჩევსკი, და ასევე“ – საუბარია კასპიისპირა მხარის სამოქალაქო ნაწილის მმართველ ბარონ ალექსანდრე ევსტათეს ძე ვრანგელზე, დაღესტნის 82-ე ქვეითი პოლკის მეთაურ თეოდორე თეოდორეს ძე რადეცკიზე, კასპიისპირა მხარის ჯარების შტაბსკაპიტან ნიკოლოზ ანდრიას ძე ოკოლნიჩიზე, ინჟინერ ვიქტორ ივანეს ძე გერშელმანზე, რომელიც ხელმძღვანელობდა დერბენდში წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის აშენებას, მთავარსარდლის სამმართველოს მთავარ ექიმ აბრაამ ალექსის ძე პლაშჩევსკისა და პოლკოვნიკ დიმიტრი კუზმას ძე ასევეზე, რომელიც სალათავიაში მსახურობდა.

გვ. 136,11. „ეგრეთუე ტერლუქასოვი“ – საუბარია აფშერონის ქვეითი პოლკის ბატალიონის მეთაურზე, პოდპოლკოვნიკ არზას არტემის ძე ტერლუგასოვზე.

გვ. 136,11-12. „მალახარისხოვანი შამხალი, იბრაიმხან და რეშიდხან მათის დედითურთ“ – საუბარია თარკოს შამხალ აბუ-

მუსლიმ-ხანსა და ახმედხანის ვაჟებზე – შამხლის სიძეზე – მეხ-თულელ ფლიგელ-ადიუტანტსა და ლეიბგვარდიის კაზაკთა პოლკის როტმისტრ იბრაჰიმ ხანზე, მის ძმაზე – ლეიბგვარდიის გროდნოს ჰუსართა პოლკის პორუჩიკ რეშიდ-ხანსა და მათ დედაზე – ნობ-ბიქეზე.

გვ. 136,15-16. „**მირზა ხუდად და დიდი დიპლომატი ისაია**“ – საუბარია დაღესტნელ თარჯიმნებზე – მირზა უსუფა ხუდად ვექილოვსა და ისაი (ისააკ) ივანეს ძე გრამოვზე.

გვ. 136,20. „**პეტრე აპოლონოვიჩი პატივისცემით მომიკითხე**“ – საუბარია დაღესტნის სასაზღვრო ხაზის მარჯვენა ფლანგის მეთაურ პეტრე აპოლონის ძე ვოლკოვზე.

ალექსი კრუზენშტერნისადმი №1 (513) (გვ. 136-137)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 129რ.

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Крузенштерну.“

ავტოგრაფის აღწერილობა: მოცისფრო, თხელი, სიფრიფანა ქალაღი; ზომა: 28X19,1 სმ; ხელნაწერი დაზიანებულია, გვერდები ორივე მხრიდან ჩამოხეული აქვს, რის გამოც ტექსტი ამ ადგილებში არ იკითხება; დაკრულია თეთრ ქალაღზე; შესრულებულია ფანქრით.

ადრესატის მისამართი: წერილში გრიგოლი ადრესატს სამსახურს სთხოვს თავისი რძლის, ქეთევან ალექსი-მესხიშვილი-ორბელიანის ძმის, პლატონისთვის: „Извольте просить вас о назначении Правителем [...] Алексеева-Месхиева.“ – რაც გვავარაუდებინებს, რომ ალექსი კრუზენშტერნი იმყოფებოდა **თბილისში**, სადაც მალე უნდა შესდგომოდა სამოქალაქო სამმართველოს უფროსის მოვალეობის შესრულებას.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

დათარიღება: 1858 წლის 10 მარტს, კავკასიის არმიის სამოქალაქო მმართველობის უფროსის, ვასილ იოსების ძე ბებუთაშვილის, გარდაცვალების შემდეგ, მოხდა მისი თანამდებობრივი მოვალეობების ორად გაყოფა – მეფისნაცვლის საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა გრიგოლ ორბელიანი, სამოქალაქო სამმართველოს უფროსად კი – ალექსი თეოდორეს ძე კრუზენშტერნი.

ბარათი დაწერილი უნდა იყოს მანამ, სანამ წერილის ავტორი და ადრესატი შეუდგებოდნენ თავიანთ ახალ სამსახურს – როდესაც ყალიბდებოდა მათი მომავალი სამსახურები. რამდენადაც 1858 წლის 13 აპრილს დიმიტრი ჯორჯაძისათვის მიწერილი ბარათიდან ჩანს, რომ გრიგოლ ორბელიანს ახალგაგებებული აქვს, რა თანამდებობაზე ინიშნება („მე უნდა შევიქმნე იგი, რაფცა იყო უწინ რეადი ვორონცოვის დროს, ესე იგი: პრედსედატელი სოვეტისა და ოსობის პრისუტსტვიისა, და ამასთანავე ინსტიტუტისა, და როცა მთავარმართებელი განვალს თბილისით, მე ვარ მის მოადგილედ.“), უნდა ვივარაუდოთ, რომ **ბარათი 13 აპრილის შემდეგ, მაგრამ მოკლე ხანშივე, უნდა იყოს დაწერილი.**

გვ. 137,12-13. „Извольте просить вас о назначении Правителем Алексева-Месхіева“ – სავარაუდოდ, ორბელიანი ადრესატს სთხოვდა თავისი რძლის, ქეთევან ალექსი-მესხიშვილის, ძმის – პლატონის – სამსახურში აყვანას. იგი მანამდე გრიგოლთან მსახურობდა წარ-ბელაქნის ოლქში პოლიციის კომისრად.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №74 (514) (გვ. 138-140)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №588, გვ.: 108r-v, 109r-v.

თარიღი და ადგილი: „28 აპრილს 1858 თბილისით.“ / „2^ა მაისს.“

ხელმოწერა: „შენი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ბატონო, კნიაზო დემეტრე!“

ავტოგრაფის აღწერილობა: შუაზე გადაკეცილი, გახუნებული, მოყვითალო, გაცვეთილი, დალაქავებული, საშუალო სისქის ქაღალდი; ზომები: გადაუკეცავისა: 42,2X26,9 სმ; გადაკეცილისა: 26,9X21,1 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომლითაც დასვრილი და გაჟღენთილია ფურცლები; ხელნაწერი დაზიანებულია: ადგილ-ადგილ გახეულია; III (109r) გვერდზე ლურჯი მელანია დაღვეთილი.

ადრესატის მისამართი: ტექსტის შინაარსიდან ირკვევა, რომ ადრესატი იმყოფებოდა **თემირხანშურაში**, სადაც მსახურობდა: „ებლინდ გადმოდის კაპიტნად და მოვა შურაში სამსახურისათჳს; ამ ანგარიშს ვერ მიმხუდარვარ: აქ ორასი თუმანი ეძლეოდა, და

მანდ როგორ უნდა იცხოვროს პოლკის ჯამაგირით ცოლიანმა კაცმა.“

შენიშვნები: 1. „აქაური ამბები“ შედარებით მუქი მელნით არის დანერილი; 2-3-4. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 5. ეს წინადადება ჩამატებულია გვერდის ზედა ნაწილზე „X“ ნიშნით; 6-7. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 8. ხაზგასმულია მწვანე ფანქრით.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 238-240.

გვ. 138,7-8. **„გამოვატანე წერილი შენად სოლომონ ყორღანოვს“** – იგულისხმება წარმოშობით თბილისელი გენერალ-მაიორი სოლომონ ივანეს ძე ყორღანაშვილი, გენერალ-მაიორ იოსების ძმა და კავალერიის გენერლის, ადამ ყორღანაშვილის, მამა.

გვ. 138,9-10. **„კონსტანტინე თარხანოვი და ნიკოლაი ალაპჩიჩი ივანოვი, ესე იგი, ჩვენი ბატონი-სიძე“** – საუბარია კონსტანტინე დავითის ძე თარხან-მოურავსა და გრიგოლის ბიძაშვილის, ეკატერინე იაკობის ასული ორბელიანის, ქმარზე – ნიკოლოზ ალაპოს ძე ივანოვზე.

გვ. 138,10-11. **„სენკოვსკის მიუვიდა სტანისლავის ლენტი“** – საუბარია თამარ იაკობის ასული ორბელიანის ქმარზე – ანდრია სტეფანეს ძე სანკოვსკიზე.

გვ. 138,12-13. **„ავთანდილოვი მიდის დეპუტატად ერმიაძინს პატრიარქის აღმოსარჩევად“** – 18 მაისს სომხეთში, ერმიაძინის საპატრიარქო ტაძარში, უნდა ჩატარებულიყო სომხეთის პატრიარქის არჩევა. პატრიარქის ამორჩევაში სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებ სომეხთა წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. სავარაუდოდ, საუბარია მეფისნაცვლის კანცელარიის სამოქალაქო ნაწილის ვიცე-დირექტორ ზაქარია სტეფანეს ძე ავთანდილოვზე.

გვ. 138,14. **„ანგლის კონსული, დანიშნული ყიზილბაშისა მხარეს“** – საუბარია 1858-1859 წლებში ინგლისის კონსულზე ირანში – უილიამ დორიაზე.

გვ. 138,15. **„გილან-მაზანდარანისაკენ“** – იგულისხმება ირანის პროვინციები – გილანი და მეზენდერენი.

გვ. 138,19-20. **„მოვიდა პეტერბურლიდამ დიდად მოსალოდნელი ხარიტონოვი“** – საუბარია რუსეთის სახელმწიფო მოღვაწე

ალექსი ალექსანდრეს ძე ხარიტონოვზე, რომელიც 1857 წელს დაინიშნა კავკასიის მხარის მთავარი სამმართველოს საბჭოს წევრად. იგი განაგებდა მხარის სამოქალაქო მოწყობის საკითხებს. მოგვიანებით ხარიტონოვი მიავლინეს პეტერბურგში, რათა ფინანსთა სამინისტროში წარედგინა საკუთარი მოსაზრებები კავკასიის ადგილობრივი შემოსავლის განსაკარგავად მეფისნაცვლისთვის გადაცემასთან დაკავშირებით.

გვ. 138,23. **„ებლინდ გადმოდის კაპიტნად“** – შესაძლოა, საუბარი იყოს კავკასიის საცენზურო კომიტეტის თანამშრომელ ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ებელინგზე.

გვ. 139,5-6. **„ივანე მუხრანის ბატონი ამბობს“** – საუბარია გენერალ ივანე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელზე.

გვ. 139,13-14. **„გაუგზავნე დირექტორს ინსარსკისა“** – საუბარია კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორ ვასილი ანტონის ძე ინსარსკიზე.

გვ. 139,15-16. **„აკოლნიჩიც მოვიდა თავისის ვეება წარდგენითა და სიმამრითა“** – საუბარია კასპიისპირა მხარის ჯვარების შტაბსკაპიტან ნიკოლოზ ანდრიას ძე ოკოლნიჩიზე. სიმამრის ვინაობა უცნობია.

გვ. 139,17. **„გულით ვჰსწუხვარ ლოპკესათჳს“** – საუბარია მთავარსარდლის შტაბის მაიორ თეოდორ ივანეს ძე ლოპკეზე, რომელიც შემდგომში სტავროპოლის გუბერნატორი გახდა.

გვ. 139,19. **„მაგისი წერილი და ბარონისა“** – სავარაუდოა, რომ საუბარი იყოს ბარონ ალექსანდრე ევსტათეს ძე ვრანგელზე, რომელიც გრიგოლ ორბელიანის თბილისში გადმოსვლის შემდეგ კასპიისპირა მხარის სამოქალაქო ნაწილის მმართველად დაინიშნა.

გვ. 139,19-20. **„დაველაპარაკე მილუტინსა“** – იგულისხმება კავკასიის არმიის შტაბის უფროსი – გრაფი დიმიტრი ალექსის ძე მილიუტინი.

გვ. 139,23. **„საგინოვის ბატალიონს გაურიგებდი“** – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილის, ბარბარე ორბელიანი-საგინაშვილის, მახლზე, გენერალ-ლეიტენანტ იაგორ დიმიტრის ძე საგინაშვილზე, რომელიც გარდაცვალებამდე მეთაურობდა ერევნის პოლკის მესამე ბატალიონს.

გვ. 139,32. **„გუშინ მოუვიდა მთავარმართებელს წერილი“** – იგულისხმება მეფისნაცვალი ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკი.

გვ. 139,32-140,1-2. **„ველიკიე კნიაზები ნიკოლაი და მიხეილ“**

მოზრძანდებიან ამ შემოდგომაზედ საქართველოში – საუბარია იმპერატორ ალექსანდრე II-ის ძმებზე.

გვ. 140,8-9. **„სოლომონ და ივანმალხაზიჩი გადაკიდებულნი არიან“** – საუბარია გრიგოლის ნათესავზე, გენერალ ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილზე, მაგრამ რომელ სოლომონს გულისხმობს, გაურკვეველია.

გვ. 140,12. **„აპაჩინინის ქალი მაშინკა“** – სავარაუდოდ, საუბარია გრიგოლის ბიძაშვილის, ბარბარე იაკობის ასული ორბელიანისა, და ალექსი პეტრეს ძე ოპოჩინინის ქალიშვილზე.

გვ. 140,13-14. **„პოპოროლოპულო დაინიშნა წულუკიძის ქალზე“** – პიროვნებათა ვინაობა ვერ დავადგინეთ.

გვ. 140,16. **„მომიკითხე შამხალი, რადეცკი, ბაგრატიონი“** – საუბარია თარკოს შამხალ აბუ-მუსლიმ-ხანზე, დაღესტნის 82-ე ქვეითი პოლკის მეთაურ თეოდორე თეოდორეს ძე რადეცკისა და გენერალ-მაიორ გრიგოლ ივანეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელზე.

გვ. 140,17. **„იბრაიმხანი რეშიდითა და მათის დედითურთ“** – საუბარია გარდაცვლილი ახმედხანის ცოლ ნოხ-ბიქესა და მის შვილებზე.

გვ. 140,19. **„ისაია და მირზა ხუდად ჩემის კაკალათი“** – საუბარია დაღესტნელ თარჯიმნებზე – ისაი (ისააკ) ივანეს ძე გრამოვზე, მირზა ხუდად ვექილოვსა და გრიგოლის ნაყმევ კაკალაზე.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №75 (515) (გვ. 140-142)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7516 (ძველი №173), გვ.: 130r-v, 131r-v.

ხელმოწერა: „შენი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ბატონო კნიაზო დემეტრე!“

ავტოგრაფის აღწერილობა: შუაზე გადაკეცილი, მოყვითალო ფერის, საშუალო სისქის ქაღალდი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,4X20,8 სმ; გადაკეცილისა: 20,8X13,2 სმ; შესრულებულია შავი მელნით სუფთად, 131v გვერდზე პატარა წითელი ლუქის ნარჩენია.

ადრესატის მისამართი: ამ დროს დიმიტრი ჯორჯაძე მსახურობ-

და თემირხანშურაში და წერილიც, სავარაუდოდ, იქ უნდა იყოს გაგზავნილი, ისევე როგორც ამ პერიოდის სხვა ბარათები. ამას ადასტურებს იქ მომსახურე სამხედრო თუ სხვა პიროვნებების მოკითხვა: „ბაგრატიონი სიყუარულით მომიკითხე; ეგრეთვე ვოლკოვი და ბარონი ალექსანდრე ასტაჭიჩი... კაკალა და ისაია მომიკითხე.“

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

დათარილება: წერილიდან ჩანს, რომ გრიგოლ ორბელიანი უკვე თბილისშია („თბილისში არარაჲ ღირსი მოწერისა“) დაბრუნებული, დიმიტრი ჯორჯაძე კი ისევ თემირხანშურაშია („ჩემი ცხენი მანდავე დაგრჩომია“). შესაბამისად, ბარათი 1858 წლამდე – გრიგოლის საქართველოში დაბრუნებამდე – ვერ იქნება დაწერილი, ტექსტში სომხეთის პატრიარქის არჩევნების ხსენება კი საშუალებას გვაძლევს, ბარათი უფრო ზუსტად დავათარილოთ. 1858 წლის 18 მაისს სომხეთის კათოლიკოსად აირჩიეს მატეოს ჩუხაჯიანი, რომელიც 1865 წლამდე იჯდა საპატრიარქო ტახტზე. რამდენადაც ტექსტში ნახსენებია 1-ლ მაისს დიმიტრისაგან გამოგზავნილი წერილის მიღება, სომეხთა პატრიარქის არჩევნები კი მომავალ დროშია ნახსენები („ამ თვის 18^ს იქნება ეჩმიაძინში აღმორჩევა პატრიარხისა“), ბარათი დაწერილი უნდა იყოს 1858 წლის 1-დან 18 მაისამდე, მაგრამ 2 მაისს გრიგოლს სხვა წერილი აქვს გაგზავნილი ჯორჯაძისათვის, საიდანაც ჩანს, რომ 1-ლი მაისის წერილი ჯერ მიღებული არა აქვს. შესაბამისად, **ბარათს ვათარილებთ ასე – 1858 წლის 3-დან 18 მაისამდე.**

გვ. 141,7-8. „**ვჰსთხოვე მთავარმართებელს შენი აქ დანიშვნა ვიცელუბერნატორად**“ – იგულისხმება კავკასიის მეფისნაცვალის ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკი და ჯორჯაძის საქართველოში გადმოყვანა.

გვ. 141,9. „**აღეთქუა ორლოვსკისათვს**“ – საუბარია ვლადიმერ კონსტანტინეს ძე ორლოვსკიზე, რომელიც მანამდე ერევნის გუბერნიის სასამართლო პალატის თავმჯდომარე იყო.

გვ. 141,12-13. „**ჩვენის მმართველობისა მხრით არის დანიშნული ავთანდილოვი და სომეხთაგან ამიროვი**“ – სავარაუდოდ, საუბარია მეფისნაცვლის კანცელარიის სამოქალაქო ნაწილის ვიცე-დირექტორ ზაქარია სტეფანეს ძე ავთანდილოვსა და სახელმწიფო პრიკაზის თანამშრომელ ივანე გრიგოლის ძე ამიროვზე.

გვ. 141,13-14. „**მოუვიდა ისაკ თუმანოვსა წერილი**“ – საუ-

ბარია კავკასიის კორპუსის მთავარი შტაბის საველე აუდიტორია-ტის წევრ ისაკ შიოს ძე თუმანიშვილზე.

გვ. 141,16-17. **„ერთს სტამბოლის პატრიარხთაგანსა აღ-მოარჩევენ ნერსესის ადგილსა“** – იგულისხმება სომხეთის გარდაცვლილი პატრიარქი ნერსეს V, რომელიც სათავეში ედგა სომხურ ეკლესიას 1842-1857 წლებში. ნერსესის შემდეგ პატრიარქად აირჩიეს მათეოს I (ჩუხაჯიანი), რომელიც 1865 წლამდე იჯდა კათოლიკოსის ტახტზე. ამ თანამდებობაზე არჩევამდე იგი მართლაც კონსტანტინეპოლში მსახურობდა.

გვ. 141,19. **„ნაზოროვი – ნალუბერნატორი“** – საუბარია ერევნის გუბერნიის ყოფილ გუბერნატორ (1849 წლიდან) ივანე ივანეს ძე ნაზაროვზე.

გვ. 141,20. **„კულუბაკინი მოვიდა გუშინ მინგრელიდამ“** – საუბარია 1857-1858 წლებში სამეგრელოს მმართველ ნიკოლოზ პეტრეს ძე კოლიუბაკინზე (Колюбякин /Колюбакин).

გვ. 141,22. **„მირზა ვექილოვისათვის ვჰსთხოვე მილუტინსა“** – საუბარია დაღესტნელ თარჯიმან მირზა-ხუდად ვექილოვსა და კავკასიის არმიის მთავარი შტაბის უფროსზე, გენერალ დიმიტრი ალექსის ძე მილიუტინზე.

გვ. 141,26. **„ბაგრატიონი სიყუარულით მომიკითხე“** – საუბარია გენერალ-მაიორ გრიგოლ ივანეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელზე.

გვ. 141,26-27. **„ვოლკოვი და ბარონი ალექსანდრე ასტაძიჩი“** – საუბარია დაღესტნის სასაზღვრო ხაზის მარჯვენა ფლანგის მეთაურ პეტრე აპოლონის ძე ვოლკოვსა და კასპიისპირა მხარის სამოქალაქო ნაწილის მმართველ ბარონ ალექსანდრე ევსტატეს ძე ვრანგელზე.

გვ. 141,28. **„აკოლნიჩი აქ არის“** – ნიკოლოზ ანდრიას ძე აკოლნიჩი წერდა დოკუმენტური ხასიათის ნაწარმოებებს. იმ დროისათვის დაწერილი ჰქონდა „ქუთაისის მხარის აღწერა“, მომდევნო წელს კი ქრონოლოგიურად აღწერა დაღესტნის მოვლენები.

გვ. 141,32. **„კაკალა და ისაია მომიკითხე“** – საუბარია გრიგოლის ნაყმევ კაკალასა და დაღესტნელ თარჯიმან ისაი (ისააკ) ივანეს ძე გრამოვზე.

გვ. 142,2-3. **„აპაჩინინი ბაბალეთი წავიდა ვლადიკავკაზს მოსამზადებლად პოლკის ჩაბარებისა“** – 1858 წელს ალექსი პე-

ტრეს ძე ოპოჩინინმა ჩაიბარა 77-ე ქვეითი პოლკი.

გვ. 142,5-6. „ამ დილით ბაშმაკოვი წავიდა ცოლშვილით ყირიმსა და ძალუა ვარინკა გაჰყვა გასაცილებლად“ – საუბარია კავალერიის პორუჩიკ არკადი დიმიტრის ძე ბაშმაკოვზე, რომელსაც ცოლად ჰყავდა გრიგოლის რძლის, ბარბარე ილიას ასული ბაგრატიონ-ორბელიანის, და – ელისაბედ ილიას ასული ბაგრატიონი.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №76 (516) (გვ. 142-143)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №589, გვ.: 110r-v, 111r-v.

თარიღი და ადგილი: „28^ა მაისს 1858 თბილისი.“

ხელმოწერა: „შენი ბედნიერების მოსურნე გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ბატონო, კნიაზო დემეტრე!“

ავტოგრაფის აღწერილობა: შუაზე გადაკეცილი, გაცრეცილი, მოთეთრო ფერის, საშუალო სისქის ქაღალდი; ზომები: გადაუკეცავისა: 27X21 სმ; გადაკეცილისა: 21X13,4 სმ; (I ფურცელი); 21X13,6 სმ (II ფურცელი); შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომლითაც დასვრილი და გაჟღენთილია ფურცლები.

ადრესატის მისამართი: ამ დროს დიმიტრი ჯორჯაძე მსახურობდა თემირხანშურაში და წერილიც, სავარაუდოდ, იქ უნდა იყოს გაგზავნილი, ისევე როგორც ამ პერიოდის სხვა ბარათები. ამას ადასტურებს იქ მცხოვრები პიროვნებების მოკითხვა: „ვოლკოვი მომიკითხე და შამხალიცა.“

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განწერელის რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ. 241.

გვ. 142,9-10. „აღისულთანი სრულიად მოულოდნელად შემოვიდა“ – საუბარია მეხთულის ყოფილი მმართველის, ახმედხანის, ძმაზე.

გვ. 142,10. „შენი წერილი და ბაგრატიონისა“ – საუბარია გენერალ-მაიორ გრიგოლ ივანეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელზე.

გვ. 142,12. „მთავარმართველმა ასე უბრძანა“ – იგულისხმება კავკასიის მეფისნაცვალ ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკი.

გვ. 142,14-15. „წაღი ბარონ ვრანგელთან“ – საუბარია კასპიისპირა მხარის სამოქალაქო ნაწილის მმართველზე, ბარონ ალექსანდრე ევსტათეს ძე ვრანგელზე.

გვ. 142,121-22. „სოფელი ველარ გამოერთმევა რეშიდხანსა“ – საუბარია ლეიბგვარდიის გროდნოს ჰუსართა პოლკის პორუჩიკ რეშიდ-ხანზე.

გვ. 142,22-23. „ახმედხანის ძმასა არა აქუსრა“ – იგულისხმება ალისულთანი.

გვ. 142,23-24. „ძმისწულებსკი მთლად სახანო“ – იგულისხმებიან იბრაჰიმ-ხანი და რეშიდ-ხანი.

გვ. 143,5-6. „გავისტუმრე ჩემი ძალუა ვარინკა თავის შვილით“ – საუბარია გრიგოლის რძალ ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანისაზე და მის ვაჟ გიორგი ილიას ძე ორბელიანზე.

გვ. 143,11. „ვოლკოვი მომიკითხე და შამხალიცა“ – საუბარია დაღესტნის სასაზღვრო ხაზის მარჯვენა ფლანგის მეთაურ პეტრე აპოლონის ძე ვოლკოვსა და თარკოს შამხალ აბუ-მუსლიმ-ხანზე.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №77 (517) (გვ. 143)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №590, გვ. 112r.

თარიღი და ადგილი: „2^ა ივნისს 1858. თბილისით.“

ხელმოწერა: „შენი ბედნიერების მოსურნე გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ბატონო, კნიაზო დემეტრე!“

ავტოგრაფის აღწერილობა: შუაზე გადაკეცილი, გაცრეცილი, გახუნებული, ბაცი ყავისფერი, დალაქავებული, საშუალო სისქის ქაღალდი; ზომები: გადაუკეცავისა: 27X20,5 სმ; გადაკეცილისა: 20,5X13,4 სმ; (I ფურცელი); 20,5X13,6 სმ; (II ფურცელი); შესრულებულია მუქი შავი მელნით.

ადრესატის მისამართი: ამ დროს დიმიტრი ჯორჯაძე მსახურობდა თემირხანშურაში და წერილიც, სავარაუდოდ, იქ უნდა იყოს გაგზავნილი, ისევე როგორც ამ პერიოდის სხვა ბარათები.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განწერელის რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ. 242.

გვ. 143,19. „შვილი სვიმონ პაიჭაძისა“ – ამ პიროვნების შესახებ ინფორმაცია არ მოგვეპოვება.

დმიტრი ჯორჯაძისადმი №78 (518) (გვ. 144)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №591, გვ.: 113r-v, 114r.

თარიღი და ადგილი: „15^ა ივნისს 1858 ტაბახმელა.“

ხელმოწერა: „შენი ბედნიერების მოსურნე გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ბატონო დემეტრე!“

ავტოგრაფის აღწერილობა: შუაზე გადაკეცილი, გაცრეცილი, გახუნებული, ბაცი ყავისფერი, დალაქავებული, საშუალო სისქის ქალალდი; ზომები: გადაუკეცავისა: 27X20,5 სმ; გადაკეცილისა: 20,5X13,4 სმ; (I ფურცელი); 20,5X13,6 სმ; (II ფურცელი); შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომლითაც დასვრილი და გაჟღენთილია ფურცლები.

ადრესატის მისამართი: ტექსტის შინაარსიდან ირკვევა, რომ წერილი გაგზავნილია **თემირხანშურაში**. გრიგოლი ადრესატს აცყობინებს ნიკო ქავჭავაძისა და რევაზ ერისთავის შურაში გამგზავრების შესახებ და სთხოვს მათდამი საკადრისი სტუმართმოყვარეობის გამოჩენას: „ნიკო მოდის შურას და მასთან ერთად რევაზ ერისთავი. – შენ იცი როგორც მიიღებ.“

შენიშვნები: 1. „არა მცალიან“ ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ. 242.

გვ. 144,2. „ნიკო მოდის შურას“ – სავარაუდოდ, საუბარია ლეიბ-გვარდიის კაზაკთა პოლკის პორუჩიკ ნიკოლოზ ზურაბის ძე ქავჭავაძეზე.

გვ. 144,2. „მასთან ერთად რევაზ ერისთავი“ – შესაძლოა, საუბარი იყოს პოლკოვნიკ რევაზ შალვას ძე ერისთავზე.

გვ. 144,4. „მომიკითხე ბაგრატიონი, აკოლნიჩი, ვოლკოვი, და რადეცკი“ – სავარაუდოდ, საუბარია გენერალ-მაიორ გრიგოლ ივანეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელზე, კასპიისპირა მხარის ჯარების შტაბსკაპიტან ნიკოლოზ ანდრიას ძე ოკოლნიჩიზე, დალესტნის

სასაზღვრო ხაზის მარჯვენა ფლანგის მეთაურ პეტრე აპოლონის ძე ვოლკოვსა და დალესტნის 82-ე ქვეითი პოლკის მეთაურ თეოდორე თეოდორეს ძე რადეცკიზე.

გვ. 144,5-6. „ჩემის რძლით ვარინკათი, მისის გიორგით და ჩემის დისწულით“ – საუბარია ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანისაზე, მის ვაჟ გიორგი ილიას ძე ორბელიანსა და გრიგოლის დისწულ ნინო მელიტონის ასულ ბარათაშვილზე.

გვ. 144,11. „მირზა ხუდად და კაკალა ისაითურთ მომიკითხე“ – საუბარია დალესტნელ თარჯიმნებზე – მირზა ხუდად ვექილოვზე, ისაი (ისააკ) ივანეს ძე გრამოვსა და გრიგოლის ნაყმევ კაკალაზე.

გვ. 144,16. „ტერლუქაზოვი მომიკითხე სიყუარულით“ – საუბარია აფშერონის ქვეითი პოლკის ბატალიონის მეთაურზე, პოდპოლკოვნიკ არზას არტემის ძე ტერლუგასოვზე.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №79 (519) (გვ. 144-149)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №592, გვ.: 115r-v, 116r-v, 117r-v.

თარიღი და ადგილი: „28^ა ივნისს 1858.“ / „30^ა ივნისს 1858. ტაბახმელით.“

ხელმოწერა: „შენი ბედნიერების მოსურნე გრიგოლ ორბელიანი“
ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ბატონო, კნიაზო დემეტრე!“

ავტოგრაფის აღწერილობა: ერთი შუაზე გადაკეცილი და ერთი გადაუკეცავი, გაცრეცილი, გახუნებული, ცისფერი, დალაქავებული, საშუალო სისქის ქალაღი; ზომები: გადაუკეცავისა: 41,4X26,7 სმ; გადაკეცილისა: 26,7X20,7 სმ (115r-v, 116r-v); III ფურცელი: 26,6X20,7 სმ (117r-v); შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომლითაც დასვრილი და გაჟღენთილია ფურცლები; ადგილ-ადგილ არის მელნის დიდი ნალვენთები, რაც ნაწერს ფარავს; ხელნაწერის ნაწილი მელნითაა დამწვარი; ავტოგრაფი რესტავირებულია; პირველ (115r) გვერდზე პირველი ორი აბზაცი მარცხენა არმიის მხრიდან ფანქრით არის მონიშნული.

ადრესატის მისამართი: 15 ივნისს იმავე ადრესატისადმი გაგზავნილ წერილში გრიგოლი მას ატყობინებდა ნიკო ჭავჭავაძისა და

რევაზ ერისთავის შურაში გამგზავრების შესახებ და სთხოვდა მათდამი საკადრისი სტუმართმოყვარეობის გამოჩენას: „ნიკო მოდის შურას და მასთან ერთად რევაზ ერისთავი. – შენ იცი როგორც მიიღებ.“ წინამდებარე ბარათში კი სწერს: „ვიდრე ეს წერილი მოგივა, რევაზ ერისთავი და ნიკო ჭავჭავაძე მანდ იქმნებიან. მომწერე მაგათი ამბავი და სამსახური“, რაც გვიდასტურებს, რომ წერილი გაგზავნილია **თემირხანშურაში**.

შენიშვნები: 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. „ა“ ხმოვანზე მახვილის ნიშანია გაკეთებული; 3. ღმერთმა; 4-6. ეს სიტყვები აღდგენილი და გადაწერილია ზემოთ მხარეს ავტორის მიერვე, როგორც ჩანს, დაწერილზე მელანი დაეღვენთა და დამალული ადგილები აღადგინა; 7. ღმერთმან; 8. აქედან მოყოლებული, სიტყვების – „აღმოჩნდეს ვაკანცია“ – ჩათვლით, ტექსტი მარცხენა არშიაზე ფანქრით არის მონიშნული; 9. ღმერთო; 10. აქედან მოყოლებული, სიტყვების – „შესყიდვისაცა და გასყიდვისაცა“ – ჩათვლით, ტექსტი ფანქრით არის გადახაზული; 11. ეს სიტყვა დიდი ასოებით წერია; 12. ფურცელი მოხეულია და კვადრატულ ფრჩხილებში მოთავსებული ადგილი არ იკითხება; 13. ღვთის; 14. ეს პატარა აბზაცი შავი ფანქრით არის გადახაზული; 15. ეს პატარა აბზაციც ასევე შავი ფანქრით არის გადახაზული; 16. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; ამასთან, ამის შემდეგ ტექსტი შავი ფანქრით არის გადახაზული; 17. ღმერთი.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 243-246.

გვ. 144,23-145,1. „**კრუზენშტერნმა შემატყობინა**“ – საუბარია ამიერკავკასიის სამოქალაქო სამმართველოს უფროს ალექსი თევდორეს ძე კრუზენშტერნზე.

გვ. 145,1. „**მირზა ხუდადს ვეჭილოვსა**“ – საუბარია დაღესტნელ თარჯიმანზე.

გვ. 146,9. „**მთავარმართველის ძმა მოსულა ბორჯომს**“ – საუბარია მეფისნაცვლის ძმაზე – იმპერატორის ფლიგელადიუტანტზე, პოლკოვნიკ ვლადიმერ ივანეს ძე ბარიატინსკიზე.

გვ. 146,11. „**ააშენებს სხუას ახალს თავის ცოლისათჳს**“ – ვლადიმერ ივანეს ძე ბარიატინსკის ცოლი იყო სამხედრო მინისტრის ქალიშვილი ელისაბედ ალექსანდრეს ასული ჩერნიშოვა.

გვ. 146,14-15. „**ჰკითხე აკოლნიჩის, წარვადგინეთ თუარა**

მაიორი შტანღე? – სავარაუდოდ, საუბარია კასპიისპირა მხარის ჯარების შტაბსკაპიტან ნიკოლოზ ანდრიას ძე ოკოლნიჩისა და შირვანის ქვეითი პოლკის ბატალიონის მეთაურ ედუარდ კარლოს ძე შტანღეზე.

გვ. 146,16. **„მილუტინი იყო აქამდის შავს ზღუაზედ“** – იგულისხმება კავკასიის არმიის შტაბის უფროსი – გრაფი დიმიტრი ალექსის ძე მილიუტინი.

გვ. 146,17-18. **„რადეცკისათვს ამ დღეებში მოვილაპარაკებ“** – იგულისხმება დალესტინის 82-ე ქვეითი პოლკის მეთაური თეოდორე თეოდორეს ძე რადეცკი.

გვ. 146,18. **„ვნახოთ. – ლოპპესათვსაც“** – სავარაუდოდ, საუბარია კასპიისპირა მხარის ჯარების შტაბის მაიორ თეოდორ ივანეს ძე ლოპპეზე.

გვ. 146,20. **„ეგ უნამუსო მანუკინი“** – საუბარია 21-ე ქვეითი დივიზიის ბრიგადის მეთაურ ზაქარია სტეფანეს ძე მანიუკინზე.

გვ. 146,21. **„მომიკითხე პეტრე აპპოლონოვიჩი“** – საუბარია დალესტინის სასაზღვრო ხაზის მარჯვენა ფლანგის მეთაურ პეტრე აპოლონის ძე ვოლკოვზე.

გვ. 146,27-28. **„ველიკიე კნიაზები მოსასვლელნი არიან“** – საუბარია იმპერატორ ალექსანდრე II-ის ძმებზე – ნიკოლოზსა და მიხეილზე.

გვ. 146,32. **„ბარონ ვრანგელისა და მილუტინისაშორის მიმონ-ერაში“** – იგულისხმება კასპიისპირა მხარის სამოქალაქო ნაწილის მმართველი – ბარონი ალექსანდრე ვესტათეს ძე ვრანგელი.

გვ. 146,33-34. **„უთქვამს ჩემთვის რაჲმე მთავარმართველსა“** – იგულისხმება კავკასიის მეფისნაცვალ ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკი.

გვ. 147,4. **„ნაზრანელების აშლა მოხდა ჩვენგან“** – საუბარია 1858 წლის ინგუშთა ამბოხზე რუსეთის ძალმომრეობის წინააღმდეგ. მის სათავეში იდგა ადრე შამილის წინააღმდეგ მებრძოლი მოლა – ჩოლდარ არჩაკოვი.

გვ. 147,15. **„ბაქიხანოვის საქმეზედ ხუდადის მამულის შესყიდვისათვს“** – სავარაუდოდ, იგულისხმება რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი ჯაფარყული ალა ბაკიხანოვი და თარჯიმანი – მირზა უსუფა ხუდად ვექილოვი.

გვ. 147,18. **„კალასოვსკის საქმე გამოცვლისა“** – სავარაუდოდ, საუბარია გენერალ-მაიორ ივანე გრიგოლის ძე კო-

ლოსოვსკიზე.

გვ. 147,23-24. „ნაზიმკისათვის დიას კარგი, დიას შესაფერი ადგილი მიუცია ბარონსა“ – საუბარია კასპისპირა მხარის სამოქალაქო ნაწილის მმართველზე, ბარონ ალექსანდრე ვესტათეს ძე ვრანგელზე. 1870-იანი წლების დასაწყისის ისტორიულ წყაროებში იხსენიება გენერალ-მაიორი ნაზიმკა, მაგრამ სახელი მითითებული არ არის.

გვ. 147,25-26. „დიმიტრის თამაზისშვილთან ორბელ:“ – საუბარია გრიგოლის ნათესავზე, გენერალ-ლეიტენანტ დიმიტრი თამაზის ძე ორბელიანზე.

გვ. 147,29-30. „გიორგი ხშირად გიგონებს და უკვირს, რომ ჩვენთან ჩაიზე აღარ [მო]დიხარ“ – საუბარია გრიგოლის ძმისწულ გიორგი ილიას ძე ორბელიანზე, რომელმაც რამდენიმე თვე დაჰყო თემირხანშურასა და პეტროვსკში დიმიტრი ჯორჯაძესთან.

გვ. 147,31. „ჩვენი სტუმარი იქნება დღეს მამუკას ქალი“ – სავარაუდოდ, საუბარია გრიგოლის ნათესავის, გენერალ-მაიორ მამუკა (მაკარ) თამაზის ძე ორბელიანის, ქალიშვილზე, 1842 წელს დაბადებულ ბარბარე (ბაბო) ორბელიანზე, რომელიც მომდევნო წელს გათხოვდა იოსებ დავითის ძე თარხან-მოურავზე.

გვ. 147,34-148,1. „რევაზ ერისთავი და ნიკო ჭავჭავაძე მანდ იქმნებიან“ – სავარაუდოდ, საუბარია პოლკოვნიკ რევაზ შალვას ძე ერისთავსა და კაზაკთა პოლკის პორუჩიკ ნიკოლოზ ზურაბის ძე ჭავჭავაძეზე.

გვ. 148,4. „ძალუა ვარინკა, ლთის მონყალებით, კარგად არის“ – საუბარია გრიგოლის რძალზე – ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანისაზე.

გვ. 148,6-7. „მთავარმართებლის სანახავად“ – საუბარია კავკასიის მეფისნაცვალ ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკიზე.

გვ. 148,7-8. „კაპლერის ცოლი და ლიზა დავიდოვისა“ – სავარაუდოდ, საუბარია შავიზღვისპირეთისა და კავკასიის ხაზის მეთაურის, ალექსანდრე ქრისტტიანეს ძე კაპლერის, ცოლზე – ანტონინა ნიკოლოზის ასულ მედემ-კაპლერისაზე და კავკასიის მეფისნაცვლის ადიუტანტზე, პოლკოვნიკ როსტისლავ დიმიტრის ძე დავიდოვის ქალიშვილ ელისაბედ დავიდოვ-კოსიჩისაზე.

გვ. 148,9. „ნიკო ბუყიასშვილი ჭავჭავაძე“ – საუბარია თბილისის სასამართლო პალატის სამოქალაქო დეპარტამენტის თავმჯდომარე ნიკოლოზ დიმიტრის ძე ჭავჭავაძეზე.

გვ. 148,10-11. **„ბეჟანბეგოვსა აღუთქვეს ერევანში ლუბერსკის სუდიობა“** – სავარაუდოდ, საუბარია წარმოშობით თბილისელ პეტრე პავლეს ძე ბეჟანბეკზე.

გვ. 148,16-17. **„ნიკოლაი აღაპიჩმა გამოაჩინა ამ შემთხვევაში დიდად საქმის ცოდნა“** – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილის, ეკატერინე იაკობის ასული ორბელიანის, ქმარზე – ნიკოლოზ აღაპოს ძე ივანოვზე.

გვ. 148,18-19. **„მილუტინმა მიაშპო, რომ შარვაშიძემაც დაანყო სასამართლო“** – იგულისხმება კავკასიის არმიის შტაბის უფროსი – გრაფი დიმიტრი ალექსის ძე მილიუტინი და, შესაძლოა, აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი – მიხეილ შერვაშიძე, რომლის სამთავროსაც ასევე ემუქრებოდა გაუქმება.

გვ. 148,23. **„კაკალა მომიკითხე და მირზახუდად ისაი[ი] თურთ“** – საუბარია გრიგოლის ნაყმევ კაკალასა და დაღესტნელ თარჯიმნებზე – მირზა ხუდად ვექილოვსა და ისაი (ისააკ) ივანეს ძე გრამოვზე.

გვ. 148,27. **„ვრევსკიმ აინია მთისაკენ ჯვართა“** – საუბარია ლეკეთის სასაზღვრო ხაზის სარდალზე, გენერალ იპოლიტ ალექსანდრეს ძე ვრევსკიზე.

გვ. 148,27-28. **„იდგა ნინიკას ციხესთან“** – გაურკვეველია, რატომ უკავშირებს გრიგოლი ამ ციხეს თავისი მსახური ბიჭის, ნინიკა ბაქრაძის, სახელს.

გვ. 148,29. **„დავით ჭავჭავაძე არის თელავში ცოლშვილით“** – საუბარია გრიგოლის ნათესავ დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძესა და მის მეუღლე ანა ილიას ასულ ბაგრატიონ-ჭავჭავაძისაზე. მათ იმ დროისათვის ექვსი შვილი ჰყავდათ: სალომე, მარიამ (კაკო), ელენე, თამარ, ალექსანდრე და ანასტასია.

გვ. 149,2-3. **„ქოლკენლაღენს მოუტანია ბევრი მეტად კარგნი პლანები სახლებისათვის სასოფლოდ ასაშენებლად“** – საუბარი უნდა იყოს რუს სამხედრო ინჟინერ ადოლფ დანიელის ძე ფოლკენგაგენზე, რომლის მეჯვარეც იყო გრიგოლ ორბელიანი.

ივანე ჯამბაკურ-ორბელიანისადმი №1 (520) (გვ. 149)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7516 (ძველი №173), გვ.: 44r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო, საშუალო სისქის, დაზიანებული ქაღალდი; ზომა: 20,4X13,7 სმ; შესრულებულია შავი მელნით; ერთ ადგილას ფურცელი ამომწვარია; ზედა მარცხენა კუთხეში, დიდ ადგილას, ასხია მუქი შავი მელანი.

ადრესატის მისამართი: ტექსტის შინაარსიდან ირკვევა, რომ ადრესატი იმყოფებოდა **პეტერბურგში**. გრიგოლი მას სწერს: „რა მშვენიერი დარებია; რამდენს გიგონებთ მანდაურს ნირპლიანს ღრუბელში მყოფსა!.. კაცმა აქ უნდა იცხოვროს, პეტრებულში კი ემსახუროს, ისიც მოკლეს ხანს.“

შენიშვნები: 1. სიტყვა ჩამატებულია ზემოდან ავტორის მიერ;

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

დათარილება: წერილში აღწერილი გარემო მოგვაგონებს გრიგოლის მიერ ბორჯომში გატარებული დღეების აღწერას 1858 წლის 10-26 ივლისით დათარილებულ წერილში (შდრ. „რა მშვენიერი დარებია; ... აქ ქვეყანა სულ გარეთ არის; დადიან, დარბიან, მიაჭენებენ; შინ მიდიან მხოლოდ დასაძინებლად. ნათელი, მყუდრო, წმინდა ჰაერი...“ / „დილით მეექუსე საათზე პუბლიკა გროვდება წყალთან; დადიან, ჰსმენ, ბანაობენ, კურკურობენ; რვას საათზე ჩაი ან მთავარმართებელთან და ანუ ვისთან ვისთან უნდა; პირველს საათზე სადილი იქ, სადაც მოეწონებათ; ხუთს საათზე სეირნობა ცხენებით, ეკიპაჟებით; გარეშემო ბორჯომისა მრავალი ადგილია მშვენიერი სანახავი, ეკლესიები, ციხეები, სასახლეები, და ამ სეირნობის დროსა ამათ სანახავად მიდიან ათს ანუ თხუთმეტს ვერსტზე. – რვას საათზე გაიშლება სადმე ვახშამი ლაზათიანად შემდეგ მცირეხანს იარალაში და ბოლოს მეთეს საათზე ძილი. – მშვენიერი ჰაერი, წყალი.“

1858 წლის 30 ივნისის ბარათში გრიგოლ ორბელიანი წერს: „ამ დღეებში მომიხდება წასვლა ბორჯომსა მთავარმართებლის სანახავად“, ჩვენ მიერ 10-დან 26 ივლისამდე ინტერვალით დათარილებულ ბარათში კი, რომელიც ტაბახმელიდან არის გაგზავნილი, ვკითხულობთ: „ამისწინად ვიყავ ბორჯომსა, სადაცა დავჰყავ ოთხი დღე.“ 19 ივლისის წერილიც ტაბახმელიდან არის გაგზავნილი, შესაბამისად, ვანოსადმი გაგზავნილი წინამდებარე ბარათი, რომელიც, ჩვენი აზრით, ბორჯომშია დაწერილი, 1858 წლის ივლისის დასაწყისს უნდა მივაკუთვნოთ.

წერილის ადრესატია ივანე კონსტანტინეს ძე ორბელიანი. გრიგოლ ორბელიანის წერილებში ახლობელ ვანოთაგან ყველაზე

ხშირად ნახსენებია ივანე დავითის ძე ორბელიანი – მანანა ერისთავ-ორბელიანის ვაჟი, მაგრამ წინამდებარე წერილის ადრესატი უნდა იყოს სხვა ვანო – გრიგოლის ბიძაშვილიშვილი ივანე კონსტანტინეს ძე ორბელიანი („ვანკა პაჟარნი“), რადგან იგი ხშირად დადიოდა რუსეთში. წერილის სიტყვები: „მანდაურს წირპლიანს ღრუბელში მყოფსა“ და ფრაზა: „კაცმა აქ უნდა იცხოვროს, პეტრებულში კი ემსახუროს, ისიც მოკლეს ხანს“ – ირიბად მიგვანიშნებს, რომ ვანოს რუსეთთან მჭიდრო კავშირი ჰქონდა და, შესაძლოა, იქ ცხოვრებაზეც ფიქრობდა. როგორც 1859 წლის 6 იანვარს დიმიტრი ჯორჯაძისადმი მიწერილი ბარათიდან ვიგებთ, იგი იმ დროსაც ახალი წასული იყო რუსეთში. 1870 წლის 3 ივლისის წერილიდან ირკვევა, რომ ვანო იმ დროსაც რუსეთში იყო და საქართველოში დროებით აპირებდა ჩამოსვლას („მოველით აქა ველიკის კნიაზს კონსტანტინეს, რომელსაცა მოჰსდევს ჩუჰნი პაჟარნი ვანო, დიდად თურმე, დარბაისლურად დამძიმებული“). როგორც ჩანს, მან არ გაითვალისწინა გრიგოლის რჩევა, სიკვდილამდე რუსეთში ცხოვრობდა და იქვე აღესრულა 1892 წელს. დაკრძალულია მოსკოვში ნოვოდევიჩის სასაფლაოზე.

გვ. 149,6-7. „მანდაურს წირპლიანს ღრუბელში მყოფსა“ – როგორც ჩანს, ვანო იმ დროსაც პეტერბურგში იყო.

ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №22 (521) (გვ. 149-151)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ. 111r-v, 112r.

თარიღი და ადგილი: „19 Июля 1858. Селен: Табахмели“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „К: Барятинскому.“ / „Вашему С^{вы}“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაყვითლებული, სამუალო სისქის ქაღალდი; ზომა: 34,3X21,5 სმ; შესრულებულია შავი მელნით სუფთად, მხოლოდ ერთ ადგილას არის გადახაზული და ერთ ადგილას – ჩამატებული.

ადრესატის მისამართი: ამ დროს ალექსანდრე ბარიატინსკი მეფისნაცვლის თანამდებობაზე მუშაობდა და ცხოვრობდა **თბილისში**. შესაბამისად, წერილი იქ უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1-2. თარიღი, ადგილი და ადრესატი ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ. 149,19. „**безнадёжной болезни Агалар Бека**“ – საუბარია ყაზიყუმუხის სახანოს უკანასკნელი მმართველის, ალაღარ ბეგის, ავადმყოფობაზე.

გვ. 150,3. „**от Аслан Хана**“ – ასლან-ხან ქურელი 1781-1836 წლებში მართავდა ყაზიყუმუხის სახანოს.

გვ. 150,15. „**мололетняго сына Агалара**“ – საუბარია ალაღარის შვილ ჯაფარ-ხანზე.

გვ. 151,1-2. „**выглядывает человеком Джibraиль Бек**“ – საუბარია ქურის მმართველის, იუსუფ-ხანის, ძმაზე.

გვ. 151,6-7. „**Генерал-Маiор Юсуп Бек, управляющий Кюрынским Ханством**“ – საუბარია იუსუფ-ხან ქურელზე.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №80 (522) (გვ. 153-156)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7516 (ძველი №173), გვ.: 34r-v, 35r-v.

ხელმოწერა: „შენი ბედნიერების მოსურნე გრიგოლ ორბელიანი“
ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ბატონო, კნიაზო დემეტრე!“

ავტოგრაფის აღწერილობა: ლურჯი ფერის, საშუალო სისქის, მელნით დასვრილი, გაცვეთილი, დაზიანებული, ალაგ-ალაგ გახეული 2 ფურცელი, ზომა: 26,5X20,2 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომლითაც ალაგ-ალაგ გაჟღენთილია ფურცლები; ხელნაწერი რესტავირებულია.

ადრესატის მისამართი: ამ დროს დიმიტრი ჯორჯაძე მსახურობდა **თემირხანშურაში** და წერილიც, სავარაუდოდ, იქ უნდა იყოს გაგზავნილი, ისევე როგორც ამ პერიოდის სხვა ბარათები. მართალია, დიმიტრის უმოგზაურია ახტისკენ – „შენი წერილი 10^ლ ივლისისა მივიღე და დიდის სიამოვნებით წავიკითხე აღწერა თქვენის მგზავრობისა შურიდამ ახტისაკენ ანისადაღზე გადავლითა“ – მაგრამ, როგორც ჩანს, მალე დაბრუნებულა თემირხანშურაში, რადგან გრიგოლი მოიკითხავს იქ მომსახურე და მცხოვრებ ადამიანებს: „აკოლნიჩი და გერშელმანი – შურის განმამშვენებლის ცოლითა მომიკითხე სიყუარულით.“

შენიშვნები: 1. სიტყვები ხაზგასმულია ავტორის მიერ. 2.

კვადრატულ ფრჩხილებში მოთავსებული ადგილი მელნიტაა დასვრილი და ასო არ იკითხება; 3. კვადრატულ ფრჩხილებში მოთავსებული ადგილი გახეულია და ასო არ იკითხება; 4. კვადრატულ ფრჩხილებში მოთავსებული ადგილი გახეულია და „რ“-სა და „ზ“-ს ზედა ნაწილები არ იკითხება; 5-6-7. სიტყვები ხაზგასმულია ავტორის მიერ; 8. „ირაკლი ღრუზინსკი“ ხაზგასმულია ავტორის მიერ; 9. სიტყვები – „და მეფის ჩამომავლობისა“ – ჩამატებულია ავტორის მიერ; 10. კვადრატულ ფრჩხილებში მოთავსებული ადგილი გახეულია და ასოები კარგად არ იკითხება; 11. რადგან ქალებზეა საუბარი, ამიტომ უნერია ავტორს „მეფანი“; 12. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 13. ხელნაწერშია „ქეთეშა“; 14. ღვთის; 15. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 16. ეს კუთხის ადგილი მოხეულია და ორი სიტყვა არ იკითხება.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

დათარილება: 1858 წლის 31 ივლისს ბაბალე საგინაშვილისათვის გაგზავნილ წერილში ზუსტად ის ამბებია აღწერილი, რაც წინამდებარე უთარილო ბარათში. შესაბამისად, ისიც 1858 წელს უნდა იყოს დაწერილი. რამდენადაც უთარილო ტექსტში ნახსენებია 10 ივლისს დიმიტრის მიერ გაგზავნილი წერილის მიღება, ბარათი დაწერილი უნდა იყოს 10 ივლისის შემდეგ. უთარილო წერილში ყაზიყუმუხის ხან ალაღარზე ნათქვამია: „ალაღარის აგრე უიმედოდ ავათმყოფობა ძალიან მენყინა.“ 26 ივლისს ასევე დიმიტრისათვის გაგზავნილ ბარათში კი ვკითხულობთ: „თუმცა იმედი აღარა მქონდა ალაღარის სიცოცხლეზედ, მაგრამ მაინცკი დიდად შემანუხა¹ მაგისმა სიკუდილმა.“ შესაბამისად, **უთარილო ბარათი 1858 წლის 10-დან 26 ივლისამდე უნდა იყოს დაწერილი.**

გვ. 153,8-9. „ტერლუქაზოვს ჩემმაგიერ მიულოცე პოლკოვნიკობა“ – საუბარია აფშერონის ქვეითი პოლკის ბატალიონის მეთაურ არზას არტემის ძე ტერლუგასოვზე.

გვ. 153,9. „ბარონს ურჩიე“ – საუბარია კასპიისპირა მხარის სამოქალაქო ნაწილის მმართველზე, ბარონ ალექსანდრე ევსტათეს ძე ვრანგელზე.

გვ. 153,10. „ველიკიე კნიაზია წამოიყვანოს“ – საუბარია იმპერატორ ალექსანდრე II-ის ძმებზე – ნიკოლოზსა და მიხეილზე.

გვ. 153,16-17. „შურიდამ ახტისაკენ ანისადალზე გადავლითა“ – საუბარია დალესტნის ციხესიმაგრეებსა და მთაზე.

გვ. 153,19. „იბრაიმ-ხანი აგრე კარგად იქცევა“ – საუბარია

მეხთულელ ფლიგელ-ადიუტანტზე, კაზაკთა პოლკის როტმისტრ იბრაჰიმ ხანზე.

გვ. 153,22. „**ლაზარევის მოგებება აჰყოშელებითა**“ – საუბარია მეხთულის სახანოს მმართველ ივანე დავითის ძე ლაზარევსა და დაღესტნის სოფელ აჰყოშის მცხოვრებლებზე.

გვ. 154,6. „**რადეცკი რომ გამოდის პოლკში**“ – იგულისხმება დაღესტნის 82-ე ქვეითი პოლკის მეთაური თეოდორე თეოდორეს ძე რადეცკი.

გვ. 154,7. „**ალალარის აგრე უიმედოდ ავათმყოფობა ძალიან მენყინა**“ – საუბარია ყაზიყუმუხის სახანოს უკანასკნელი მმართველის, ალალარ-ბეგის, ავადმყოფობაზე.

გვ. 154,8-9. „**შვილი ყმანვილია და ამასთანა ჭანკაცა**“ – საუბარია ალალარის შვილ ჯაფარ-ხანზე, რომლის დედაც დაბალი სოციალური წრიდან იყო.

გვ. 154,9. „**ჯიბრაილბეგი, მგონია, ვერ იყოს**“ – საუბარია ქურის მმართველის, იუსუფ-ხანის, ძმაზე.

გვ. 154,11-12. „**ჰუსუფბეგის შვილი სელიმბეგ**“ – საუბარია ქურის სახანოს მმართველ იუსუფ-ბეგსა და მის ვაჟზე.

გვ. 154,16-17. „**მომაგონდა ჩვენი ირაკლი ღრუზინსკი, რომელიცა შევიდა კიდევ სამსახურში პოდპოლკოვნიკად**“ – საუბარია ირაკლი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-გრუზინსკიზე, რომელიც 1845 წლიდან იბრძოდა მთიელთა წინააღმდეგ, 1855 წელს ირიცხებოდა გრენადერთა ქართულ პოლკში და იმავე წელს გავიდა პენსიაზე, 1858 წელს კი კვლავ დაუბრუნდა სამხედრო მოღვაწეობას და გააგრძელა ბრძოლა მთიელთა წინააღმდეგ, მაგრამ ჯანმრთელობის გაუარესების გამო მალე ისევ გავიდა პენსიაზე.

გვ. 154,22-23. „**ტერლუქაზოვი უფრო უკეთესი იქნებოდა**“ – საუბარია აფშერონის ქვეითი პოლკის ბატალიონის მეთაურ არზას არტემის ძე ტერლუგასოვზე.

გვ. 154,31. „**მეტადრე სვიმონ შალიკოვსა**“ – საუბარია გრენადერთა პოლკის ხაზინადარ სვიმონ შალიკაშვილზე.

გვ. 155,5-6. „**მთავარმართებლის ამალას გარდა**“ – იგულისხმება კავკასიის მეფისნაცვალ ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკის უახლოესი გარემოცვა.

გვ. 155,6. „**კაპლერი თავის ცოლითა და დავიდოვი ცოლითა**“ – სავარაუდოდ, საუბარია შავიზღვისპირეთისა და კავკასიის ხაზის მეთაურ ალექსანდრე ქრისტინანეს ძე კაპლერზე, კავკასიის

მეფისნაცვლის ადიუტანტზე, პოლკოვნიკ როსტისლავ დიმიტრის ძე დავიდოვსა და მათ ცოლებზე – ანტონინა ნიკოლოზის ასულ მედემ-კაპლერისაზე და პრასკოვია ივანეს ასულ დავიდოვისაზე.

გვ. 155,7-8. „**ქილოსოფოსის ერისთავის სახლობა**“ – სავარაუდოდ, საუბარია გიორგი რევაზის ძე ერისთავის (რუსულ წყაროებში გრიგოლ რომანის ძედ იხსენიება) ოჯახზე. მას ცოლად ჰყავდა ანა ივანეს ასული არლუთინსკაია.

გვ. 155,8. „**თამარ ივანე აბაშიძის ცოლი**“ – სავარაუდოდ, საუბარია პორუჩიკ ივანე გიორგის ძე აბაშიძესა და მის მეუღლე თამარ გიორგის ასულ ამილახვარზე.

გვ. 155,10. „**კატო თავის შვილებით ორსულად**“ – სავარაუდოდ, საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ეკატერინე იაკობის ასულ ორბელიან-ივანოვისაზე.

გვ. 155,12. „**კონსტ: თარხანოვი ავათმყოფი**“ – უნდა იგულისხმებოდეს შემახიის რაიონის გუბერნატორი კონსტანტინე დავითის ძე თარხნიშვილი.

გვ. 155,12. „**კონსტ: დადიანი**“ – შესაძლოა, იგულისხმებოდეს რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი კონსტანტინე ლევანის ძე დადიანი, რომელიც 1858 წლიდან იყო იმპერატორის ფლიგელ-ადიუტანტი.

გვ. 155,12-13. „**ისაკ თუმანოვი**“ – საუბარია კავკასიის კორპუსის მთავარი შტაბის საველე აუდიტორიატის წევრ ისაკ შიოს ძე თუმანიშვილზე.

გვ. 155,13. „**მარშალი ალექს: ორბელ:**“ – სავარაუდოდ, იგულისხმება თბილისის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლი ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანი.

გვ. 155,14. „**ორნი არქიერნი ჩვენნი**“ – სავარაუდოდ, იგულისხმება არქიმანდრიტები: გაბრიელ ქიქოძე და ალექსანდრე ოქროპირიძე.

გვ. 155,15. „**მორსკოი მინისტრი**“ – 1857-1860 წლებში რუსეთის საზღვაო მინისტრი იყო ნიკოლოზ თევდორეს ძე მეტლინი.

გვ. 155,16-17. „**იყო მთავარმართებლის ძმაცა**“ – საუბარია მეფისნაცვლის ძმაზე – იმპერატორის ფლიგელადიუტანტზე, პოლკოვნიკ ვლადიმერ ივანეს ძე ბარიატინსკიზე.

გვ. 155,18-19. „**სახელი ელისაბედიანი, ცოლის სახელი**“ – ვლადიმერ ივანეს ძე ბარიატინსკის ცოლი იყო სამხედრო მინისტრის ქალიშვილი – ელისაბედ ალექსანდრეს ასული ჩერნიშოვა.

გვ. 155,22-23. „ზაქარია ციციშვილმა გუმინ წინ დაინერა ჯვარი სოლომონ სუმბათოვის ქალზედ“ – საუბარია ზაქარია დავითის ძე ციციშვილსა და ეკატერინე სოლომონის ასულ სუმბათაშვილზე.

გვ. 155,24. „ბებუთოვის ქალი, კნინა გურიელისა“ – საუბარია ლევან დავითის ძე გურიელის მეუღლეზე – სოფიო ვასილის ასულ ბებუთაშვილზე.

გვ. 155,25. „სპივანეცკის ქალი გათხოვდა“ – სავარაუდოდ, საუბარია ნინა სავლეს ასულ სპივანეცკაიაზე, რომელიც ცოლად გაჰყვა ივან ლუბიმის ძე ფონ ვინმანს – ბაქოს პოლიციის უფროსს.

გვ. 155,27. „დავით და ანნეტა მათის შვილებით ჰსცხოვრებენ თელავს“ – საუბარია დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძესა და მის მეუღლეზე – ანა (ანნეტა) ილიას ასულ ბაგრატიონ-ჭავჭავაძისაზე.

გვ. 155,28. „ქეთუშა სუმბათოვისაც ორსულია“ – საუბარია მიხეილ ლუარსაბის ძე სუმბათაშვილის მეუღლეზე – ქეთევან გრიგოლის ასულ გრუზინსკაიაზე, რომელიც ამ დროს ფეხმძიმედ იყო მებუთე შვილზე – ანაზე.

გვ. 155,30. „ივანეს ცოლს სოფოს შეეყარა ყვავილი“ – საუბარია გრიგოლის ნათესავის, ივანე დავითის ძე ორბელიანის, ცოლზე – სოფიო შალვას ასულ ერისთავზე, რომელიც მოგვიანებით გამოჯანმრთელდა.

გვ. 155,32. „ვრევსკი ავიდა ანწუხში“ – ამ ექსპედიციის დროს ვრევსკიმ გადაწვა სოფლები: ანწუხი, კაპუჩი, ანკრალი, ბოგნადი და დიდო.

გვ. 155,33. „დარჩა ყარამან არლუთი“ – საუბარია კოლეგიის ასესორ ყარამან დავითის ძე არლუთაშვილზე.

გვ. 156,1. „ევდაკიმოვი ასულა ჯარით შუბუტს.“ – საუბარია ჩეჩნეთის სოფელზე, რომელიც, ფაქტობრივად, უომრად ჩაბარდა ევდოკიმოვს 1858 წლის ივლისის დასაწყისში.

გვ. 156,3. „ნინო, თამარ, ანდრეი სტეფანიჩი კარგად არიან“ – საუბარია გრიგოლის ბიძის, იაკობ ორბელიანის, მეუღლე ნინო მაყაშვილ-ორბელიანისაზე, მის ქალიშვილ თამარსა და სიძეზე – ანდრია სტეფანეს ძე სანკოვსკიზე.

გვ. 156,3-4. „ძალუა ვარინკა, ნინუცა, გიორგი“ – იგულისხმება გრიგოლის რძალი ბარბარე ილიას ასული ბაგრატიონი-ორბელიანისა, დისწული ნინო მელიტონის ასული ბარათაშვილი და

ძმისწული გიორგი ილიას ძე ორბელიანი.

გვ. 156,7. „აკოლნიჩი და გერშელმანი – შურის განმაშვენებელის ცოლითა“ – სავარაუდოდ, საუბარია კასპიისპირა მხარის ჯარების შტაბსკაპიტან ნიკოლოზ ანდრიას ძე ოკოლნიჩიზე, ინჟინერ ვიქტორ ივანეს ძე გერშელმანსა და მის მეუღლეზე – ევგენია ნიკოლოზის ასულ არლუთინსკი-დოლგოროუკოვ-გერშელმანისაზე.

გვ. 156,9-10. „ღენერალ-ლუბერნატორი ერისთავი იყო ოტრიადით სვანეთში“ – საუბარია 1856-1860 წლებში ქუთაისის სამხედრო გუბერნატორ გრიგოლ რომანის ძე ერისთავზე.

გვ. 156,10-11. „დადეშკილიანის ძმებიკი გაიქცნენ“ – საუბარია თათარხან (მიხეილ), ციოყ და თენგიზ ციოყის ძე დადემქელიანებზე.

გვ. 156,12-13. „პოლკოვნიკი ზენოვიევი დაინიშნა управляющим Боржомским“ – სავარაუდოდ, საუბარია პოლკოვნიკ ვასილი ვასილის ძე ზინოვიევზე, რომელიც 1858 წელს დაინიშნა კავკასიის მთავარსარდლის საგანგებო საქმეთა აღმასრულებლად და სოფლის მეურნეობის მმართველის თანაშემწედ.

გვ. 156,15. „გუშინ, ივან მალხაზიჩი იყო“ – საუბარია ცნობილ სარდალ ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილზე, რომლის დედა – მათა იყო გრიგოლის ბებუის, ელენეს, ქალიშვილი პირველი ქმრისგან.

გვ. 156,19. „ბაგრატიონს კიდევ ვერ მოვსწერე“ – საუბარია გენერალ-მაიორ გრიგოლ ივანეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელზე.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №81 (523) (გვ. 156-157)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №593, გვ.: 118r-v, 119r.

თარიღი და ადგილი: „26 ივლისი 1858. ტაბახმელით.“

ხელმოწერა: „შენი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ბატონო დემეტრე!“

ავტოგრაფის აღწერილობა: შუაზე გადაკეცილი, გაცრეცილი, გახუნებული, ბაცი ყავისფერი, დალაქავებული, საშუალო სისქის ქაღალდი; ზომები: გადაუკეცავისა: 27X20,4 სმ; გადაკეცილისა:

20,4X13,5 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომლითაც დასვრილი და გაჟღენთილია ფურცლები.

ადრესატის მისამართი: წერილი **თემირხანშურაშია** გაგზავნილი, რასაც ადასტურებს იქ მომსახურე თუ მცხოვრებ პირთა მოკითხვა: „ბაგრატიონი მომიკითხე; ეგრეთუე აკოლნიჩი და გერშელმანი ცოლით.“

შენიშვნები: 1. წინადადება ჯერ აქ დაუმთავრებია, შემდეგ ჩაუმატებია „მაგისმა სიკუდილმა“; 2. ღმერთმან; 3. ღმერთმა; 4. „ყმისა და“ ჩამატებულია ავტორის მიერ; 5. ჩამატებულია ავტორის მიერ; 6. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 246-247.

გვ. 156,30. „**ალალარის სიცოცხლეზე**“ – საუბარია ყაზიყუ-მუხის ყოფილ მმართველ ალალარ-ბეგზე.

გვ. 157,1. „**კლუდენი დანიშნულა**“ – სავარაუდოდ, საუბარია სამურის ოლქის მმართველის მოადგილეზე, მაიორ ფონ კლუგენზე.

გვ. 157,6. „**ამასთანა ალალარის შვილი**“ – საუბარია ყაზიყუ-მუხის მმართველის, ალალარ-ბეგის, ვაჟ ჯაფარ-ხანზე.

გვ. 157,7. „**შამილას პარტია**“ – საუბარია ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამის მხარდამჭერებზე.

გვ. 157,10-11. „**გრიგოლს ერისთავსა, ნაცულად მაგის ყმისა**“ – საუბარია პოლკოვნიკ გრიგოლ შანშეს ძე ერისთავსა და მის ყმებზე.

გვ. 157,17. „**მთავარმართველსაც აამებთ**“ – იგულისხმება კავკასიის მეფისნაცვალი ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკი.

გვ. 157,24. „**ვოლკოვი სიყუარულით მომიკითხე**“ – საუბარია დაღესტნის სასაზღვრო ხაზის მარჯვენა ფლანგის მეთაურ პეტრე აპოლონის ძე ვოლკოვზე.

გვ. 157,28-29. „**ბაგრატიონი მომიკითხე; ეგრეთუე აკოლნიჩი და გერშელმანი ცოლით**“ – საუბარია გენერალ-მაიორ გრიგოლ ივანეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელზე, კასპიისპირა მხარის ჯარების შტაბსკაპიტან ნიკოლოზ ანდრიას ძე ოკოლნიჩიზე, ინჟინერ ვიქტორ ივანეს ძე გერშელმანსა და მის მეუღლეზე – ევგენია ნიკოლოზის ასულ არლუთინსკი-დოლგორუკოვ-გერშელმანისაზე.

ბაბაღე ორბელიანი-საგინაშვილისადმი №15 (524) (გვ. 158-160)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №445, გვ.: 1r-v, 2r-v.

თარიღი და ადგილი: „31 ივლისს 1858. ტაბახმელით.“

ხელმოწერა: „შენი ძმა გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო და სასურველო დაო ბაბაღე!“

ავტოგრაფის აღწერილობა: შუაზე გადაკეცილი, მონაცრისფრო, მელნით დამწვარი, დიდი ფორმატის, დაზიანებული ქალაღდი; ზომები: გადაუკეცავისა: 41,8X26,6 სმ; გადაკეცილისა: 26,6X20,9 სმ; შესრულებულია შავი მელნით; რესტავრირებულია.

ადრესატის მისამართი: ტექსტის შინაარსიდან ირკვევა, რომ წერილი გაგზავნილია **პიატიგორსკში:** „შენ რა გაემგზავრე პიატიგორსკისაკენ, მეც აღარ დავჰყავ მაგდენი ხანი თბილისს...“

შენიშვნები: 1-4. ღმერთო; 5. ღვთით.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 247-251.

გვ. 158,12. „გიორგი დარბის დიღით საღამომდის“ – საუბარია გრიგოლის ძმისწულ გიორგი იღიას ძე ორბელიანზე.

გვ. 158,15. „დიმიტრი თამაზის შვილი ცოღით“ – საუბარია გრიგოლის ნათესავ დიმიტრი თამაზის ძე ორბელიანსა და მის ცოლზე – ბაგრატ ბატონიშვილის ასულ ბარბარეზე.

გვ. 158,15-16. „მაია თუმანო: რძლითა“ – სავარაუდოდ, საუბარია გიორგი თუმანიშვილის მეუღლე მაია (მარიამ) თამაზის ასულ ორბელიანსა და მისი ვაჟის, ალექსანდრეს, ცოლზე – ბარბარე ივანეს ასულ ანდრონიკაშვილზე.

გვ. 158,16. „მიღუტინი ცოლშვილითა“ – კავკასიის არმიის მთავარი შტაბის უფროსის, დიმიტრი ალექსის ძე მიღუტინის, ცოლი იყო ნატალია მიხეილის ასული პონსე და მათ ჰყავდათ 4 შვილი: ალექსი, ოღლა, ნადეჟდა და ელიზავეტა. უფროსი 13 წლისა იყო, უმცროსი კი – 1-ის.

გვ. 158,16. „კალასოვსკი ცოღით“ – სავარაუდოდ, საუბარია გენერალ-მაიორ ივანე გრიგოლის ძე კოლოსოვსკისა და მის ცოლზე.

გვ. 158,17. „ხარიტონოვი ცოლით“ – საუბარია ამიერკავკასიის მთავარი სამმართველოს საბჭოს წევრ ალექსი ალექსანდრეს ძე ხარიტონოვსა და მის მეუღლეზე – ალექსანდრა პეტრეს ასულ პრინც-ხარიტონოვისაზე.

გვ. 158,17-18. „ხარიტონოვი ცოლით; ხოცკო, ხრისტინიჩი, დეკრუასი უცოლონი ერთად ჰსდგანან“ – საუბარია სამხედრო გეოდეზისტ, გენერალ-ლეიტენანტ იოსებ ივანეს ძე ხოცკოზე (Ходзько) და სამოქალაქო მრჩეველ იპოლიტ ალექსანდრეს ძე დასპიკ დიუკრუასზე, რომელიც 1857 წელს მეფისნაცვალ ბარიატინსკის სამეგრელოში ჰყავდა გაგზავნილი მდგომარეობის შესასწავლად. ხრისტინიჩი იხსენიება ალექსანდრე მიხეილის ძე დონდუკოვ-კორსაკოვის მოგონებებში, როგორც მისი და ალექსი თეოდორეს ძე კრუზენშტერნის სამეგობროს ერთ-ერთი წევრი.

გვ. 158,20-22. „იამალაშვილი სოსია, ძალაანთ ზალიკა, მგალობლისშვილი, ჯანყულაშვილი პეპენა და სხუანი სულ რჩეულნი გვარისანი“ – სავარაუდოდ, საუბარია ორბელიანის ყმებსა და მსახურებზე.

გვ. 158,29-30. „ვარინკა იჯდა ქოლგითა“ – საუბარია გრიგოლის რძალ ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანისაზე.

გვ. 158,31. „წავედით დიმიტრისას კოჯორსა“ – იგულისხმება დიმიტრი თამაზის ძე ორბელიანი.

გვ. 158,32. „ვაშლოვანიდამ მამუკა და ლევან ცოლშვილებითა“ – სავარაუდოდ, იგულისხმება მამუკა (მაკარ) თამაზის ძე ორბელიანი, მისი ცოლი ქეთევან გიორგის ასული ერისთავი და ლევან მელიქიშვილი, რომელსაც ცოლად ჰყავდა მამუკა (მაკარ) ორბელიანის ქალიშვილი – ალექსანდრა.

გვ. 159,5-6. „ლიზა და კაბლერის ცოლი“ – სავარაუდოდ, საუბარია კავკასიის მეფისნაცვლის ადიუტანტზე, პოლკოვნიკ როსტისლავ დიმიტრის ძე დავიდოვის ქალიშვილ ელისაბედ დავიდოვ-კოსიჩისაზე და შავიზღვისპირეთისა და კავკასიის ხაზის მეთაურის, ალექსანდრე ქრისტიანეს ძე კაპლერის, ცოლზე – ანტონინა ნიკოლოზის ასულ მედემ-კაპლერისაზე.

გვ. 159,8. „ან მთავარმართველთან და ანუ ვისთან“ – იგულისხმება კავკასიის მეფისნაცვალი ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკი.

გვ. 159,17-19. „ბარიატინსკის ძმამ – ვლადიმირმა – იყიდა ბორჯომში მეტად ლამაზი ადგილი და დაარქუა სახელი თავის

ცოლისა – ელისაბედიანი – ვლადიმერ ივანეს ძე ბარიატინსკის ცოლი იყო სამხედრო მინისტრის ქალიშვილი – ელისაბედ ალექსანდრეს ასული ჩერნიშოვა.

გვ. 159,21. **„ჩვენი კატო, ორსულად მყოფი“** – სავარაუდოდ, საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ეკატერინე იაკობის ასულ ორბელიან-ივანოვისაზე.

გვ. 159,21-22. **„ორნი ჩვენნი არქიერნი“** – სავარაუდოდ, იგულისხმება არქიმანდრიტები: გაბრიელ ქიქოძე და ალექსანდრე ოქროპირიძე.

გვ. 159,22. **„ისაკ თუმანოვი“** – საუბარია კავკასიის კორპუსის მთავარი შტაბის საველე აუდიტორიატის ნევრ ისაკ შიოს ძე თუმანიშვილზე.

გვ. 159,22. **„ერისთავის ფილოსოფის სახლობა“** – სავარაუდოდ, საუბარია გიორგი რევაზის ძე ერისთავის (რუსულ წყაროებში გრიგოლ რომანის ძედ იხსენიება) ოჯახზე. მას ცოლად ჰყავდა ანა ივანეს ასული არლუთინსკაია.

გვ. 159,23. **„ჩვენი ალექსანდრე მარშალი“** – სავარაუდოდ, იგულისხმება გრიგოლის გარე ბიძაშვილი, თბილისის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლი ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანი.

გვ. 159,23-24. **„კონსტან: თარხანოვი“** – უნდა იგულისხმებოდეს შემახიის რაიონის გუბერნატორი კონსტანტინე დავითის ძე თარხნიშვილი.

გვ. 159,24. **„კონსტან: დადიანი“** – შესაძლოა, იგულისხმებოდეს რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი კონსტანტინე ლევანის ძე დადიანი, რომელიც 1858 წლიდან იყო იმპერატორის ფლიგელ-ადიუტანტი.

გვ. 159,26. **„ტასო მიდის რუსეთს ქმართან“** – სავარაუდოდ, იგულისხმება გრიგოლის ბიძაშვილიშვილი ანასტასია კონსტანტინეს ასული ორბელიანი და მისი ქმარი ივანე დიმიტრის ძე ოკლობჟიო.

გვ. 159,27-28. **„სოფიოს, ივანეს ცოლსა, ყვავილი გამოაჩნდა“** – სავარაუდოდ, იგულისხმება ივანე დავითის ძე ორბელიანი და მისი ცოლი – სოფიო შალვას ასული ერისთავი.

გვ. 159,29-30. **„კიკო, ლუბერნატის ცოლსაც, გამოაჩნდა ყვავილი, ესეც მცირედ ავათ არის“** – სავარაუდოდ, საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ეკატერინე იაკობის ასულ ორბელიანსა და მის ქმარზე – ქუთაისის სამოქალაქო გუბერნატორ ნიკოლოზ

ალაპოს ძე ივანოვზე.

გვ. 159,31. „**ყაფლან თავის ქულქათით ჰსცხოვრობს კოდაზე**“ – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილ ყაფლან ასლანის ძე ორბელიანსა და მის ოჯახზე.

გვ. 159,31-32. „**მანანა ჯერ ისევ ქალაქშია**“ – სავარაუდოდ, იგულისხმება მანანა მირმანოვის ასული ერისთავი-ორბელიანისა.

გვ. 159,32-33. „**ძალუა ქეთევან, ძალუა ნინა, ჩემი დისწულნი ბაბაღე და სოფიო ნავიდნენ სალოცავად**“ – სავარაუდოდ, საუბარია გრიგოლის რძალ ქეთევან დიმიტრის ასულ ალექსი-მესხ-იშვილ-ორბელიანისაზე, ბიცოლა ნინო ალექსანდრეს ასულ მაცაშვილ-ორბელიანისაზე და დისწულებზე – ბარბარე და სოფიო მელიტონის ასულ ბარათაშვილებზე.

გვ. 160,1. „**ველიკიე კნიაზია უეჭველად მობრძანდებიან**“ – საუბარია იმპერატორ ალექსანდრე II-ის ძმებზე: ნიკოლოზსა და მიხეილზე.

გვ. 160,3. „**საწყალი აღლარბეგი ყაზიყუმუხის ხანი მოკუდა**“ – რუსეთის მიმართ კეთილგანწყობილი ხანის სიკვდილმა ხელმძღვანელობას პრობლემები გაუჩინა იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ დაენიშნათ მის ადგილზე.

გვ. 160,4. „**ვრევსკი გადასულა კაპუჭაში**“ – საუბარია ლეკეთის სასაზღვრო ხაზის სარდალზე, გენერალ იპოლიტ ალექსანდრეს ძე ვრევსკიზე და სოფელ კაპუჩზე.

გვ. 160,8. „**ალექსანდრე ჩამიკოცნე**“ – საუბარია ადრესატის ქმარზე – ალექსანდრე დიმიტრის ძე საგინაშვილზე.

დიმიტრი მილიუტინისადმი №5 (525) (გვ. 160-161)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 112v, 113r.

თარიღი და ადგილი: „19 Августа 1858. Тифлиси“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Дмитрію Алексеевичу Миліутину“ / „Ваше Прево^{во}...“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაყვითლებული, საშუალო სისქის ქაღალდი; ზომა: 34,5X21,5 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომლითაც ალაგ-ალაგ გაჟღენთილია ხელნაწერი.

ადრესატის მისამართი: 1856 წლის 20 ნოემბრიდან დიმიტრი მი-

ლიუტინი მუშაობდა კავკასიის არმიის მთავარი შტაბის უფროსის თანამდებობაზე, რომელიც მდებარეობდა თბილისში. მართალია, წერილი თბილისიდან არის გაგზავნილი, მაგრამ, რამდენადაც ის სამსახურებრივია, არ უნდა იყოს აუხსნელი მისი გაგზავნა **თბილისშივე**.

შენიშვნები: 1-2. თარიღი, ადგილი და ადრესატი ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ. 160,21-22. „**представленном к Главнокомандующему Бароном Врангелем**“ – საუბარია მეფისნაცვალ ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკისა და კასპიისპირა მხარის სამოქალაქო ნაწილის მმართველ ბარონ ალექსანდრე ევსტათეს ძე ვრანგელზე.

გვ. 160,22-23. „**проезда Их Императорских Высочеств Великих Князей**“ – საუბარია იმპერატორ ალექსანდრე II-ის ძმების – ნიკოლოზისა და მიხეილის – მოსალოდნელ ვიზიტზე.

გვ. 161,19. „**с покорностью Генералу Вревскому**“ – საუბარია ლეკეთის სასაზღვრო ხაზის სარდალზე, გენერალ იპოლიტ ალექსანდრეს ძე ვრევსკიზე.

გვ. 161,21-22. „**звезда Шамиля померкнёт**“ – იგულისხმება ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამის გარდაუვალი მარცხი.

დომიტრი მილიუტინისადმი №6 (526) (გვ. 162-163)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ. 113v.

თარიღი და ადგილი: „29 Августа 1858 Тифлиси.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Дмитрію Алексеевичу Милютину.“ / „На письмо вашего Пре^{ва} ...“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაყვითლებული, საშუალო სისქის ქაღალდი; ზომა: 34,6X21,5 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომლითაც ალაგ-ალაგ გაჟღენთილია ხელნაწერი.

ადრესატის მისამართი: 1856 წლის 20 ნოემბრიდან დომიტრი მილიუტინი მუშაობდა კავკასიის არმიის მთავარი შტაბის უფროსის თანამდებობაზე, რომელიც მდებარეობდა თბილისში. მართალია, წერილი თბილისიდან არის გაგზავნილი, მაგრამ, რამდენადაც ის სამსახურებრივია, არ უნდა იყოს აუხსნელი მისი გაგზავნა **თბილისშივე**.

შენიშვნები: 1-2. თარიღი, ადგილი და ადრესატი ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ. 162,30. „Дмитрію Алексеевичу Милютину“ – იგულისხმება იმ დროს კავკასიის არმიის შტაბის უფროსი – გრაფი დიმიტრი ალექსის ძე მილიუტინი.

გვ. 162,31-32. „предоставленія старшинства Полковнику Лазареву“ – საუბარია მეხთულის სახანოს მმართველ ივანე დავითის ძე ლაზარევზე.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №82 (527) (გვ. 164-166)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №594, გვ.: 120r-v, 121r-v.

თარიღი და ადგილი: „2 სექტემ: 1858 თბილისით“ / „6^ს სექტემ:“

ხელმოწერა: „შენი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ბატონო დემეტრე!“

ავტოგრაფის აღწერილობა: შუაზე გადაკეცილი, გახუნებული, მოყავისფრო-მოყვითალო, გაცვეთილი, თხელი ქაღალდი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,5X20,5 სმ; გადაკეცილისა: 20,5X13,3 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გაჟღენთილია ფურცლებში; ხელნაწერი დაზიანებულია: ადგილ-ადგილ გახეულია; რესტავრირებულია.

ადრესატის მისამართი: ამ დროს დიმიტრი ჯორჯაძე მსახურობდა თემირხანშურაში და წერილიც, სავარაუდოდ, იქ უნდა იყოს გაგზავნილი, ისევე როგორც ამ პერიოდის სხვა ბარათები.

შენიშვნები: 1. თარიღი და ადგილი ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2-3-4-5-6. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 7. ღმერთი; 8. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განწერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 252-254.

გვ. 164,3. „მივიღე გებუგასაგან“ – საუბარია გრიგოლის ნდობით აღჭურვილ მთიელზე, რომელიც მას ინფორმაციას აწვდიდა.

გვ. 164,4. „ბარონი დიას კარგათ ჰშვრება“ – საუბარია კასპი-

ისპირა მხარის სამოქალაქო ნაწილის მმართველზე, ბარონ ალექსანდრე ევსტათეს ძე ვრანგელზე.

გვ. 164,5-6. „ნასასვლელად ველიკის კნიაზებისა“ – საუბარია იმპერატორ ალექსანდრე II-ის ძმებზე – ნიკოლოზსა და მიხეილზე, რომლებიც სტუმრობდნენ საქართველოს.

გვ. 164,8. „მოკუდა ლენერალი ვრევსკი“ – საუბარია ლეკეთის სასაზღვრო ხაზის ყოფილ სარდალზე, გენერალ იპოლიტ ალექსანდრეს ძე ვრევსკიზე.

გვ. 164,9. „მისი ნაჩალნიკი შტაბისა ლარნერი“ – საუბარია გენერალური შტაბის უფროსზე, პოლკოვნიკ გარდნერზე.

გვ. 164,12. „მოხდა ილანხევში“ – საუბარია დიდოეთის, ე.წ. შაიტლის ხევზე.

გვ. 164,16. „პოლკოვნი: დესაჟისაგან – ავანგარდის ნაჩალნიკისაგან“ – საუბარია პოლკოვნიკ თეოდორე ქრისტეფორეს ძე დესაჟეზე.

გვ. 165,3. „ყორლანოვი იოსებ გადვიდა დიდოში“ – საუბარია ნუხის მაზრის უფროს იოსებ ივანეს ძე ყორლანაშვილზე.

გვ. 165,17. „ახალი არქიერიც მიდის იქ“ – საუბარია ახალ გზარქოს ევსევი – ალექსი ალექსის ძე ილინსკიზე.

გვ. 165,18. „ლევან ჩოლაცაშვილმა ძალიან გაიმარჯვა ქისტებში“ – საუბარია თუშეთის რაზმის მეთაურზე, გენერალ ჩოლოყაშვილზე.

გვ. 165,27-28. „დაჭრილა... მძიმედ ქობულოვი“ – საუბარია თელავის მაზრის ყოფილ წინამძღოლზე, გენერალ-მაიორ მიხეილ ქობულაშვილზე.

ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №23 (528) (გვ. 166-167)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 114r-v, 115r.

თარიღი და ადგილი: „14 сентяб: 1858. Лагерь Караяз“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „К: БАРЯТИНСКОМУ.“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაყვითლებული, საშუალო სისქის ქაღალდი; ზომა: 34X21,2 სმ; შესრულებულია შავი მელნით; ალაგ-ალაგ ადგილები გადახაზულია.

ადრესატის მისამართი: წერილის შინაარსიდან ირკვევა, რომ ჯან-

მრთელობის მდგომარეობის გამო ალექსანდრე ბარიატინსკი თბილისში არ იმყოფება, მაგრამ არ ჩანს მისი ადგილსამყოფელი.

შენიშვნები: 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ. 166,8. „**П[р]оезд Великих Князей из Тифлиса до Караяз**“ – საუბარია იმპერატორ ალექსანდრე II-ის ძმების – ნიკოლოზისა და მიხეილის – გამგზავრებაზე თბილისიდან გარდაბანში.

გვ. 166,11. „**под командою К: Мамуки Орбелиани**“ – იგულისხმება გენერალ-მაიორი მამუკა (მაკარ) თამაზის ძე ორბელიანი.

გვ. 166,15-16. „**очень жаль, что нет здесь К: Александра Ивановича**“ – იგულისხმება მეფისნაცვალ ბარიატინსკი.

გვ. 166,21-22. „**французский Барон Фино, персидский Мирза Усейн Хан и Трапезондский Машини**“ – საუბარია თბილისში საფრანგეთის კონსულ ბარონ ფინოზე, სპარსეთის პრემიერ-მინისტრ მირზა ჰუსეინ-ხან სიპახსალარსა და ტრაპიზონში რუსეთის კონსულ ალექსანდრ ნიკოლოზის ძე მოშნინზე.

გვ. 166,24-25. „**Царевна Варвара и К: Варвара Ильинишна Орб: представили**“ – სავარაუდოდ, საუბარია დიმიტრი თამაზის ძე ორბელიანის ცოლ ბარბარე ბაგრატიის ასულ ბაგრატიონ-ორბელიანისა (გიორგი XII-ის შვილიშვილზე) და გრიგოლის რძალ ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანისაზე.

გვ. 167,5. „**за Государя Императора, Императрицы, Государя-Наследника**“ – რუსეთის იმპერატორი ამ დროს იყო ალექსანდრე II, დედოფალი – მარიამ ალექსანდრეს ასული და უფლისწული – ნიკოლოზი, რომელიც 1865 წელს გარდაიცვალა და გამეფებას ვერ მოესწრო.

გვ. 167,6-7. „**Великих Княгинь Александры Петровны и Ольги Феодоровны**“ – საუბარია რუსეთის იმპერატორის რძლებზე – ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის მეუღლეზე – ალექსანდრა პეტრეს ასულ ოლდენბურგელსა და მიხეილ ნიკოლოზის ძის მეუღლეზე – ოლღა თეოდორეს ასულ ბადენელზე.

გვ. 167,11. „**К: старика – Эрстова**“ – იგულისხმება სენატორი გიორგი იესეს ძე ერისთავი.

ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №24 (529) (გვ. 169-170)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ. 115r-v, 116r.

თარიღი და ადგილი: „Сацхениси. 17 сентября 1858“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „К. Барятинскому.“ / „...вашему Сият^{ву}...“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაყვითლებული, საშუალო სისქის ქაღალდი; ზომა: 34,4X21,1 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომლითაც ალაგ-ალაგ დასვრილია ხელნაწერი. ფურცელი აქა-იქ ამომწვარია.

ადრესატის მისამართი: 14 სექტემბრის წერილის შინაარსიდან ირკვევა, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ალექსანდრე ბარიატინსკი თბილისში არ იმყოფება, მაგრამ არ ჩანს მისი ადგილსამყოფელი.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ. 169,2. „**После окончания великолепных праздников на Караязе**“ – საუბარია იმპერატორ ალექსანდრე II-ის ძმების – ნიკოლოზისა და მიხეილის – ვიზიტზე გარდაბანში.

გვ. 169,3-4. „**уже должно Крузенштерном**“ – სავარაუდოდ, იგულისხმება ალექსი თეოდორეს ძე კრუზენშტერნი.

გვ. 169,9-10. „**представился им Генерал-майор К: Меликов**“ – სავარაუდოდ, იგულისხმება ჭარ-ბელაქნის ოლქის უფროსი, გენერალ-მაიორი, თავადი ლევან ივანეს ძე მელიქიშვილი.

გვ. 169,17-18. „**Княгиня Чолокаева – жена Уездного начальника**“ – სავარაუდოდ, იგულისხმება იმპერატორის პირადი დაცვის კავკასიის ესკადრონის როტმისტრის, ილია ზაალის ძე ჩოლოყაშვილის, მეუღლე ელენე ივანეს ასული ანდრონიკაშვილი.

გვ. 169,18. „**Княгиня Дарико Кобулова**“ – სავარაუდოდ, იგულისხმება ალექსანდრე (პუპლია) ორბელიანის ქალიშვილი დარია, რომელიც 1856 წელს ცოლად გაჰყვა თბილისის ქვეითი რაზმის მეთაურ დავით ევგენის ძე ქობულაშვილს.

გვ. 169,21. „**с дочерью Гулбаата Чавчавадзе**“ – გულბაათ (პანტელეიმონ) ჭავჭავაძეს ჰყავდა ორი ქალიშვილი – ანასტასია და დარია. ანასტასიას ქმარი, მიხეილ ნოშრევანის ძე ჯორჯაძე, წინა წელს გარდაეცვალა და საფიქრებელია, რომ ამ გართობაში მონაწილეობას არ მიიღებდა. შესაბამისად, საუბარი უნდა იყოს

გენერალ-მაიორ ივანე იოსების ძე შალიკაშვილის მეუღლე დარია (დარიკო) გულბაათის ასულ ჭავჭავაძეზე.

გვ. 169,27-28. „**посетили с утешением вдову Генерала Вревскаго**“ – საუბარი უნდა იყოს მთიელთა წინააღმდეგ ბრძოლისას სწორედ 1858 წლის 29 აგვისტოს დაღუპული იპოლიტ ალექსანდრეს ძე ვრევსკის მეუღლეზე – იულია პეტრეს ასულ ვარპახოვსკ-ვრევსკისაზე. ცნობილია, რომ სასიკვდიოდ დაჭრილი ვრევსკი სწორედ თელავში ჩაიყვანეს მეუღლესთან და იქ გარდაიცვალა.

გვ. 170,2. „**Патріарх – Бахус – Гулбаат**“ – სავარაუდოდ, საუბარია ლეგენდარულ თამადაზე – იმ დროს 62 წლის გულბაათ (პანტელეიმონ) იოანეს ძე ჭავჭავაძეზე, ასაკის გამო პატრიარქად არის მოხსენიებული, სმის განსაკუთრებული შესაძლებლობების გამო კი – ღვინის ღმერთ ბახუსად.

გვ. 170,14-15. „**недавно вошедшіе Анцухо-Капучинскіе жители и их Наиб**“ – საუბარია დიდოეთში შემავალ ანწუხ-კაპუჩის თემზე, რომელიც რუსეთს ახალდამორჩილებული ჰყავდა. შესაძლოა, იმ დროს ნაიბად უკვე ყოფილიყო დანიშნული შაგიავი (Шагяв), რომელიც მოგვიანებით ისევ რუსეთის წინააღმდეგ აჯანყდა.

ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №25 (530) (გვ. 172)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ. 116v.

თარიღი და ადგილი: „19 Сентя: 1858. Закаталы“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „К: Барятинскому.“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაყვითლებული, საშუალო სისქის ქაღალდი; ზომა: 34,6X21,2 სმ; შესრულებულია მუქი შავი მეღვინით, რომლითაც ალაგ-ალაგ დასვრილია ხელნაწერი.

ადრესატის მისამართი: 14 სექტემბრის წერილის შინაარსიდან ირკვევა, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ალექსანდრე ბარიატინსკი თბილისში არ იმყოფება, მაგრამ არ ჩანს მისი ადგილსამყოფელი.

შენიშვნები: 1. თითქოს აქ ჯერ 19 დაუნერია, შემდეგ „9“ „8“-ით გადაუსწორებია, ზემოდან „8“ ციფრია გადანერვილი, მაგრამ წერილის შინაარსიდან გამომდინარე, აქ ციფრი „9“ უნდა იყოს; 2. სტრიქონი ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ. 172,18. „Их Высочества благополучно прибыли“ – საუბარია იმპერატორ ალექსანდრე II-ის ძმების – ნიკოლოზისა და მიხეილის – ჩასვლაზე ზაქათალაში.

გვ. 172,22-23. „срисован портрет с жены Ажи Муртуза“ – საუბარია ბელაქნის მონადირეთა რაზმის მეთაურ ჰაჯი მურთუზზე, რომელიც მოგვიანებით რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებას ჩაუდგა სათავეში. ცოლის სახელი უცნობია.

გვ. 172,27-29. „донесение Генерала Евдокимова о покорении Шароаргунскаго общества“ – საუბარია კავკასიის საომარი ხაზის მარცხენა ფლანგის მეთაურზე, გენერალ ნიკოლოზ ივანეს ძე ევდოკიმოვზე და ჩეჩნეთის სოფელ შარო-არლუნზე.

ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №26 (531) (გვ. 173-174)

ავტოგრაფი: А: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ. 117r-v.

თარიღი და ადგილი: „Баку. Сентября 1858.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „К: Барятинскому.“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაყვითლებული, საშუალო სისქის ქალაქი; ზომა: 34,5X21,4 სმ; შესრულებულია მუქი შავი მეღვინით, რომლითაც ალაგ-ალაგ დასვრილია ხელნაწერი.

ადრესატის მისამართი: წერილის შინაარსიდან ირკვევა, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ალექსანდრე ბარიატინსკი თბილისში არ იმყოფება, მაგრამ არ ჩანს მისი ადგილსამყოფელი.

შენიშვნები: 1. სტრიქონი ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ. 173,18-19. „их Высочества Великие Князья изволили прибыть в Баку“ – საუბარია იმპერატორ ალექსანდრე II-ის ძმების – ნიკოლოზისა და მიხეილის – ჩასვლაზე ზაქათალაში.

გვ. 173,25. „Главный Ахунд произнёс речь“ – საუბარია მუსულმანური რელიგიის წინამძღოლის მისაღმებზე.

გვ. 174,1-2. „представлялись Генерал Адъютант Барон Врангель и Контр-Адмирал Машнин“ – საუბარია კასპიისპირა მხარის სამოქალაქო ნაწილის მმართველზე, ბარონ ალექსანდრე ევსტათეს ძე ვრანგელსა და კონტრ-ადმირალ როსტისლავ გრიგოლის ძე მოშინინზე.

აღიქსანდრე ბარიატინსკისადმი №27 (532) (გვ. 175-176)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ. 119v.

თარიღი და ადგილი: „1^{oe} Октяб: Чирюрт.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „К: Барятинскому“ / ... „Вашему С^в...“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაყვითლებული, გაცვეთილი, დაზიანებული, გვერდებშემოხეული ქალაღი; ზომა: 33,8X22,1 სმ; შესრულებულია შავი ფანქრით. წერილის წერა ავტორს წინა გვერდზე დაუწყია ასევე ფანქრით, დაუწერია 9 სტრიქონი, ორი კლავნილი ხაზით ზემოდან ფანქრით გადაუხაზავს და თავი დაუნებებია. წინამდებარე წერილიც შავი პირია, გადახაზული და ჩამატებული ადგილებით. ზოგადად, ამ საქმეში (№7502) ყველა წერილი წარმოადგენს შავ პირს, თუმცა მათი უმრავლესობა აკურატულად და სუფთად არის შესრულებული. რამდენადაც ეს წერილები ერთმანეთს მიჰყვება – ერთი წერილი რომ მთავრდება, მეორე გვერდზე მეორე იწყება და ა. შ. – ჩანს, რომ ავტორი წერილებს ჯერ შავად წერდა და შემდეგ ათეთრებდა.

ადრესატის მისამართი: სექტემბრის წერილებიდან ირკვევა, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო აღიქსანდრე ბარიატინსკი თბილისში არ იმყოფება, მაგრამ არ ჩანს მისი ადგილსამყოფელი.

შენიშვნები: 1. სტრიქონი ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

დათარიღება: წერილში, რომელიც 1 ოქტომბერს არის გაგზავნილი ჩირიურთიდან, საუბარია იმპერატორის ოჯახის წევრების სტუმრობაზე კავკასიაში, კერძოდ, ბაქოში, ყუბაში, გუსარკაში, დერბენდში, დიშლაგარში, ყარაბუდახკენტსა და თემირხანშურაში.

საისტორიო წყაროებიდან ცნობილია, რომ იმპერატორის ოჯახის წევრები ბაქოს სტუმრობდნენ სხვადასხვა დროს – 1850, 1858, 1863, 1864, 1868, 1873 და 1874 წლებში და მათი მარშრუტი ხშირად მსგავსი იყო. წერილის დათარიღება გაართულა იმან, რომ მასში აშკარად არის კალმისმიერი ლაფსუსი – გაგზავნის თარიღად აწერია 1 ოქტომბერი და აღწერილია 25 ოქტომბერს იმპერატორის გუსარკაში ჩასვლა.

შესაბამისად, იძულებული გავხდით, განგვეხილა კალმისმიერი შეცდომის ორი ვარიანტი: წერილის დაწერა 1 ოქტომ-

ბერს და იმპერატორის ვიზიტები კავკასიაში – სექტემბრის თვეში (რომლის ნაცვლად წერია „ოქტომბერი“) და მეორე – წერილის დაწერა 1-ლ ნოემბერს (რომლის ნაცვლად წერია „1 ოქტომბერი“) და ვიზიტები – ოქტომბერში. ისტორიული წყაროებით ირკვევა, რომ 1858 წელს იმპერატორ ალექსანდრე II-ის ძმები – ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე და მიხეილ ნიკოლოზის ძე – 22-24 სექტემბერს სტუმრობდნენ ბაქოს და შემდეგ გაემგზავრნენ კავკასიის სხვა ადგილების მოსანახულებლად.

თუ ვივარაუდებთ, რომ წერილში გუსარკაში სამეფო ოჯახის წევრების ჩასვლის თარიღად ბაქოდან გამოსვლის მეორე დღედ 25 სექტემბრის ნაცვლად შეცდომით წერია 25 ოქტომბერი, გამოდის, რომ წერილში 1858 წლის ამბებია აღწერილი და იგი ამ წლის 1-ლ ოქტომბერს არის დაწერილი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამეფო ოჯახის ვიზიტი ბაქოში 1850 წელსაც განხორციელდა და ამის შესახებ გრიგოლი წერს 1850 წლის წერილებში, მაგრამ მაშინ კავკასიას სტუმრობდა იმპერატორის მხოლოდ ერთი ძმა, წინამდებარე წერილში კი სამეფო ოჯახის წევრები სულ მრავლობითია ნახსენები («о приезде их высочеств», «они прибыли», «встретили великих путешественников», «они посетили», «великие князья писали», «остановились», «представились их высочествам», «прибыли»), თან წერილში აღწერილი ვიზიტის რიცხვები არ ემთხვევა არც 1850 წლისას და არც 1858-ის შემდგომი წლებისას.

1850 წელს ეს წერილი ვერ იქნება დაწერილი იმ მიზეზითაც, რომ გრიგოლი მაშინ ვერ შეხვდა ტახტის მემკვიდრეს. 1850 წლის 20 ოქტომბერს იგი წერდა: „ილიკო ვნახე გუსარკაში მთავარმართებელთან, და მასთან ერთად დავჰყავ ოთხი დღე ნასლედნიკის მოლოდინებაში. იფიქრეთ ჩემი ბედი: ერთბაშად მოიტანეს ამბავი, რომ დიდი ჯარი ლეკისა წამოსულა ჭარისკენაო, შევჯეგ ცხენზედ და ორი დღე და ღამე ვაჭენე, ვიდრე მოველ ჯართან ლუჩქეში; და ამა წყეულის ამბისგამო მოვაკლდი ნასლედნიკის ხილვასა...“ მართალია, 1858 წელს გრიგოლი უკვე საქართველოში მსახურობდა, მაგრამ სრულიად ბუნებრივია, რომ სამეფო ოჯახის წევრებთან შესახვედრად ის საგანგებოდ გამგზავრებულიყო და დაწვრილებით მოეწერა იმდროინდელი მეფისნაცვლის – ალექსანდრე ბარიატინსკისათვის ვიზიტის დეტალები. შესაბამისად, **ბარათი 1858 წლის 1-ლ ოქტომბერს უნდა იყოს დაწერილი.**

გვ. 175,22. „о проезде их Высочеств Великих Князей“ –

საუბარია იმპერატორ ალექსანდრე II-ის ძმების – ნიკოლოზისა და მიხეილის – მოგზაურობაზე.

გვ. 175,29. „**окно Петра Велик:**“ – გადმოცემის მიხედვით, როდესაც პეტრე I დერბენდში ელოდა ასტრახანიდან მომავალ გემებს, ცხოვრობდა ციხე-სიმაგრეში, სადაც თავად ამოჭრა ფანჯარა, რომ გემები დაენახა.

გვ. 175,33. „**много лестнаго Генералу Кеслеру**“ – საუბარია კავკასიის არმიის ინჟინერთა მეთაურზე, გენერალ ედუარდ თევდორეს ძე კესლერზე.

გვ. 176,3-5. „**Шамхал Тарковский, управляющий Даргинским Округом и Главный Акушинский Кадий**“ – საუბარია თარკოს შამხალ აბუ-მუსლიმ-ხანსა და აჰყოშის რელიგიურ წინამძღოლ მაჰმად ყადიზე.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №83 (533) (გვ. 177)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №595, გვ.: 122r.

თარიღი და ადგილი: „3^ა დეკემ: 1858“

ხელმოწერა: „შენი ბედნიერების მოსურნე გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ბატონო, კნიაზო დიმიტრი!“

ავტოგრაფის აღწერილობა: შუაზე გადაკეცილი, თეთრი ფერის, დალაქავებული, საშუალო სისქის ქალაღი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,6X20,3 სმ; გადაკეცილისა: 20,3X13,3 სმ; შესრულებულია მოყავისფრო მელნით, რომელიც გადასულია მეორე მხარეს; ხელნაწერი გადაკეცვის ადგილას ქვემოდან ოდნავ შეხეულია.

ადრესატის მისამართი: წერილის შინაარსიდან ირკვევა, რომ ადრესატი იმყოფებოდა **თემირხანშურაში**: „ამ წერილს მოგართმევს ვილაცა ყაზიყუმუხელი, რომელიცა მოგახსენებს თავის დარდსა, ანუ თავის სოფლის დარდსა, ვეჭობ, უნდათ სადღაც სოფლის აშენება, და როგორც გადაუწყვეტთ თქვენ იცით და არა მე. – მე მხოლოდ ამის თხოვნა აღვასრულე, რომ უთოოდ ერთი ბარათი უნდა მომცეო შურაში.“

შენიშვნები: 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ. 254.

ნიკოლოზ კარლოვისადმი №1 (534) (გვ. 177-178)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ. 120r-v.

თარიღი და ადგილი: „7 Декаб: 1858.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Николаю Ивановичу Кирлгосту.“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაყვითლებული, საშუალო სისქის ქაღალდი; ზომა: 34,5X21,3 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომლითაც ალაგ-ალაგ დასვრილია ხელნაწერი.

ადრესატის მისამართი: ამ დროს ნიკოლოზ ივანეს ძე კარლოვი კავკასიის სამხედრო კორპუსის ობერკვარტირმეისტერის თანამდებობაზე მსახურობდა, რომლის შტაბიც თბილისში მდებარეობდა. აღნიშნულის გათვალისწინებით, წერილი, სავარაუდოდ, **თბილისში** უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. ხელნაწერში გრიგოლს უწერია „კირლგოსტი“, მაგრამ ეს უნდა იყოს გენერალი ნიკოლოზ ივანეს ძე კარლოვი. ამიტომ სათაურში რეალურ გვარს ვწერთ, ხოლო ავტორისეულ ტექსტში არაფერს ვცვლით; 2-3. სტრიქონი ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

წერილის ადრესატია კავკასიის სამხედრო კორპუსის ობერკვარტირმეისტერი – გენერალი ნიკოლოზ ივანეს ძე კარლოვი. გრიგოლ ორბელიანს ხელნაწერში გარკვევით უწერია „კირლგოსტი“, მაგრამ მას სჩვევია გვარ-სახელთა დამახინჯება. ამ შემთხვევაშიც ამ ფაქტთან უნდა გვექონდეს საქმე.

კონსტანტინე ფონ კაუფმანისადმი №1(535) (გვ. 179)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ. 121r.

თარიღი და ადგილი: „10 декаб: 1858. Тифлис.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Свиты Его Величества Генералмайору; Начальнику штаба при Генерале Инспекторе, Константину Петровичу Фон Кауфману“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაყვითლებული, საშუალო სისქის ქაღალდი; ზომა: 34,5X21,4 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით,

რომლითაც ალაგ-ალაგ დასვრილია ხელნაწერი.

ადრესატის მისამართი: წერილიდან ირკვევა, რომ გრიგოლი ადრესატს უგზავნის ჩერქეზულ სამოსს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რომანოვისათვის გადასაცემად თავისი ვაჟიშვილისათვის: „Во время путешествія Великих Князей по Кавказу, Вы передали мне желаніе Его Императорскаго Высочества Николая Николаевича иметь черкесское платье для Его сына. По записке, в тоже время, вами мне переданной, изготовлено это платье, а теперъ оно посылается к вам с моей убедительнейшею просьбою поднести Его Высочеству вместе с увереніем в истинном чувстве глубочайшей преданности моей.“ აღნიშნულის გათვალისწინებით, ბარათი გაგზავნილი უნდა იყოს **სანკტ-პეტერბურგში**.

შენიშვნები: 1-2. სტრიქონი ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

წერილის ადრესატია რუსი სამხედრო მოღვაწე – გენერალური ინსპექტორის შტაბის უფროსი, ინჟინერ-გენერალი (1818-1881) კონსტანტინე პეტრეს ძე კაუფმანი.

გვ. 179,17. „Во время путешествія Великих Князей по Кавказу“ – საუბარია იმპერატორ ალექსანდრე II-ის ძმების – ნიკოლოზისა და მიხეილის – ვიზიტზე კავკასიაში.

გვ. 179,18-19. „желаніе Его Императорскаго Высочества Николая Николаевича иметь черкесское платье для Его сына“ – საუბარია იმპერატორ ალექსანდრე II-ის ძმაზე – ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე უფროსსა და მის ორი წლის ვაჟზე – ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე უმცროსზე.

გვ. 179,26-27. „получите от Генерал Адютанта Барона Врангеля“ – სავარაუდოდ, საუბარია კასპიისპირა მხარის სამოქალაქო ნაწილის მმართველზე, ბარონ ალექსანდრე ევსტათეს ძე ვრანგელზე.

სადიებლები

პირთა ანოტირებული საძიებელი

აბაშიძე დავით ივანეს ძე (1830-1892) – გრიგოლ ორბელიანის ახლობლის, ივანე გიორგის ძე აბაშიძის, ვაჟი. 24.

აბაშიძე ივანე გიორგის ძე – პორუჩიკი. 30, 155.

აბასყული – იხ. ბაკიხანოვი აბასყული ალა.

აბდულხალილი – აბდულ ხალილა – რუსული ორიენტაციის მქონე პორუჩიკი დალესტნის ცხენოსანთა არარეგულარულ პოლკში. გარდაიცვალა 1859 წელს შამილის მეომრებთან შეტაკების დროს. 29, 43.

აბრამა – გრიგოლ ორბელიანის ყმა. 39, 135.

აბუ-მუსლიმ-ხანი (ტექსტებში მოხსენიებულია, როგორც შამხალი) – მაჰდი შამხლის შვილი, სულეიმან შამხლისა და შაჰვალის ძმა. თარკოს სახანოს მმართველი, რუსული ორიენტაციის გენერალი. 16, 26, 59, 76, 77, 78, 81, 82, 93, 95, 100, 102, 133, 136, 140, 143, 176.

ავალიანი იოანე (1782-1858) – გორის ეპისკოპოსი. 135.

ავალიშვილი-ორბელიანისა ელისაბედ სოლომონის ასული (1798-1856) – გრიგოლ ორბელიანის ბიძის, სამარაგდონ ორბელიანის, მეუღლე. 23, 31, 46, 53, 58, 66, 67.

ავდოტია ივანოვნა – სავარაუდოდ, გრიგოლ ორბელიანის მოსამსახურე ქალი. 58, 59.

ავთანდილოვი ზაქარია სტეფანეს ძე – მეფისნაცვლის კანცელარიის სამოქალაქო ნაწილის ვიცე-დირექტორი. 138, 141.

აიდემირი – სალათავის ნაიბი. 71, 74, 79, 80.

- აკოლნიჩი//ოკოლნიჩი** – იხ. ოკოლნიჩი ნიკოლოზ ანდრეას ძე.
- ალენიჩი** – მაიორი, დარღოს თემებისაგან შემდგარი ოლქის უფროსი, მოკლეს 1845 წელს. 98.
- ალექსანდრა პეტროვნა** – იხ. ოლდენბურგელი-რომანოვისა ალექსანდრა პეტრეს ასული.
- ალექსანდრე** – იხ. ერისთავი ალექსანდრე (თორნიკე) იესეს ძე.
- ალექსანდრე** – იხ. ერისთავი ალექსანდრე შანშეს ძე.
- ალექსანდრე** – იხ. ორბელიანი ალექსანდრე გიორგის ძე.
- ალექსანდრე** – იხ. საგინოვი (საგინაშვილი) ალექსანდრე დიმიტრის ძე.
- ალექსანდრე//ალექსანდრე ასტაძიევიჩი//ასტაძიჩი** – იხ. ვრანგელი ალექსანდრე ევსტათეს ძე.
- ალექსანდრე//ალექსანდრე მარშალი** – იხ. ორბელიანი ალექსანდრე დავითის ძე.
- ალექსანდრე** – იხ. ორბელიანი ალექსანდრე (პუპლია) ვახტანგის ძე.
- ალექსანდრე II (1818-1881)** – რუსეთის იმპერატორი (1855-1881), იმპერატორ ნიკოლოზ I-ის უფროსი ვაჟი. 25, 26, 41, 42, 44, 48, 49, 62, 79, 95, 105, 123, 124, 126, 142, 167.
- ალექსანდრე ნეველი** – ვლადიმირის დიდი მთავრის, იაროსლავ II-ის, ძე, დაიბადა 1220 წელს. 1236 წელს აირჩიეს ნოვგოროდის მთავრად. 1236 წელს მის სამთავროს თავს დაესხნენ შვედები, რომლებიც ალექსანდრემ მცირერიცხოვანი ჯარით მდინარე ნევის სანაპიროზე დაამარცხა. ამ გამარჯვების შემდეგ მას ნეველი უწოდეს. 8.

ალექსანდრ ივანოვიჩი – იხ. ბარიატინსკი ალექსანდრე ივანეს ძე.

ალექსეი პეტროვიჩი – იხ. ოპოჩინინი ალექსი პეტრეს ძე.

ალექსი-მესხიშვილი დიმიტრი სოლომონის ძე (1778-1862) – დეკანოზი, მწიგნობარი. განათლება მიიღო ანჩისხატის სკოლაში თავისი განსწავლული მამის – დეკანოზ სოლომონის – ხელმძღვანელობით. 1793 წელს აკურთხეს იპოდიაკვნად. 1796 წელს დაინიშნა კათოლიკოსის მწერალთუხუცესად. 1803 წელს ხელდასმულ იქნა ანჩისხატის მეორე მღვდლად, ხოლო მამის გარდაცვალების შემდეგ დაინიშნა იმავე ტაძრის დეკანოზად. ქართლ-კახეთ-იმერეთის სინოდალური კანტორის დაარსების შემდეგ დიდხანს იყო მისი წევრი. 7, 15, 16.

ალექსი-მესხიშვილი იაკინთე დიმიტრის ძე (1805-1878) – პედაგოგი. ასწავლიდა თბილისის სემინარიაში. მუშაობდა საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორაში მთარგმნელად, ასევე მსახურობდა თბილისის სამხედრო გუბერნატორის კანცელარიაში. სხვადასხვა დროს იყო ახალციხის, ქუთაისისა და თელავის მაზრის უფროსი, თბილისის გენერალ-გუბერნატორის კანცელარიის მმართველი. დაკრძალულია სამთავისის ტაძარში. 7, 15, 16, 18, 20, 22, 24, 53, 63, 66, 72, 77.

ალექსი-მესხიშვილი-ორბელიანისა ქეთევან დიმიტრის ასული (1812-1895) – ანჩისხატის დეკანოზ დიმიტრი ალექსი-მესხიშვილის ქალიშვილი, გრიგოლის ძმის, ზაქარია ორბელიანის, მეუღლე. წერილების ადრესატი და აგრეთვე გვ.: 15, 22, 47, 52, 53, 103, 112, 113, 159.

ალექსი-მესხიშვილი პლატონ დიმიტრის ძე – ანჩისხატის დეკანოზის, დიმიტრი ალექსი-მესხიშვილის, ვაჟი, ზაქათალის პოლიციის კომისარი, მსახურობდა აგრეთვე სამხედრო გუბერნატორის კანცელარიაში. 7, 18, 137.

ალექსი-მესხიშვილი სარდიონ დიმიტრის ძე – ექიმი და საზოგადო მოღვაწე, ანჩისხატის დეკანოზის, დიმიტრი ალექსი-მესხიშვილის, ვაჟი. 7, 15, 16, 18, 20, 22, 24, 63, 66, 72, 77.

ალექსი-მესხიშვილისა სოფიო – დეკანოზ ალექსი-მესხიშვილის რძალი, მისი ვაჟიშვილის, სარდიონის, მეუღლე. 66.

ალისულთანი – მეხთულის ყოფილი მმართველის – ახმედხანის – ძმა. 142.

ამილახვარი-აბაშიძისა თამარ გიორგის ასული – პორუჩიკ ივანე გიორგის ძე აბაშიძის მეუღლე. 155.

ამიროვი ივანე გრიგოლის ძე – სახელმწიფო პრიკაზის თანამშრომელი. 141.

ამირჩობა//ამირჩობანი – იხ. უცმიევი ამირ-ჩობან-ბეგი.

ანანოვი (ანანიაშვილი) – გენერალი. 60.

ანდრეი სტეფანიჩი – იხ. სანკოვსკი ანდრია სტეფანეს ძე.

ანდრონიკაშვილი-ორბელიანისა ხორეშან ზაქარიას ასული – მეფე ერეკლე II-ის შვილიშვილი, ელენე ბატონიშვილისა და ზაქარია ანდრონიკაშვილის ასული. დიმიტრი (ზურაბ) ორბელიანის მეუღლე, გრიგოლ ორბელიანის დედა. 67.

ანდრონიკოვი – ანდრონიკაშვილი-თუმანიშვილისა ბარბარე ივანეს ასული – ალექსანდრე ორბელიანის მეუღლე. 158.

ანდრონიკოვი – ანდრონიკაშვილი ივანე მალხაზის ძე (1793-1868) – რუსეთის არმიის გენერალი, თბილისის სამხედრო გუბერნატორი 1849-1855 წლებში, სამოქალაქო ნაწილის მმართველი. მისი დედა იყო მათა, გრიგოლ ორბელიანის ბების – ელენეს – ქალიშვილი პირველი ქორწინებიდან. ივანე ანდრონიკაშვილმა სამხედრო სამსახური დაიწყო 1817 წელს სანკტ-პეტერბურგის ლეიბგვარდიის ცხენოსან ლეგიონში, სადაც დაწინაურდა შტაბსროტმისტრამდე და საიდანაც, მისი თხოვნისამებრ, 1824 წელს მაიორად გადაიყვანეს საქართველოში, ნიჟეგოროდის დრაგუნთა ლეგიონში. იგი იხსენიება 1832 წლის შეთქმულების საგამომძიებლო

საქმეებში. ივანე ანდრონიკაშვილი მონაწილეობდა რუსეთ-სპარსეთის 1826-1828 და რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წლების ომებში. მან თავი ისახელა ელიზავეტოპოლის, ჯეჯან-ბულახის, სარდარ-აბადის, ერევნის, ახალციხისა და ბაიბურთის ბრძოლებში. 1841 წელს გენერალ-მაიორია, 1849 წელს – თბილისის სამხედრო გუბერნატორი. ყირიმის ომის დროს სარდლობდა ახალციხის რაზმს. მისი მეუღლე იყო დავით ბატონიშვილის შვილიშვილი ნინო. გარდაიცვალა თავის საგვარეულო მამულში, ყოფილი სიღნაღის მაზრის სოფელ ქოდალოში. 65, 67, 85, 140, 156.

ანდრონიკოვი – ანდრონიკაშვილი-ჩოლოყაშვილისა ელენე ივანეს ასული – იმპერატორის პირადი დაცვის კავკასიის ესკადრონის როტმისტრის, ილია ზაალის ძე ჩოლოყაშვილის, მეუღლე, ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილის ქალიშვილი, მისი ბებია – მაია იყო გრიგოლ ორბელიანის ბებულის, ელენეს, ქალიშვილი პირველი ქმრისგან. 65, 66, 67, 70, 75, 76, 89, 94, 95, 104, 169.

ანეტა//ანნა ილინიშნა//ანნეტა – იხ. ბაგრატიონი-ჭავჭავაძისა ანა (ანნეტა) ილიას ასული.

ანნეტა მუხრანსკი – იხ. ბაგრატიონი ანა ოქროპირის ასული.

აპაჩინინი – იხ. ოპოჩინინი ალექსი პეტრეს ძე.

არაბოლლი – სახელი და ვინაობა უცნობია. 35.

არდიშვილი – იხსენიება სვანეთის უკანასკნელი მთავრის, კონსტანტინე დადემუქელიანის, მიერ 1857 წელს მეფის რუსეთის მიერ სვანეთის სამთავროს გაუქმებისა და მთავრის საქართველოდან გასახლების განზრახვის გამო ქუთაისის გენერალ-გუბერნატორ ალექსანდრე გაგარინთან ერთად მოკლულთა შორის. 116.

არღუთაშვილი ყარამან დავითის ძე – კოლეგიის ასესორი. 155-156.

არლუთინსკი-დოლგორუკოვი-გერშელმანისა ევგენია ნიკოლოზის ასული – ინჟინერ ვიქტორ ივანეს ძე გერშელმანის მეუღლე. 156, 157.

არლუთინსკი-დოლგორუკოვი მოსე ზაქარიას ძე (1797-1855) – იგივე არლუთაშვილი-მხარგრძელი, გენერალი, დაღესტნის ომების მონაწილე. მეფის რუსეთის ერთგულების დასამტკიცებლად აქტიურად იყო ჩართული გურიის აჯანყების ჩახშობაში. 1827 წლიდან მოღვაწეობდა გრენადერთა ქართულ პოლკში მაიორის ჩინით. 1847 წლიდან დაინიშნა დარუბანდის სამხედრო გუბერნატორად და სამოქალაქო ნაწილის მმართველად. ამავე დროს იყო სამხრეთ დაღესტნის ჯარის სარდალი. მთელი სისასტიკით უსწორდებოდა მთიელებს. 1877 წელს მეფის მთავრობამ ძეგლი დაუდგა დაღესტანში. 9.

არლუთინსკი-მხარგრძელი-ბებუთაშვილისა მარიამ სოლომონის ასული – ცნობილი რუსი გენერლის, ვასილ იოსების ძე ბებუთაშვილის, მეუღლე. 135.

ასევეი დიმიტრი კუზმას ძე – 1842-1843 წლებში მსახურობდა სამურის რაზმში მოსე არლუთინსკისთან, 1857 წლიდან კი სალათავიაში გადავიდა გრიგოლ ორბელიანთან. 75, 78, 103, 106, 136.

ასლან-ხანი – იხ. ქურელი ასლან-ხანი.

ასსევი – იხ. ასევეი დიმიტრი კუზმას ძე.

ახვერდოვი იური თევდორეს ძე – გენერალ-მაიორ თევდორე ახვერდოვის ვაჟი. მსახურობდა გრიგოლ ორბელიანთან დაღესტანში. 36.

ახმედ-ფაშა – ჯამოვ-ბეგის შვილი. დაღესტანში მართავდა ოლქის რამდენიმე დიდ დასახლებას. 94, 97.

ახმედხანი – ახმედ-ხანი – ყაითალის მმართველი, გვარდიის შტაბის როტმისტრი, ელისუს პრისტავის, პორუჩიკ ჰაჯი-ა-

ლა-ბეგის, ვაჟი, რუსეთის სამსახურში მყოფი. 94, 97, 98, 110, 115, 117, 142.

ბაბაღე – იხ. ბარათაშვილი-ვეზირიშვილისა ბარბარე მელიტონის ასული.

ბაბაღე – იხ. ორბელიანი-საგინაშვილისა ბარბარე.

ბაბაღე//ბაბაღე ოპოჩინინისა – იხ. ორბელიანი-ოპოჩინინისა ბარბარე იაკობის ასული.

ბაგრატიონი ანა ოქროპირის ასული – ალექსანდრე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელის მეუღლე. 135.

ბაგრატიონი (ბატონიშვილი) გრიგოლ ივანეს ძე – გენერალ-მაიორი, ჭარ-ბელაქნის ოლქის მმართველის თანაშემწე და ლეიბ-გვარდიის ცხენოსანთა პოლკის მეთაური. 20, 25, 33, 38.

ბაგრატიონი (ბატონიშვილი) გრიგოლ ილიას ძე – გიორგი XII-ის ვაჟის, ილია ბატონიშვილის, შვილი. 56

ბაგრატიონი (ბატონიშვილი) დავით ბაგრატის ძე – გიორგი XII-ის შთამომავალი, ცოლად ჰყავდა მოსკოვის მერისა და მდიდარი ფაბრიკანტის ქალიშვილი – ანა ალექსანდრეს ასული მაზურინა. 135.

ბაგრატიონი (ბატონიშვილი) დიმიტრი ილიას ძე – გიორგი XII-ის ვაჟის, ილია ბატონიშვილის, შვილი. მსახურობდა კავკასიის არმიის მთავარსარდლის ამაღის წევრ ლეონტი პავლეს ძე ნიკოლაისთან. 56, 66, 75, 124.

ბაგრატიონი (ბატონიშვილი) ირაკლი ალექსანდრეს ძე – 1845 წლიდან იბრძოდა მთიულთა წინააღმდეგ, 1855 წელს ირიცხებოდა გრენადერთა ქართულ პოლკში და იმავე წელს გავიდა პენსიაზე. 1858 წელს კვლავ დაუბრუნდა სამხედრო მოღვაწეობას და გააგრძელა ბრძოლა მთიულთა წინააღმდეგ, მაგრამ ჯანმრთელობის გაუარესების გამო მალე

ისევ გავიდა პენსიაზე. 154.

ბაგრატიონი-ბაშმაკოვისა ელისაბედ ილიას ასული – კავალერიის პორუჩიკ არკადი დიმიტრის ძე ბაშმაკოვის მეუღლე, გრიგოლ ორბელიანის რძლის, ბარბარე ილიას ასული ბაგრატიონ-ორბელიანის, და. 142.

ბაგრატიონი-ერისთავისა მარიამ სოლომონის ასული – ელიზბარ გიორგის ძე ერისთავის მეუღლე, იმერეთის მეფის, სოლომონის ძის, ქალიშვილი. ეწეოდა პოეტურ მოღვაწეობას, მისი რამდენიმე ლექსი გამოქვეყნდა ჟურნალ „ცისკარში“. 96.

ბაგრატიონი-ორბელიანისა ბარბარე ბაგრატის ასული – გიორგი XII-ის შვილიშვილი, დიმიტრი თამაზის ძე ორბელიანის მეუღლე. 158, 166.

ბაგრატიონი-ორბელიანისა ბარბარე (ვარინკა) ილიას ასული – გიორგი XII-ის ვაჟის, ილია ბატონიშვილის, ქალიშვილი, ილია ორბელიანის მეუღლე. 9, 15, 23, 30, 35, 47, 54, 55, 56, 58, 59, 63, 64, 65, 66, 68, 69, 70, 75, 76, 82, 89, 94, 95, 104, 106, 111, 112, 127, 135, 142, 143, 144, 148, 156, 158, 166.

ბაგრატიონი-სუმბათაშვილისა ქეთევან გრიგოლის ასული – მიხეილ ლუარსაბის ძე სუმბათაშვილის მეუღლე. 155.

ბაგრატიონი-ჭავჭავაძისა ანა ილიას ასული – გიორგი XII-ის შვილიშვილი, სასახლის ფრეილინა, 1852 წელს ცოლად გაჰყვა დავით ჭავჭავაძეს. ანა ბაგრატიონს დიდი დამსახურება მიუძღვის თელავში ქალთა განათლების კერების დაარსების საქმეში. 53, 136, 155.

ბაგრატიონ-მუხრანელი (მუხრანსკი) გრიგოლ ივანეს ძე (1787-1861) – იოანე მუხრან-ბატონისა და ერეკლე II-ის ასულის, ქეთევანის, მესამე ვაჟი, გენერალ-მაიორი. განათლება მიიღო პაჟთა კორპუსში. მონაწილეობდა კავკასიის მთიელებთან ბრძოლაში. მსახურობდა ჭარ-ბელაქნის ოლქის უფროსის თანამდებობაზე. ასევე მეთაურობდა დაღეს-

ტნის სასაზღვრო ხაზის მარჯვენა ფლანგს. 61, 62, 93, 98, 99, 100, 103, 105, 114, 115, 116, 118, 133, 134, 135, 139, 140, 141, 142, 143, 144, 156, 157.

ბაგრატიონ-მუხრანელი (მუხრანსკი) ივანე კონსტანტინეს ძე (1812-1895) – მეფე ერეკლეს შვილთაშვილი, რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი, სამეგრელოს მთავრის, ლევან დადიანის, სიძე. პაჟთა კორპუსის დასრულების შემდეგ დაინიშნა მისი სამხედრო კარიერა. მონაწილეობდა შამილის წინააღმდეგ ბრძოლებში. ყირიმის ომის დროს სარდლობდა რუსეთის ჯარებს სამეგრელოს ტერიტორიაზე შემოჭრილი ომარ-ფაშას ჯარის წინააღმდეგ. ფლობდა უამრავ ჯილდოს. თადარიგში გასვლის შემდეგ სოფლის მეურნეობას მიჰყო ხელი. დაკრძალულია მცხეთაში, სვეტიცხოვლის საგვარეულო საძვალეში. 139.

ბაგრატიონ-მუხრანელი (მუხრანსკი) კონსტანტინე ივანე ძე – ივანე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელის ვაჟი 133, 135.

ბადენელი-რომანოვისა ოლღა თეოდორეს ასული – რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე II-ის რძალი, მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვის მეუღლე. 167.

ბაკიხანოვი ჯაფარყული ალა (1796-1867) – ბაქოს უკანასკნელი ხანის – ჰუსეინ ყულიხანის – ვაჟი, აზერბაიჯანელი მწერლის, აბასყული ალა ბაკიხანოვის ძმა. რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი. 1827 წელს დაინიშნა შაბრანის ნაიბად. იბრძოდა თურქების და შემდეგ კავკასიის მთიელების წინააღმდეგ. 1838 წლიდან მსახურობდა სამხრეთ კავკასიის მუსულმანთა ცხენოსან პოლკში. 1842-1843 წელს მთიელებს ებრძოდა სამურის ოლქში და მთიან დაღესტანში. 1844-1848 წლებში იბრძოდა სალტასთან და გერგებილთან. 1849 წელს მიენიჭა გენერალ-მაიორის წოდება. 147.

ბარათაშვილი-ვეზირიშვილისა ბარბარე მელიტონის ასული (1826-1919) – ნიკოლოზ ბარათაშვილის უმცროსი და. 1856 წელს

ცოლად გაჰყვა პოლკოვნიკ დიმიტრი ვეზირიშვილს. შეეძინა ოთხი შვილი. დაკრძალულია ვერის იოანე ღვთისმეტყველის ეკლესიის ეზოში. 7, 8, 15, 16, 17, 20, 21, 22, 23, 25, 30, 32, 35, 44, 45, 46, 54, 65, 66, 67, 68, 72, 77, 103, 159.

ბარათაშვილი ნინო მელიტონის ასული (1829-1906) – ნიკოლოზ ბარათაშვილის და, „ცისკრის“ თანამშრომლის, ლიტერატორ ლეონიდ ბარათაშვილის, მეუღლე. გარკვეული დროის განმავლობაში იმყოფებოდა შამილის ტყვეობაში. 35, 52, 53, 64, 65, 68, 70, 75, 76, 94, 95, 104, 106, 112, 127, 144, 156.

ბარათაშვილი-ორბელიანისა ელისაბედ ივანეს ასული (1824-1892) – გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის, ყაფლან (იოანე) ასლანის ძე ორბელიანის, მეორე ცოლი. 15, 19, 22, 47, 52, 53, 87, 89, 111.

ბარბარე – იხ. ბაგრატიონი-ორბელიანისა ბარბარე ბაგრატის ასული.

ბარბარე – იხ. ბაგრატიონი-ორბელიანისა ბარბარე ილიას ასული.

ბარიატინსკი ალექსანდრე ივანეს ძე (1815-1875) – გენერალ-ფელდმარშალი, 1835 წლიდან კავკასიის კორპუსის მთავარსარდალი, კავკასიის მეფისნაცვალი 1856-1863 წლებში. ცოლად ჰყავდა ელისაბედ დიმიტრის ასული ორბელიანი. 31, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 43, 44, 45, 47, 48, 49, 54, 55, 63, 88, 91, 93, 95, 105, 112, 113, 116, 124, 126, 133, 134, 135, 139, 140, 141, 142, 143, 146, 148, 155, 157, 159, 160, 161, 166.

ბარიატინსკი ვლადიმერ ივანეს ძე – პოლკოვნიკი, იმპერატორის ფლიგელადიუტანტი, მეფისნაცვალ ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკის ძმა. 146, 147, 155, 159.

ბაქიხანოვი – იხ. ბაკიხანოვი ჯაფარყული ალა.

ბაქრაძე ნინია – გრიგოლ ორბელიანის მოსამსახურე. პოეტს ერთგულად ემსახურებოდა 40 წლის განმავლობაში. 30, 36, 40, 73, 97, 148.

ბაშმაკოვი არკადი დიმიტრის ძე – მაიორი, კავალერიის პორუჩიკი. ცოლად ჰყავდა გრიგოლის რძლის, ბარბარე ილიას ასული ბაგრატიონ-ორბელიანის, და ელისაბედ ილიას ასული ბაგრატიონი. 142.

ბებუთოვი – ბებუთაშვილი ვასილ იოსების ძე – ინფანტერიის გენერალი, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ვიცე პრეზიდენტი. 1809 წლიდან სამხედრო სამსახურში შევიდა. მისი სამხედრო ბიოგრაფიიდან აღსანიშნავია გურიის 1841 წლის აჯანყების ჩახშობა, ასევე ბაშკადიკლარისა და კიურაკდარის ბრძოლები, რისთვისაც გენერალ-ლეიტენანტის ჩინით ანდრია პირველწოდებულის ორდენი დაიმსახურა. პეტრე დიდის შემდეგ ეს პირველი შემთხვევა იყო. 1846 წელს ქუთისის ბრძოლაში სასტიკად დაამარცხა შამილი. 1855 წლიდან იყო სამხრეთ კავკასიის სამოქალაქო სამმართველოს უფროსი. გარდაიცვალა 1858 წელს. 23, 24, 25, 28, 109, 110, 135, 155.

ბებუთოვი – ბებუთაშვილი-გურიელისა სოფიო ვასილის ასული – ინფანტერიის გენერალ ვასილ ბებუთაშვილის ქალიშვილი, ლევან დავითის ძე გურიელის მეუღლე. 155.

ბებუთოვისა – იხ. არღუთინსკი-მხარგრძელ-ბებუთაშვილისა მარიამ სოლომონის ასული.

ბეგანოვი – სამხედრო მოსამსახურის სახელი უცნობია. 42.

ბეგ-მირზა – იხ. ვექილოვი მირზა (იგივე მირზა უსუფა ხუდად).

ბეზაკი ნიკოლოზ პავლეს ძე (1804-1879) – XIX ს-ის შუა წლებში კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის მმართველი, თბილისის ბიბლიოთეკის ერთ-ერთი დამაარსებელი. 87.

ბეჟანბეგოვი – ბეჟანბეგი პეტრე პავლეს ძე – სავარაუდოდ, იურისტი. 148.

ბოთლიხელი ისმაილ – სალათავიის ნაიბი. ამ პოსტზე შეცვალა აიდემირი მისი გარდაცვალების შემდეგ. 71, 74, 78, 86, 87, 89.

ბოსკე პიერ ფრანსუა – საფრანგეთის მარშალი. 106.

ბრანიცკაია-ვორონცოვისა ელისაბედ ქსავერის ასული – მეფის-ნაცვალ მიხეილ ვორონცოვის მეუღლე, რუსული არისტოკრატიული წრის წარმომადგენელი, აღ. პუშკინის პოეტური მუზა. საქართველოში ცხოვრების პერიოდში ეწეოდა საქველმოქმედო საქმიანობას. მისი თაოსნობით 1846 წელს თბილისში დაარსდა წმინდა ნინოს სახელობის ქალთა საქველმოქმედო საზოგადოება, რომლის მესვეურობით თბილისში, ქუთაისსა და თელავში გაიხსნა წმინდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებლები. ხელმძღვანელობდა ლიტერატურულ სალონს თბილისში. 8.

ბრუსილოვი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე (1821-1880) – რუსი სამხედრო მოღვაწე, გენერალ-მაიორი, მსახურობდა გრიგოლ ორბელიანის პოლკში, იმჟამინდელ თემირხანშურაში (დღევანდელი ბუინაქსკი). 29.

ბულატოვი ფოკიონ ესტატეს ძე – საგანგებო დავალებათა მოხელე, მოგვიანებით ელიზავეტოპოლის გუბერნატორი გახდა. 133.

ბუტკოვი პეტრე გრიგოლის ძე – რუსი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, პეტერბურგის აკადემიის აკადემიკოსი, სენატორი და საიდუმლო მრჩეველი. 14.

გაგარინი ალექსანდრე ივანეს ძე – ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი. გარდაიცვალა 1857 წელს. 52, 54, 109, 116, 117.

გაგარინი გრიგოლ გრიგოლის ძე (1810-1893) – ცნობილი მხატ-

ვარი-აკვარელისტი. რამდენიმე წლის განმავლობაში ცხოვრობდა თბილისში. შეისწავლა კავკასიის ხალხთა ხელოვნება და შეადგინა ალბომები: „კავკასიური კოსტუმები“ და „მხატვრული კავკასია“, რომელთაც დიდი მხატვრული და ეთნოგრაფიული მნიშვნელობა აქვთ. მოხატა თბილისის სიონის ტაძრის შიდა კედლები. 133, 135.

გამაზოვი აბელ არაქელის ძე – არტილერიის ოფიცერ მათე გამაზოვის მამა. 44.

გამაზოვი მათე აბელის ძე (1811-1893) – არტილერიის ოფიცერი. მსახურობდა თბილისსა და ზაქათალაში. იცოდა აღმოსავლური ენები, მსახურობდა საელჩოებში და მონაწილეობდა თურქეთსა და ირანთან რუსეთის სასაზღვრო რუკის შედგენაში. 44.

გარდნერი – პოლკოვნიკი, გენერალური შტაბის უფროსი. 164.

გებეგა – მთიელი მეზრძოლი, გრიგოლ ორბელიანის ნდობით აღჭურვილი პირი. 164.

გევჰარ ალა – ყარაბაღის მმართველის, იბრაჰიმ ხანის, ქალიშვილი. მისი დედა იყო ქართველი თავადიშვილი. 63.

გერშელმანი ვიქტორ ივანეს ძე – ინჟინერი, დერბენდში ხელმძღვანელობდა წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მშენებლობას. 136, 156, 157.

გეუა – იხ. ოჰანაშვილი გეუა.

გიორგი – იხ. ორბელიანი გიორგი ილიას ძე.

გოლიცინი – სავარაუდოდ, სენატორ გრიგოლ სერგის ძე გოლიცინის ერთ-ერთი ვაჟი. 133, 135.

გოლიცინ-შუაზელ-გოფიესი ბარბარე გრიგოლის ასული – სენატორ გრიგოლ სერგის ძე გოლიცინის ქალიშვილი, მიხეილ

ვორონცოვის ადიუტანტის, პოლკოვნიკ ედუარდ ოქტავის ძე შუაზელ-გოფიეს, მეუღლე. 9.

გოჰარაღა – იხ. გევჰარ აღა.

გრამოვი (გრომოვი) ისაი (ისააკ) ივანეს ძე (1821-1886) – მაიორი. დაიბადა ყარაბაღის ქალაქ შუშაში, იცოდა აზერბაიჯანული, ყუმბისური და ავარიული ენები და 1845 წლიდან თარჯიმნად მუშაობდა გრიგოლ ორბელიანთან. აქტიური მონაწილეობა მიიღო შამილთან მოლაპარაკებაში ტყვეთა გაცვლის თაობაზე 1854 წელს. 65, 106, 111, 115, 126, 127, 133, 136, 140, 141, 144, 148.

გრიგოლ მუხრანბატონი//გრიგოლ მუხრანის ბატონი – იხ. ბაგრატიონ-მუხრანელი (მუხრანსკი) გრიგოლ იოანეს ძე.

გრინჩენკო – კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს ტიტულარული მრჩეველი. 112, 113.

გრინჩენკოსი – კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს ტიტულარული მრჩეველის მეუღლე. 112, 113.

გულბაათ – იხ. ჭავჭავაძე გულბაათ (პანტელეიმონ) იოანეს ძე.

გურიელისა – იხ. ბებუთოვი – ბებუთაშვილი-გურიელისა სოფიო ვასილის ასული.

დადეშკილიანი – **დადეშქელიანი თათარხან (მიხეილ) ციოყის ძე** – სვანეთის უკანასკნელი მთავრის, კონსტანტინე დადეშქელიანის, ძმა. 156.

დადეშკილიანი – **დადეშქელიანი თენგიზ ციოყის ძე** – სვანეთის უკანასკნელი მთავრის, კონსტანტინე დადეშქელიანის, ძმა. 156.

დადეშკილიანი – **დადეშქელიანი ციოყ ციოყის ძე** – სვანეთის უკანასკნელი მთავრის, კონსტანტინე დადეშქელიანის, ძმა. 156.

დადეშქელიანი კონსტანტინე (მურზაყან) ციოყის ძე – სვანეთის უკანასკნელ მთავარი. 1857 წელს მოკლა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი ალექსანდრე გაგარინი, მეფის რუსეთის მიერ სვანეთის სამთავროს გაუქმებისა და მთავრის საქართველოდან გასახლების განზრახვის გამო. 116, 117, 156.

დადიანი ანდრია დავითის ძე (1850-1910) – სამეგრელოს მთავარ დავით დადიანისა და ეკატერინე ჭავჭავაძის შვილი, რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი. მე-19 საუკუნის 60-იანი წლების ბოლოდან დედასთან და და-ძმასთან ერთად პარიზში გადავიდა საცხოვრებლად. დაამთავრა ჰაიდელბურგის უნივერსიტეტი. იყო ცნობილი მოჭადრაკე. 48, 49.

დადიანი თამარ დავითის ასული – სამეგრელოს მთავარ დავით დადიანისა და ეკატერინე ჭავჭავაძის შვილი. 48, 49.

დადიანი კონსტანტინე ლევანის ძე – რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი, 1858 წლიდან იყო იმპერატორის ფლიგელ-ადიუტანტი. 155, 159.

დადიანი (მინგრელსკი) ნიკოლოზ დავითის ძე (1847-1903) – სამეგრელოს მთავარ დავით დადიანისა და ეკატერინე ჭავჭავაძის შვილი, რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი. მონაწილეობდა 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომში. გამოირჩეოდა ქველმოქმედებით. თავისი ბიბლიოთეკა უსასყიდლოდ გადასცა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. 48, 49, 144.

დადიანი სალომე დავითის ასული (1848-1913) – სამეგრელოს მთავარ დავით დადიანისა და ეკატერინე ჭავჭავაძის შვილი. მე-19 საუკუნის 60-იანი წლების ბოლოდან დედასთან და ძმებთან ერთად პარიზში გადავიდა საცხოვრებლად. 1868 წელს იგი ცოლად გაჰყვა შარლ ლუი ნაპოლეონ აშილ მიურატს (1847-1895), ნაპოლეონის ძმისშვილს. მათი ქორწინება პარიზში წლის მოვლენად აღიარეს. 1873 წელს წყვილი სამეგრელოში ჩამოვიდა საცხოვრებლად. 1913 წელს დაქვრივებული სალომე საფრანგეთში გაემგზავრა

სამკურნალოდ, სადაც მალევე გარდაიცვალა. დაკრძალულია იქვე. 48, 49.

დავიდოვი როსტისლავ დიმიტრის ძე – პოლკოვნიკი, კავკასიის მეფისნაცვლის ადიუტანტი. 155.

დავიდოვისა პრასკოვია ივანეს ასული – კავკასიის მეფისნაცვლის ადიუტანტი, პოლკოვნიკ როსტისლავ დიმიტრის ძე დავიდოვის მეუღლე. 155.

დავიდოვ-კოსიჩისა ელისაბედ როსტისლავის ასული – კავკასიის მეფისნაცვლის ადიუტანტი, პოლკოვნიკ როსტისლავ დიმიტრის ძე დავიდოვის ქალიშვილი. 148, 159.

დავით – იხ. ჭავჭავაძე დავით ალექსანდრეს ძე.

დავით აბაში – იხ. აბაშიძე დავით ივანეს ძე.

დარიკო ქობულოვა – იხ. ორბელიანი-ქობულაშვილისა დარია ალექსანდრეს (პუპლიას) ასული.

დასპიკ-დიუკრუასი იპოლიტ ალექსანდრეს ძე – სამოქალაქო მრჩეველი. 158.

დაშკოვა-გაგარინისა სოფიო ანდრიას ასული – რუსი მხატვრისა და ხელოვნებათმცოდნის, გრიგოლ გრიგოლის ძე გაგარინის, მეორე ცოლი. თამაშობდა ქმრის პროექტით აშენებულ თეატრის სცენაზე. 133, 135.

დაცია – დალესტნის სოფელ მიატლის მცხოვრები. 122.

დეკრუასი – იხ. დასპიკ-დიუკრუასი იპოლიტ ალექსანდრეს ძე.

დესაჟე თეოდორე ქრისტეფორეს ძე – პოლკოვნიკი. 164, 165.

დიმიტრი – იხ. ბაგრატიონი (ბატონიშვილი) დიმიტრი ილიას ძე.

დიმიტრი – იხ. ვეზირიშვილი დიმიტრი გიორგის ძე.

დიმიტრი ვახტანგისშვილი – იხ. ორბელიანი დიმიტრი („პაჭონე“) ვახტანგის ძე.

დიმიტრი თამაზის შვილი – იხ. ორბელიანი დიმიტრი თამაზის ძე.

დიმიტრი – იხ. სვიატოპოლ-მირსკი დიმიტრი ივანეს ძე.

დიმიტრი – იხ. ჯორჯაძე დიმიტრი დავითის ძე.

დორია უილიამ – 1858-1859 წლებში ინგლისის კონსული ირანში. 138.

ებელინგი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე – კავკასიის საცენზურო კომიტეტის თანამშრომელი. 138.

ებლინდ – იხ. ებელინგი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე.

ევდოკიმოვი ნიკოლოზ ივანეს ძე (1804-1873) – რუსი პოლკოვნიკი, შემდგომში გენერალი. 37, 39, 40, 114, 115, 120, 156, 170, 172.

ეკატერინა – იხ. ჭავჭავაძე-დადიანისა ეკატერინე.

ელენა//ელენე – იხ. ანდრონიკოვი – ანდრონიკაშვილი-ჩოლოყაშვილისა ელენე ივანეს ასული.

ელენე – იხ. ორბელიანი ელენე ყაფლანის ასული.

ელენე – იხ. ორბელიანი-ერისთავისა ელენე ლუარსაბის ასული.

ელისაბედ – იხ. ავალიშვილი-ორბელიანისა ელისაბედ სოლომოვის ასული.

ელისაბედ – იხ. ბარათაშვილი-ორბელიანისა ელისაბედ ივანეს ასული.

ელისავეტა ქსავერიენა – იხ. ბრანიცკაია-ვორონცოვისა ელისა-
ბედ ქსავერის ასული.

ენდრენიუსი//ინდრენიუსი – იხ. ინდრენიუსი ბერნგარდ ემანუი-
ლის ძე.

ერასტ სტეფანიჩი – იხ. ანდრეევსკი ერასტი სტეფანეს ძე.

ერისთავი ალექსანდრე (თორნიკე) იესეს ძე (1779-1860) – იოანე
მუხრან-ბატონისა და ერეკლე II-ის ასულ ქეთევანის ქა-
ლიშვილის, ბარბარეს, მეუღლე. ალექსანდრე ერისთავის
ქალიშვილი ნინო ცოლად ჰყავდა ივანე თამაზის ძე ორბე-
ლიანს. 16, 18, 19, 41, 66, 77, 87, 90, 101, 104, 126.

ერისთავი-გაგარინისა სოფიო შალვას ასული – გრიგოლ ორბე-
ლიანის ნათესავის, ანასტასია დავითის ასული ორბელია-
ნი-გაგარინის, რძალი. 127.

ერისთავი გიორგი იასეს ძე (1760-1863) – სენატორი, გენერალ-ლე-
იტენანტი, გიორგი XII-ის ასულის, გაიანე ბატონიშვილის,
მეუღლე, მამუკა ორბელიანის სიმამრი, 1832 წლის შეთქმუ-
ლების მთავარი ორგანიზატორის, ელიზბარ ერისთავის, ბი-
ძა. ცნობილია მეტსახელებით: „დიდი კნიაზი“, „ტავრიჩეს-
კი“, „ჰერი-ჰა“. ჯარისკაცები „ბატუმკას“ ეძახდნენ. წერდა
ლექსებსა და მოთხრობებს. გარკვეული პერიოდის განმავ-
ლობაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა რუსეთში. მონაწი-
ლეობა მიიღო მის ყველა ომში. თავრიზის ალებისათვის
წმინდა ანდრია პირველწოდებულის ორდენით დაჯილდოვ-
და. 1846 წელს უმაღლესი სამხედრო ჩინი – ინფანტერიის
გენერლობა – მიიღო. 100 წლის მოხუცი ქუთაისში შეხვდა
სტუმრად ჩამოსულ რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე II-ს.
დასაფლავებულია იკორთაში. 110, 167.

**ერისთავი გიორგი რევაზის ძე (რუსულ წყაროებში გრიგოლ რომა-
ნის ძე) – 1856-1860 წლებში ქუთაისის სამხედრო გუბერ-
ნატორი. 155, 156, 159.**

ერისთავი გრიგოლ შანშეს ძე – პოლკოვნიკი. 157.

ერისთავი ელიზბარ შანშეს ძე (1808–1871) – გენერალ-მაიორი. გაიზარდა პეტერბურგში. თბილისში ჩამოვიდა 1830 წელს. იყო 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი ხელმძღვანელი ალექსანდრე ორბელიანთან და სოლომონ დოდაშვილთან ერთად. მისი უშუალო მონაწილეობით შედგა აჯანყების გეგმა („პირველი ღამის განკარგულება“). შეთქმულების გამჟღავნების შემდეგ სიკვდილი მიუსაჯეს, რომელიც შემდეგ ჰელსინკფორსში (ფინეთი) გადასახლებით შეუცვალეს.
წერილის ადრესატი.

ერისთავი-ორბელიანისა მანანა მირმანოვის ასული (1808-1870) – ქსნის ხეობის თავადის, მირმანოზ დავითის ძე ერისთავის, ასული, საელჩოს მრჩევლის, დავით ორბელიანის, მეუღლე, მე-19 საუკუნის საქართველოში კულტურული ცხოვრების ერთ-ერთი წარმმართველი. დაქვრივდა 22 წლის ასაკში. დარჩა სამი შვილი. მის ლიტერატურულ სალონში გადაწყდა ქართული თეატრის აღდგენისა და ჟურნალ „ცისკრის“ დაარსების რეალური საკითხები. იყო 1832 წლის შეთქმულების მონაწილე. შეთქმულების გამჟღავნების შემდეგ დამნაშავეთა მე-4 კატეგორიაში შეიყვანეს სალომე ბატონიშვილის გვერდით. მის სახლში იგეგმებოდა შეთქმულების დეტალები. 30, 109, 117, 126, 159.

ერისთავი-ორბელიანისა სოფიო შალვას ასული – მანანა ერისთავის რძალი, ივანე დავითის ძე ორბელიანის მეუღლე. 58, 155, 159.

ერისთავი-ორბელიანისა ქეთევან გიორგის ასული – გენერალ მამუკა (მაკარ) თამაზის ძე ორბელიანის მეუღლე. 48, 158.

ერისთავი რევაზ ლუარსაბის ძე – გორელი თავადი, სამხედრო პირი. გრიგოლ ორბელიანის დისშვილის, ეკატერინე მელიტონის ასული ბარათაშვილის, მეუღლე. 17?

ერისთავი რევაზ შალვას ძე – გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის, ეკატერინე ასლანის ასული ორბელიან-ერისთავის, ვაჟი. 17? 144, 147.

ერმოლოვი ალექსი პეტრეს ძე – ცნობილი რუსი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, კავკასიის ყოფილი მთავარსარდალი. ნერილის ადრესატი.

ერმოლოვი კლავდი ალექსის ძე – ცნობილი რუსი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწის, კავკასიის ყოფილი მთავარსარდალის, ალექსი პეტრეს ძე ერმოლოვის, ვაჟი, ერთხანს მსახურობდა გრიგოლ ორბელიანთან. 60.

ვანო – იხ. ორბელიანი ივანე დავითის ძე.

ვარინკა – იხ. ბაგრატიონი-ორბელიანისა ბარბარე ილიას ასული.

ვარპახოვსკაია-ვრევსკისა იულია პეტრეს ასული – გენერალ-ლეიტენანტ იპოლიტე ალექსანდრეს ძე ვრევსკის მეუღლე. 136, 169.

ვარპახოვსკაია-ვრევსკისა ნატალია პეტრეს ასული – გენერალ-ლეიტენანტ იპოლიტე ალექსანდრეს ძე ვრევსკის ცოლისდა, ცოლად გაჰყვა თავისი დის გერს – ნიკოლოზ იპოლიტეს ძე ვრევსკის. 136.

ვასილიევი – თემირხანშურასთან მდებარე სოფელ არკაზის კომენდანტი. სახელი უცნობია. 96, 97, 105.

ვასილიევი – მხატვარი. სახელი უცნობია. 103.

ვასილი ოსებინი – იხ. ბებუთაშვილი ვასილ იოსების ძე.

ვასილჩიკოვი სერგი ილარიონის ძე – პოლკოვნიკი, ცხენოსანთა პოლკის მეთაური, ნოვოროსიისკისა და ბესარაბიის გენერალ-გუბერნატორი. 90.

ვალფი (ვაგიფი) მოლა პანაჰ – მე-18 საუკუნის აზერბაიჯანელი სახელმწიფო მოღვაწე და პოეტი. 19.

ვალუფი – იხ. ვალფი (ვაგიფი).

ვეზიროვი (ვეზირიშვილი) დიმიტრი გიორგის ძე (1825-1898) – ბარ-ბარე მელიტონის ასული ბარათაშვილის მეუღლე. 32, 44, 46, 54, 77, 112.

ვექილოვი მირზა უსუფა ხუდად – მეხთულის სახანოს თარჯიმანი, გრიგოლ ორბელიანის მდივანი და ნდობით აღჭურვილი პირი ზაქათალაში. 19, 39, 42, 43, 101, 133, 136, 140, 141, 144, 145, 147, 148.

ვლადიმირი – იხ. ბარიატინსკი ვლადიმერ ივანეს ძე.

ვოლკოვი-ვერიოვკინისა ლიდია ალექსანდრეს ასული – გენერალ პეტრე აპოლონის ძე ვოლკოვის ძმისწული, თეოდორე ნიკოლოზის ძე ვერიოვკინის მეუღლე. 27, 29.

ვოლკოვი პეტრე აპოლონის ძე – გენერალ-მაიორი. მუშაობდა დალესტნის სასაზღვრო ხაზის მარჯვენა ფლანგის მეთაურის თანამდებობაზე. 27, 29, 36, 37, 38, 39, 99, 105, 116, 136, 141, 143, 144, 146, 157.

ვორონცოვი მიხეილ სიმონის ძე (1782-1856) – რუსი თავადი, გენერალ-ფელდმარშალი, კავკასიის მეფისნაცვალი 1844-1854 წლებში. მანამდე ნოვოროსიისკის გენერალ-გუბერნატორი და ბესარაბიის მეფისნაცვალი იყო. 3 წლიდან 19 წლამდე ლონდონში იზრდებოდა, სადაც მამამისი რუსეთის იმპერიის ელჩად მუშაობდა. უდიდესი წვლილი შეიტანა ოდესის განვითარებაში. შამილის წინააღმდეგ ბრძოლისა და ჩეჩნეთში გამოჩენილი თავგანწირვისათვის პრინციის ნოდება მიანიჭეს. 1848 წლისთვის დალესტნის უდიდესი ნაწილი უკვე დაპყრობილი ჰქონდა. სარდლობდა დარლოს ოპერაციას, რომელიც რუსეთის მხედრობისთვის სამარცხვინო კრაზით დასრულდა. თბილისში მის დროს დაარ-

სდა საჯარო ბიბლიოთეკა, ბოტანიკური ბაღი, ქართული ჟურნალი, ოპერა, ქართული და რუსული თეატრი და სხვ. წერილების ადრესატი და აგრეთვე გვ.: 25, 114, 134.

ვრანგელი ალექსანდრე ევსტათეს ძე (1804-1880) – გენერალ-ლეიტენანტი, მსახურობდა ჭარ-ბელაქნის ოლქის ლეკეთის ხაზის უფროსის თანამდებობაზე. გრიგოლ ორბელიანის თბილისში გადმოსვლის შემდეგ კასპიისპირა მხარის სამოქალაქო ნაწილის მმართველად დაინიშნა. 133, 136, 139, 141, 142, 146, 147, 153, 160, 161, 164, 174, 179.

ვრევსკი იპოლიტე ალექსანდრეს ძე (1814-1858) – გენერალ-ლეიტენანტი, ქვეითი დივიზიის მეთაური, კავკასიის ხაზის მარცხენა ფლანგის უფროსი. დაიღუპა მთიელებთან ბრძოლაში. 78, 136, 148, 155, 160, 161, 164, 165, 169.

ზალიკა – სავარაუდოდ, გრიგოლ ორბელიანის მსახური. 158.

ზარგაროვი – ვინაობა დაუდგენელია. 106.

ზინოვიევი – იხ. ზინოვიევი ვასილი ვასილის ძე.

ზინოვიევი ვასილი ვასილის ძე – ქართველ გრენადერთა პოლკის პოლკოვნიკი. 1858 წელს დაინიშნა კავკასიის მთავარსარდლის საგანგებო საქმეთა აღმასრულებლად და სოფლის მეურნეობის მმართველის თანაშემწედ. 56, 156.

ზურაბ – იხ. ორბელიანი დიმიტრი (ზურაბ) ნიკოლოზის ძე.

თათულაშვილი იოსებ – გრიგოლ ორბელიანის ნაყმევი. 81, 82.

თამაზ I ყული-ხანი (იგივე ნადირ-შაჰი) (1688-1747) – სპარსეთის შაჰი 1736-1747 წლებში, ყიზილბაშური აფშართა ტომის წარმომადგენელი. საფუძველი ჩაუყარა აფშართა დინასტიას. ცოლად ჰყავდა თავად გივი ამილახვრის ქალიშვილი. 19.

თამაზხანი (თამაზ ხანი) – თარკოს შამხალ აბუ-მუსლიმ-ხანის უკანონო შვილი, ტყვედ ჰყავდათ აყვანილი მთიელებს. 76, 78, 82, 88, 102, 114.

თამარ – იხ. ამილახვარი-აბაშიძისა თამარ გიორგის ასული.

თამარ – იხ. ორბელიანი-სანკოვსკისა თამარ იაკობის ასული.

თარხანოვი – თარხნიშვილი (თარხან-მოურავი) ალექსანდრე დავითის ძე – გორის თავადაზნაურობის წინამძღოლი 47.

თარხანოვი – თარხნიშვილი (თარხან-მოურავი) კონსტანტინე დავითის ძე – პოლკოვნიკი, იბრძოდა კავკასიის მთიელთა წინააღმდეგ. 1839 წელს დაინიშნა ნუხის (ამჟამინდელი შაქი) გამგებლად, 1857 წელს კი – შემახიის რაიონის გუბერნატორად. 37, 138, 155, 159.

თუმანოვი – თუმანიშვილი ისაკ შიოს (სოლომონის) ძე (1803-1880) – 1851 წლიდან პოდპოლკოვნიკი და კავკასიის კორპუსის მთავარი შტაბის საველე აუდიტორიატის წევრი, 1858 წლიდან კი მისი თავმჯდომარე და თბილისის გუბერნიის ციხეთა ზედამხედველობის კომიტეტის დირექტორი, 1871-1879 წლებში გენერალ-ლეიტენანტი და კავკასიის ჯარების მთავარ შტაბში დახმარებათა კომიტეტის წევრი. 53, 112, 113, 115, 127, 141, 159.

იაკინთე – იხ. ალექსი-მესხიშვილი იაკინთე დიმიტრის ძე.

იასე – იხ. ჭავჭავაძე იასე.

იაშალაშვილი სოსია – სავარაუდოდ, გრიგოლ ორბელიანის მსახური. 158.

იბრაიმხანი//იბრაიმ-ხანი//იბრეიმხანი//იბრეიმ-ხანი// – **იბრაჰიმ ხანი (იბრაჰიმ ბეგ ყარჩაგელი)** – ფლიგელ-ადიუტანტი, პოლკოვნიკი, კაზაკთა პოლკის როტმისტრი, ყოფილი მეხთულის სახანოს გამგებლის – ახმედ ხანისა – და ნოხ-ბი-

ქეს ვაჟი. 1856-1859 წლებში მართავდა სახანოს, გარდა-
იცვალა 1868 წელს. 26, 63, 81, 102, 136, 140, 142, 153.

იბრეიმი – თემირხანშურის ოლქის სოფელ კუმტურყალის მკვი-
დრი, გვარი უცნობია. 95.

იერონიმე – იხ. საძაგლიშვილი იერონიმე.

ივანე//ივან მალხაზიჩი – იხ. ანდრონიკაშვილი ივანე მალხაზის ძე.

ივანე//ივანე მანანასვილი – იხ. ორბელიანი ივანე დავითის ძე.

ივანე მუხრანბატონი//ივანე მუხრანის ბატონი//ივანე მუხრანსკი – იხ.
ბაგრატიონ-მუხრანელი (მუხრანსკი) ივანე კონსტანტინეს ძე.

ივანოვი ნიკოლოზ ალაპოს ძე (1810-1873) – გენერალ-მაიორი,
ქუთაისის გუბერნატორი, გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვი-
ლის, ეკატერინე იაკობის ასული ორბელიანის, მეუღლე.
127, 135, 138, 148, 155, 159.

ილია – იხ. ორბელიანი ილია დიმიტრის (ზურაბის) ძე.

ილიკო – იხ. ჩოლოყაევი – ჩოლოყაშვილი ილია ზაალის ძე.

ილინი – ჩინოვნიკი, იხსენიება სვანეთის უკანასკნელი მთავრის,
კონსტანტინე დადეშქელიანის, მიერ 1857 წელს მეფის რუ-
სეთის მიერ სვანეთის სამთავროს გაუქმებისა და მთავრის
საქართველოდან გასახლების განზრახვის გამო ქუთაისის
გენერალ-გუბერნატორ ალექსანდრე გაგარინთან ერთად
მოკლულთა შორის. 116.

ილინსკი ევსევი (ალექსი) ალექსის ძე – საქართველოს არქივებისკო-
პოსი და ეგზარქოსი (1858-1877). დიდი წვლილი მიუძღვის
ქართული ეკლესია-მონასტრების გაძარცვის საქმეში. 165.

ინდრენიუსი ბერნგარდ ემანუილის ძე – ბარონი, 1855-1856 წლებში
კავკასიის საგანგებო კორპუსის უფროსი. 37, 42, 44, 50.

ინსარსკი ვასილი ანტონის ძე – კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორი. 134, 139.

ირაკლი ღრუზინსკი – იხ. ბაგრატიონი (ბატონიშვილი) ირაკლი ალექსანდრეს ძე.

ისაი//ისაია – იხ. გრამოვი (გრომოვი) ისაი (ისააკ) ივანეს ძე.

ისაკ – იხ. თუმანოვი – თუმანიშვილი ისაკ შიოს (სოლომონის) ძე.

ისმაილ//ისმიელ – იხ. ბოთლიხელი ისმალ.

იუსუფ ბეგი – იხ. ქურელი იუსუფ-ხანი.

კაბლერი ალექსანდრე ქრისტიანეს ძე – შავიზღვისპირეთისა და კავკასიის ხაზის მეთაური. 148, 155, 159.

კაკალა – ორბელიანების ნაყმევი. 58, 73, 102, 140, 141, 144, 148.

კალასოვსკი – იხ. კოლოსოვსკი ივანე გრიგოლის ძე.

კამისაროვი – ოფიცერი, იბრძოდა დაღესტანში. სახელი უცნობია. 100, 106.

კანანოვიჩი პეტრე ივანეს ძე – მაიორი, თბილისის ეგერთა პოლკის მეთაური. 125.

კარაევი იაკობ – დაღესტანში მომსახურე ოფიცერი. 133.

კარლოფი ნიკოლოზ ივანეს ძე (1806-1877) – 1854 წელს დაინიშნა კავკასიის სამხედრო კორპუსის ობერ-კვარტირმეისტერად, 1858 წელს კი – კავკასიის არმიის გენერალ-კვარტირმეისტერად. 1861 წელს მიიღო გენერალ-ლეიტენანტობა. 1870 წელს გახდა ინფანტერიის გენერალი. 1871 წელს აირჩიეს სამხედრო საბჭოს წევრად. წერილის ადრესატი. აგრეთვე: 114.

კატო – იხ. ბარათაშვილი-ერისთავისა ეკატერინე მელიტონის ასული.

კატო – იხ. ორბელიანი-ივანოვისა ეკატერინე იაკობის ასული.

კაუფმანი კონსტანტინე პეტრეს ძე – რუსი სამხედრო მოღვაწე, გენერალური ინსპექტორის შტაბის უფროსი, ინჟინერ-გენერალი (1818-1881). 179.

კესლერი ედუარდ თევდორეს ძე – გენერალი, კავკასიის არმიის ინჟინერთა მეთაური. 175.

კიკო – იხ. ივანოვი ნიკოლოზ ალაპოს ძე.

კიკო – იხ. ჩოლოყაევი – ჩოლოყაშვილი ნიკოლოზ (კიკო) თადეოზის ძე.

კირლგოსტი – იხ. კარლლოფი ნიკოლოზ ივანეს ძე.

კლავდი – იხ. ერმოლოვი კლავდი ალექსის ძე.

კლულენი//კლუგინი – კლუგენი ფონ – მაიორი, სამურის ოლქის მმართველის მოადგილე. 29, 157.

კობიევი – კობიაშვილი ნიკოლოზ იაგორის ძე – პოდპოლკოვნიკი. 1857 წლის 4 ივნისს ტყვედ ჩაუვარდა მთიელებს. 73, 78, 82, 88, 93, 94, 101, 102, 111, 114, 134.

კოლიუბაკინი ნიკოლოზ პეტრეს ძე – 1857-1858 წლებში სამეგრელოს მმართველი. 141.

კოლოსოვსკი ივანე გრიგოლის ძე – გენერალ-მაიორი. 147, 158.

კოლოსოვსკისა – ივანე გრიგოლის ძე კოლოსოვსკის მეუღლე. 158.

კონსტანტინე – იხ. ორბელიანი კონსტანტინე იოსების ძე.

კოპიაშვილი პეტრე – ოფიცერი. 28, 49.

კოცებუ პავლე ევსტათის ძე – გრაფი, ინფანტერიის გენერალი, კავკასიის კორპუსის შტაბის უფროსი, XIX ს-ის 60-იან წლებში ოდესის სამხედრო ოლქის ჯარების უფროსი, 70-იანი წლებიდან სახელმწიფო საბჭოს წევრი, ვარშავის გენერალ-გუბერნატორი და ვარშავის ოლქის ჯარების სარდალი. მონაწილეობდა მთიელებთან ბრძოლებში. გარდაიცვალა 1884 წელს. 134.

კრაჟენკო პავლე პავლეს ძე – შტაბს-კაპიტანი. 116, 118.

კრაპოტკინი ალექსი ივანეს ძე – აფშერონის ქვეითი პოლკის მე-3 ბატალიონის მეთაური. 113, 114.

კრუზენშტერი//კრუზენშტერნი – **კრუზენშტერნი ალექსი თეოდორეს ძე (1813-1886)** – 1839 წლიდან მსახურობდა კავკასიაში, 1850 წელს დაინიშნა კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის ვიცე-დირექტორად, 1855 წელს – მეფისნაცვლის საველე კანცელარიის მმართველად, 1856 წელს – მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორად, 1858 წელს კი – ამიერკავკასიის სამოქალაქო მმართველობის უფროსად. 43, 63, 144, 169.

კულეზაკინი – იხ. კოლიუბაკინი ნიკოლოზ პეტრეს ძე.

ლაგორიო კარლ ფელიქსის ძე – გენერალ-მაიორი, ცნობილი რუსი მხატვრის, ლევ ლაგორიოს, ძმა. 1850-1870 წლებში იბრძოდა კავკასიის მთიელთა წინააღმდეგ, გარდაიცვალა 1901 წელს. 8, 13, 120, 125.

ლაგორიო ლევ ფელიქსის ძე (1826-1905) – ცნობილი რუსი მხატვარი, 1854-1857 წლებში მოღვაწეობდა რომში. 8.

ლაზარევი ივანე დავითის ძე (1820-1879) – სამურის რაზმის ოფიცერი. მონაწილეობდა დაღესტანში გამართულ ბრძოლებში. 1854-1859 წლებში იყო მეხთულის სახანოს მმართველი.

ველი. 1859 წელს შამილთან აწარმოებდა მოლაპარაკებას ლუნიზში. 1860-1867 წლებში ეკავა საპასუხისმგებლო პოსტები, როგორც გენერალ-მაიორს. 59, 95, 101, 102, 111, 133, 153, 162.

ლევან – იხ. მელიქოვი – მელიქიშვილი ლევან ივანეს ძე.

ლევინი ლევ თევდორეს ძე – კავკასიის სამხედრო კორპუსის საარტილერიო ბატარეის მეთაური. 13.

ლიდია//ლიდია ალექსანდროვნა – იხ. ვოლკოვი-ვერიოვკინისა ლიდია ალექსანდრეს ასული.

ლიზა//ლიზა დავიდოვისა – იხ. დავიდოვ-კოსიჩისა ელისაბედ როსტისლავის ასული.

ლორისმელიქოვი – ლორის-მელიქოვი (მელიქიშვილი) მიხეილ ტარიელის ძე (1825-1888) – გენერალ-ადიუტანტი, გრაფი, რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი, 1880-1881 წლებში რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრი და ჟანდარმერიის შეფი, რუსეთის პირველი კონსტიტუციის პროექტის ავტორი. ალექსანდრე II-ის მკვლელობის შემდეგ, რომლის უსაზღვრო ნდობითაც სარგებლობდა, თანამდებობიდან გადადგა და დარჩენილი წლები, ძირითადად, უცხოეთში გაატარა. სომხური წარმოშობის მიუხედავად, თავს ქართველად თვლიდა და მონაწილეობდა საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში. გარდაიცვალა 1888 წელს საფრანგეთის ქალაქ ნიცაში, 1889 წელს ჩამოასვენეს და დაკრძალეს თბილისში, ვანქის ეკლესიის გალავანში. 136.

მაია თუმანო: იხ. ორბელიანი-თუმანიშვილისა მაია (მარიამ) თამაზის ასული.

მაკროპულო ალექსანდრე ივანეს ძე – სამხედრო პირი. 71.

მამუკა – იხ. ორბელიანი მამუკა (მაკარ) თამაზის ძე.

მანანა – იხ. ერისთავი-ორბელიანისა მანანა მირმანოზის ასული.

მანუკინი – მანიუკინი-ნეუსტრუევი ზაქარია სტეფანეს ძე (1799-1882) – გენერალ-მაიორი, კასპიის ჯარების სარდლის, ვრანგელის, თანაშემწე, დერბენდის სამხედრო გუბერნატორი. მონაწილეობდა ლუნიბის ბრძოლაში, რომლის დროსაც დატყვევებულ იქნა შამილი. 28, 94, 97, 98, 115, 116, 117, 146.

მარიამ ერისთავისა – იხ. ბაგრატიონი-ერისთავისა მარიამ სოლომონის ასული.

მაქრაპულოვი – იხ. მაკროპულო ალექსანდრე ივანეს ძე.

მაყაშვილი-ორბელიანისა ნინო – გრიგოლ ორბელიანის ბიძის, იაკობ ორბელიანის, მეუღლე. 20, 22, 23, 25, 30, 35, 37, 45, 47, 48, 53, 66, 67, 72, 77, 90, 104, 112, 113, 115, 116, 126, 156, 159.

მაშინკა – იხ. ოპოჩინინი მაშა ალექსის ასული.

მაჰმად ყადი – აჰყოშის რელიგიური წინამძღოლი. 176.

მგალობლისშვილი – მგალობლიშვილი – სავარაუდოდ, გრიგოლ ორბელიანის მსახური. 158.

მედემ-კაპლერისა ანტონინა ნიკოლოზის ასული – შავიზღვისპირეთისა და კავკასიის ხაზის მეთაურის, ალექსანდრე ქრიტიანეს ძე კაპლერის, მეუღლე. 148, 155, 159.

მელიქოვი – მელიქიშვილი ლევან ივანეს ძე (1817-1892) – თბილისელი ხელმოკლე თავადი, რომელიც შემდგომში საკმაოდ დანინაურდა სამხედრო სამსახურში: მთიელებთან ბრძოლაში გამოჩენილი თავდადებისათვის აყვანილ იქნა ჯერ შტაბსკაპიტნის, შემდეგ კი კაპიტნის ხარისხში. ბოლოს კავალერიის გენერლის ხარისხიც მიენიჭა. იყო მთავარმართებლის მოადგილე და სახელმწიფო საბჭოს წევრი. 4

თვის განმავლობაში ლევან მელიქიშვილი ნიკოლოზ ბარათაშვილთან ერთად მსახურობდა ქალაქ ნახჭევანში: ასრულებდა მაზრის უფროსის მოვალეობას. 64, 169.

მელიქოვი – მელიქიშვილი ყორხმაზ (დიმიტრი) სოლომონის ძე – გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის, თამარ იოსების ასული ორბელიანის, პირველი ქმარი. 135, 158.

მელიქ-შაჰნაზაროვი ბოგდან დიმიტრის ძე – ბაქოს პოლკის შტაბს-კაპიტანი და ბაქოს გუბერნატორის უფროსი ადიუტანტი (1868 წლიდან), ბაქოს გუბერნიის სამოქალაქო დაცვის ინსპექტორი და როტმისტრი (1874 წლიდან), მაიორი, ბაქოს მთავარი პოლიცემისტერი და ციხეთა მზრუნველობის კომიტეტის წევრი-დირექტორი (1877 წლიდან) 101?

მელიქ-შაჰნაზაროვი ისაი სერგეიბეკის ძე – პოდპოლოვნიკი. დაიბადა 1834 წელს. 1877 წლიდან მსახურობდა თბილისის საოლქო საალტილერიო საწყობის ცეცხლსასროლი საბრძოლო მასალისა და ლაბორატორიული საამქროს განყოფილების უფროსად. 101?

მეტლინი ნიკოლოზ თევდორეს ძე – რუსეთის საზღვაო მინისტრი 1857-1860 წლებში. 155.

მეხთი II – თარკოს შამხალი 1794-1830 წლებში და რუსეთის იმპერიის გენერალ-ლეიტენანტი. 26.

მილიუტინა ელიზავეტა დიმიტრის ასული (1844–1938) – კავკასიის არმიის მთავარი შტაბის უფროს დიმიტრი ალექსის ძე მილიუტინის შვილი, გათხოვილი იყო თავად ს. ვ. შახოვსკიზე. 158.

მილიუტინა ნადეჟდა დიმიტრის ასული (1850-1913) – კავკასიის არმიის მთავარი შტაბის უფროს დიმიტრი ალექსის ძე მილიუტინის შვილი, გათხოვილი იყო თავად ვ. რ. დოლგორუკზე. 158.

მილიუტინა ოლღა დიმიტრის ასული (1848–1926) – კავკასიის არმიის მთავარი შტაბის უფროს დიმიტრი ალექსის ძე მილიუტინის შვილი. 158.

მილიუტინი ალექსი დიმიტრის ძე (1845-1904) – გენერალ-ლეიტენანტი, კავკასიის არმიის მთავარი შტაბის უფროს დიმიტრი ალექსის ძე მილიუტინის ერთადერთი ვაჟი. 158.

მილუტინი – მილიუტინი დიმიტრი ალექსის ძე (1816-1912) – რუსი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, გრაფი, სამხედრო მინისტრი (1861-1881), გენერალ-ფელდმარშალი (1898), რუსული არმიის რეფორმატორი, სამხედრო ისტორიკოსი, სახელმწიფო საბჭოს წევრი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი. 1836 წლიდან აქვეყნებდა მნიშვნელოვან სტატიებსა და ნარკვევებს სამხედრო თემებზე, 1860 წელს, მეფისნაცვალ ბარიატინსკის შუამდგომლობით, დაინიშნა კავკასიის არმიის მთავარი შტაბის უფროსად. 93, 95, 139, 141, 146, 148, 158.

მინკვიცი იული თეოდორეს ძე – გენერალ-ლეიტენანტი, პოლკოვნიკი. 1851 წელს გახდა დერბენდის სამხედრო გუბერნატორი. 97, 98, 110, 111.

მირზა უსუფა// მირზა ხუდად//მირზახუდად//მირზა ჰუსუფი – იხ. ვექილოვი მირზა უსუფა ხუდად.

მირზოევი (მიზოევი, მირზოიანი) ივანე (ოვანეს) მინაის (მინასის) ძე – თბილისელი ვაჭარი, რომლისგანაც სესხს იღებდნენ. 32, 44.

მიხეილ – იხ. რომანოვი მიხეილ.

მოლოსტოვი ვლადიმერ ვლადიმერის ძე – ალექსანდრე ბარიატინსკის ადიუტანტი. 107, 120.

მოშინი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე – ტრაპიზონში რუსეთის კონსული. 166.

მოშინი როსტისლავ გრიგოლის ძე – კონტრ-ადმირალი. 174.

მურავიევი (მურავიოვ-ყარსკი) ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე (1794-1866) – გენერალ-ადიუტანტი, 1854-1856 წლებში – კავკასიის მეფისნაცვალი, მოგვიანებით – სახელმწიფო საბჭოს წევრი. 17, 20, 21, 28, 30, 31, 33.

მურთუზჰაჯი – მურთუზ-ჰაჯი – ბელაქნელი ლეკი, კაპიტანი, „მონადირეთა რაზმის“ ერთ-ერთი მეთაური. 1862 წლამდე რუსეთის მხარეს იბრძოდა. 172.

ნადირშაჰი – იხ. თამაზ I ყული-ხანი.

ნაზაროვი ივანე ივანეს ძე – ერევნის გუბერნიის გუბერნატორი (1949 წლიდან). 141.

ნაზიმკა – გენერალ-მაიორი. 147.

ნაზოროვი – იხ. ნაზაროვი ივანე ივანეს ძე.

ნეიდგარდი – ნეიდგარდტი ალექსანდრე ივანეს ძე – გენერალ-ადიუტანტი, კავკასიის მთავარმართებელი 1842-1844 წლებში. ამ თანამდებობაზე მან გოლოვინი შეცვალა. მანამდე მის მოადგილედ მუშაობდა. ხანმოკლე მოღვაწეობის შემდეგ, იმპერატორის ბრძანებით, განთავისუფლდა თანამდებობიდან. მისი მოღვაწეობის დროს იმპერიის გენერლებმა ვერა ვიციტარ ნარმატებს ვერ მიაღწიეს. პირიქით: 1841-1843 წლები შამილის გამარჯვებით აღინიშნა. 1843 წლის ბოლო ოთხი თვის განმავლობაში რუსეთის მხრიდან შამილთან ბრძოლებს შეენირა 3000 ჯარისკაცი და ოფიცერი. ახასიათებენ, როგორც უაღრესად სამართლიანს, პუნქტუალურს, ზედმეტად მომთხოვნსა და მკაცრს, რომელიც მცირეოდენ შეცდომასაც კი არავის პატიობდა. 69.

ნერსეს V – სომხეთის პატრიარქი 1842-1857 წლებში. 141.

ნიკო – იხ. ჭავჭავაძე ნიკოლოზ დიმიტრის ძე.

ნიკო – იხ. ჭავჭავაძე ნიკოლოზ ზურაბის ძე.

ნიკოლაი – იხ. რომანოვი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე (უფროსი).

ნიკოლაი ალექსანდრე პავლეს ძე – ფინელი ბარონი, მუშაობდა თბილისში კავკასიის გუბერნატორის არმიის შტაბის ხელმძღვანელად. ერთხანს მსახურობდა რუსეთის იმპერატორის სასახლის კარზე. ცოლად ჰყავდა ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული სოფიო. 1861 წელს ბარონი კიევში გადაიყვანეს სამუშაოდ. წყვილს ჰყავდა ერთი ქალიშვილი – მარიამ (მაკა). იგი საქართველოში გაიზარდა, იქორწინა გიორგი შერვაშიძეზე. 55.

ნიკოლაი ალაპჩი – იხ. ივანოვი ნიკოლოზ ალაპოს ძე.

ნიკოლაი კონსტანტინოვიჩი – იხ. რომანოვი ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე.

ნიკოლაი ლეონტი პავლეს ძე (1820-1891) – ბარონი, გენერალი, ფლიგელ-ადიუტანტი, კავკასიის არმიის მთავარსარდლის ამალის წევრი, აქტიურ დახმარებას უწევდა გრიგოლ ორბელიანს ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახიდან გატაცებული ქართველი ტყვეებისა და ფრანგი ქალის დახსნის საქმეში. 33, 38, 39, 66.

ნიკოლაი მარიამ (მაკა) ალექსანდრეს ასული – ფინელი ბარონის, კავკასიის გუბერნატორის არმიის შტაბის ხელმძღვანელის, ალექსანდრე ნიკოლაისა და ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულის, სოფიოს, ქალიშვილი. გაიზარდა საქართველოში. იქორწინა გიორგი შერვაშიძეზე. 55.

ნიკოლაი ნიკოლაევიჩი – იხ. რომანოვი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე (უფროსი).

ნიკოლსკი ისიდორე (ერისკაცობაში **იაკობ**) **სერგის ძე** – საქართველოს ეგზარქოსი 1844-1858 წლებში. 1858 წელს

გადაიყვანეს კიევის მიტროპოლიტად. 135.

ნიკორკინი – ოფიცრის სახელი უვნობია. ვიცით მხოლოდ ის, რომ 1857 წელს დალესტანში ტყვედ აუყვანიათ მთიელებს. 76, 102.

ნინა ალექსანდროვნა – იხ. ჭავჭავაძე-გრიბოედოვისა ნინო.

ნინა//ნინო – იხ. მაცაშვილი-ორბელიანისა ნინო.

ნინიკა – იხ. ბაქრაძე ნინიკა.

ნინო – იხ. ორბელიანი ნინო ყაფლანის ასული.

ნინუცა//ნინუცი – იხ. ბარათაშვილი ნინო მელიტონის ასული.

ნობ-ბიქე – ყოფილი მეხთულის სახანოს გამგებლის, ახმედ-ხანის, ქვრივი. სარგებლობდა გრიგოლ ორბელიანის ყურადღებით. 136, 140.

ნურბაანი – აჰყომის ყადის ვაჟი. 95.

ნურბაანყადიასშვილი – იხ. ნურბაანი.

ოკლობჟიო ივანე დიმიტრის ძე (1818-1880) – გენერალ-ლეიტენანტი, კავკასიის ბრძოლების აქტიური მონაწილე. დაკრძალულია თბილისში, ქაშუეთის ეკლესიის ეზოში. 159.

ოკოლნიჩი ნიკოლოზ ანდრიას ძე – კასპიისპირა მხარის ჯარების შტაბსკაპიტანი. 34, 59, 81, 136, 139, 141, 144, 146, 156, 157.

ოლდენბურგელი-რომანოვისა ალექსანდრა პეტრეს ასული – რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე II-ის რძალი, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის მეუღლე. 167.

ოლლა ფეოდოროვნა – იხ. ბადენელი-რომანოვისა ოლლა თეოდორეს ასული.

ონიკოვი – ონიკაშვილი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე – ქართული მილიციის ოფიცერი, გუბერნიის მდივანი. 1844-1845 წლებში ძმასთან, სოლომონთან, ერთად მსახურობდა დაღესტანში. დიმიტრი ყიფიანი თავის „მემუარებში“ ალექსანდრე ონიკაშვილს „თბილისის კერძო ბიბლიოთეკის“ დამაარსებელთა შორის მოიხსენიებს. 60.

ოპოჩინინი ალექსი პეტრეს ძე (1807-1885) – გენერალი, გრიგოლის ბიძაშვილის, ბარბარე ორბელიანის, მეუღლე. 35, 140, 142.

ოპოჩინინი მამა ალექსის ასული – გრიგოლის ბიძაშვილის, ბარბარე იაკობის ასული ორბელიანისა და ალექსი პეტრეს ძე ოპოჩინინის ქალიშვილი. 140.

ორბელიანი ალექსანდრე გიორგის ძე – გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილი. 22, 24.

ორბელიანი ალექსანდრე დავითის ძე (1829-1869) – 1856-1864 წლებში თბილისის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლი, გრიგოლ ორბელიანის გარე ბიძაშვილის, დავით იოანეს ძე ორბელიანისა, და მანანა მირმანოვის ასული ერისთავ-ორბელიანის ვაჟი. 24, 87, 155, 159.

ორბელიანი ალექსანდრე (ჰუბლია) ვახტანგის ძე – 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი ორგანიზატორი, ერეკლე მეფის ქალიშვილის, თეკლას, ვაჟი. 39.

ორბელიანი ალექსანდრე ზაქარიას ძე (1839-1855) – გრიგოლ ორბელიანის ძმისშვილი. 7, 14.

ორბელიანი ასლან ნიკოლოზის ძე (1767-1835) – გრიგოლ ორბელიანის ბიძა, ყაფლან ორბელიანის მამა. რუსეთის მიერ საქართველოს მიერთების შემდეგ პოდპოლკოვნიკის ჩინი მისცეს. 1829 წელს სხვა თავადებთან ერთად წინააღმდეგობა გაუწია მილიციაში განწევას, რის გამოც სამხედრო-სასამართლო კომისიას გადასცეს. 1832 წლის შეთქმულების საგამომძიებლო კომისიამ ის IX კატეგორიის დამნაშავედ ცნო. 16, 47.

ორბელიანი-ბეზაკისა სოფიო ყაფლანის (ივანეს) ასული (დაბად. 1804 წელს) – ყაფლან (ივანე) ზაალის ძე ორბელიანისა და ანა ოთარის ასული ამილახვრის ქალიშვილი. ბავშვობიდან დანიშნული იყო გრიგოლ ორბელიანზე, მაგრამ მათი ურთიერთობა აღარ გაგრძელებულა და მოგვიანებით გათხოვდა კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის მმართველ ნიკოლოზ პავლეს ძე ბეზაკზე. 19, 87.

ორბელიანი-გაგარინისა ანასტასია დავითის ასული (1826-1901) – მანანა ორბელიანის ქალიშვილი, ფრეილინა, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის, ალექსანდრე გაგარინის, მეუღლე. მისი ქმარი 1857 წელს მოკლა სვანეთის უკანასკნელმა მთავარმა კონსტანტინე დადეშქელიანმა მეფის რუსეთის მიერ სვანეთის სამთავროს გაუქმებისა და მთავრის საქართველოდან გასახლების განზრახვის გამო. შვილი არ ჰყავდა. გაზარდა ელენე იაკობის ასული ერისთავი. დაკრძალულია ყირიმში, გაგარინის მამულში. შვილობილმა ანასტასიას საფლავზე პატარა ეკლესია ააგო. 127.

ორბელიანი გიორგი ილიას ძე (დაბადებული 1853 წელს) – ილია ორბელიანის ვაჟი (ტყუპისცალი). 35, 37, 45, 47, 54, 64, 65, 66, 68, 70, 75, 76, 89, 94, 95, 104, 106, 111, 112, 127, 135, 143, 144, 147, 150, 158.

ორბელიანი დავით ყაფლანის ძე – გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის, ყაფლან ასლანის ძე ორბელიანის, ვაჟი მეორე ქორწინებიდან. 15, 16, 19, 22, 47, 87.

ორბელიანი დიმიტრი („პაჭონე“) ვახტანგის ძე – გრიგოლ ორბელიანის ნათესავი, გვარდიის პოდპორუჩიკი. 112, 113, 115.

ორბელიანი დიმიტრი თამაზის ძე – გრიგოლ ორბელიანის ნათესავი. 147, 158.

ორბელიანი დიმიტრი (ზურაბ) ნიკოლოზის ძე (1766-1827) – გრიგოლ ორბელიანის მამა, კოლეგიის მრჩეველი, თბილისის საბაჟოს ზედამხედველი. 16.

ორბელიანი ელენე ყაფლანის ასული (დაბად. 1833 წელს) – გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის, ყაფლან ორბელიანის, ქალიშვილი პირველი ქორწინებიდან. 15, 16, 19, 22, 47, 87.

ორბელიანი-ერისთავისა ელენე ლუარსაბის ასული – ზაქარია ერისთავის მეუღლე. 109.

ორბელიანი ზაქარია დიმიტრის (ზურაბის) ძე (1806-1847) – გრიგოლ ორბელიანის ძმა. სამხედრო პირი, დალესტინის ომების მონაწილე. 1844 წელს პოლკოვნიკობა მიიღო, 3 წლის შემდეგ კი ქოლერით გარდაიცვალა დალესტანში. 67.

ორბელიანი-თარხან-მოურავისა ბარბარე (ბაბო) მამუკას (მაკარის) ასული – გენერალ-მაიორ მამუკა (მაკარ) თამაზის ძე ორბელიანის ქალიშვილი, დაიბადა 1842 წელს. ცოლად გაჰყვა იოსებ დავითის ძე თარხან-მოურავს. 147.

ორბელიანი-თუმანიშვილისა მაია (მარიამ) თამაზის ასული – გიორგი თუმანიშვილის მეუღლე. 158.

ორბელიანი ივანე დავითის ძე (1825-1893) – გენერალ-მაიორი, მანანა ორბელიანის ვაჟი. ცოლად ჰყავდა სოფიო შალვას ასული ერისთავი. 58, 87, 117, 126, 159.

ორბელიანი-ივანოვისა ეკატერინე იაკობის ასული – გრიგოლ ორბელიანის ბიძის, იაკობ ორბელიანის, ასული, გენერალ-ლეიტენანტ ნიკოლოზ ალაპოს ძე ივანოვის მეუღლე. 20, 25, 53, 58, 72, 77, 90, 104, 112, 113, 115, 116, 126, 155, 159.

ორბელიანი ილია დიმიტრის (ზურაბის) ძე (1815-1853) – გრიგოლ ორბელიანის უმცროსი ძმა, გენერალ-მაიორი. მონაწილეობდა დალესტინის ბრძოლებში, რის შედეგადაც ტყვედ ჩაუვარდათ მთიელებს (1842). სხვა ტყვეებთან ერთად იგი შამილს მიჰგვარეს დარლოში (შამილის ყოფილი რეზიდენცია 1840-1845 წლებში). რამდენიმე თვის შემდეგ ილიას გაქცევა უცდია, მაგრამ გზაზე, სოფელ მეხელტას ახლოს, დაუჭერიათ და უკანვე მიუგვრიათ იმამისთვის. გათავისუფლების

შემდეგ, 1846 წელს, დანიშნეს მაზრის უფროსის თანამდებობაზე განჯაში, სადაც საშუალება მიეცა, მიეხედა თავისი დისშვილის – ნიკოლოზ ბარათაშვილის – საფლავისთვის. გარდაიცვალა ყირიმის ომში მიღებული ჭრილობის შედეგად. დაკრძალულია ქაშუეთის ეკლესიაში. 45, 63, 67, 82.

ორბელიანი იოსებ კონსტანტინეს ძე (დაბად. 1824) – გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის, კონსტანტინე იოსების ძე ორბელიანის, ვაჟი. 67, 87, 104, 126.

ორბელიანი კონსტანტინე იოსების ძე (1798-1861) – სამხედრო პირი, გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილი. 48, 127.

ორბელიანი მამუკა (მაკარ) თამაზის ძე (1800-1871) – რუსეთის გენერალ-მაიორი, კავკასიის, რუსეთ-სპარსეთისა და რუსეთ-თურქეთის ომების მონაწილე. გენერალ-მაიორ თამაზ მამუკას ძე ორბელიანისა და ქეთევან დავითის ასული ქობულაშვილის ვაჟი. მისი წინაპარი თამაზ ორბელიანი და გრიგოლის წინაპარი ასლან ორბელიანი იყვნენ ძმები – ყაფლან ორბელის ძენი. ცოლად ჰყავდა ქეთევან გიორგის ასული ერისთავი. ეყოლათ 15 შვილი. დაკრძალულია თბილისში, სიონის ტაძარში. 50, 147, 158.

ორბელიანი-მელიქიშვილისა ალექსანდრა მამუკას ასული – ლევან მელიქიშვილის მეუღლე. მან იშვილა მაიკო ორბელიანისა და ლევან მელიქიშვილის დაობლებული შვილი. თვითონ სამი ვაჟი შეეძინა ლევანთან. 158.

ორბელიანი ნინო ყაფლანის ასული – გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის, ყაფლან ორბელიანის, ქალიშვილი. 15, 16, 19, 22, 47, 87.

ორბელიანი-ოკოლოპიოსი ანასტასია კონსტანტინეს ასული (1831-1884) – გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილი. 159.

ორბელიანი-ოპოჩინინისა ბარბარე იაკობის ასული (დაბად. 1820) – გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილი, გენერალ ოპოჩინინის მე-

ულლე. 20, 25, 72, 77, 90, 104, 112, 113, 115, 116, 126, 142.

ორბელიანი-საგინაშვილისა ბაბაღე – სამარაგდონ ორბელიანის ასული, გრიგოლის ბიძაშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილის მამიდაშვილის, ალექსანდრე საგინაშვილის, მეუღლე, განათლებული ქალბატონი. პოეტის გარდაცვალების შემდეგ მასთან ინახებოდა მისი სურათი, ლექსები და ლეიზევიცის ტრაგედიის – „იულიუს ტარენტელი“ – თარგმანი. 10, 22, 23, 31, 46, 54, 66, 104, 126, 127.

ორბელიანი-სანკოვსკისა თამარ იაკობის ასული (1816-1861) – გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილი, იაკობ ორბელიანის ასული, ანდრია სანკოვსკის მეუღლე. 20, 25, 30, 48, 53, 58, 66, 67, 72, 77, 90, 104, 116, 126, 127, 156.

ორბელიანი-სვიატოპოლკ-მირსკისა სოფიო იაკობის ასული (1829-1879) – გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილი, დიმიტრი სვიატოპოლ-მირსკის მეუღლე. 72, 77, 90, 104, 116, 126.

ორბელიანი-ქობულაშვილისა დარია ალექსანდრეს (პუბლიას) ასული – თბილისის ქვეითი რაზმის მეთაურ დავით ევგენის ძე ქობულაშვილის მეუღლე. 169.

ორბელიანი ყაფლან ასლანის ძე (1813-1878) – გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილი. გადმოცემით, კარგი მომღერალი და მშვენიერი გარეგნობის მამაკაცი. მღეროდა ალექსანდრე ჭავჭავაძისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებზე. 17, 18, 20, 21, 22, 23, 30, 35, 45, 48, 53, 64, 66, 67, 72, 77, 90, 104, 126, 159.

ორლოვსკი ვლადიმერ კონსტანტინეს ძე – ერთხანს მუშაობდა ერევნის გუბერნიის სასამართლო პალატის თავმჯდომარის თანამდებობაზე. 141.

ოქროპირიძე ალექსანდრე (1824-1907) – გამოჩენილი ქართველი სასულიერო მოღვაწე, აფხაზეთის ეპისკოპოსი, ათასობით აფხაზი მოაქცია ქრისტეს სარწმუნოებაზე. XX საუკუნის

60-იან წლებში თბილისის სასულიერო სემინარიაში და ქალთა და ვაჟთა სასწავლებლებში მის მიერ დაარსებული სტიპენდიების წყალობით მრავალმა ქართველმა ახალგაზრდამ მიიღო განათლება. ეხმარებოდა ყაზანის სასულიერო აკადემიის ღარიბ სტუდენტებსაც. დაკრძალულია შიომღვიმის მონასტერში. 1995 წლის 17 სექტემბერს საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა და უწოდა „წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე“. მისი ხსენების დღედ დანესდა 8 ნოემბერი. 155, 159.

ოჰანაშვილი გეუა – გრიგოლ ორბელიანის მოურავი. 54.

პაიჭაძე სვიმეონ – ვინაობა დაუდგენელია. 143.

პაკატილოვი – იხ. პოკატილოვი.

პანჩენკა (პანჩენკო) კირილე პანფილის ძე – ტაბასარანის მაზრის უფროსი. 94.

პაჭონე დიმიტრი – იხ. ორბელიანი დიმიტრი („პაჭონე“) ვახტანგის ძე.

პეტრე – იხ. კოპიაშვილი პეტრე.

პეტრე აპოლონოვიჩი//აპოლონოვიჩი – იხ. ვოლკოვი პეტრე აპოლონის ძე.

პეტრე I (დიდი) (1672-1725) – რუსეთის პირველი იმპერატორი, მხედართმთავარი, სახელმწიფო ფლოტის შემქმნელი, პეტერბურგის ამშენებელი, რეფორმატორი. 175.

პილზახი ლუდვიგ ზენფტ ფონ – ავსტრიელი პოლიტიკური მოღვაწე. 107, 108, 111, 118.

პლატონი – იხ. ალექსი-მესხიშვილი პლატონ დიმიტრის ძე.

პლაშჩევსკი აბრაამ ალექსის ძე – მთავარსარდლის სამმართველოს მთავარი ექიმი, მსახურობდა ქუთაისის სამხედრო ბა-

ნაკშიც (დალესტანი). 34, 136.

პოკატილოვი – ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის ოფიცერი. 13.

პონსე-მილიუტინისა ნატალია მიხეილის ასული (1821-1912) – კავკასიის არმიის მთავარი შტაბის უფროს დიმიტრი ალექსის ძე მილიუტინის ცოლი. 158.

პოპოროლოპულო – ვინაობა დაუდგენელია. 140.

პრინც-ხარიტონოვისა ალექსანდრა პეტრეს ასული – ამიერკავკასიის მთავარი სამმართველოს საბჭოს წევრ ალექსი ალექსანდრეს ძე ხარიტონოვის მეუღლე. 158.

პრჟევალსკი – ოფიცერი, სახელი უცნობია. 55.

რადეცკი თეოდორე თეოდორეს ძე – კასპიისპირა მხარის ჯარების სარდლის შტაბის უფროსი, 1858-1861 წლებში დალესტნის 82-ე ქვეითი პოლკის მეთაური. 13, 28, 83, 133, 136, 140, 144, 146, 154.

რაკუზა//რაკუსა//რაკუსსა – რაკუზა (რაკუსა) ნიკოლოზ ბიკენტის ძე – პოლკოვნიკი, ცხენოსანთა ასეულის მეთაური დალესტანში. 74, 116, 128.

რეადი ნიკოლოზ ანდრიას ძე (1793-1855) – გენერალი, კავკასიის სამხედრო და სამოქალაქო სამმართველოს ინსპექტორი, მოგვიანებით – კავკასიის ჯარების კორპუსის სარდალი. 134.

რეშიდი//რეშიდხანი (რეშიდ-ხანი) – მეხთულის გამგებელ ახმედ ხანისა და ნოხ-ბიქეს ვაჟი, მეხთულის სახანოს მმართველი 1859-1867 წლებში. 102, 136, 140, 142.

რომანოვი მიხეილ – იმპერატორ ალექსანდრე II-ის ძმა. 140, 146, 153, 160, 164, 165, 166, 167, 169, 170, 172, 173, 174, 175, 179.

რომანოვი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე – რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე II-ის შვილი, გარდაიცვალა 1865 წელს და გამეფებას ვერ მოესწრო. 167.

რომანოვი ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე – რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე II-ის ძმის, კონსტანტინე ნიკოლოზის ძის, პირველი ვაჟი. 90.

რომანოვი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე (უმცროსი) – იმპერატორ ალექსანდრე II-ის ძმისშვილი, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რომანოვის ვაჟი. 179.

რომანოვი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე (უფროსი) – იმპერატორ ალექსანდრე II-ის ძმა. 140, 146, 153, 160, 164, 165, 166, 167, 169, 170, 172, 173, 174, 175, 179.

რომანოვსკი დიმიტრი ივანეს ძე – გენერალური შტაბის პოდპოლკოვნიკი. 90.

საგინოვი – საგინაშვილი ალექსანდრე დიმიტრის ძე (1808-1887) – რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი. განათლება მიიღო თბილისის თავადაზნაურთა სასწავლებელში. სამხედრო სამსახურში შევიდა 1826 წელს. მონაწილეობდა რუსეთ-სპარსეთის (1826-1828), რუსეთ-თურქეთისა (1828-1829; 1877-1878) და კავკასიის ომებში. 1869 წელს მიიღო გენერალ-მაიორის ჩინი. იყო მელიტონ ბარათაშვილის დის, მარიამ (მაია) ნიკოლოზის ასული ბარათაშვილის, შვილი და გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის, ბარბარე სამარაგდონის ასული ორბელიანის, მეუღლე. ბარბარეს გარდაცვალების შემდეგ დაქორწინდა ასაკით ბევრად უმცროს ელისაბედ გრიგოლის ასულ ჭავჭავაძეზე (ილიას დაზე). ალექსანდრეს არც ერთი ქორწინებიდან შვილი არ ჰყოლია. 24, 30, 58, 64, 112, 127, 160.

საგინოვი – საგინაშვილი იაგორ დიმიტრის ძე – გენერალ-ლეიტენანტი, ერევნის პოლკის მესამე ბატალიონის მეთაური. 139.

სანდრო – იხ. ორბელიანი ალექსანდრე ზაქარიას ძე.

სანკოვსკი ანდრია სტეფანეს ძე (1799-1859) – გრიგოლ ორბელიანის ბიძის, იაკობის, სიძე, კავკასიის გეოგრაფიული საზოგადოების წევრი. 126, 135, 138, 156.

სარანდოვი ივანე პავლეს ძე – ქართველ გრენადერთა პოლკის ოფიცერი. 90.

სარდიონ – იხ. ალექსი-მესხიშვილი სარდიონ დიმიტრის ძე.

საძაგლიშვილი იერონიმე – მღვდელი, საქართველოს პატრიარქ კირიონ II (ერისკაცობაში გიორგი) საძაგლიშვილის მამა. მსახურობდა მთიელებში. იღწვოდა ოსებში ქრისტიანული ტრადიციების შენარჩუნებისათვის. 105.

სელიმბეგი – სელიმ ბეგი – ქურის სახანოს მმართველ იუსუფ-ბეგის ვაჟი. 154.

სენკოვსკი – იხ. სანკოვსკი ანდრია სტეფანეს ძე.

სერგეი/სერგეია – იხ. ჭილაშვილი სერგეი გაბრიელის ძე.

სვიატოპოლ-მირსკი დიმიტრი ივანეს ძე – პოდპოლკოვნიკი, მიხეილ ვორონცოვის ადიუტანტი, ყაზარდოს პოლკის უფროსი 1857-1859 წლებში.

წერილების ადრესატი.

სიპახსალარი მირზა ჰუსეინ-ხანი – სპარსეთის პრემიერ-მინისტრი. 166.

სოკოლოვი – გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის, ყაფლან ორბელიანის, ოჯახის ახლობელი. 52, 53.

სოსიკა//სოსიკო – გრიგოლ ორბელიანის მსახური. 63, 126.

სოსიკო – იხ. ორბელიანი იოსებ კონსტანტინეს ძე.

სოფიკო – იხ. ორბელიანი-სვიატოპოლკ-მირსკისა სოფიო იაკობის ასული.

სოფიო – იხ. ერისთავი-გაგარინისა სოფიო შალვას ასული.

სოფიო//სოფო – იხ. ერისთავი-ორბელიანისა სოფიო შალვას ასული.

სოფიო – იხ. ორბელიანი-ბეზაკისა სოფიო ყაფლანის (ივანეს) ასული.

სოფიო – სარდიონ ალექსი-მესხიშვილის მეუღლე. 66.

სოფიო//სოფიო ნიკოლაისა – იხ. ჭავჭავაძე-ნიკოლაისა სოფიო ალექსანდრეს ასული.

სპივარევსკაია-ვიხმანისა ნინა სავლეს ასული – ბაქოს პოლიციის უფროს ივანე ლუბიმის ძე ფონ ვიხმანის მეუღლე. 155.

სპივარევსკი სავლე – ვინაობა დაუდგენელია. 155.

სტარია – იხ. ერისთავი გიორგი იესეს ძე.

სტეფანა//სტეფანე – მზარეული, მსახურობდა გრიგოლ ორბელიანთან დაღესტანში, გვარი უცნობია. 75, 76, 77, 87.

სულეიმან ხანი – ყარაბაღის მმართველის, იბრაჰიმ ხანის, ვაჟი, გეგჰარ აღას ძმა. 63.

სულეიმანხანი – **სულეიმან ხანი** – რუსეთის სამსახურში მყოფი პოდპოლკოვნიკი, მაიორ ახმედ ხანის ვაჟი. 72.

სუმბათოვი – **სუმბათაშვილი სოლომონ** – ზაქარია დავითის ძე ციციშვილის სიმამრი. 155.

სუმბათოვი – **სუმბათაშვილი-ციციშვილისა ეკატერინე სოლომონის ასული** – ზაქარია დავითის ძე ციციშვილის მეუღლე. 155.

სუნდუკიანცი გაბრიელ – ცნობილი სომეხი დრამატურგი, მსახურობდა თბილისში მეფისნაცვლის კანცელარიაში, მოგვიანებით – დერბენდის გუბერნიაში. 136.

სუსლოვი ალექსანდრე ალექსის ძე (1807-1877) – რუსი გენერალ-მაიორი, კავკასიის ომის მონაწილე, ერევნის ბატალიონის მეთაური. 97.

ტასიკო//ტასო – იხ. ორბელიანი-გაგარინისა ანასტასია დავითის ასული.

ტასიკო//ტასო – იხ. ორბელიანი-ოკლობუიოსი ანასტასია კონსტანტინეს ასული.

ტერლუგასოვი//ტერლუკასოვი//ტერლუქასოვი – ტერლუგასოვი არზას არტემის ძე – პოდპოლკოვნიკი, აფშერონის ქვეითი პოლკის ბატალიონის მეთაური. 90, 114, 125, 136, 153, 154.

ტრუბეცკოი სერგი ნიკიტას ძე – მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვის ადიუტანტი, ცოლად ჰყავდა ქართველი წარჩინებული სოფიო ირაკლის ასული ბაგრატიონი. 135.

ტულაევი – იხ. თათულაშვილი იოსებ.

უსუფბეგი – იხ. ქურელი იუსუფ-ხანი.

უცმიევი ამირ-ჩობან-ბეგი – 1847-1857 წლებში ყარაყაითაღის მმართველ ჯამოვ-ბეგის ვაჟი. 116.

უცმიევი მეხთი ბეგი – ჯამოვბეგის შვილი. 94, 97.

უცმიევი ხასაი ხან მუსა ოლლი (1808-1867) – გენერალ-მაიორი, ყარაბაღის სახანოს მმართველი. 110.

ფალავანდოვი – ფალავანდიშვილი-ბაგრატიონ-მუხრანელისა ელისაბედ ნიკოლოზის ასული – სამოქალაქო გუბერნატორის, მთავარმმართველის საბჭოს წევრის, ნიკოლოზ იოსების ძე

ფალავანდიშვილის, ასული, კონსტანტინე ივანეს ძე მუ-
ხრანბატონის მეუღლე. 133, 135.

ფინო – ბარონი, თბილისში საფრანგეთის კონსული. 166.

ქოლკენლაღნი – ფოლკენლაღნი (ფოლკენგაგენი) ადოლფ დანიელის ძე – რუსი სამხედრო ინჟინერი. 1848 წლიდან მსახურობდა დაღესტნის რაზმში. 1859 წელს კაპიტნის წოდება მიიღო და დაევალა ქალაქ პეტროვსკის პორტის მშენებლობა, მაგრამ ისევ ირიცხებოდა დაღესტნის რაზმში და მონაწილეობას ღებულობდა საბრძოლო ოპერაციებში. 27, 149.

ქრეიტალი – ფრეიტაგ-ლორინგოფი არკადი ბოგდანის ძე – ვილნოს ქვეითი პოლკის მეთაური 1845-1854 წლებში. 28.

ქეთევან – იხ. ალექსი-მესხიშვილი-ორბელიანისა ქეთევან დიმიტრის ასული.

ქეთევან – იხ. ერისთავი-ორბელიანისა ქეთევან გიორგის ასული.

ქეთუშა სუმბათოვისა – იხ. ბაგრატიონი-სუმბათაშვილისა ქეთევან გრიგოლის ასული.

ქიქოძე გაბრიელ (ერისკაცობაში გერასიმე) – დაიბადა 1825 წლის 15 ნოემბერს ოზურგეთის მაზრის სოფელ ბახვში, გურიის მთავარ მამია გურიელის კარის მოძღვრის, მაქსიმე ქიქოძის, ოჯახში. 1849 წელს დაამთავრა პეტერბურგის სასულიერო აკადემია, ამავე წელს დაოჯახდა და დაბრუნდა საქართველოში. 1849 წელს დაინიშნა თბილისის სემინარიის ინსპექტორად, 1854 წელს – დიაკვნად, შემდეგ – მღვდლად. 1856 წელს, მეუღლისა და ხუთი შვილის გარდაცვალების შემდეგ, ბერად აღიკვეცა დავით გარეჯის მონასტერში. 1858 წელს მონასტრის წინამძღვრად დადგინდა. იმავე წელს გადაიყვანეს გორის ეპისკოპოსად, ხოლო 1860 წელს – იმერეთის ეპარქიის ეპისკოპოსად, სადაც გარდაცვალებამდე მოღვაწეობდა. 155, 159.

ქობულოვი – ქობულაშვილი მიხეილ – გენერალ-მაიორი, ერთხანს მუშაობდა თელავის მაზრის წინამძღოლად. 165.

ქობულოვი – ქობულაშვილი-ორბელიანისა დარია ალექსანდრეს (პუპლიას) ასული – თბილისის ქვეითი რაზმის მეთაურ დავით ევგენის ძე ქობულაშვილის მეუღლე. 169.

ქურელი ასლან-ხანი – ყაზიყუმუხის სახანოს მმართველი 1781-1836 წლებში. 150.

ქურელი იუსუფ-ხანი – ოფიცერი, იბრძოდა დაღესტანში, 1859 წელს მართავდა ქურის სახანოს. ამ თანამდებობაზე დანიშნეს რუსებმა მისი ძმის, ჰარუნ ბეგის, ნაცვლად. გარდაიცვალა 72 წლის ასაკში, 1878 წელს. 96, 151, 154.

ღამაზოვი – იხ. გამაზოვი აბელ არაქელის ძე.

ღამაზოვი – იხ. გამაზოვი მათე აბელის ძე.

ღარნერი – იხ. გარდნერი.

ღოლიცინი – იხ. გოლიცინი.

ღოპვე თეოდორ ივანეს ძე – მთავარსარდლის შტაბის მაიორი. მოგვიანებით გახდა სტავროპოლის გუბერნატორი. 28, 139, 146.

ყაზიმაჰმა//ყაზი მაჰმა – ყაზი მუჰამედი (1833-1903) – კარატის ნაიბი, შამილის ვაჟიშვილი. ცოლად ჰყავდა დანიელ სულთნის ქალიშვილი ქარიმათი. 100, 107, 116, 118.

ყარამან არლუთ: – იხ. არლუთაშვილი ყარამან დავითის ძე.

ყაფლან – იხ. ორბელიანი ყაფლან ასლანის ძე.

ყელესე მაჰმადა – ევგენიევსკის მცხოვრები, ბარონ ნიკოლაისთან დაახლოებული პირი. ბარონი მისი ხელით უგზავნიდა გრიგოლ ორბელიანის ბარათებს შამილსა და მის ქართ-

ველ ტყვეებს. 96.

ყიფიანი დიმიტრი ივანეს ძე (1814-1887) – ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“, „ქართული დრამატული საზოგადოების“, თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის ერთ-ერთი დამფუძნებელი, კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი. 2007 წელს საქართველოს საპატრიარქომ ერის წინაშე განუული უდიდესი ღვაწლის გამო დიმიტრი ყიფიანი წმინდანად შერაცხა. 134.

ყორღანოვი – ყორღანაშვილი იოსებ ივანეს ძე – პოლკოვნიკი, შემდეგში გენერალ-მაიორი, ყოფილი ნუხის (ამჟამინდელი შაქის) მაზრის სამხედრო და სამოქალაქო ნაწილის მმართველი 1852 წლიდან. 165.

ყორღანოვი – ყორღანაშვილი სოლომონ ივანეს ძე – გენერალ-მაიორი, ყირიმის ომის მონაწილე, გენერალ-მაიორ იოსებ ყორღანაშვილის ძმა და კავალერიის გენერლის, ადამ ყორღანაშვილის, მამა. 1859 წელს დაინიშნა ლეკეთის სასაზღვრო ხაზის მარცხენა ფლანგის მეთაურად. 23, 138.

ყორხმაზი – იხ. მელიქიშვილი ყორხმაზ (დიმიტრი) სოლომონის ძე.

შაგიავი – ანწუხ-კაპუჩის თემის ნაიბი. 170.

შალიკოვი – შალიკაშვილი ივანე იოსების ძე (1813-1866) – კაპიტანი ქართველ გრენადერთა პოლკში, პოლკის ხაზინადარ სვიმონ შალიკაშვილის ძმა. 32.

შალიკოვი – შალიკაშვილი სვიმონ იოსების ძე – ოფიცერი ქართველ გრენადერთა პოლკში 1830-1850 წლებში. 1850-1854 წლებში მსახურობდა ზაქათალის ოლქში (ამჟამად შედის აზერბაიჯანის რესპუბლიკის შემადგენლობაში) ქართველ გრენადერთა პოლკის ხაზინადრად. 3, 154.

შამილი (1798-1871) – კავკასიელი მუსულმანების პოლიტიკური, სამხედრო და რელიგიური ლიდერი (1834-1859). განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობდა დაღესტნელ და ჩეჩენ ხალხებს შორის. 1859 წლის 28 აგვისტოს დაატყვევეს და ოჯახით კალუგაში გადაასახლეს. გარდაიცვალა ქ. მედინაში (ახლანდელი საუდის არაბეთი), სადაც მოსალოცად იყო წასული. 9, 23, 28, 29, 49, 55, 69, 70, 71, 72, 74, 75, 77, 78, 79, 80, 82, 86, 87, 99, 100, 107, 112, 113, 115, 117, 120, 122, 129, 133, 157, 161.

შამსუდინ-ხანი (დაბად. 1818 წელს) – შამხალ აბუ-მუსლიმ-ხანის ვაჟი. იბრძოდა რუსეთის მხარეს. 88, 102, 114.

შამშუდინი//შამშუდინი – იხ. შამსუდინ-ხანი.

შამხალი – ბოგულალის ნაიბი. 113, 120.

შარვაშიძე – შერვაშიძე მიხეილ გიორგის ძე – აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი, გენერალ-ადიუტანტი. სამთავროს განაგებდა 1823-1864 წლებში. გადაასახლეს რუსეთში. გარდაიცვალა ვორონეჟში. დასაფლავებულია მოქვის ტაძარში. 148.

შახნაზაროვი – იხ. მელიქ-შაჰნაზაროვი ისაი სერგეიბეკის ძე; იხ. მელიქ-შაჰნაზაროვი ბოგდან დიმიტრის ძე.

შაჰმანდარჰაჯია – შაჰმანდარ-ჰაჯი – ჩირქეის ნაიბი. 82, 107, 115.

შერემეტევი – შერემეტევი სერგი ალექსის ძე – 1856 წლიდან კავკასიის არმიის კავალერიაში ირიცხებოდა მთავარსარდლის განსაკუთრებულ დავალებათა შემსრულებლად. 107, 111, 121.

შიხმაჰმადი – მუსლიმანი ღვთისმსახური ნახჭევანის რაიონის სოფელი ხანაგიდან. 9.

შტანგე ედუარდ კარლოს ძე – შირვანის ქვეითი პოლკის ბატალიონის მეთაური. 146.

შტანლე – იხ. შტანგე ედუარდ კარლოს ძე.

შუაზელი – იხ. გოლიცინ-შუაზელ-გოფიესი ბარბარე გრიგოლის ასული.

ჩერნიშოვა-ბარიატინსკისა ელისაბედ ალექსანდრეს ასული პოლკოვნიკ ვლადიმერ ივანეს ძე ბარიატინსკის (მეფისნაცვალ ალექსანდრე ბარიატინსკის ძმის) ცოლი, სამხედრო მინისტრ ალექსანდრე ჩერნიშოვის ქალიშვილი. 155, 159.

ჩოლოყაევა – იხ. ანდრონიკოვი – ანდრონიკაშვილი-ჩოლოყაშვილისა ელენე ივანეს ასული.

ჩოლოყაევი – ჩოლოყაშვილი ილია ზაალის ძე – გენერალ ივანე მაღხაზის ძე ანდრონიკაშვილის სიძე. 66, 70, 104, 169.

ჩოლაყაევი//ჩოლაყაშვილი – ჩოლოყაშვილი ლევან – გენერალი, თუშეთის რაზმის მეთაური. 165.

ჩოლაყაევი – ჩოლაყაშვილი ნიკოლოზ (კიკო) თადეოზის ძე – პოლკოვნიკი. 18, 19.

ციციშვილი ზაქარია დავითის ძე (1805-?) – ქართველი თავადი, პრო-პროშჩიკი. 1832 წლის შეთქმულების გამომყვალაგნების შემდეგ მე-7 კატეგორიის დამნაშავედ ცნეს (ამ კატეგორიაში შედიოდნენ ის პირები, ვინც იცოდა შეთქმულების არსებობა, მაგრამ წინააღმდეგი იყო მონაწილეობის მიღებისა) და დააპატიმრეს. გაათავისუფლეს 1833 წლის 31 აგვისტოს. 155.

ნულუკიძე – ვინაობა დაუდგენელია. 140.

ჭავჭავაძე-გრიბოედოვისა ნინო ალექსანდრეს ასული (1812-1857) – პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული, მუსიკოსი, მომღერალი, მოცეკვავე. წინანდალსა და თბილისში აწყობდა ოჯახურ სპექტაკლებს, სადაც თავადაც მონაწილეობდა. აღიზარდა პრასკოვია არსენიევა-ახვერდოვას პანსიონში, სადაც გაიცნო მომავალი მეუღლე ალექსანდრე გრიბოე-

დოვი. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ აღარ გათხოვილა. ჩართული იყო სახელმწიფო საქმეებში. გარდაიცვალა მალარიით. ანდერძის თანახმად, დაიკრძალა მთანმინდაზე, მეუღლის გვერდით. 58.

ჭავჭავაძე გულბათ (პანტელეიმონ) იოანეს ძე – კახეთის თავადთა საგვარეულო შტოს ცნობილი წარმომადგენელი, გენერალ ზაქარია ჭავჭავაძის მამა. წინანდელ თავადს მამულე-ბი გურჯაანშიც ჰქონდა, კერძოდ, სოფელ ურიათუბანში (ახლ. ვაზისუბანი). სოფლის გარეთ აშენებული ევროპული სტილის სასახლე დღესაც იქცევეს ყურადღებას. სოფელში მათ ოჯახს „გულბათიანთს“ ეძახდნენ. 169, 170.

ჭავჭავაძე-დადიანისა ეკატერინე ალექსანდრეს ასული (1816-1882) – პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული, სამეგრელოს მთავარ დავით დადიანის მეუღლე. იყო სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი დედოფალი. მემკვიდრის სრულწლოვანებამდე, მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, 1853 წელს, რუსეთის იმპერატორმა რეგენტად დაამტკიცა. ყირიმის ომის დროს ეკატერინე პირადად მონაწილეობდა ოსმალთა სარდალ ომარ ფაშას წინააღმდეგ კამპანიაში. სამეგრელოს სამთავროს გაუქმების შემდეგ დასახლდა ჯერ სანკ-პეტერ-ბურგში (სადაც „სტატუს დამის“ წოდება მიანიჭეს და წმინდა გიორგის მედლით დააჯილდოვეს), შემდეგ კი გერმანიაში გაემგზავრა. 60-იანი წლების ბოლოს, საფრანგეთის იმპერატორ ნაპოლეონ III-ის ოჯახის მიწვევით, შვილებთან ერთად საცხოვრებლად პარიზში გადავიდა. გარდაიცვალა გულის ავადმყოფობით. დაკრძალულია მარტვილის მონასტერში, მეუღლის გვერდით. 52, 55, 58, 85, 116.

ჭავჭავაძე დავით ალექსანდრეს ძე (1818-1884) – პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის ვაჟი, რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი, შტაბსკაპიტანი, მიხეილ ვორონცოვის ადიუტანტი. მსახურობდა ლეიბგვარდიის გრენადერთა პოლკში. ყირიმის ომის დროს (1853-1856) ხელმძღვანელობდა კახეთის დაცვას შამილის რაზმებისაგან. 1854 წელს განსაკუთრებული დამსახურებისათვის მეფის ფლიგელ-ადიუტანტი

გახდა. 1856 წელს თბილისის ეგერთა პოლკში გადაიყვანეს. 1861 წელს გენერალ-მაიორის ჩინი მიენიჭა და მეფის ამაღლაში ჩაირიცხა. ამავდროულად კავკასიის არმიამიც მსახურობდა. ცოლად ჰყავდა ილია ბატონიშვილის ასული ანა. 9, 53, 136, 148, 155.

ჭავჭავაძე ზაქარია გულბათის ძე (1824-1905) – გამოჩენილი მხედართმთავარი. 17 წლის ასაკში ნიჟეგოროდის ლეგიონში ჩაირიცხა მოხალისედ. 1885-1893 წლებში კავკასიის არმიის პირველ კორპუსს მეთაურობდა. ოფიცრობის 50 წლისთავთან დაკავშირებით „ბრილიანტის ნიშანი“ და ალექსანდრე ნეველის I კლასის ორდენი გადაეცა. დაკრძალულია შუამთაში, საგვარეულო სასაფლაოზე.

ჭავჭავაძე იასე – თბილისის გუბერნიის სამმართველოს წევრი. 86.

ჭავჭავაძე-ნიკოლაისა სოფიო ალექსანდრეს ასული (1833-1862) – პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული, ბარონ ნიკოლაის მეუღლე. დაკრძალულია ქ. ვიბორგში მეუღლის გვერდით. 52, 55.

ჭავჭავაძე ნიკოლოზ დიმიტრის ძე (1830-1903) – მოსამართლე, თბილისის სასამართლო პალატის დეპარტამენტის უფროსი. ცოლად ჰყავდა ესტატე ერისთავის ასული ქეთევანი. 148.

ჭავჭავაძე ნიკოლოზ ზურაბის ძე – ლეიბ-გვარდიის კაზაკთა პოლკის პორუჩიკი. 41, 47, 76, 78, 87, 90, 91, 92, 93, 95, 96, 147, 148.

ჭავჭავაძე-შალიკაშვილისა დარია (დარიკო) გულბათის ასული – გენერალ-მაიორ ივანე იოსების ძე შალიკაშვილის მეუღლე. 169.

ჭილაშვილი სერგი (შიოში) გაბრიელის (გლახას) ძე (1803-1864) – გენერალ-მაიორი, შემახის სამხედრო გუბერნატორი და სამოქალაქო ნაწილის მმართველი. მონაწილეობდა რუსეთ-სპარსეთისა და რუსეთ-თურქეთის ომებში. ყარსის აღებისას მიიღო შტაბსკაპიტნობა. 1834-1835 წლებში ნოვოალექსანდროვკის ციხის უფროსად მსახურობდა ორენბურგის მხარეში. 1839 წელს მონაწილეობდა ხივის ექსპედიციაში. 1842 წელს მიიღო

როტმისტრის წოდება. მონაწილეობდა შამილის წინააღმდეგ ბრძოლაში. სამხედრო გუბერნატორად იმსახურა 7 წელიწადი. დაკრძალულია დუშეთში. 38, 39.

ხარიტონოვი ალექსი ალექსანდრეს ძე – რუსეთის სახელმწიფო მოღვაწე, 1857 წელს დაინიშნა კავკასიის მხარის მთავარი სამმართველოს საბჭოს წევრად. განაგებდა მხარის სამოქალაქო მოწყობის საკითხებს. მოგვიანებით მიაღწინეს პეტერბურგში, რათა ფინანსთა სამინისტროში წარედგინა საკუთარი მოსაზრებები კავკასიის ადგილობრივი შემოსავლის განსაკარგავად მეფისნაცვლისთვის გადაცემასთან დაკავშირებით. 138, 158.

ხასაი მუსაი//ხასაიმუსაი – იხ. უცმიევი ხასაი ხან მუსა ოღლი.

ხასბულატი – ჩირქეის უხუცესის, ჯამალის, ვაჟი. 78, 89.

ხასკინი – ოფიცერი, მსახურობდა დაღესტანში, სახელი უცნობია. 98.

ხახუტოვი – ხახუტაშვილი – გენერალ ანანიაშვილის ნდობით აღჭურვილი პირი. 60.

ხოცკო იოსებ ივანეს ძე – სამხედრო გეოდეზისტი, გენერალ-ლეიტენანტი. 158.

ხრისტინიჩი – იხსენიება ალექსანდრე მიხეილის ძე დონდუკოვ-კორსაკოვის მოგონებებში, როგორც მისი და ალექსი თეოდორეს ძე კრუზენშტერნის სამეგობროს ერთ-ერთი წევრი. 158.

ჯამალა – ჩირქეის უხუცესი. 74, 78, 80, 89.

ჯამბაკურ-ორბელიანი ივანე კონსტანტინეს ძე („ვანკა პაჟარნი“) (1833-1892) – გენერალ-მაიორი. დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდა რუსეთში. გარდაიცვალა იქვე. დაკრძალულია მოსკოვში ნოვოდევიჩის სასაფლაოზე.

წერილის ადრესატი.

ჯამობეგი (ჯამოვ-ბეგი) – პოლკოვნიკი, დალესტნის მხარის, ყარაყაითალის, მმართველი 1847-1857 წლებში. 94, 97, 115.

ჯანყულაშვილი პეპენა – სავარაუდოდ, გრიგოლ ორბელიანის მსახური. 158.

ჯაფარ-ხანი – ყაზიყუმუხის მმართველის, ალაღარ-ბეგის, ვაჟი. 150, 151, 154, 157.

ჯიბრაილბეგი – ჯიბრაილ ბეგი – ქურის მმართველის, იუსუფ-ბეგის, ძმა. 150, 151, 154.

ჯორჯაძე დიმიტრი დავითის ძე (1822-1883) – საოლქო კანცელარიის გამგე დალესტანში, ქალაქ თემირხანშურაში (დღევანდელი ბუინაქსკი). 17, 18, 42, 53, 63, 103, 126.

ჯოხაძე – გრიგოლ ორბელიანის ნაყმევი. 16.

ჰათამბეგი – ჰათამ-ბეგი – ქურის სახანოს მმართველ იუსუფ-ბეგის ძმის, ალი-ბეგის, ვაჟი. 94, 97.

ჰასან ბეგ ალაღარი – გენერალ-მაიორი, რუსული ორიენტაციის მთიელი, ყაზიყუმუხის უკანასკნელი ხანი. 26, 38, 39, 101, 149, 150, 151, 154, 156, 157, 160.

ჰაჯიმურადი – ჰაჯი მურადი (მურადი) (1814-1852) – შამილის უმამაცესი ნაიბი, დალესტნის თავისუფლებისათვის მებრძოლი გმირი. დაიბადა და ალიზარდა დალესტანში, ხანების სასახლეში. თავისი გავლენით ის თითქმის შამილის მეტოქეც გახდა. შამილთან დაპირისპირების გამო რუსულ მმართველობას ეახლა. მოკლეს გაქცევის მცდელობისას ნუხის (ამჟამინდელი შაქის) მაზრაში. 9.

ჰაჯიოვი – იხ. შაჰმანდარჰაჯია.

ჰუსუფბეგი – იხ. იუსუფ ბეგი.

გეოგრაფიულ სახელთა ანოტირებული საძიებელი

- ავარია** – იგივე ღუნძეთი, ხუნძახი. ფეოდალური სამფლობელო დაღესტანში. ავარიის სახანომ თავის ძლიერებას მიაღწია XVIII ს-ში და მოიცვა დაღესტნის ჩრდილო და დასავლეთი რაიონები. მისი გავლენის ქვეშ იყო მოქცეული ისტორიული კახეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი ქარ-ბელაქანი. 1843 წელს ავარიის სახანო გააუქმა რუსეთმა და შექმნა გამგეობა, რომლის ზედამხედველობა დაეკისრა გრიგოლ ორბელიანს. 50, 141.
- ავთური** – დასახლებული პუნქტი ჩეჩნეთის რესპუბლიკაში (რუსეთის ფედერაცია), გროზნოს სამხრეთ-აღმოსავლეთით, დღევანდელ შალის რაიონში, მდინარე სუნჟის აუზში. 49.
- ავლაბარი** – თბილისის ერთ-ერთი ძველი უბანი. 52, 165.
- აზია** 59.
- აიმაკი** – სოფელი დაღესტანში. მდებარეობს გიმრის მთაგრეხილის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდობზე, ზუბერხის მთის ძირში. 153.
- ალავერდი** – სოფელი კახეთში. შედის ახმეტის მუნიციპალიტეტში. აქ მდებარეობს ალავერდის საკათედრო ტაძარი და მონასტერი. 140.
- ალმალო** – სოფელი დაღესტანში, მაჰაჩყალიდან 26 კილომეტრში. 130.
- ანანური** – სოფელი მდინარე არაგვის მარჯვენა ნაპირზე, საქართველოს ყოფილ სამხედრო გზაზე, 1803-1821 წლებში იყო ყოფილი ანანურის მაზრის ცენტრი. ამჟამად შედის დუშეთის მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში. 10, 22, 54, 57, 58, 66, 104, 126, 127.

ანგლია – იხ. ინგლისი.

ანდი – დაღესტნის ძლიერი ტომის სამოსახლო მდინარე ანდიის ყოისუს მარცხენა სანაპიროზე. 129.

ანისადალი – მთა დაღესტანში. 153.

ანწუხი – სოფელი დაღესტანში, კავკასიონის ქედის მახლობლად, ყოფილი ჭარ-ბელაქნის ოლქის ჩრდილოეთით. 155, 161, 164, 165, 170.

არაბისტანი – არაბეთის ნახევარკუნძული. ისლამის სამშობლო. 145.

არაკანი – სოფელი უნცეკულის რაიონში, ჩეჩნეთის რესპუბლიკაში (რუსეთის ფედერაცია). 55.

არქაზი (არკაზი) – თემირხანშურასთან მდებარე სოფელი. 105.

ასტარხანი (ასტრახანი) – ქალაქი რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე, მდინარე ვოლგის დელტაში. 1395 წელს დაარბია თემურლენგმა. მალევე აღორძინდა და XV ს-ში წარმოქმნილი ასტრახანის სახანოს სატახტო ქალაქი გახდა. 1556 წელს დაიპყრო ივანე IV-მ. 1558 წელს აშენდა ციხე-გალავანი. იმ დროიდან რუსეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ სასაზღვრო ციხესიმაგრედ იქცა. 35, 36, 174.

აუხი – მხარე ჩეჩნეთში, სალათავიის ტერიტორიის მახლობლად. მოიცავს 17 სოფელს. 80, 114, 115.

აფშერონი – რაიონი აზერბაიჯანში. 90, 113, 117.

აქტამ-აუხი – დაღესტნის ჩეჩნური სოფელი. 107.

აყუმა//აჰყომა (აჰყომა) – სოფელი დაღესტანში, რაიონული ცენტრი. ძირითადად, დარღოელებითაა დასახლებული. 101, 108, 111, 149, 150, 153, 176.

აშტი – სოფელი მთიან დაღესტანში. 9.

აშტიყუყუმის მთა – მდებარეობს დაღესტანში. 9.

ახტა – სოფელი დაღესტნის სამხრეთ ნაწილში, ყოფილი სამურის ოლქში, ახტისა და სამურის მდინარეების შენაკადთან. სოფელი ადრე კავკასიის ალბანეთის შემადგენლობაში შედიოდა ტლურის სახელწოდებით, შემდეგ – ლაკსის ადრეფეოდალურ სახელმწიფოში, უფრო მოგვიანებით კი – რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. 32, 153.

ახტამ აუხი (აკტამ-აუხი) – დაღესტნის ჩეჩნური სოფელი. 107, 161.

ბაქო – აზერბაიჯანის დედაქალაქი. „ბაქო“ აზერბაიჯანულად ნიშნავს ქარიან ადგილს. მდებარეობს კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროზე, აფშერონის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში. 42, 138, 173, 174, 175.

ბაშლი – სოფელი დაღესტანში. 104.

ბეგლიარი – სოფელი დაღესტანში. 130

ბელაქანი – ქალაქი აზერბაიჯანში, ბელაქნის რაიონის ადმინისტრაციული ცენტრი, შაქი-ზაქათალის ეკონომიკური ზონის ნაწილი. მოსახლეობის უმეტესობას აზერბაიჯანელები შეადგენენ, დაახლოებით მეხუთედი ხუნძები არიან, ცხოვრობენ ასევე ქართველები (ინგილოები). 172.

ბოგოლალი (ბოგულალი) – სოფელი ტუმადინსკის რაიონში (ჩეჩნეთის რესპუბლიკა, რუსეთის ფედერაცია), გაშენებულია მდინარე ანდის მარჯვენა სანაპიროზე. 113.

ბორჯომი 141, 143, 146, 148, 154, 155, 156, 159.

ბურთუნი – ადგილობრივთა გამოთქმით, „ბურტინა“. შამილის გამაგრებული სოფელი დაღესტანში, სალათავიის მხარეში. მთიელების ძლიერი სტრატეგიული პუნქტი, რომელიც

აილო გრიგოლ ორბელიანმა 1857 წელს. სოფლის ნანგრევების ახლოს აგებულ იქნა ციხე-სიმაგრე ჭარელებისათვის – ახალი ბურთუნაი. 69, 79, 89, 99, 100, 105, 106, 107, 111, 112, 113, 116, 118, 128, 129, 130, 160, 161, 164.

გერგებილი – სოფელი ანდალალში (დაღესტანი), ყაზიყუმუხის ყოისუს ნაპირას. დღეს ცალკე რაიონია. ცენტრი – გერგებილი. 153.

გილანი – ირანის პროვინცია. 138.

გიმრი – დიდი სოფელი დაღესტანში, მდ. ხუნძეთის ყოისუს მარჯვენა სანაპიროზე, ღრმა ხეობაში; შამილის სამშობლო. 21.

გომბორი – ქედი ახმეტის, თელავის, გურჯაანის, სიღნაღის, დედოფლისწყაროს, თიანეთისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებში. საგარეჯოსა და ქარელის მუნიციპალიტეტებში არის ამავე სახელწოდების სოფლებიც. 140, 169.

გრემი – სოფელი კახეთში, შედის ყვარლის მუნიციპალიტეტში. აქ მდებარეობს გრემის სამონასტრო კომპლექსი. 101.

გუმბეთი – მნიშვნელოვანი ოლქი და სტრატეგიული პუნქტი დაღესტანში, ანდიის ყოისუს მარცხენა ნაპირზე (ავარიის მხარე). 100, 129.

გუსარკა (გუსარი) – სოფელი აზერბაიჯანში, ყოფილი ყუბის მაზრაში. 153, 175.

დარღო – დიდი სოფელი დაღესტანში. შამილის ყოფილი რეზიდენცია. 1845 წლის მაის-ივლისში ვორონცოვის სარდლობით მოეწყო ექსპედიცია დარღოს ასაღებად. 74, 77, 78, 79, 87, 92, 95, 111, 112.

დაღესტანი (დაღესტანი) (სიტყვა თურქულია, „დაგ“ მთებს ნიშნავს, „სტანი“ – მიწას) – დაღესტნის რესპუბლიკა, შედის რუსეთის სამხრეთ ფედერალური ოლქის შემადგენლობა-

ში, დედაქალაქი – მაჰაჩყალა. ტერიტორია დასახლებული ყოფილა პალეოლითის ეპოქიდან. 1813 წელს დაღესტანი რუსეთ-სპარსეთის გიულისტანის ხელშეკრულებით რუსეთის იმპერიას მიუერთეს. 1860 წელს კი დაარსდა რუსეთის იმპერიის დაღესტნის ოლქი. 1920 წელს გამოცხადდა დაღესტნის ავტონომია, 1921 წელს შეიქმნა დაღესტნის ასსრ. 1991 წელს დადგინდა მისი სტატუსი: დაღესტნის რესპუბლიკა – რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში. აქ ცხოვრობენ: ავარელები, ლეკები, დარღელები, ყუმუხები, ლაკები, ჩეჩნები და სხვ. 20, 25, 50, 55, 56, 80, 101, 110, 118, 148, 149, 154, 179.

დედოფლისწყარო 136.

დერბენდი – ამჟამად დარუბანდი, მნიშვნელობით მეორე ქალაქი დაღესტანში, კასპიის ზღვის ნაპირზე (მაცხოვრებლები: აზერბაიჯანელები, ლეკები და სხვ.). 9, 42, 43, 111, 150, 175.

დიდო (დიდოეთი) – დიდოელებით დასახლებული ისტორიული რეგიონი დღევანდელი დაღესტნის რესპუბლიკის ტერიტორიაზე 164, 165.

დილიმი – სოფელი დაღესტანში. 113, 117, 129, 130, 160, 161, 164.

დიშლარი (დიშლაჰარი) – ამჟამინდელი სერგოკალა, დაბა სამურის ოლქში (სამურის პოლკის შტაბს აქ ჰქონდა ბინა). 175.

ევგენიევსკის ციხე – ეს ციხესიმაგრე სოფელ ჩირქეის პირდაპირ აშენდა 1841 წელს და სახელი დაერქვა იმ დროს კავკასიის მთავარმართებლის, ევგენი გოლოვინის, პატივსაცემად. 68, 104, 105, 106, 128, 129, 161.

ენისელი – სოფელი კახეთში. შედის ყვარლის მუნიციპალიტეტში. 170.

ერევანი – სომხეთის რესპუბლიკის დედაქალაქი, მდებარეობს მდინარე რაზდანზე. სხვადასხვა დროს ერქვა ერებუნი, ერივანი. 134, 141, 148, 169.

ერმიაძინი – იგივე ვალარშაპატი. ერთ დროს იყო სომხეთის დედაქალაქი. ქრისტიანობის მიღების შემდეგ ერმიაძინი სომხურ-გრიგორიანული ეკლესიის ცენტრი და კათოლიკოსის რეზიდენციაა. 138, 141.

ვამლოვანი – ისტორიული სოფელი, ამჟამად ნასოფლარი სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში, ლაგოდეხის რაიონში, აზერბაიჯანის საზღვართან, სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორიაზე. 158.

ვლადიკავკაზი – ოსეთის რესპუბლიკის დედაქალაქი, მდებარეობს რესპუბლიკის სამხრეთ-აღმოსავლეთით (გარკვეულ პერიოდებში ეწოდებოდა ძაუჯიყაუ და ორჯონიკიძე). 142.

ვორონეჟი – ქალაქი დასავლეთ რუსეთში. დაარსდა 1585-1586 წლებში, მეფე თედორე I-ის მიერ. XVII საუკუნეში რუსეთის იმპერატორმა პეტრე I-მა დაიწყო ბრძოლა ტერიტორიის გასაფართოებლად და აზოვის ზღვაზე გასასვლელად. ამ ბრძოლებში ქალაქი ვორონეჟი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. 103.

ზაქათალა – ზაქათალის რაიონის ადმინისტრაციული ცენტრი აზერბაიჯანის რესპუბლიკის ჩრდილო-დასავლეთით. 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში შემავალი ზაქათალის ავტონომიური ოლქის ცენტრი იყო. 1921 წელს საბჭოთა რუსეთის მითითებით, კავკასიელმა კომუნისტებმა ქალაქი ზაქათალა, თავის ოლქთან ერთად, საქართველოს უკანონოდ ჩამოაჭრეს და აზერბაიჯანს გადასცეს. 136, 172.

ზუბუტი (ზუბუტლი) – დაღესტნის ერთ-ერთი უძველესი სოფელი. 129, 130.

ზუგდიდი 85.

თარკო – მთიელი ებრაელების სოფელი ყოფილ საშამხლოში. 26, 176.

თბილისი 9, 16, 23, 35, 43, 46, 47, 49, 54, 55, 57, 59, 60, 61, 86, 89, 93, 111, 113, 116, 120, 121, 127, 128, 133, 134, 135, 136, 138, 140, 141, 143, 144, 145, 147, 148, 158, 160, 162, 164, 166.

თელავი 35, 148, 155, 169, 179.

თელეთი – ზემო და ქვემო თელეთის ძველი სახელწოდება. შედის გარდაბნის მუნიციპალიტეტში. 159.

თემირხანშურა//შურა – 1922 წლამდე ციხესიმაგრე დაღესტანში, კავკასიონის მთისწინეთში, მდ. შურა ოზენის ნაპირზე. ამჟამად ქალაქი ბუინაქსკი. 7, 8, 9, 12, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 30, 31, 35, 37, 38, 43, 45, 46, 47, 48, 49, 50, 53, 54, 55, 56, 58, 59, 60, 61, 64, 65, 66, 67, 68, 71, 74, 75, 76, 77, 81, 85, 86, 96, 100, 102, 106, 111, 112, 120, 121, 122, 123, 124, 127, 128, 135, 138, 144, 150, 153, 156, 176, 177.

თერენგული – მდინარე სალასუს ზემო წელი (დაღესტანი). 69, 70.

იბრაიმ დადა – მთა. მდებარეობს ევგენიევსკისა და ბურთუნაის შორის. 128, 129.

ილანხევი – სასოფლო საზოგადოება დაღესტანში, აერთიანებს რამდენიმე სოფელს. მდებარეობს საქართველოს საზღვართან. ადრე შედიოდა ელისუს სასულთნოში. 164.

იმერეთი 55.

ინგლისი – გაერთიანებული სამეფოს ადმინისტრაციული ერთეული, მოიცავს დიდი ბრიტანეთის კუნძულის ორ მესამედს. დედაქალაქი – ლონდონი. 55, 138.

ინდოეთი – ქვეყანა სამხრეთაზიაში, ინდოსტანის ნახევარკუნძულზე. მოსაზღვრე ქვეყნებია: პაკისტანი, ავღანეთი, ჩინეთი, ნეპალი, ბუმტანგი, მიანმა, ბანგლადეში. 55.

ირანი – სახელმწიფო აზიის სამხრეთ-დასავლეთით, დედაქალაქი – თეირანი; ერთ-ერთი უძველესი სახელმწიფო მსოფლიოში, ზოროასტრიზმის (მაზდეანობის) შექმნის ადგილი. 72.

ირიბი – იგივე ირიხი, მთავარი სოფელი ტლესერუხში, გამაგრებული სტრატეგიული პუნქტი შამილის დროს, ნაიბ დანიელ ბეგის რეზიდენცია 1844-1859 წლებში. 29, 145.

იშკარტა//იშკარტი (იშკარტი) – ყუმბიხელთა სოფელი თემირხან-შურასთან ახლოს. დალესტნის ქვეითი პოლკის შტაბბინა. 12,13, 74, 129.

კავკაზი//კავკასია – სამ – შავ, კასპიისა და აზოვის – ზღვას შორის მოქცეული რეგიონი, უმდიდრესი მხარე ეთნიკურად და ლინგვისტურად. კავკასიონის ქედით ორ ნაწილადაა გაყოფილი – ამიერკავკასიად და ჩრდილოკავკასიად. 50, 82, 92, 116, 140, 147, 177, 179.

კაპუჭა (კაპუჩი) – სოფელი დიდოეთში. 160, 165, 170.

კასპიის ზღვა – ზოგჯერ თვლიან მსოფლიოს უდიდეს ტბად. სახელწოდება მიიღო კავკასიის აღმოსავლურ ნაწილში მცხოვრებ კასპიების ტომებისაგან. ადრე ეწოდებოდა ჰირკანი, შემდეგ – ხალთანი. ესაზღვრება რუსეთის ფედერაცია, აზერბაიჯანის რესპუბლიკა, ყაზახეთი, თურქმენეთი და ირანი. 155.

კახეთი 28, 29, 42, 46, 50, 78, 87, 139, 165, 169.

კიევი – უკრაინის დედაქალაქი. გაშენებულია მდინარე დნეპრზე. უკრაინელების გარდა, მოსახლეობას შეადგენენ რუსები, ებრაელები, ბელორუსები. 135.

კირაჩი (კირჟაჩი) – სოფელი დალესტანში. 130.

კისლოვოდსკი (მჟავე წყალი) – საკურორტო ქალაქი რუსეთის

ფედერაციაში, ამჟამინდელი სტავროპოლის მხარეში. განთქმულია მინერალური წყლებით. 139.

კიპინ აუხი – სოფელი დაღესტანში (რუსეთის ფედერაცია), შემდგომში ეწოდა ჩაპაევკა. 120, 122, 129, 130, 160, 161.

კოდა – ორბელიანთა საგვარეულო მამული ქვემო ქართლში. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, ახლანდელი თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორია. 52, 159.

კონსტანტინეპოლი (კონსტანტინოპოლი) – იხ. სტამბოლი.

კოჯორი – დაბა თბილისთან ახლოს, თრიალეთის ქედის განშტოებაზე. 141, 147, 156, 158.

კუმისი – სოფელი ქვემო ქართლში, გარდაბნის მუნიციპალიტეტში. ისტორიულ წყაროებში იხსენიება XV საუკუნიდან. სოფელში მდებარეობს შუა საუკუნეების სამების ეკლესია და ორბელიანების საგვარეულო საძვალე. 54.

კუმტურყალა – სოფელი თემირხანშურის ოლქში. 95.

ლაგოდები 172.

ლეზგინსკის ლინია – ლეკეთის ხაზი. სასაზღვრო გამაგრებების სისტემა XIX ს-ის აღმოსავლეთ კავკასიაში, კავკასიის მთისწინეთში, მდინარე იორისა და ალაზნის გასწვრივ; მშენებლობა დაიწყო 1830 წელს დაღესტნელთა (და, საერთოდ, მთიელთა) თავდასხმების მოსაგერიებლად. 140.

ლურჩეი – სოფელი დაღესტანში, ამჟამინდელ რუთულის რაიონში. მდებარეობს მდინარე სამურისა და ყარა-სამურის შესართავთან. ადრე ეწოდებოდა უხტუხჩაი. 9.

მაზანდარანი – ირანის პროვინცია. 138.

მარალა – სოფელი ყარაბაღში. 9.

მენგრელია//მინგრელია – იხ. სამეგრელო

მეტლი – სოფელი დაღესტანში, ყიზილიურთის რაიონში, მდინარე სულაკის პირას. 122, 128, 129.

მეხთულო//მეჭხთულო (მეხთულის სახანო) – იგივე სამეხთულო, ყუმბისური და ავარიული სოფლების გაერთიანება, რომელიც XIX საუკუნეში შედიოდა თემირხანშურის (ამჟამად ბუინაქსკი) ოლქში. ხანის რეზიდენცია იყო ჯუნგუთაიში. 95, 101, 108, 150.

მოსკოვი – რუსეთის ფედერაციის დედაქალაქი. სხვადასხვა დროს იყო მოსკოვის დიდი სამთავროს, რუსეთის სამეფოს, რუსეთის იმპერიის, საბჭოთა რუსეთის, საბჭოთა კავშირის დედაქალაქი. მდებარეობს რუსეთის ევროპული ნაწილის ცენტრში, ოკისა და ვოლგის შუამდინარეთში, მდინარე მოსკოვის ორივე ნაპირზე. წყაროებში პირველად 1147 წლიდან მოიხსენიება. XIII ს-ის დასაწყისში იგი სამთავროს ცენტრი იყო. 9, 24, 38, 48, 49, 73.

მტკუარი (მტკვარი) – სამხრეთ კავკასიის უდიდესი მდინარე. სათავეს თურქეთში, ყიზილ-გიადუკის მთის კალთაზე, იღებს. ჩაედინება კასპიის ზღვაში, აზერბაიჯანში. მისი აუზი მოიცავს სომხეთის მთელ ტერიტორიას, აზერბაიჯანისა და საქართველოს ტერიტორიების დიდ ნაწილს, თურქეთისა და ირანის ტერიტორიების ნაწილს. საქართველოში ვარძიის მახლობლად შემოდის. 155, 165.

მუხათი – სოფელი თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტში. 160.

მუხროვანი – სოფელი ქვემო ქართლში, შედის გარდაბნის მუნიციპალიტეტში. 169.

მცხეთა 39.

ნაზრანი – ქალაქი ინგუშეთში (რუსეთის ფედერაცია), ქვეყნის ყოფილი დედაქალაქი. 147.

ნოვოროსსიისკი (ნოვოროსიისკი) – ქალაქი რუსეთის ფედერაციაში. მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი შავ ზღვაზე. 146.

ნუხა – ყოფილი სამაზრო ქალაქი აზერბაიჯანში, ამჟამად შაქი. 35, 172, 173, 174.

პადუა – ქალაქი იტალიაში, მდებარეობს ვენეციასთან ახლოს. 100.

პარიზი – საფრანგეთის დედაქალაქი (ადრე – ლუტეცია), გაშენებულია მდინარე სენის ნაპირზე; „მოდების დედაქალაქი“; მსოფლიოს ერთ-ერთი პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური ცენტრი. 61, 133.

პელეჩაი – იხ. ხანაქჩაი.

პეტერბურლი//პეტერბული//პეტრეზული – სანკტ-პეტერბურგი, ქალაქი ჩრდილოეთ ევროპაში, რუსეთის ფედერაციის ჩრდილო-დასავლეთით, ტურიზმის მნიშვნელოვანი ცენტრი. 1712-1728 და 1732-1918 წლებში რუსეთის დედაქალაქი იყო. პეტერბურგთანაა დაკავშირებული ქართული კულტურის განვითარების გარკვეული პერიოდი. XVIII საუკუნის 30-იანი წლებიდან დაიწყო აქ ქართველთა ინტენსიური კულტურულ-მეცნიერული მოღვაწეობა. XIX საუკუნის შუა წლებში კი პეტერბურგის უნივერსიტეტი ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საგანმანათლებლო კერას წარმოადგენდა ქართველთათვის. 8, 90, 133, 138, 140, 146, 149.

პეტროვსკი – დალესტნის კულტურულ-ადმინისტრაციული ცენტრი XIX ს-ში, დღევანდელი მაჰაჩყალა – დალესტნის დედაქალაქი. მდებარეობს კასპიის ზღვის პირას. ქალაქის ადგილას დასახლება გაჩნდა 1844 წელს, როგორც რუსული სამხედრო სიმაგრე „პეტროვსკოე“. ადგილობრივები ამ ადგილს ყუმიხურ ენაზე უწოდებდნენ ანჯი-ყალას (Анжи-Кала, ფქვილის-ციხე). 1857 დასახლებამ მიიღო ქალაქის სტატუსი და საპორტო ქალაქ „პეტროვსკ-პორტი“ (Петровск) სახელწოდება. 28, 29, 30, 31, 36, 38, 39, 40, 73, 106.

პიატიგორსკი – ქალაქი სტავროპოლის მხარეში, კავკასიის მიწურული წყლების საკურორტო რეგიონში, 2010 წლის 19 იანვრიდან ჩრდილოეთ კავკასიის ფედერალური ოლქის ადმინისტრაციული ცენტრი. წარმოადგენს მსხვილ ბალნეოლოგიურ კურორტს, 40-მდე მინერალური წყაროთი. დაარსებულია 1780 წელს. 104, 158.

რიონი – მდინარე დასავლეთ საქართველოში, ჩაედინება შავ ზღვაში. 148.

რომი – ევროპისა და მსოფლიოს ერთ-ერთი წარჩინებული ქალაქი, იტალიის დედაქალაქი 1870 წლიდან. VIII ს-იდან ამ დრომდე ის პაპის სამფლობელოს დედაქალაქი იყო, 1871 წელს გახდა იტალიის სამეფოს, ხოლო 1946 წელს – იტალიის რესპუბლიკის დედაქალაქი. მდებარეობს ტიბროსის ნაპირებზე, ხმელთაშუა ზღვასთან. ლეგენდის თანახმად, ქალაქის დაარსება ტყუპ ძმას – რომულუსსა და რემუსს – უკავშირდება ჩვ.წ. აღ-მდე VIII ს-ში. 8.

რუბასი – მდინარე დაღესტანში. 9.

რუბისი – იხ. რუბასი.

რუსეთი – მსოფლიოს უდიდესი ქვეყანა, ფლობს აღმოსავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ აზიის უდიდეს ნაწილს. პირველი რუსული სახელმწიფო იყო კიევის რუსეთი. შემდეგ შეიქმნა რუსეთის სამეფო, რომელიც პეტრე დიდის დროს იმპერიად გამოცხადდა. იმპერია შეცვალა საბჭოთა კავშირმა. ეს უკანასკნელი 1992 წელს დაიშალა. დღეს რუსეთში სულ მცირე 60 ეთნიკური ჯგუფი ცხოვრობს. 28, 88, 91, 116, 134, 135, 138, 141, 145, 146, 159, 177, 178.

სალათავია (სალათაუ) – მხარე დაღესტანში. უჭირავს სივრცე აუზის, ყაზიყუმუხის დაბლობსა და ყოფილ სამამხლოს შორის. 25, 71, 72, 73, 74, 75, 76, 77, 78, 79, 80, 82, 83, 86, 87, 88, 90, 91, 95, 98, 103, 104, 106, 107, 108, 111, 112, 113, 115, 116, 117, 120, 121, 122, 128.

სამეგრელო 48, 49, 55, 58, 85, 86, 96, 97, 99, 100, 117, 141, 170.

სამურსკის ოკრუდი (სამურის ოლქი) – უკავია დაღესტნის უკიდურესი სამხრეთი ნაწილი, ცენტრი – სოფელი ახტა. მდებარეობს კავკასიის მთავარი ქედის ჩრდილო ფერდობის გასწვრივ. მოიცავს მდინარე სამურის სათავეებს. შეიქმნა 1839 წელს. 1840 წლიდან შედიოდა კასპიის ოლქის, 1846 წლიდან – დერბენტის გუბერნიის, 1860 წლიდან დაღესტნის ოლქის, ხოლო 1921 წლიდან დაღესტნის რესპუბლიკის შემადგენლობაში. გაუქმდა 1928 წელს. 96, 175.

საფრანგეთი – დასავლეთ ევროპის ქვეყანა. რუსეთისა და უკრაინის შემდეგ ერთ-ერთი უდიდესია ევროპულ ქვეყნებს შორის. დედაქალაქი – პარიზი, ძველ დროში საფრანგეთი კელტური ტერიტორიის ნაწილს წარმოადგენდა. 24, 55.

საქართველო 41, 42, 45, 98, 102, 134, 140, 149, 157, 158.

საცხენისი – სოფელი ქვემო ქართლში, შედის გარდაბნის მუნიციპალიტეტში. 169, 170.

სევასტოპოლი – ქალაქი უკრაინაში, შავი ზღვის სანაპიროზე, ყირიმის ნახევარკუნძულის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. 9.

სვანეთი 117, 156.

სვეაბორგი – ფინეთის ციხე-სიმაგრე, რომელიც დაიბომა 1855 წლის ივლისში ყირიმის ომის დროს ინგლისისა და საფრანგეთის საჰაერო ძალების მიერ. 9.

სიბირი – იხ. ციმბირი.

სპარსეთი – იგივე ირანი. დედაქალაქი – თეირანი. სახელწოდება „ირანი“ იხმარებოდა სასანიანთა სახელმწიფოს ძირითადი ნაწილის აღსანიშნავად. ირანელები თავიანთ ქვეყანას ამ სახელით მოიხსენიებდნენ, ევროპელებმა კი სპარსეთი შეარქვეს ცენტრალური ოლქის ფარსის, ანუ პარსის,

სახელის მიხედვით. 1935 წელს ქვეყნის ხელისუფლებამ მსოფლიოს სახელმწიფოებს მიმართა, რათა იგი მოეხსენიებინათ, როგორც ირანი. 19, 55, 64.

სტავროპოლი – ქალაქი ჩრდილოეთ კავკასიაში, სტავროპოლის მხარის ადმინისტრაციული ცენტრი. დაარსდა 1777 წელს, როგორც ციხესიმაგრე. 17, 139.

სტამბოლი (სტამბული) – საუკუნეების განმავლობაში ერქვა კონსტანტინოპოლი, როცა ის ბიზანტიის იმპერიის დედა-ქალაქი იყო (ქალაქის ძველი ბერძნული სახელი იყო ბიზანტიუმი). შუა საუკუნეების განმავლობაში უდიდესი და უმდიდრესი ქალაქი იყო ევროპაში, რის გამოც „ქალაქთა დედოფალი“ შეარქვეს. 138 141.

სულიმან-კენდი – დარღოს სოფელი. 43.

სუხუმი (სოხუმი) 138.

ტაბასარანი – პროვინცია დაღესტნის სამხრეთ ნაწილში. მისი ტერიტორია ორ ნაწილად იყოფა: ჩრდილოეთის (მდ. რუბასის ზემო წელი) და სამხრეთის (მდ. ჩირაგჩაის შუადინების მარცხენა მხარე და მდ. ყარჩაგსუს ზემო წელი). ძირითადად, მთისწინეთია, რომელიც ნაწილობრივ მთასაც მოიცავს და ბარსაც. 9, 95, 97, 110, 111.

ტაბახმელა – სოფელი თბილისის დაქვემდებარებაში, XVIII საუკუნის II ნახევრიდან ორბელიანების სამფლობელო მამული, თამარ მეფის ერთ-ერთი სააგარაკო ადგილი, 2007 წლამდე შედიოდა გარდაბნის მუნიციპალიტეტში. 143, 144, 147, 148, 149, 156, 157, 158.

ტენწყალი – სასოფლო საზოგადოება დაღესტანში (რუსეთის ფედერაცია), შედგება 12 სოფლისაგან. ცხოვრობენ: ავარები, ბოთლიხები, ჩეჩნები და სხვ., რომლებიც სხვადასხვა ადგილიდან გადმოსახლდნენ. 1859 წელს დაიპყრეს რუსებმა. 71.

ტრაპიზონი – ქალაქი თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, შავი ზღვის სანაპიროზე, ისტორიული ტრაპიზონის იმპერიის დედაქალაქი. სამხრეთით ქალაქს აკრავს პონტოს მთები. 166.

ფარაული – სოფელი დაღესტანში. 82.

ფოთი 148.

ქაჭირყუმუხი (ქაფირ-ყუმუხი) – სოფელი დაღესტანში. 77.

ქუთაისი 117, 127, 135.

ქუთიშა – სოფელი ყოფილ აჭყოშაში. 21.

ქურის სახანო – ლეკთა სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი სამხრეთ დაღესტანში. არსებობდა 1812-1864 წლებში. 1846 წელს შევიდა დერბენდის გუბერნიის შემადგენლობაში. 1848 წლიდან სახანოს არსებობის ბოლომდე მას მართავდა უსუფ ბეგი. 1864 წელს ქურის სახანოს ნაცვლად შეიქმნა ქურის ოლქი. 151.

ლოლოვანი – სოფელი ქვემო ქართლში, ამჟამად შედის თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში. 53.

ლოუბანი – სოფელი ქვემო ქართლში, შედის თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში. 53, 159.

ლუჟნიკი – იხ. ხომნი.

ყაზიყუმუხი – მთავარი სოფელი ყოფილ ყაზიყუმუხის სახანოში, დაღესტნის აღმოსავლეთ მხარეში, კასპიის ზღვის სიახლოვეს. 9, 28, 95, 97, 108, 111, 149, 150, 151, 153, 154, 160, 177.

ყაითალი – სოფელი დაღესტანში, მდებარეობს აჭყოშას, ყაზიყუმუხისა და ქურის სახანოებს შორის. 9, 94, 95, 97, 110, 111, 115.

ყალუხის მთა – მდებარეობს დაღესტანში. 9.

ყარაია – ყოფილი გარდაბანი. 140 160.

ყარაიაზი – ველი გარდაბნის მუნიციპალიტეტში. 140, 160, 166, 169.

ყარსი – ქალაქი ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთში, ყარსის პროვინციის დედაქალაქი, ყოფილი სანჯაყის ცენტრი თურქულ ვილაიეთ ერზრუმში. ქალაქ ყარსის ძველი ქართული სახელწოდებაა კარი. 9.

ყიზიურთი (ყაზიურთი) – ციხე-სიმაგრე დაღესტანში. 13.

ყირიმი – ტერიტორია ყირიმის ნახევარკუნძულზე, შავი ზღვის ჩრდილოეთ ნაწილში. შედის უკრაინის შემადგენლობაში. 142.

ყოისუბუ – იგივე ანდალალი, დაღესტნის ისტორიული ოლქი. 25.

ყუბა – ქალაქი აზერბაიჯანში, მდინარე კუდილის მარჯვენა ნაპირზე. 43, 73, 95, 143, 145, 147, 157, 175.

ყუმუხი//ყუმისი – სოფელი დაღესტანში, მდებარეობს მდინარე ყარაყოისუს მარჯვენა შენაკადზე. 9.

შავი ზღვა 146.

შაროარლუნი (შარო-არლუნი) – სოფელი ჩეჩნეთში. 170, 172.

შაქრიანი – სოფელი კახეთში, შედის ყვარლის მუნიციპალიტეტში. 147.

შამახა//შემახა – აზერბაიჯანის დედაქალაქი 1858 წლამდე. თურქმანჩაის ხელშეკრულების შემდეგ დადგინდა ამჟამინდელი საზღვარი აზერბაიჯანსა და ირანს შორის, რითაც ბოლო მოეღო სახანოების მმართველობას. რუსეთის კონტროლირებად ტერიტორიაზე ორი პროვინცია დაარსდა, რომელმაც შეადგინა თანამედროვე

რესპუბლიკა: ელიზავეტოპოლი (განჯა) – დასავლეთით და შამახა – აღმოსავლეთით. 1858 წლის მიწისძვრის შედეგად დედაქალაქი შამახადან ბაქოში გადაიტანეს. ამ მოვლენამ შემდგომში დიდი მნიშვნელობა შეიძინა. 30, 35, 173, 174.

შილალი (შილიაგი) – სოფელი დაღესტანში, ტაბასარანში. 9.

შირვანი – მეფის რუსეთის მმართველობის პერიოდში შირვანის მაზრა, ამჟამად კი – შირვანის რაიონი. 90, 118, 125.

შუბუტი – სოფელი ჩეჩნეთის რესპუბლიკაში. 156.

ჩაჩანი (ჩეჩნეთი) – რუსეთის ფედერაციის სუბიექტი, შედის ჩრდილოეთ კავკასიის ფედერალური ოლქის შემადგენლობაში. დედაქალაქი – გროზნო. ესაზღვრება ინგუშეთი, ოსეთი, სტავროპოლის მხარე, დაღესტანი და საქართველო. 49, 50, 55, 56, 122.

ჩერქეი – იხ. ჩირქეი.

ჩირიურთი – სოფელი დაღესტანში, მდინარე სულაკის ნაპირას. 12, 13, 104, 135, 161, 175.

ჩირქეი – სოფელი დაღესტანში, ბუინაქსკის რაიონში. 76, 88, 106.

ჩოლოქი – მდინარე დასავლეთ საქართველოში. 92.

ცარსკისკალოდცი – იხ. დედოფლისწყარო.

ციმბირი – რუსეთის იმპერიის, ამჟამად კი რუსეთის ფედერაციის, აზიური ნაწილი. 88, 93, 114, 128, 142.

წინანდალი – სოფელი გომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთი კალთის ძირას, ამჟამად ეკუთვნის თელავის მუნიციპალიტეტს. ისტორიულ წყაროებში პირველად XV საუკუნიდან დასტურდება. ამ დრომდე იგი სახარისის სახელითაა ცნობილი. წინანდლის დასახლება მეფე ვახტანგ

VI-ის ვაჟის, ვახუშტი ბაგრატიონის, „საქართველოს გეოგრაფიაში“ ნახსენები. ქავჭავაძეების ოჯახის ისტორია აქ XVII ს-იდან იწყება. 53.

ჭარ-ბელაქანი – იგივე საინგილო. სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული ტერიტორიის ნაწილი. 1813 წელს გიულისტანის ხელშეკრულების საფუძველზე რუსეთის შემადგენლობაში შევიდა, მაგრამ მაშინ რუსეთს არ შეეძლო, აქ თავისი მუდმივი ჯარი ჰყოლოდა, რის გამოც ვერ შეძლო თავისი მმართველობის დამყარება. 1826-1828 წლის რუსეთ-სპარსეთის ომის შემდეგ, 1830 წელს, რუსეთის ჯარმა დაიპყრო ჭარ-ბელაქანი და სწრაფადვე დაამყარა რუსული მმართველობა. ამავე წელს აქ რუსების წინააღმდეგ აჯანყებამ იფეთქა, რომელიც სასტიკად იქნა ჩახშობილი. ჭარ-ბელაქნის ტერიტორია ცალკე მხარედ გამოყვეს, მოგვიანებით ზაქათალის ოლქს შეუერთეს და თბილისის გუბერნიას დაუქვემდებარეს. 1921 წელს აზერბაიჯანს გადაეცა. 98.

ჭარი – სოფელი ყოფილ ზაქათალის ოლქში. 28.

ხალილბეგაული (ხალიმბეკ-აული) – სოფელი დაღესტანში. 77.

ხანაგი (ხანაქი) – სოფელი ტაბასარანში (დაღესტანი). 9.

ხანაქჩაი – მდინარე დაღესტანში. 9.

ხარაბუდეკენტი (ყარაბუდახკენტი) – რაიონი დაღესტანში. აერთიანებს რამდენიმე სოფელს. 176.

ხასაიურთი – ყოფილი ციხე-სიმაგრე მდინარე იარიაკუს მარჯვენა ნაპირზე, აგებულ იქნა 1816 წელს. 33, 128, 160, 161.

ხოშნი (ხუშნი, ხუჩნი) – სოფელი ტაბასარანში (დაღესტანი). 9.

ხუბარა – დაღესტნის ამჟამინდელი ყაზბეგის რაიონის სოფელი. 129.

ჰილლი (ჰილი) – სოფელი დაღესტანში. 95.

ლექსიკონი

აბრაშუმი – აბრეშუმი 165,12; 166,4.

აკაზია – მოსახერხებელი შემთხვევა 76,9; 146,30.

ამირჩობანი 115,12; 116,19.

ამხელად – ამჯერად 13,23; 135,5.

ანგლია [რუს. Англия] – ინგლისი 57,18; 138,14; 138,17.

არზა – წერილობითი თხოვნა 23,5; 25,2; 30,8; 30,22; 63,18; 115,11; 115,13.

არქიერი (არქიელი) [ბერძ. archiereus მღვდელმთავარი] – მღვდელმთავართა (ეპისკოპოსის, არქიეპისკოპოსისა და მიტროპოლიტის) ზოგადი სახელწოდება 135,19; 155,14; 159,22; 165,17.

აქამდისინ – აქამდე 18,20; 59,23.

აქიმი – ექიმი 31,18; 58,24.

ბაბროვანი (ბობროვანი) – თახვიანი (თახვი – ძვირფასბენვიანი მოზრდილი მღრღნელი. აქ: იგულისხმება ძვირფასი ბენვისაგან შეკერილი ზედა ტანსაცმელი (მაგ., ბობრის პალტო) 40,1.

ბანება – ბანაობა 30,4; 30,5; 31,9; 31,11; 31,17-18; 127,15.

ბანკრუტობა [ფრან. banqueroute < იტალ. ბანცო ბანკი და როტტო გატეხილი] – წიგნ. ვალის გადახდის უნარმოკლებულობა, – გაკოტრება 98,26.

ბარაბანშიკი [რუს. Барабанщик] – მედოლე 100,5.

ბესედკა [რუს. Беседка] – ხეივანი 105,9.

ბლუდი [რუს. Блюдо] – კერძი 36,12.

გაბუტებული – გაბუტული 112,2.

გამცემელი – გამცემი 46,4-5.

გოდორ-ყუა (გოდორყორე//გოდორყური) – დანნული და ქვით სახსე დიდი ჯინი მდინარის ნაპირის გასამაგრებლად 99,26.

გრანიცა [რუს. граница] – საზღვარი; აქ: უცხოეთი 40,16; 135,16.

გულისმოდგინებით – გულმოდგინედ 114,14.

დაბანჩა – დამბაჩა 99,5.

დარჩომა – დარჩენა 63,25.

დაუდგრომელი – აქ: გაუტანელი 7,5.

დაქცევა – აქ: დანგრევა 109,2; 131,34.

დაღალულობა – დაღლილობა 32,2.

დესატინა (დესეტინა) [რუს. десятина] – ძვ. მიწის ზომის ერთეული რუსეთში (მეტრული სისტემის შემოღებამდე), უდრიდა 2.400 კვ. საჟენს, ანუ 10.092 კვ. მეტრს (რაც აღმოსავლეთ საქართველოში უდრიდა 4 ჩარეკს, ანუ 2 დლიურს, ხოლო დასავლეთ საქართველოში – 3 ქცევას) 145,3.

დვორი [რუს. двор] – ეზო. აქ: სასახლე 172,14.

დიდროანი – ძალიან დიდი 39,19-20; 45,25; 147,5-6; 158,24.

დოვერენნოსტი [რუს. доверенность] – მინდობილობა, რწმუნება 17,10; 24,7.

დოვერენნოსტობა [რუს. доверенность] – მინდობილობა, რწმუნება 18,6-7.

დოკლადნი [რუს. докладной] – მოხსენებისა, მოხსენებითი 43,15; 73,19.

დოკტორი [ლათ. doctor] – ექიმი 136,10.

დონესენიე [რუს. донесение] – პატაკი, მოხსენება 116,4-5.

დურაკი [რუს. дурак] – სულელი 115,4.

დურაკული – სულელური 63,18.

დუშკა [რუს. душка] – სულიკო, საყვარელი 82,20.

ეილალი – საზაფხულო აგარაკი 143,5.

ეჟზარხოსი (ეგზარქოსი) [ბერძ. exarchos] – აქ: ეკლ. მართლმადიდებელთა ცალკე, დამოუკიდებელი ეკლესიის მღვდელმთავარი 135,20.

ესოდენი – ამდენი 7,2; 10,8; 22,2; 24,10; 39,18; 39,22; 43,19; 54,2-3; 56,14; 59,3.

ეჰი – შორისდებული 159,19.

ვაკანცია – ვაკანსია 24,17; 139,20; 139,30; 146,23.

ვარატები [რუს. ворот] – აქ: ტექ. ჯალამბარი, ორი გრძელი ძელი, ხის ტოტებით შეერთებული, რომელსაც იყენებენ რისამე გადასაზიდად. 37,22; 37,27.

ვახჩი (ვახში) – ძვ. სესხის მეტად დიდი სარგებელი, ან სარგებლის სარგებელი 39,10.

ველიკი [რუს. великий] – დიდებული 40,21; 139,32; 146,27; 153,10; 160,1; 164,5; 165,22.

ვენზელი//ვენზილი – ერთმანეთში მხატვრულად გადახლართული ინიციალები (სახელისა და გვარის დასაწყისი ასოები) 36,6; 37,22; 124,9.

ვერსტი [რუს. верста] – სიგრძის საზომი ერთეული, ოდნავ მეტია

- კილომეტრზე (უდრის 1,0668 კილომეტრს). 96,12; 159,13.
- ვლადეტელი** [რუს. владетель] – მესაკუთრე, პატრონი, მფლობელი 116,23.
- ვოინსკი** [რუს. воинский] – სამხედრო 96,22; 171, 23-24.
- ვალოგი** [რუს. залог] – გირაო 88,4; 88,12.
- ვამეტკები** [რუს. заметка] – შენიშვნა, ჩანაწერი, მინაწერი 34,19-20.
- ვაპისკა** [რუს. записка] – ჩანაწერი 37,15; 42,24; 42,26; 43,12; 43,15; 43,25; 73,19.
- ვემლემერი** [რუს. землемер] – მიწის მზომელი 22,15-16; 22,26; 22,26-27; 23,3.
- თილიყამყამი** [ავარ.] – საბრძოლო იარაღი, ხანჯლის ნაირსახეობა 116,9.
- თუმანი** [სპარს.] – ათი მანეთი 7,10; 19,12; 30,30;32,7; 32,9; 32,13; 78,12; 85,17; 102,14; 102,16; 102,17.
- იარალაში** [რუს. ерпалаш-იდან] – ერთგვარი ძველებური თამაშობა ბანქოსი 159,14.
- იმდონი** – იმდენი 18,17.
- იმუშჩესტვო** [რუს. имущество] – ქონება, კუთვნილება 157,9.
- კავკაზი** [რუს. Кавказ] – კავკასია 140,2.
- კაზნაჩეი** [რუს. казначей] – ხაზინადარი 73,8.
- კათათვე** (მკათათვე) – ივლისი 86,27; 87,2; 141,4.
- კამანდირობა** [რუს. командир-იდან] – უფროსი, მეთაური 26,20-21; 91,4; 125,25; 125,27; 139,1; 73,18-19.
- კამენდანტი** [ფრანგ. commediantე რუს. ენის მეშვ.] – კომენდანტი 96,24; 97,2; 105,29.
- კანვოი** [რუს. конвоир] – მცველი, ბადრაგი 95,14.
- კვარტირა** [რუს. квартира] – ბინა 80,23; 108,27; 112,14; 121,1-2; 135,9.
- კნიაზი** [რუს. князь] – თავადი 18,7; 20,25; 23,1; 24,3; 25,1; 26,22 27,19; 28,9; 30,15; 36,2.
- კოკეტკა** [რუს. кокетка] – კეკლუცი, კოპნია 87,23.
- კორრესპონდენცია** [გერმ. Korrespondenz, ფრანგ. correspondance-იდან რუს. ვნის მეშვ.] – კორესპონდენტის მიერ გაზეთისათვის ან ჟურნალისათვის მიწოდებული წერილი, ცნობა; მიმონერა 60,4.
- კრაოტი** [რუს. кровать] – სანოლი 160,15.

კრასავიცა [რუს. красавица] – ლამაზმანი 25,5; 112,24.

კრიანოსალი [ბერძ. Kurie eleison-იდან უფალო, შეგვიწყალე] 1. ეკლ. ზონარზე ასხმული მიძივები (ქარვის, გიშრისა და მისთ.), რომელთა მარცვალ-მარცვალ ჩათვლით (მლოცველები) ინიშნავდნენ, რამდენი ლოცვა თქვეს და რამდენი მეტანია გააკეთეს. 33,16.

კუპჩი [რუს. купчий] – ნასყიდობის ქალაღდი, ნასყიდობის სიგელი 24,7.

კუპცი [რუს. купец ვაჭარი] – ვაჭარი 106,18.

ლეტუჩი [რუს. летучий] – მფრინავი 29,2.

ლინია [რუს. линия] – ხაზი 139,8; 140,7.

მახლახ – მახლას, შორისდებული, კონტექსტის მიხედვით გამო-ხატავს დანანებას, ან აღტაცება-აღფრთოვანებას. 32,23-24; 59,24; 68,1; 75,20; 77,21; 93,25; 100,9; 101,8.

მეფა – აქ: წარჩინებული ქალბატონი 155,7; 159,5.

მინარეთი [არაბ. მანარათ] – მეჩეთის კოშკი, საიდანაც მუსლიმანებს მოუწოდებენ სალოცავად 105,7-8.

მინუტი [რუს. минута] – წუთი 13,4; 16,27; 65,17; 76,8; 85,10; 105,28.

მოლოდინება – მოლოდინი 39,18.

მორსკოი [რუს. морской] – საზღვაო 155,15.

მორტირა [ჰოლან. მორტიერ] – სამს. დაქანებული ტრაექტორიის მქონე მოკლე ქვემეხი, მოკლელუღიანი საარტილერიო იარაღი 164,24-25.

მოსუფევა – მოსვლა (მოსუფევედნენ – მოვიდნენ) 147,28.

მონადინე – მსურველი 165,7.

მოხელეზა – აქ: დროის გამონახვა 12,12.

ნამესტნიკი [რუს. наместник] – მეფისნაცვალი 42,15; 49,28; 56,20; 143,4.

ნასტუპლენიე [რუს. наступление] – შეტევა, იერიში 164,27.

ნაჩალნიკი [რუს. начальник] – უფროსი 51,3; 51,7; 92,22; 93,15; 96,22; 97,26; 98,10; 110,2.

ნაცულადი – სამაგიერო 143,21; 157,11.

ნემენცი [რუს. немец] – გერმანელი 111,8.

ნოქერი – პირადი მცველი, მოსამსახურე 97,27; 102,33.

ოპეკა (აპეკა) [რუს. опека] – ძვ. ბარბარ. მეურვეობა 45,8; 45,13.

ოპეკუნობა [რუს. опека-დან] – ძვ. ბარბარ. მეურვეობა 37,25;

45,9; 45,12-13; 45,14.

ოსობი [რუს. особый] – განსაკუთრებული 134,8.

ოტდელენიე [რუს. отделение] – განყოფილება 145,8; 145,10.

ოტრიადი [რუს. отряд] – რაზმი, პოლკი 51,12; 78,28; 80,15; 80,17; 109,15; 109,17; 120,26.

პარახოდი [რუს. пароход] – გემი 36,4; 39,16; 138,15.

პაჩოტნი [რუს. почётный] – საპატიო 13,20.

პახოდობა [რუს. поход-იდან] – ლაშქრობა, ომი 89,26.

პერეევოკა [რუს. перевозка] – გადაზიდვა 133,18.

პერეოჩიკი [რუს. переводчик] – მთარგმნელი 116,26.

პლანი [რუს. план] – გეგმა 41,17; 45,26; 88,2; 88,6; 88,12; 88,19.

პოდრიადნიკი [რუს. подрядчик] – მენარდე 81,21.

პოვერნობა [რუს. поверенность-იდან] – რწმუნებულება 16,24; 17,7.

პოვოზკა [რუს. повозка] – მარტივი მოწყობილობის ეტლი 165,12.

პოვორი [რუს. повар] – მზარეული 75,13; 77,19; 87,11-12.

პრაგონი [რუს. прогоны (მრ.)] – საგზაო ხარჯი 93,21; 114,8; 114,10.

პრედსედატელი [რუს. председатель] – თავმჯდომარე 134,7; 145,15.

პრედსტავლენიე [რუს. представление] – წარმოდგენა 88,8.

პრისუტვიე [რუს. присутствие] – აქ: სამსახური 134,8.

პროვიანტი [გერ. proviant] – სურსათ-სანოვაგე, ხორაგი 81,22; 104,25-26; 133,18; 155,34.

რაზრეშენიე [რუს. разрешение] – ნებართვა, დაშვება 44,3.

რაოდენი – რამდენი 14,24; 56,11; 56,12; 57,12; 106,12; 126,10; 126,11; 165,8.

რაოდენიმე – რამდენიმე 28,2.

რაპორტი [ფრ. rapport] – ზეპირი მოხსენება, ან წერილობითი შეტყობინება უფროსის, ან უმაღლესი ინსტანციის სახელზე; ანგარიში შესრულებული სამუშაოს შესახებ 88,20; 93,18.

რეჩი [რუს. речь] – აქ: ზეპირად წარმოთქმული სიტყვა 40,14; 49,27.

სალდათი [რუს. солдат] – ჯარისკაცი 71,5; 71,28; 72,5; 77,20; 87,11; 100,9; 102,14; 105,21; 113,12.

სანი [რუს. сани] – მრ. მარხილი 126,15.

სვიტი [რუს. свита] – ამალა, კორტეჟი 47,14.

სიბირი [რუს. Сибирь] – ციმბირი 142,13.
სიმრთელე – ჯანმრთელობა 17,2; 64,22.
სიმშლი – შიმშილი 21,17.
სოდერჟანიე [რუს. содержание] – შინაარსი 29,6; 131,6.
სოვეტი [რუს. совет] – აქ: საბჭო 44,2; 44,5; 134,8; 141,24; 145,11; 145,14; 145,15; 147,14.
სოვეტნიკობა [რუს. совет-იდან] – მრჩევლობა 85,13; 85,26; 86,1; 86,4.
სოტნა [რუს. сотня] – ასი, ასეული 139,7; 78,8.
სპალნა [რუს. спальня] – საძინებელი 36,15.
სტარიკა [რუს. старик] – მოხუცებული 74,26; 89,10; 110,5.
სტარშინა [რუს. старшина] – ზემდეგი 78,4; 81,28.
სტრაპილი [რუს. стропило] – ნივნივი, ერთი იმ ორ (ან მეტ) ძელთაგანი, რომლებიც თითო ბოლოთი ერთმანეთთან არიან შეერთებული, ხოლო მეორე ბოლოებით შენობას ეყრდნობიან და ქმნიან სახურავის ჩონჩხს. 74,10.
სტრელკა [რუს. стрелка] – ისარი 105,21.
სტროიტელნი [რუს. строительный] – სამშენებლო 136,4.
სუდი [რუს. суд] – სასამართლო 116,20.
სუდია [რუს. судья] – მოსამართლე 148,9.
სუდიობა [რუს. суд-იდან] – მოსამართლეობა 148,10-11.
სუმმა [რუს. сумма] – თანხა 34,7.
ტეატრული – თეატრალური 148,20.
ტორლი [რუს. торг] – საჯარო ვაჭრობა 155,34.
უეზდი [რუს. уезд] – მაზრა 143,19; 145,3; 145,22; 147,16; 148,10; 157,12; 171,7; 171,15.
უკრავ-უგინებლად – უპრობლემოდ, ნყნარად, მშვიდად 27,29; 69,13; 139,5; 140,28.
უპრავლენიე [რუს. управление] – მართვა, მმართველობა 40,18; 145,13.
უჩასტკი [რუს. участок] – მრ. ნაწილები 98,15.
ფეშქაში [სპ.] (საუბ.) – საჩუქარი, ძღვენი 19,19; 33,13; 71,28.
ფოშტა [რუს. почта] – ფოსტა 16,12; 17,8; 18,6; 18,8; 19,3-4; 20,20; 93,21; 100,14.
ფლაგი [რუს. флаг] – დროშა 37,23; 93,26.
ჟორტოპიანო – პიანინო 18,13; 18,15; 19,7; 19,9.
ქულჟათი (ქულბაქი) [სპარს.] – აქ: ოჯახი, სახლ-კარი 77,8.

ლოსუდარსტვენნი [რუს. государственный] – სახელმწიფო 157,9.
ლრაჟდანსკი [რუს. гражданский] – სამოქალაქო 145,13.
ლუბერნატი – გუბერნატორი 43,15; 54,14; 109,25; 127,2; 135,3;
 137,20; 141,8.
შადლუხი – თოფის ხშირი სროლა სადღესასწაულოდ 93,26-27;
 101,9.
შინელი [რუს. шинель] – მაზარა, სამხედრო ფორმის პალტო 40,1.
შტაბკვარტირა [რუს. штабквартира] – შტაბბინა 176,23; 108,27;
 112,14; 121,1.
შტუცერი [გერმ. Stutzer] – 1. ძველებური თოფი, რომლის ლულასაც
 შიგნით ხრახნისებური კუთხვილი აქვს. 2. კუთხვილის
 მქონე მსხვილკალიბრიანი ორლულიანი სანადირო თოფი
 37,23; 126,25.
შიტი [რუს. щит] – ფარი 37,23.
ჩარვადარი (ჩალვადარი) [სპარ. ჩარვადარ „ოთხფეხის პატრონი“]
 – ძვ. პირი, რომელიც ცხენებს ქირაზე ატარებდა. 81,21.
ჩერნომორსკი [რუს. черноморский] – შავი ზღვის 139,23-24.
ჩეტვერტი [რუს. четверть] – მეოთხედი 81,30.
ჩლენი [რუს. член] – წევრი 136,4; 145,11; 145,13.
ხუდოჟნიკი [რუს. художник] – მხატვარი 103,5.
ხურუში [სპარ. ხურუმ „გაცეცხლება“, „ყვირილი“] – ძვ. დიდი
 სურვილი (რისამე) 148,22.
ჯავაირი [არაბ. ჯავარი (ძვ.)] – პატროსანი ქვა, ძვირფასი თვალი
 42,24-25; 47,18; 59,20; 59,25.
ჰაზრი – აზრი 37,5; 37,12; 146,22; 152,17; 152,27; 162,10 163,17.
ჰარაქათის განევა – მცდელობა საქმის მოსაგვარებლად 81,28.
ჰაქიმი – ექიმი 31,18.

სარჩევი

შესავალი 3

1856

ქეთევან ორბელიანისადმი №81 (402)	7
ქეთევან ორბელიანისადმი №82 (403)	7
მიხეილ ვორონცოვისადმი №46 (404) (რუსული ტექსტი)	8
მიხეილ ვორონცოვისადმი №46 (404) (ქართული ტექსტი)	10
დიმიტრი ჯორჯაძისადმი №29 (405)	12
დიმიტრი ჯორჯაძისადმი №30 (406)	13
ქეთევან ორბელიანისადმი №83 (407)	14
ყაფლან ორბელიანისადმი №8 (408)	15
ქეთევან ორბელიანისადმი №84 (409)	16
ქეთევან ორბელიანისადმი №85 (410)	17
ქეთევან ორბელიანისადმი №86 (411)	18
ყაფლან ორბელიანისადმი №9 (412)	19
ქეთევან ორბელიანისადმი №87 (413)	20
ქეთევან ორბელიანისადმი №88 (414)	20
ქეთევან ორბელიანისადმი №89 (415)	21
ალექსანდრე საგინაშვილისადმი №2 (416)	22
ქეთევან ორბელიანისადმი №90 (417)	23
ქეთევან ორბელიანისადმი №91 (418)	24
ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №12 (419) (რუსული ტექსტი)	25
ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №12 (419) (ქართული ტექსტი)	26
დიმიტრი ჯორჯაძისადმი №31 (420)	27
დიმიტრი ჯორჯაძისადმი №32 (421)	28
ქეთევან ორბელიანისადმი №92 (422)	30
ალექსანდრე საგინაშვილისადმი №3 (423)	31
ქეთევან ორბელიანისადმი №93 (424)	32
დიმიტრი ჯორჯაძისადმი №33 (425)	33
დიმიტრი ჯორჯაძისადმი №34 (426)	33
დიმიტრი ჯორჯაძისადმი №35 (427)	34

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №36 (428)	34
ქეთევან ორბელიანისადმი №94 (429)	35
ქეთევან ორბელიანისადმი №95 (430)	35
დიმიტრი ჯორჯაძისადმი №37 (431)	36
დიმიტრი ჯორჯაძისადმი №38 (432)	37
დიმიტრი ჯორჯაძისადმი №39 (433)	38
დიმიტრი ჯორჯაძისადმი №40 (434)	39
დიმიტრი ჯორჯაძისადმი №41 (435)	39
დიმიტრი ჯორჯაძისადმი №42 (436)	40
ყაფლან ორბელიანისადმი №10 (437)	41
დიმიტრი ორჯაძისადმი №43 (438)	42
დიმიტრი ჯორჯაძისადმი №44 (439)	43
ქეთევან ორბელიანისადმი №96 (440)	44
ალექსანდრე საგინაშვილისადმი №4 (441)	45
დიმიტრი ჯორჯაძისადმი №45 (442)	46
ყაფლან ორბელიანისადმი №6 (443)	47
ქეთევან ორბელიანისადმი №97 (444)	48
ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისადმი №3 (445)	48
ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №13 (446) (რუსული ტექსტი)	50
ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №13 (446) (ქართული ტექსტი)	51

1857

ანასტასია ორბელიანი-გაგარინისადმი №1 (447)	52
ბაბალე ორბელიანი-საგინაშვილისადმი №11 (448)	52
ქეთევან ორბელიანისადმი №98 (449)	53
ლეონტი ნიკოლაისადმი №2 (450) (რუსული ტექსტი)	54
ლეონტი ნიკოლაისადმი №2 (450) (ქართული ტექსტი)	56
ბაბალე ორბელიანი-საგინაშვილისადმი №12 (451)	57
დიმიტრი ჯორჯაძისადმი №46 (452)	59
ალექსი ერმოლოვისადმი №1 (453) (რუსული ტექსტი)	60
ალექსი ერმოლოვისადმი №1 (453) (ქართული ტექსტი)	60
ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №14 (454) (რუსული ტექსტი)	61
ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №14 (454) (ქართული ტექსტი)	62

ქეთევან ორბელიანისადმი №99 (455)	63
ქეთევან ორბელიანისადმი №100 (456)	64
ქეთევან ორბელიანისადმი №101 (457)	64
ქეთევან ორბელიანისადმი №102 (458)	65
ქეთევან ორბელიანისადმი №103 (459)	66
ქეთევან ორბელიანისადმი №104 (460)	67
ქეთევან ორბელიანისადმი №105 (461)	67
ბარბარე ორბელიანისადმი №1 (462) (რუსული ტექსტი)	68
ბარბარე ორბელიანისადმი №1 (462) (ქართული ტექსტი)	68
დიმიტრი ჯორჯაძისადმი №47 (463)	69
დიმიტრი ჯორჯაძისადმი №48 (464)	70
დიმიტრი ჯორჯაძისადმი №49 (465)	70
ქეთევან ორბელიანისადმი №106 (466)	71
დიმიტრი ჯორჯაძისადმი №50 (467)	72
დიმიტრი ჯორჯაძისადმი №51 (468)	73
დიმიტრი ჯორჯაძისადმი №52 (469)	74
დიმიტრი ჯორჯაძისადმი №53 (470)	75
ქეთევან ორბელიანისადმი №107 (471)	76
დიმიტრი ჯორჯაძისადმი №54 (472)	77
ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №15 (473) (რუსული ტექსტი)	79
ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №15 (473) (ქართული ტექსტი)	80
დიმიტრი ჯორჯაძისადმი №55 (474)	81
დიმიტრი მილიუტინისადმი №1 (475) (რუსული ტექსტი)	82
დიმიტრი მილიუტინისადმი №1 (475) (ქართული ტექსტი)	83
დიმიტრი მილიუტინისადმი №2 (476) (რუსული ტექსტი)	83
დიმიტრი მილიუტინისადმი №2 (476) (ქართული ტექსტი)	84
დიმიტრი ჯორჯაძისადმი №56 (477)	85
ყაფლან ორბელიანისადმი №7 (478)	86
დიმიტრი ჯორჯაძისადმი №57 (479)	88
დიმიტრი ჯორჯაძისადმი №58 (480)	88
ქეთევან ორბელიანისადმი №108 (481)	89
დიმიტრი მილიუტინისადმი №3 (482) (რუსული ტექსტი)	90
დიმიტრი მილიუტინისადმი №3 (482) (ქართული ტექსტი)	91
დიმიტრი მილიუტინისადმი №4 (483) (რუსული ტექსტი)	91

დიმიტრი მილიუტინისადმი №4 (483) (ქართული ტექსტი)	92
დიმიტრი ჯორჯაძისადმი №59 (484)	93
დიმიტრი ჯორჯაძისადმი №60 (485)	94
დიმიტრი ჯორჯაძისადმი №61 (486)	95
დიმიტრი ჯორჯაძისადმი №62 (487)	96
დიმიტრი ჯორჯაძისადმი №63 (488)	97
დიმიტრი ჯორჯაძისადმი №64 (489)	98
დიმიტრი ჯორჯაძისადმი №65 (490)	99
დიმიტრი ჯორჯაძისადმი №66 (491)	100
ქეთევან ორბელიანისადმი №109 (492)	103
დიმიტრი ჯორჯაძისადმი №67 (493)	104
დიმიტრი ჯორჯაძისადმი №68 (494)	106
ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №16 (495) (რუსული ტექსტი)	107
ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №16 (495) (ქართული ტექსტი) ...	108
ელიზბარ ერისთავისადმი №1 (496).....	109
დიმიტრი ჯორჯაძისადმი №69 (497).....	110
ბაბაღე ორბელიანი-საგინაშვილისადმი №13 (498).....	112
დიმიტრი ჯორჯაძისადმი №70 (499).....	113
ქეთევან ორბელიანისადმი №110 (500).....	115
დიმიტრი ჯორჯაძისადმი №71 (501).....	116
ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №17 (502) (რუსული ტექსტი)	117
ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №17 (502) (ქართული ტექსტი) ..	118
ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №18 (503) (რუსული ტექსტი)	120
ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №18 (503) (ქართული ტექსტი)....	120
ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №19 (504) (რუსული ტექსტი)	121
ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №19 (504) (ქართული ტექსტი) ...	122
ნიკოლოზ ევდოკიმოვისადმი №1 (505) (რუსული ტექსტი)	122
ნიკოლოზ ევდოკიმოვისადმი №1 (505) (ქართული ტექსტი)	123
ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №20 (506) (რუსული ტექსტი)	123
ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №20 (506) (ქართული ტექსტი)	124
ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №21 (507) (რუსული ტექსტი)	124
ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №21 (507) (ქართული ტექსტი)	125
ქეთევან ორბელიანისადმი №111 (508)	126
ბაბაღე ორბელიანი-საგინაშვილისადმი №14 (509)	127

დღიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკისადმი №1 (510) (რუსული ტექსტი) .128
დღიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკისადმი №1 (510) (ქართული ტექსტი)...130

1858

დღიმიტრი ჯორჯაძისადმი №72 (511)	133
დღიმიტრი ჯორჯაძისადმი №73 (512)	134
ალექსი კრუზენშტერნისადმი №1 (513) (რუსული ტექსტი)	136
ალექსი კრუზენშტერნისადმი №1 (513) (ქართული ტექსტი)	137
დღიმიტრი ჯორჯაძისადმი №74 (514)	138
დღიმიტრი ჯორჯაძისადმი №75 (515)	140
დღიმიტრი ჯორჯაძისადმი №76 (516)	142
დღიმიტრი ჯორჯაძისადმი №77 (517)	143
დღიმიტრი ჯორჯაძისადმი №78 (518)	144
დღიმიტრი ჯორჯაძისადმი №79 (519)	144
ივანე ჯამბაკურ-ორბელიანისადმი №1 (520).....	149
ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №22 (521) (რუსული ტექსტი)	149
ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №22 (521) (ქართული ტექსტი) ...	151
დღიმიტრი ჯორჯაძისადმი №80 (522)	153
დღიმიტრი ჯორჯაძისადმი №81 (523)	156
ბაბალე ორბელიანი-საგინაშვილისადმი №15 (524)	158
დღიმიტრი მილიუტინისადმი №5 (525) (რუსული ტექსტი)	160
დღიმიტრი მილიუტინისადმი №5 (525) (ქართული ტექსტი)	161
დღიმიტრი მილიუტინისადმი №6 (526) (რუსული ტექსტი)	162
დღიმიტრი მილიუტინისადმი №6 (526) (ქართული ტექსტი)	163
დღიმიტრი ჯორჯაძისადმი №82 (527)	164
ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №23 (528) (რუსული ტექსტი).....	166
ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №23 (528) (ქართული ტექსტი) ..	167
ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №24 (529) (რუსული ტექსტი)	169
ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №24 (529) (ქართული ტექსტი) ...	170
ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №25 (530) (რუსული ტექსტი)	172
ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №25 (530) (ქართული ტექსტი) ...	173
ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №26 (531) (რუსული ტექსტი)	173
ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №26 (531) (ქართული ტექსტი) ...	174

ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №27 (532) (რუსული ტექსტი)	175
ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №27 (532) (ქართული ტექსტი) ...	176
დიმიტრი ჯორჯაძისადმი №83 (533)	177
ნიკოლოზ კარლოფისადმი №1 (534) (რუსული ტექსტი).....	177
ნიკოლოზ კარლოფისადმი №1 (534) (ქართული ტექსტი)	178
კონსტანტინე ფონ კაუფმანისადმი №1(535) (რუსული ტექსტი)	179
კონსტანტინე ფონ კაუფმანისადმი №1 (535) (ქართული ტექსტი) ..	180
პასპორტები, შენიშვნები, კომენტარები	181
ტექსტისათვის	182
საძიებლები	379
პირთა ანოტირებული საძიებელი	380
გეოგრაფიულ სახელთა ანოტირებული საძიებელი	434
ლექსიკონი	452
სარჩევი	459

